ეძღვნება 1924 წლის აგვისტოს აჯანყების
100 წლისთავს

Dedicated to the 100th anniversary of the August Uprising of 1924

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2024

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ISSN 1512-3154

ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები

2024 №28

1924 – 100

გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2024

უაკ (UDC) 94(100) „15/18“ + 94(100) „1918/“...
ა-984

მთავარი რედაქტორი:
ავთანდილ სონღულაშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ირინა არაბიძე
(რედაქტორის მოადგილე)
მიხეილ ბახტაძე
უჩა ბლუაშვილი
ირაკლი გაბისონია
გია გელაშვილი
ოთარ გოგოლიშვილი
ალექსანდრე დაუშვილი
(რედაქტორის მოადგილე)
შოთა ვადაჭკორია
ნუგზარ ზოსიძე
ლელა მიქიაშვილი
ვაჟა კიკნაძე
თამარ კიკნაძე
უჩა ოქროპირიძე
გელა საითიძე
ლელა სარალიძე
ხათუნა ქოქრაშვილი
დოდო ჭუმბურიძე
ნიკო ჯავახიშვილი
(რედაქტორის მოადგილე)
ოთარ ჯანელიძე

EDITOR-IN-CHIEF:
Avtandil Songulashvili

EDITORIAL BOARD:
Irina Arabidze
(Deputy Editor)
Mikheil Bakhtadze
Ucha Bluashvili
Irakli Gabisonia
Gia Gelashvili
Otar Gogolishvili
Alexander Daushvili
(Deputy Editor)
Shota Vadachkoria
Nugzar Zosidze
Lela Mikiashvili
Vazha Kiknadze
Tamar Kiknadze
Ucha Okropiridze
Gela Saitidze
Lela Saralidze
Khatuna Kokrashvili
Dodo Chumburidze
Niko Javakhishvili
(Deputy editor)
Otar Janelidze

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2024
თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

შინაარსი

Contents

1924 – 100

ავთანდილ სონღულაშვილი, ... 9
1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში და ბოლშევიკური რეპრესიები
Avtandil Songulashvili
The August 1924 Uprisings and Bolshevik Repressions in Georgia

ნიკო ჯავახიშვილი 35
ქართულ-ვაინახური საბრძოლო თანამეგობრობის ფურცლები. „ქართველ შეფიცულთა რაზმის" ჩეჩნებთან და ინგუშებთან კავშირის ისტორიიდან. 1922-1924 წლები
Niko Javakhishvili
Georgian-Vainakh Battle Community Papers. From the history of alliance of „The detachment of Georgian Oaths" with the Chechens and Ingushs (1922-1924)

ქეთევან მანია 63
1924 წლის აჯანყების ასახვა ქართულ ბეჭდურ მედიაში
Ketevan Mania
The depiction of the 1924 Uprising in the Georgian Print Media

ალექსანდრე დაუშვილი 84
ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე 1924 წ. აჯანყების შესახებ
Alexander Daushvili
Nikoloz (Karlo) Chkheidze About Uprising of the 1924 Year, it's Essence and Significance

ნატო სონღულაშვილი 103
ვლასა მგელაძე 1924 წლის აჯანყების შესახებ
Nato Songulashvili
Vlasa Mgeladze about the 1924 uprising

ოთარ ჯანელიძე 114
1924 წლის აგვისტოს აჯანყება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია
Otar Janelidze
August uprising of 1924 and Georgian political emigration

დოდო ჭუმბურიძე 134
1924 წლის აჯანყებისადმი საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციისა და ევროპის ზოგიერთი პოლიტიკოსის დამოკიდებულების ისტორიიდან
Dodo Chumburidze
The 1924 Uprising: Assessments by Georgian Politicians in exile and Some European Politicians

ირმა გოგოლიძე 150
1924 წლის აჯანყების შედეგები და შეფასება
Irma Gogolidze
The Revolt of 1924: Results and Assessment

ოთარ გოგოლიშვილი 160
ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1922 წლებში
Otar Gogolishvili
Anti-Soviet movement in Adjara region 1921-1922 years

საქართველოს ისტორია
The History of the Georgia

ლელა მიქიაშვილი 174
ერეკლე II-ის დესპანი მირზა გურგინ ენაკოლოფაშვილი
და მისი საგვარეულო
Lela Mikiashvili
Mirza Gurgin Enakolopashvili: Erekle II's Envoy and His Surname

სამხედრო ისტორია
History of military

არჩილ ჩაჩხიანი 191
იდეოლოგია, პოლიტიკა, ბატალია – სომხეთ-საქართველოს
ომის ვორონცოვკის ბრძოლა
Archil Chachkhiani
Ideology, Politics, Struggle – The Vorontsovka Battle of Armenia-Georgia War

პოლიტიკა
The Policy

Natia Latsabidze 212
CRASH OF THE SOVIET UNION`S PLANNED ECONOMY AND
„NOSTALGIA" OF THE PAST
ნათია ლაცაბიძე
საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის კრახი და წარსულის „ნოსტალგია"

მადლენა კონწონაშვილი 227
კულტურული ომები თანამედროვე სოციუმში და დემოკრატიის
კრიზისი
Madlena Kotsotsashvili
Crash of the Soviet Union`s Planned Economy and „Nostalgia" of the Past

კავკასიის ისტორია
The Hstory of the Caucasus

ირმა გიკაშვილი 245
პრომეთეისტური მოძრაობა და ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის იდეა
Irma Gikasvili
Promethean movement and the idea of creating a unified Caucasian state

საერთაშორისო ურთიერთობები
International Relationships

უჩა ბლუაშვილი 259
პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში და ნეიტრალიტეტის პრობლემა
Ucha Bluashvili
A small country in international, relationships and the problem of neutrality

ქეთევან ჯოჯიშვილი 276
რუსეთის ბრძოლა ცივილიზებული დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითზე
Ketevan Jojishvili
Russia's struggle against the civilized West on the example of the Russia-Ukraine war

ვალერი მოდებაძე 286
ზესახელმწიფოებს შორის კონკურენცია ტრანსკონტინენტური სავაჭრო-ეკონომიკური გზების დაუფლებისათვის
Valeri Modebadze, *Competition between superpowers for mastering transcontinental trade and economic routes*

წყაროთმცოდნეობა
Source-Studies

დავით მერკვილაძე, ერეკლე ხუციშვილი 304
პეტრე ბუტკოვი ერეკლე II-ისა და მისი ოჯახის, 1784 წელს ჭარისაკენ ლაშქრობისა და განჯის სახანოს ამბების შესახებ
Davit Merkviladze, Erekle Khutsishvili
Peter Butkov about King Erekle II and his family, the march to Djari in 1784 and the situation in Ganja Khanate

ისტორიოგრაფია
Hstoriography

მერაბ კალანდაძე 312
სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში
Merab Kalandadze
Study of the History of Medieval Scandinavian Countries' in Georgian Historiography

კრებულის სარედაქციო კოლეგია ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ. გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე და შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2, კორპუსი XI.
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილება

ავთანდილ სონღულაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების გამგე

1924 წლის აგვისტოს აჯანყება და ბოლშევიკური რეპრესიები საქართველოში

1921 წლის შავმა თებერვალმა საქართველოს მოუტანა ოკუპაცია და ფაქტობრივი ანექსია. ის ყველაფერი, რასაც რუსეთში სამი წელიწადი დასჭირდა, ბოლშევიკებმა საქართველოში რამდენიმე კვირაში „ჩაატიეს". მათ 1921 წლის 24 მარტს დაშალეს საქართველოს დამფუძნებელი კრება, შემდეგ კი მართლმსაჯულების ყველა ინსტანცია გააუქმეს. აპრილში მიწა უკვე მთლიანად იყო ნაციონალიზებული და „მშრომელი ხალხის", ანუ რევკომის, საკუთრება გახდა... 1921 წლის მიწურულს ჩატარებულ „არჩევნებში" არამშრომელ ელემენტებსა და არაკომუნისტურ პარტიებს მონაწილეობის მიღება აუკრძალეს. 1922 წლის მარტში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა ეწოდა [1, 497].

შოკიდან გამოსულმა ქართველებმა დემონსტრაციების გამართვა დაიწყეს. 1922 წლის 24 მაისს თბილისი გაიფიცა. 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის მეოთხე წლისთავზე მთავრობამ სკოლები დაკეტა, მოსწავლეები და მასწავლებლები მატარებელში შეყარა და ქუჩები წითელარმიელებით გაავსო. გორში რკინიგზელები გაიფიცნენ; რეკავდა ეკლესიების ზარები. ქუჩებში გასული მოსახლეობა დამოუკიდებელი საქართველოს სახალხო ჰიმნს – დიდებას მღეროდა. ჩეკისტებმა ცეცხლი გახსნეს [1, 499].

საბჭოთა ხელისუფლებამ აშკარად აჩვენა, როგორი დაუნდობელი ძალა მოვიდა და იარაღის ძალით დამკვიდრდა. ერთი მაგალითის მოტანაც საკმარისია, თუ რა ზნეობის ხალხთან გვქონდა საქმე: ბანძის

რაიონში, დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის მცდელობის დროს დაატუსაღეს ბავშვები, რომლებიც სასტიკად აწამეს. „გამოტეხის მიზნით, ერთი მათგანი თავდაღმა ჭაში ჩაკიდეს, ხოლო მეორე ორ სკამზე დააკრეს ფეხებით და გასაგლეჯად გასწიეს, მაგრამ მაინც ვერ გასტეხეს. გონება წართმეული ბავშვები სარდაფში ჩაყარეს“ [2, 335].

ხალხის რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. წითელი არმიის მიერ 1921 წელს საქართველოს ანექსია, მას შემდეგ, რაც 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა „დე იურედ“ ცნო დამოუკიდებელი რესპუბლიკა და დადო მასთან ხელშკრულება – აი, რამ აღაშფოთა ხალხის მასები საქართველოში და ეს იყო გამოსვლების მთავარი მიზეზი.

ს. ორჯონიკიძე აღიარებდა: „1921 წელს შევედით საქართველოში, ჩვენს წინააღმდეგ გამოდიოდა თითქმის მთელი მოსახლეობა“ [3, 2]. ამ პერიოდის საქართველოში ს. ორჯონიკიძეს მიიჩნევდნენ ახალ გენერალ ციციანოვად, რომელიც ასი წლის წინ უპყრობდა რუსეთის იმპერიას კავკასიის სამეფოებს და სახანოებს [4, 83].

1921 წლის აპრილში რევკომმა პოლიტიკური პარტიების ამნისტია გამოაცხადა. იმდროინდელ ხელმძღვანელობას ეს დეკრეტი პოლიტიკური დაძაბულობის შესასუსტებლად ჰქონდა გამიზნული. მან იცოდა, რომ არაპროლეტარული პარტიები საოკუპაციო რეჟიმს ვერ შეეგუებოდნენ და მათთან ბრძოლა გარდაუვალი გახდებოდა. მაშინ, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ეს იყო როგორც პარტიების, ისე მათი წევრების ლუსტრაციის მცდელობა, რათა შემდეგ ადვილად გასწორებოდნენ.

საქართველოს კომპარტიამ ეს ბრძოლა თვითონ წამოიწყო იმით, რომ ალექსანდრე გეგეჭკორზე ქუთაისში მოწყობილი თავდასხმის ინსცენირების შემდეგ ხელი მიჰყო მასობრივ დაპატიმრებებს. ქალაქების ციხეები აივსო პოლიტიკური პატიმრებით. პატიმართა ერთი დიდი ჯგუფი გაასახლეს რუსეთში, მეორე საზღვარგარეთ (გერმანიაში). განუკითხავად იქცეოდნენ შინაგან საქმეთა კომისარიატის და საგანგებო კომისიათა ადგილობრივი ორგანოები, რომლებიც პატიმრებს უმრავლეს შემთხვევაში ძიება-სასამართლოს გარეშე სპობდნენ ფიზიკურად [5, 4]. საგულისხმოა, რომ ძალოვანი სტრუქტურები ძირითადად არაქართველებით იყო დაკომპლექტებული.

აქვე გავიხსენოთ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: კომუნისტური ოკუპაციის გამარჯვებით დაგვირგვინებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თბილისის მოსახლეობის ზედმეტად მრავალეროვანმა შემადგენლობამაც, რაც ამ ქალაქს ეროვნულ სახეს უკარგავდა. საქარ-

თველოს ეროვნული უმცირესობის მნიშვნელოვანი ნაწილი თავის დროზე თუ აშკარად არა, საკმაოდ გულგრილად შეხვდა ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის ფაქტს და ლოდინის პოზიცია დაიკავა. მათთვის ძალიან ბევრი მიზეზის გამო ინტერნაციონალისტი-კომუნისტები უფრო მისაღები იყვნენ, ვიდრე ეროვნული იდეების მოტრფიალე ქართველი სოციალ-დემოკრატები. ისინი მიჩვეული იყვნენ რუსულ დიქტატს და აფრთხობდათ ახალი – ქართული ხელისუფლების გაძლიერება. სწორედ ამიტომ, თბილისის არაქართული მოსახლეობის დიდი ნაწილი ლოიალურად შეხვდა კომუნისტურ გადატრიალებას და სწორედ მათი რიგებიდან კომპლექტდებოდნენ, მეტ-ნაკლებად, პარტიული და საბჭოთა ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კადრები; განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში [6, 16].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიდრე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციას ე. წ. „უკლონისტები“ ხელმძღვანელობდნენ, შედარებით ლოიალური იყო არაპროლეტარული პარტიების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმები. 1922 წლის შემოდგომისათვის რამდენიმე ათეული ქართველი სოციალ-დემოკრატი იჯდა ციხეში (ისიც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის დაჟინებით დაპატიმრებული), მაგრამ ეს არაფერს ცვლიდა პარტიის არსებობაში. ჯერ ერთი, დაპატიმრებულებს მთლიანად ჰქონდათ უზრუნველყოფილი კავშირი ციხისგარეთა ცხოვრებასთან და მეორეც, დაპატიმრებულთა შცვლა ადვილად შეიძლებოდა.

უკლონისტების გადადგომის შემდეგ ახლად არჩეულმა ცენტრალურმა კომიტეტმა დაიწყო მასობრივი დაპატიმრებები... [7, 44].

1921-1922 წლების აჯანყებანი სვანეთსა და ხევსურეთში სტიქიურობით ხასიათდებოდა. მართალია იგი საყოველთაო ორგანიზებულ მოძრაობაში ვერ გადაიზარდა, მაგრამ გამოსვლები იმდენად ძლიერი იყო, რომ ის შეიტყვეს ევროპის წამყვანი ქვეყნების მესვეურებმაც [8, 52-53].

გამოსვლების ჩაქრობის შემდეგ დააპატიმრეს სამი ათასამდე ადამიანი. ბევრი მათგანი ჯერ გამოუშვეს, მერე ისევ დაიჭირეს, ზოგი დახვრიტეს.

საქართველოში დარჩენილი პოლიტიკური, ეროვნულ პოზიციაზე მდგომი პარტიები იმედს არ კარგავდნენ, რომ შეძლებდნენ დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზებას და მოახერხებდნენ ბოლშევიკების ძალაუფლების დამხობას.

აჯანყების მოსამზადებელ საქმიანობას ხელმძღვანელობდა „დამოუკიდებლობის კომიტეტი“ იგივე „დამკომი“, რომელიც სხვადასხვა პარტიათა წარმომადგენლებისგან ჯერ კიდევ 1922 წლის დამდეგს შეიქმნა. ამის შემდეგ, იმავე 1922 წლის ზაფხულში დაფუძნდა „პარიტეტული კომიტეტი“, რომელიც 47 კაცს აერთიანებდა და მისი შემადგენლობა მოიცავდა ყველა არაპროლეტარული პარტიების წარმომადგენლებს, როგორც რესპუბლიკის, ისე საზღვარგარეთიდან [9, 730-731]. იგი უშუალოდ იყო დაკავშირებული პარიზში მყოფ ემიგრანტულ მთავრობასთან. აჯანყების მოსამზადებლად პარიტეტულმა კომიტეტმა გამოყო „სამხედრო კომისია“.

„პარიტეტულმა კომიტეტმა“ შექმნა და ინახავდა შეიარაღებულ რაზმებს: კახეთში – ქ. ჩოლოყაშვილის, ქართლში – ლაშქარაშვილის, ბორჯომის რაიონში – კასრაძის, სვანეთში – გარდაფხაძის, გურიაში – მათითაიშვილის და სხვათა ხელმძღვანელობით. მთელ სამხედრო მუშაობას აჯანყების მოსამზადებლად სათავეში ედგა „სამხედრო კომისია“, რომელიც ეყრდნობოდა თბილისში სამხედრო ქვეკომისიას, პერიფერიებში – საოლქო პარიტეტულ კომიტეტებთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციებს, ხოლო სადაც ასეთები არ არსებობდნენ – საგანგებო სამხედრო რწმუნებულებს [4, 79]. მანამდე აჯანყებისათვის ხალხის დარაზმვას და მომზადებას ასრულებდა „სამხედრო ცენტრი“, რომელიც 1922 წლის მარტში შეიქმნა გენერალ კოტე აფხაზის ხელმძღვანელობით. „ცენტრი“ შემდეგ შეცვალა „სამხედრო კომისიამ“.

1923 წლის თებერვალში დასმენის შედეგად დააპატიმრეს „სამხედრო ცენტრის“ მთელი შემადგენლობა. ამავე წლის 20 მაისს „ჩეკას“ დადგენილებით დახვრიტეს: კ. აფხაზი, მ. ზანდუკელი, ს. ბაგრატიონ-მუხრანელი, ა. ანდრონიკაშვილი, ვ. წულუკიძე, რ. მუსხელიშვილი, ფ. ყარალაშვილი, ს. ჭიაბრიშვილი, ა. მაჭავარიანი, ე. გულისაშვილი, ლ. კლიმიაშვილი, დ. ჩრდილელი, გ. ხიმშიაშვილი, ი. კერესელიძე, ივ. ქუთათელაძე. ოფიციოზის მიხედვით „მათ ბრალი ედებოდათ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულებაში“ [10]. ამ 15 რეპრესირებულიდან იყო: ოთხი გენერალი, ოთხი პოლკოვნიკი, სამი ოფიცერი და ოთხი სახელმწიფო მოხელე.

ეს დანაკლისი ქართველმა ხალხმა ღრმად განიცადა. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა გადაწყვიტა ქაშუეთის ეკლესიაში სამი წირვა გადაეხადა. ეს ხმა უცებ მთელ თბილისს მოედო და პირველ კვირას აუარებელი ხალხი მივიდა წირვაზე დასასწრებად.

„გამობრძანდა კათალიკოსი თუ არა სალოცავიდან, ხალხი მუხლმოდრეკილი ქვითინით შეხვდა თავის სულიერ მამას. კათალიკოსი აღელდა, თვალები ცრემლით აევსო, გადახედა ყველას და წარმოთქვა: „ვინა სთქვა, რომ ქართველმა ხალხმა რწმენა დაკარგაო?!" ამ სიტყვების თქმასთან გული ნაუვიდა..." [11, 17-18].

ჯერ კიდევ 1923 წლის 10 თებერვალს გურიაში სამი ჩეკისტი მოკლეს. საპასუხოდ ოგპუ-მ 92 გურული დახვრიტა და დაიმუქრა, რომ არეულობის გაგრძელების შემთხვევაში ყველა პატიმარს კედელთან მიაყენებდა. ორჯონიკიძემ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის გამო მილიონ-ნახევარ ქართველს გაჟუჟავდა [1, 503].

1923 წლის აგვისტოში თვითლიკვიდაცია გამოაცხადეს ანტიბოლშევიკურმა პარტიებმა. სინამდვილეში ეს პარტიები დაიშალა ძირითადად ძალის გამოყენებით და არა ნებაყოფლობით. ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათი დაშლის შემდეგ უმრავლესობა იატაკქვეშეთში გადავიდა და ისე იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის უკვე არალეგალური ცენტრალური კომიტეტი მუშაობას განაგრძობდა არალეგალური ბეჭდვითი ორგანოს „ჩვენი ერთობის" მეშვეობით [4, 80].

მიუხედავად არსებული ვითარებისა გადაწყდა, რომ აჯანყება 1924 წელს დაიწყებოდა. აჯანყების იდეა და გეგმაც ემიგრანტული მთავრობიდან მოდიოდა. მათ იმედი ჰქონდათ ევროპის სახელმწიფოთა დახმარებისა. ახლა განვიხილოთ, თუ რამდენად სწორად იყო შერჩეული დრო, და რამდენად ობიექტურად აცნობიერებდნენ პოლიტიკურ პროცესებს ორგანიზატორები.

ლენინის გარდაცვალებას (1924 წლის 21 იანვარი) მოყვა კრემლში ბრძოლა ძალაუფლებისათვის. როგორც თბილისში, ისე პარიზში ჩათვალეს, რომ აჯანყებისათვის შესაფერი დრო დადგა და საჭირო იყო სამხედრო მომზადების დაჩქარება. აჯანყების რომანტიკამ შეაპირობა დამპყრობი ძალის შეუფასებლობა. საბჭოთა რუსეთი, რომელმაც სამოქალაქო ომში გამარჯვებით სული მოითქვა, საქართველოს არავითარ შემთხვევაში არ დათმობდა. საქართველო უკვე ჩართული იყო ერთიანი რუსეთის სამეურნეო ცხოვრების სისტემაში, კრემლი მას თვლიდა სოციალისტური რევოლუციის ფორპოსტად აღმოსავლეთში. ამ ვითარებაში საქართველოს დამოუკიდებელი გამოსვლა, მისი ძალების სრული კონსოლიდაციის ვითარებაშიც კი განწირული იყო. იგი საბჭოთა რუსეთს იარაღით ვერ გაუმკლავდებოდა [5, 5].

გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ 1918 წლის მაისიდან ტროცკიმ შეძლო წითელი არმიის რაოდენობა 300 ათასიდან წლის ბოლომდე თითქმის მილიონამდე გაეზარდა [12, 21]. 1920 წლისთვის წითელი არმიის რიგებში 4, 5 მილიონი ჯარისკაცი ირიცხებოდა [13, 12]. 1921 წელს არმია შეამცირეს 5 მილიონ 300 ათასიდან 600 ათასამდე [14, 261]. „რევოლუციის დემონი", როგორც ტროცკის უწოდებდნენ წერდა, რომ „არ შეიძლება არმიის მშენებლობა რეპრესიების გარეშე. არ შეიძლება ადამიანთა მასები სიკვდილზე გაუშვა, თუ არსენალში არა გაქვს სიკვიდლით დასჯის ბრძანების გაცემის უფლება" [14, 141]. და ჰქონდა ყველაფრის უფლება ბოლშვიკურ ხელისუფლებას.

აჯანყების მოსაწყობად 1924 წელი კიდევ იმიტომ იყო არახელსყრელი, რომ ქვეყანაში ეკონომიკური ვითარება სწრაფად უმჯობესდებოდა. მართლაც, უკვე 20-იანი წლების პირველ ნახევარში დაიწყო ეკონომიკის გამოცოცხლება საბჭოთა კავშირსა და კერძოდ საქართველოში. ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებამ და საერთაშორისო კონფერენციებმა გარკვეულწილად განაპირობეს ეკონომიკური ბლოკადის ნაწილობრივ მოხსნა. ხელი მოეწერა 40-მდე საერთაშორისო ხელშეკრულებას, რამაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო კონცესიების შექმნას. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის არ იყო დამყარებული, 20-იან წლებში ამერიკელი მაგნატები – არმანდ ჰამერი, ფორდი, როკფელერი, ჰარიმანი და სხვ. აღმოჩნდნენ მსხვილი საკონცესიო ობიექტების სათავეში. მაგალითად, როკფელერის მიერ ბათუმის ტერიტორიაზე დაიწყო ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მშენებლობა, ხოლო ჰარიმანის საქმიანობა ჭიათურაში ყველასათვის ცნობილია [15, 262-263].

ხაზგასასმელია, რომ 1922-1923 წლებში სპეციალურმა კომისიამ საქართველოში დაარეგისტრირა 64 სავაჭრო და 15 საწარმოო უცხოური ფირმა [15, 264].

ასევე, საგარეო პოლიტიკური მდგომარეობაც უკეთესობისაკენ იცვლებოდა: გერმანიამ, იტალიამ, პოლონეთმა, ბალტიის ქვეყნებმა, თურქეთმა და სპარსეთმა დაამყარეს დიპლომატიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან. როგორც ჩანს ქართველ პოლიტიკოსებს აღარ ახსოვდათ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: საქართველოს ერთა ლიგაში მიღებაზე უარის თქმა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ბოლშვიკური რუსეთის თავდასხმის შემთხვევაში ორგანიზაცია ვერ დაეხმარებოდა

ჩვენს ქვეყანას მტერთან ბრძოლაში. მხოლოდ 1920 წლის 12 იანვარს მიიღეს ჩხეიძემ, წერეთელმა და პარიზში მყოფი ქართული დელეგაციის სხვა წევრებმა მოკავშირეთა უმაღლესი საბჭოსაგან საქართველოს მთავრობის დ ე ფ ა ქ ტ ო აღიარება, რასაც ისინი ერთი წლის განმავლობაში ესწრაფოდნენ. 19 იანვარს კი გადაწყვიტეს პარიზში მოკავშირეთა მთავრობების მეთაურებმა, რომ სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკების შეჭრის ასაცილებლად ჯარი არ გაიგზავნებოდა – მხოლოდ იარაღი, საბრძოლო მასალა და საკვები [16, 325].

ინგლისის რა იმედი უნდა გქონოდა, როცა 1920 წელს ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს ძირგამომთხრელ საქმიანობას აწარმოებდა ბათუმის ინგლისელი გუბერნატორი გენერალი კ უ კ- კ ო ლ ი ს ი. ინგლისელთა მხრიდან მტრული საქმიანობა იმაშიც გამოიხატა, რომ მათ აჭარიდან თავისი ჯარების გაყვანის წინ ააფეთქეს ბათუმის პორტი. მთლიანობაში, აჭარაში ყოფნის პერიოდში ინგლისელები ქმნიდნენ ისეთ ეკონომიკურ წინაპირობებს, რომლებიც უარყოფითად მოქმედებდა, ახალგაზრდა, დამოუკიდებელი ქვეყნის ეკონომიკაზე [17, 37].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გავიხსენოთ, როდესაც რუსეთის მოსალოდნელი აგრესიის წინ, 1921 წლის 19 იანვარს პარიზში ანტანტის უმაღლესი საბჭოს სპეციალური სხდომა ჩატრადა. მიღებულ გადაწყვეტილებებში, სადაც დაფიქსირდა დასავლეთის წამყვანი ქვეყნების, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის პოზიცია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მიმართ ჩაიწერა: „საქართველოს საკითხი ჩაითვალოს რუსეთის შიდა საქმედ". ყურადღება მივაქციოთ სხდომის წევრების შემადგენლობას: თავმჯდომარე, საფრანგეთის პრემიერი ჟორჟ კლემანსო; წევრები – ინგლისის პრემიერი ლოიდ ჯორჯი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ლორდი კერზონი, სამხედრო მინისტრი უინსტონ ჩერჩილი, გენერალი ჰენრი ვილსონი, ფრანგი მარშალი ფოში, ჟიულ კამბინი, გენერალი სერტელო, იტალიის პრემიერი ფრანჩესკო ნიტი, სკილოჯა და სხვები. ასევე ქართველებისა და აზერბაიჯანის დელეგეციები [17, 51]. ალბათ ყველაფერი ნათელია.

1921 წელს ევროპაში ჩასულ ემიგრანტულ მთავრობას დახმარებას აღუთქვამდნენ დასავლეთელი ლიდერები, რაც მხოლოდ სიტყვიერი დაპირება იყო. იმავე 1921 წელს ა რ ი ს ტ ი დ ბ რ ი ა ნ ი ჟორდანიას მიმართვადა: „თქვენი პროპაგანდით ბოლშვიკების წინააღმდეგ თქვენ სარგებლობა მოუტანეთ არა მარტო თქვენ საქმეს, არამედ ჩვენსასაც. დარდი ნუ გაქვთ, გქონდეთ იმედი ჩვენი დახმარებისა" [18, 6].

ვისგან ელოდნენ აჯანყების ორგანიზატორები დახმარებას? ნუთუ საფრანგეთში მყოფმა პოლიტიკურმა ემიგრანტებმა არ იცოდნენ, რომ არც პარიზი და არც ლონდონი თითს არ გაანძრევდნენ საქართველოს დასახმარებლად? ნუთუ მათ არ ახსოვდათ, რომ 1921 წლის თებერვალ-მარტში, როდესაც ისინი ჯერ კიდევ ბათუმში ისხდნენ, შავ ზღვაში მცურავ ფრანგულ სამხედრო გემებს ერთი ყუმბარაც არ გაუსვრიათ „წითელი არმიის" წინააღმდეგ, ხოლო ინგლისელებმა კავკასიიდან ფეხი საერთოდ ამოიკვეთეს? [19, 73-74].

1921 წლის 16 მარტს, დაიდო ინგლის-რუსეთის ხელშეკრულება, რაც ლონდონის მიერ საბჭოთა რუსეთის აღიარების ტოლფასი იყო. ხელშეკრულებაში შევიდა „წმინდა პოლიტიკური პუნქტი", სადაც ჩაიწერა, რომ რუსეთის მხრიდან ინდოეთისა და ავღანეთის საქმეებში ჩაურევლობის ვალდებულების სანაცვლოდ: „ბრიტანეთის მთავრობა იღებს ასეთსავე განსაკუთრებულ ვალდებულებას რუსეთის საბჭოთა მთავრობის წინაშე იმ ქვეყნებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ყოფილი რუსეთის იმპერიის ნაწილებს და ახლა დამოუკიდებლები გახდნენ".

ეს გარიგება საქართველოსაც ეხებოდა, რომელიც გეოპოლიტიკურ დაფაზე პაიკივით გაიცვალა! პატარა სახელმწიფოებისათვის სამწუხაროდ, ასეთი გეოპოლიტიკური გაცვლები ზესახელმწიფოებს შორის იმ დროს (და შემდგომშიც!) ჩვეულებრივი ამბავი იყო.

დიდი ბრიტანეთი საბჭოთა რუსეთს ცნობდა რუსეთის იმპერიის სამართალმამკვიდრედ და გულგრილად შეჰყურებდა მის ხელახალ ექსპანსიას თვითშემოხაზულ გავლენის სფეროში. ლონდონისათვის მთავარი იყო, რომ მოსკოვს არ დაერღვია საზღვარი ავღანეთთან, რომელიც წარმოადგენდა ბუფერულ სახელმწიფოს ბრიტანეთის ინდოეთსა და რუსეთს/საბჭოთა კავშირს შორის.

რაც შეეხება იმ დროისათვის უმდიდრეს და უძლიერეს სახელმწიფოს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მისმა, რესპუბლიკური პარტიის კონტროლქვეშ მყოფმა სენატმა საერთოდ არ ისურვა „ძველი სამყაროს" საქმეებში ჩარევა და არ მისცა იმდროინდელ, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელ პრეზიდენტ ვუდრო ვილსონს სომხეთის დახმარების უფლება, რაც ამ უკანასკნელს ძალიან ეწადა. საქართველოთი კი პრეზიდენტი საერთოდ არ დაინტერესებულა.

ლონდონსა და ვაშინგტონს ვერ დავადანაშაულებთ საქართველოს

მიმართ „ღალატსა“ და „სიტყვის გატეხაში“: მათ სიტყვა არც მოუციათ! საგარეო პოლიტიკა საკუთარ ქვეყანას ემსახურება და, თუ წინასწარ არ გაფორმდა, ქვეყანას არავითარი ვალდებულება არა აქვს სხვა ქვეყნის წინაშე: არ მჭირდები! [19, 68-69].

გამოდის, რომ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის დიპლომატია რეალურად ვერ აფასებდა პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდგომ შექმნილ საერთაშორისო ვითარებას: 1) არავითარი საფუძველი არ არსებობდა იმისათვის, რომ ინგლისს თავისი მრავალწლიანი ანტიქართული პოლიტიკა გადაესინჯა და საბჭოთა რუსეთთან დაახლოების პოლიტიკა შეეცვალა; 2) პირველ მსოფლიო ომში დამარცხებული გერმანია არ შეიძლებოდა განხილულიყო როგორც საიმედო მოკავშირე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. გერმანიისათვის ინგლისთან და ერთდროულად რუსეთთან დაპირისპირება დამღუპველი იქნებოდა; 3) ილუზია იყო საბჭოთა რუსეთზე გარკვეული „პოლიტიკური წრეებით“ (ე. ი. ქვეყნის შიგნით არსებული ანტისაბჭოური ძალებითა და ანტისაბჭოთა ემიგრაციით) გავლენის მოხდენა. კიდევ უფრო დიდი ილუზია იყო რუსეთში პოლიტიკური რეჟიმის შცვლის (ე. ი. საბჭოთა წყობილების დამხობის მოლოდონი).

ამრიგად, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის დიპლომატიური კურსი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღგენისათვის ბრძოლაში არ იყო რეალური. 20-იანი წლების პირველ ნახევარში არსებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში რეალური მოკავშირის პოვნა არ შეეძლო.

აღნიშნული პერიოდისათვის გარკვეული იყო, რომ დასავლეთ ევროპის არც ერთი სახელმწიფო, პირველ ყოვლისა, ინგლისი და საფრანგეთი, რუსეთის მიერ დაპყრობილი საქართველოს განთავისუფლებისათვის ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას დახმარებას არ აღმოუჩენდა. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური წრეების თანადგომა აღშფოთება-თანაგრძნობას არ სცილდებოდა [20, 629].

სწორედ ამიტომ, საქართველოში საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები ემიგრანტული მთავრობისაგან მეტ მტკიცებულებას მოითხოვდნენ დასავლეთის დახმარების შესახებ. საილუსტრაციოდ დავიმოწმოთ საქართველოში არალეგალურად მოქმედი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წერილი ემიგრირებული მთავრობისადმი, რომელშიც აღნიშნულია: „ჩვენ გადაჭრით იმ გზას ვადგავართ, რომ სანამ მტკიცე გარანტიები არ გვექ-

ნება, მანამ ჩვენ ხალხს ვერ მოვუწოდებთ აქტიურ გამოსვლებისაკენ. ეს იქნება ჩვენი ქვეყნის დაქცევა და პარტიის გაჟლეტა. ... ჩვენ დაიმედება არ გვესაჭიროება, გვინდა ვიცოდეთ საქმის ნამდვილი ვითარება. ... თქვენ გინდათ აქტივობა გამოვიჩინოთ. ... მარტო ჩვენი ძალების ამარა ჩვენ „წაბიძგება“ „ავანტიურის“ დაწყებათ მიგვაჩნია“ [21, 163].

1924 წლის 1 თებერვალს საბჭოთა კავშირის მთავრობამ მიიღო ინგლისის მთავრობის ოფიციალური ნოტა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ინგლისი დე იურე ცნობდა საბჭოთა კავშირს „ყოფილი რუსეთის იმპერიის იმ ტერიტორიებზე, რომელნიც ცნობენ მის ხელისუფლებას“. ინგლისის ხელისუფლების ნოტიდან გამომდინარეობდა შემდეგი: თუ საქართველო არ ცნობდა საბჭოთა რეჟიმს, მაშინ ინგლისი საქართველოში მოსკოვის საოკუპაციო რეჟმის არსებობას ანუ საქართველოს ყოფნას საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დე იურე არ ცნობდა. ამდენად, საქართველოს უნდა დაედასტურებინა, რომ არ ცნობდა კრემლის დიქტატს. ინგლისის ხელისუფლების ნოტის ამ ნაწილმა იმედები აღუძრა საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას და პარალელურად გამოიწვია ეროვნული მოძრაობის დიდი აღმავლობა საქართველოში. მოგვიანებით საფრანგეთმა საბჭოთა კავშირი ცნო დე იურე იმავე პირობით, რა ფორმითაც ინგლისმა.

ობიექტურად თუ შევაფასებთ აღნიშნულ ფაქტებს უნდა ითქვას, რომ ინგლისისა და საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის დე იურე ცნობის თავისებური ფორმულირება პრაქტიკულად არაფრის მომტანი იყო არც ქართველი და არც საბჭოთა რუსეთის მიერ დაპყრობილი სხვა ერებისათვის [20, 633-634]. მაგრამ ორგანიზატორები ასე არ ფიქრობდნენ. მაგალითად, ბალტიის ქვეყნებს 1939-1991 წლებში დასავლეთი არ ცნობდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, მაგრამ ამით რა იცვლებოდა?

ცხადია, იმის დასადასტურებლად, რომ საქართველო არ ცნობდა საბჭოთა კავშირის მთავრობას, ყველაზე უკეთესი არგუმენტი მოსკოვის საოკუპაციო რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყების დაწყება იყო. მათი აზრით, ეს საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას საშუალებას მისცემდა გაეძლიერებინა დიპლომატიური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით [20, 632-633].

1924 წელს საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციები მთლიანობაში მოითვლიდნენ 15 ათასამდე კომუნისტს, მაშინ როცა რეს-

პუბლიკაში 125 ათასი, მხოლოდ თავადი და აზნაური იყო აღრიცხული, 10 ათასზე მეტი კი კადრის ძველი ოფიცერი; ასევე, ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ინტელიგენციის დიდი რაოდენობა. სოფლის მოსახლეობა განიცდიდა მძლავრ ნოსტალგიას დამოუკიდებლობის პერიოდისადმი. ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ, ეროვნული ძალები ობიექტურ ინფორმაციას აწვდიდნენ ემიგრანტულ მთავრობას „აჭარის მეშვეობით". ბოლშევიკურ მმართველობაში შემორჩნილი იყო სოციალ-დემოკრატთა მცირე რაოდენობა [22, 32].

ამავე დროს საქართველოში ვრცელდებოდა ყალბი ინფორმაცია, რომ ბათუმსა და ფოთში გადმოსხეს ინგლის-საფრანგეთის დესანტი, რომ ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიას საყოველთაო აჯანყების ალი მოედო. გაიჟღერა ასევე ცნობამ, რომ მოსკოვში მოკლეს ტროცკი და რიკოვი, ხოლო თბილისში ჩამოვიდა ჟორდანია. [3].

უარყოფითი დამოკიდებულება საქართველოში აჯანყების მოწყობის თაობაზე გამოხატეს კარლო ჩხეიძემ, ირაკლი წრეთელმა, სპირიდონ კედიამ და სამსონ ფირცხალავამ [17, 66].

ემიგრანტული მთავრობის მეთაურის ნ. ჟორდანიას მითითებით, აჯანყებულებს კავკასიის მთავარი უღელტეხილის ხელში ჩაგდებით საქართველო უნდა მოეწყვიტათ რუსეთისაგან, ამავე დროს მჭიდრო კავშირი დაემყარებინათ სათანადო ძალებთან ჩრდილოეთ კავკასიასა და აზერბაიჯანში. ეს მისია დაკისრებული ჰქონდა ხომერიკს, რომელმაც სათანადო რწმუნებები მიიღო საზღვარგარეთ მყოფი მუსავატელებისაგან, მაგრამ მისი აღსრულება არ დასცალდა მოულოდნელი დაპატიმრების გამო [4, 80].

აჯანყებისათვის მზადების პროცესში მისი ხელმძღვანელი ორგანოების ადგილსამყოფელს მიაგნო ხელისუფლებამ. 1924 წლის თებერვალში საქართველოს საგანგებო ორგანოების მიერ დაპატიმრებულთა საქმეზე ძიების შედეგად დადგინდა, რომ მზადდებოდა აჯანყება. საქართველოს საგანგებო კომისიის სამაზრო ორგანოების უფროსებს და „მაზრკომის" მდივნებს 14 მარტს გაეგზავნათ დაშიფრული დეპეშა ბერიას ხელმოწერით იმის შესახებ, რომ 26 მაისს მზადდებოდა აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და აუცილებელი იყო ადგილობრივი საბჭოთა ძალების მობილიზება და წინასწარი მუშაობა ანტისაბჭოურ ძალთა ლიკვიდაციისათვის [9, 221].

26-მა მაისმა მშვიდად ჩაიარა. ამის შემდეგ მამობილიზებელი განწყობილება ერთგვარად შენელდა, მაგრამ საგანგებო კომისია აჯანყე-

ბის ხელმძღვანელ ძალებს ზედიზედ აპატიმრებდა. სწორედ ამის გამო წერდა ცინიკურად მ. კახიანი: „მეტად ძნელია აჯანყების მოწყობა, როდესაც ჩეკას სარდაფებში ზიხარ“.პარალელურად კომუნისტური მთავრობა მთელ რიგ პრევენციულ ღონისძიებებს ახორციელებდა, რათა გამოსვლების შემთხვევაში უკეთ მომზადებული ყოფილიყვნენ. ამას ისახავდა მიზნად წითელი არმიის „წმენდა“. როგორც ჩანს, არმიის ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი გულგრილი არ იყო მოსალოდნელი აჯანყებისადმი. ამიტომ ს. ორჯონიკიძის ინიციატივით ქართული წითელი არმიის 300-მდე მეთაური დაითხოვეს ან გაანთავისუფლეს (თანამდებობიდან). მათი ადგილი დაიკავეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილმა კადრებმა [4, 82]. ასე რომ აღნიშნულ პერიოდში იყვნენ ადამიანები, და არცთუ ისე ცოტა, რომელთაც სჯეროდათ ბოლშევიკური იდეოლოგიისა და მათ მიერ ჩამოყალიბებულ სისტემას თანაუგრძნობდნენ [17, 13].

1924 წლის აპრილის შუა რიცხვებში საზღვარგარეთიდან საქართველოში არალეგალურად ჩამოვიდა სახალხო გვარდიის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე ვალიკო ჯუღელი (მას სამხედრო განათლება საფრანგეთის სენ-სირის ეროვნულ სამხედრო სასწავლებელში ჰქონდა მიღებული). თბილისში ჯუღელის ჩამოსვლა იცოდა ამხანაგების ვიწრო ჯგუფმა, რომელთაგან ერთ-ერთმა გასცა. 6 აგვისტოს ჯუღლი დააპატიმრეს. ამიერკავკასიის საგანგებო კომისიის საკანში (№19) ღამით 7 აგვისტოს ჯუღელმა თავის მოკვლა განიზრახა. ექვს ადგილას გადაიჭრა ძარღვები მარცხენა ხელზე, ამავე დროს ჭრილობები ჟანგით ამოავსო, მაგრამ გადაარჩინეს [4, 81].

ასევე დააპატიმრეს გიორგი წინამძღვრიშვილი, ნოე ხომერიკი, გოგიტა ფაღავა, გიორგი ჯინორია, ბენია ჩხიკვიშვილი... ზოგადად უნდა ითქვას, რომ ემიგრაციიდან ჩამოსული თითქმის ყველა სოციალ-დემოკრატი საქართველოში გამოჩენიდან ერთი-ორი კვირის შემდეგ ჩეკა-ს ხელში ხვდებოდა [7, 39], რაც ნიშნავს, რომ ემიგრანტთა რიგებში საკმაოდ იყვნენ ჩანერგილი საბჭოთა აგენტები. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა 1930 წლის 11 აგვისტოს საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშვიკების) ცენტრალურ კომიტეტში გამართულ ქართველი მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხებისადმი მიძღვნილ თათბირზე, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს უფროსის ლავ-

რენტი ბერიას გამოსვლა, სადაც აღნიშნა, რომ 1924 წლის აჯანყების დროს „დიდი სამსახური გაგვინია უთანხმოებამ, რომელიც... ორ ანტი-საბჭოურ პარტიას შორის არსებობდა“. მხედველობაში იყო ეროვნულ-დემოკრატიული და სოციალ-დემოკრატიული პარტიები. „მათი მეშვეობით შევძელით ჩვენ – მიუთითებდა მომხსენებელი – ჯუღელის დაჭერა და სწორედ მათ მოგვაწოდეს ჩვენ ფოსტით შეთქმულების გეგმა, რისი დახმარებითაც ჯუღელს ყველაფერი ვაღიარებინეთ“ [17, 181]. ეს ყველაფერი თუ სიმართლეს შეეფერება, ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა ყოფილიყო?!

24 აგვისტოს ამხანაგებისადმი გაგზავნილ ღია წერილში ვ. ჯუღლი თანამოაზრეებს მოუწოდებდა ხელი აეღოთ შეიარაღებულ გამოსვლაზე, რომელიც არსებულ ვითარებაში უგუნურება იქნებოდა. ამ წერილმა, რომელიც გაზეთებში გამოქვეყნდა, დიდი არევ-დარევა და შეშფოთება შეიტანა შეთქმულთა რიგებში [4, 81]. „თვითმკვლელობის წარუმატებელი მცდელობის შემდეგ ჯუღელი ო გ პ უ-ს აგენტებმა თითქოს ცოცხლად დაწვეს [1, 505].

ხელისუფლებამ თბილისის გამაგრება, გზების შეკვრა, ღამის საათებში პატრულირება და საეჭვო სამხედროების დაპატიმრება დაიწყო. ბათუმში დააპატიმრეს გენერალი ფურცელაძე, რომელსაც აჯანყებაში აჭარის ჩართვა ევალებოდა. გურიაში გენერალი ყარალაშვილი აიყვანეს... დამკომის თავმჯდომარე იასონ ჯავახიშვილი გადაჭრით ითხოვდა აჯანყებას, რომელიც, მისი აზრით, დაწყებული იყო და ახლა შეჩერება მეტ მსხვერპლს გამოიწვევდა. მან მოითხოვა მთავარსარდლის სპირიდონ ჭავჭავაძის გადაყენება და მის ადგილზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის დანიშვნა, რაზედაც თანხმობა ვერ მიიღო [23, 146].

აჯანყების ორგანოების ჩავარდნისა და ხელისუფლების მხრივ ენერგიული ღონისძიებების შემდეგ აჯანყება განწირული ჩანდა. მიუხედავად ამისა „პარიტეტული კომიტეტის“ 1924 წლის 22 აგვისტოს შეკრებაზე გადაწყდა აჯანყების დღედ დაენიშნათ 28 აგვისტო. საგანგებო ორგანოებს არც ეს გამოპარვიათ მხედველობიდან. 27 აგვისტოს დაშიფრული დეპეშით ყველა მაზრის ხელმძღვანელი ორგანო ინფორმირებული იყო მოსალოდნელი აჯანყების შესახებ და წინასწარ ემზადებოდა მისი ჩახშობისათვის.

გამოსვლები დაიწყო 28 აგვისტოს დილის 4 საათზე ჭიათურაში. მაღაროელთა ქალაქი ერთი ტყვიამფრქვევით (რომელიც დროდადრო

იჭედებოდა) და 112 ამბოხებულით თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაება. მათ დაიკავეს რკინიგზის სადგური და ხიდები... [1, 505]. ჭიათურელებმა შექმნეს „საქართველოს დროებითი მთავრობა“.

ოზურგეთში აჯანყებულებმა ვერ მოასწრეს ქალაქის დაკავება, რადგან მას იცავდნენ ბათუმიდან გაგზავნილი შეიარაღებული ძალები. ნატანებში იდგა ჯავშნიანი მატარებელი და 400 კაციანი რაზმი აჯანყებულთა წინააღმდეგ სამოქმედოდ. მიუხედავად ამისა, გურიის სოფლებში აჯანყებას მასობრივი ხასიათი ჰქონდა. გამოსვლებს მეთაურობდნენ ს. მათითაიშვილი, გ. მუხაშავრია, ღლონტი, კვაშალი და სხვები.

სვანეთში გამოსვლების ცენტრს წარმოადგენდა იფარის, კალას, უშგულის, პარისა და ცხმარის სოფლები. კომუნისტურ რაზმებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ სვანეთში შეღწევა. პარტიის სამაზრო კომიტეტის მდივანი ნავერიანი ურჩევდა ს. ორჯონიკიძეს აჯანყებულთა რაზმების განიარაღებისათვის საპატიმროებში მძევლებად აეყვანათ ის 500-მდე სვანი, რომლებიც სამუშაოდ იყვნენ გადასული ჩრდილოეთ კავკასიაში. მიუხედავად იმისა, რომ მათ აჯანყებაში მონაწილეობა არ ჰქონდათ მიღებული [24, 10].

ზუგდიდის მაზრაში გამოსვლებს ადგილი ჰქონდა თითქმის ყველა რაიონში. მონაწილეთა რიცხვმა მაზრის მასშტაბით 2769 მიაღწია. აჯანყებულები სუსტად იყვნენ შეიარაღებული. ზოგიერთებს 3-5 ტყვიაზე მეტი არ ჰქონდათ. მრავალი მათგანი საერთოდ უიარაღო იყო. შეტაკების შედეგად კომუნარებისა და მილიციის მხრიდან დაიღუპა 13 და დაიჭრა 15 კაცი. აჯანყებულთაგან 100 კაცამდე იყო მოკლული და დაჭრილთა სახით [25, 77].

შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთი ინტენსიურ ინფორმაციას იღებდა აგვისტოს მოვლენების შესახებ. „აჯანყების დროს სტამბოლიდან თითქმის ყოველდღე იგზავნებოდა ამბები პარიზში, თუ ევროპის სხვა კუთხეებში. განსაკუთრებით ყურადღება ექცეოდა ჟენევას, სადაც იმ დროს ერთა ლიგის კრებები იყო და საქართველოში მომხადრი აჯანყების შესახებ სწორი ცნობების მიწოდებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა [26, 42].

ბუნებრივია კრემლი თავისებური ინტერპრეტაციით ასევე ამცნობდა გარე სამყაროს საქართველოში მომხადრი გამოსვლების შესახებ. 1924 წლის 31 აგვისტოს მოსკოვის ტელეგრაფის სააგენტომ მიაწოდა ცნობები ევროპის პრესას, რომ „საქართველოში აჯანყება მო-

ახდინა კონტრ-რევოლუციური მიზნით, მცირერიცხოვანმა ბანდამ, რომელიც შედგებოდა მხოლოდ ძველი ოფიცრების, თავადებისა და მსხვილი ვაჭრებისგან. ყველა მეთაური დაიჭირეს და ეს აჯანყება მცხოვრებთა მიერ საჩქაროდ იქნა ჩაქრობილი" [26, 41-42].

აჯანყებულები დიდ იმედებს ამყარებდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილზე, რომელიც იმ დროისათვის დუშეთის მაზრაში მოქმედებდა. „პარიტეტულ კომიტეტს" იგი დაპირებას აძლევდა, რომ აჯანყების დაწყებამდე გამოიყვანდა 600 კაციან რაზმს, მაგრამ დანაპირები ვერ შეასრულა.

იმ მაზრებში, სადაც აჯანყებულებმა მოკლე დროით ხელში აიღეს ძალაუფლება, გამოაცხადეს: „ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას, ქრისტიანულ სარწმუნოებას და კერძო საკუთრებასო".

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ აჯანყებულებს ადგილობრივი ხელისუფლების წევრები არსად სიკვდილით არ დაუსჯიათ და ისინი უვნებლად გამოვიდნენ სატუსაღოებიდან და თავლებიდან. ამასთან დაკავშირებით კომპარტიის მდივანი მ. კახიანი ცინიკურად აცხადებდა: „უხერხემლო მენშევიკებმა დატუსაღებული ერთი ჩვენი ამხანაგის დასჯაც ვერ გაბედეს, მაშინ, როდესაც მათი ამხანაგები ათასობით დავხვრიტეთო" [27, 381].

ი. ბ. სტალინი აგვისტოს აჯანყებას ხელოვნურს, არახალხურს უწოდებდა [28, 251]. თუმცა, იქვე იძულებული იყო აღენიშნა, რომ საქართველოში „ვერ შენიშნეს ჩვენმა ადამიანებმა, რომ გლეხები რაღაცისათვის ემზადებოდნენ, რომ მათში უკმაყოფილება იყო, რომ ეს უკმაყოფილება დღითი-დღე გროვდებოდა, ხოლო პარტიამ ამის შესახებ არაფერი იცოდა" [28, 252].

მარცხს არ დაუხანებია: რამდენიმე დღეში საბჭოთა ძალებმა მძვინვარე იერიში წამოიწყეს და დაუნდობლად ჩააქრეს აჯანყების კერები.

პოსტსაბჭოთა პერიოდის ზოგიერთ ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართველი კომუნისტები დაინტერესებული იყვნენ ანტისაბჭოთა აჯანყებით, რადგან „სჭირდებოდათ ქვეყანაში გარკვეული შიშის სინდრომის დამკვიდრება, რომ მრავალი ათეული წლის მანძილზე, როგორც ისინი ფიქრობდნენ, გაეტეხათ „კლასობრივი მტრის" წინააღმდეგობა და შეუქცევადი გაეხადათ საბჭოთა სისტემის ბატონობა... საბჭოთა ხელისუფლებას სჭირდებოდა საბაბი მასობრივი ტერორის განსახორციელებლად და პოლიტიკური სივრცის გასანეიტრალებლად" [8, 54].

შეიძლება მართლაც იყვნენ ასეთი სურვილის მქონე ქართველი კომუნისტების ნაწილი, მაგრამ როდის იყო, რომ ბოლშევიკები საბაბს ეძებდნენ სისხლიანი კალოს მოსაწყობად. ბოლშევიკთა მაშინდელ განწყობას კარგად ასახავს საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი ლიდერის ნიკოლოზ ბუხარინის სიტყვები: „ჩვენ ვახორციელებთ უმწეო ადამიანების მასობრივ მოსპობას თავიანთ ცოლებთან და შვილებთან ერთად... მაგრამ დინება იმ მიმართულებით მიემართება, რომლითაც უნდა მიემართებოდეს..." [29, 144]. იგივე ავტორი ჯერ კიდევ 1920 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა" აღნიშნავდა: „დახვრეტები წარმოადგენს კომუნისტური საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთ ფორმას" [4, 85]. სწორედ ამ იდეოლოგიის მქონე, გადაგვარებული ფსიქიკის ადამინების მაგალითს წარმოადგენდა სენაკის მაზრის კომუნისტური რაზმის მეთაური დავითაია, რომელიც მოხსენებაში აღნიშნავდა: „თვითეულ კომუნისტს გვწყუროდა ღვინოსავით გვესვა აჯანყებულთა სისხლი" [5, 5].

შეიძლება ხაზგასმით აღინიშნოს, რომ რეპრესიები დაიწყო წინასწარ 27 აგვისტოს. აჯანყების წინა დღეს მეტეხის ციხიდან გაიყვანეს და ყოველგვარი ძიებისა და სასამართლოს განაჩენის გარეშე ერთდროულად დახვრიტეს 182 კაცი, რომელთაგან უმრავლესობა ეჭვის ნიადაგზე იყო დაპატიმრებული. მათ შორის იყვნენ სრულიად უდანაშაულო მუშები და გლეხები, რომელთაც არავითარი მონაწილეობა აჯანყების მომზადებაში არ მიუღიათ.

მოსკოვში გაგზავნილი სოციალ-დემოკრატი მძევლები როსტოვის მახლობლად დახვრიტეს. იმერელი ამბოხებულები გაძეძგილ ვაგონებში შეყარეს და ზესტაფონის მახლობლად, საძმო სასაფალოსკენ წაიყვანეს: იქ ზოგი მაუზერით დახოცეს, ზოგიც – ტყვიამფრქვევით და გვამებს კირი დააყარეს. სოფელ რუისში მთელი ოჯახები დახვრიტეს (პატარა ბავშვების ჩათვლით), სენაკში კი 500 აჯანყებული მეგრელი [1, 506]. ზუგდიდის მაზრის ჭაქვინჯის თემის მცხოვრებმა ევგენი შენგელიამ, როდესაც გაიგო აჯანყების დამარცხების ამბავი, თვითმკვლელობით დაამთავრა სოცოცხლე. ასევე, სოფელ ხორგის მკვიდრმა დურუ ლეფონავამ ნაგანით მოიკლა თავი [4, 84].

მართალია თელავისა და სიღნაღის ტერიტორიებზე გამოსვლები ნაკლები ინტენსივობით გამოირჩეოდა, მაგრამ სამაზრო ციხეები სავსე იყო პატიმრებით. სისტემატიურად გაჰყავდათ დასახვრეტად თავადები, აზნაურები, მღვდლები, მსხვილი ვაჭრები. ანიოკებდნენ მათ

ოჯახებს... ბაკურციხეში დაჭრილები ქვებით ჩაქოლეს. დაარბიეს გიორგი ვაჩნაძისა და დათა პეტრიაშვილის კარმიდამო. ადამიანის ყვირილს ერთვოდა საქონლის და ცხენების საზარელი ბღავილი. დახოცილები წნელებით შეკრეს და გომარეთში ეკლესიასთან ჩაფლეს მიწაში. ამ ტრაგედიის ერთ-ერთი მონაწილე, შემდეგში მეცნიერ-მუშაკი საზოგადოებათმცოდნეობაში არც მალავდა და დამსახურებულადაც მიიწერდა, რომ ამ დღეს მან ნაჯახით გაუპო თავი ვაჩნაძიანთ ბავშვს აკვანში.

სიმკაცრე ითვლებოდა ხელისუფლების ერთგულების სინონიმად. ამიტომ ყველა ოპერატიული მუშაკი მეტის მეტად აქტიურობდა და მოგონილი საბაბით (გაქცევის მცდელობა და სხვ.) ჯგუფ-ჯგუფად ხვრეტდა პატიმრებს [24, 11].

ტყავის ქურთუკსა და რუსულ ჩექმაში გამოწყობილი ჩეკისტები ასაკის მიუხედავად ხვრეტდნენ ყველას, ვისთვისაც „საქართველო უპირველეს ყოვლისა" გახლდათ. მათი უმთავრესი სამიზნე სასულიერო პირები, ინტელიგენცია და თავადაზნაურობა იყო, განსაკუთრებით კი უკანასკნელთ ემტერებოდნენ. ამ რეპრესიებს სერგო ორჯონიკიძე უბრალოდ „თავადაზნაურობის გამოშიგვნას უწოდებდა" [2, 340]. ბარბაროსული აქტის მიზანი პირველ რიგში თავად-აზნაურთა რაოდენობის შემცირება და საკავშირო მაჩვენებელთან მისი გათანაბრება იყო. კავშირის მასშტაბით მათი რაოდენობა მთელი მოსახლეობის 3 პროცენტს შეადგენდა, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი, თითქმის 5 ან 7 პროცენტს აღწევდა [29, 113-114].

აღმოსავლეთ საქართველოში განადგურებულ იქნა თითქმის მთელი თავად-აზნაურობა, მეტისმეტად დაღლილი და ინერტული, რათა რაიმე პოლიტიკურ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობა მიეღო. დაიღუპა, აგრეთვე, ქართველი ოფიცრების დიდი უმრავლესობა, რომელიც ნაწილობრივ აჯანყებაში იყო ჩაბმული, ან მას აშკარად თანაუგრძნობდა, ხოლო ნაწილობრივ ყოველგვარი პოლიტიკის გარეშე იდგა [4, 84].

გურიას ელოდა უფრო მძიმე მსხვერპლი, ვიდრე გაიღო 1923 წელს, რადგან ასეულობით პატიმარი, – აჯანყების მონაწილენი, ყოფილ ეკლესიებში გამომწყვდეულნი, განწირულნი იყვნენ დასახვრეტად. ამ დროს ჩავიდა იქ, ფილიპე მახარაძე, რომელმაც განკარგულება გასცა ასე განუკითხავად დაპატიმრებულნი გაეთავისუფლებინათ [24, 11].

საქართველოში გატარებული რეპრესიები იმდენად ფართო მასშტაბის აღმოჩნდა, რომ კრემლიც კი შეფიქრიანდა. ამასთან დაკავშირებით სერგო ორჯონიკიძის სახელზე მოვიდა საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის, ა. რ ი კ ო ვ ი ს დეპეშა დახვრეტების დაუყოვნებლივ შეწყვეტის შესახებ. ორჯონიკიძემ თანამებრძოლთა „ვინრო" თათბირი მოიწვია და განუცხადა: „ჯერჯერობით ამ დეპეშას ყურადღება არ მივაქციოთ და ენერგიული ზომები გავატაროთ, რათა საქართველო რაც შეიძლება მაქსიმალურად გავწმინდოთ კონტრრევოლუციური უწმინდურობისაგან". ასე რომ, მაშინ, როდესაც სოფელ არგვეთასთან ვაგონებში გამომწყვდეულები დახვრიტეს, რიკოვის დეპეშა უკვე დიდი ხნის მიღებული იყო [30, 359].

აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ბოლშევიკური პროპაგანდით გაბრუებული ღარიბი გლეხების ნაწილი თვითნებურად ანადგურებდა ყოფილ თავად-აზნაურთა სახლ-კარს. ყოველგვარი გასამართლების გარეშე ხოცავდა ყოფილ მოხელეებსა და თავად-აზნაურებს.დანარჩენებს კი გლეხთა სათემო კრებების დადგენილებით ერეკებოდნენ სოფლებიდან და ახდენდნენ მათი ქონების – მიწის, საქონლისა და სახლ-კარის კონფისკაციას. მხოლოდ გორის მაზრიდან განდევნეს თავად-აზნაურთა 131 ოჯახი, ასეთივე მდგომარეობა იყო სიღნაღის მაზრაში, თელავში და სხვაგან [4, 84-85].

რეპრესიები თავს დაატყდა თბილისს, რომელიც ანტისაბჭოურად განწყობილი პარტიების ცენტრს წარმოადგენდა. მთავარ სამიზნედ, პირველ რიგში, უნივერსიტეტი და შემოქმედებითი ორგანიზაციები შეარჩიეს. იმ ხანებში დააპატიმრეს და დახვრიტეს ვაჟა ფშაველას შვილი, რომელიც არ ეწეოდა არავითარ ანტისაბჭოურ საქმიანობას. როცა ორჯონიკიძეს მოახსენეს, რომ ვაჟას შვილის სოცოცხლე საფრთხეშია და იქნებ ვიხსნათო, მან არაორაზროვნად მიუგო: ჩვენ დავხვრეტდით ვაჟა ფშაველასაც, იგი რომ ცოცხალი ყოფილიყო და ჩვენს წინააღმდეგ ემოქმედაო.

1924 წლის სექტემბერში დააპატიმრეს და ადგილზე დახვრიტეს კორნელი კეკელიძის ვაჟი. მამა იძულებული გახადეს გაეკეთებინა საჯარო განცხადება, რომ მისი შვილის დახვრეტა სავსებით სამართლიანი იყო [24, 11].

აჯანყებისა და ანგარიშსწორების მოწმე, გერმანელი პროფესორი ე რ ი ხ ო ბ ს ტ ი წერდა: „თბილისში რომ ჩავედით, მთელი ქალაქი

გლოვობდა. განსაკუთრებით თბილისის ქართული ნაწილი. უამრავ ქალს ძაძები ეცვა და სახეზე ღრმა წუხილი აღბეჭდვოდა. სამგლოვიარო სამკლავურები მამაკაცებსაც ეკეთათ, მაგრამ ისინი ცდილობდნენ, უფრო ფრთხილად ყოფილიყვნენ, ეჭვი მათზეც რომ არ მიეტანათ. თითქმის არ იყო დარჩენილი ოჯახი, რომელსაც ახლობელი არ დაეკარგა ან ეს გლოვა არ შეხებოდა. აჯანყება წარმოუდგენელი სისასტიკით ჩაახშვეს... შურისმაძიებელ ჯარისკაცებს ათასობით ადამიანი შეეწირა; მათ სასამართლოს გარეშე ხვრეტდნენ, მაშინაც კი, როდესაც სრულიად აშკარა გახლდათ, რომ ეს თუ ის პიროვნება აჯანყებაში საერთოდ არ მონაწილეობდა. დიახ, იყო უკიდეგანო სისასტიკე, უკანონობა, ადამიანური ღირსების შელახვა, ტერორი. ხალხს ასახლებდნენ, ხვრეტდნენ და ცოცხლად მარხავდნენ“ [1, 506].

დიდი უკმაყოფილება იყო მორწმუნეთა შორის. „იმნაირი სისასტიკე, როგორც ჩვენში გამოიჩინა კომუნისტურმა ხელისუფლებამ, არ ყოფილა არც სხვა ფედერაციის რესპუბლიკებში. რუსეთიდან ჩამოსულები განცვიფრებაში მოდიან, როდესაც გაიგებენ ეკლესიის მდგომარეობას საქართველოში“ – აღნიშნავდა უწმინდესი და უნეტარესი ამბროსი ხელაია.

მართლაც, დახურულ და დანგრეულ იქნა 1400-ზე მეტი ეკლესია, რომელთა ნაწილი კლუბებად და ქოხ-სამკითხველოებად გადააკეთეს. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ორჯონიკიძე იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „ამ საკითხში ჩვენ გადავაჭარბეთ... ლაპარაკი იმის შესახებ, რომ გლეხს არ უნდა ეკლესია, რომ ის ნებაყოფლობით დათანხმდა მის დახურვაზე, – ეს თავის მოტყუებაა“. ორჯონიკიძე იქვე რჩევას იძლეოდა: „საშუალება მივცეთ თითოეულ გლეხს ისარგებლოს ეკლესიით, მიუხედავად იმისა, რამდენი ისეთი გლეხია: ათი თუ ასი. ერთი სიტყვით, ჩავაბაროთ მათ ეკლესიის გასაღები და, როგორც უნდა ისე ილოცონ“. თუმცა ეს რჩევა დემაგოგიურ მონოდებად დარჩა და არ განხორციელებულა [4, 86-87].

საქართველოს ემიგრანტულმა მთავრობამ საქართველოში დაწყებული აჯანყებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ გატარებული რეპრესიების შესახებ საქმის კურსში ჩააყენა ევროპის ქვეყნების მთავრობები, პოლიტიკური და დიპლომატიური წრეები. დიდ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ემიგრანტული მთავრობა ერთა ლიგაში. 1924 წლის 11 სექტემბერს ერთა ლიგამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ, რომელშიც 1924 წლის აჯანყება შეაფასა როგორც

„ომი საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის“. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საქართველო ცხადდებოდა მეომარ მხარედ და იგი ხდებოდა საერთაშორისო სამართლის სუბიექტი. აღნიშნული რეზოლუცია იმის მაუწყებელი იყო, რომ ერთა ლიგა მხარს უჭერდა ქართველი ერის ბრძოლას დამოუკიდებლობის აღგენისათვის. ერთა ლიგის მხარდაჭერის მოპოვება ქართული დიპლომატიის მნიშვნელოვან წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ამ ფაქტმა საბჭოთა კავშირის პროტესტი გამოიწვია. ასეთი სახის რეზოლუციის მიღება „სსრ კავშირის საქმეებში უხეშ ჩარევად“ მიიჩნია [20, 633]. თუმცა ამ მოვლენას საქართველოს ბედზე, არავითარი გავლენა არ მოუხდენია.

მაინც რამდენი ადამიანი შეეწირა დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლას? ამ საკითხთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. სასტიკმა ანგარიშსწორებამ სტალინიც კი შოკში ჩააგდო და 2 სექტემბერს სამხრეთ კავკასიის კომუნისტურ პარტიას რეპრესიების შეწყვეტა უბრძანა [1, 507].

1924 წლის ოქტომბერში საკ კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ორჯონიკიძე აცხადებდა: „მივმართეთ მასობრივ დახვრეტებს. იქნებ ცოტა გადავაჭარბეთ, მაგრამ ამას ახლა რაღა ეშველება“ [30, 359]. მისივე აღიარებით, აჯანყების ჩაქრობის პირველივე დღეებში ფიზიკურად გაანადგურეს 1000 ქართველი თავადი და აზნაური [8, 54-55]. იმავე პლენუმის მასალებში დაფიქსირებულია 980 კაცი. ნოე ჟორდანია კი 5 ათას ადამიანს ასახელებს [24, 11].

კოტე ანდრონიკაშვილის დაანგარიშებით ბოლშევიკურ რეპრესიებს, სულ მცირე 4 ათასი კაცი შეეწირა [1, 506]. ზოგიერთი შეფასებით ორი ათასი აჯანყებული დასაჯეს სიკვდილით, 20 ათასამდე საქართველოდან გადაასახლეს [31, 176-179]. აღნიშნულის ფონზე ორჯონიკიძის სიტყვით „ბოლშევიკებმა აჯანყების დროს დაკარგეს მხოლოდ 150 კაცი“ [3, 2].

სამწუხაროდ, დაღუპულთა დიდი ნაწილის საფლავები უცნობია. დახვრეტილებს ფარულად, საერთო საფლავებში „ყრიდნენ“. არის მოსაზრებები სავარაუდო საფლავების შესახებ. ერთ-ერთი ასეთი საფუძვლიანი მოსაზრების მიხედვით ადგილი, სადაც მოხდა აჯანყებულთა მასობრივი დახრეტა და შეიქმნა საერთო საძვალე, უნდა მდებარეობდეს არა ვაკის პარკის ქვედა ნაწილში, არამედ პარკის ჩრდილოეთით ყოფილი ფიზიკური კულტურის ინსტიტუტისა (ახლანდელი სპორტის

აკადემია) და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. მასობრივი დახვრეტის ფართობს დასავლეთიდან საზღვრავს საცურაო აუზი და მძლეოსნური მანეჟი, ჩრდილოეთით – მდინარე ვერე, აღმოსავლეთით – ვერეს ხეობის ერთი შევიწროებული ადგილი, ხოლო სამხრეთით – ჭავჭავაძის პროსპექტი საცურაო აუზიდან ვაკის პარკის მთავარ შესასვლელამდე.

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ გასული საუკუნის 40-იანი წლების ბოლოს გადაწყდა ინსტიტუტის ახალი კორპუსის მშენებლობა ვაკის ტერიტორიაზე (სწორედ იქ, სადაც იგი ახლა მდებარეობს). მუშები შეუდგნენ საძირკველის გათხრას და როგორც მშენებლები, ისე სამუშაოდ მოსული მოხალისენი საშინელი სურათის მოწმენი გახდნენ: მუშების იარაღს, ბარსა თუ ნიჩაბს თან მოჰყვებოდა ადამიანთა ჩონჩხის ნაწილები, დაფლეთილ ტანისამოსში გახვეული ძვლები; მუშებმა სხვა ადგილზე გადაინაცვლეს, იქაც იგივე განმეორდა. მეორე დღიდანვე მუშები სადღაც გაქრნენ და შეშინებულნი აღარ გაკარებიან სამუშაოებს. ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ამის შესახებ მთავრობას აცნობა. მეორე დღესვე მოვიდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს რაზმები, მუშაობა მთლიანად შეწყვიტეს, სამუშაო ადგილს ჯერ ალყა შემოარტყეს, მერე შემოლობეს და ახლოს არავინ გააკარეს. დირექციას კი დაპირდნენ: ინსტიტუტის საძირკველს ჩვენ თავად გავთხრითო. მათ მართლაც უსასყიდლოდ შეასრულეს ეს სამუშაო. თვითმხილველები აღნიშნავდნენ, რომ დილიდან საღამომდე საძირკვლის თხრასთან ერთად, მანქანებით გაჰქონდათ ადამიანთა ძვლები და დაფლეთილი ტანისამოსი. ფაქტია, რომ აკადემიის მთავარი სასწავლო კორპუსი და სპორტული ბაზები ამჟამად ადამიანთა მასობრივი დახრეტის ადგილზე დგას. მაგრამ გვამები ამოღებული იქნა მხოლოდ იმ ადგილებიდან, სადაც აუცილებელი იყო საძირკვლის გათხრა. ვინ იცის გარშემო კიდევ რამდენი გვამია მიწაში ჩატოვებული.

70-იან წლებში, როცა გურამიშვილის ქუჩის მარჯვენა ფერდობზე დაიწყეს კოოპერატიული ბინების მშენებლობა (მათ შორის შენდებოდა ინსტიტუტის საცხოვრებელი სახლებიც) და ბულდოზერები შეუდგნენ საძირკვლების გათხრას, ისევ შემზარავი სანახაობა გადაიშალა მშენებლების თვალწინ: ბულდოზერების „ხორთუმს“ თან მოჰყვებოდა უზარმაზარ საერთო საძვალეში ოდესღაც ჩამარხულ ადამიანთა ძვლები და ტანისამოსი. ამ ადგილზე დღეს სასწავლებლის თანამშრომლების ოჯახები ცხოვრობენ, რომელთა უფროსი თაობა იგონებდა, რომ „ხშირად უნახავთ ეზოში მოთამაშე ბავშვები, რომლებიც

გრძელ ჯოხზე წამოაცვამდნენ ხოლმე ხევში ჩაგორებულ ადამიანთა თავის ქალებს და დაარბენინებდნენ აქეთ-იქითო“.

დადგენილია, რომ ამ ადგილზე არასოდეს ყოფილა ოფიციალური სასაფლაო. და თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ გვამები კუბოს გარეშეა დამარხული, გასაგები გახდება, რომ აქ ერთ დროს საერთო საფლავში ფლავდნენ მასობრივად განადგურებულ ადამიანებს [32, 10].

1924 წლის აჯანყებას შეეწირა ათასობით ადამიანის სიცოცხლე. სამხარეო და რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელობამ აჯანყების მონაწილეთა წინააღმდეგ მიმართა უმკაცრეს ანგარიშსწორებას. რეპრესიები ხორციელდებოდა თვითნებურად, წინასწარი ძიებისა და სასამართლო პროცესების გარეშე, რესპუბლიკის საგანგებო ორგანოების პირადი შეხედულების მიხედვით. ამდენად, ავტორიტარიზმის, განუკითხაობის და ადამიანთა სოცოცხლისადმი აგდებული დამოკიდებულების ის მეთოდები, რაც საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის დამახასიათებელი გახდა 1937-1938 წლებში, საქართველოში სათავეს იღებს თხუთმეტი წლით ადრე, ჯერ კიდევ 1922-1924 წლებში [33, 10].

სათანადო მოუმზადებლობისა და სხვა ფაქტორების გამო, მართალია ეს აჯანყება დამარცხდა, მაგრამ ეროვნული ჩაგვრით გამოწვეული ტკივილი ქართველ ხალხს არ განელებია. სხვადასხვა ფორმით იგი თავის სიცოცხლისუნარიანობას ამჟღავნებდა უმკაცრესი რეპრესიების წლებშიც. შეფასებისას არ უნდა მივანიჭოთ გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას, რომ აჯანყება განწირული იყო დამარცხებისათვის. დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა ისტორიაში არ ფასდება მხოლოდ გამარჯვება-დამარცხებით. დამარცხება იწვნია პოლონელი ხალხის ორმა აჯანყებამ XIX საუკუნეში, ასევე დამარცხებით დამთავრდა უნგრელი ხალხის განმათავისუფლებელი მოძრაობა 1849 წელს, მაგრამ ამშვენებს უნგრელი ხალხის ისტორიას. აღარაფერს ვამბობთ საქართველოში მიმდინარე აჯანყებებზე XIX საუკუნის პირველ ნახევარში [24, 11].

მიუხედავად იმისა, რომ 1924 წლის აჯანყება უთუოდ შეიცავდა ემიგრაციის რეალურ მხარდაჭერას, ძირითადად მაინც მომწიფდა საქართველოში შექმნილი ვითარების შედეგად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს შეიარაღებული გამოსვლა წარმოადგენდა ხალხის რეაქციას, მის პროტესტს ოკუპაციის მიმართ.

ახალი ხელისუფლებისადმი უკმაყოფილების თესლი ქართველ

მოსახლეობაში ღვივდებოდა 1921 წლის თებერვლიდანვე, როცა საბჭოური რეჟიმი მოევლინა ქვეყანას [33, 10]. ამიტომ, აჯანყება იყო ემბრიონული საბჭოთა რეჟიმის მოკლევადიანი წარმატებებისა და მარცხთა მოწმობა. გარკვეულწილად კი ბოლშევიკების მხრიდან ქართველების გრძნობებისა და მისწარაფებებისადმი ტლანქი დამოკიდებულების მოსალოდნელი შედეგი [16, 355].

აჯანყების მზადებისა და განხორციელების დროს მასობრივად დაღვრილმა სისხლმა მსოფლიოს უჩვენა საქართველოს ანტიიმპერიული, საუკუნოვანი ბრძოლის აპოთეოზი. მან ჩვენს ერს მოუპოვა საერთაშორისო თანაგრძნობა და აღიარება. მეორე ინტერნაციონალის ლიდერების გამოთქმით, მათ დროშას აქამდე თუ დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პოლონეთის სახელი ეწერა, ახლა იგი საქართველოს სახელით დამშვენდა [34, 76].

„აჯანყება აუცილებელი იყო, – ამბობდა სასამართლოზე მ ი ხ ე ი ლ ი შ ხ ნ ე ლ ი, – ქართველი ხალხი ვერ დამშვიდდებოდა, სანამ დაგროვილი ოთხი წლის ბოღმას არ ამოანთხევდა...“

აჯანყებამ განამტკიცა აზრი, რომ არ არსებობს სხვა გზა გადარჩენისა, თუ არა ეროვნული სუვერენიტეტი და თავისუფლება.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. დონალდ რეიფილდი, საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე, თბილისი, 2019.
2. ლ. კერესელიძე, 1922 წლის 26 მაისი საქართველოში, „უშიშროების არქივი საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, I ტომი, თბილისი, 2015.
3. საკ. კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1924 წლის ოქტომბრის პლენუმის ოქმის ამონაწერის კომენტარი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1991, 19 თებერვალი.
4. ა. სონღულაშვილი, 1924 წლის აგვისტო საქართველოში, კრ. „დიდგორი“, თბილისი, 1991.
5. პ. სურგულაძე, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება საქართველოში, გაზ. „თბილისი“, 1990, 28 აგვისტო.
6. ა. დაუშვილი, თბილისი 1937, თბილისი, 1997.

7. ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1989, №3.
8. ა. დაუშვილი, საქართველოს II რესპუბლიკა, თბილისი, 2021.
9. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, (შემდეგში სშსსა), ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 40.
10. გაზ. „კომუნისტი“, 1923, 23 მაისი.
11. ს. ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბილისი, 1989.
12. Д. Митюрин, Красный бонапарт, журн. „Загадки истории“, 2024, №12.
13. დ. ჯაფარიძე, საბჭოთა ეკონომიკა, თბილისი, 2018.
14. Л. Троцкий, Моя жизнь, том 2, Москва, 1990.
15. ია თუთაშვილი, საკონცესიო პოლიტია 1921-1928 წლებში, „ანალები“, 2003, №19.
16. რონალდ გრიგორ სუნი, ქართველი ერის ჩამოყალიბება, თბილისი, 2022
17. გ. სულაძე, ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.), თბილისი, 2010.
18. ლ. ღოღობერიძე, ქართული ემიგრაცია და ანტისაბჭოთა პარტიების მუშაობა, თბილისი, 1927
19. რ. გაჩეჩილაძე, საქართველო რეგიონულ კონტექსტში, თბილისი, 2023
20. ქართული დიპლომატიის ისტორია, მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი, თბილისი, 2022.
21. ო. ჯანელიძე, 1924 წლის გაკვეთილები, კრ. „1924 წლის ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი“, თბილისი, 2016.
22. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 1, საქ. 7, 40.
23. საქართველოს სამხედრო ისტორია, II ტომი, თბილისი, 2013.
24. ა. სურგულაძე, 1924 წლის აჯანყება, გაზ. „სახალხო განათლება“, 1989, 12 ივლისი.
25. სშსსა, ფ. 14, ანაწ. 2, საქ. 45.
26. კ . გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, თბილისი, 1991.
27. გ. კლდიაშვილი, საქართველოს 1924 წლის აგვისტოს ამბოხება გარე-კახეთში და სასულიერო პირები, „უშიშროების არქივი საბ-

ჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, I ტომი, თბილისი, 2015.
28. ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 6.
29. უ. ბლუაშვილი, საერთაშორისო ურთიერთობათა შესავალი, თბილისი, 2016.
30. ლ. ჯიქია, 1924 წლის აჯანყება იმერეთში, „უშიშროების არქივი საბჭოთა საქართველოს გასაიდუმლოებული ისტორია, I ტომი, თბილისი, 2015.
31. რ. გაჩეჩილაძე, საქართველო მსოფლიო კონტექსტში, მეორე განახლებული გამოცემა, თბილისი, 2017.
32. ა. ციბაძე, ალბათ აქ არის „საგოდებელი", გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 1989, 14 ივლისი.
33. ა. სურგულაძე, 1924 წლის აჯანყება, გაზ. „სახალხო განათლება", 1989, 5 ივლისი.
34. გ. ციციშვილი, სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო („ჩეკა") ქართული ანტისაბჭოთა ბრძოლისა და 1924 წლის აჯანყების მესვეურთა წინააღმდეგ, კრ. „1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი", თბილისი, 2016.

Avtandil Songulashvili

Doctor of Historical sciences, Professor, Ivane Javakishvili Tbilisi State UniversityIvane Javakishvili Institute of History and Ethnology,The Head of Department of the Modern and Contemporary History

The August 1924 Uprisings and Bolshevik Repressions in Georgia

Summary

Black February of 1921 brought occupation and de facto annexation to Georgia. Everything that took three years in Russia, the Bolsheviks „accomplished" in a few weeks in Georgia. In March 1922, Georgia was named Soviet Socialist Republic of Georgia.

The 1921-1922 revolts in Svaneti and Khevsureti were mercilessly suppressed by the regime. In 1923, as a result of treason, the members of the „Military Cente'"" were arrested and executed on May 19.

Despite this, the government in exile and remaining patriotic forces in Georgia decided to organize a rebellion in 1924, but they selected wrong time. Hopes that Western countries would help the Georgians in their struggle against Russia also turned out to be vain. Involving the peoples of the Caucasus in the uprising also proved unrealistic. The defeat of the uprising resulted in heavy casualties. According to N. Zhordania, the Bolsheviks massacred 5 thousand people. The officials spoke of only 980. According to Orjonikidze, 150 Bolsheviks were killed.

The Soviet government mercilessly punished the „class enemy", mainly the former nobility, a few of whom took part in the uprising; the rebels were mostly peasants. People were arrested for their aristocratic background and non-communist party affiliation and then executed in groups, certainly, without any judgment. About 20 thousand people were exiled from Georgia.

Main reason for the uprisings was establishment of Soviet power in Georgia by force of arms in February-March 1921. However, the government in exile certainly also played a role in the organization of the uprising. A large part of the population participated in the uprising, which is why the anti-Soviet struggle acquired public character.

ნიკო ჯავახიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერთანამშრომელი

ქართულ-ვაინახური საბრძოლო თანამეგობრობის ფურცლები

„ქართველ შეფიცულთა რაზმის“ ჩეჩნებთან და ინგუშებთან კავშირის ისტორიიდან (1922-1924 წლები)

ქართულ-ჩრდილოკავკასიურ ურთიერთობათა ისტორია სათავეს საუკუნეთა სიღრმიდან იღებს. ხანგრძლივი თანაცხოვრების განმავლობაში ჩვენს ხალხებს (ისევე როგორც ნებისმიერ მეზობელ ერთა) შორის იყო როგორც კეთილმეზობლური ურთიერთობები, კერძოდ, კულტურული, სავაჭრო-ეკონომიკური და სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, ასევე დაპირისპირებაც, რაც არაიშვიათად სისხლისღვრაშიც გადაზრდილა.

რუსეთის იმპერიის დანგრევის შემდეგ განახლდა ქართველი და ჩრდილოკავკასიელი ხალხების სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა, რომელიც 1917 წლის მიწურულიდან განსაკუთრებით ინტენსიური გახდა [1, 10-15].

1918 წლის 11 მაისს „მთიელთა რესპუბლიკამ“ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მას სათავეში ჩაუდგა ჩეჩენი ნავთობმრეწველი აბდულმეჯიდ (თოფა) ჩერმოევი (1882-1936), რომელიც ახლო წარსულში რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ცხენოსანი ამალის წევრი და ე. წ. „ველური დივიზიის“ ოფიცერი გახლდათ. ამ მთავრობის მინისტრებად დაინიშნენ 10 ყუმუხი (კუმიკი) და თითო-თითო ინგუში, ლეზგი, ყაბარდოელი და ოსი (მუსლიმი). ეს მთავრობა თავის ტერიტორიად სრულიად ჩრდილო კავკასიას მიიჩნევდა, მაგრამ მისი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები, რეალურად, მხოლოდ ჩეჩნეთსა და დაღესტანში ფუნქციონირებდნენ.

1918 წლის 26 მაისს შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რეს-

პუბლიკა, რასაც ორიოდე დღეში აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების შექმნაც მოჰყვა. ასე რომ 1918 წლის გაზაფხულის მიწურილს, კავკასიის რეგიონის უდიდესი ნაწილი რუსეთისაგან ჩამოცილებული აღმოჩნდა. იმხანად რუსეთში მძვინვარებდა სამოქალაქო ომი, რომელმაც ყოფილი იმპერიის სხვა ტერიტორიებთან ერთად, ჩრდილო კავკასიის ნაწილიც მოიცვა. კავკასიის ხელში ჩაგდებას რუსი ბოლშევიკებიც და თეთრგვარდიელებიც მონდომებით ცდილობდნენ.

მთიელთა რესპუბლიკას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მოკავშირედ ეგულებოდა. ამიტომაც, ისინი ხშირად მიმართავდნენ მხარდაჭერისათვის საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობას, რომელიც შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა მთიელებს, როგორც ფინანსურად, ასევე სამხედრო-პოლიტიკური და ტექნიკური თვალსაზრისითაც. ამის მაჩვენებელია როგორც საარქივო დოკუმენტები [2, 15-21; 3, 21-52; 4, 1-2; 5, 1-2], ასევე, გამოკვლევებიც [6-9; 10; 1].

მთიელთა რესპუბლიკა გახდა მსხვერპლი გენერალ ანტონ დენიკინის სარდლობით მოქმედი „მოხალისეთა არმიისა", რომელსაც მალევე დაუპირისპირდა რუსეთის სფსრ-ის წითელი არმია. მხოლოდ ამის შემდეგ, კერძოდ, 1920 წლის გაზაფხულზე დენიკინმა ჩრდილოკავკასიელებს შესთავაზა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ გამოსულიყვნენ საერთო ფრონტით [11], რაც დაგვიანებული აღმოჩნდა.

დენიკინელთა განდევნის შემდეგ, ჩრდილო კავკასიის სრული ოკუპაცია მოახდინა საბჭოთა რუსეთმა, რის შემდეგაც, იგი ჩრდილოეთიდან დაუმეზობლდა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, გენერალი გიორგი კვინიტაძე (1874-1970) იგონებდა, რომ 1920 წლის გაზაფხულზე „ბოლშევიკებმა ჩრდილო კავკასია და დაღესტანი დაიკავეს. ამიტომ, ჩვენი სასაზღვრო ნაწილები შავი ზღვის სანაპიროსა და დარიალის ხეობაში მათ უშუალოდ ებჯინებოდნენ" [12, 192]. მისივე შეფასებით, განსხვავებით აზერბაიჯანისაგან, რომელიც წითელმა არმიამ ფაქტობრივად უომრად დაიკავა, ისინი ჩრდილო კავკასიის დაპყრობისას მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წააწყდნენ [12, 199].

ჩრდილო კავკასიის, აზერბაიჯანისა და სომხეთის რესპუბლიკების ოკუპაციის შემდეგ, საბჭოთა რუსეთმა 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიპყრო კავკასიაში დარჩენილი უკანასკნელი დამოუკიდებე-

ლი ქვეყანა – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

მიუხედავად ამისა, იარაღით თავსმოხვეულ საბჭოთა რეჟიმს ქართველი ერის ღირსეული ნაწილი არ შეგუებია. ამას მოწმობს სახალხო აჯანყებები, რომლებმაც იფეთქა ჯერ მთიან რეგიონებში – სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმში (1921-1922 წწ.) და ფშავ-ხევსურეთში (1922 წ.), ხოლო შემდეგ – სრულიად საქართველოში (1924 წ.).

საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგე ქართველებმა ჩრდილოკავკასიელებთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა განაახლეს. ქართველები საჭიროდ მიიჩნევდნენ კავკასიის ხალხთა ერთიანი ანტიბოლშევიკური ცენტრის შექმნას. ამ მიმართულებით მუშაობა წარმოებდა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ, სადაც ქართველი და ჩრდილოკავკასიელი პოლიტიკოსები საკმაოდ ნაყოფიერად თანამშრომლობდნენ. ეს საკითხი შესწავლილი გვაქვს ჩვენს ნაშრომში, რომელიც გამოქვეყნდა ინგლისურ [13, 145-151] და რუსულ [14, 169-176] ენებზე.

* * *

1921 წლის მარტში, ბათუმში თავმოყრილმა ქართველმა მამულიშვილებმა, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის სპირიდონ კედიას ხელმძღვანელობით მოლაპარაკება გამართეს. მოლაპარაკებაში სხვებთან ერთად მონაწილეობდნენ იასონ ლორთქიფანიძე (სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელი) და დავით მიქელაძე. ამ სხდომაზე გადაწყდა, რომ საქართველოში ანტისაბჭოთა სახალხო აჯანყება მოემზადებინათ. სახალხო აჯანყების სამხედრო ხელმძღვანელობა მათ შესთავაზეს ქაქუცა (ქაიხოსრო) ჩოლოყაშვილს (1888-1930), რომელიც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში კავალერიის პოლკოვნიკად მსახურობდა. იმავე შეხვედრისას მოილაპარაკეს, რომ საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიის ყოფილი ოფიცრები დროებით უნდა შესულიყვნენ საქართველოს წითელ არმიაში, რათა მაღალი სამეთაურო პოსტები დაეკავებინათ, ხოლო საჭირო მომენტში კი იარაღი საძულველი საბჭოთა რეჟიმისათვის უნდა შეებრუნებინათ [15].

ქაქუცა – ღირსეული მამულიშვილი და სიმამაცით განთქმული პროფესიონალი სამხედრო პირი, წარჩინებული ქართველი თავადაზნაურობის ზედაფენას განეკუთვნებოდა. აქვე უნდა ითქვას, რომ კახეთის მკვიდრ სათავადო საგვარეულოებს შორის თავად ჩოლოყაშვილებს ისტორიულად უპირველესი ადგილი ეკავათ [16, 35; 17, 39].

თავადი ჩოლოყაშვილები საისტორიო წყაროებში XV საუკუნიდან იხსენიებიან. მათი ასულები არაერთხელ გახდნენ ქართლისა და კახეთის დედოფლები. მათ შორის იყვნენ: კახეთის მეფე ალექსანდრე I-ის (მეფობდა 1476-1511 წლებში) მეუღლე ანა გარსევანის ასული ჩოლოყაშვილი, კახეთის მეფე გიორგი II-ის (მეფობდა 1511-1513 წლებში) მეუღლე ელენე ჩოლოყაშვილი, ნათესავი გარსევან ჩოლოყაშვილისა, ქართლისა და შემდეგ კახეთის მეფე ერეკლე I-ის (1688-1703 წლებში მეფობდა ქართლში, ხოლო 1703-1709 წლებში ითვლებოდა კახეთის მეფედ, თუმცა იმ დროს სპარსეთში იმყოფებოდა) მეუღლე ანა შერმაზანის ასული ჩოლოყაშვილი [18, 54-57].

ჩოლოყაშვილთა საგვარეულოს წარმომადგენლებს კახეთის სამეფო კარზე მაღალი თანამდებობანი ეკავათ. ისინი სხვადასხვა დროს იყვნენ: სახლთუხუცესები, მდივანბეგები, ეშიკაღასბაშები, ბოქაულთუხუცესები, სუფრაჯები, მილახვრები, ნაზირები, უზბაშები, მეითრები და სხვ.

ბაგრატოვან ხელმწიფეთაგან ჩოლოყაშვილებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰქონდათ მინდობილი თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავობა. ვინაიდან მათი საგვარეულო მამულების ნაწილი მდებარეობდა თანამედროვე ახმეტისა და თიანეთის მუნიციპალიტეტებში შემავალ სოფლებში: მატანში, თიანეთში, ჩაბანოში, ჩეკურში, სვიამონიანკარში, ლალისყურში, ახმეტაში, ბახტრიონში, მარილისში, და სხვ.), აღნიშნული ადგილიდან კახეთის მთიანეთის გაკონტროლებას ისინი იოლად ახერხებდნენ. მათ მამულები ჰქონდათ ასევე გარეკახეთის ტერიტორიაზეც, კერძოდ, თანამედროვე საგარეჯოს და გარდაბნის მუნიციპალიტეტებში შემავალ სოფლებში: მარტყოფში, საცხენისში, უჯარმაში, ხაშმში, ყარაბულახში, პალდოში, სართიჭალაში, ორხევსა და სამგორში, რომლებიც ამჟამად თბილისის შემადგენლობაშია და სხვ. გარდა ზემოთქმული თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოურავობისა, ისინი იყვნენ თიანეთის, ჭიაურისა და საგარეჯოს მოურავები და სხვ. [19, 421-423].

ამ გვარის გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ: გარსევან ჩოლოყაშვილი, რომელმაც მოკვდინებას გადაარჩინა და კახეთში გაამეფა გიორგი II-ის („ავგიორგად“ წოდებულის) ვაჟი, უფლისწული ლევანი, მომავალში მეფე; 1660 წელს მომხდარი ბახტრიონის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელიც მონამებრივი სიკვდილით აღესრულა და წმინდანად შერაცხეს; მეფე თეიმურაზ I-ის

ელჩი რომის პაპის კარზე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წინამძღოლი ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, „ნიკიფორე ირბახად“ წოდებული, რომელმაც სტეფანე პაოლონისთან ერთად შეადგინა 1629 წელს რომში დასტამბული ქართულ-იტალიური ლექსიკონი და სხვ.

სპირიდონ კედიას მოგონებაზე დაყრდნობით, ქართული ემიგრაციის გამოჩენილი წარმომადგენელი, ეროვნულ-დემოკრატი მიხეილ ქავთარაძე (1906-2008) იგონებდა, თუ რატომ მიანდეს ხსენებულ პიროვნებას ასეთი საპატიო და ამავე დროს საპასუხისმგებლო მისიის შესრულება: „არჩევანი რომ სწორედ ქაქუცაზე შეჩერდა, ამას თავისი ლოგიკური საფუძველი ჰქონდა. ასეთი რაზმის ბუდე სწორედ კახეთი უნდა ყოფილიყო. ჯერ მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო. კახეთი ტფილისსაც აკრავს, საქართველოს მთიანეთს – თუშ-ფშავ-ხევსურეთსაც და დაღესტანსაც. მხოლოდ კახეთიდან შეიძლება ერთსა და იმავე დროს მოქმედება დარიალისა და დარუბანდის ჩასაკეტად. კახეთი ის პროვინციაა, რომელსაც აჯანყებათა ყველაზე დიდი ტრადიცია აქვს. ხშირი ტყეები და დოვლათიანი მხარე მეომარ-პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობით, აგრეთვე საუკეთესო პირობებია პარტიზანული რაზმისათვის თავის შესანახად. მაშასადამე, რაზმის უფროსიც კახელი უნდა ყოფილიყო. მარტო ეს პირობები არ კმაროდა. რაზმის უფროსი ოფიცერიც უნდა ყოფილიყო, რადგან პარტიზანულ მოქმედებათა გარდა, შემდეგში გაზრდილ რაზმს წმინდა სამხედრო-საომარი ამოცანებიც დაეკისრებოდა. ამასთანავე, ეს ოფიცერი ხალხთან დაახლოებული კაციც უნდა ყოფილიყო და არა თავის კასტაში ჩაკეტილი, ხალხისაგან მოწყვეტილი ინტელიგენტი შტაბის ოფიცერი. ყველა ამ პირობათა დამაკმაყოფილებელი კანდიდატი ათობით არ იქნებოდა. ს. კედიამ ჩვენს წრეში მგონი მხოლოდ ერთხელ ილაპარაკა ამ საკითხზე და ისიც ძლიერ ძუნწად – იგი საკუთარი როლის ხაზგასმას ერიდებოდა. მაშინდელი მისი სიტყვებიდან ის შთაბეჭდილება რჩებოდა, რომ სხვა კანდიდატიც ყოფილა, მაგრამ ზემოთ მოყვანილ პირობებს გადაუწყვეტია საკითხი. აქ მოტანილი ცნობები ს. კედიას ნაამბობის შინაარსის მეხსიერებაში შემორჩენილი გადმოცემა არის, მაგრამ აი სიტყვასიტყვით გადმოცემული მისი თქმა ქაქუცას შესახებ: როგორც ტყე წარმოშობს ხეს, მაგრამ ხეები ქმნიან ტყეს, ისე ქაქუცა წარმოშვა იმ გმირულმა ეპოქამ, რომელიც ჩვენს დამარცხებას მოჰყვა, მაგრამ ამ ეპოქის შემქმნელიც არისო. და კიდევ ერთი მაშინ ნათქვამი ფრაზა: **„ქართველი კაცის ყურისათვის ქაქუცას ჩოლოყაშვილობაც კმაროდა – ლეგენდას უკვე გვარი ჰქმნიდაო“** [15].

სპირიდონ კედიას მეუღლე სოფიო ჩიჯავაძე-კედია ასე იგონებდა 1921 წლის შემოდგომაზე, სოფელ კონდოლში (ამჟამად შედის თელავის მუნიციპალიტეტში) მომხდარ ფაქტს: „ორმა ახალგაზრდამ ცხენები შემოაჭენა. ერთი მათგანი იყო ქართული გიმნაზიის ჩემი ყოფილი მოწაფე შალიკო ფალავანდიშვილი, მეორე კი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომლის სიდედრი ავალიშვილის ქალი იყო და მისი ძმა ავალო, რომელთანაც ქაქუცა მოსულიყო, ჩვენი ზვრის მახლობლად ცხოვრობდა... სპირიდონი ავალოსთან წაიყვანეს. თურმე იქ სხვებიც ყოფილან და მამას ელოდებოდნენ, როგორც მაგალითად ექიმი კოლა ჯანდიერი და სხვებიც... ჯერ კიდევ კისისხევში ვიყავით, რომ სპირიდონის სანახავად ქაქუცა მოვიდა... საშინლად გამიკვირდა ამ დარდიმანდი, მოქეიფე ყმაწვილის ასეთ მოკლე ხანში ეს მეორედ მოსვლა. ვენახში შევიდნენ ორნი. ცოტა ხანს კიდევ დარჩა და როდესაც ცხენზე ჯდებოდა, ქაქუცას ნათქვამი მომესმა: „ორ-სამ დღეში სწორედ ამ დროს გეახლებითო". გაოცებულმა ვკითხე სპირიდონს: „...სპირიდონ, რა გაქვს საერთო ამ ყმაწვილთან?" ამაზედ პასუხი იყო: „შენ არ იცნობ სონა მაგ ახალგაზრდას. ძალიან სანდო და ყოჩაღიაო". ეს კია, რომ თავისი სიტყვა ზედმიწევნით შეასრულა და ცხენი მესამე დღეს ჩვენს ეზოში შემოაქროლა... მისი ვაჟკაცობა I მსოფლიო ომში ცნობილი იყო. მკლავში მძიმედ დაჭრილი თურმე კვლავ განაგრძობდა ომს... აქებდნენ მის რაინდობას, ამავე დროს, მის გულახდილობას და თავმდაბლობას. ყველასათვის საყვარელ ადამიანად იყო მიჩნეული ეს გულმხურვალე ყმაწვილი" [20, 330-333].

ყოველივე ზემოთქმულის შედეგად, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ორგანიზებით და წინამძღოლობით მალულად დაიწყო პარტიზანული რაზმის ჩამოყალიბება, რაც საკმაოდ ხანგრძლივად და საგანგებო შერჩევის საფუძველზე გრძელდებოდა. შემდგომში ამ დაჯგუფებას „ქართველ შეფიცულთა რაზმი" ეწოდა.

1922 წლის 12 მარტს, პარტიზანული რაზმის ბირთვი, რომელიც 12 მებრძოლისაგან შედგებოდა, ქაქუცას მეთაურობით ტყეში გავიდა. დროთა განმავლობაში ამ რაზმს ასზე მეტი ქართველი და ქისტი მებრძოლი შეუერთდა. აქვე განვმარტავთ, რომ ქართულ ენაში „ქისტებად" ტრადიციულად მოიხსენიებიან ჩეჩნები და ინგუშები, რომელთა გამაერთიანებელ სახელწოდებად ასევე იყენებენ ტერმინს „ვაინახი"/„ვეინახი".

წარმოვადგენთ ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით მოქ-

მედ შეფიცულთა რაზმის სიას, რომელიც სრული სახით დღემდე არავის დაუდგენია. რაზმის წევრებს ჩამოვთვლით ანბანურად, გვარ-სახელებით, სახელებით ანდა მეტსახელებით, ხოლო პანკისელ ქისტებს კურსივით გამოვყოფთ:

1) ჩოლოყაშვილი ქაიხოსრო (ქაქუცა) – შეფიცულთა რაზმის მეთაური,
2) ალხანაშვილი ჰაასა (ქ ი ს ტ ი),
3) ანდალაშვილი არსენა (ქ ი ს ტ ი),
4) ანდალაშვილი ზაქრო, იგივე „ზაქარა“ (ქ ი ს ტ ი),
5) ანდალაშვილი ექა/უქო (ქ ი ს ტ ი),
6) ანდალაშვილი მოსე (ქ ი ს ტ ი),
7) არაბული გიგია ადიას ძე,
8) არაბული გიგია ბიძურას ძე,
9) არაბული მიხა/მიხეილი,
10) არაბული ხვთისო,
11) აჭიშვილი ჰასეი (ქ ი ს ტ ი),
12) ბადურაშვილი ალექსანდრე/“ბადურა“,
13) ბადურაშვილი შაქრო,
14) ბაკურაძე (სახელი უცნობია),
15) ბალიაური თომა,
16) ბალიაშვილი მიხეილი/მიხა,
17) ბაღაკაშვილი ბეისარ (ქ ი ს ტ ი),
18) ბაღაკაშვილი ჯანო (ქ ი ს ტ ი),
19) ბექაური თომა,
20) ბორჩაშვილი იდა (ქ ი ს ტ ი),
21) ბორჩაშვილი თიჩიი (ქ ი ს ტ ი),
22) ბორჩაშვილი ლიეგეი (ქ ი ს ტ ი),
23) ბორჩაშვილი ფილიპე (ქ ი ს ტ ი),
24) ბორჩაშვილი შიო (ქ ი ს ტ ი),
25) გაურგაშვილი აბესალია (ქ ი ს ტ ი),
26) გაურგაშვილი მათე (ქ ი ს ტ ი),
27) გაურგაშვილი წოვენარგ (ქ ი ს ტ ი),
28) გვერდწითელი გიორგი,
29) გიგაური აბიკა,
30) გოგოჭური ალეკა,

31) გოგოჭური ლევანი,
32) გოგოჭური ჯოყოლა,
33) გორნაკაშვილი უსუფ (ქ ი ს ტ ი),
34) დუიშვილი აბდულა (ქ ი ს ტ ი),
35) დუიშვილი ჩონქარა (ქ ი ს ტ ი),
36) დუშელი გიორგი/"კურდღელა"
37) ერისთავი რაფიელი (არაგვის),
38) ვაჩნაძე არჩილი,
39) ვაჩნაძე ელიზბარი,
40) ვაჩნაძე ივანე,
41) თამაზაშვილი ვასილი/ვასო,
42) თურქოშვილი მაზი (ქ ი ს ტ ი),
43) იაშვილი ილარიონი/ილიკო/"ინგილო",
44) იმედაშვილი ქოსა (ქ ი ს ტ ი),
45) იქაიძე შამილი/"თუში",
46) კანდელაკი შალვა,
47) კარგარეთელი ალექსანდრე,
48) კახაშვილი იოსები,
49) კახუაშვილი ბაღდუა,
50) კვალიაშვილი ლუა,
51) კოხტაშვილი (სახელი უცნობია),
52) "კუნა" (ქ ი ს ტ ი),
53) კუშტანაშვილი ნიკო (ქ ი ს ტ ი),
54) ლაშქარაშვილი მიხეილი/მიშა,
55) ლოსაბერიძე იოსები/სოსო,
56) მაისურაძე მალაქია,
57) მაისურაძე სერგო,
58) მაყაშვილი ელიზბარი,
59) მაჰმადა (ქ ი ს ტ ი)
60) მოლაშვილი (სახელი უცნობია),
61) მუთოშვილი ბათირა (ქ ი ს ტ ი),
62) მუთოშვილი მიხაკო (ქ ი ს ტ ი),
63) ნაცვლიშვილი მიხეილი,
64) ნაროზაული ბაია,
65) ნებიერიძე შალვა,

66) ოზანელი ლადო,
67) ოზიაშვილი გაბო,
68) პავლიაშვილი გოლა,
69) რაზმაძე ნიკოლოზი/კოლა,
70) სულხანიშვილი ალექსანდრე/საშა, იგივე „ყურბანა“
71) ტოხოსაშვილი ხაცე/ხაძა (ქ ი ს ტ ი),
72) ფავლენიშვილი შალვა,
73) ფარეულიძე დავით/დათიკო (ქ ი ს ტ ი),
74) ფარეულიძე ლევანი/“ლევანა“ (ქ ი ს ტ ი),
75) ფარეულიძე ღანიშა (ქ ი ს ტ ი),
76) ფეიქრიშვილი ალექსი/“ბათირა“,
77) ქათარაშვილი ლაზარე (ქ ი ს ტ ი),
78) ქავთარაშვილი სიკო (ქ ი ს ტ ი),
79) ქავთარაძე როსტომი/“თუში“,
80) ქარუმიძე ილია,
81) ქეთელაური მამუკა,
82) “ქერიმა“ (ქ ი ს ტ ი),
83) ქიზიყელი ქარუმა (გვარი უცნობია),
84) “ქიმბარი“ (გვარი უცნობია),
85) ღანიშაშვილი ბააცეი (ქ ი ს ტ ი),
86) ყანჩაველი რომანი,
87) ყარანგოზიშვილი ივანე/“ვანიჩკა“,
88) ყიფიანი სვიმონი,
89) შაშვიაშვილი (სახელი უცნობია),
90) ჩითინაშვილი სტეფანე/სტეპკო,
91) “ჩირა“ (ქ ი ს ტ ი),
92) ჩიქოვანი ლევანი/ლელო,
93) ჩოლოყაშვილი დავითი,
94) ჩოლოყაშვილი კონსტანტინე/კოტე,
95) ჩოლოყაშვილი ნიკო,
96) ჩოლოყაშვილი სვიმონი,
97) ჩოფანაშვილი აბდულა (ქ ი ს ტ ი),
98) ჩოფანაშვილი მაზი (ქ ი ს ტ ი),
99) ჩხეტიანი ტარასი,
100) ცათიაშვილი ბათაყა (ქ ი ს ტ ი),

101) ცათიაშვილი ქილაი (ქ ი ს ტ ი),
102) ცისკარაული დიმიტრი,
103) ციხისთავი ლონგინოზი/ლონგო/"ძია",
104) ცხვედაძე ალექსანდრე,
105) წიკლაური დიმიტრი/მიტო,
106) წიკლაური უშიშა,
107) წინწალაშვილი დიმიტრი/მიტო (ქ ი ს ტ ი),
108) ჭინჭარაული ბიძურა,
109) ჭინჭარაული დავითი,
110) ჭინჭარაული მიხეილი/მიხა,
111) ხელაშვილი მიხეილი/მიხა,
112) ხმალაძე დიმიტრი/მიტო,
113) ჯავახიშვილი ლევანი,
114) ჯავრიშვილი ლევანი,
115) ჯავრიშვილი შალვა,
116) ჯამასპიშვილი (სახელი უცნობია),
117) ჯორჯაძე დიმიტრი/მიტო.

აქვე დავსძენთ, რომ ინფორმაცია „ქართველ შეფიცულთა რაზმის" ზემოხსენებულ წევრთა შესახებ დაცულია როგორც არქივში, ასევე, შეფიცულთა მოგონებებსა და სამეცნიერო გამოკვლევებში [21; 22; 23, 46; 24, 443-444; 25, 29; 1, 46; 26, 130; 27, 59-69]. მათი ერთად თავმოყრა პირველად მოხდა წინამდებარე გამოკვლევაში, თუმცა, მათ მოძიებას მომავალშიც განვაგრძობთ.

აქვე მინდა მადლიერებით გავიხსენო პანკისის ხეობის უხუცესი, ბატონი ხასო მახამღაზის ძე ხანგოშვილი (1943-2023), რომელიც ქისტ შეფიცულთა მეტსახელების გაშიფვრასა და მათი სიის დადგენაში დამეხმარა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში სახალხო გვარდიის რიგებში მსახურობდნენ შემდეგი პანკისელი ქისტები: აბდულა დუიშვილი, ბეისარ ბაღაკაშვილი და წოვენარგ გაურგაშვილი – სოფელ დუისიდან; ჰასეი აჭიშვილი – სოფელ ჯოყოლოდან; უსუფ გორნაკაშვილი, ზაქრო ანდალაშვილი, დავით და როსტომ ფარეულიძეები – სოფელ ომალოდან; ბათაყა და ქილაი ცათიაშვილები – სოფელ ხალაწნიდან და სხვები. საბჭოთა რუსეთის ჯარის მიერ საქართველოს ოკუპაციის მიუხედავად, მათ იარა-

ღი არ დაუყრიათ და აბრაგად გავიდნენ. მათი უმეტესობა კარგად იცნობდა პანკისის ხეობის მეზობლად მდებარე სოფელ მატანში დაბადებულ და აღზრდილ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილს და მის მიერ შექმნილ „შეფიცულთა რაზმს“ შეუერთდა [27, 59].

ასე, რომ როგორც ჩვენი კვლევა-ძიებით დადგინდა, „შეფიცულთა რაზმში“ სხვადასხვა დროს შედიოდა 120-მდე მებრძოლი, რომელთა მესამედი (40 მეომარი) – პანკისელი ქისტი ყოფილა.

პანკისელ ქისტებთან ქაქუცას სიახლოვეზე მეტყველებს მისი ერთ-ერთი ქისტი შეფიცულის უსუფ გორნაკაშვილის ერთი მოგონებაც, რომელიც შემოუნახავს მის ძმისწულს ვისერგი გორნაკაშვილს: „ქაქუცა ჩოლოყაშვილი თავისი რაზმით ასულა ომალოში და ტყეში დაბანაკებულა. მათ კვებას და ჩაცმა-დახურვას ორგანიზებას უწევდა დათიკო ფარეულიძე, ერთ-ერთი გამორჩეული ვაჟკაცი ქისტებში... ქაქუცას აზიაცკები ეცვა და სიარული უჭირდა. მისთვის დათიკოს შეუთავაზებია: – „ქალამნებს მოგიწნავო“, რაზედაც ქაქუცას უპასუხია: „ერთი ბრმა ტყვია რომ მომხვდეს და გამაგორონ, ჩემს გვამს ქალამნებიანს ვერ ვათრევინებო, სახელს ვერ შევარცხვენინებო“. დათიკოს ჰყავდა ალალი დედის ძმისშვილები აბდულა და მაზი ჩოფანაშვილები, რომლებსაც საგზალი აჰქონდათ ქაქუცას რაზმისათვის ტყეში“ [27, 65].

არსებობს ცნობა, რომ პანკისის ხეობაში ერთ-ერთი სტუმრობისას, ქაქუცა ჩოლოყაშვილს თვალი მოუკრავს ერთი მშვენიერი ქისტი ქალიშვილისათვის, რომელიც იმდენად მოსწონებია, რომ მისი ცოლად მოყვანა მოუნდომებია. ქაქუცას მიმართ არც ქისტი ასული ყოფილა გულგრილი, მაგრამ მის მორწმუნე მუსლიმ მშობლებს თავიანთი ასულის ქრისტიანზე გათხოვებისაგან თავი შეუკავებიათ.

პანკისის ხეობის მკვიდრი ნათელა ცათიაშვილი იგონებდა: „ბებიაჩემისაგან გამიგონია, რომ მათ ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ერთ ლამაზ, ჭკვიან, მოხდენილ, კულტურულ და განათლებულ ქართველ თავადს, წარმოშობით მატნელ ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილს... ბებიას საგულდაგულოდ ჰქონდა შენახული ხის ორნამენტიანი ჭურჭელი, რომელიც მისთვის ქაქუცას ოჯახს უსახსოვრებია... ჩოლოყაშვილს ფიც-ვერცხლით და-ძმობა ჰქონია შეფიცული ხაზო ბაღაკაშვილთან. ქაქუცა და მისი და-ძმები ბეისარა და ჯანო ბაღაკაშვილების ხშირი სტუმრები ყოფილან. ქაქუცას ულამაზესი ქისტის ქალი დეში მარგოშვილი შეჰყვარებია, მაგრამ სხვადასხვა აღმსარებლობის

გამო, ქალის მშობლები მათ ქორწინებას არ დასთანხმებიან. შემდეგ კი, როცა ქაქუცამ სხვა ქალთან გადაწყვიტა ოჯახის შექმნა, მომავალი მეუღლის სანახავად ფაეტონით თან წაუყვანია თავისი დადნაფიცი ხაზო და მისი ბიძაშვილი ძააძი ბაღაკაშვილი – ბებიაჩემი. სხვა ახლობელ ქისტებთან ერთად ქაქუცას ისინი ნიშნობასა და ქორწილშიც გვერდით ჰყოლია. ბებიაჩემის თქმით, ქაქუცა თავისი ცოლშვილით თითქმის ყოველ შაბათ-კვირას სტუმრობდა მათ ოჯახს, მოჰქონდათ საჩუქრები და ისინიც, თავის მხრივ, დიდი სიყვარულით და პატივისცემით ხვდებოდნენ, ისე, როგორც ოჯახის წევრს. კლავდნენ საკლავს, იმართებოდა ლხინი, ცეკვა-თამაში... ქაქუცას მიერ საჩუქრად მიტანილი ნივთები ბაღაკაშვილის შთამომავლებისათვის დღესაც ოჯახის ძვირფას რელიქვიად ითვლება“ [27, 66].

1923 წლის მაისის დასაწყისში, საქართველოს სსრ-ის მილიციის თელავის მაზრის განყოფილებისათვის ცნობილი გახდა, რომ „ქართველ შეფიცულთა რაზმში“ შედიოდნენ შემდეგი სახელის, ანდა მეტსახელის მქონე პანკისელი ქისტები, რომელთა გვარებიც დღემდე უცნობი იყო: „ქოსა“, „დათიკო“, ლევანა (ფარეულიძე), „ზაქარა“, „უქო“, „კუნა“, „ჩირა“, „მაჰმადა“, და სხვ. [25, 29].

ჩვენი ვარაუდით, ზემოხსენებული ქისტი „ქოსა“უნდა ყოფილიყო ქოსა იმედაშვილი, „დათიკო“ – დათიკო ფარეულიძე, „ლევანა“ – ლევან ფარეულიძე, „ზაქარა“ – ზაქარია ანდალაშვილი, ხოლო „უქო“ – ექა ანდალაშვილი.

სამწუხაროდ, საბჭოთა რეჟიმმა მოახერხა, რომ შეფიცულთა შორის თავისი აგენტები ჩაენერგა. ასეთთა შორის იყვნენ, მაგალითად, ტარასი ჩხეტიანი [21, 100-101] და შაშვიაშვილი [21, 103-105]. ზოგიერთი შეფიცული შეშინდა და ნებაყოფლობით ჩაბარდა ხელისუფლებას, როგორც ეს რომან ყანჩაველმა ჩაიდინა [21, 82-83]. შეფიცულთა ნაწილი „ჩეკა“-ში წამების შედეგად გადაიბირეს. ასე დაემართა მაგალითად ქისტ ქერიმას, რომელიც შეფიცულებმა ამხილეს და სიკვდილით დასაჯეს [21, 33].

აქვე დავამატებთ, რომ უკვე გამომჟღავნებული აგენტი ტარასი ჩხეტიანი, რომელიც საბჭოთა მილიციის რაზმთან ერთად სდევნიდა შეფიცულებს, ამ უკანასკნელებმა ალყაში მოაქციეს და მოკლეს [21, 103].

"ქართველ შეფიცულთა რაზმის“ თავდაპირველ ბაზად იქცა სოფელ ალვანთან მდებარე ტყე და პანკისის ხეობა, რომელიც კახეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარეობს. საერთოდ კი ამ რაზმის ძი-

რითად ადგილსამყოფელს – თელავის მაზრის (ანუ თანამედროვე ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტების) ტერიტორია წარმოადგენდა.

ივანე ლიქოკელის ცნობით, „ცივ-გომბორის ზონის მთის კალთებზე გაბნეული მთიელების – თუშების, ქისტების, ფშავლების, ხევსურების სოფლების ახლომდებარე ტყეები მოსახერხებელი იყო თავდაცვის (ტყიანი მთა-გორაკები), სურსათ-სანოვაგის მომარაგების, საიმედო მოკავშირეების (მთიელების – ერთგული პატრიოტების) შემოკრებისა და დანარჩენ კახეთთან და თბილისთან (გომბორის ქედზე მოკლე გზით) მუდმივი კავშირის თვალსაზრისით. რაზმი უშიშროების მიზნით მალ-მალე იცვლიდა დაბანაკების ადგილს და მიემართებოდა გომბორის ქედის კალთების გაყოლებით სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ“ [23, 45-46].

აღნიშნული მარშრუტი ასე გამოიყურებოდა: ალვანი – პანკისის ხეობა – ახმეტა – აწყური – ბაკანა – აშროშანი – საკევრე – აყუდებული სალებე – ნადიკვარი – თეთრწყლები – კობაძე – პანტიანი – სეროდანი – გომბორი – (ამ ქედის სამხრეთ კალთებზე) – შალაური – კისისხევი – წინანდალი. აქედან შეფიცულთა გეზი მიემართებოდა ქიზიყისაკენ, რომელიც თანამედროვე სიღნაღისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს მოიცავს.

როგორც ელიზბარ ვაჩნაძე იგონებდა, თბილისიდან სოფელ კოლაგში ჩასულს შეუტყვია, რომ ქაქუცა თავისი რაზმით „ტყეში გასულა თორმეტ მარტს, ოცდაორ წელს... იგი პანკისის ხეობაში გადასულიყო, სოფელ დუისში (თიანეთის მაზრა)... ამ ადგილიდან ქაქუცამ მთელი რაზმი დაძრა და ქაქუცას სოფლის – მატანის მახლობლად დავბინავდით... გვაცნობეს, რომ ახმეტიდან ჩეკისტების რაზმი დაიძრაო... ქაქუცამ გადაწყვიტა მათი განადგურება. ჩეკისტებმა მართლა გამოიარეს, მაგრამ გადარჩნენ, რადგან ჯგუფად არ გამოუვლიათ და თითო-ოროლა გამვლელში მათი გამოცნობა ვერ შევძელით. ამის შემდეგ გავათავისუფლეთ ადრე დაჭერილი 15 ოსი და ვინაიდან ისინი ყველაფერს უამბობდნენ მთავრობას (და ასეც მოხდა), რაზმი იმ ადგილიდან აიყარა და სოფელ ახმეტასთან მდგარ ეკლესიაში დაბინავდა... ჩეკისტთა რაზმმა საყდრის მიდამოს ალყა შემოარტყა. დაუყოვნებლივ სროლაც დაიწყო. საბედნიეროდ, დათიკო ფარეულიძის ტყვიამ ჩეკისტთა მეთაური მოკლა, რამაც მათში არევ-დარევა შეიტანა. ჩვენ ეს მდგომარეობა გამოვიყენეთ და ალყიდან გავედით ყოველგვარ ზარალის გარეშე“ [22].

ივანე ლიქოკელის ცნობით, „რაზმი მცირე ხნით დაბინავდა პანკისში, პატარა ფშაური სოფლის სიახლოვეს, სადაც ადგილობრივ მცხოვრებთა გულთბილი დამოკიდებულებითა და სიახლოვით სარგებლობდა. 1922 წლის აპრილის ბოლოს, აღდგომა დღეს, მათ რაზმელებს მიართვეს მოსაკითხი – სურსათ-სანოვაგე, ზედაშე და მიჰგვარეს ერთი საკლავი (ცხვარი). აი, მაშინ, აღდგომა დღეს, რაზმის წევრმა და მტკიცე მეკავშირე დიმიტრი ცისკარაულმა, რომელიც აქაურ ხევსურთა უხუცესიც იყო, ურყევი ხევსურული რელიგიური ტრადიციით, საკლავითა და ფიც-ვერცხლით აკურთხა რაზმი და ქრისტეს რჯულით დაულოცა მას გამარჯვების გზა. სწორედ ამის გამო ეწოდა ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმს ამის შემდეგ „შეფიცულთა რაზმი“ [23, 47].

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ქართველ შეფიცულებს მალევე შეუერთდნენ ადგილობრივი ქისტები, რომელთა წინაპრებიც ჩეჩნეთიდან კახეთში XIX საუკუნეში ჩამოსახლდნენ და პანკისის ხეობაში დამკვიდრდნენ. ქისტი შეფიცულები, თავიანთ ქართველ თანაშეფიცულებთან ერთად, თავდადებით იბრძოდნენ ბოლშევიზმის წინააღმდეგ [23, 46; 24, 443-444], რომელიც ორივე ერის წარმომადგენლებისათვის იძულებით თავსმოხვეულ საოკუპაციო რეჟიმად აღიქმებოდა.

“შეფიცულთა რაზმის“ წევრი ელიზბარ გიორგის ძე მაყაშვილი (1905-1991) თავის ქისტ თანამებრძოლებს პატივისცემით იგონებდა ემიგრაციაში, საფრანგეთში ყოფნისას, 1982 წლის 14 თებერვალს შექმნილ ლექსში „შორის ქვეყნიდან პანკისის ხეობის მოსახლეობას“, რომელშიც ვკითხულობთ:

“მიყვარდა კოხტა პანკისი, ლამაზ ბუნებით შემკული,
მიყვარდა მათი მცხოვრებნი: ქისტი, ფშაველი და თუში,
ქისტების ლაღი ცხოვრება და პურ-მარილი განთქმული,
მათ ვაჟკაცობა, მხნეობა, პირში თქმა, ძმებად ერთგული,
უშიშარ იყვნენ და ბევრმა სამშობლოს თავი შესწირა.
თვალწინ მიდგანან ეხლაც კი – იდა, მიხაკო, ბათირა,
ჯოყოლოს ჭალის შიშინი, ალაზნის ტკბილი დენანი,
ომალოს ვაჟი გმირები: ქოსა, ღანიში, ლევანი,
მიტო, ზაქრო და დათიკო და ბევრნი სხვანი და სხვანი.
მეც მათთან ვიყავ ძმურადა, მიყვარდნენ, როგორც ძმანია.
მიწა მიჩანდა ქალამნად, მაღლა ზეცა კი ქუდათა,
ვსუნთქავდი წმინდა ჰაერით, თავს ვგრძნობდი თავისუფლადა.
ცხოვრებამ სხვა მხრივ ინება – უცხოეთს გადმოვიხვეწე,

დავბერდი, ვერ შევითვისე, უცხო ბუნება, უცხო ზნე.
ალბათ, დღეს აღარ არიან ჩემ მეგობარნი ძველნია,
მაგრამ თქვენ დარჩით ქისტებად, ვით მამა-პაპა თქვენია.
არ დაივიწყოთ ამაგი, მხნეობა მამა-პაპური,
რადგანაც თქვენში ტრიალებს ქისტური სული და გული.
ხანდახან სიზმრად მეჩვენის კოხტა პანკისის ხეობა,
მასში მცხოვრები ქისტები, მათი შნო, მათი მხნეობა.
შორით მოგიძღვნით თქვენ სალამს, თქვენგან შეზრდილი შვილია,
ღმერთსა ვთხოვ, ბევრი გეზარდოთ კვლავ სასახელო გმირია.
მშვიდობით დუის სოფელო, ომალო, ჩემო ჯოყოლო,
და თქვენსა გამარჯვებასა ბოლო არ ჰქონდეს არასდროს!
ამას გწერთ შორის ქვეყნიდან ალაზნის ველის შვილია.
ხანდახან მოიგონიეთ ელიზბარ მაყაშვილია“ [24, 445-446; 27, 67-68].

„შეფიცულთა რაზმის“ საბრძოლო ნათლობა 1922 წლის ივნისში, სიღნაღთან მოხდა. ამ რაზმის ორწლიანი ბრძოლა საქართველოში გაბატონებულ ბოლშევიკურ რეჟიმთან ამით დაიწყო.

იმავე წლის ზაფხულში, ხევსურეთისაკენ მიმავალ შეფიცულთა 60-კაციან რაზმს, რომელშიც ქართველთა გარდა, პანკისელი ქისტებიც შედიოდნენ, ფშავის სოფელ მაღაროსკართან ჩეკისტებთან შეტაკება მოუხდა. მათ ჩეკისტთა სამასკაციანმა შენაერთმა სოფლის სკოლასთან ჩასაფრება მოუწყო.

ელიზბარ ვაჩნაძე იგონებდა: „ბელადმა თავისი ძალები სასწრაფოდ გაანაწილა. ხუთი კაცი გალავანში გადაძვრა და მის უკან ამოფარებულ მტერს ათ ნაბიჯზე მიუახლოვდა. რაზმის უმრავლესობა კი მტრის პირისპირ განლაგდა. მე და სერგო მაისურაძე მტრის ზურგში მოსავლელად წავედით... გზაში 12 ჩეკისტს წავაწყდით. მათ ერთი სომეხი კომისარი მეთაურობდა. მას თურმე ნათქვამი ჰქონია ვიდრე თბილისიდან წამოვიდოდა: „ქაქუცას თავს ჩამოვიტანო“. ქაქუცასი კი არა, თავისიც ვერ ჩაიტანა... ეს ბრძოლა საერთოდ – თითქმის რვა საათამდე გაგრძელდა. მტერმა სასტიკი დამარცხება იგემა. დაეხოცათ ასამდე კაცი, დანარჩენებმა თავს უშველეს. ტყვედ ჩავიგდეთ 15 ჩეკისტი, რომელნიც უკლებლივ დაიხვრიტნენ... ამ ბრძოლის დროს ქაქუცა ტიფით იყო დაავადებული და ორმოცი გრადუსი სიცხე ჰქონდა, მაგრამ ბრძოლას დაწყებიდან ბოლომდე თვითონ უხელმძღვანელა. ამ ბრძოლის შემდეგ ხევსურეთისაკენ დავიძარით.., სადაც ქაქუცა დიდის ზეიმით მიიღეს... ავადმყოფი ქაქუცა ხევისბერის სახლში იწვა და

იქიდან ხელმძღვანელობდა მომავალ ოპერაციების სამზადისს“ [22].

1922 წლის 28 აგვისტოს ხევსურეთში სახალხო აჯანყებამ იფეთქა [26]. გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები ორწყალთან და ფხიტუს მთაზე, რომელიც ფასანაურიდან ოციოდე კილომეტრში მდებარეობს. საბჭოთა რეჟიმი ცდილობდა, რომ რაც შეიძლება მალე ჩაეხშო ეს აჯანყება და ქაქუცა ჩოლოყაშვილიც მოეკლა, რათა ის ჩეჩნეთში არ გადასულიყო.

როგორც ივანე ლიქოკელი აღნიშნავს: „ბოლშევიკები შიშობდნენ, რომ ჩოლოყაშვილი... ქისტეთში არ გადასულიყო და საბჭოთა ხელისუფლებისათვის კიდევ უფრო გართულებები არ მოემზადებინა თვით ჩრდილო კავკასიაშიც. მათ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ საამისო ნიადაგს ქ. ჩოლოყაშვილი ამზადებდა ჯერ კიდევ კახეთში ყოფნის დროს იქაური (პანკისის ხეობაში მცხოვრები) ქისტების მეშვეობით. აკი ჰყავდა კიდევაც თავის რაზმში მათი წარმომადგენლები“ [23, 102-103].

იმავე წლის სექტემბრის დასაწყისში ბოლშევიკებმა დახვრიტეს მეტეხის ციხეში მჯდარი „შეფიცულთა რაზმის“ მამაცი მებრძოლი, ზემოხსენებული კონსტანტინე დავითის ძე ჩოლოყაშვილი (1898-1922), რომლის ვაჟიც ეთნოლოგი კონსტანტინე (კოტე) ჩოლოყაშვილი (1922-2013) გახლდათ.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლშევიკურმა რეჟიმმა სისხლში ჩაახშო ხევსურეთის აჯანყება, ქაქუცამ და მისი ხელმძღვანელობით მოქმედმა „შეფიცულთა რაზმმა“ იქიდან უვნებლად გამოაღწია.

ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან კავშირის დამყარებისა და კოორდინირებული მოქმედების მიზნით, საქართველოში პარტიზანული ბრძოლის ბელადის – ქაქუცა ჩოლოყაშვილის საგანგებო დავალებით, მისი თანამებრძოლი ალექსანდრე სულხანიშვილი (1895-1990) კავკასიონის ქედს გადაღმა რამდენჯერმე საიდუმლოდ გადავიდა. ამ კონფიდენციალური ვიზიტისას მას თან ახლდა წარმოშობით არხოტელი აბიკა გიგაური, რომელიც ჩეჩნურ ენას კარგად ფლობდა. ორივე დელეგატს არაერთი ქისტი ძმადნაფიცი ჰყავდა. ჩეჩენთა რაზმს, რომელიც ხევსურთა დასახმარებლად მოდიოდა, ქაქუცამ თავის წარმომადგენელთა საშუალებით შეატყობინა, რომ აჯანყება უკვე ჩაახშვეს და მათ დასახმარებლად აღარ ჩამოსულიყვნენ [23, 107].

ქაქუცას წარმომადგენელი ალექსანდრე სულხანიშვილი შეხვდა ჩეჩენთა და ინგუშთა გავლენიან პიროვნებებს, რომელთაგან გამოირ-

ჩეოდნენ ჩეჩენი პოლიტიკური და რელიგიური ლიდერები – ალი ბამათ-გირეის ძე მიტაევი (1881-1925) და ათაბაი უმაევი.

მიტაევი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ ჩეჩენთა და ინგუშთა, არამედ, მეზობელ, ჩრდილოკავკასიელ ხალხთა შორის. მას 1923 წლის აპრილში, ურუს-მართანში შეხვდა ა. სულხანიშვილი, რომელიც ამის თაობაზე თავის მოგონებებში ვრცლად მოგვითხრობს.

სულხანიშვილის დახასიათებით, „ალი იყო შუა ტანის, ოდნავ პირნაყვავილარი, კარგი შესახედი მამაკაცი. ის ჩინებულად ლაპარაკობდა რუსულად... ძალიან კარგად მიგვიღო“ [21, 119].

ქართველმა შეფიცულმა თავის ჩეჩენ მოკავშირეს შემდეგი სიტყვით მიმართა: „ბატონო ალი, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ როგორ სარგებლობდა რუსეთი კავკასიელებს შორის უთანხმოებითა და მტრობით. ის არა მარტო ხელს უწყობდა, არამედ ცდილობდა უფრო მეტად გამწვავებულიყო მათ შორის შუღლი. ისიც კარგად მოგეხსენებათ, რომ ცხოვრებაში ყველას მოსდის შეცდომები.

აი, დღეს, ნათლად ვხედავთ ჩვენი წინაპრებისა და ჩვენს შეცდომებს, რომლებიც ძვირად დაგვიჯდა. ჩვენი, მთელი კავკასიელების შეცდომა ის იყო, რომ როდესაც საქართველო ებრძოდა რუსებს, ჩრდილოეთი არაფერს არ ფიქრობდა და როდესაც მთელი კავკასიელების საამაყო შვილი შამილი ებრძოდა რუსებს, საუბედუროდ, პატარა ნაწილი ქართველებისა მიემხრო რუსებს. ეს მაშინ, როდესაც მთელ კავკასიელ ერებს, როგორც ერთს, ისე უნდა ებრძოლა რუსეთის წინააღმდეგ! მაგრამ გაიხსენეთ, რა განწყობილება იყო წარსულში დაღესტანსა და საქართველოს შორის: როდესაც საქართველო ეომებოდა ვისმე, დაღესტანი ზურგში გვირტყამდა, ტყვედ მიჰყავდათ ქალები, კაცები, ბავშვები. ეს იყო მთავარი მიზეზი და რუსების პროპაგანდა, რომ ნაწილი ქართველებისა შამილის წინააღმდეგ წავიდა. არ იფიქროთ ერთი წუთით, რომ მე ამ გარემოებას ვამართლებ. პირიქით, ვწუხვარ. ჩვენმა წინაპრებმა ვერ გაითვალისწინეს, რომ რუსეთია ჩვენი საერთო მტერი და მათი შეცდომები დღეს ჩვენ გვიხდება ბარგად და საზიდად. ჩვენ, კავკასიელი ერები, ძალიან ვგავართ ერთმანეთს რაინდობით, ზნე-ჩვეულებით, ტრადიციით და მრავალი სხვით. მხოლოდ რელიგიაშია განსხვავება: სამხრეთი – ქრისტიანულია, ჩრდილოეთი – მუსულმანური, მაგრამ ამან რატომ უნდა დაუშალოს ჩვენს მეგობრობასა და ჩვენი ქვეყნების ინტერესებს? ჩვენ, ქართველებს გვყვანან ქართველი მუსულმანები, რაც სრულიად არ უშლის ჩვენს ძმობას.

ბატონო ალი, დღეს მე მოვედი თქვენთან. გამოგზავნილი ვარ ჩემი ბელადისაგან, რომელიც აგრძელებს ჩვენი წინაპრების და შამილის დაწყებულ საქმეს. მე მინდა გთხოვოთ პირადად თქვენ, როგორც გავლენიან პირს ჩრდილო კავკასიაში, რომ გადასცეთ თქვენს ხალხს ჩვენი, ქართველების სურვილი და მისწრაფება: ბოლო მოეღოს ჩვენს შორის მტრობას და ყოველივე იმ საქციელს, რომელიც არ შეჰფერის ჩვენ რაინდობას და ხელს უშლის ჩვენი ქვეყნების თავისუფლებას" [21, 119-120].

ქაქუცას წარმომადგენელს ალი მიტაევმა განუცხადა: „რაც თქვენ დღეს მითხარით, მე მგონია, თითქოსდა ეს ყველაფერი მე გითხარით, იმდენად ამოჰკრიფეთ ჩემი გულთნადები... მე ვხედავ და დიდად ვაფასებ თქვენს გულწრფელ და პატრიოტული გრძნობით აღსავსე გულისთქმას" [21, 120].

მიტაევმა აღტაცება ვერ დაფარა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი „ქართველ შეფიცულთა რაზმის" აქტიური, თავგანწირული საქმიანობით და ბოლშევიკებთან მებრძოლ ქართველებს დახმარებას დაჰპირდა.

როგორც ა. სულხანიშვილი შენიშნავს: „მიტაევმა თავის თავზე აიღო კავშირის გაბმა მეზობელ ეროვნებებთან. მისთვის ეს ბევრად უფრო ადვილი იყო, რადგან მას ყველგან ჰყავდა ნაცნობობა, რომელთა შორისაც იგი დიდი გავლენით სარგებლობდა" [21, 121].

1923 წლის ზაფხულში ჩეჩნეთში მყოფი ა. სულხანიშვილი ათაბაი უმაევთან ერთად ორი კვირის განმავლობაში დადიოდა ითუმყალის რაიონის სოფლებში, მართავდა კრებებს და აგროვებდა მებრძოლებს „შეფიცულთა რაზმთან" შესაერთებლად. ერთ-ერთ ასეთ კრებაზე მათ ათასზე მეტი მეომარი შეაგროვეს. უმაევმა თავის წარმომადგენლად თუშეთში მიავლინა როსტომ ქავთარაძე, რომელმაც ჩეჩნებისათვის გზის გახსნა მოითხოვა. საზღვრების ჩაკეტვის გამო, ჩეჩენთა რაზმის კახეთში გადმოყვანა ვერ მოხერხდა.

აღსანიშნავია, რომ ჩრდილო კავკასიაში პირადად ჩავიდა ქ. ჩოლოყაშვილიც, რომელიც ა. უმაევსა და ა. მიტაევს შეხვდა. ეს უკანასკნელი მას „დაჰპირდა დახმარების აღმოჩენას ამბოხების ორგანიზაციის საქმეში კავკასიის მასშტაბით" [29, 46-47].

ჩოლოყაშვილს ალი მიტაევმა აღუთქვა: „ოღონდ თქვენ – ქართველები აჯანყდით და მაშინვე მთელს კავკასიას თქვენს გვერდით დავაყენებო" [30, 153].

ქაქუცას დავალებით ჩეჩნეთში არაერთხელ გადავიდა შეფიცულ-

თა რაზმის ერთ-ერთი წევრი ბათაყა ცათიაშვილი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პანკისელი ქისტი გახლდათ. ერთ-ერთი ასეთი გადასვლისას მთიან ჩეჩნეთში, იგი ითუმ-ყალაში შეუძლოდ გახდა და გარდაიცვალა. დაკრძალულია იქვე [27, 62].

აჯანყების ერთ-ერთი ხელმძღვანელის იასონ ჯავახიშვილის ცნობით, ქაქუცამ 1923 წლის აგვისტოში წერილი გაუგზავნა გიორგი წინამძღვრიშვილს და უსაყვედურა, თუ რატომ არ ამყარებდა კავშირს ჩრდილოეთ კავკასიასთან, რომლის ხალხებსაც ერთობლივი აჯანყების მოწყობაში კოლოსალური სამსახურის გაწევა შეეძლოთ. იმავე წერილში ქაქუცას აღუნიშნავს: „პირადად ვიყავი ჩეჩნეთში ჩეჩენთა შორის ერთ-ერთ უაღრესად გავლენიან პირთან, ვინმე შეიხ ალი მიტაევთან, რომელმაც კავკასიის მასშტაბით აჯანყების მოწყობაში დახმარება აღმითქვაო“ [31, 323].

ქაქუცა ჩოლოყაშვილს გიორგი წინამძღვრიშვილისათვის ალი მიტაევის მისამართი და პაროლიც გაუგზავნია.

იმავე წლის ოქტომბერში, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა პარიტეტული კომიტეტის სამხედრო კომისიის გადაწყვეტილებით, ჩრდილო კავკასიაში ასეთივე მისიით ჩავიდნენ გიორგი წინამძღვრიშვილი და კონსტანტინე ყარანგოზიშვილი.

ქ. ჩოლოყაშვილის რეკომენდაციით, ისინი შეხვდნენ ა. მიტაევს, რომელიც ანტიბოლშევიკური მოძრაობის ქართველ თავკაცებს სრულ მხარდაჭერას დაჰპირდა. მან რამდენიმე ათასი მეომრის გამოყვანა ივალდებულა. ამასთანავე, მათ გასაწვრთნელად, 50 ქართველი ოფიცერ-ინსტრუქტორის ჩეჩნეთში ჩასვლა ითხოვა.

კავკასიის ანტიბოლშევიკურ ძალთა გაერთიანების მიზნით, აუცილებელი იყო, რომ ა. მიტაევი შერიგებოდა თავის მოწინააღმდეგეს – დაღესტნელ იმამს ნაჟმუტდინ გოცინსკის (გაცინზეის). ჩეჩენი ხალხის ღირსეულმა შვილმა ამისათვის მზადყოფნა გამოთქვა და ნაჟმუტდინს შერიგება წერილობით შესთავაზა [29, 48-49].

გ. წინამძღვრიშვილი ქ. გროზნოში თითქმის მთელი კვირა დარჩა. განსაზღვრულ საკითხთა მოგვარების შემდეგ ის თბილისში დაბრუნდა [32, 26].

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე გ. წინამძღვრიშვილმა თავისი მისიის შესახებ გაკეთებულ მოხსენებაში აღნიშნა: „ალი მიტაევი, რო-

გორც წმინდა პირი, ჩეჩენთა შორის განუსაზღვრელი გავლენით სარგებლობს; ჩეჩენთა ხალხის მასა კი აჯანყებისათვის კარგი მასალაა, საჭიროა მარტოოდენ ცნობილი ხელმძღვანელობა“ [31, 325].

ოქტომბრის მიწურულს ა. მიტაევმაც გამოგზავნა თბილისში თავისი წარმომადგენელი, რომელსაც უკან დაბრუნებისას ქართველმა პატრიოტებმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ლეო დგებუაძე გააყოლეს.

1924 წლის იანვრის დასაწყისში თბილისში დაბრუნებულმა ლ. დგებუაძემ განაცხადა, რომ ჩრდილოკავკასიელ მთიელ ხალხებს 60 ათასამდე მეომრის გამოყვანა შეეძლოთ. მათი მომზადების მიზნით ის საჭიროდ თვლიდა ქართველ სამხედრო ინსტრუქტორთა დიდი ჯგუფის გაგზავნას.

საქართველოს პარიტეტულმა კომიტეტმა ჩრდილო კავკასიაში თავის „სრულუფლებიან პოლიტიკურ წარმომადგენლად“ მიხეილ იშხნელი გაგზავნა. იგი იანვრის მიწურულს ჩეჩნეთში ჩავიდა და სოფელ ალდუნში ინტენსიური მოლაპარაკებები აწარმოა ა. მიტაევთან და მის მიერ საგანგებოდ მოწვეულ მეჯლისთან. მეჯლისის ერთ-ერთ სხდომას დაესწრო საგანგებოდ მოწვეული თერგის კაზაკთა წარმომადგენელი, პოლკოვნიკი ფედიუშკინი, რომელმაც საერთო მტერთან – ბოლშევიკებთან ბრძოლაში კავკასიელებს თანადგომა აღუთქვა [31, 326].

იმავე წლის ივნისის მიწურულს, პარიტეტული კომიტეტის დავალებით, ჩრდილო კავკასიაში ჩავიდა დელეგაცია, რომელსაც სათავეში ედგა ეროვნულ-დემოკრატი ივანე ავალიშვილი – ძმა გამოჩენილი მეცნიერისა ზურაბ ავალიშვილისა. მას თან ახლდნენ ქართული არმიის ოფიცრები ნიკოლოზ ნაკაშიძე და ვლადიმერ ბერიძე, რომელიც ასევე ეროვნულ-დემოკრატი იყო.

გროზნოში ჩასულმა ქართველმა დელეგატებმა ჩეჩენი ხასი ლატიროვისაგან შეიტყვეს, რომ მათი ერთგული მოკავშირე ა. მიტაევი დაპატიმრებული იყო. 22 აგვისტოს ისინი თბილისში დაბრუნდნენ. იმხანად, აჯანყების საკითხი საქართველოში უკვე გადაწყვეტილი იყო. არსებობს ცნობა, რომ „გაცხარებულ სამზადისში მყოფი პარიტეტული კომიტეტი ალი მიტაევის დაპატიმრებამ მეტად შეაფიქრიანა და მან ხელახლა გაგზავნა კავკავში ბერიძე და ავალიშვილი“ [29, 49-52].

აქვე დავსძენთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაპატიმრებული ალი მიტაევი 1925 წელს, დონის როსტოვში დახვრიტეს [33].

ფაქტია, რომ ანტიბოლშევიკურ ბრძოლაში ჩრდილოკავკასიელთა ჩაბმა, სხვა მიზეზებთან ერთად, ამანაც შეაფერხა.

მიუხედავად ამისა, პარიტეტული კომიტეტის მიერ ჩრდილო კავკასიაში აგვისტოში გაგზავნილმა ქართველმა დელეგატებმა ი. ავალიშვილმა და ვ. ბერიძემ სცადეს, რომ ჩრდილოკავკასიელებთან ურთიერთობა ვლადიკავკაზში მცხოვრები ზაურ-ბეკ ახუშკოვის მეშვეობით დაემყარებინათ, მაგრამ ისინი დააპატიმრეს [29, 52-53].

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავეების კავშირზე ჩრდილოკავკასიელებთან მეტყველებს დოკუმენტები, რომლებიც დაცულია საქართველოს პრეზიდენტის არქივში [34, 25-26].

აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე სულხანიშვილმა, რომელმაც „ქართველ შეფიცულთა რაზმის" წევრთაგან ყველაზე დიდხანს – 95 წლამდე იცოცხლა, თავის ქისტ თანამებრძოლებს დიდი სიყვარულით და პატივისცემით იხსენებდა. იგი 1981 წელს, სან-ფრანცისკოში გამოცემულ წიგნში „მოგონებები შეფიცულთა რაზმზე (1922-1924)" თავის ერთ-ერთ ქისტ მეგობარს ასე იგონებდა: „დათიკო ფარეულიძე, ჩემი ძმადნაფიცი, პანკისელი ქისტი და ძალიან მაგარი ვაჟკაცი" [21, 32]. თავისი მოგონებების სხვა ადგილას სულხანიშვილი იმავე ძმადნაფიცის შესახებ წერს: „35 წლის მაგარი ვაჟკაცი იყო და ამასთანავე, საუკეთესო მსროლელიც" [21, 75].

1988 წლის ივლისში გამართული სსრკ-აშშ-ის სამშვიდობო სვლის ერთ-ერთი მონაწილე, თბილისიდან გაგზავნილი ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი სან-ფრანცისკოში შეხვდა 93 წლის ალექსანდრე სულხანიშვილს, რომელმაც ქაქუცა ჩოლოყაშვილის ნაქონი ხმალ-ხანჯალი გამოატანა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისათვის გადასაცემად (როგორც საჩუქარი).

პაატა ნაცვლიშვილი, ვისაც წილად ხვდა პატივი, რომ ქაქუცასეული იარაღი სამშობლოში ჩამოეტანა, ამ რელიქვიების ოფიციალურ ვითარებაში გადმოცემის ცერემონიას (რომელსაც ჩეჩენი ჟურნალისტი შარიპ იუსუპოვიც დაესწრო) ასე იგონებდა: „ყველანი წრეზე შევგროვდით. ალექსანდრე სულხანიშვილმა... წაიკითხა ტექსტი, რომელიც ერთად შევადგინეთ მის სახლში... აღვუთქვი, თქვენი საჩუქარი თბილისის რომელიმე მუზეუმში დაიდებს-მეთქი ბინას... სულხანიშვილმა იარაღს აკოცა და გადმომცა. მადლობის თქმა ბოლომდე არ

დამაცადეს, მთელი ბანაკი შემოგვეხვია, ყველას უნდოდა ენახა, რას წარმოადგენდა ნივთები, რომლებსაც მოხუცი ემიგრანტი ათეული წლების განმავლობაში ინახავდა და დღეს ბედნიერი იყო იმით, რომ სამშობლოს უბრუნდება... შარიპ იუსუფოვიც მოვიდა – საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის ჟურნალის საერთაშორისო მიმომხილველი. ალექსანდრე სულხანიშვილი კარგა ხანს ესაუბრებოდა მას თავის მოგზაურობაზე ჩრდილოეთ კავკასიაში... შარიპი აღფრთოვანებული იყო. მერე კიდევ სხვები შემოეხვივნენ ბატონ საშას, ხელს ართმევდნენ, კოცნიდნენ. ბატონმა საშამ აქ უკვე ველარ შეიკავა ცრემლები... არა, ხმალ-ხანჯალს კი არ მისტიროდა, ვინ იცის, იქნებ ამ ნივთებს შენატროდა კიდეც, სამშობლოში რომ ბრუნდებოდნენ" [35, 18-19].

აქვე დავსძენთ, რომ ალექსანდრე სულხანიშვილი ერთადერთი შეფიცული აღმოჩნდა, რომელმაც სამშობლოში დაბრუნება მოახერხა. იგი 1990 წლის შემოდგომაზე დაბრუნდა საქართველოში, სადაც მალევე გარდაიცვალა. დაკრძალულია სოფელ აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიაში.

1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოში იფეთქა ანტიბოლშევიკურმა სახალხო აჯანყებამ, რომელიც რამდენიმე დღეს გაგრძელდა. საბოლოოდ, ეს აჯანყება სისხლში ჩაახშო საბჭოთა რეჟიმმა, რომელმაც მთელი ქვეყნის მასშტაბით სასტიკი რეპრესიები გააჩაღა [34]. უშუალოდ ბრძოლის ველზე დაღუპულ და აგრეთვე, აჯანყებაში მონაწილეობისა და თანაგრძნობისათვის დახვრეტილთა საერთო რაოდენობამ 4 ათასს მიაღწია [31, 190].

ამ აჯანყებაში მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი თავადაზნაურული წარმომავლობისა იყო. საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მონაცემებით, ადგილობრივი „ჩეკას" მიერ დახვრეტილთაგან 333 ქართველი, წოდებით – თავადი ან აზნაური იყო [37, 33].

მიხეილ ქავთარაძე აღნიშნავდა, რომ კრემლის მიერ წამოწყებული „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის" ანუ „ნეპის" დასრულება მოხდა რამდენიმე წლით უფრო გვიან, ვიდრე აგვისტოს აჯანყება. ამგვარად, ცხადია, რომ აგვისტოს აჯანყება ეკონომიკური შევიწროებით ან ხალხის გაღატაკებით არ იყო გამოწვეული, არამედ მას უეჭველად მხოლოდ ეროვნული საფუძველი ჰქონდა. ახლა ჩემთვის ადვილია კრიტიკული ანალიზის გაკეთება აგვისტოს აჯანყების წინასწარ განწირულობაზე. მაგრამ მაშინ, ცხადია, მეც ისევე „მთვრალი" ვიყავი და კი-

დევაც უნდა ვყოფილიყავ, ჩემი ასაკის გამო, როგორც მთელი ქვეყანა იყო. ამ აჯანყების წინა წლების განმავლობაში, მთელი ქართველი ახალგაზრდობა მზად იყო ტყეში გასულ ქაქუცა ჩოლოყაშვილს შეერთებოდა. მეც ამასვე ვოცნებობდი ყველა ჩემს ნაცნობ ტოლებთან ერთად“ [38, 74].

აჯანყების დამარცხების შემდეგ, ქაქუცა ჩოლოყაშვილის ხელმძღვანელობით მოქმედი „შეფიცულთა რაზმის“ წევრთა უმეტესობა იძულებული გახდა, რომ სამშობლო დაეტოვებინა.

პანკისის ხეობის მკვიდრი ნათელა ცათიაშვილი იგონებდა: „როდესაც ქაქუცამ საქართველო დატოვა, მან თავისი კუთვნილი მამულები, რომლებიც ალაზნის პირას, დუისის გაღმა ჰქონდა, ქისტებს დაუტოვა, მათ შორის ბაღაკაშვილების ოჯახსაც. ქაქუცას სამშობლოდან გაცილებაც სწორედ პანკისის ხეობაში, ბაღაკაშვილების ოჯახიდან მოხდა“ [27, 66].

1924 წლის სექტემბერში, ქაქუცამ, თავის 26 თანამოაზრესთან ერთად, საიდუმლოდ გადალახა სსრ კავშირისა და თურქეთის საზღვარი და საფრანგეთში წავიდა. მასთან ერთად იყვნენ: სპირიდონ ჭავჭავაძე, ალექსანდრე სულხანიშვილი, ელიზბარ ვაჩნაძე, ელიზბარ მაყაშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე, რაფიელ ერისთავი (არაგვის), შალვა ამირეჯიბი, ჯონჯი დადიანი, ლევან/ლელო ჩიქოვანი, ალექსანდრე კარგარეთელი, სერგო მაისურაძე, ალექსანდრე ბადურაშვილი, ალექსი ფეიქრიშვილი, ილია ქარუმიძე, ალექსანდრე ცხვედაძე, გოლა პავლიაშვილი, შალვა ნებიერიძე, შალვა და ლევან ჯავრიშვილი, მიხეილ ლაშქარაშვილი, დავით რევაზიშვილი, გაბრიელ/გაბლა ბერბიჭაშვილი, სარდიონ კუჭავა, თომა ბექაური, ვასილ (ვასო) მარჯანიშვილი და სვიმონ/სიკო ალიმბარაშვილი [39, 40].

არსებობს ცნობა, რომ ემიგრაციაში გახიზნულ შეფიცულებს შეუერთდნენ პანკისელი ქისტი ნოვენარგ გაურგაშვილი [26, 130] და ერთი გათუშებული ქისტი სოფელ ბირკიანიდან, რომლის სახელიც უცნობია [27, 62].

ემიგრაციაში წასვლის მიუხედავად, ქართველ, ჩეჩენ და ინგუშ და დანარჩენ ჩრდილოკავკასიელ პატრიოტებს ურთიერთკავშირი არ გაუწყვეტიათ, თუმცა ეს საკითხი წინამდებარე გამოკვლევის ჩარჩოს სცილდება.

საგულისხმოა, რომ შეფიცულთა რაზმის ქართველ წევრთა უმრავლესობის მსგავსად, პანკისელმა ქისტმა შეფიცულებმაც საქარ-

თველოში დარჩენა ამჯობინეს. ბოლშევიკურმა რეჟიმმა მათზე ნადირობა გააჩაღა. ვინაიდან ეს საკითხი შესწავლილია [27, 62-64], მის შესახებ საუბარს აღარ გავაგრძელებთ.

ამრიგად, საქართველოში გაბატონებულ ბოლშევიკურ რეჟიმთან ორ (1922-1924) წელიწადზე მეტხანს მებრძოლ „შეფიცულთა რაზმს" კავშირი ჰქონდა როგორც პანკისის ხეობის მკვიდრ ქისტებთან, ასევე, ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ ჩეჩნებთან და ინგუშებთან. საბჭოთა ხელისუფლებას ქართველ შეფიცულთა მხარდამხარ, პანკისელი ქისტებიც თავდადებით ებრძოდნენ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Джавахишвили Н., Борьба за свободу Кавказа (Из истории военно-политического сотрудничества грузин и северокавказцев в первой половине XX века), Тбилиси, 2005.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწერა 1, საქმე 655.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1861, აღწერა 2, საქმე 13.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1969, აღწერა 2, საქმე 34.
5. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 2037, აღწერა 1, საქმე 7.
6. ცერცვაძე კახა, ბახტაძე მიხეილ, საქართველო და ერთიანი კავკასია (1918-1921 წლების საარქივო დოკუმენტები), თბილისი, 2000.
7. ცერცვაძე კახა, ბახტაძე მიხეილ, დოკუმენტები საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ურთიერთობების შესახებ 1918-1921 წლებში, თბილისი, 2000.
8. ცერცვაძე კახა, ბახტაძე მიხეილ, რამდენიმე დოკუმენტი საქართველო-ჩრდილო კავკასიას შორის არსებული სასაზღვრო რეჟიმის შესახებ 1918-1921 წლებში, თბილისი, 2000.
9. ცერცვაძე კახა, ბახტაძე მიხეილ, მოხსენებითი ბარათი ავარიის მხარის საქართველოსთან შეერთების შესახებ, თბილისი, 2000.
10. Анчабадзе Г., Вайнахи (чеченцы и ингуши), Тбилиси, 2002.
11. Джабаги В. Г., Из истории провозглашения независимости Респуб-

лики Северного Кавказа, «Свободный Кавказ», Орган Кавказской национально-демократической мысли, № 5 (20), Мюнхен, Германия.
12. კვინიტაძე გიორგი, მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921, ტომი I, თბილისი, 1998.
13. Javakhishvili N., From the history of cooperation among the Caucasian political Emigres: 1921 – the early 1940 S., «The Caucasus and globalization», Journal of Social, Political and Economic Studies, Institute of strategic studies of the Caucasus, CA&CC Press, Sweden, volume 3, issue 4, 2009.
14. Джавахишвили Н., Из истории политического сотрудничества кавказских эмигрантов (в период с 1921-го до начала 1940-х годов), «Кавказ и глобализация", журнал социально-политических и экономических исследований, Институт стратегических исследований Кавказа, CA&CC Press, Швеция, том 3, выпуск 4, 2009.
15. ქავთარაძე მიხეილ, სპირიდონ კედია, ჟურნალი „ივერია", № 22, პარიზი, 1979.
16. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, წგნ.: „ქართლის ცხოვრება", ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი IV, თბილისი, 1973.
17. ბაგრატიონი იოანე, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (მასალა ისტორიისათვის), რედაქტორი და გამომცემელი ზურაბ კაცელაშვილი, თბილისი, 1997.
18. ჯავახიშვილი დავით, ბაგრატიონთა კახეთის შტოს დემოგრაფიული განვითარება (XV-XXI საუკუნეები), თბილისი, 2020.
19. თოფჩიშვილი როლანდ, საქართველოს თავადაზნაურთა გვარების ისტორია, მეორე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბილისი, 2021.
20. ჩიჯავაძე-კედია სოფიო, ნასმენ-სახული, პარიზი, 2002.
21. სულხანიშვილი ალექსანდრე, ჩემი მოგონებები შეფიცულთა რაზმზე (1922-1924), სან-ფრანცისკო, 1981.
22. ქავთარაძე მიხეილ, ელიზბარ ვაჩნაძის მოგონებანი, ჟურნალი „ივერია", № 20, პარიზი, 1978.

23. ლიქოკელი ივანე, ხევსურები და ქაქუცა, თბილისი, 2006.
24. ხანგოშვილი ხასო, ქისტები, თბილისი, 2005.
25. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის არქივი, ფონდი 600, აღწერა 2, საქმე 21.
26. ქისტები, 100 ამბავი, ავტორ-შემდგენელი ხასო ხანგოშვილი, თბილისი, 2020.
27. ხანგოშვილი მექა, ქისტები, რომლებმაც შექმნეს პანკისის ხეობის ისტორია, თბილისი, 2024.
28. იასონ ჯავახიშვილის სიტყვა, ჟურნალი „გუშაგი", № 3, პარიზი, 1984.
29. საქმე საქართველოს ანტისაბჭოთა პარტიების პარიტეტული კომიტეტის შესახებ (საბრალმდებლო დასკვნა), თბ., 1925.
30. კირთაძე ნესტან (ელისაბედ), 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
31. კირთაძე ნესტან (ელისაბედ), კაენ, სად არის ძმა შენი?! ქართველთა ისტორიის სისხლიანი ფურცლები (1921-1930 წწ.), წიგნი პირველი, თბილისი, 1998.
32. ზალდასტანიშვილი სოლომონ, საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბილისი, 1994.
33. Митаев, Али Бамат-Гиреевич – Википедия (wikipedia.org)
34. საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფონდი 14, აღწერა 2, საქმე 28.
35. ნაცვლიშვილი პაატა, საქართველოს მიწა, თბილისი, 1994.
36. გრძელიძე რევაზ, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1992.
37. ენდელაძე თენგიზ, ტრაგიკული 1924, თბილისი, 2004.
38. ქავთარაძე მიხეილ, ბავშვობისა და ყრმობის წლები, წიგნში: „ცხოვრების 100 წელი", შემდგენელი ნანა ქავთარაძე, თბილისი, 2007.
39. კარგარეთელი ალექსანდრე, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, პარიზი, 1981.

Niko Javakhishvili
Doctor of historical sciences, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Chief scientist-researcher of the Department Modern and Contemporary History

Georgian-Vainakh Battle Community Papers. From the history of alliance of „The detachment of Georgian Oaths" with the Chechens and Ingushs (1922-1924)

Summary

The relationship history between the Georgians and the North Caucasian peoples dates back to the depths of centuries. During the long coexistence, these peoples were both in good neighborly relations and confrontations as well. After the collapse of the Russian Empire, the military-political cooperation of the Georgian and the North Caucasian peoples resumed, which became especially intense since the end of 1917. The Georgian Democratic Republic and the Mountainous Republic of the North Caucasus were strategic partners.

After the occupation of Georgian Democratic Republic (1921), as the Soviet regime pushed for the efforts to consolidate their power in Georgia, an underground opposition movement emerged. In February 1922, Georgian Prince Kaikhosro/Kakutsa Cholokashvili (1888-1930), a former colonel in the Georgian army, was arrested by the Soviet secret services on charges of „counter-revolutionary activities" in the town of Sighnaghi in his native Kakheti (a region of the East Georgia), but fled and went to the mountainous Pankisi Valley (northwestern part of Kakheti), where he formed a group of followers known as „The detachment of Georgian Oaths" („ქართველ შეფიცულთა რაზმი").

For more than two years of existance (1922-1924) „The detachment of Georgian Oaths" had contacts both with Kists (in Georgian – united name of Vainakhs/Veinakh peoples – Chechens and Ingushs) of Pankisi Valley and with Chechens and Ingushs – living in the North Caucasus. After the Bolsheviks crushed the uprising by taking refuge in the mountains of eastern Georgia and Chechnya and Ingushetia, Kakutsa and his militants held out for two years. Revenge murders by Soviet secret executioners made him a national hero. Foreign diplomats reported that the „Chelokaev case" caused a lot of trouble for the Bolshevik military commanders.

At the end of August 1924, K. Cholokashvili again left his mountain retreat to join a larger anti-Soviet uprising in Georgia. He took command of the largest insurgent unit operating in the East Georgia. Pursued by Soviet troops, Kakutsa escaped several times before conceding defeat.

In September 1924, K. Cholokashvili and 26 associates smuggled across the border into Turkey and settled in France.

Thus, the Kists from the Pankisi Velley, together with Georgian patriots, fought heroically against the Soviet regime.

ქეთევან მანია
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

1924 წლის აჯანყების ასახვა ქართული ბეჭდური მედიაში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მტკივნეული მოვლენა იყო ქართველი ერის ისტორიაში. დამოუკიდებლობის დაკარგვას ვერ ეგუებოდა ქართველობა, რასაც ლოგიკურად მოჰყვა აქტიური პოლიტიკური ბრძოლა თავისუფლებისათვის. ამის თვალსაჩინო მაგალითია საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში განვითარებული მოვლენები, მათ შორის, 1924 წლის აჯანყება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნული საკითხი მრავალი ასპექტით არის შესწავლილი. 90-იანი წლებიდან, ქართული ისტორიოგრაფიის იდეოლოგიური წნეხისგან განთავისუფლების შემდეგ, სპეციალისტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა შესაბამისი საარქივო მასალა, რამაც მკვლევრებს მისცა შესაძლებლობა გადაეხედათ 1924 წლის აჯანყების შესახებ არსებული თვალსაზრისები, 1924 წლის აჯანყება შეფასდა როგორც ეროვნული მოძრაობა. აჯანყების სახალხო ხასიათზე ერთ-ერთი პირველი მიუთითებს ა. სონღულაშვილი. იგი აღნიშნავს, რომ გამოსვლების მიზეზი იყო საბჭოთა ხელისუფლების ძალით დამყარება საქართველოში. მკვლევრის დასკვნით აჯანყების მონყობაში გარკვეული როლი ითამაშა ემიგრანტულმა მთავრობამ და მასში მონაწილეობას იღებდა მშრომელების დიდ ნაწილი, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში [1, 77-88]. რ. გრძელიძის ნაშრომში „1924 წლის აგვისტოს სახალხო აჯანყება საქართველოში," საარქივო დოკუმენტების საფუძველზე გაანალიზებულია აჯანყების ხასიათი, მონაწილეთა სოციალურ-კლასობრივი და პოლიტიკური მდგომარეობა. მისი დაკვირვებით, აჯანყების მთავარ ბირთვს ინტელიგენცია, გლეხობა, ყველა ფენის ახალგაზრდობა წარმოადგენდა [2, 30]. საარქივო მასალებზე დაყრდნობით აჯანყების საერთო-სახალხო ხასიათზე მიუთითებს ნ. კირთაძეც, რომელმაც სპეციალური ლიტერატურა გაამდიდ-

რა მრავალი მანამდე უცნობი დოკუმენტით [3; 4]. არაერთი საყურადღებო ფაქტის დადგენა-დაზუსტება გახადა შესაძლებელი ო. ჯანელიძემ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრანტული მთავრობის მიერ აჯანყების მომდევნო დღეებში ჩატარებული სხდომების ოქმების გამოვლენა-გამოქვეყნებით [5, 191-199; 6, 123-129]. უცნობი საარქივო მასალების საფუძველზე დიდ სახალხო აჯანყებაზე მიუთითებს ავტორთა (ა. დაუშვილი, მ. ნათმელაძე, მ. ჯაფარიძე, კ. წენგუაშვილი) ჯგუფი ნაშრომში „საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში“ [7, 449-450].

ფრიად საინტერესო ინფორმაციებია მოცემული 1925 წელს ბერლინში გამოცემულ ბროშურაში „სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ მიმართული ტერორი რუსეთსა და საქართველოში.“ ბროშურის ცნობები საქართველოს შესახებ თარგმნა გ. გელაშვილმა [8, 76-82; 9, 78-85].

სამეცნიერო ლიტერატურაში აღინიშნა 1924 წლის აჯანყების კრიტიკული შეფასებაც. გ. ციციშვილის მოსაზრებით აჯანყება მოხდა უდროოდ და ავანტიურისტულად, ხელმძღვანელების მიერ იყო პროვოცირებული და დიდი ეროვნული უბედურების მომტანი და ყოველმხრივ გაუმართლებელი აქცია [10, 7-9]. ამ შეხედულების საწინააღმდეგო დოკუმენტები გამოაქვეყნა შ. ვადაჭკორიამ გ. ციციშვილის საპასუხო პუბლიკაციაში [11]. გ. ციციშვილის შეხედულებას აჯანყების საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ ინსპირირების შესახებ დამატებითი არგუმენტების მოხმობით (მათ შორის, ტროცკის წერილი) იზიარებს კ. წენგუაშვილი [12, 98]. აჯანყების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობაზე მიუთითებს რ. კვერენჩხილაძე [13].

ჩემს მიზანს არ შეადგენს სრული ისტორიოგრაფიული სურათის წარმოდგენა, ვინაიდან საკითხის შესახებ არსებული მდიდარი ისტორიოგრაფიული მასალა სათანადოდ არის შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ლ. ჯიქიას [14]. მ. ბახტაძის [15, 207-218], ა. ათანელაშვილის [16, 159-166], კ. წენგუაშვილის [12, 83-99], გ. ციციშვილის [10], ნ. ბენდელიანის [17, 67] და სხვათა შრომები.

მიუხედავად ნაშრომთა მრავალრიცხოვნობისა, დღემდე არ გვხვდება საკითხის ბეჭდური მედიით ანალიზი. პრესა კი საზოგადოე-

ბის ყოველდღიური ცხოვრების მემატიანეა და თვალსაჩინოდ ასახავს ხალხის ყოფა-ცხოვრებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, 1924 წლის აჯანყებას გავაშუქებ ბეჭდური მედია-მასალებით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე შეწყდა ეროვნული მიმართულების გაზეთების გამოცემა. ამიტომაც ჩემი კვლევის ძირითადი წყარო გახდა კომუნისტური იდეოლოგიის გამტარებელი პრესა („კომუნისტი", „მუშა", „მიწის მუშა"), რომელიც ტენდენციური შეფასებებით გამოირჩევა, თუმცა ტენდენციურობისგან განთავისუფლებით მივიღე ჩემი კვლევისთვის საინტერესო ფაქტობრივი მასალა. მედია-პუბლიკაციებს განვიხილავ ეთნოსიმბოლისტური მიდგომით და დავაკვირდები საზოგადოებრივ აღქმებს.

დასაწყისშივე შევნიშნავ, რომ მკითხველ საზოგადოებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ როგორც სახელისუფლებო, ისე არასახელისუფლებო ძალები და ბეჭდურ მედიას აქტიურად იყენებდნენ თავიანთი მიზნებისთვის. თუ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლნი ქართული იდეის გარშემო ერთობის დარაზმვას ცდილობდნენ, ბოლშევიკები საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მიზნით იდეოლოგიურ პროპაგანდას ეწეოდნენ, მუშაობდნენ მენშევიკების ავტორიტეტის შელახვაზე, აქცენტს აკეთებდნენ მათ დასუსტებაზე, მიუთითებდნენ, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთ დარგში მენშევიკებს არ შეუქმნიათ რაიმე ღირებული, არ მოუხდენიათ რაიმე მნიშნელოვანი სოციალურ და ეროვნულ საკითხში: „ეროვნულ ერთეულებს საქართველოს შიგნით თვითმპყრობელური ნაციონალიზმი გადაეფარა ხოლო მეზობლებთან შუღლი ჩამოვარდა, რომლის დროს არ შეიძლებოდა ეროვნული სიმშვიდე და მოსვენება..." [18]. გაზეთის ცნობით, მენშევიზმი გამოვიდა მუშათა კლასის განადგურების და ეროვნული შუღლის ხელმძღვანელად.

აღნიშნულის თვალსაჩინო მაგალიათია მ. კახიანის (საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი) წერილი „იმედის დაღუპვა," თუმცა, ამავე წერილში საუბარია ქართული ემიგრაციის აქტიურ მუშაობაზე საზღვარგარეთ, რომლებსაც საგანგებო მოლაპარაკებები და მოხსენებები გაუმართავთ პარიზში, ჟენევაში და სხვაგან. კ. ჩხეიძეს მოხსენება წაუკითხავს ჟენევის უნივერსიტეტში საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე. მენშევიკები „გაერთიანდნენ რა პარიტეტულ კონტრ-რევოლუციის ყველა ძალებთან, შექმნეს რა ერთიანი „ეროვნული" ფრონტი სოციალ-დემოკრატიიდან ბანდიტ

ჩოლოყაშვილამდე (ამას არ უარჰყოფს დღეს თვით ნ. ჟორდანია, თუ ვიბრძოლებთ, უკეთესია ვიბრძოლოთ ერთიანი ფრონტითო) მენშევიკებმა დღის წესრიგში დააყენეს: გამოსვლები, აჯანყება" [19] – აი, რა აღელვებს „კომუნისტს".

ქართველი ხალხი, რომ აჯანყებისთვის ემზადებოდა, ხელისუფლებისთვის კარგად იყო ცნობილი და შესაბამის ღონისძიებებს ატარებდნენ მოსალოდნელი გამოსვლის თავიდან ასაცილებლად: ავიწროებდნენ მენშევიკებს, ანთავისუფლებდნენ სამსახურიდან, დევნიდნენ, აპატიმრებდნენ. ერთ-ერთ მსგავს ფაქტზეა საუბარი გაზეთ „მუშაში" კ. მოდებაძის საპასუხო წერილში გაზეთის რედაქტორ პ. საყვარელიძისადმი. რედაქტორი საყვედურობდა ჭიათურის შავი ქვის სამმართველოს და პირადად კ. მოდებაძეს, რომ სამმართველოში ჰყავდა მენშევიკები, კონტრ-რევოლუციონერები, რომლებიც დიდ ზარალს აყენებდნენ სახელმწიფოს თავიანთი მოქმედებით. „მე არ ვიცი არც ერთი დაწესებულება საქართველოში, სადაც მარტო კომუნისტები მსახურობდნენ, თვით ცეკაშიდაც კი არ მსახურობენ მარტო კომუნისტები. სამწუხაროთ არა გვყავს ამდენი კომუნისტი, რომ მარტო მათ დაიჭირონ ყველა ადგილები" – წერს კ. მოდებაძე. აქვე აღნიშნავს, რომ სანამ პ. საყვარელიძე წერილს გამოაქვეყნებდა მანამდე უფრო ადრე ჭიათურაში კომისიას განუხილავს თანამშრომლების საკითხი და რამდენიმე პირი მოუხსნიათ სამსახურიდან [20].

აჯანყებისთვის მზადება მიმდინარეობდა მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენების პარალელურად. ერთ-ერთი ასეთი იყო ინგლის-საბჭოთა კავშირის კონფერენცია, რომლის მსვლელობა ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აჯანყებისთვის, მით უმეტეს, მოსკოვი აცხადებდა „ერთა თვითგამორკვევის უფლებას სრულ ჩამოშორებამდე". აჯანყების ხელმძღვანელები იმედოვნებდნენ ასეთ ვითარებაში საქართველოს დეოკუპაცია ჰპოვებდა გამოხმაურებას და მოსკოვი, რომელიც აცხადებდა თითოეული ხალხის დამოუკიდებელი არსებობის უფლებათა პატივისცემას, იძულებული იქნებოდა დაუყოვნებლივ ეცნო საერთო სახალხო აქტი [21]. მაგრამ აჯანყებულებს საერთაშორისო მხარდაჭერის იმედი გაუცრუვდათ.

ამასთან, აჯანყებამდე რამდენიმე კვირით ადრე, დააპატიმრა „ჩეკამ" პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე, მენშევიკური ცეკას და საზღვარგარეთის ბიუროს წევრი ვ. ჯუღელი და მენშევიკური ცეკას

წევრი ბ. ჩხიკვიშვილი. გაზეთი ასეთი სათაურით ეხმაურება ამ ფაქტს „ხალხის ჯალათის ვ. ჯუღელის და სხვა ბანდიტების დაპატიმრება“, „მშრომელი ხალხის ჯალათი“ [22]. ბ. ჩხიკვიშვილს დაპატიმრებისას აღმოუჩინა ჩეკამ ნ. ჟორდანიას წერილი, რომელშიც იყო მთელი გეგმა ამიერკავკასიაში აჯანყების მოწყობის შესახებ. ჟორდანიას გეგმის თანახმად, „ჯერ მთიულეთი უნდა აჯანყებულიყო, გადაეჭრა გზა რუსეთისაკენ, შემდეგ ადერბეიჯანი უნდა ამდგარიყო ფეხზე, რომელიც ჟორდანიას აზრით, საუკეთესო „ანარქიული მასალაა“, შემდეგ „საქართველოს ჯარები“ (არ ვიცი რომელ ჯარებს ჰგულისხმობდა) უნდა გამოსულიყვენ, მოძრაობაში უნდა „ჩაეთრიათ“ სომხეთი, რომელიც „იძულებული გახდებოდა“ გაჰყოლოდა მოძრაობას. ამრიგათ მოხდებოდა მთელი ამიერ-კავკასიის „განთავისუფლება“ [23]. „საქართველოს გამოსვლა აზერბაიჯანის და მთიელების დაუხმარებლათ გამოიწვევს საქართველოს სრულ დამარცხებას და მაშინ, რასაკვირველია, მას არავინ არ დაეხმარება და გამარჯვებას ვერ მოიპოვებს. მენშევიკებისდა საუბედუროთ მოხდა ის, რომ მათ დაივიწყეს თუ არიეს ნოე ჟორდანიას გეგმა და გამოვიდნენ მარტონი შედეგების გაუთვალისწინებლად“ [24].

საბჭოთა ხელისუფლებამ, როგორც მასალებიდან ჩანს, მრავლად შეგზავნა ინფორმატორები აჯანყებულებში, რომლებიც აჯანყებულთა ყოველი ნაბიჯის შესახებ ატყობინებდნენ ხელისუფლებას. აჯანყების მონაწილეებში ინფორმატორების შეგზავნაზე საუბრობს ვ. ჯუღელი ჩეკას საპატიმროდან (9 აგვისტოს) გამოგზავნილ წერილებში. იგი თავის ახლო წრეს ასახელებს გამცემად. აღნიშნავს, რომ მისი საქართველოში ყოფნის შესახებ იცოდა ნაცნობობის ვიწრო წრემ, რომლებმაც შეატყობინა ჩეკას მისი გადაადგილების შესახებ. ამავე წერილებში ვ. ჯუღელი კატეგორიულად მოუწოდებს თანამებრძოლებს აჯანყების საკითხის მოხსნას, რათა ამით თავიდან აეცილებინათ „ეროვნული კატასტროფა“. ჩეკას სატუსაღოში მასალების გაცნობით დარწმუნდა, რომ მათი გეგმების შესახებ ახლოდან იცოდა საგანგებო კომისიამ. აჯანყების ორგანიზატორების კორესპონდენცია ხშირად ჩეკას ხელში გაივლიდა და მერე მიდიოდა ადრესატამდე. ვ. ჯუღელი 3-4 დღით ითხოვდა განთავისუფლებას, რათა დაერწმუნებინა თანამებრძოლები აჯანყების მოხსნის საკითხში [21]. „მან დაინახა, თუ რისი შემძლეა საბჭოთა ხელისუფლება, ამიტომაცაა, რომ ის ეხლა ეხვეწება ყველას, თავი დაანებეთ, დაიღუპებითო“ – ასე აფასებს „მუშა“ ვ. ჯუღელის განცხადებას [25].

ვ. ჯუღელს ჩეკამ მოტყუებით ათქმევინა აჯანყების თარიღი, მას „მოსთხოვეს ემოქმედა, რათა მიეღწია აჯანყების დაწყებაზე უარის თქმისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში სასტიკად მოექცეოდნენ იმათ, ვინც უკვე დატუსაღებული იყო. სხვა მონაწილეებსაც დახვრეტით ემუქრებოდნენ. ვ. ჯუღელს სხვა არა დარჩენოდა თუ არა წერილი გამოეგზავნა „დამკომისათვის". „დამკომის" წევრებმა კარგად იცოდნენ, რომ წერილის ავტორი „ჩეკა" იყო, ამიტომ პასუხში აღნიშნეს, „გამოსვლის საკითხი ახლო მომავალში არ დგას და არც ვაპირებთო" [26, 290].

ყოფილი მენშევიკი ვ. ხმალაძე თავს იმით იწონებს, რომ ადრევე იცოდა მენშევიკების განზრახვის შესახებ. პრესის ფურცლებზეც ჰქონდა მენშევიკების შესაძლო გამოსვლის თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნებული („კომუნისტში": „მეტი დუმილი აღარ შეიძლება" და „ნიღაბი მოვიხსნათ"). ამ ცნობებით, მას დავალებული ჰქონდა ბორჯომის ხეობაში აჯანყების მოწყობა, რაზეც უარი განუცხადებია. მისი მითითებით, მენშევიკებს ქართველი ერის კეთილდღეობა აინტერესებთ განცხრომით ცხოვრების მოსაპოვებლად, რისთვისაც ყველა საშუალებას იყენებდნენ: „დაცემა, ძარცვა-გლეჯა, მატარებლის დამსხვრევა, პასუხისმგებელ ამხანაგების გატაცება, მშვიდობიან მცხოვრებლების მუშაობის შეჩერება და ბურჟუაზიულ ევროპის ჯარების მოწვევა... მათ ერი მხოლოდ დაღუპვის კარამდი მიჰყავს" [23]. როგორც ჩანს, აჯანყების შესახებ ჩეკას ერთ-ერთი ინფორმატორი ვ. ხმალაძე იყო.

ინფორმატორების შეგზავნაზე საუბრობს აჯანყების დაწყებამდე ჩეკას მიერ დაპატიმრებული მემარჯვენე სოციალ-ფედერალისტი, პარიტეტულ კომიტეტთან არსებული ტერორისტული ჯგუფის თავმჯდომარე მ. კოლუაშვილი (იგი უფრო ადრე, 1922 წლის 1 ოქტომბერს ყოფილა დაპატიმრებული ქუთაისის ჩეკას მიერ სამი თვით, გაანთავისუფლეს 1923 წლის იანვრის შუა რიცხვებში) საგანგებო კომისიისთვის მიცემულ ჩვენებაში. მან დაადასტურა მისი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით განხორციელებული რამდენიმე პოლიტიკური მკვლელობა. აღნიშნავს, რომ პარტიაში გადაწყდა აჯანყებულთა რიგების მოღალატეებისგან გაწმენდა. მათ გამოააშკარავეს მოღალატეები, რომელთა შორის აღმოჩნდა მათ მიერ ჩეკაში შეგზავნილი საიდუმლო აგენტები [27]. თავის ჩვენებას მ. კოლუაშვილი ამთავრებს შემდეგი სიტყვებით „დეე, ის ჩემს მიერ დაღვრილი სისხლი

მათ დააწვეს კისერზე, ვინც იბრძვის დიდი საქმისთვის, ხოლო ბუნებას პატარა საქმისთვისაც არ შეუქმნია“ [28].

თ. ენდელაძე საარქივო მასალების (საქჩეკას 1923 წლის მუშაობის ანგარიში ლ. ბერიას ხელმოწერით) ანალიზით არკვევს, რომ ყოფილ მენშევიკებს კლავენ არა თანაპარტიელები, არამედ ჩეკას მიერ იქნა ლიკვიდირებული. საარქივო მასალის ინფორმაცია განსხვავდება მ. კოლუაშვილის პრესაში გამოქვეყნებული ჩვენებისგან, რომელიც ჩეკასთან და ს. დევდარიანთან საუბრის შემდეგ მიუცია მ. კოლუაშვილს [29, 88-89]. ასეთი სასტიკი მეთოდებით უსწორდებოდნენ მენშევიკებს ბოლშევიკები.

სამმართველო საგანგებო კომისიამ დაადგინა: „პროლეტარიატის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობნი, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების შეურიგებელი მტრები (აჯანყების 24 მონაწილე) დასჯილნი იქნან უმაღლესი სასჯელით დახვრეტით“ [27]. მომდევნო ნომერში ქვეყნდება საქართველოს საგანგებო კომისიის განცხადება, რომლითაც მკითხველს მიეწოდება ინფორმაცია სიკვდილმისჯილების დამატებითი სიის და განაჩენის სისრულეში მოყვანის შესახებ [30]. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მკითხველზე აქცენტირებული სათაურით აქვეყნებს წერილს „მუშაც“ და „მიწის მუშაც“ – „ვინ დავხვრიტეთ ჩვენ? – ხალხის მტრები!!!“ [23; 31]. „შეთქმულების მომწყობებმა და სულისჩამდგმელებმა უკვე მიიღეს ღირსეული სასჯელი მუშათა სახელმწიფოსაგან მზაკვრული ღალატისათვის“ [32].

აჯანყებამდე ერთი დღით ადრე საგანგებო კომისიამ დააპატიმრა მენშევიკური პარტიის ბათუმის არალეგალური კომიტეტი მთელი შემადგენლობით. დაპატიმრებულ იქნა აგრეთვე, ბათუმის სამხედრო ორგანიზაციის შტაბი მიხა საბაშვილის მეთაურობით, რომელიც იყო მენშევიკების ცეკას ბათუმის წარმომადგენელი, პარიტეტული კომიტეტის წევრი და აჭარის რწმუნებული მოძრაობისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად (საგანგებო კომისია 3 წელი ეძებდა). დაპატიმრებულ იქნა ცნობილი მენშევიკი გურიაში, აჭარის სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარე ვასო ჩიტაიშვილი, ცეკასგან დავალებული ჰქონდა მთელს აჭარაში აჯანყების მოწყობა. დაპატიმრებულ იქნა სახალხო გვარდიის კომანდირი აკაკი რამიშვილი ბათუმის სამხედრო შტაბის წევრი, მასთან ერთად დაპატიმრებულ იქნა საზღვარგარეთიდან ვალიკო ჯუღელთან ერთად ჩამოსული ცნობილი მენშევიკი ბიქტორ ცენტერაძე, ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი [33].

დაპატიმრებების სერიამ საბოლოოდ დაუკარგა წარმატების იმედი აჯანყებულებს, მაგრამ ხელისუფლების საგანგებო ზომები და აქტიური მოქმედებები თავისთავად მეტყველებს იმ გარემოებაზე, რომ აქ არსებული მდგომარეობა შიშს იწვევდა ბოლშევიკებშიც. დაშინების პოლიტიკა თავისუფლებაში მყოფ ეროვნული მოძრაობის აქტივისტების მოქმედებებს არ ანელებდა. ამაზე მეტყველებს ვ. ჯუღელის ზემოაღნიშნული წერილი, სადაც თხოვს თანამებრძოლებს შეწყვიტონ მოქმედებები, ვინაიდან აჯანყება განწირულია. იქვე აღნიშნავს, ვიცი არ დამიჯერებთ და მაინც გააგრძელებთ, მეც ასე ვიქცეოდი, არ ვუჯერებდი აქედან ჩემი თანამებრძოლების რჩევებსო [21].

ბათუმის შემდეგ დაპატიმრებების სერია გადაინაცვლებს ქობულეთში, ვინაიდან გ. ანჯაფარიძის ჩვენებით, აჯანყების წინა დღეს პარიტეტული კომიტეტი გადავიდა ქობულეთში [24]. საგანგებო კომისიის შეტევა განხორციელდა თავისუფლად დარჩენილ სოციალ-ფედერალისტებზე, რომელთაც უნდა ემოქმედათ აჯანყების გეგმის მიხედვით. სოციალ-ფედერალისტებს ქობულეთში სადგურ ნატანებიდან უნდა შეერთებოდნენ სხვა ჯგუფები, საამისოდ სადგურ ნატანების დაკავებას გეგმავდნენ. გეგმის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე საგანგებო კომისიამ დააპატიმრა სოციალ-ფედერალისტების წარმომადგენლები, შტაბის თავმჯდომარე, პარიტეტული კომიტეტის რწმუნებული მასწავლებელი გიგო ჩიქოვანი, ქობულეთის „სამხედრო უბნის სარდალი", ყოფილი გენერალ-მაიორი ფურცელაძე და შტაბის წევრი ყოფილი ლეიტენანტი ვლადიმერ ახვლედიანი [33]. გენერალმა ფურცელაძემ განაცხადა (წერილი ქვეყნდება ფსევდონიმით „ეგ."), დაარწმუნეს, რომ საკმარისია დაიკავოს ქობულეთი, „მაშინვე მის დასახმარებლად, ბათუმის დასაკავებლად გამოგზავნილი იქნებიან ინგლისელი რაზმები. ყოველგან აჯანყების მეთაურები მოქმედებდენ ნოე ჟორდანიას სახელით, რომელმაც თითქოს დაიკავა თბილისი..." [33].

საგანგებო კომისიის მეორე რაზმმა აჭარის საგანგებო კომისიამ მოახდინა ოზურგეთის მოძრაობის აღკვეთა. აჭარის აჯანყება დასრულდა ყველა მეთაურის დაპატიმრებით და სიკვდილით დასჯით. ქვეყნდება ინფორმაცია განაჩენის აღსრულებაში 1 სექტემბერს ღამით მოყვანის შესახებ და ყველა დახვრეტილის სია [33]. გაზეთი აღფრთოვანებული აღნიშნავს: „ჩვენი რესპუბლიკის მშრომელი ხალხის ერთსულოვნებამ და ნესრიგის დამცველი ორგანოების წინააღმდეგო-

ბამ საკადრისი ადგილი მიუჩინა საბჭოთა სახელმწიფოს მტრებსა და მოღალატეებს...“ [33].

აჯანყების დამარცხების შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებამ გააძლიერა იდეოლოგიური პროპაგანდა, რომლის სამიზნე მუშები და გლეხები იყვნენ. ხელისუფლებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას თუ როგორ აღიქვამდა მშრომელი ხალხი გამოსვლებს და დაიწყო, ერთი მხრივ, გამოსვლების პროლეტარიატის საწინააღმდეგო ხასიათის, მეორე მხრივ, აჯანყების მონაწილეების სრული ლიკვიდაციის აგიატაცია-პროპაგანდა მკითხველ საზოგადოებაში, რათა აჯანყებას თანაგრძნობა არ გამოეწვია მუშათა და გლეხთა წრეში და მომავალში არ განმეორებულიყო მსგავსი გამოსვლები.

აღნიშნულს ადასტურებს ამ პერიოდის პრესა. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

„ვისგან შესდგება მტრის ლაშქარი? ვინ ამშვენებს „აჯანყებულ ხალხის“ რიგებს? მხოლოდ და მხოლოდ ყოფილი თავადები, ყოფილი მემამულეები, ყოფილი მეფის და ჟორდანიას აფიცრები. არც ერთი მშრომელი გლეხი და არც ერთი მუშა არ გარევია რეაქციის ამ ბანდიტურ გამოსვლას... (სასტიკი პასუხისგება) [27]. „მათ სურთ თავის ბატონობა ხალხის მონობის ხარჯზე, ისინი ამისთვის იბრძვიან შეერთებული ძალით“ [34]. „საუბარი მიწის მუშებთან, ნუ გაებმებით მტრების დაგებულ მახეში“ ასეთი სათაურით პუბლიკაციებს აქვეყნებს გაზეთი „მიწის მუშაც“ [32].

აჯანყების სოციალურ ხასიათზე აკეთებს აქცენტებს ფ. მახარაძე 2 სექტემბერს ბათუმში მრავალრიცხოვან მუშებისადმი საგანგებო მიმართვაში: „ყოფილმა თავადებმა და გენერლებმა, მენშევიკებთან გაერთიანების დროს იცოდენ, რომ მათ რამდენიმე საათითაც არ შეუძლიათ ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. ცხადია, აქ ადგილი ჰქონდა ავანტიურას, მათ მოატყუეს ხალხი, როდესაც უთხრეს, რომ ძალა-უფლება ყველგან მათ ხელში გადავიდაო. თქვენ, მუშებო, უნდა იცოდეთ, რომ კაპიტალისტების და მემამულეების ძალა-უფლების გარდა იმათ თქვენთვის არაფრის მოცემა არ შეუძლიათ“ [33].

სხვა არაერთი მაგალითი გვხვდება „კომუნისტში“ საქართველოს მენშევიკური პარტიის მიერ სოციალური შინაარსის დაკარგვის თაობაზე. გაზეთი მისდევს ზემოთ აღნიშნულ ხაზს, რომ ავანტიურისტულ გამოსვლებში მენშევიკები ეყრდნობოდნენ მიწადაკარგულ აზნაუ-

რებს; სამსახურდაკარგულ ოფიცრებს; ჩარჩ-მედუქნეებს, რომლებიც შევინროვდნენ მუშურ-გლეხური საზოგადოების შექმნით; ანაფორა-დაკარგულ მღვდლებს; ინტელიგენციას, რომელთა „მცონარე და გა-მოფიტული გონება შესაფერის „სულიერ საზრდოს" პოულობს ჩვენი დაბა-ქალაქების ბულვარებზე და ფართო პროსპექტებზე; დაბოლოს პარტიის ამალას ამშვენებენ ყაჩაღები და სხვადასხვა ნაძირლები..." ყოველივე ეს გამოხვეული იყო „თავისუფალი საქართველოს" ლო-ზუნგში და „ერის დამოუკიდებლობის" სამოსელში. მაგრამ „ერის და-მოუკიდებლობა" იმავე მუქთახორებისა და ბანდიტების გაგებით, მო-მასწავებელია ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის მშრომელი ხალხისა-გან და რევოლუციისგან, ხოლო იმავე დროს სრული დამოკიდებულე-ბის შინაურ და უცხოელ ბურჟუაზიისაგან, იმპერიალისტური სახელ-მწიფოებისაგან, მომასწავებელი, ერთი სიტყვით, ქვეყნის დამონებისა და დაბეჩავების" [35].

გარეშე სახელმწიფოების მხარდაჭერაზე აკეთებს აქცენტს მ. კა-ხიანი აჯანყების თაობაზე არსენალის რაიონში გაკეთებულ მოხსენე-ბაში. მისი აღნიშვნით, ქართველ მენშევიკებს მხარს უჭერდა საფრან-გეთი და ინგლისი, თუმცა გადამწყვეტ მომენტში ინგლისის მთავრო-ბის თავმჯდომარე მაკდონალდი განუდგება ქართველ მენშევიკებს, ვინაიდან ინგლისის მთავრობაზე გავლენას ახდენს ინგლისის მუშათა კლასი. მენშევიკებს ჰქონდათ მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრო-ბის თავმჯდომარესთან, ერიოსთან და დუმმერგთან და აღუთქვეს დახმარება. დასტურად მოიხმობს ფრანგი სოციალისტის პიერ რენო-დელის წერილს, რომელშიც იმედს გამოთქვამს „დღევანდელი რუსე-თის ცნობა, რომელიც მოხდება აუცილებელი შენიშვნებით ისეთ პრობლემების შესახებ, როგორც მაგ. საქართველოს დამოუკიდებლო-ბის საკითხია, საშუალებას მოგვცემს ჩავერიოთ ამ საქმეებში... კიდევ სალამი და მადლობა ჩემის სახელით საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის ცე-კას. გადაეცით, რომ მე ვრჩები მათი ერთგული მეგობარი როგორც ჭირში, ისე ლხინში". მ. კახიანის მითითებით ამ დოკუმენტით და-სტურდება საფრანგეთის სოციალისტების ერთგვარი დამოკიდებულე-ბა აჯანყებასთან [24].

აჯანყების სოციალურ ხასიათზე ამახვილებს ყურადღებას აგ-რეთვე, საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ღოღობერიძე საგანგებო კომისიის ცნობების საფუძ-ველზე გაკეთებულ საინფორმაციო მოხსენებაში. შენიშნავს, რომ თა-

ვადაზნაურთა მაღალი პროცენტული მაჩვენებელი მონაწილეობდა და გამოთქვამს მოსაზრებას „თავადაზნაურობის პროცენტის“ შემცირების აუცილებლობის შესახებ [35].

ზემოთ აღნიშნული ოფიციალური ვერსიებისგან განსხვავებული ინფორმაცია გამოვლინდა ბ. ლომინაძის 1924 წელს რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსადმი საიდუმლოდ გაგზავნილი მოხსენებითი ბარათით. გამოირკვა, რომ 1924 წლის აჯანყებაში ათასობით გლეხი მონაწილეობდა და მან ზოგან მთელი მაზრები მოიცვა, მაგალითად გურიასა და სამეგრელოში [14, 232].

როგორც ჩანს აშკარად გადაფარვის ტაქტიკას ემსახურებოდა ხელისუფლების წარმომადგენლების საჯარო გამოსვლები თუ სახელისუფლებო მედია-საშუალებების პროპაგანდისტული საქმიანობა.

ასეთივე გამოსვლის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს ს. ორჯონიკიძის სიტყვა თბილისის საბჭოს სხდომაზე აჯანყების შესახებ. წერილი „გახრწნილთა და ლაჩართა პარტია“-ში საუბარია თუ როგორ მზადდებოდა საქართველოში აჯანყება დამოუკიდებლობის აღსადგენად. ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ აჯანყებაში გლეხები არ ღებულობდნენ მონაწილეობას, აჯანყებას მეთაურობდნენ ყოფილი თავადები ანდრონიკაშვილი და ჯავახიშვილი. საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ჭიათურის რაიონში, სოფ. ჭალაში „გახდენ რა „ხალიფებათ ერთი საათით“, გაჩნდენ წერეთლები და იწყეს იმ მიწების ჩამორთმევა, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ თავადაზნაურობას ჩამოართვა გლეხების სასარგებლოთ. აი პირველი რამ რაც მენშევიკებმა მოიმოქმედეს მათი ბრწყინვალე გამარჯვებისთანავე. აზნაური ჯაფარიძეები, მიუხედავად იმისა, რომ სიმინდი ჯერ მოწეული არ იყო, შეუდგენ სიმინდის ტეხვას ყანებში, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებამ ჩამოართვა მათ და დაურიგა გლეხებს. სენაკის მაზრაში, სადაც აჯანყება მოწყობილი იყო მენშევიკების მიერ, ქალაქს ხაზეინათ მოევლინა „პარიტეტული კომიტეტის“ წევრი ნაციონალ-დემოკრატი ნადარეიშვილი და მყისვე შეუდგა საბჭოთა ხელისუფლების მიერ ვაჭრებისაგან ჩამორთმეული სახლების დარიგებას ძველ მესაკუთრეებისთვის“ [36].

პროპაგანდის მიზანია გლეხობამ გამოსვლები აღიქვას როგორც რევოლუციური მონაპოვარის განადგურების მცდელობა. ე.ი. კონტრრევოლუცია ატარებდა მშრომელი ხალხის, მუშების და გლეხების საწინააღმდეგო ხასიათს.

„ჩვენმა გლეხობამ, ყველა მისმა ჩამორჩენილმა ნაწილმა, უნდა გაიგოს დღეს იმის შესახებ, თუ რა მოხდა იმ ადგილებში, სადაც თავად-აზნაურულმა ბანდებმა მენშევიკების მეთაურობით დაიპყრეს ერთი-ორი საათით „ძალა-უფლება“ [37] – კომუნისტი იდეოლოგი გლეხობაში პროპაგანდის აუცილებლობაზე მიუთითებს იმაზე აპელირებით თუ რა მოხდა მენშევიკების დროებითი მმართველობის დროს. მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ გლეხობისადმი განსაკუთრებული აქცენტები ირიბად მეტყველებს მათ ჩართულობაზე თუ არა იმ გარემოებაზე მაინც, რომ გამოსვლებმა სენტიმეტები, თანაგრძნობა არ აღძრას მათში.

ხელისუფლების წარმომადგენლები ასევე ხაზგასმას აკეთებენ იმ გარემოებაზე, რომ წარმოადგენენ მებრძოლ მუშათა კლასის პარტიას და „მუშურ-გლეხურ მასებთან ერთად იზიარებენ მათი გამარჯვების სიხარულს და დამარცხების სიმწუხარეს“ [38]. თითქმის ყველა ნომერში მიუთითებენ, რომ „მენშევიკების ავანტიურას არ აჰყოლია არც ერთი გლეხი და არც ერთი მუშა“ [33]. „საქართველოში მთელი მუშათა კლასი და მშრომელი გლეხკაცობა გამსჭვალულია საბჭოთა ხელისუფლების სიყვარულით და ის არავის მისცემს ნებას მისი უფლება შებღალოს“ – აღნიშნულია საქართველოს ცაკისა და სახალხო კომისართა საბჭოს განცხადებაში [36].

ს. ორჯონიკიძე, ზემოთ ხსენებულ თავის გამოსვლაში, შეეხო ყოფილ მენშევიკებსაც, რომლებმაც ერთი წლის წინ დატოვეს პარტია, საუკეთესო ამხანაგებს უწოდებს მათ. მისივე განცხადებით, ისინი მშრომელი ხალხის გვერდით დადგნენ ბანდიტ-მენშევიკების წინააღმდეგ. შემდეგ განიხილავს მენშევიკების პროკლამაციებს: „ჩვენ მოვითხოვთ საქართველოს დამოუკიდებლობას, ქრისტიანულ სარწმუნოებას და კერძო საკუთრებას“. „დახურეს და დაანგრიეს 1400 საყდარი და კლუბებად და სხვა სისულელეთ გადააკეთეს ისინი, გორის მაზრაში მოსპობილ იქნენ თავადები და აზნაურები, გლეხებს მიწები ჩამოართვეს“. ს. ორჯონიკიძე აღიარებს ეკლესიების დახურვის და მათი კლუბებად გადაქცევის ფაქტს, მხოლოდ უარყოფს გლეხებისთვის მიწის წართმევას, პირიქით მემემულეებისთვის ჩამორთმეული მიწების გლეხებისთვის დარიგებაზე მიუთითებს. საუბრობს საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებულ აქცენტზე განათლების საკითხებზე. აღნიშნავს, რომ თუ დამოუკიდებლობის პერიოდში „სწავლა განათლებაზე ხარჯავდენ მათი ბიუჯეტის არა უმეტეს 10 პროცენტისა, ჩვენ

ვხარჯავთ დაახლოვებით 60 პროცენტს". რაც შეეხება მასწავლებლების დათხოვნის და მათი კომკავშირლებით ჩანაცვლების საკითხს, წუხილს გამოთქვამს, რომ არ ჰყავთ საკმაო რაოდენობის ახალგაზრდა კომკავშირელი მასწავლებლები ძველების ჩასანაცვლებლად [36].

მასწავლებლების საკითხი აქტიურად დადგა საბჭოთა ხელისუფლების დღის წესრიგში. საამისოდ საგანგებო ღონისძიებები გატარდა, ვინაიდან ძველი მასწავლებლები ვერ გახდებოდნენ საბჭოთა იდეების გამტარებელი მშრომელთა მასებში. ამიტომაც ინტენსიურად ხდებოდა ახალი მასწავლებლების სათანადო მომზადება და ძველების გადამზადება, საამისოდ სწავლა-განათლებისთვის ბიუჯეტში გამოყოფილ იქნა სათანადო ხარჯებიც, რასაც ს. ორჯონიკიძის განცხადება ადასტურებს.

4 სექტემბერს შიო მღვიმის მონასტერში ჩეკამ დააპატიმრა პარიტეტული კომიტეტის წევრები. კომიტეტის წევრებს დაპატიმრებისას აღმოაჩნდათ დიდი თანხა. მათივე განცხადებით ევროპულ სახელმწიფოებში და განსაკუთრებით ინგლის-საფრანგეთში სათანადო პირობების შესაქმნელად. კ. ხომერიკი (სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო კომისარი [39]) ასკვნის: „აშკარა უდავოა, რომ ნივთიერ დახმარებასაც იქიდგან ღებულობდენ" [37; 34].

დაპატიმრების შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა შეადგინა განცხადება კომიტეტის დაშლის შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე კ. ანდრონიკაშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის მდივანი ი. ჯავახიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი მ. ბოჭორიშვილი, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ჟ. ჯინორია, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი მ. იშხნელი. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი რამდენიმე წელი მუშაობდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღსადგენად შეიარაღებული აჯანყების მოსამზადებლად. აჯანყება დამარცხდა. გამოსვლა არ გადაიზარდა მასობრივ აჯანყებაში. ხაზგასმულია, რომ გადაიქცა ავანტიურად, რასაც მოჰყვა ხელისუფლების რეპრესიები. მოწოდებაში აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა იქნება დამღუპველი და უპერსპექტივო ქართველი ერისათვის. დამოუკიდებლობის კომიტეტი მიმართავს მასში შემავალ ყველა პარტიას

და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გაფანტულ შეიარაღებულ რაზმებს ხელი აიღონ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებზე და იარაღი ჩააბარონ მთავრობის ორგანოებს. დამოუკიდებლობის კომიტეტი დაშლილად გამოაცხადეს [36; 40].

„საზრიანი ადამიანი ყოველ გარემოებიდან ერთ რაიმე ჭკუის სასწავლებელ დასკვნას გამოიტანს" – აღნიშნავს „მიწის მუშა" და მიუთითებს სოფლად კომუნისტური ხელისუფლების მუშაობის სისუსტეზე: „გლეხკაცობა სრულებით მოწყვეტილია ქალაქის ცხოვრებას. გლეხკაცობამ არც იცის, თუ რა ხდება ქვეყნიერებაზე. განა შესაძლებელი იყო რომ ჩვენ სოფლებში ასეთ უხამს ჭორს მოეკიდებია ფეხი, რომ თითქოს ჟორდანიას ჯარი მოყვანილი ჰყავს ფოთშიო? ეს შეუძლებელი იქნებოდა, ჩვენ სოფლის ხალხს რომ ათასში ერთხელ მაინც გაზეთებისთვის თვალი გადაევლო" [41]. საყურადღებოა, რომ კორესპონდენტი კვლავაც გაზეთის გავრცელების მნიშვნელობაზე მიუთითებს.

დაპატიმრებების პარალელურად, კომუნისტი იდეოლოგები (მათ შორის მ. ცხაკაია) ეწეოდნენ აჯანყების მონაწილეების სრული ლიკვიდაციის აგიატაცია-პროპაგანდას: „მომენტი მოითხოვს დღეს და ახლო მომავალში გადამჭრელ ზომებს და ეს ზომა იქნება ფიზიკური განადგურება, გაჟლეტა ყველა იმათი ვინც მტრობს და იარაღით ხელში ებრძვის რევოლუციონურ ხელისუფლებას" [35; 33]. საამისოდ ხელისუფლება მარჯვედ იყენებდა პროლეტარიატს, რათა „საბჭოთა მიწის პირისაგან აღგავოს მენშევიკურ-თავადაზნაურული შეთქმულების მთელი უწმინდურობა" [30; 42].

იდეოლოგიურმა მუშაობამ ხალხში სათანადო შედეგი გამოიღო. ამ მხრივ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ბეჭდურმა მედიამ. მედიის ფურცლებზე ინტენსიურად ქვეყნდებოდა დამოუკიდებლობისთვის გამოსვლის საწინააღმდეგო წერილები. ამგვარი პუბლიკაციების გამოქვეყნებით, ქმნიდნენ ხალხში აჯანყების საწინააღმდეგო განწყობას და ცდილობდნენ „ხალხის მტრების" სახელით გლეხების, მშრომელების დაპირისპირებას აჯანყებულებთან. მიუთითებდნენ მუშათა და გლეხთა ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლის კონტრ-რევოლუციონურ, ავანტიურულ ხასიათზე.

იდეოლოგიური პროპაგანდის გავლენით, ხალხმა აჯანყება აღიქვა, როგორც მათი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ მიმართული გამოსვლა და აჯანყებას აჯანყებით დაუპირისპირდა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ადგილი ჰქონდა მუშების თუ გლეხების

გამოსვლებს აჯანყებულების როგორც რევოლუციის მტრების განადგურების მოთხოვნით. გლეხობა მოითხოვდა „დაუყოვნებლივ გაძევებული ყოფილიყვნენ სოფლებიდან თავად-აზნაურები მთელი თავიანთი ოჯახებით და ოჯახის წევრებით, დაეპატიმრებინათ ყველა თავადები, რომელთაც შეეძლოთ იარაღის ტარება; გლეხები იმუქრებოდენ, რომ თუ სახელმწიფო ვერ გამოიჩენს სიმტკიცეს ამ საკითხში, მაშინ თვით გლეხობა იკისრებს მათ განწმენდას რკინის ცოცხებით“ [33; 43]. „ჩვენ მოვითხოვთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ულმობელათ მოექცეს ავანტიურისტებს, რომ საბოლოოთ მოისპოს თავდ-აზნაურების თარეში და მშრომელმა მასამ მოისვენოს!“ [18].

ანგარიშსწორების უმართავი სიტუაცია შექმნილა თელავის მაზრაში. კეტებით შეიარაღებული გლეხობა შესევია თავადების მამულებს, გამოუდევნიათ ისინი საკუთარი სახლებიდან და მათ ნაცვლად ღარიბი გლეხები ჩაუსახლებიათ. „ადგილობრივი მთავრობა ბევრს ცდილა, რომ გლეხობის თვითმოქმედება შეეჩერებინა და გლეხებს შეჰპირებია, რომ თვითონ მიიღებდა საჭირო ზომებს კონტრ-რევოლუციონერთა ღირსეულად დასასჯელად, მაგრამ გლეხობას ყური არ უთხოვებია მთავრობის ადგილობრივი წარმომადგენლისათვის“ [44; 42].

აჯანყების შემდგომი პერიოდის პრესის ფურცლები ეძღვნება მშრომელთა საერთო აღშფოთების და პროტესტის ამსახველ მასალებს, რომელმაც მოიცვა გაზეთისავე ინფორმაციით სრულიად საქართველო. „ასეთი ერთსულოვნება ჯერ არ გვინახავს“ – წერს „კომუნისტი“ [24].

გატარებული სადამსჯელო ღონისძიებების შედეგად „მიწის მუშა“ ასკვნის: „საქართველოში დღეიდან არც ერთი მენშევიკი, არც ერთი ნაციონალ-დემოკრატი და სხვა ვერ გაბედავს იფიქროს შეიარაღებული გამოსვლის შესაძლებლობის შესახებაც მუშურ-გლეხური ხელისუფლების წინააღმდეგ“ [31].

1924 წლის აჯანყების შესახებ საგანგებო დეკლარაცია გამოაქვეყნა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ, რომელსაც ხელს აწერენ: ი. ჯავახიშვილი – თსუ რექტორი; პრორექტორი შ. ნუცუბიძე, პროფესორები: ალ. დიდებულიძე, ა. მაჭავარიანი, გ. ახვლედიანი, ა. ჯავახიშვილი, გ. გეხტმანი, კ. ამირეჯიბი, ნ. მუსხელიშვილი, გ. წერეთელი, გ. ჩუბინაშვილი, ი. ბერიტაშვილი,

ი. ქუთათელაძე, ვ. ჟღენტი, ბერიძე, გ. ასათიანი, გ. ნიკოლაძე, მ. შალამბერიძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ნათაძე, ლ. ანდრონიკაშვილი. „უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭო საქვეყნოდ გმობს უპასუხისმგებლო და ავანტიურისტულ გამოსვლას არსებული ძალა-უფლების წინააღმდეგ და მას სთვლის ქართველი ერის ინტერესების ღალატათ... პროფესორთა საბჭოს იმედი აქვს, რომ მომხდარი ავანტიურა ვერ დაარღვევს იმ მშვიდობიან განწყობას, რომელიც არსებობდა საბჭოთა ძალა-უფლების და ქართული კულტურის მესვეურთა შორის და როგორც მეცნიერების, ისე მთელი ერის მიმართ, ურყევი დარჩება ის გზა, რომელზედაც მშვიდობიანი მოქალაქობრიობის აღდგენით ამიერიდანაც გაჩაღდება შემოქმედებითი მუშაობა“ [36; 42]. დეკლარაციას უერთდება უნივერსიტეტის პროფესორი დ. უზნაძე [37].

ეს იყო ჩეკას ზედამხედველობის ქვეშ იძულებით დაწერილი დეკლარაცია, რომელშიც ჩანს გამხეცებული ხელისუფლების მიმართ იძულებითი ქათინაურებიც და შესაბამისი რაკურსებიც, მაგრამ ამასთანავე აჯანყების გამო დაპატიმრებული ადგილობრივი ხელმძღვანელების დანდობის მისწრაფება [10, 85].

აჯანყების დაგმობის განცხადება გააკეთეს მასწავლებლებმა [45] და საქართველოს ხელოვანთა კავშირმა [46].

ხელისუფლება იწყებს აჯანყების მონაწილეებისგან მოსახლეობის გაწმენდას და აცხადებს, რომ ამას აკეთებს მშრომელთა ინტერესების დასაცავად. მართალია აჯანყება დამარცხებულია, მაგრამ როგორც ჩანს ზოგიერთმა მონაწილემ მოსახლეობას შეაფარა თავი. ხელისუფლების უმთავრეს ამოცანად იქცა „მათი თავშესაფარი ბნელი კუნჭულების მიგნება, მათი გადმოტრიალება და ამ კუნჭულების „მოსახლეობის“ სათითაოდ ამოკრება და განწყვეტა. ერთხელ და სამუდამოთ უნდა დაეკარგოს გამოსვლების „მადა“ ყველა იმათ, ვისაც ჯანი და მარჯვენა „ერჩის“, ვინც ავანტიურის ატმოსფერით საზრდოობს და სცოცხლობს. დაუნდობელი, თანდათანი, სისტემატიური ბრძოლა საბჭოთა ტერიტორიის გასაწმენდათ ამ უწმინდურებისაგან. მშრომელმა ხალხმა საბოლოოდ უნდა იგრძნოს თავისი თავი ყოველგვარი შემთხვევებისგან დაზღვეულათ და ამას მიაღწევს მთავრობა მუშებისა და გლეხების, ყველა პატიოსანი მოქალაქის დახმარებით და სისტემატიური ხელის შეწყობით“ [47]. გაზეთი „კომუნისტის“ 2 სექტემბრის ნომერში საქართველოს საბჭოთა მთავრობა მოუწოდებს ფშავებსა და ხევსურებს დაეხმარონ გაქცეული მენშევიკ-გამცემლების დაჭერაში

[47]. „ნუ გგონიათ, რომ ჩოლოყაშვილი ხალხის მეგობარი იყოს. ის მშრომელი ხალხის მტერია“ – წერს „მინის მუშა“ [48]. სვანეთის მშრომელი გლეხობისადმი საგანგებო მიმართვა გამოაქვეყნა სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ შ. ელიავამ. მიმართვაში მოითხოვს მოსახლეობისგან არ შემოუშვან აჯანყების მონაწილეები და ხელმძღვანელები ბიძინა პირველი და ეგნატე გაბლიანი. ჰპირდება, რომ ხელისუფლება იზრუნებს მშრომელთა კეთილდღეობაზე და მდგომარეობის გაუმჯობესებაზე [49].

მთავრობამ საგანგებო განცხადებით მიმართა მოსახლეობას, ვინც ნებაყოფლობით გამოცხადდებოდა 5 სექტემბრამდე საგანგებო კომისიაში სასჯელი შეუმსუბუქდებოდა [33].

ბათუმის საგანგებო კომისიაში 2 სექტემბერს ნებაყოფლობით გამოცხადდა ყოფილი დამფუძნებელი კრების წევრი, ბათუმის თავი და ბათუმის ინტერპარტიული კომიტეტის თავმჯდომარე გიზო ანჯაფარიძე [33]. აქვე ქვეყნდება მისივე ჩვენება აჯანყებაში მონაწილეობის შესახებ. იგი მოუწოდებს თავის თანამებრძოლებს შეწყვიტონ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც ჰქონდა როგორც საშინაო, ასევე, საერთაშორისო ხასიათი. გ. ანჯაფარიძე ჩვენებაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მენშევიკური გამოსვლების დამარცხებით დამარცხდა საქართველოს დამოუკიდებლობის იდეა. იგი აღნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის აჯანყებისაკენ მოწოდებას არ გაჰყვა ქართველი ხალხი. ქართველმა ხალხმა უპირატესობა მიაკუთვნა საბჭოთა კავშირში შესვლის ფაქტს დამოუკიდებლობის წინაშე [24].

მონანიებამ ძალიან დააგვიანა „ჩვენ გულუბრყვილოებთან როდი გვაქვს საქმე“ [24] – ამ სიტყვებით გამოეხმაურა „კომუნისტი“ გ. ანჯაფარიძის გამოცხადებას და ჩვენების მიცემას. გაზეთში ქვეყნდება სასტიკი ანგარიშსწორების მოწოდებები და ხაზგასმულია, რომ ეს მოწოდებები არის მშრომელთა – მუშათა და გლეხთა დაკვეთა, რომ აჯანყების მონაწილეები არიან პროლეტარიატის წინააღმდეგი, თავად-აზნაურები. ამიტომაც უნდა მოხდეს აჯანყების მონაწილეების – მენშევიკების, თავადაზნაურების ლიკვიდაცია.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: კომუნისტურ მედიაში აჯანყება შეფასდა, როგორც დანაშაული, ავანტიურისტული გამოსვლა, ქვეყნის ღალატი, მუშურ-გლეხური ხელისუფლების საწინააღმდეგო გამოსვლა, რომე-

ლიც თავად-აზნაურთა დაქვემდებარებაში დააბრუნებდა მისგან განთავისუფლებულ მშრომელებს. აჯანყებულები ხალხის მტრებად შერაცხეს.

1924 წლის აჯანყება იყო ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ეროვნული სენტიმენტებით გულგანათებული ქართველების ბრძოლა საქართველოს თავისუფლებისთვის. მათ აჯანყება ქართველობის შენარჩუნების ერთადერთ გზად ესახებოდათ და მსხვერპლად შეეწირნენ კიდეც. მართალია, აჯანყება საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოყენებულ იქნა მასობრივი წმენდის განსახორციელებლად და განხორციელდა კიდეც, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან იღებს სათავეს, მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ აჯანყებით და აჯანყების გარეშეც, 1937 წელი რეალურად დადგა საქართველოსთვის, როგორც მისი საუკეთესო ნაწილისგან საბოლოო გაწმენდის ეტაპი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ავთანდილ სონღულაშვილი, 1924 წლის აგვისტო საქართველოში, კრებ: დიდგორი, ისტორიის სამეცნიერო პოპულარული კრებული, თბილისი, მეცნიერება, 1991.
2. რევაზ გრძელიძე, 1924 წლის სახალხო აჯანყება საქართველოში, თბილისი, 1992.
3. ნესტან კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
4. ნესტან კირთაძე, კაენ სად არის ძმა შენი, თბილისი, 1998.
5. ოთარ ჯანელიძე. დახმარება რომ გვქონოდა გავიმარჯვებდით (1924 წლის აჯანყება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია). მნათობი. №11-!2. 1997.
6. ოთარ ჯანელიძე, 1924 წლის აჯანყება დოკუმენტებში, კლიო – საისტორიო ალმანახი, №2, თბილისი, 1998.
7. მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი, მაია ჯაფარიძე, კობა წენგუაშვილი, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბილისი, უნივერსალი, 2008.
8. გია გელაშვილი, სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ მიმარ-

თული ტერორი რუსეთსა და საქართველოში, ანალები, №2, თბილისი, ინტელექტი, 2003.
9. გია გელაშვილი, სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ მიმართული ტერორი რუსეთსა და საქართველოში, ანალები, №1, თბილისი, ინტელექტი, 2004.
10. გიორგი ციციშვილი, საქართველოს 1924 წლის აჯანყების ორგანოების შეფასება-გაგების მეთოდოლოგიური პრინციპები და კრიტერიუმები, თბილისი, 2016.
11. შოთა ვადაჭკორია, სინამდვილის გაყალბების და შეფასების XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკური სტილი, თბილისი, 2017.
12. კობა წენგუაშვილი, 1924 წლის აგვისტოს აჯანყება და მისი შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში, წგნ: საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია თბილისი, მემატიანე, 2005.
13. რევაზ კვერენჩხილაძე, საბუთები ღაღადებენ, თბილისი, 2007.
14. ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, სადოქტორო ნაშრომი ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2012.
15. მიხეილ ბახტაძე, 1924 წლის აჯანყების შეფასება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, კრ: 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი, თბილისი, მწიგნობარი, 2016.
16. ავთანდილ ათანელაშვილი, საქართველოს 1924 წლის აჯანყება უცხოელ მკვლევართა შრომებში: (ანრი ბარბიუსის, ლუი ლეფერის, ჰიუ სეტონ უიტსონის და უესტ-ვუდის შეფასება). საისტორიო ძიებანი. N3. 2000.
17. ნიკოლოზ ბენდელიანი, ისტორიოგრაფია საქართველოში 1921-1924 წლებში არსებული ვითარების შესახებ და სინამდვილე, ქუთაისი, სარანგი, 1993.
18. მუშა, 1924, №535.
19. კომუნისტი, 1924, №184.
20. მუშა, 1924, №510.
21. კომუნისტი, 1924, №196.
22. კომუნისტი, 1924, №178.
23. მუშა, 1924, №536.

24. კომუნისტი, 1924, №207.
25. მუშა, 1924, №533.
26. ალექსანდრე დაუშვილი, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, საქართველოს ისტორია ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), ტ. 4, თბილისი, პალიტრა L, 2012.
27. კომუნისტი, 1924, №198.
28. კომუნისტი, 1924, №197.
29. თენგიზ ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1922-25 წწ.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2004.
30. კომუნისტი, 1924, №199.
31. მინის მუშა, 1924, №435.
32. მინის მუშა, 1924, №434.
33. კომუნისტი, 1924, №201.
34. მუშა, 1924, №534.
35. კომუნისტი, 1924, №200.
36. კომუნისტი, 1924, №204.
37. კომუნისტი, 1924, №205.
38. კომუნისტი, 1924, №184.
39. კომუნისტი, 1924, №5.
40. მინის მუშა, 1924, №437.
41. მინის მუშა, 1924, 443.
42. მინის მუშა, 1924, №439.
43. კომუნისტი, 1924, №205.
44. მუშა, 1924, №541.
45. კომუნისტი, 1924, №208.
46. კომუნისტი, 1924, №216.
47. კომუნისტი, 1924, №202.
48. მინის მუშა, 1924, №437.
49. მინის მუშა, 1924, №438.

Ketevan Mania
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior-research associate of the Department Modern and Contemporary History

The depiction of the 1924 Uprising in the Georgian Print Media

Summary

The establishment of the Soviet government was a painful occurrence in the history of the Georgian nation. Georgian people could not adapt to the loss of independence, which logically followed an active political struggle for freedom. A notable example of this is the events that took place in the first years of Soviet rule, including the 1924 uprising.

In the scientific literature, there is no analysis of the issue in print media. The press is the chronicler of the daily life of the society and visibly reflects the life of the people. Based on the above, this paper presents an analysis of printed media materials about the 1924 uprising by observing public perceptions. After the establishment of the Soviet government, the publication of national newspapers was stopped. That is why the main source of my research became the press carrying the communist ideology ("Communist", „Musha", „Mitsis Musha"), which, despite the tendency, contains interesting truthful material.

In the communist media, the uprising was evaluated as a crime, an adventurous speech, a betrayal of the country, a speech against the workers' government, which would return the workers freed from it to the subordination of the nobility. The rebels were deemed as enemies of the people.

The uprising of 1924 was the struggle of Georgians inspired by national sentiments for the freedom of Georgia under the totalitarian regime. They saw the rebellion as the only way to preserve their Georgianness, and they sacrificed themselves. It is true that the uprising was used by the Soviet government to carry out a mass cleansing and it was carried out, which began immediately after the establishment of the Soviet government, but from today's perspective, I would like to point out here that with the uprising and without the uprising, 1937 actually marked the stage of the final cleansing of the best part of Georgia.

ალექსანდრე დაუშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერი თანამშრომელი

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე 1924 წლის აჯანყების არსისა და მისი მნიშვნელობის შესახებ

საქართველოს XX საუკუნის ისტორიის ტრაგიკულ მომენტებს შორის საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ 1924 წლის აჯანყებას გამორჩეული მნიშვნელობა თავიდანვე მიენიჭა. მის შესახებ თავისი აზრი გამოთქმული აქვთ: იოსებ სტალინს [1, 351-352], ლევ ტროცკის [2, 93], სერგო ორჯონიკიძეს [3, 17], მიხეილ კახიანს [4, 502], საქართველოს პარტიულ ხელმძღვანელობას [5, 89].

არსებობს ნოე ჟორდანიას [6, 4], ევგენი გეგეჭკორის [7,4 6], ირაკლი (კაკი) წერეთლის [7, 47] და სხვათა მოსაზრებები ჩვენთვის საინტერესო საკითხზე.

პროფ. გია გელაშვილმა 2003-2004 წლებში გამოაქვეყნა II ინტერნაციონალის სპეციალური კომისიის დასკვნები 1924 წლის აჯანყების მიზეზებისა და შედეგების შესახებ. ამ კომისიაში კი დასავლეთ ევროპის ცნობილ სოციალ-დემოკრატებს შორის ქართველებიც იყვნენ. კომისიამ სპეციალურად შეისწავლა და შეაფასა 1924 წლის აჯანყების მომზადებისა და მისი რეალიზაციის პირობები და საზოგადოებას შესთავაზა მეტად საყურადღებო დასკვნები [8, 78-85]. სწორედ აქედან გამომდინარე, ეს დასკვნები უდიდესი მნიშვნელობისაა.

თითქმის 100 წელია ქართული ისტორიოგრაფია, როგორც საბჭოთა, ისე პოსტსაბჭოთა, ინტენსიურად იკვლევს 1924 წლის აჯანყების არსა, მისი რეალიზაციის პირობებს, მასშტაბებს, ისტორიულ მნიშვნელობას. აჯანყების შესახებ იყო როგორც ცალსახად უარყოფი შეხედულებები – მაგალითად ასეთი: „კონტრრევოლუციურ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ხელმძღვანელობდნენ ქართველ მენშევიკთა, ნაციონალ-დემოკრატთა, სოციალ-ფედერალისტთა მეთაურები, რომლებმაც საზღვარგარეთ შეაფარეს

თავი და იქ შექმნეს ეგრეთ წოდებული „ჟორდანიას ეროვნული მთავრობა“, სარგებლობდნენ რა ინგლის-ამერიკა-ფრანგ იმპერიალისტთა და მეორე ინტერნაციონალის ლიდერების მუდმივი მხარდაჭერით და დახმარებით, მათ გააქტიურეს კონტრრევოლუციური იატაკქვეშეთა საქმიანობა საქართველოში“ [9, 550], რაც ძირითადად განსაზღვრავდა კიდეც საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამოკიდებულებას აღნიშნული საკითხისადმი და ფასდებოდა როგორც „ავანტურა“. პარალელურად არსებობდა ამისგან რადიკალურად განსხვავებული, ჯერ ემიგრაციული, ხოლო საბჭოთა სისტემის დამხობის შემდეგ – ჰეროიკული, ცალსახად დადებითი შეფასებებიც [10, 186].

საკითხისადმი ასეთი ჰეროიკული დამოკიდებულება განსაკუთრებით გამოიკვეთა აჯანყების 90 წლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმზე 2014 წელს, როცა საინტერესო და მნიშვნელოვანი მოხსენებები წარმოადგინეს როგორც ქართველმა, ისე უცხოელმა მეცნიერებმა და ამით საკითხისადმი ინტერესი კიდევ უფრო გააღრმავეს [11].

პარალელურად, ისიც აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში გაჩნდა აზრი აჯანყების პროვოცირების შესახებ, რამაც ისტორიკოსთა გარკვეულ ჯგუფში მკვეთრად უარყოფითი შეფასება დაიმსახურა [12, 165-177].

საერთოდ, ნებისმიერ დამონებულ ერს აქვს თავისუფლებისათვის ბრძოლის უფლება. აჯანყება ამ უფლების გამოვლენის ერთ-ერთი ფორმაც არის, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ განსხვავება გამარჯვებით დაგვირგვინებულ აჯანყებასა და დამარცხებულ მცდელობას შორის. ისტორიკოსის ამოცანა და მოვალეობა ხომ სწორედ ისიც არის, რომ დაადგინოს გამარჯვების მიზეზები და მოგვცეს დამარცხების უტყუარი გარემოებების საკუთარი ინტერპრეტაცია? ხომ არის განსხვავება პარიზის 1944 წლის ანტიფაშისტურ აჯანყებასა და ვარშავის 1944 წლის ტრაგიკულ გაბრძოლებას შორის? ბახტრიონის აჯანყებასა და 1924 წლის აჯანყებას შორის?

ჩვენი დღევანდელი მოხსენების მიზანია წარმოვაჩინოთ თვალსაჩინო ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ლიდერის, სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარის, პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის პირველი თავმჯდომარის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის თვალსაზრისი 1924 წლის აჯანყებაზე, მის რაობასა და ისტორიულ მნიშვნელობაზე.

ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე გამორჩეული პოლიტიკური მოღვაწე იყო, ღრმად განსწავლული მარქსიზმის საფუძვლებში და უდიდესი პოლიტიკური გამოცდილების მქონე. მრავალი წლის განმავლობაში ის უნარიანად უძღვებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ფრაქციას, ჰქონდა ინტენსიური კავშირები როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე სოციალ-დემოკრატებთან. არსებობს ლევ ტროცკისთან მისი ურთიერთობის [13, 110-111], იოსებ სტალინთან შემხებლობის [14, 397-398] დამადასტურებელი საყურადღებო დოკუმენტები, რომლებიც პასუხს სცემს ბევრ საინტერესო ისტორიულ ფაქტს თუ მოვლენას. ამდენად ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის მოსაზრებები 1924 წლის აჯანყებაზე, რომელიც მან გააჟღერა თავის მოხსენებაში აჯანყებიდან სულ ძალიან მალე პარიზში, სოციალ-დემოკრატიული პარტიული ელიტის წინაშე, ჩვენთვის განსაკუთრებით ფასეული და მნიშვნელოვანია.

საკითხზე მსჯელობას კი ჩვენ დავიწყებთ სოციალ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთში „თანამედროვე აზრი“ 1915 წელს გამოქვეყნებული პუბლიკიციიდან ერთი ამონარიდით: „პრესაში არკვევენ სხვადასხვა პროექტს სომხეთის მომავალი მოწესრიგების შესახებ. მათი მთავარი ნაკლია ის, რომ ყველა წინადადება შენდება პრობლემატურ დებულებაზე – ოსმალეთის იმპერიის დაქუცმაცებულობაზე ე. ი. დავობენ ჯერ კიდევ ცოცხალი მხეცის ტყავის დანაწილებაზე. აზრი ეყრდნობა არა ფაქტს, არამედ სურვილს. არა სამშვიდობო კონფერენციას, ძალთა რეალურ განაწილებებს. ამ სურვილზეა აგებული არა მხოლოდ სხვადასხვა პროექტები, არამედ გარკვეული ეროვნული პოლიტიკაც. მარა წარმოვიდგინოთ, რომ მხეცი ცოცხალი დარჩა, სურვილი ოცნებად გადაიქცა, რა მოხდება მაშინ? კავკასიის „განთავისუფლების“ იმედი დაიმსხვრევა, ხოლო სომეხთა ერი ოსმალეთში ისეთ საფრთხეში ჩავარდება, რომელიც მას დედამიწის ზურგიდან სრულად აღგვას უქადის. ნაციის მომავლის დაკავშირება იმ სახელმწიფოს დაფშვნასთან, რომლის ფარგლებში ერი ბინადრობს, ეს ნიშნავს ერის ბედის სათამაშო საგნად გადაქცევას“ [15, 2].

დაახლოებით ასეთი სულისკვეთებით არის გამსჭვალული ცნობილი მამულიშვილის, მემარჯვენე სოციალ-დემოკრატიის თვალსაჩინო ლიდერის, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარისა და პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის, საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის, პარიზის სა-

ზავო კონფერენციაზე საქართველოს სახელმწიფო დელეგაციის ხელმძღვანელის ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის მიერ 1924 წლის აჯანყების შესახებ გაკეთებელი მოხსენება. ეს საყურადღებო მოხსენება კი ინახება ნ. ჩხეიძის პირად არქივში (ფონდი 2115) და, ჩვენი აზრით, მეტად უხვ მასალას იძლევა აჯანყების არსის, მისი ისტორიული მნიშვნელობის გაგებისათვის. სწორედ ამ აჯანყების 100 წლისთავის აღნიშვნის დღეებში შთამომავლობამ შეულამაზებლად უნდა იცოდეს თავისი ისტორიის ყველაზე რთული, მღელვარე პერიოდების დეტალური ისტორია, რათა სრულად გაიაზროს ისტორიული პროცესის ლოგიკა და მისი შედეგები.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ აქცენტებს გავაკეთებთ მოხსენების იმ კარდინალურ მომენტებზე, რომლებიც განსაზღვრავენ ნ. ჩხეიძის პირად დამოკიდებულებას, მის არგუმენტაციას, შეფასებებს, ხოლო შემდეგ წარმოვაჩენთ ჩვენს დამოკიდებულებას, ჩვენს არგუმენტებს და ჩვენს შეფასებებს.

წინამდებარე მოხსენება გაკეთდა 1924 წლის 12 ნოემბერს ლევილში, პარტიული ამხანაგების ჯგუფის წინაშე გამოსვლის დროს. დადასტურებულად ვიცით, რომ ამ მოხსენებას ესწრებოდნენ ნოე რამიშვილი და ჟორჟოლიანი – ისინი მომხენებელს შეკითხვებს დაუსვამენ [16, 4].

უნდა ვივარაუდოთ, რომ ლევილში გაკეთებული მოხსენების დროს დარბაზში, ალბათ, მთელი ქართული ემიგრაციის პოლიტიკური ელიტა იმყოფებოდა, თუმცა, როგორც ჩანს, მათ მომსხენებლისათვის შეკითხვა არ დაუსვამთ, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათ შესაკითხი არაფერი ჰქონდათ, თუმცა მომხსენებლის მიერ გამოთქმულ შეხედულებებში, ჩვენი აზრით, იყო საკამათოც და, ალბათ, მათთვის მიუღებელიც.

დავიწყებთ ნ. ჩხეიძის მიერ 1924 წლის აჯანყების შეფასებით: „აჯანყება, წინასწარ განზრახული აჯანყების მომზადება, შეთქმულება – უნდა ჩაითვალოს სრულიად მიზანშეუწონელ ფორმად ბრძოლისა. ის მოხსნილია დღის წესრიგიდან“ [17, 1].

აშკარად კატეგორიული განცხადებაა და მიუთითებს ნ. ჩხეიძის მკვეთრად უარყოფით დამოკიდებულებას ბრძოლის ამგვარი ფორმისადმი. ეს გარემოება დამატებით იმაზეც მიუთითებს, რომ ის არ იყო „აჯანყების“, „შათქმულების“ მსგავსი ფორმების მომხრე და რომ სცოდნოდა, ის მას გამორიცხავდა ბრძოლის მეთოდებიდან. ხოლო მომავალში ის ბრძოლის ამ ფორმას საერთოდ უარყოფს.

პოლიტიკური ბრძოლის მსგავსი ფორმა რომ ნ. ჩხეიძისათვის რადიკალურად მიუღებელი იყო, ამაზე მიანიშნებს, უკვე მოხსენების სხვა ადგილზე გაკეთებული შეფასება: „ერთი ცხადია, რაც მოხდა, აღარ უნდა განმეორდეს. სამხედრო ორგანიზაციების წყობა მომზადებაზე ხელი უნდა ავიღოთ და აჯანყების მზადება ვუარყოთ“ [18, 6].

ნ. ჩხეიძე ძალიან კატეგორიულია თავის შეფასებებში: „დღეს ჩვენ დამარცხება განვიცადეთ“ [18, 1], „ქართველი ხალხი დამარცხდა“ [16, 1].

ჩვენთვის ძალიან საყურადღებოა ნ. ჩხეიძის შემდეგი შენიშვნაც, გაკეთებული ამ ფუნდამენტური დასკვნის შემდეგ: **„ამბობენ, აქ დამარცხებაზე ლაპარაკი უადგილოა. მართალია, ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ აჯანყებამ დიდი პლუსი მოგვცა, მან ჩვენი საკითხი საერთაშორისო საკითხად აქცია სამუდამოთ.** ამბობენ: დღეს ჩვენ ტირილი არ გვმართებს, გმირებს არ ტირიანო...“ [18, 1].

ასეთი კატეგორიული შეფასება მიანიშნებს, რომ ნ. ჩხეიძე აჯანყებას უყურებს არა ემოციურ-ურაპატრიოტული პოზიციებიდან, არამედ პოლიტიკოს-პრაგმატისტის პოზიციებიდან, რომლისთვისაც თითოეული ადამიანის დაღვრილი სისხლის წვეთი ფასეულია. მან აუცილებლად მხოლოდ დადებითი შედეგი უნდა მოიტანოს და არ უნდა განიავდეს ფუჭ, არარეალურ, ილუზორულ ქმედებებზე.

თუმცა ამ პრაგმატული პოზიციების მიუხედავად, ნ. ჩხეიძე აღნიშნავს შემდეგსაც: „დიახ, ეს მართალია, ქართველი ხალხის ცხოვრებაში კიდევ აღიბეჭდა ერთი უდიდესი ტრაგიკული მომენტი, აღსავსე უდიდესი მონუმენტალობით და შინაარსით. ამ მომენტს უდიდესი ანგარიში უნდა გაუწიოს ქრთვეელმა ხალხმა როგორც დღეს, ისე მომავალში“.

რატომ თვლის ნ. ჩხეიძე, რომ წარმოებული ბრძოლა მარცხით დასრულდა?

ამ კითხვაზე მოხსენების ავტორს აქვს ძალიან კონკრეტული პასუხი: „...დამარცხება მაინც თვალწინ გვიდგას, რადგან მიზანი აჯანყებისა იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და საქართველოს სუვერენობის, დამოუკიდებლობის აღდგენა, ამას კი ჩვენ ვერ მივაღწიეთ“ [18, 3].

დღევანდელი გადასახედიდანაც ძალიან საინტერესოა ნ. ჩხეიძის მიერ ჩამოყალიბებული კონცეფცია აჯანყების მარცხის მიზეზების შესახებ, რასაც ის ორ პუნქტად სთავაზობს მსმენელს:

1. საქართველოში გამოსვლა მოხდა სრულიად არა ხელსაყრელ პირობებში და, მართლაც, რომელ პირობას უნდა შეეწყო ხელი იმ ხანად აჯანყების სასურველად დამთავრებისათვის? ხელთ გვქონდა მხოლოდ ერთ-ერთი ხელსაყრელი პირობა, სახელდობრ ის, რომ ქართველ ხალხს ჰქონდა მხურვალე სურვილი ტირანია დაემხო და განთავისუფლებულიყო.

2. გარდა ამ პირობისა, არც ერთი ოდნავ ხელის შემწყობი პირობა ჩვენ არა გვქონდა. ამბობენ აქ: გამარჯვების გარანტიას ვინ მოგვცემდაო! მაგრამ საქმე ამაში კი არ არის, საქმე ის არის, რომ გარანტია, თითქმის სრული – იყო დამარცხების და მიუხედავად ამისა, გამოსვლა მაინც მოხდა...“ [18, 3].

ამრიგად, ამ შემთხვევაში ნ. ჩხეიძის შეფასება კვლავ ძალიან კატეგორიულია – ის აჯანყების ორგანიზატორებს აბრალებს ბლანკიზმს – სათანადო ობიექტური პირობების გაუთვალისწინებლად ხალხის დიდი მასის ანტისამთავრობო ბრძოლისათვის ინიცირებას, რამაც საბედისწერო შედეგი მოიტანა. ნ. ჩხეიძე ღრმად განსწავლილი მარქსისტი იყო, რომლისთვისაც ისტორიული პროცესების გაგების საქმეში ისტორიული მატერიალიზმი ძირითადი და განმსაზღვრელი მოძღვრება გახლდათ, აქედან გამომდინარე მისი ეს დასკვნები მთლიანად თავსდება მარქსისტული დიალექტიკის ჩარჩოებში და მთლიანად არის ნაკარნახევი ისტორიული მატერიალიზმის კანონებით.

მეორეც – ასეთი შენიშვნა, ასეთი დასკვნა იმაზეც მიუთითებს, რომ ნ. ჩხეიძე არ იდგა აჯანყების ინიციატორთა, დამგეგმავთა გვერდით, რადგან მისი კრიტიკა მკაცრი და საქმიანია და ის თავის ამ მოსაზრებებს გააჟღერებდა აჯანყების მომზადების საწყის ეტაპზეც.

ასეთი შეფასებების შემდეგ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ნიკოლოზ ჩხეიძის მიერ არსებული ობიექტური პირობების შეფასებაც, რაც გარკვეულ კანონზომიერებზეც მიანიშნებს: „რა პირობები იყო გარშემო? სომხებში? ყველასთვის ცხადი იყო, რომ რამდენადაც ხელმძღვანელ ელემენტზეა ლაპარაკი, სომხობა უკეთეს შემთხვევაში ჩვენს აჯანყებას მხარს არ დაუჭერდა. რატომ? ყველამ იცის, არავითარი ნიშანი არ იყო იმის, რომ გამოძახილს (სერიოზულს) მივიღებდით აზერბაიჯანში. ის რაც მთიულეთში მოხდა, არავითარ საბუთს არ იძლეოდა იმისას, რომ მას აქვს სერიოზული მნიშვნელობა“ (ავტორის სტილი დაცულია – ა. დ.) [16, 3].

ამრიგად, აჯანყების წარუმატებლობის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ნ. ჩხეიძე თვლის საქართველოს ახლო სამეზობლოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას და მათში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს, რომლებიც აჯანყების ხელშემწყობად ვერ ჩაითვლებოდა. ამრიგად, მისი აზრით, აჯანყების ორგანიზატორებმა ობიექტურად ვერ შეაფასეს სომხეთში, აზერბაიჯანში, კავკასიის მთიანეთში არსებული პოლიტიკური ვითარება და აჯანყება დაუშვეს ამ პირობების გათვალისწინების გარეშე.

ამ საბედისწერო შეცდომას ნ. ჩხეიძე ამატებს მნიშვნელოვან მეორე ფაქტორსაც – „ჩვენში იდგა და დგას უცხოური ლაშქარი. იყო რამ ნიშანი იმის, რომ უცხოური ლაშქარი აჯანყების დროს შეირყეოდა და ჩვენსკენ გადმოვიდოდა იარაღით? არავითარი“.

ამრიგად, ნ. ჩხეიძე თავის მოხსენებაში ამტკიცებს, რომ აჯანყების ინიციატორებმა საერთოდ იგნორირება გაუკეთეს ობიექტურ პირობებს და აჯანყება დაიწყეს ოკუპანტების მიერ ანექსირებულ ქვეყანაში, ხოლო მისი მეზობლები აჯანყებას მხარს არ უჭერდნენ და არც დაუჭირდნენ. მაშინ რატომ მოაწყვეს აჯანყება?

ნიკოლოზ ჩხეიძის პასუხი ამ კითხვაზე ბევრს შეიძლება არ მოეწონოს, მაგრამ ის აყალიბებს ამ პასუხს ასე: როგორც ემიგრაციაში ამბობენ, „აჯანყებამ ჩვენი საკითხი უფრო პოპულარუული გახადა, დიდი გამოძახილი გამოიწვია მან, რომ მორალურად ჩვენ გამარჯვებული დავრჩით“ [18, 3].

ასეთივე თვალსაზრისს აჯანყების ორგანიზატორთა მიმართ ნ. ჩხეიძე სხვა ადგილზეც ავითარებს: **„ამბობენ ჩვენ ვერ გავიმარჯვეთ, მაგრამ აჯანყებამ დიდი პლუსი მოგვცა, მან ჩვენი საკითხი საერთაშორისო საკითხად აქცია...“** [16, 3].

ჩვენი აზრით, ნ. ჩხეიძის ეს შეფასება ეფუძნება იმჟამინდელი საერთაშორისო სიტუაციის კრიტიკულ გააზრებას და ჩვენთვის მთლიანად მისაღებია – 1924 წლის იანვარში გარდაიცვალა ლენინი, ევროპაში ვითარება ბოლშევიზმის წინააღმდეგ აშკარად შერბილდა, ამაში დიდი როლი შეასრულეს III ინტერნაციონალის ადგილობრივმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმაც, რომლებიც ევროპის თითქმის ყველა წამყვან ქვეყანაში ფუნქციონირებდა; სახეზეა ევროპის პოლიტიკური ელიტის მცდელობაც – დაემყარებინა დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები რესურსებით მდიდარ ქვეყანასთან – ეს ტენდენციები აშკარად შეიმჩნეოდა საფრანგეთის, ინგლისის, გერმანიის და სხვა სახელმწიფოების ლიდერების პოლი-

ტიკაში, რაც გარკვეულ საფრთხეს უქმნიდა დასავლეთ ევროპაში გადახვეწილ პოლიტიკურ ემიგრაციას: როგორც ქართულს, ისე სომხურს, აზერბაიჯანულს და ა. შ. ეს პროცესები კი, უდავოდ, შეაფერხდებდა ქმედით მატერიალური და მორალური დახმარებების პაკეტს. სამშობლოს მოწყვეტილი პოლიტიკური ემიგრაცია აღმოჩნდებოდა ძალიან მიუსაფარ მდგომარეობაში (ეს მართლაც ასე მოხდება ახლო მომავალში). ნ. ჩხეიძის აზრით, აჯანყების ორგანიზატორებს სჭირდებოდათ ახალი იმპულსები, ახალი ფაქტები და გარემოებები, რაც მათ პრობლემებს მკვეთრად წარმოაჩენდა ევროპის არეოპაგის წინაშე და მათ სწორედ ამისთვის სახალხო აჯანყების ორგანიზება დაისახეს.

აქედან გამომდინარე, თუ ნ. ჩხეიძის მოსაზრება სწორია, გამოდის რომ აჯანყების ორგანიზატორებს აჯანყება უნდოდათ არა გამარჯვებისათვის, არამედ ყურადღების მისაქცევად, საკითხის აქტუალიზაციისათვის, რაც სერიოზული ბრალდებაა და ეს კი მომდინარეობს არა იოსებ სტალინისაგან, არამედ დემოკრატიული საქართველოს ერთ-ერთი ხელმძღვანელი პირისაგან. აი, რას ამბობს საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარე, რასაც ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ: „...ომს არავინ არ აწარმოებს ეფექტის მოსახდენად – ომის მიზანია გამარჯვება“.

ჩვენი აზრით, ნ. ჩხეიძის ეს კატეგორიული მოსაზრება სერიოზული ბრალდებაა აჯანყების ორგანიზატორების მიმართ, რადგან აჯანყება აჯანყებისათვის, მხოლოდ ევროპის პოლიტიკური ელიტის ყურადღების მისაქცევად და საკითხის აქტუალიზაციისათვის – სერიოზული პოლიტიკური შეცდომა და დიდი დანაშაულია.

მოხსენების კრიტიკული ნაწილის შემდეგ ნ. ჩხეიძე აყალიბებს თავის მოსაზრებებს მომავალში სოციალ-დემოკრატიმული პარტიის ამოცანების შესახებ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. მისი აზრით მომავალში პარტიის მოქმედება ამ მიმარითულებით მთლიანად უნდა დაეფუძნოს ბოლშევიზმის – როგორც პოლიტიკური მიმდინარეობის დეზინტეგრაციულ პროცესებს, რაც, მისი აზრით, უკვე ახლო პერიოდშია მოსალოდნელი. „ბოლშევიკური ხელისუფლება თანდათან უნდა დაძაბუნდეს, მოირყეს და დასუსტდეს... მას მომავალი არა აქვს. ეს საშუალებას მისცემს პარტიას ცხოვრების სხვადასხვა სფეროში თავისი გავლენა შეინარჩუნოს, საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში პარტიამ ამ ფრონტზე უნდა შეინარჩუნოს იმ მნიშვნელობის შესაფერი ადგილი

და გავლენა შეიტანოს". სხვა ადგილზე ნ. ჩხეიძე მიუთითებს – „ბოლშევიკური ხელისუფლება წარმავალია, ის იძულებულია უკან დაიხიოს, ხან აქ, ხან იქ, რაც იძლევა პერსპექტივას მუშაობის შესაძლებლობის ცხოვრების ყველა დარგში" [18, 6].

მიუხედავად იმისა, რომ ნ. ჩხეიძე მკაცრად აკრიტიკებს აჯანყების ორგანიზატორებს, ის მომავალში არ გამორიცხავს ქართველი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე ამ საშუალების გამოყენებას: „ნიშნავს ეს იმას, რომ ქართველ ხალხს არასდროს არ დაჭირდება გამოსვლა იარაღით ხელში დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის? სრულებითაც არა! მეტსაც მოგახსენებ: ქართველმა ხალხმა რომ ის შეხედულება შეითვისოს, რომ ის არასოდეს იარაღს არ მიმართავს თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ის ურიგდება დაპყრობას, მონობის უღელს. მაგრამ ასეთი გამოსვლისა და წარსულ აჯანყებას შორის არის ძირითადი განსხვავება და მათი ერთმანეთში არევ-დარევა დამღუპველი იქნება" [18, 6].

ნ. ჩხეიძის მოხსენება მდიდარია წარსული ბრძოლების, ცარიზმის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატების ბრძოლების გახსენებით, როცა პარტია, მისი აზრით, წარმატებით ახორციელებდა პოლიტიკური ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს და თვალსაჩინო შედეგებსაც აღწევდა. მისი აზრით, ეს გამარჯვებები უნდა აგულიანებდეს როგორც პარტიას, ისე თავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმულ თითოეულ ადამიანს: „როცა ჩვენ ნიკოლოზის რეჟიმს ვებროდით, ჩვენ არ ვიცოდით როდის დავძლევდით მას. ჩვენ არ ვიცოდით მისი აღსასრულის დღე, არც კვირა, არც თვე და არც წელი. ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ეს რეჟიმი დაინგრეოდა და ჩვენ ამ დანგრევაში აქტიური მონაწილე ვიქნებოდით, მეთაური, ხელმძღვანელი. უნდა უთუოდ დაეცეს ბოლშევიკური რეჟიმიც, მას მომავალი არა აქვს. აქაც ჩვენ აქტიური მონაწილეობა გამოვიჩინოთ, მეთაური უნდა ვიქნეთ. საქართველოს განთავისუფლების ნიადაგზე ჩვენ ბოლშევიკებს, ბოლშევიკურ ხლისუფლებას უნდა ვებრძოლოთ ცხოვრების ყველა დარგში, ლეგალურ, ნახევრადლეგალურ და არალეგარულად" [18, 7].

ამრიგად, თვალსაჩინო პოლიტიკურმა მოღვაწემ და ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა ნ. ჩხეიძემ მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის პოზიციებიდან საკმაოდ ობიექტურად შეაფასა 1924 წლის აგვისტოს აჯანყების არსი და მისი ისტორიული მნიშვნელობა, დაუსახა ქართველ ხალხს მომავალის პერსპექტივები.

100 წლის იუბილის დღეებში ამ მოხსენების გახსენება, მასში ჩამოყალიბებულ მოსაზრებებზე საუბარი და კრიტიკული გააზრება, ისტორიკოსისათვის მეტად საინტერესოდ გვეჩვენება.

კიდევ რაზე შეიძლება გამახვილდეს ყურადღება ამ მოხსენების შესწავლის დროს?

1. **წარმოდგენილი მოხსენების წყაროები, ინფორმაცია, რასაც დაეფუძნა ცნობილი პოლიტიკოსის ძირითადი დებულებები**. როგორც თვითონ მომხსენებელი მიუთითებს – ეს ინფორმაცია იყო **ძალიან მწირი**: „რომ სათანადოდ დავაფასოთ ის, რაც საქართველოში მოხდა, ამისათვის ჩვენ ხელთ არა გვაქვს საჭირო ცნობები, ამას დრო უნდა, დიდი დაკვირვება და ობიექტურად საქმის მიდგომა... ყოველივე ზომები უნდა იქნეს მიღებული, რომ არც ერთი წვრილმანი, თუ ასეთი, არ იქნეს დაკარგული და დავიწყებული“ [16, 1].

ამრიგად, წარმოდგენილი მოხსენება, როგორც მისი ავტორი ამტკიცებს, ძირითადად ეფუძნება მწირ ინფორმაციას, რაც მიიტანეს აჯანყების ორგანიზატორებმა საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარესთან და მისთვის ეს ინფორმაცია სრულყოფილი არ აღმოჩნდა. ამაზე ის დაუფარავად საუბრობს. მიუხედავად ამისა, ის მაინც მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიითა და საკუთარი პარტიის ისტორიული გზის კონკრეტული გამოცდილების გათვალისწინებით აყალიბებს თავის საყურადღებო და მნიშვნელოვან კონცეფციას 1924 წლის აჯანყების არსისა და ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, სვამს კონკრეტულ აქცენტებს, შეკითხვებს და აყალიბებს მომავალი ბრძოლების გეგმას.

2. **აჯანყების შედეგები, შეფასება ცალსახად უარყოფითია,** ობიექტური და გასათვალისწინებელია. „აჯანყების მზადება, შეთქმულება – უნდა ჩაითვალოს სრულიად მიზანშეუწონელ ფორმად ბრძოლისა“; „გარანტია თითქმის სრული – იყო დამარცხების“; „ომი წავაგეთ“, „უბედურება“, „რაც მოხდა, ცუდად მოხდა“ და ა. შ. ისტორიული მოვლენის შეფასებისას ყოველგვარი ურაპატრიოტული, ჰეროიკული მდგენელის გამორიცხვა – ესეც ნ. ჩხეიძის მარქსისტული ლოგიკიდან მომდინარე პირუთვნელი შეფასებაა.

3. მოხსენების ანალიზისას თვალშისაცემია **პერსონალების არარსებობა**. საკმაოდ დიდ და საინტერესო მოხსენებაში ნ. ჩხეიძე არ ასახელებს არც ორგანიზატორს, არც აჯანყების ლიკვიდატორების არცერთ გვარს, არცერთ პერსონას, რითიც თავიდან იცილებს მათ შეფასებას, მათთვის გარკვეული პასუხისმგებლობის დაკისრებას.

რა არის ეს? მომხსენებელმა არ იცოდა მათ შესახებ? წყაროების, ინფორმაციის სიმწირემ უზრუნველყო მისი ეს დუმილი, თუ სურვილმა – დროზე ადრე, საკითხის შესწავლის საწყის ეტაპზე არ მოეხდინა სწორედ პერსონების წვლილის შეფასება, რაც მომავალში, წყაროებისა და ინფორმაციის გამრავალფეროვნების ვითარებაში შეიძლება რადიკალურად შეცვლილიყო? ჩვენ ვიხრებით იმ აზრისაკენ, რომ ისტორიული მატერიტალიზმის მეთოდოლოგიით აღჭურვილი ნ. ჩხეიძე დაელოდა ისტორიულ პერსპრექტივას – გარკვეულ ისტორიულ დისტანციას, რომ მოხდარიყო ტრაგიკულ ამბებში ბოლომდე გარკვევა და მხოლოდ ამის შემდეგ – პეროსონალური პასუხისმგებლობის ვინმესთვის დაკისრება.

4. მოსხენების ზერელე გადაფურცვლაც საკმარისია, რომ დაინახო პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მხურვალე მხარდამჭერი და მოტრფიალე ნ. ჩხეიძე თითქმის ყველა გვერდზე აპელირებს **„ქართველი ხალხით“.** მისთვის საქართველოში, ამ მოხსენების საფუძვლზე, ადრესატი ქართველი ხალხის გარდა არავინ არის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საქართველოში მხოლოდ ქართველობა ცხოვრობს: „ქართველი ხალხი მუდამ უნდა ანგარიშს უწევდეს“... „ქართველი ხალხის ცხოვრებაში კიდევ აღიბეჭდება...“, „ქართველმა ხალხმა როგორც დღეს, ისე მომავალში“, „ქართველ ხალხს არავითარ შემთხვევაში“... და ა. შ. და ა. შ.

მაგრამ საქართველო ხომ იმჟამადაც პოლიკონფესიური და პოლიეთნიკური ქვეყანა იყო, სადაც მოსახლეობის დაახლოებით მესამედი – არაქართველი, საკუთარი ინტერესების გამტარებელი და დამცველი იყო? რას უნდა მიეწეროს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის მებაირახტრე პოლიტიკური მოღვაწისაგან ასეთი ფაქტორის იგნორირება? არ შეიძლება ნ. ჩხეიძეს არ სცოდნოდა საქართველოში ძლიერი სეპარატისტული და ანტიქართული პოლიტიკური ტენდენციების არსებობის შესახებ, ის ხომ თვითონაც იყო ამის მომსწრე (ოსების, აფხაზების, სომხების ეთნოკრატიის ანტიქართული საქმიანობა, რუსული დისპორის პრორუსული ტენდენციები და ა. შ. და ა. შ.), ამიტომ ასეთი იგნორი გარკვეულ კითხვებს ბადებს – იქნებ სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ, სწორედ იმან, რომ აჯანყების ორგანიზატორები საქართველოს ერთ მთლიან ეთნიკურ ერთეულად მოიაზრებდნენ, გამოიწვია კიდეც აღნიშნული მარცხი. ვინც კარგად იცის 1924 წლის აჯანყების ისტორიული პროცესი, ყველამ ჩინებულად ისიც იცის, რომ ოსების, აფხაზების, რუსების

ეთნოკრატია, ისევე როგორც აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკების ხელმძღვანელობა გვერდში დაუდგა საბჭოთა საქართველოს კომუნიტურ ხელმძღვანელობას აჯანყების ნეიტრალიზაციის საქმეში.

პროლეტარული ინტერნაციონალისტის, ნ. ჩხეიძის ეს არაინტერნაციონალისტური პოზიცია პირდაპირ დისონანსშია ქართული ნაციონალური იდეის მებაირახტრე, ცნობილი ნაციონალ-დემოკრატის მიხ. წერეთლის მიერ ცოტა მოგვიანებით წამოყენებულ საქართველოს პოლიტიკური მოწყობის კონფედერაციული თვალსაზრისთან, რომელსაც ის საქართველოს პოლიტიკურ ელიტას სულ რამდენიმე ხანში შესთავაზებს სწორედ საქართველოს ჭრელი ეთნიკური თავისებურებების გათვალისწინებით [19, 403-410].

ვვარაუდობთ, რომ თუ აჯანყების ორგანზატორებიც ასევე იგნორირებას უკეთებდნენ საქართველოს ეთნიკურ მრავალფეროვნებას, სწორედ ესეც შეიძლება გამხდარიყო მათთვის მარცხის ეთრერთი მთავარი მდგენელი.

5. ნ. ჩხეიძეს მოხსენებაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული აქვს მხოლოდ ქართველი ხალხის ბრძოლაზე ეროვნული განთავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და სუვერენტიტისათვის. აქ საერთოდ გამოირიცხება სოციალური ასპექტი, რაც ასევე გასაკვირია მარქსისტი მოაზროვნის მხრიდან.

ნ. ჩხეიძესაგან განსხვავებით, რკპ (ბ) ცეკას გენერალური მდივანი ი. ბ. სტალინი აჯანყების შეფასების დროს კი სწორედ აჯანყების **გამომწვევ სოციალურ მდგენელზე** ამახვილებს ყურაადღებას, როცა აღნიშნავს: „ის რაც მოხდა საქართველოში, აქ კი ეს ის მხარეა (იგულისხმება გურიის რეგიონი – ა. დ.), სადაც აჯანყება მოედო საყოველთაოდ ყველას, ის ახალი, რის გამოც გაჩაღდა აჯანყება იყო ფასები... ძალიან ძვირია ჩვენთვის თქვენი საქონელი. ჩვენ გვერდით გვაქვს საზღვარი, საიდანაც კონტრაბანდულად შემოდის თქვენს საქონელზე ხუთჯერ იაფი საქონელი...“ [20, 95] და ა. შ.

ამავე თვალსაზრისს იზიარებდა ს. ორჯონიკიძეც, რომელიც მოსკოვში, რკპ (ბ) ცეკას ოქტომბრის პლენუმზე სიტყვით გამოვიდა და შეაფასა 1924 წლის აჯანყების გამომწვევი მიზეზები და სოციალური ფაქტორის მნიშვნელობა სპეციალურად გამოკვეთა: „მენშევიკური მთავრობა გლეხობისაგან გადასახადს არ იღებდა, ჩვენ კი არცთუ მცირე გადასახადს ვახდევინებთ... აი, აქ უნდა ვეძებოთ ჩვენი მარცხის მიზეზი ოზურგეთის რაიონში“ [21, 508].

უდავოდ, 1924 წლის აჯანყებაში სოციალური ფაქტორი, ალბათ, თამაშობდა გარკვეულ, შესაძლოა მნიშვნელოვან როლს, მაგრამ ის, რაც არ უნდოდათ დაენახათ კრემლის ლიდერებს და რაზეც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ნ. ჩხეიძე, იყო სწორედ ქართველი ხალხის (დიახ, **მხოლოდ ქართველი ხალხის**) დიდი უმრავლეობის სურვილი ყოფილიყვნენ თავისუფალნი და დამოუკიდებელნი.

6. ბოლო 20 წელია ქართულ ისტორიოგრაფიაში მუსირებს აზრი 1924 წლის **აჯანყების შესაძლო პროვოცირების შესახებ.** ამ თვალსაზრისს საფუძველი დაუდო მკვლევარ გ. გელაშვილის მიერ 2003-2004 წლებში საისტორიო ჟურნად „ანალებში" გამოქვეყნებულმა საყურადღებო მასალამ, რომელიც II სოციალისტური ინტერნაციონალის სპეციალური კომისიის მიერ საკითხის შესწავლის შედეგებს ასახავდა [8, 78-85].

შემდეგ ამას მოჰყვა ახალგაზრდა ისტორიკოსის კ. წენგუაშვილის სადისერტაციო ნაშრომი, რომელშიც მოხმობილია ამ ჰიპოთეზის დამადასტურებელი არაერთი არგუმენტი [22, 83].

მსგავსი თვალსაზრისი გამოთქმულია კოლექტიურ მონოგრაფიაშიც, რომელიც საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრების თავისებურებების შესწავლას მიეძღვნა [12, 165-177] და სხვა.

ნ. ჩხეიძის მოხსენებაში არის პასაჟი, რაც ჩვენ გვაძლევს საფუძველს რომ ეს მოსაზრება მისთვისაც უცხო და მიუღებული არ უნდა ყოფილიყო. მოხსენებაში არის ნ. ჩხეიძის პასუხი საკუთარ შეკითხვაზე: „იცოდნენ თუ არა ბოლშევიკებმა აჯანყების მზადება – უთუოდ იცოდნენ" [16, 3].

აქ კი ინტერესს იწვევს მომხსენებლის კატეგორიულობა – „უთუოდ იცოდნენ". არა „შეიძლება იცოდნენ", ან „სავარაუდოა იცოდნენ", არამედ კატეგორიული – „უთუოდ იცოდნენ".

ჩვენ მიერ ამ პასაჟისადმი ყურადღების გამახვილებას იწვევს თვითონ მომხსენებლის მიერ, მოხსენების შესავალში ხაზგასმული შენიშვნა მისთვის აჯანყების შესახებ ინფორმაციის საერთო ნაკლებობის – „სიმწირის" შესახებ. და ეს გარემოება მთელ მის მოხსენებას წითელი ხაზივით მიჰყვება – ეს არის ინფორმაციის ნაკლებობა.

მაგრამ ბოლშევიკების ინფორმირებულობა და მათ აჯანყების მზადების საქმეში ჩახედულების შესახებ მომხსენებლის ეს კატეგორიულობა გარკვეულ შეკითხვებს ბადებს – საიდან იცოდა ნ. ჩხეიძემ, რომ ბოლშევიკები იყვნენ ინფორმირებულები, ვინ შეატყობინებდა მას ამის შესახებ?

ჩვენ ვაყენებთ ჰიპოთეზას, რომ ამ შემთხვევაში ნ. ჩხეიძის შესაძლო წყარო შეიძლება ყოფილიყო კომუნისტური რუსეთის ერთ-ერთი ლიდერი ლევ ტროცკი. რევოლუციამდე კარლო ჩხეიძეს და ლევ ტროცკის, დადასტურებულად ჩინებული ურთიერთობები ჰქონდათ, იზიარებდნენ ერთმანეთის შეხედულებებს, ტროცკი აღფრთოვანებული იყო ნ. ჩხეიძის ორატორული ხელოვნებით და არა ერთხელ გაუგზავნია პირადი წერილი მისი პოლიტიკური გამოსვლისა თუ პოლიტიკური მოვლენის შეფასების მისეული ინტერპრეტაციის მოწონების დადასტურებით. ამ წერილებს შორის არის ეპისტოლეც ვ. ი. ლენინის მეტად კრიტიკული, ღვარძლიანი შეფასებით, რაც მოგვიანებით ი. სტალინის ხელში აღმოჩნდა და მანაც ის საკმაოდ ოსტატურად გამოიყენა.

2004 წელს ქართველი ისტორიკოსების „ექსპედიციამ" მოსკოვის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ტროცკის ახლადგახსნილ ფონდში, აღმოაჩინა ლ. ტროცკის გამოუქვეყნებელი ნაშრომი „ქართველი მენშევიკების შესახებ", რომლის საფუძველზეც გამოითქვა სწორედ ვარაუდი აჯანყების შესაძლო პროვოცირებისა და მის შესახებ ბოლშევიკების წინასწარ ინფორმირებულობაზე. ტროცკის ამ ნაშრომში აღნიშნულია, რომ „აჯანყებამდე უკვე კვირეებისა და თვეების წინ ვიღებდით ინფორმაციას იმ გაგებით, რომ მენავთობეები, განსაკუთრებით დიდი ბრიტანეთის სანავთობო ფირმა „შელი" აპირებდა დაეფინანსებინა მენშევიკური რევოლუცია, რომელიც ბათუმის ჭიშკრის გავლით გაუხსნიდა მათ გზას ბაქოსაკენ" [2 , 93].

დასაშვებია, რომ ნ. ჩხეიძემ, რომელსაც ჰქონდა ურთიერთობები ლ. ტროცკისთან, რაღაც ფორმით მისგან შეიტყო ამის შესახებ, მაგრამ კიდევ უფრო დასაშვებია – ეს მოხდა აჯანყების დამარცხების შემდეგ: 1924 წლის სექტემბერ-ნოემბრის პერიოდში.

7. მოხსენებაში მეტად საყურადღებოა ნ. ჩხეიძის მიერ დანახული პერსპექტივა ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების შესახებ, რაც გარკვეულ ტენდენციაზეც მიანიშნებს. ის ხაზგასმით აღნიშნავს: „აჯანყებამ და შედეგებმა, რომელიც მას მოჰყვა, კიდევ უფრო მწვავედ დასვა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და სწორედ ეს სიმწვავე გვავალებს ჩვენ მომავალ ბრძოლაში დავიკავოთ სწორი ანგარიში. ეს ანგარიში ჩვენმა პარტიამ უნდა აწვდინოს ხალხს. ჩვენ ჩვენ **დამოკიდებულებას რუსეთთან** აი, სწორედ ამ აუცილებელ და შეუმცდარ ანგარიშზე უნდა ვამყარებდეთ. ეს ანგა-

რიში მოითხოვს, უპირველეს ყოვლისა, დამოუკიდებლობისათვის გზით ბრძოლას, რომელზეც ჩვენ ვილაპარაკეთ, ამავე დროს, ჩვენ ყოველ წუთში უნდა მზად ვიყოთ ვისარგებლოთ ისეთი შემთხვევით, როცა რუსეთი, ცხოვრების ლოგიკის გამო, იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ქართველი ხალხის სურვილს და მისწრაფებებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის" (ავტორის სტილი დაცულია – ა. დ.)" [18, 10].

მიგვაჩნია, რომ ქართველი ერის განმათავისუფლებელი მოძრაობის პერსპექტივების დროს რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით ნ. ჩხეიძემ სწორი დიაგნოზი დასვა და ჭეშმარიტებაც ინინასწარმეტყველა – მართლაც, სულ რაღაც 60 წლის შემდეგ რუსეთში შეიქმნება ვითარება, როცა რუსეთი „ცხოვრების ლოგიკის გამო, იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ქართველი ხალხის სურვილს და მისწრაფებებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის."

8. როგორი უნდა იყოს ამ ისტორიულ მომენტში ქართველი ხალხის დამრაზმავი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წამმართველი ბირთვის სტრატეგია და ტაქტიკა? ნ. ჩხეიძის მიხედვით: ასეთი გამრჯვების მიღწევის წყარო შეიძლება იყოს მხოლოდ დიდი წინდახედულობა და ანგარიშით წარმოებული მუშაობა. მას უნდა ქონდეს „მყარი, შეურყეველი პრინციპები და მყიფე მოქნილი და მოხდენილი ტაქტიკა შესაფერი დროის არსებული პირობების" [18, 1].

სამწუხაროა, რომ ნ. ჩხეიძის პოლიტიკურმა მემკვიდრეებმა, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა XX საუკუნის 90-იან წლებში ეს ბრძნული შეგონებები არ გაითვალისწინეს და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზაზე გამოიყენეს სულ სხვა, ქართველი ერისთვის დიდი ტანჯვისა და ტრაგიზმის მომტანი ბრძოლის მეთოდები.

აქვე გვინდა მოვიტანოთ რუსეთის ფაქტორის მეტად საყურადღებო შეფასება მეორე, ასევე გამოჩენილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწისა – ირაკლი (კაკი) წერეთლისა, რომელიც მან ცოტა უფრო მოგვიანებით, 1925 წლის აპრილში გააკეთა პარიზში, პარტიული ელიტის წინაშე და შეიცავს ასეთ სენტენციას: „ქართველმა ხალხმა სწორედ უნდა შეაფასოს ის, თუ როგორც ექცევა მას ევროპა და ის როლიც, რასაც მის ცხოვრებაში ასრულებს რუსეთი... და თუ საქართველო ააშენებს თავის პოლიტიკას შესაძლებლობებზე, რომელსაც იწვევს მსგავსი კონფლიქტები (იგულისხმება ბოლშევიკური

რუსეთის კონფლიქტი სხვა სახელმწიფოებთან – ა. დ.), თუ კი საქართველო მისცემს საფუძველს რუსეთს, რომ მისთვის ყველა გართულების დროს, საქართველო მის წინააღმდეგ მიმართავს ხრიკებს, ეს აამხედრებს საქართველოს წინაშე არა მარტო ბოლშევიკურ, არამედ ყველანაირ რუსეთს – და მერე ვინ იცის როგორც ბედისწერას მოუმზადებს ასეთი პოლიტიკა საქართველოს. ხოლო ევროპა კი ასეთ პოლიტიკას ჩათვლის ავანტურად. საბჭოთა ხელისუფლება უნდა მოირყეს თვითონ რუსეთში, რომ შესაძლებელი გახდეს მისი დამხობა საქართველოში" [23, 268].

საოცარი სიზუსტით შეფასებული მომავლის პერსპეექტივა, რომელიც თითქმის 100 წლის წინ არის გაკეთებული, მაგრამ ის უდავოდ დაადასტურა საბჭოთა ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა და, როგორც ჩვენი დიდი თანამემამულეები წინასწარმეტყველებდნენ, საქართველომ დამოუკიდებლობა სწორედ რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის მორყევისა და დამხობის შემდეგ მოიპოვა.

ამრიგად: თვალსაჩინო ქართველი სოციალ-დემოკრატი და ღირსეული მამულიშვილი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე მკაცრი კრიტიკული პოზიციებიდან აყალიბებს 1924 წლის აგვისტოს აჯანყების შესახებ თავის მოსაზრებას და მას „ტრაგიკულს" უწოდებს. მისთვის ეს აჯანყება „დამარცხებაა" და მოითხოვს მომავლში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე პარტიის სტრატეგიიდან და ტაქტიკიდან საერთოდ გამოირიცხოს შეთქმულების, აჯანყების ორგანიზების ყოველგვარი მსგავსი ფორმა.

მომავალ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის აღდგენის გზაზე ნ. ჩხეიძე მთლიანად აფუძნებს ბოლშევიზმის – როგორც პოლიტიკური მიმდინარეობის „დასუსტებას", „მორყევას" უშუალოდ რუსეთში, რაც თავის შედეგს საქართველოშიც ლოგიკურად გამოიღებს.

უაღრესად პასუხისმგებლიანი, ქართველი ხალხის მომავალ ბედზე მზრუნველი პოლიტიკური მოღვაწე თავის მოხსენებაში მარქსისტული ისტორიული მატერიალიზმის მეთოდების გამოყენებით ქართველ ხალხს სთავაზობს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალ სქემას, რაც სრულად განხორციელდება დაახლოებით 60 წლის გავლის შემდეგ.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. იოსებ ბესარიონის ძე სტალინი, თხზულებანი, ტ. 6.
2. კობა წენგუაშვილი, ტროცკი ქართველი მენშევიკების შესახებ, „ანალები“, №2, თბილისი, 2004.
3. Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 17, оп. 3, д. 462.
4. Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 17, оп. 2, д. 151; მიხეილ კახიანი, მენშევიკები სამუშაოზე, თბილისი, 1924.
5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, II განყოფილება, ფ. 14, აღ. 2, საქ. 17.
6. ნოე ჟორდანია, რა მოხდა, პარიზი, 1925.
7. ნესტან კირთაძე, რა მოხდა, თბილისი, 1997.
8. გია გელაშვილი, სოციალისტური პარტიების წინააღმდეგ მიმართული ტერორი რუსეთსა და საქართველოში, „ანალები“, №2, თბილისი, 200; „ანალები“, №1, თბილისი, 2004.
9. საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 1971.
10. ნესტან კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
11. 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი, თბილისი, 2016.
12. მაყვალა ნათმელაძე, ალექსანდრე დაუშვილი, მაია ჯაფარიძე, კობა წენგუაშვილი, საქართველოში ტოტალიტარული რეჟიმის დამკვიდრებისა და განმტკიცების თავისებურებანი XX საუკუნის 20-იან წლებში, თბილისი, 2008.
13. Лев Троцкий, К истории русской революции, Москва, 1990.
14. Александр Островский, Кто стоял за спиной Сталина? Москва, 2002.
15. გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915 წ. 20 ოქტომბერი.
16. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 2115, საქ. 42.

17. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 2115, საქ. 65.
18. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 2115, საქ. 69.
19. ამის შესახებ დეტალურად იხ.: დავით მუსხელიშვილი, გიორგი ჭეიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, ქართული ერის კონსოლიდაციის ეტაპები და თავისებურებები უხსოვარი დროიდან დღემდე, თბილისი, 2016.
20. Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 17, оп. 3, д. 461.
21. Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 17, оп. 2, д. 151.
22. კობა წენგუაშვილი, საქართველოს 1921-1925 წლების ისტორიის ისტორიოგრაფია, თბილისი, 2005.
23. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფ. 14, აღ. 2, საქ. 2.

Alexander Daushvili
Doctor of Historical Sciences, Senior fellow researcher of the Javakhishvili Tbilisi State University, Institute of History and Ethnology, Department of Modern and Contemporary History

Nikoloz (Karlo) Chkheidze About Uprising of the 1924 Year, it's Essence and Significance

Summary

Prominent Georgian Social Democrat, head of the Constituent Assembly Nikoloz (Karlo) Chkheidze, gave a speech to a group of party friends in Leuville on November 12, 1924, which is discussed in this article.

The speaker expresses his opinion on the August 1924 uprising from a sharp point of view, criticizes it, and calls it „tragic“. For him, this uprising

is a „defeat", and he demands that all types of such uprisings be excluded from the party's strategy and tactics on the battle path to independence.

In the future battle for the restoration of independence and sovereignty of Georgia, N. Chkheidze relies entirely on the „weakening" and „swinging" of Bolshevism as a political movement in Russia, which will logically cause its results in Georgia.

A political leader, full of enormous responsibility, the carer of the future destiny of Georgia, in his speech, using Marxist historical materialism, offers the Georgian people a new scheme for the liberation movement, which was fully implemented after 60 years.

ნატო სონღულაშვილი
*ისტორიის დოქტორი, თსუ ივანე ჯავახიშ-
ვილის სახელობის ისტორიის და ეთნოლო-
გიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი*

ვლასა მგელაძე 1924 წლის აჯანყების შესახებ

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას ქართველი ხალხი არ შეგუებია და დღიდან გასაბჭოებისა იწყებს ბრძოლას თავისუფლებისათვის. მთელი 1921-1991 წლების განმავლობაში საქართველოში მყოფი თუ საზღვარგარეთ არსებული ძალები, ბუნებრივია, ქართველების სახით იბრძვიან სხვადასხვა საშუალებით: ეს იქნება შეიარაღებული ფორმით თუ იდეოლოგიურად. შეიარაღებული გამოსვლებით, როგორც ცნობილია გამოირჩევა XX საუკუნის 20-იანი წლების პირველი ნახევარი. 30-იანი წლებიდან მოყოლებული კი უფრო თვალსაჩინოა ბრძოლა კულტურული, ეროვნული იდეოლოგიის ფორმით. ამ მხრივ განსაკუთრებით აქტიურობს ქართული ემიგრაცია. მთელი აღნიშნული წლების მანძილზე ქართველთა ბრძოლის ფორმები იცვლებოდა, თუმცა მიზანი უცვლელი იყო – თავისუფლების მოპოვება.

ქართულ ისტორიოგრაფიაში XX საუკუნის 20-იანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ცალკეული საკითხების შესახებ არსებობს გარკვეული გამოკვლევები. სხვადასხვა პრობლემებთან ერთად გაშუქებულია 1924 წლის აჯანყების მოვლენები. ამჯერად ჩემი მიზანია ყურადღება გავამახვილო როგორ აღიქმებოდა ეროვნული საკითხი ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის მიერ და რა იდეებს სთავაზობდა ქართულ საზოგადოებას ეროვნული ცნობიერების ამაღლებისთვის საბჭოთა ხელისუფლების იდეოლოგიის ფონზე.

მართალია, ქართველი ხალხი ეროვნული თავისუფლებისთვის ბრძოლას აგრძელებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან, თუმცა იმ იდეოლოგიური ვითარების ფონზე, რასაც აწარმოებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, რთული იყო კონკურენციის გაწევა, როგორც შეიარაღებულ, ისე იდეურ ბრძოლაში. აღნიშნულის დასაძლევად და მიზნის მისაღწევად ეროვნულად მოაზროვნე ძალები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მაქსიმალურად ცდილობდნენ

ეროვნული ცნობიერების ამაღლებას. ამასთან, ნათლად აცნობიერებდნენ იმ სირთულეებს, რომლის გადალახვასაც ესწრაფოდნენ.

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი იარაღი ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება და განვითარება იყო. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი ერთადერთ გამოსავალს იდეოლოგიური ბრძოლა წარმოადგენდა. ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები ევროპიდან და ეროვნულად მოაზროვნე ინტელიგენცია საქართველოში მიზანმიმართულად ცდილობდა ყველა ღონე ეხმარა, რათა ქართველობა ერთიანი ყოფილიყო ცოდნის საშუალებით. შეიარაღებული გამოსვლის შეუძლებლობის პირობებში, ისე როგორც ხდებოდა XIX საუკუნის II ნახევრიდან მოყოლებული, როდესაც ეროვნულად მოაზროვნე ნაწილი გადავიდა ბრძოლის ახალ ფორმებზე, კულტურით, ცოდნით და ერთიანობით მოეპოვებინა საქართველოს თავისუფლება, დაახლოებით ასეთივე დამოკიდებულებაა საბჭოთა პერიოდის საქართველოში. ეროვნულად მოაზროვნე ქართველთა ნაწილი ქართულ საზოგადოებას მუდმივად მოუწოდებდა საქართველოს თავისუფლების მოპოვებისთვის ბრძოლისკენ.

1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციამ ჩვენს ქვეყანას მრავალი პრობლემა მოუტანა, რომელიც მთელი აღნიშნული წლების მანძილზე გრძელდებოდა და შეიძლება ითქვას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც საზოგადოების ცნობიერებაში დარჩენილი მავნე ჩვეულებები გარკვეული ფორმით ისევ იჩენდა თავს.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება გარკვეულ ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებოდა და იძულებული იყო მოესმინა და წაეკითხა ის, რასაც საბჭოთა ხელისუფლება სთავაზობდა იყო ცალკეული გამოვლინებები, რომლებიც საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ იყო მიმართული. საქართველოს მაგალითზე შესაძლოა განვიხილოთ 1924 წლის აჯანყება, რომელიც მართალია დამარცხდა, თუმცა საზოგადოების ცნობიერების ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია. ეს პროცესი განსაკუთრებით ინტენსიური ხდება საბჭოთა რუსეთსა და საქართველოში დისიდენტური მოძრაობის ჩამოყალიბებით და აღმავლობით.

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა დასახულ მიზანს – საბჭოთა რეჟიმისაგან საქართველოს განთავისუფლებას ვერ მიაღწიეს, შეიარაღებულ გამოსვლებს ასეთი მასშტაბური ად-

გილი შემდგომ პერიოდში აღარ ჰქონია. თუმცა, საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ ეროვნულად მოაზროვნე ძალებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ.

1924 წლის 5 სექტემბერს აკაკი ჩხენკელი აგზავნის წერილს საქართველოს მთავრობისადმი პარიზში, ეროვნებათა საბჭოში საქართველოს საკითხის დაყენებისა და ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულებაზე საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართ: „გვარჯალაძისაგან დღეს მივიღეთ მეორე დეპეშა ასეთი შინაარსის: „დამატებითი ცნობები არა გვაქვს. მტერმა განგებ შეკრა ყველა გზები, არ უნდა საქართველოსთან კავშირი იყოს, სურს მოძრაობა ჩაახშოს და არარაობად გამოაცხადოს. თუ გზების შეკვრა შესძლო მტერმა, აშკარაა არც ისე კარგადაა საქმე, ბათუმში წაგებულიცაა. რომ მოძრაობა სერიოზულია, იქიდანაც ჩანს, რომ გუშინდელი „Дни"-ში ვრცელი ცნობებია, ბრძოლის შესახებ სხვადასხვა ადგილას" [1, 1]. ასევე 1924 წლის 17 სექტემბერს აკაკი ჩხენკელის წერილიდან მთავრობისადმი ჩანს შემდეგი: „მქონდა ხანგრძლივი ლაპარაკი პესტასთან, ესტონეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან, ვუთხარი რა გვჭირია, როგორც დიდი, ისე პატარა მასშტაბით. ის თვლის დასაშვებად მხოლოდ ფინანსურ დახმარებაზე ლაპარაკს და მეც სწორედ აქედან მივუდექი. ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ, ბევრი არ შეგვიძლია მეთქი, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვართ, ცოტასაც უნდა დავჯერდეთ მეთქი. მან იკითხა საელჩოს ბიუჯეტები და აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ სახეში აქვს შეიძლება რამდენიმე ათეული ათასი. ყოველ შემთხვევაში პესტა არ გვჭირდება გადაჭრით, ვითათბირებ ზოგიერთებთან და გაცნობებთო. ვთხოვე სიჩქარე, რადგან ყველაფერი ამ ჟამად მოძრაობის გახანგრძლივებას უნდა შეეწიროს მეთქი. აღმითქვა" [1, 14].

საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა შორის იყო XX საუკუნის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოღვაწე, ვლასა მგელაძე, რომელიც ჯერ მეფის რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის რიგებში, 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, აქტიურად მოღვაწეობდა საქართველოს ინტერესების სადარაჯოზე. „1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დარჩა თბილისში და ჩაება წინააღმდეგობის მოძრაობაში.

1921 წლის აპრილში სიტყვა წარმოთქვა სამხედრო ტაძრის გალა-

ვანში 9 მარტს დაკრძალული უცნობი ჯარისკაცების დაღუპვიდან მეორმოცე დღის აღსანიშნავ სამგლოვიარო დემონსტრაციაზე, რის გამოც საქართველოს სსრ საგანგებო კომისიამ („ჩეკა") მისი დაპატიმრება სცადა, თუმცა ვლასამ მიმალვა მოახერხა; 1921 წელსვე კვლავ სამგლოვიარო დემონსტრაციაზე – ყოფილი სამხედრო მინისტრის, პარმენ ჭიჭინაძის დაკრძალვაზე – წარმოთქვა სიტყვა, ისევ დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს ავადმყოფობის გამო, ამის შემდეგ კვლავ არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდა.

1922 წელს ვლასა მგელაძე საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა („დამკომმა") გენუაში გაგზავნა დელეგატად და ემიგრაციაში მყოფ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

1923 წელს მონაწილეობდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ გაერთიანებულ ყრილობაში აუგსბურგსა და ნიურნბერგში.

1924 წლის დასაწყისში ვლასა მგელაძე არალეგალურად დაბრუნდა საქართველოში და შეიარაღებული აჯანყების სამზადისში ჩაება; 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყებისას ხელმძღვანელობდა შეიარაღებულ გამოსვლას ქუთაისის მაზრაში.

აჯანყების დამარცხებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ მასობრივი რეპრესიების დაწყების შემდეგ თავს აფარებდა გურიას.

1925 წლის სექტემბერში ვლასა მგელაძე არალეგალურად გაემგზავრა საზღვარგარეთ. შემდგომ წლებში ცხოვრობდა ნიცაში; მუშაობდა მემუარებზე, ბეჭდავდა პოეტურ ნაწარმოებებს და პუბლიცისტურ წერილებს ქართულ ემიგრანტულ გამოცემებში [2, 301].

როგორც აღვნიშნე, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის საწყის ეტაპზე ვლასა მგელაძე საქართველოში აქტიურად მოუწოდებს ქართულ საზოგადოებას იბრძოლოს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. მისი მოღვაწეობის გარკვეული ნაწილი დაკავშირებულია საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლასთან ჯერ საქართველოში და შემდეგ უკვე ემიგრაციაში. 1924 წლის აჯანყების შესახებ საინტერესო შეფასება აქვს გაკეთებული ვლასა მგელაძეს. მართალია, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით არაერთი ნაშრომია გამოქვეყნებული, თუმცა ამავდროულად მნიშვნელოვანია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოღვაწის ვლასა მგელაძის დამოკიდებულების ანალიზი 1924 წლის აჯანყების შესახებ: „იმ დროს, როცა რუსის ჯარი ჯალათ ჩეკისტების მე-

თაურობით უიარაღო ხალხს ხვრეტდა, ზოგან მკვდრებიც არ იყო დამარხული და არც მებრძოლთა სისხლით გაჟღენთილი მიწა გამშრალი, გასაოცარი გაბედულებით მთელი ხალხი დაჭრილ ლომივით ზე წამოიჭრა, ეროვნული სასიცოცხლო ძალების გადარჩენას შეუდგა...

პირველათ ხალხმა ბრძოლის ველიდან დაჭრილები გაიტაცა, სახლებში, ბეღლებში, სასიმინდე-ნალიებში, ტყეებში საიმედო ალაგას ისინი გადამალა. კარაბადინის მცოდნე გამოცდილი დედაკაცები, მოტეხილის და ჭრილობების სოფლის მკურნალის ბაჭიაშვილის, თურმანიძე-არობელიძის მიერ დაზრდილი ვაჟკაცები საიდუმლოთ მოდიოდნენ, ჭრილობებს მაგარი არაყით ბანდენ, ბალახ-მცენარით შეზავებულ მალამოს ადებდენ, ტყვიით გახრეტილ ალაგას ზეთში ამოვლებულ ლერწამ-კანაფის გულს ჩირქის სადენ მილათ უკეთებდენ; ადუღებულ წყალში ზეწარ-პირსახოცებს დუღვრიდენ, არაყში ავლებდენ და მით მათ ჭრილობებს უხვევდენ. ჩვენი მადლიანი დედები, მოსიყვარულე დები დღიან ღამიანა დაჭრილებს თავს ადგენ, ჩუმათ სიფრთხილით უვლიდენ, ალერსით ტანჯვას უმსუბუქებდენ.

ცოცხლათ გადარჩენილ აჯანყების მეთაურებს საიმედო სახლებში მალვიდენ, ორი თვის განმავლობაში წარმოუდგენელ შიშსა და ძრწოლაში დაგეშილ ძაღლებსავით მაძებარ ჩეკისტებისაგან იფარავდენ, თვით განსაცდელში ვარდებოდენ...“ [3, 5].

ვლასა მგელაძის პიროვნების და მისი მოღვაწეობის შესაფასებლად არც ისე მრავალრიცხოვანი მასალაა, თუმცა ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტები, მისი ნაწერები თუ პოეტური ქმნილებები ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორი გამორჩეული, განათლებული, შეუპოვარი და მრავალმხრივ მოღვაწე პიროვნება გახლდათ იგი. მისი შემოქმედება და პოლიტიკური მოღვაწეობა საკმაოდ მრავალფეროვანი და მრავალმხრივია და სხვადასხვა ასპექტითაა ვლასა მგელაძის შესწავლა შესაძლებელი. ამ ფონზე, არანაკლები ინტერესის შემცველია 1924 წლის აჯანყებისადმი მისი დამოკიდებულების და შეფასების გაანალიზება დღევანდელი გადასახედიდან გამომინარე. მართალია, არც თუ ისე ვრცელი სტატია უძღვნა ვლასა მგელაძემ 1924 წლის აჯანყებას, თუმცა მოტანილი ციტატებიც ნათელი დასტურია იმისა, თუ როგორი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა არა მხოლოდ 1924 წლის აჯანყების მონაწილე გმირების მიმართ, არამედ მთლიანად ქართველი ხალხის და საქართველოს მიმართ. პოლიტიკური თვალსაზრისით მისი აქტიურობა დაკავშირებული იყო ეროვნული იდეის მისეულ გაგებას-

თან, და აქ მთავარი საქართველოს თავისუფლება იყო. ამ იდეის განხორციელებას მან მთელი თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა.

შეიძლება ითქვას, რომ ვლასა მგელაძის შფასებები 1924 წლის აჯანყებასთან დაკავშირებით, პირველწყაროს წარმოადგენს. მაგალითად: „სამეგრელოდან, იმერეთიდან შემთხვევით გადარჩენილ მებრძოლებს წინ მიუძღოდათ ღრმა მოხუცები, რომლებსაც თოვლივით თეთღი წვერი წელზე სცემდათ; ღამე საიმედო გზით გურიაში მოყავდათ, აქედან კი ოსმალეთში გაყავდათ; „შეფიცულები" ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით მთებიდან მთებზე გადაყავდათ, ახალციხე-ფოცხოვის საზღვარზე აცილებდენ: ვაჟკაცურათ, მხნეთ იყავით, თქვენი თავი სამშობლოს სჭირია, – აბარებდენ... ასე გაიყვანეს მიხეილ ლაშქარაშვილი ქართლიდან... თფილისმა და მის ახლომახლო მდებარეობამ ერთი წლის განმავლობაში შეინახა ირაკლი ცაგურია და შემდეგ მეფის თვითმპყრობელობასთან მებრძოლმა, სახელოვანმა ჭაღარა კახელმა რევოლიციონერმა ის ბაკურიანის მთით სამშვიდობოს გაიყვანა...

საზღაპრო, წარმოუდგენელი თავგანწირვით გადამალეს გურიის ხელმძღვანელი რაზმი გურიის მთის შვილებმა, გამხეცებულ ჩეკისტებს ხელიდან გამოგლიჯეს, საშვილიშვილო, სასახელო საქმე ქნეს. ასევე ეხმარებოდენ გაქცეულებს ჩვენი ღვიძლი ძმები აჭარაში, მათი დედები და დები ლაზისტანში. ოსმალეთში მცხოვრები ძველი გამუსულმანებული ქართველები გულმოდგინეთ გადახვეწილებს შველოდენ, ძმურათ ყოველგან ხვდებოდენ.

ხალხის შემოძახებით გამხნევებული მეთაურები გაბედულად მოქმედებდენ, მეტად რთულ, ჯოჯოხეთად ქცეულ პირობებში ახალ ორგანიზაციას ქმნიდენ, კვლავ ბრძოლისათვის ირაზმებოდენ.

რაკი საქართველოს გამათავისუფლებელი კომიტეტი დაჭერილი იყო, ბრძოლის ველზე სოციალ-დემოკრატიული საორგანიზაციო კომიტეტი ამოისახა, ათეული წლების განმავლობაში. თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში, ციხე-ციმბირში, კატორღაში გაჭაღარებულნი რევოლუციონერები ახალგაზრდა მესვეურებს კვლავ გვერდში ამოუდგენ, თავიანთი გამოცდილებით, ფოლადისებური სიმტკიცით მოქმედებას შეუდგენ.

მიუხედავათ იმისა, რომ თფილისი სამხედრო ბანაკად იყო გადაქცეული და ერის გამათავისუფლებელი კომიტეტი შეპყრობილი, არც ერთი დღე, არც ერთი საათი ქართველი ხალხი უმეთაუროდ არ დარ-

ჩენილა. სოციალ-დემოკრატიულმა საორგანიზაციო კომიტეტმა თფილისის მდგომარეობა გამოარკვია, შემდეგ, სასწრაფოთ საიმედო შიკრიკები საქართველოს ყოველ კუთხეში დაგზავნა, საერთო მდგომარეობის შესწავლას შეუდგა.

გასაოცარი გაბედულობით, სიფრთხილით და გამოცდილებით, ხალხის მიერ გამორჩეულ მეგზურ ვაჟკაცებს ერთი მთის კალთებიდან მეორე სერზე ეს შიკრიკები გადაყავდათ, ჩაკოტვილ სიმიდების ყანებით, ტყე-ბუჩქნარ ჭალებით რუსის ჯარის მიერ გაკრულ რკალს შეუმჩნევლათ ეპარებოდენ, სოფლებში ღამით ფრთხილად შედიოდენ, შექმნილ მდგომარეობაში ერკვეოდენ, ცნობებს კრეფდენ, სხვადასხვა კუთხის ამბებს ამოწმებდენ და თფილისში ახლად გადახალისებულ სოციალ-დემოკრატიულ ცენტრს – საორგანიზაციო კომიტეტს აწვდიდენ. ეს ცნობები თფილისში ჩვენს სასიქადულო დედებს თავიანთ მადლიან გულ-მკერდზე აკრული გადაქონდათ. ისინი თავიანთ შვილებს, სასახელო ვაჟკაცებს გაბედულ მოქმედებაში, თავგანწირვაში ეცილებოდენ.

ამ გზებით ამბები პროვიცნიებიდან ჯერ თფილისში მიდიოდა, შემდეგ კი აქედან მთელი ხალხის ტანჯვა-წამება, შექმნილი მდგომარეობა, ერის მომავალი ზრახვანი, იმედით აღსავსე დაბეჭდილ ფურცლებით წამებულ სამშობლოს ემცნობოდა.

პროკლამაციების ბეჭდვა და მით ხალხის გამხნევება დამთავრდა ნოე ჟორდანიას მიერ ერისადმი მოწოდებით, რომელიც ტანჯულ ხალხს ცის მანანასავით მოევლინა. ეს მოწოდება ხელიდან ხელში გადადიოდა, მის წასაკითხავათ ვითარცა ძველი ქრისტიანენი, ისე იყრიდენ თავს ჩუმად, ზამთრის ცივ ღამეებში მას კითხულობდენ, წელში იმართებოდენ, ყველას იმედი ეძლეოდა. ამ მოწოდების ცეცხლმფრქვევი სიტყვებით თბებოდენ, თალცრემლიანი, გაბრწყინებული სახით სიცოცხლისა და საარსებო ბრძოლისათვის ემზადებოდენ. ზამთრის ცივ გაყინულ სახლებში, სარდაფებში ახალგაზრდა ვაჟებში და გოგონებში ამ დაბეჭდილ მოწოდებას რამდენიმე ცალად გარკვეულათ წერდენ და ისე მთელს ერში ავრცელებდენ.

საიდან პოულობდა ასეთნაირად გაწამებული ხალხი სულიერ ძალას, ან საიდან ღებულობდა ის ასეთ ენერგიას, ან სად იყო დაგროვილი ეს გამოცდილება?

ეს ჰკითხეთ საქართველოს წარსულს – ერის გადასარჩენათ წარმოებულ ბრძოლებს...“ [3, 6].

ქაქუცა ჩოლოყაშვილის და ქართველთა საპროტესტო გამოსვლების შესახებ ვლასა მგელაძე ასევე საუბრობს მემუარებში: „... სხვათა შორის დატუსაღებას გაექცა და მთებში გაიქცა მთების შვილი და სახელოვანი ვაჟკაცი ქაქუცა ჩოლოყაშვილი.

ჩოლოყაშვილმა რაზმები შეადგინა, მამაცი „შეფიცულებით" დუშეთ-კახეთ-ხევსურეთში მოქმედება იწყო.

სვანეთი აჯანყდა 1921 წელს დეკემბერში, ხევსურეთი 1922 წელს ზაფხულში...

ამ ორმა გამოსვლებმა მთელი საქართველო აამხედრა, ბოლშევიკების მიერ დასაჭირავათ შენიშნული ვაჟკაცები ტყე-მთებში გაიჭრა, პარტიზანობა გაჩაღდა, რომელნიც შემდეგში პარტიულ ორგანიზაციების და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის განკარგულებაში გადავიდა; აღრიცხვაზე იქნა აყვანილი და შემდეგ წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან არსებულ უმაღლეს სამხედრო საბჭოს განკარგულებაში გადავიდა.

შეფიცულები ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით აწარმოებდენ პარტიზანულ თავდასხმებს მილიციონერებზე, ჩეკისტებზე, ხევსურეთთან ერთად რუსის ჯარის წინააღმდეგ და მტერს დიდ ზიანს აყენებდენ; მოკლულ-დაჭრილთა გარდა ტყვეებიც წაიყვანეს... ამან ქაქუცას და მის შეფიცულებს ხალხში სახელი გაუთქვა, იმედი აღუძრა" [4, 36].

ბუნებრივია, საქართველოს უახლესი ისტორია, მისი ცალკეული საკითხები არცთუისე მარტივი შესაფასებელია და მრავალი კარდინალური მნიშვნელობის პრობლემა თუ პიროვნების მოღვაწეობაა შესასწავლი, მათ შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ნაკლებად შესწავლილი მოღვაწეა ვლასა მგელაძე, რომელიც საკმაოდ გამორჩეული და საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურაა. ბუნებრივია, მისი მოღვაწეობის შეფასება დიდ მუშაობას და გაანალიზებას მოითხოვს, თუმცა სტატიაში წარმოდეგნილი რამდენიმე დოკუმენტური მასალა აჩვენებს მის ღვაწლს, დამსახურებას და შეუპოვრობას საქართველოს თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის გზაზე. მისი პიროვნების შესაფასებლად საინტერესო ცნობაა დაცული მისივე მემუარებში: „... ჩეკისტები მდგომარეობაში ვერ გარკვეულიყვენ. იქვე სასახლიდან მოყურადებულ ხელისუფლებასთან გარბოდენ განკარგულების მისაღებად, რომ მე ჩემდა უნებურად ხელიდან ქუდი გამვარდა, წრიდან გამოვედი, ეროვნულ დროშით და სანთლებით გაბ-

რწყინებულ ძვირფას საფლავებს თავს დავადექი, ზღვა ხალხში ძველებურად აღმოვიმართე, მაღალი, გარკვეული ხმით საყვარელ, სასახელო გმირებს და ქართველ ერს მივმართე!.. ამ გმირებმა ნამუსი აღგვიდგინა, წელზე შეხსნილი ხმალი კვლავ შეგვარტყა. ეს პაწია ეროვნული დროშები აქ კი არა, აი იქ, სასახლის თავზე უნდა ფრიალებდეს, იქ ჩვენი ეროვნული მთავრობა და ერის საყვარელი ბელადი ნოე ჟორდანია უნდა განაგებდენ და არა სამშობლოს მოღალატე იუდები, – რაც ძალი და ღონე მქონდა გავიძახოდი...

ეს ჩემი პირველი გაბედული სიტყვა იყო დაპყრობის შემდეგ საჯაროთ წარმოთქმული, რასაც ზღვასავით აზვირთებული ხალხი ტაშისცემით, გაუმარჯოს საქართველოს ძახილით შეხვდა. თვალგაბრწყინებული მომჩერებოდა ლეონიდე, კვერთხით ხელში მამხნევებდა...“ [4, 16].

ამრიგად, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ქართული საზოგადოება და მთლიანად საქართველო ახალი რეალობის წინაშე აღმოჩნდა, რომელსაც განსხვავებული გზით მიყავდა ჩვენი ქვეყანა. მართალია, საქართველოსთვის უცხო არასდროს ყოფილა სხვის მორჩილებაში და დაქვემდებარებაში ყოფნა, როდესაც ხშირად დგებოდა სახელმწიფოს ყოფნა-არყოფნის საკითხი, თუმცა დროის აღნიშნულ მონაკვეთში მტერი განსხვავებული ფორმით და მოტივით მოდიოდა, რომელიც არა მხოლოდ შეიარაღებული ბრძოლით, არამედ იდეოლოგიური გზითაც იპყრობდა საქართველოს.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას შეიარაღებული გზით შედეგად მოჰყვა დაპყრობა ყველა მიმართულებით. საბჭოთა რუსეთი არ ერიდებოდა არანაირი მეთოდის გამოყენებას საქართველოს სრულად დამორჩილებისათვის. გარდა იმისა, რომ ტერიტორია უკვე მის დაქვემდებარებაში იყო საბჭოთა ხელისუფლება მიმართავდა ათასგვარ ძალადობრივ საშუალებას საქართველოს მოსახლეობის იდეოლოგიური დამორჩილების თვალსაზრისითაც:

1. საბჭოთა რუსეთმა გააუქმა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და მოსახლეობა აიძულა დამორჩილებოდა და ეღიარებინა ახალი ხელისუფლება. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი აღარ არსებობდა და მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა ახალ ძალაუფლებაზე. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს წაართვა ტერიტორია, მოსახლეობას სამშობლოს აღქმა და რაც მთავა-

რია, ეს არ იყო რიგითი დამპყრობელი, რომელიც მხოლოდ ფორმალური აღიარებით, ან ეკონომიკური სანქციებით დაკმაყოფილდებოდა, ეს იყო სისტემა, რომელიც მთლიანად ცვლიდა საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ მძლავრ მექანიზმს, რასაც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ტერიტორიული მთლიანობა ერქვა.

2. საბჭოთა რუსეთმა დიდი ზიანი მიაყენა და ფაქტობრივად გაუქმების საფრთხე შეუქმნა ქართულ ენას და რელიგიას. მეფის რუსეთის პოლიტიკა შეიძლება ითქვას კვლავ გრძელდებოდა ახალი სახელწოდების და მმართველობის ფორმის, სისტემის მიერ. განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ თუ მეფის რუსეთის დროს რელიგია მაინც იყო შედარებით თავისუფალი და საზოგადოებას შეეძლო ქრისტიანული სარწმუნოება ელიარებინა და მისი მეშვეობით საკუთარი ინდივიდუალობა გადაერჩინა, საბჭოთა რუსეთის შემთხვევაში რელიგია მთლიანად უგულებელყოფილი იყო. ეს კი დიდ დარტყმას აყენებდა საზოგადოების ფართო ფენებს, მათ ცნობიერებას.

3. დამპყრობელი განსაკუთრებული სისატიკით უსწორდებოდა ყველა იმ ადამიანს, რომელიც ახალი ხელისუფლების მიმართ პროტესტს გამოხატავდა. საზოგადოება იძულებული იყო მიეღო არა მხოლოდ ახალი პოლიტიკური, არამედ სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-რელიგიური ფორმაც.

საბჭოთა ხელისუფლება მთელი არსებობის მანძილზე მუდმივად ცდილობდა საქართველოში თუ საზღვარგარეთ მოქმედი ქართული ეროვნული ძალებისათვის ხელის შეშლას თავისუფლებისათვის ბრძოლაში, თუმცა ეროვნული მოძრაობა ყოველთვის განაგრძობდა არსებობას, რომელიც გამოიხატებოდა, როგორც შეიარაღებული ფორმით, როგორც ეს იყო XX საუკუნის 20-იან წლებში, ან იდეოლოგიური კუთხით, რომელიც მთავარ ხაზად გასდევდა ეროვნული ძალების ბრძოლას მთელი 1921-1991 წლების განმავლობაში. ქართველი დისიდენტების მოღვაწეობაც ამ ბრძოლის ნაწილია, რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 1831, აღწ. 2, საქ. №126.

2. საქართველოს დამფუძნებელი კრება, თბილისი, 2016.
3. ვლასა მგელაძე, აჯანყების მეორე დღეს (1924 წლის აჯანყების მოგონებიდან), გაზ. ბრძოლის ხმა, №5(84), პარიზი, 1938, გვ. 5-6; გ. შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 6, 2005, გვ. 104-105
4. ვ. მგელაძე, მოგონებები, წიგნი პირველი, საქართველო აჯანყებამდე (1921-1924), პარიზი, 1936

Nato Songulashvili
Doctor of History, Ivane Javakishvili Tbilisi state university, Ivane Javakishvili Institute of History and Ethnology, Research scientist of the department Modern and Contemporary History

Vlasa Mgeladze about the 1924 uprising

Summary

In Georgian historiography, there are clear studies about the individual issues of the national liberation movement of the 20s of the 20th century. Along with various problems, the events of the 1924 uprising are covered. It is important to study how the national issue was perceived by the Georgian cultural and political elite and what ideas were offered to the Georgian society for raising national consciousness against the background of the ideology of the Soviet government.

Naturally, the recent history of Georgia, its separate issues are not easy to assess, and there are many problems of cardinal importance and the work of individuals to be studied, one of the important and less studied figures is Vlasa Mgeladze, who is quite outstanding and one of the visible figures of the recent history of Georgia. Naturally, the assessment of his work requires a lot of work and analysis, however, several documentary materials presented in the article show his merits, merits, and intransigence in the struggle for the freedom of women.

ოთარ ჯანელიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი

1924 წლის აგვისტოს აჯანყება და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის სამხედრო აგრესიის შედეგად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დაემხო. საქართველოს მხედრობა ერთ თვეზე მეტ ხანს იცავდა თავისუფალ სამშობლოს, შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდა მტერს, მაგრამ ვერ შეძლო გამკლავებოდა სხვადასხვა მხრიდან შემოჭრილ წითელი არმიის მრავალრიცხოვან ნაწილებს. ქვეყანაში ბოლშევიკური რეჟიმი დამყარდა.

არაერთ პუბლიკაციაში, მათ შორის სამეცნიერო ხასიათის ნაშრომშიც, შეხვდებით მტკიცებას, რომ დამარცხებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა სამშობლოდან გაიქცა. ეს თვალსაზრისი არ არის სწორი და იგი უნდა შეიცვალოს.

1921 წლის 17 მარტს, ბათუმში გამართულ საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელ სხდომაზე, ოპოზიციურმა პარტიებმა, მართალია, მკაცრად გააკრიტიკეს და დაგმეს სოციალ-დემოკრატიული ხელისუფლება, რომელმაც ვერ უზრუნველყო ქვეყნის თავდაცვა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მაგრამ, ამის მიუხედავად, მთავრობა ნოე ჟორდანიას მეთაურობით კრებამ მაინც აღჭურვა მანდატით, რათა მას საზღვარგარეთ განეგრძო ბრძოლა საქართველოს დეოკუპაციისა და თავისუფლების აღსადგენად. სპეციალური დადგენილებით, მთავრობასთან ერთად სამუშაოდ გაიგზავნა დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმიც, როგორც ამ კრების იურიდიული გამოხატულება. დამფუძნებელი კრების ამ სხდომის არც ოქმი და არც სტენოგრაფიული ანგარიში მიკვლეული არ არის, თუმცა მოგვეპოვება სხვა მონაცემები, რომლებიც ხსენებული ფაქტის სიზუსტეს ადასტურებს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის კონსტანტინე კანდელაკის მოწმობით: „საქართველოს კანონიერი მთავრობა, რომელიც მოქმედებდა საქართველოს დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების (1921 წლის 17 მარ-

ტის) შესაბამისად, გემით გაემგზავრა ევროპაში, რათა ემიგრაციაში განეხორციელებინა დაკისრებული მისია, რომელიც ქართველი ხალხის სუვერენული ინტერესების დაცვაში, ცივილიზებული სამყაროს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებასა და საზღვარგარეთის სახელმწიფოთა ხელისუფლების მხარდაჭერის მოპოვებაში მდგომარეობდა" [1, 15].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გენერალური შტაბის უფროსი გენერალი ალექსანდრე ზაქარიაძე აღნიშნავს: „დამფუძნებელმა კრებამ ერთხმად დაადგინა – გაგზავნოს საზღვარგარეთ საქართველოს ეროვნული მთავრობა ბატონ ნოე ჟორდანიას მეთაურობით. ...მთავრობას დაევალა დაეცვა საქართველოს და ქართველი ერის ინტერესები მთელი დედამიწის მთავრობებისა და ერების წინაშე. ...ასეთი იყო უკანასკნელი დადგენილება თავისუფალი ქართველი ერის თავისუფლად არჩეული პარლამენტისა" [2, 67].

რადიო „თავისუფლების" ქართულ რედაქციის ყოფილი ხელმძღვანელის, კარლო ინასარიძის სიტყვებით: „1921 წლის 16 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ ჩაატარა უკანასკნელი სხდომა ბათუმში და საქართველოს მთავრობას, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, დაავალა დაეტოვებია საქართველოს ტერიტორია და უცხოეთიდან განეგრძო მოღვაწეობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის" [3, 479].

კიდევ ერთი თანამედროვე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი იონა თოდუა უფრო აკონკრეტებს და წერს, რომ დამფუძნებელ კრებაზე „მიიღეს რეზოლუცია, რომელიც ნდობას უცხადებდა მთავრობას და თავდაცვის საჭიროებას აღნიშნავდა" [4, 144]. ხმების თანაფარდობა იყო 42 მომხრე, 22-ის წინააღმდეგ [5, 390].

მიუხედავად იმისა რომ, ეს ცნობები ეკუთვნით გენერალს, მინისტრს, ჟურნალისტსა და რიგით მენშევიკს, შეიძლება ვინმემ მაინც ეჭვი შეიტანოს მათ სისწორეში და ისინი ტენდენციურად მიიჩნიოს, რადგან მათი ავტორები სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ასოცირდებიან, მაგრამ არსებობს სხვა უტყუარი მასალაც, რომლის ობიექტურობა არ შეიძლება საკამათო იყოს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენელი შალვა ამირეჯიბიც გვიდასტურებს: ჟორდანიას „მთავრობას დამფუძნებელმა კრებამ, ესე იგი ქართველმა ხალხმა დაავალა იბრძოლოს დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად" [6, 3; 7, 417].

ნოე ჟორდანიას მთავრობის გარდა, უცხოეთში გაიხიზნა ქართული სოციალ-დემოკრატიის თითქმის ყველა თვალსაჩინო ლიდერიც, რომლებმაც პარიზში პარტიის საზღვარგარეთის ბიურო დააარსეს, თუმცა იმ დროისათვის ყველაზე მრავალრიცხოვანი და გავლენიანი ამ პოლიტიკური ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტი საქრთველოში ფუნქციონირებდა და საქმიანობას არალეგალურად განაგრძობდა (ხელმძღვანელი სეით დევდარიანი).

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია საქართველოს ოკუპაციიდან მალევე ორ – მემარცხენე და მემარჯვენე ფრთად გაითიშა. ე. წ. „მემარჯვენე" ფრთა საბჭოთა წყობილებას დაუპირისპირდა (მისი ზოგიერთი წევრი ემიგრაციაში გაემგზავრა, ზოგმაც იატკქვეშეთში გადაინაცვლა), მემარცხენეებმა კი ბოლშევიკურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა არჩიეს და მალე საერთოდაც კომუნისტურ პარტიასთან გაერთიანდნენ.

„საბჭოთა ნიადაგზე" დადგომის პირობით, რევკომმა მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტების გარდა, ლეგალური მუშაობის საშუალება სოციალისტ-რევოლუციონერებს და სოციალ-დემოკრატ „სხიველებსაც" მისცა, თუმცა, დროებით.

რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატებს, 1921 წელს მათი პარტია სამშობლოში დარჩა და დამპყრობლის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის გზას დაადგა. მაგრამ ისე მოხდა, რომ ზოგიერთი თვალსაჩინო ეროვნულ-დემოკრატი (გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი გვაზავა, რევაზ გაბაშვილი, იოსებ დადიანი და სხვ.) მაინც აღმოჩნდა უცხოეთში. 1920 წლის აპრილიდან, როგორც საქართველოს ეკონომიკური მისიის წევრი, ევროპაში იმყოფებოდა ნიკო ნიკოლაძე. ყველა მათგანმა თავი პარიზში მოიყარა. მათვე შეუერთდა ექვთიმე თაყაიშვილი, რომელიც დემოკრატიული საქართველოს მთავრობის დავალებით საფრანგეთში ეროვნული განძეულის მცველად გაემგზავრა. 1923 წელს პარიზში ჩააღწია საბჭოთა რეჟიმის მიერ საქართველოდან გაძევებულმა სპირიდონ კედიამაც.

ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ საზღვარგარეთის ცენტრალური ბიუროც ჩამოაყალიბა, არსებობდა პარტიის კონსტანტინოპოლისა და პარიზის კომიტეტები და სხვა სტრუქტურებიც, მაგრამ ამ პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელი ორგანოც – არალეგალური ცენტრალური კომიტეტის სახით, სამშობლოში განაგრძობდა საქმიანობს.

როგორც დავინახეთ, საქართველოს ოკუპაციის შემდეგ 1918-

1921 წლებში მოქმედი ქვეყნის პოლიტიკური სპექტრის ძირითადი ნაწილი სამშობლოში დარჩა, ნაწილმა კი უცხოეთში გადაინაცვლა. ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ ბინა საფრანგეთში დაიდო. სოციალ-დემოკრატებისა და ოპოზიციური ძალების ურთიერთდაპირისპირების მიუხედავად, მათი საქმიანობა საზღვარგარეთ უფრო კოორდინირებულად წარიმართა. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ სამოქმედოდ ემიგრირებულმა მთავრობამ კავშირი დაამყარა საქართველოში მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობასთან და პარალელურად, გაშალა მუშაობა ევროპაში პოლიტიკური, ფინანსური თუ სამხედრო ხასიათის დახმარების მისაღებად [8]. ამ მუშაობაში ჩართული იყვნენ ოპოზიციის წარმომადგენლებიც.

ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობის უმეტესობა პროტესტით შეხვდა რეგიონში ხელახლა მობრუნებული დამპყრობლის დიქტატს. ქართველი ხალხი არ შეურიგდა ბოლშევიკურ ოკუპაციას და საბჭოთა რეჟიმს 1921 წლიდანვე ენერგიულად დაუპირისპირდა. წინააღმდეგობას ჯერ მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი აჯანყებებსა და შეიარაღებულ დაპირისპირებაში გადაიზარდა. წარმატების მისაღწევად, აუცილებელი იყო დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ყველა ძალის შეკავშირება და მათი ერთიანი ფრონტის შექმნა. ალექსანდრე ასათიანის სიტყვებით, დაწყებულ მზადებას არ ჰქონია მოკლე და დროებითი მიზნები. ის არ წარმოებდა უსათუოდ აჯანყებისათვის, არამედ გადამწყვეტი მომენტისათვის, როდესაც გამოისახებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის რეალური შესაძლებლობა გარეშე შურისძიებისა და სამოქალაქო ომისა“ [9, 70]. ამასთან, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, თუ ვინ უხელმძღვანელებდა ამ ბრძოლას და დაიძლეოდა თუ არა ის უნდობლობა, რაც სოციალ-დემოკრატებს, ეროვნულ-დემოკრატებს, ფედერალისტებსა და ესერებს ერთმანეთის მიმართ გააჩნდათ.

ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი ძალების კოორდინაციის მიზნით, 1922 წლის გაზაფხულზე ანტისაბჭოთა პლატფორმაზე მდგომმა პოლიტიკურმა პარტიებმა, თბილისში დამოუკიდებლობის კომიტეტი – დამკომი, იგივე პარიტეტული კომიტეტი – დააფუძნეს. აჯანყების მომზადებისა და უშუალო ხელმძღვანელობისათვის მალე დამკომთან „გაერთიანებული სამხედრო ცენტრიც“ შეიქმნა.

მანამდე კი, კერძოდ, 1922 წლის თებერვალ-მარტში, პარიზში ქართველი ხალხის ბრძოლის სახელმძღვანელოდ, ოთხი წევრისაგან შემ-

დგარი „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ჩამოყალიბდა, რომელშიც ორი სოციალ-დემოკრატი, ერთი ეროვნულ-დემოკრატი და ერთი სოციალისტ-ფედერალისტი შევიდა [10, 106]. შეიქმნა ასევე ჯერ საზღვარგარეთული ინტერპარტიული კომიტეტი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძის (სოციალ-დემოკრატი) თავმჯდომარეობით, ხოლო 1924 წელს – საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის საზღვარგარეთის დელეგაცია (ნ. ჩხეიძე (თავმჯდომარე), წევრები: სპირიდონ კედია (ეროვნულ-დემოკრატი), სამსონ ფირცხალავა (სოციალისტ-ფედერალისტი) და იოსებ გობეჩია (სოციალისტ-რევოლუციონერი).

პარტიათა შეთანხმებაც გაცილებით იოლად და საქართველოზე ადრე ემიგრაციაში იქნა მიღწეული. 1921 წლის 22 სექტემბერს პარიზში საქართველოს ემიგრირებული მთავრობის სხდომა გაიმართა. სხდომაზე დამფუძნებელი კრების ოპოზიციური წარმომადგენლებიც – ექვთიმე თაყაიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი და სიმონ მდივანიც მიიწვიეს. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ოფიციალური შეხვედრა უცხოეთში, რომელიც პარტიათა შეთანხმების პრობლემას მიეძღვნა. სხდომამ შემდეგი კომპრომისული პროექტი დაამტკიცა: „შესდგეს საქართველოს ინტერპარტიული ორგანო – თითო პარტიიდან თითო კაცი – პარტიათა შორის კონტაქტის დასამყარებლად და ანტიბოლშევიკური ფრონტის განსამტკიცებლად“ [11, 1-2; 7, 414-415].

ემიგრირებული მთავრობა სამშობლოში დამკომის სახელზე დროდადრო ფულსაც გზავნიდა, რომელიც საბრძოლო რაზმების შექმნასა და მომზადებას ხმარდებოდა. მაგალითად, 1922 წლის ნოემბრიდან 1924 წლის 15 მაისამდე გამოგზავნილმა თანხამ შეადგინა 47875 თურქული ლირა, ხოლო 1924 წლის გაზაფხულზე დამატებით გამოიგზავნა 60 ათასი ფრანკი, შემდეგ კი 2079 გირვანქა სტერლინგი [12, 107].

ემიგრაციაში მყოფი ქართული პოლიტიკური პარტიები თავიანთი მიმართვებითა და მოწოდებებით დროდადრო ამხნევებდნენ ქართველ ერს. ერთ-ერთ ამგვარ მიმართვაში, რომელსაც ხელს აწერდნენ ესერთა, სოციალ-დემოკრატთა, სოციალისტ-ფედერალისტთა, ეროვნულ-დემოკრატთა და საქართველოს დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიები, აღნიშნულია: „ერი არ შეიძლება შედრკეს. ქართველი ხალხი ერთი წუთითაც არ გაიფიქრებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშა დაბლა დახაროს. ის მტკიცე და შეურყეველია დამპყრობელთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ...

ერი ყოველ წუთს სადარაჯოზე უნდა იდგეს, მისი გუშაგი უნდა ფხიზლობდეს. დაე, ამ ბრძოლაში მამა დაეცეს, მისი ადგილი შვილმა დაიკავოს, ძმა დაიღუპოს, ის ძმამ შესცვალოს, მეგობარი-მეგობარმა, ამხანაგი-ამხანაგმა... და ასე განუწყვეტლივ გრძელდებოდეს ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებამდის" [13, 85].

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიურო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს წერდა: „საჭიროა მხოლოდ, რომ ქართველმა ერმა შეინარჩუნოს აქტივობა და მუდმივ ბრძოლის უნარი, რომ ყოველ წუთს შინაური და გარეშე გრძნობდეს, რომ ის იმყოფება საოკუპაციო ზონაში". დევნილი მთავრობის მთავარი მიზანი, როგორც თვითონ უწოდებდა, – „პროგრამა", მკაფიო იყო: „მოძალადე რუსის „წითელი" ჯარის გაყვანა საქართველოდან, და ხალხის თვით-გამორკვევის უფლების აღდგენა" [14].

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია უცხოეთში ეწოდა საქართველოს საკითხის აქტუალიზებას, ესწრაფოდა მის ჩართვას საერთაშორისო პოლიტიკის დღის წესრიგში, აქტიურად ეძიებდა მხარდამჭერებსა და მოკავშირეებს. ოფიციალურ წრეებთან საქართველოს სახელით მოლაპარაკებების წარმოება სრულუფლებიან ელჩს აკაკი ჩხენკელს დაეკისრა. ამავე მიზნით უნდა ეღვაწათ ასევე საქართველოს დიპლომატიურ მისიებსა და წარმომადგენლობებს – დავით ღამბაშიძეს დიდ ბრიტანეთში, ვლადიმერ ახმეტელს გერმანიაში, გიორგი მაჩაბელს იტალიაში, სიმონ მდივანსა და კონსტანტინე გვარჯალაძეს თურქეთში, ხოლო ხარიტონ შავიშვილს – ერთა ლიგაში. საქართველოს მთავრობის მანდატით აშშ-ში რამდენჯერმე გაიგზავნა ზურაბ ავალიშვილი და სხვ. სტამბოლში დაფუძნდა ქართული პოლიტიკური კომისია[1] ნოე ხომერიკის (შემდეგ რაჟდენ არსენიძის) ხელმძღვანელობით, ასეთივე კომისია დაარსდა ბერლინში (თავმჯდომარე იოსებ სალაყაია). ქართული გამგეობები მოქმედებდნენ პრაღასა და ვარშავაში.

ნოე ჟორდანია სპეციალური მოხსენებით გამოვიდა საფრანგეთის, ბელგიის, ინგლისის სოციალისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენლების წინაშე. ბრიუსელში იგი ბელგიის მთავრობის თავმჯდომარესა და საგარეო საქმეთა მინისტრსაც შეხვდა, რომლებმაც

---

[1] ამ კომისიამ 1921 წელს გამოსცა პირველი ქართული ემიგრანტული ჟურნალი „თავისუფალი საქართველო". მომდევნო წლებში ჟურნალი პარიზში გამოიცემოდა.

დახმარება აღუთქვეს. ბელგიის სოციალისტური პარტიის ლიდერმა ემილ ვანდერველდემ ჟორდანიასთან გამართული ხალხმრავალი შეხვედრისას განაცხადა: „ჩვენ ბელგიელებსაც ბევრის გაკეთება შეგვიძლია საქართველოსთვის და ჩვენ არ დავაკლებთ არავითარ ცდას, ავამოძრავებთ საქართველოსთვის მთელ ჩვენ გავლენას განათლებულ კაცობრიობაზე“ [15]. ბელგიიდან ჟორდანია გაემგზავრა ინგლისში და მონაწილეობა მიიღო მუშათა პარტიის წლიურ კონგრესში, რომელმაც საქართველოს მხარდამჭერი რეზოლუცია დაამტკიცა [16, 14-15].

კარლო ჩხეიძე და ნოე რამიშვილი საგანგებოდ ესტუმრნენ ვარშავას, ბერლინს, შეხვდნენ პოლონეთისა და გერმანიის მმართველი პარტიების, სამთავრობო წრეების წარმომადგენლებს; კარლო ჩხეიძე სიტყვით გამოვიდა კოპენჰაგენში გამართულ სოციალისტური ინტერნაციონალის კონფერენციაზე; ევგენი გეგეჭკორი და სიმონ მდივანი რომში ესაუბრნენ ცნობილ სოციალისტ მოღვაწეებს, აკაკი ჩხენკელი კერძო აუდიენციაზე იტალიის მეფე ვიტორიო ემანუელე III-მაც მიიღო და სხვ. ყველა ეს შეხვედრა გამოყენებული იყო საქართველოს საკითხის პოპულარიზაციისათვის.

მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა საზღვარგარეთულ პრესაში პუბლიკაციებს, ფრანგულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე ბროშურების გამოცემას, რომლებშიც თავს იყრიდა საგულისხმო მასალა საქართველოს მდგომარეობის შესახებ საბჭოთა ოკუპაციის პირობებში და სხვ. ეს აუცილებელი და საშური საქმე იყო, რადგან ბოლშევიკებს უკვე წარმატებით ეწარმოებინათ ე. წ. საინფორმაციო ომი. როგორც კონსტანტინე გვარჯალაძე წერდა: „ევროპაში ჩამოსვლისას ჩვენ დავინახეთ, რომ ბოლშევიკებს მიეღოთ ყოველნაირი ზომა, ევროპა დაერწმუნებინა იმაში, რომ საქართველოში მოხდა შინაური გადატრიალება, ქართველ ხალხს უნდოდა ბოლშევიზმი და ახლანდელი ბოლშევიკური მთავრობა ხალხის სურვილებს და სიმპათიებს ეყრდნობაო“. საჭირო იყო ამ შეხედულების უკუგდება და ევროპის საზოგადოებრივი აზრის იმ სიმართლეში დარწმუნება, რომ საქართველოში ბოლშევიკური გადატრიალება კი არ მოხდა, არამედ ქვეყანა დაპყრობილ იქნა გარედან, უცხო ჯარებით, რომ იქ უცხო ჯარების ოკუპაცია გრძელდება [17, 47-48].

დიდ მუშაობას ეწოდა პარიზში დაარსებული ცენტრალური საპროპაგანდო-სააგიტაციო კომისია, რომელსაც სათავეში ნოე რამიშვილი ედგა. კომისიის წევრები იყვნენ: ირაკლი წერეთელი, კონსტანტინე

საბახტარაშვილი და ვლადიმერ ვოიტინსკი (სოციალ-დემოკრატები) და სიმონ მდივანი (ფედერალისტი) [18, 5].

სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერები უფრო წარმატებით ევროპაში თავიანთ მონათესავე პარტიებთან და II ინტერნაციონალთან თანამშრომლობდნენ, ემიგრაციაში მყოფმა ეროვნულ-დემოკრატებმა მოახერხეს კავშირის დამყარება ინგლისის, იტალიის, თურქეთის, რუმინეთის სახელისუფლო და საქმიან წრეებთან, ესწრაფოდნენ მათ მიმხრობას და მხარდაჭერის მოპოვებას საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამ მხრივ საყურადღებოა გიორგი მაჩაბლის, სპირიდონ კედიასა და დავით ვაჩნაძის საქმიანობა [19, 68-92; 20, 31-34].

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ერთა ლიგას და ცდილობდა მისი ტრიბუნის გამოყენებასაც. ლიგის გენერალურ ასამბლეას რამდენჯერმე წარედგინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემორანდუმი თხოვნით, აღემაღლებინათ ხმა საქართველოს დასაცავად. საქართველოს საკითხი ერთა ლიგის სხვადასხვა კომისიას გადაეცემოდა და სესიის პლენარულ სხდომამდე ვერ აღწევდა. მხოლოდ 1922 წლის სექტემბერში იქნა მიღებული საერთო რეზოლუცია, რომელიც ავალებდა ლიგის საბჭოს, ყურადღება მიექცია საქართველოში მიმდინარე მოვლენებისათვის და დახმარებოდა ქართველ ხალხს ნორმალური ვითარების აღდგენაში [21, 362].

1921 წელს ინგლისში შეიქმნა „საქართველოს დამხმარე კომიტეტი" (თავმჯდომარე ს. მორისი), 1924 წელს შვეიცარიაში ჩამოყალიბდა „საქართველოს დამხმარე ინტერნაციონალური კომიტეტი" (პრეზიდენტი ჟან მარტენი), მოგვიანებით პარიზში დაფუძნდა „საქართველოს მეგობართა ასოციაცია" (პრეზიდენტი აბელ შევალიე) და სხვ. [22, 80, 85]. ამ ორგანიზაციებისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ზემოთ აღნიშნული ძალისხმევის შედეგად, საქართველოში მიმდინარე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა იმთავითვე საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოექცა.

ჩვენს ქვეყანაში წარმოებულ ბრძოლას გამოძახილი და თანაგრძნობა ჰქონდა საბჭოეთთან დაპირისპირებულ ევროპის სახელმწიფოებში, კერძოდ, საფრანგეთში, პოლონეთში, იტალიაში და სხვ. დასავლეთის საზოგადოებრივი აზრი ოკუპირებული საქართველოსადმი

კეთილგანწყობით იყო გამსჭვალული, იგი სოლიდარობას უცხადებდა უტეხი ნების, თავისუფლებისათვის შემართულ და დამპყრობელთან შეურიგებელ ქართველ ერს. საქართველოს საკითხი განხილულ იქნა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის პარლამენტებში, ერთა ლიგაში, ინტერნაციონალის კონგრესებზე და სხვ. მაგრამ უშედეგოდ. ამ ტიპის მხარდაჭერა დასაფასებელი მორალური სტიმული იყო, თუმცა სრულიად არასაკმარისი საქართველოს ეროვნული სატკივრის მოსაგვარებლად. როგორც ჯერ კიდევ 1922 წელს აკაკი ჩხენკელი აღნიშნავდა თავის „მემუარში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩის ...დიპლომატიური მუშაობის შესახებ 1921-1922 წლებში“: „თანაგრძნობა ქართველი ერისადმი არ კლებულობდა ევროპაში, მაგრამ იგი ვერ გადადიოდა საქმეში“ [23].

დასავლურ პრესაში მრავლად იბეჭდებოდა თანაგრძნობით აღსავსე წერილები მებრძოლი საქართველოს მიმართ, მაგრამ ამ ბრძოლაში საქართველოს უცხოეთში რეალური მოკავშირე არ გამოუჩნდა. აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის მიერ 1955 წელს გამოქვეყნებულ სპეციალურ ანგარიშში სავსებით მართებულადაა ხაზგასმული: „არავის სურდა უთანხმოება შორეულ კავკასიაში მდებარე პატარა ქვეყნის გამო საბჭოთა რუსეთთან“ [24, 25].

მართალია, ანტანტის სახელმწიფოებმა ვერ გაამართლეს საქართველოს იმედები, ნოე ჟორდანიას სიტყვებით, „ხიდი ჩვენსა და ევროპას შორის გატყდა“, მაგრამ ემიგრირებულ მთავრობას და მთლიანად ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას არასოდეს უთქვამს უარი დასავლურ ორიენტაციაზე. აუცილებელია ითქვას ისიც, რომ საქართველოსადმი საერთო ინდიფერენტიზმის ფონზე, სასიამოვნო გამონაკლისი იყო საფრანგეთის ხელისუფლება (პრეზიდენტი ალექსანდრ მილიერანი, არისტიდ ბრიანისა და რაიმონ პუანკარეს კაბინეტები), ასევე, პოლონეთის ლიდერი იუზეფ პილსუდსკი, რომლებიც ცდილობდნენ მხარი დაეჭირათ ემიგრირებული მთავრობისათვის. ეს გარემოება ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას ჯერ კიდევ უტოვებდა ევროპიდან დახმარების მიღების იმედს. ამ იმედის პრაქტიკული გამოხატულება უნდა ყოფილიყო საფრანგეთის მთავრობისაგან ფინანსურ-მატერიალური თანადგომა, ხოლო პოლონეთის მხრიდან საბრძოლო იარაღის გადმოცემა, რომელიც საქართველოში თურქეთის გზით უნდა შემოეტანათ. თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს მხარდაჭერის პროცესში აქტიურად იყო ჩართული კონსტანტინოპოლში არსებული

პოლონური მისია და განსაკუთრებით სამხედრო ატაშე, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობდა კონსტანტინე გვარჯალაძესა და გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძესთან. ეს მკაფიოდ ჩანს პოლონეთის ახალი ისტორიის არქივში დაცული დოკუმენტებიდან, რომელთა გარკვეული ნაწილი შეისწავლა ისტორიკოსმა მიხეილ ბახტაძემ. ირკვევა, რომ მსჯელობდნენ საქართველოში სამხედრო დახმარების გამოგზავნის, ასევე, პოლონეთის მიერ საქართველოსათვის რადიოსადგურის გადაცემის დეტალებზე და სხვა [25, 239; 26, 181], ხოლო ნოე რამიშვილთან საქართველოში აჯანყების მზადების კონკრეტულ საკითხებიც განიხილებოდა [27].

ფართო ანტისაბჭოთა აჯანყებას საქართველოშიც და პოლიტიკურ ემიგრაციაშიც არაერთი მოწინააღმდეგე ჰყავდა. შეიარაღებული გამოსვლის იდეას არ იზიარებდნენ ემიგრაციაში მყოფი ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი (სოციალ-დემოკრატები), სპირიდონ კედია, ექვთიმე თაყაიშვილი (ეროვნულ-დემოკრატები), გრიგოლ რცხილაძე, სამსონ დადიანი, აკაკი პაპავა (ფედერალისტები) და სხვ.

აჯანყების მომხრე არც ნიკო ნიკოლაძე ყოფილა, რომელიც სამშობლოში უცხოეთიდან 1924 წლის მარტში დაბრუნდა. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი დაინტერესდა ამ მხცოვანი მოღვაწის აზრით, მით უფრო, რომ მას ახალი ინფორმაციაც უნდა ჰქონოდა ევროპიდან საქართველოსადმი შესაძლო დახმარების შესახებ. „უკანასკნელი თერგდალეული“ ფარულად შეხვდა დამკომის თავმჯდომარე კონსტანტინე ანდრონიკაშვილს და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელს შალვა ამირეჯიბს. ორივე მათგანს გააცნო თავისი უარყოფითი აზრი აჯანყების თაობაზე და გადასცა ასევე სპირიდონ კედიას დანაბარები, რომ ევროპის დახმარების იმედი ილუზორული იყო და ასეთ პირობებში გამოსვლას გამართლება არ ექნებოდა [28, 157-158].

შალვა ამირეჯიბის მოწმობით, „ფარულად მომუშავეებს ნ. ნიკოლაძის ჩამოსვლა არ მოეწონათ. არც ფართო საზოგადოება შეხვედრია ამ ფაქტს აღტაცებით“. ამირეჯიბის მიმართვაზე – „საქართველოს მეორე დამოუკიდებლობასაც უნდა მოესწროთო“, – ნიკოს უპასუხია: „ეგ დღე მეც მწამს, მაგრამ ყველას ჩვენი ვალია ქართველ ხალხს ამ დღისათვის სიცოცხლე შევუნარჩუნოთო“ [29, 46].

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნოე ჟორდანიას პოზიციას. დევნილი მთავრობის თავმჯდომარე არ უარყოფდა აჯანყების იდეას, აცხადებ-

და, რომ „უცხოეთის ჯარის მოშლა პროპაგანდით არ შეიძლება, მათი მოშლა შეიძლება მხოლოდ ძალით“,[2] ოღონდ საქართველოს აჯანყება მას იმ შემთხვევაში მიაჩნდა გამართლებულად თუ იარაღს ჯერ ჩრდილოეთ კავკასია და აზერბაიჯანი შემართავდნენ. ეს აზრი მკაფიოდ იყო გამოთქმული სადირექტივო წერილში, რომელიც ნოე ჟორდანიამ საქართველოში სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტს 1924 წლის ივნისში გამოუგზავნა.

შეიარაღებული გამოსვლის მომხრე პიროვნებებს ემიგრაციაში კარგად ესმოდათ, რომ აჯანყება განმათავისუფლებელი ბრძოლის უკიდურესი და უკანასკნელი საშუალებაა, რომ მასში „დიდი რისკია“ და მისი გამარჯვებით დამთავრება უდიდეს ქონებრივ და ფიზიკურ მსხვერპლს მოითხოვს. მათი აზრით, საქართველოს სრულიად შეგნებულად უნდა გაეღო ეს მსხვერპლი. მაგალითად, ვალიკო ჯუღელის სიტყვებით: „რა ვუყოთ რომ მეტად მძიმე და მრავალმსხვერპლიანია ბრძოლა?! სამაგიეროთ დიდი და ბრწყინვალეა ბრძოლის მიზანი“ [30, 336].

ასეთ ემოციური ფონისა და განწყობების ვითარებაში, გამოსვლა „შინ და გარეთ“, – საქართველოშიც და ემიგრაციაშიც, როგორც სამხედრო, ისე პოლიტიკური კუთხით მზადდებოდა. პოლიტიკური მხარე ძირითადად ემიგრაციას ჰქონდა მინდობილი, რაც დასავლეთის სახელმწიფოთა დიპლომატიური და ფინანსური თანადგომის მოპოვებასა და თურქეთის ნეიტრალიტეტის მიღწევაში უნდა გამოხატულიყო. ამ მხრივ ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მონდომებამ შედეგი ვერ გამოიღო, გადამწყვეტ მომენტში საქართველო დახმარების გარეშე აღმოჩნდა.

რაც შეეხება სამზადისს სამხედრო თვალსაზრისით, ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები არც აქ დარჩენილან უბრალო მეთვალყურის როლში. სახალხო გვარდიის სარდალმა ვალიკო ჯუღელმა და გენერალმა ალექსანდრე ზაქარიაძემ ჯერ კიდევ 1922 წელს საქართველოში შეიარაღებული გამოსვლის შესახებ თავიანთ ხედვა წერილობით ჩამოაყალიბეს და პარიზში მოქმედ პოლიტიკურ კომისიას გა-

---

[2] ჯერ კიდევ 1922 წელს ევგენი გეგეჭკორიც თვლიდა: „ხალხმა უნდა იცოდეს, რომ უიარაღოთ თავისუფლება არ მიეცემა“. უფრო რადიკალური იყო ნოე რამიშვილი. მისი სიტყვებით: „ჩვენ ვარდგენთ, რომ უნდა მოხდეს საზოგადო გამოსვლა, აჯანყება; ...ჩვენ ამ დადგენილებით წავალთ ყოველგან, მოვითხოვთ დახმარებას და ეს მოახდენს შთაბეჭდილებას“.

აცნეს, როგორც აჯანყების მოწყობის სამხედრო სქემა. სქემაში გამოკვეთილი იყო სამი ძირითადი ამოცანა, რომელთა გადაჭრა მყარ საფუძველს შექმნიდა აჯანყების წარმატებისათვის. კერძოდ: 1. ევროპის სახელმწიფოების მიერ იარაღითა და ფულით აჯანყებულთათვის დახმარებას უზრუნველყოფა; 2. აჯანყების იმ მომენტისათვის დაწყება, როდესაც რუსეთი ჩაბმული იქნებოდა საგარეო ომში ან ქვეყნის შიგნით განხორციელდებოდა გადატრიალება; 3. გარანტია თურქეთის მხრიდან ნეიტრალიტეტის დაცვის შესახებ, ევროპის რომელიმე ძლიერი სახელმწიფოს თავდებობით.

სქემაში ყურადღება ექცეოდა აჯანყებისათვის აუცილებელი ფინანსების მოპოვებასაც და ხაზგასმული იყო: „ჩვენ უნდა გავიგოთ, რომ ავანსად, იარაღს და ფულს არავინ მოგვცემს. ამისთვის საჭიროა ფაქტიური ბატონობა საკუთარ ტერიტორიაზე. როცა კავკასიის დიდი ნაწილი ჩვენს განკარგულებაში იქნება, როცა ბაქოს, გროზნოს, ჭიათურის, ტყვარჩელის და მაიკოპის სახელით ილაპარაკებს არა კრასინი,[3] არამედ განთავისუფლებული კავკასია, ჩვენ ადვილად ვიშოვით ფულს და ფულის საშუალებით საჭირო იარაღს და მოწყობილობას“. ჯუღელი დარწმუნებული იყო, რომ საფრანგეთის, ბელგიის, ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის მთავრობებთან სათანადო კონვენციების გაფორმებით, ეს სახელმწიფოები საქართველოს მისცემდნენ სესხს, რადგან დამოუკიდებელი საქართველო და კავკასია შედიოდა მათ ინტერესებში [31, 104, 86].

სქემის ავტორთა თვალსაზრისით, შეიარაღებული გამოსვლა 1922 წლის გვიან შემოდგომაზე თუ არა, 1923 წლის ადრე გაზაფხულზე მაინც, თბილისის აღებით უნდა დაეწყოთ, რადგან მომენტის ხელიდან გაშვება ქართველ ერში უიმედობის განცდას გააძლიერებდა და ეროვნულ თავისუფლებაზე ფიქრს დიდი ხნით გამოეთხოვებოდა. როგორც ალექსანდრე ზაქარიაძე მიუთითებდა: „კიდევ რამდენიმე წელი რომ გაგრძელდეს ეს ოკუპაცია, ჩვენი ხალხი წელში გაწყდება, იმედს დაკარგავს, რუსეთთან შერიგების და დათმობის გზების ძიებას დაიწყებს და ამ ხნის განმავლობაში ევროპასაც მივავიწყდებით“ [31, 17-18, 109].

ისე მოხდა, რომ ზემოთ განხილული დოკუმენტები ხელში ამიერკავკასიის ჩეკამ ჩაიგდო,[4] ხოლო დამკომმა სამხედრო სქემის მოთხოვ-

---

[3] ლეონიდ კრასინი – რსფსრ დიპლომატიური და სავაჭრო წარმომადგენელი დიდ ბრიტანეთში, შემდეგ სსრკ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარი.

[4] მკვლევარ შ. ვადაჭკორიას მტკიცებით, ამ საქმეში ჩეკასთვის ხელი

ნების სრულად გათვალისწინება ვერ შეძლო, – 1922 წელს საყოველთაო აჯანყება ვერ შედგა.

მომდევნო 1923-1924 წლებში საერთაშორისო ვითარება ჩვენი ქვეყნისათვის არახელსაყრელად წარიმართა. პოლონეთის ხელისუფლებიდან ი. პილსუდსკის ჩამოშორების შემდეგ, ოფიციალური ვარშავა კრემლის მიმართ „საშინაო საქმეებში ჩაურევლობის" პოლიტიკას დაადგა. დიდმა ბრიტანეთმა და იტალიამ საბჭოთა კავშირი ცნეს და მასთან დიპლომატიური ურთიერთობები დაამყარეს. 1921 წელს მოსკოვთან გაფორმებული „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება", თურქეთის ხელისუფლებასაც შესაძლებლობას უზღუდავდა, აქტიური თანადგომა გაეწია საქართველოსათვის.

ასეთ სინამდვილეშიც კი, 1924 წლის დასაწყისში მოწვეულ ემიგრანტული მთავრობის სხდომაზე დაადგინეს: „თუ მდგომარეობა საკმაოდ მომზადებულია არა მხოლოდ შეთქმულებისათვის, არამედ ნამდვილად სახალხო გამოსვლისთვის კავკასიის მასშტაბით (საქართველო, აზერბაიჯანი და მთა), გამოსვლა უნდა მოხდეს. ...საერთაშორისო მდგომარეობა ყველა შემთხვევაში ხელს არ უშლის გამოსვლას" [10, 161-162]. იმავე წლის 23 თებერვალს კი პარიზში, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობისა და მთავრობის გაერთიანებულ სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია საქართველოში აჯანყების მხარდასაჭერად [32, 118].

სამხედრო ცენტრის ჩავარდნისა და მისი წევრების სიკვდილით დასჯის შემდეგ, რაც განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის გამოუსწორებელი დანაკლისი იყო, დამკომი პოლიტიკური ემიგრაციისაგან დამხმარე პიროვნებების მოშველიებას ითხოვდა. ცნობილია, რომ საქართველოში სააჯანყებო პროცესის გასააქტიურებლად უცხოეთიდან ჯერ კიდევ 1922 წელს მინათმოქმედების ყოფილი მინისტრი ნოე ხომერიკი ჩამოვიდა. იგი სათავეში ჩაუდგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის არალეგალურ ცენტრალურ კომიტეტთან მის მიერვე ჩამოყალიბებულ სამხედრო კომისიას და მალე წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი გახდა. ხომერიკმა გამოაცოცხლა თავისუფლებისათვის ბრძოლის სულისკვეთება, განამტკიცა დისციპლინა და ქმედითი გახადა იატაკქვეშა საქმიანობა, თუმცა 1923

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთ წევრს შეუწყვია [31, 60, 66-68].

წლის 9 ნოემბერს, საქართველოს ჩეკამ შეძლო მისი დაპატიმრება.

1924 წლის თებერვალში ემიგრაციიდან სამშობლოს მოაშურეს ვალიკო ჯუღელმა, ბენია ჩხიკვიშვილმა, გრიგოლ ცინცაბაძემ და ვიქტორ ცენტერაძემ,[5] რომლებმაც მაისის თვეში საქართველოში შემოაღწიეს.

ქართულ პრესაში გამოთქმულია თვალსაზრისი, რომ „ყველაზე ანტისაბჭოურად განწყობილი და რადიკალური ლიდერები (ნ. ხომერიკი, ვ. ჯუღელი, ბ. ჩხიკვიშვილი და სხვ.) ემიგრაციიდან საქართველოში საბჭოთა სპეცსამსახურებმა ჩამოიტყუეს“ [28].

ეს შეხედულება მცდარია და ქართული ისტორიოგრაფია მას ვერ გაიზიარებს. ამ უშიშარმა და გაბედულმა ადამიანებმა იცოდნენ, სად და რისთვის მოდიოდნენ, იცოდნენ რომ სამშობლოს დასახსნელად თავის განწირვა მოუწევდათ, მაგრამ წინასწარვე მზად იყვნენ ამ გაზრებული მსხვერპლისთვის. არსებობს საარქივო მასალა, საიდანაც ჩანს, რომ ჯუღელი და ჩხიკვიშვილი პარიზში მოქმედი საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროსაგან დიდი ხანი ითხოვდნენ საქართველოში წამოსვლის ნებართვას. ნათქვამის საილუსტრაციოდ გამოდგება ვალიკო ჯუღელის იმ პერიოდის „დღიური“, რომელშიც ვკითხულობთ: „მომბეზრდა უცხოეთი. უკვე მალე 3 წელია ლტოლვილობისა, დეზერტირობისა! ...ამ სამი წლის განმავლობაში ქართველი ხალხი თავგანწირულათ იბრძოდა, სისხლიდან იცლებოდა და თავის საუკეთესო შვილებს კარგავდა... ჩვენ კი უცხოეთში „ვუთანაგრძნობდით“ ამ ბრძოლას, მას „მხარს ვუჭერდით“. ...საქართველოში ბევრი დაიხოცა, მრავალი დაიხვრიტა და კიდევ მეტი დაავადმყოფდა. ...არ ვიცი სხვები რას ფიქრობს და რას გრძნობს, ...მე კი საშინლათ მცხვენია და საოცრათ ვიტანჯები“. მას შემდეგ, რაც ჯუღელმა თანამოაზრეებთან ერთად, გეზი თბილისისაკენ აიღო, ჩანაწერი გრძელდება: „მე უკვე სამშობლოსაკენ მივემგზავრები. და ბედნიერი ვარ! ...სრულიად დამშვიდებული, მხნე და იმედიანი ვარ... მაქვს ნათელი და შეურყეველი რწმენა. ...მე ვბრუნდები... მთელი ჩემი არსება იქ არის – მებრძოლთა რიგებში. მე მივიტან ახალ

---

[5] მათთან ერთად დაბრუნდა სამშობლოში ვასო ნოდიაც, რომელიც მანამდე დამკომმა არალეგალურად მიავლინა პარიზში – ემიგრანტულ მთავრობასთან, ინფორმაციის გაცვლის და საბრძოლო მოქმედებათა გეგმის შესათანხმებლად.

მხნეობას, ახალ ხალისს, ახალ იმედებს! და მე აღვმართავ იმ ბრძოლის დროშას, რომელიც დროებით დასვენებული და მიმალული გვქონდა!..“ [30, 336-338].

აჯანყების ორგანიზებაში ხელშესაწყობად ემიგრაციიდან საქართველოში ფარულად ჩამოსული ემისრების შესახებ საუბარია 1955 წელს შედგენილ აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის საგანგებო კომიტეტის სპეციალურ ანგარიში. დოკუმენტში სავსებით მართებულადაა შენიშნული, რომ: „ეს ადამიანები საკუთარი სურვილით, გაცნობიერებულად რისკავდნენ და მსხვერპლად სწირავდნენ თავს“ [24, 29].

1924 წლის 25 ივნისს საქართველოს საგანგებო კომისიამ ბენია ჩხიკვიშვილის, ხოლო 6 აგვისტოს ვალიკო ჯუღელის დაპატიმრება მოახერხა, რაც საბჭოთა პრესამ „ჩეკას მორიგ გამარჯვებად“ მონათლა [33]. ჩხიკვიშვილიცა და ჯუღელიც აგვისტოს აჯანყების დღეებში დახვრიტეს.

მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტული მთავრობის დირექტივები სათანადოდ ვერ განხორციელდა, აჯანყება საქართველოში მაინც მოხდა. დამკომი კვლავ ინარჩუნებდა იმედს, რომ შეიარაღებულ გამოსვლას მეზობელი ხალხებიც შეუერთდებოდნენ და ევროპაც დახმარების ხელს გამოიღებდა. სამწუხაროდ, იმედები ფუჭი გამოდგა. 1924 წლის 28 აგვისტოს საქართველოში აღმართული აჯანყების დროშა ბრძოლის ველზე ეულად დარჩა. თავგანწირულ ქართველებს არსაიდან არავინ მიშველებია. „აჯანყება დამარცხდა, რუსის ლაშქარმა სძლია ერთსულოვნათ ამოძრავებულ ქართველობას“ [34, 54-55]. ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ სასტიკად იძია შური და მებრძოლ საქართველოს მასობრივი რეპრესიებით გაუსწორდა.

წარუმატებლობისა და მასშტაბური მსხვერპლის მიუხედავად, ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ აჯანყებაზე პასუხისმგებლობა გაიზიარა. ემიგრირებული მთავრობა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები დიდხანს და ბევრს მსჯელობდნენ აჯანყების შეფასებასა და მნიშვნელობაზე, თავისუფლებისათვის შემდგომი ბრძოლის ტაქტიკაზე და ა. შ. ამ საკითხებს მიეძღვნა ნოე ჟორდანიას [35], ირაკლი წერეთლის [36], სოლომონ ზალდასტანიშვილის [37], ალექსანდრე ასთიანისა [9] და სხვ. პუბლიკაციები, რომლებიც უკვე შესწავლილია ჩვენს ისტორიულ მეცნიერებაში [38] და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

აგვისტოს შეიარაღებული გამოსვლის თარიღს ქარულ ემიგრაციაში ყოველწლიურად სპეციალური ღონისძიებებით ეხმაურებოდნენ, აღნიშნავდნენ დაღუპულთა ხსოვნას და პატივს მიაგებდნენ ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლ თანამემამულეებს (ეს ტრადიცია დღემდე გრძელდება). მათთვის აგვისტოს აჯანყება „სიამაყისა და სევდის დღედ" განიხილებოდა და მიაჩნდათ, რომ „საქვეყნო მიზნისათვის გაღებული მსხვერპლი უშედეგოდ და უნაყოფოდ არასოდეს იკარგება". როგორც პარიზში გამომავალი ქართული ემიგრანტული ჟურნალი „ჩვენი დროშა" წერდა: „1924 წლის აჯანყებით ქართველმა ერმა სცადა გადაეგდო ეროვნული მონობის უღელი. იგი დამარცხდა, მაგრამ მან სისხლით ჩასწერა ისტორიაში თავისი ურყევი სურვილი: ...იყოს თავისუფალი, აღიდგინოს საკუთარი, ქართული სახელმწიფო" [39].

ეროვნული თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისათვის აზვირთებული საერთო-სახალხო შემართება ჩვენს ისტორიაში გმირობისა და თავდადების უჭკნობ მაგალითად შევიდა. ბუნებრივია, იგი სიამაყის განცდას იწვევდა და იწვევს, მაგრამ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მარცხი და საბჭოთა რეჟიმის მიერ განხორციელებული მასობრივი რეპრესიები იმავდროულად დიდი ეროვნული ტრაგედიაც იყო, რომელიც ქართველი საზოგადოებისთვის კოლექტიურ ტრავმად დარჩა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. კონსტანტინე კანდელაკი, ქართული საკითხი თავისუფალი სამყაროს წინაშე (აქტები – დოკუმენტები – მტკიცებულებები), პარიზი, 1953.
2. ალექსანდრე ზაქარიაძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1917-1921 წწ.), ჟურნ. „მხედარი", თბილისი, 1994, № 1-4.
3. კარლო ინასარიძე, პატარა „ოქროს ხანა", საქართველოდ დემოკრატიული რესპუბლიკა. 1918-1921, რადიო-დოკუმენტაცია, მიუნხენი, 1984.
4. იონა თოდუა, „გაქცევის დღიური" – წიგნში: ქრისტინე (ბადუ) თოდუა-წულუკიძე, ჩემი თავგადასავალი და ზოგიერთნი მოგონებანი, თბილისი, 2019.

5. მალხაზ მაცაბერიძე, ოთარ ჯანელიძე, პაატა სურგულაძე, ირაკლი იაკობაშვილი, თამარ ორჯონიკიძე, ნათია ზედგინიძე, საქართველოს დამფუძნებელი კრება. ქართული პარლამენტარიზმის გამოცდილება, თბილისი, 2022.
6. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, შალვა ამირეჯიბის ფონდი, საქმ. №26960/3.
7. ოთარ ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბილისი, 2002.
8. ანტონ ვაჭარაძე, გიგა ჩალიგავა, 1924 წლის საერთო-სახალხო აჯანყების საწინააღმდეგო პროპაგანდა – ვანო ალიხანაშვილის მოხსენებები https://historyproject.ge/ge/archivememoryresearch/article/516/?cat-id=40&fbclid=IwY2xjawFFkphleHRuA2FlbQIxMQABHX-YtFE9c-YyTb6HkPANwpvJZpVnx0pf8tFH1-CWTehEfTQLqF3-VdQxyw-aem-HYRZavEDl8NCKkY38wBahw
9. ალექსანდრე ასათიანი, ძველი და ახალი მეკვიდრეობა, წგნ. 1, ვალანტინეი, 1928.
10. ნესტან კირთაძე, 1924 წლის აჯანყება საქართველოში, ქუთაისი, 1996.
11. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის სახელმწიფო არქივი, ფონდი 2417, ანაწ. 1, საქმ. № 53. ფურც. 1-2;
12. გოგი ცხოვრებაძე, ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი, თბილისი, 1996.
13. შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 14, ანაწ. 1, საქმე 54.
14. ჟურნ. „თავისუფალი საქართველო", კონსტანტინოპოლი, 1921, 15 მაისი, N1.
15. ჟურნ. „თავისუფალი საქართველო", პარიზი, 1921, 15 ივლისი, N3.
16. კონსტანტინე გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი, 1936.
17. ლელა სარალიძე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისია კონსტანტინოპოლში და გიორგი მაჩაბელი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტა-

რულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, გორი, 2016, N 12.
18. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 610.
19. ოთარ ჯანელიძე, ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ფრთა 1921-1923 წლებში (გიორგი მაჩაბლის წერილების მიხედვით), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, გორი, 2016, N 12.
20. ოთარ ჯანელიძე, ქართული ემიგრაციის თურქული ფურცლები, ჟურნალი „ქართული ემიგრაცია", თბილისი, 2015, N 3(6).
21. ალექსანდრე მანველიშვილი, რუსეთი და საქართველოს დამოუკიდებლობა, სან-ფრანცისკო, 1984.
22. რუსუდან დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბილისი, 2007.
23. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ჰარვარდის უნივერსიტეტის მიკროფირების ასლები, საქმე №872.
24. კომუნისტური გადატრიალება და საქართველოს ოკუპაცია. აშშს-ს წარმომადგენელთა პალატა. ოთხმოცდამესამე კონგრესი, საგანგებო კომიტეტის სპეციალური ანგარიში № 6, კომუნისტური აგრესიის შესახებ. ვაშინგტონი, 1955.
25. მიხეილ ბახტაძე, პოლონეთის ახალი ისტორიის არქივის Archiwum Akt Nowych რამდენიმე დოკუმენტი საქართველოს შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები XVI, თბილისი, 2020.
26. მიხეილ ბახტაძე, პოლონეთის არქივში „Archiwum Akt Nowych" დაცული სოსიპატრე ასათიანის ორი წერილის შესახებ, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული № 20, თბილისი, 2021.
27. ალადაშვილი ბ., რატომ დარჩნენ 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დროს ქართველი პატრიოტები საერთაშორისო დახმარების გარეშე: ნოე რამიშვილის უცნობი წერილები, გაზ. „კვირის პალიტ-

რა“, 2023, 3 ივნისი.
28. ოთარ ჯანელიძე, სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი, 2002.
29. ოთარ ჯანელიძე, ნიკო ნიკოლაძე (ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები), თბილისი, 1998.
30. ვალიკო ჯუღელი, მძიმე ჯვარი, თბილისი, 2022.
31. შოთა ვადაჭკორია, შეიარაღებული აჯანყების სამხედრო გეგმის გაცემის დაზუსტებისათვის, პარიზი-თბილისი, 2016.
32. თენგიზ ენდელაძე, საბჭოთა ძალოვანი სტრუქტურები ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში (1921-1925 წწ.), დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2004 (ხელნაწერის უფლებით).
33. გაზ. „კომუნისტი“, 1924, 8 აგვისტო.
34. ნოე რამიშვილი, საქართველო და რუსეთი, პარიზი, 1924.
35. ნოე ჟორდანია, რა მოხდა, პარიზი, 1925.
36. ირაკლი წერეთელი, ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხი, პარიზი, 1927.
37. სოლომონ ზალდასტანიშვილი, საქართველოს 1924 წლის ამბოხება (მოგონებანი), მიუნხენი, 1956.
38. ლევან ჯიქია, 1924 წლის აგვისტოს აჯანყების ისტორიოგრაფია, თბილისი, 2024.
39. ჟურნ. „ჩვენი დროშა“, პარიზი, 1975, № 84.

Otar Janelidze
Doctor of Historical sciences, Professor
of Gori State University

August uprising of 1924 and Georgian political emigration

Summary

In February-March 1921, after the occupation of Georgia, the main part of the country's political spectrum remained in the homeland, while some moved abroad. The Georgian political emigration settled in France. The exiled government established contacts with the leadership of the current liberation movement in Georgia and, at the same time, expanded its work in Europe to receive political, financial and military assistance, as well as to secure the support of public opinion.

Significant attention was paid to the distribution of objective information about conquered Georgia in the foreign press, and the publication of brochures in French, English, and German, which was necessary in the context of the information war waged by the Soviet regime.

The uprising was being prepared „within the country and abroad" – both in Georgia and emigration. The emigration was mainly entrusted with the political side of the struggle for freedom, which was to be expressed in receiving diplomatic and financial support from Western countries, as well as in achieving neutrality on the part of Turkey.

Based on specific facts, the article shows the attitude of the representatives of the Georgian political emigration to the armed struggle and highlights the efforts that our emigration made to support the uprising in the period until August 1924.

Despite the failure and major casualties, the Georgian political emigration completely shared responsibility for the August uprising.

დოდო ჭუმბურიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, პროფესორი

1924 წლის აჯანყების შეფასება საქართველოს პოლიტიკური ემიგრაციისა და ევროპის ზოგიერთი პოლიტიკოსის მიერ

განსახილველი თემის აქტუალობას ბევრი პრობლემა განსაზღვრავს, უწინარესად ესაა უსაფრთხოებისა და მშვიდობის საკითხი, რაც ასე სენსიტიურია გეოპოლიტიკურად რთულ რეგიონში მყოფი, პატარა ქვეყნების მოქალაქეებისთვის. მუდმივი საგარეო საფრთხეების გამო, ასეთი ქვეყანა ზოგჯერ იძულებულია ამჯობინოს კონფორმიზმისა და ძლიერ მტერთან კოლაბორაციონისტული დამოკიდებულების სტრატეგია და თავის გადარჩენისათვის მშვიდობიანი ცხოვრება არჩიოს. მიუხედავად ამისა, იმპერიულ დამპყრობლებთან პატარა ერები ხშირად ირჩევენ უკომპრომისობის გზას, რადგანაც, ადამიანური მსხვერპლის გარდა, არის სხვა სახის საფრთხეებიც, რომელსაც ქვეყნისთვის გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს, ეს, უპირველესად, კონფორმიზმისა და კოლაბორაციონიზმის პირობებში სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული იდენტობის დაზიანება-განადგურების საფრთხეებია.

საქართველოს ისტორიაშიც ძლიერი დამპყრობლების წინააღმდეგ უთანასწორო, წინასწარ დასამარცხებლად განწირული ბრძოლის ბევრი მაგალითია, ვინაიდან ამგვარი მოვლენების ორმაგი გაგება არსებობს, მათი ანალიზი და ობიექტური შეფასება აუცილებელია თანამედროვე თუ ისტორიული წარსულის ჭრილში.

თემის დამუშავებისას ძირითადად გამოვიყენეთ საარქივო მასალები, კერძოდ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არქივები, აკაკი ჩხენკელის, ნოე ჟორდანიასა და კარლო ჩხეიძის პირადი საარქივო ფონდების ინფორმაციები, ნოე ჟორდანიას ბროშურა – „რა მოხდა?", ვალიკო ჯუღელის მოგონებების წიგნი, რამდენიმე ქართველი და უცხოელი ავტორის ნაშრომი, ინგლისელი მკვლევრის – ერიკ ლის ახლახან გამოსული წიგნი „1924 წლის აჯანყება, საქართველო და დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება" [1] და სხვ.

როგორც ავტორი წერს, სოციალისტებისა და კომუნისტების წყალგამყოფი მიჯნა სწორედ 1924 წლის აჯანყება აღმოჩნდა, რომელიც ასეთი დაუნდობელი სისასტიკით ჩაახშო საბჭოთა რუსეთის ბოლშევიკურ-კომუნისტურმა ხელისუფლებამ. გარდა აჯანყების ამ საერთაშორისო მნიშვნელობისა, არსებობს სხვა მოვლენაც, რაც გამოიხატება 1924 წლის აჯანყების და ზოგადად მსგავსი მოვლენების დაგმობის ტენდენციით არა მარტო ჩვენში, არამედ დასავლეთშიც. ამ ნარატივით, პატარა ერების პოლიტიკოსებმა საკუთარი ხალხი არ უნდა ჩააბან უთანასწორო ბრძოლაში, რომლის შედეგები მისთვის შეიძლება აუნაზღაურებელი გახდეს. 1924 წლის აჯანყებისა და მსგავსი ისტორიული მოვლენების ამგვარი შეფასება ჩვენთვის, ისევე, როგორც ბევრი ისტორიკოსისთვის ჩვენში თუ საზღვარგარეთ, მისაღები არაა, რაც კიდევ ერთხელ საკუთარი აზრის გამოხატვის სურვილს გვიჩენს.

კვლევის მეთოდოლოგიად გამოყენებულია ისტორიული რეალიზმის პრინციპი, წყაროების მონაცემთა და სხვადასხვა ავტორთა ინტერპრეტაციის ანალიზისა და ურთიერთშეჯერების მეთოდები.

ქვეყნის ოკუპაციისა და ემიგრაციაში იძულებითი წასვლის შემდეგ ქართველი პოლიტიკოსები იყენებდნენ ყველა დიპლომატიურ საშუალებას, რათა საქართველოს სასარგებლოდ განეწყოთ ევროპა, თუმცა, ომისშემდგომი დაძაბული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება მათ ყველა ცდას გარკვეულად ხელს უშლიდა. ყოფილი ხელისუფლება მანამდე, სანამ საქართველოში დაბანაკებული საოკუპაციო ჯარი არ გადავიდა სადამსჯელო ოპერაციებზე და ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ანტიქართული ღონისძიებების გატარება არ დაიწყო, გეგმავდა მხოლოდ მშვიდობიან წინააღმდეგობრივ ღონისძიებებს, კერძოდ, არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლას. 1921 წლის ზაფხულში მიღებულ რეზოლუციაში – „მიმდინარე მომენტი და სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა“ – მე-3-ე პუნქტი პირდაპირ აფრთხილებდა პარტიის წევრებს, რომ არ გამოეყენებინათ შეთქმულებითი მეთოდები და გადაჭრით მოუწოდებდა „თავის თანამგრძნობთ და მთელ ხალხს“, თავი შეეკავებინათ შეიარაღებული გამოსვლებისაგან [2, 43].

ეს გადაწყვეტილება ვერ განხორციელდა, ძალადობრივმა რეჟიმმა ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა. აჯანყება დაიწყო სვანეთში. სვანეთის ამბებს დიდ ყურადღებას აქცევდნენ როგორც ქართველი, ასევე ევროპელი პოლიტიკოსები. სვანეთის აჯანყება 1922 წელსაც გაგრძელდა, ამას მოჰყვეა დამკომის შექმნა და აჯანყები-

სათვის მზადება, სამხედრო პირების დაკავება და დასჯა 1923 წლის მაისში, ჩეკას აქტიურობა საქართველოში.

1922 წლის 23 თებერვალს პარიზში, საქართველოს ემიგრაციული მთავრობის სხდომაზე განიხილეს საკითხი საქართველოსა და კავკასიაში ანტიბოლშევიკური აჯანყების შესახებ. სხდომაზე გამოთქმული შეხედულებებიდან ჩანს, რომ საკითხი აჯანყების შესახებ ყველასთვის ნაცნობი და მისაღებია, მხოლოდ იმ ფორმებსა და მეთოდებზე იყო მსჯელობა და აზრთა სხვაობა, რითაც სასურველი შედეგი უნდა დამდგარიყო.

ინფორმაცია სვანეთში მიმდინარე მოვლენებზე მუდმივად იგზავნებოდა ევროპაში. ამ ცნობებს ხშირად ახმაურებდნენ ევროპელი პოლიტიკოსებიც იმ საერთაშორისო კონფერენციებსა და შეკრებებზე, რომელიც ევროპაში იმართებოდა. ზოგჯერ ამ ცნობებში აჯანყებულთა წარმატებები ჰიპერბოლიზებული იყო, რასაც ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი, ვინც პრაგმატულად აზროვნებდა და რეალური პოლიტიკის მომხრე იყო, აპროტესტებდა და ქართველ ინფორმატორებს მეტ სიფრთხილეს ურჩევდა.

ზოგადად, ქართველი ხალხის უთანასწორო ბრძოლას რუსეთის ოკუპანტური ჯარის წინააღმდეგ ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსი როგორც ჩვენში, ასევე ემიგრანტულ ხელისუფლებაში არ ემხრობოდა. მთავრობის მეთაური – ნოე ჟორდანია თავიდან არ იყო ანტიბოლშევიკური აჯანყებების მომხრე, თუმცა, მალევე შეიცვალა აზრი. 1924 წლის აჯანყების მომხრე არ ყოფილან ყოფილი მთავრობის ისეთი ცნობილი წევრები, როგორებიც იყვნენ აკაკი ჩხენკელი და კარლო ჩხეიძე. მათ კარგად იცოდნენ ამ უთანასწორო ბრძოლის არასასურველი შედეგით დასრულების ალბათობა და ყოველნაირად ხელს უშლიდნენ ამ მიმართულებით პოლიტიკოსთა პროპაგანდას.

20-იანი წლების დასაწყისში ევროპის დიდი სახელმწიფოებს ჯერ არ ჰქონდათ გამოკვეთილი პოზიცია რუსეთის იმპერიის დაშლის შედეგად წარმოქმნილი პატარა სახელმწიფოებისა და თავად ბოლშევიკური რუსეთის მიმართ. ეს ამძიმებდა საქართველოს მდგომარეობას, რომლის დევნილი მთავრობა ცდილობდა, ევროპელთა მხარდაჭერით აღედგინა ოკუპირებული ქვეყნის სახელმწიფოებრიობა.

შედარებით კრიტიკული დამოკიდებულება საქართველოს დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე ჰქონდა დიდ ბრიტანეთს. არც ის ქვეყნები იყვნენ აქტიურნი, რომლებიც შედარებით ლოიალობას იჩენდნენ პოსტიმპერიული ქვეყნების, კერ-

ძოდ კი, საქართველოს მიმართ. მართალია, გარეგნულად ჩანდა, რომ საოკუპაციო ხელისუფლება ადვილად ძლევდა სიძნელეებს, ამარცხებდა ოპოზიციურ ძალებს, მაგრამ სინამდვილეში რუსეთის ცენტრალური მთავრობა გარკვეულ ეჭვებსა და შიშში იყო, რაც კარგად ჩანს იქიდან, რომ ისინი ევროპაში მყოფ საქართველოს ხელისუფლებას უგზავნიდნენ თავიანთ დესპანებს, რომელთაც ევალებოდათ შეემსუბუქებინათ საბჭოთა ხელისუფლებასთან ოპოზიციის დამოკიდებულება. მთავარი, რისთვისაც ეს კეთდებოდა, იყო ინგლისისგან საჭირო კრედიტის მიღება, რაც საბჭოთა რუსეთს სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა. კრედიტის მიღებაზე ხელშეკრულება გაფორმდა, მაგრამ რატიფიკაციას ლონდონი აჭიანურებდა. ნოე ჟორდანიას წერილები, რომლებიც 1924 წლის ივნის-ივლისშია მიწერილი ჩხენკელისადმი, ნათლად მეტყველებს მოსკოვის შიშსა და მცდელობაზე, – მოეგვარებინა ურთიერთობა საქართველოსთან და საამისოდ ქართულ ემიგრაციასთან მოსალაპარაკებლად ყველაზე ერთგულ და ქართველებშიც ავტორიტეტულ ადამიანებს აგზავნიდა, ისეთს, როგორიც იყო სტალინის ცოლისძმა – ალექსანდრე სვანიძე.

ნოე ჟორდანიას წერილში, რომელიც 1924 წლის 18 ივლისს არის მიწერილი აკაკი ჩხენკელისადმი, ლაპარაკია იმ ვითარებაზე, რაც ამ დროს რუსეთის მიმართ ტარდებოდა ევროპაში. ჟორდანია ჩხენკელს აცნობდა საქართველოს ირგვლივ განვითარებული მოვლენების ქრონოლოგიას, კერძოდ, ინგლისიდან მიღებულ მიხეილ სუმბათაშვილის ცნობას, რითაც დასტურდებოდა, რომ ინგლისელი დიპლომატი ბოლდვინი საუბრობდა რუსეთ-ინგლისის მოლაპარაკებებზე, რაც საქართველოსაც ეხებოდა. ამ ცნობებისა და გერმანიიდან საქართველოს წარმომადგენლის – ვლადიმერ ახმეტელის (ახმეტელაშვილი) მიერ მიღებული ცნობების შეჯერება ჟორდანიას აფიქრებინებდა, რომ ბოლშევიკური რუსეთი შესაძლოა საქართველოს მიმართ რაღაც დათმობებზე წასულიყო. „ახმეტელმა ამ დღეებში მაცნობა, – წერდა ჟორდანია, – რომ ბერლინში ჩამოვიდა სვანიძე მოსკოვიდან, ყოფილი კომისარი ჩვენში, სტალინის ცოლისძმა, მას ორჯერ უნახავს ახმეტელი და მისთვის გადაუცია საიდუმლოთ შემდეგი: სტალინთან ლაპარაკით გამოირკვა, რომ ბოლშევიკები საქართველოს საკითხში დათმობენ, თუ მაკდონალდი მტკიცედ მოითხოვს ამასო, მისივე სიტყვით, სესხის საკითხი რუსეთისთვის არსებობის საკითხია და მისი მიღებისათვის ყველაფერზე წავლენო. დღეს საქართველოს საკითხში რუსი ბოლშევიკები ისეთ მიუღებლობას არ იჩენენ, როგორც წინეთ, ოღონდ თუ მას მაკდონალდი, მეორე ინტერნაციონალი ან სხვა დიდი

ძალა წამოაყენებს. თვითონ საქართველოს წარმომადგენლებიც ლა-პარაკს არ დაიწყებენო“ [3, 1-3].

წერილი საკმაოდ ვრცელია, ჟორდანია დარწმუნებულია, რომ ბოლშევიკურ რუსეთს სტალინის პირით სურდა საქართველოსთან ურთიერთობის მოგვარება, ჩხენკელს ავალებდა ემუშავა ამ თემაზე და მიუთითებდა რა უნდა გაეკეთებინა, განსაკუთრებით ინგლისელი პოლიტიკოსების, კერძოდ, მაკდონალდის აზრის გასაგებად და მი-სამხრობად. სინამდვილეში, ნოე ჟორდანია ამ დროს უკვე ჩაბმული იყო საქართველოში დიდი აჯანყების მოწყობის ორგანიზაციაში. მას კავშირი ჰქონდა იმ თანამოაზრეებთან, რომლებიც სამხედრო მზა-დებას გადიოდნენ საფრანგეთში, მზად იყვნენ საქართველოში წა-მოსასვლელად და აჯანყებაში ჩასაბმელად. მათ შეადგინეს აჯანყე-ბის გეგმა და სპეციალური წვრთნაც გაიარეს საფრანგეთის რეს-პუბლიკის 35-ე ქვეითთა პოლკში. 1924 წელს ამ ჯგუფის ნაწილი, ვალიკო ჯუღელის მეთაურობით, საქართველოში დაბრუნდა. რად-განაც ცნობილია ჟორდანიასა და ჯუღელის შეთანხმებული მოქმე-დებები მთელი დამოუკიდებლობის წლებში, მათი სრული თამოაზ-რეობა, ცხადია, მთავრობის ყოფილი მეთაური მას განსაკუთრებულ მისიას დააკისრებდა და ჟუღელი აჯანყების პროცესში სწორედაც მის პოზიციას გამოხატავდა. ჯუღელთან ერთად საქართველოში სოციალ-დემოკრატთა დიდი ჯგუფი გამოემგზავრა. როგორც ის, ასევე საქართველოში წამომსვლელი სხვა პირები თავიანთ განზრახ-ვას მკაცრად მალავდნენ მთავრობის იმ წევრებთან, რომლებიც აჯანყებას ეწინააღმდეგებოდნენ. ასეთები იყვნენ აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, ირაკლი წერეთელი და სხვ.

აკაკი ჩხენკელმა, მუდმივ შეხვედრებს რომ აწყობდა ევროპელ დიპლომატებთან, კარგად იცოდა, რომ არავითარი სამხედრო დახ-მარება და მხარდაჭერა ქართველ პატრიოტებს ამ საქმეში არ ექნე-ბოდათ. მას და მის თანამოაზრეებს საოკუპაციო რეჟიმთან მებ-რძოლთა მარცხი გარდაუვლად მიაჩნდათ და დიდ შეცდომად თვლიდნენ ქართველი პატრიოტების ამ საქმეში წაქეზებას.

მომდევნო წერილში ნოე ჟორდანია საუბრობდა იმაზე, რომ სო-ციალ-დემოკრატი ბენია ჩხიკვიშვილი, მისი წინააღმდეგობის მიუხე-დავად, მაინც წავიდა საქართველოში დაწყებულ ეროვნულ-განმა-თავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობის მისაღებად და დაგეგ-მილ აგვისტოს აჯანყებაში ჩასართავად. ის საბჭოთა ჩეკამ საზ-ღვართანვე დააკავა, წაართვა აჯანყების ორგანიზატორებთან გა-მოგზავნილი ჟორდანიას სარეკომენდაციო წერილი. მასში ბევრი ისეთი ინფორმაცია იყო, რაც ბოლშევიკებმა გამოიყენეს და საქარ-

თველოს ემიგრაციული მთავრობა პროვოკაციასა და ხალხის მოტყუებაში დაადანაშაულეს. წერილი დაიბეჭდა საბჭოთა პრესაში, ხალხს აჩვენეს, რომ ყოფილი ხელისუფლება მეზობლების მიმართაც უსამართლო იყო: ლანძღავდა მუსავატს და ბოლშევიკური რუსეთის ამიერკავკასიაში შემოყვანაში დებდა ბრალს. აზერბაიჯანელები ქართველების საკმაოდ კარგი პარტნიორები იყვნენ ემიგრაციაშიც, რაც ჩხენკელს აფიქრებინებდა, რომ ამ წერილის ავტორობაზე ჟორდანიას უარი უნდა ეთქვა, ჟორდანიამ ასეთი რამ უაზრობად ჩათვალა და დაიცვა თავისი პოზიცია. წერილში საუბარია სხვა თემებზეც, მაგრამ ძირითადი აგვისტოს მოვლენებია.

„20. VII, 1924 წელი. აკაკი. გუშინწინ წერილი გამოგიგზავნე. გუშინ შენი წერილი მივიღე 18 ივლისის. ბენიამ ჩემი არ დაიჯერა. მაინც წავიდა. თავისი თავიც დაიღუპა და ჩემი წერილიც ჩააგდო. თქვენ ტყუილათ შეწუხებულხართ, ისეთი არაფერი დამიწერია, რომ საჯაროდ თქმა არ შეიძლებოდეს. მეზობლებზე რამდენიმეთ გადავკრავ სრულათ საბუთიანათ. შეურაცმყოფელი აქ არაფერია. მაშ ის მერჩია ც.კ-სთვის, რომ რაც მათ უთხრან, მათ ეს ჭეშმარიტებათ მიიღონ. მე ვსწერ, რომ საქართველო მარტო ვერ გამოვა, გამოვა სხვებთან და ესეც მაშინ, როცა პირველათ ისინი გამოვლენ. ჯერ თქვენ გამოდით, მერე ჩვენო, – არ არის მისაღები (წერილის პირი აქ არ მაქვს). საინტერესოა ბატონებმა რა ადგილები დაბეჭდეს, შეიძლება კიდევაც გადაამახინჯეს. თქვენი წინადადება, რომ უარი ვთქვათ, არ მოგვიწერიაო, მიუღებელია. რაც მიწერილია, მიწერილია. ჩემს წერილზე მე უარს არ ვამბობ. ეს არ არის ჩემი ჩვეულება. შინაურ მიწერ-მოწერაშიც თუ არ ვარ თავისუფალი, თუ ერთმანეთსაც მართალს ვერ ვეტყვით, მაშინ რა საჭიროა რამე ორგანიზაცია და პასუხისმგებლობა. დიპლომატია არ არის თავზე ხელის მოსმა, დაყვავების პოლიტიკის წარმოება. თუ დღეს მუსავატს არ მოსწონს მისი ისტორიის გახსენება, მისი ორგზის ღალატი, ეს მისი საქმეა. მაგრამ ისტორიას ხომ ვერ წაშლის და ვერც ჩვენ დავიფარებთ თავზე ხელებს. მათ ბაქოს კარები არ გაეღოთ – ჩვენ ახლა იქ ვიქნებოდით. სომეხს ამის მზგავსი ღალატი ჩვენთან არ ჩაუდენიათ, არც შეეძლოთ ჩაედინათ. აი ამ დიდ ფაქტს ვახსენებ მე ც.კ.-ს და ვურჩევ ფრთხილათ იყვენ მათთან და რომ ჩემი ეჭვი მართალი გამოდგა, იქიდან სჩანს, რომ მათ მერე მოიწერეს, აზერბეიჯანში პროვოკაციების ქსელში კინაღამ გავეხვიეთო. თქვენ ნამეტან მნიშვნელობას აძლევთ პარიჟის მეზობელთ. ძალა და გავლენა არა აქვთ არც კავკასიაში, არც სხვაგან. ეს საკმაოდ გამორკვეული ფაქტია. პირადი თავაზიანობისათვის პოლიტიკას ვერ გავამრუდებთ“.

საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ მოტანილი ჟორდანიას ჩხენკელისადმი გაგზავნილი წერილიდან სულ ორ დღეში ჟორდანია უმალავს ჩხენკელს, რომ მან არათუ იცოდა აჯანყების მონაწილეთა შესახებ, არამედ ემიგრაციის წევრთა წვრთნასა და საქართველოში გამოგზავნაში თავად მონაწილეობდა. ეს ისედაც ცხადი გახდა მისი წერილით, რომელიც ჩხიკვიშვილის ჩამოსვლისთანავე ჩეკამ ჩაიგდო ხელთ, გამოაქვეყნა და დაგმო ემიგრანტი ქართველების ე. წ. „ღალატი და მტრობა საბჭოთა საქართველოს მშრომელებისადმი". საინტერესოა ისიც, რატომ იყო ასე გაორებული ჟორდანია, თუ რუსეთთან მშვიდობიან ვითარებაში საქმის მოგვარების იმედი ჰქონდა, პარალელურად ქართველი ხალხის აჯანყებას რაღატომ უჭერდა მხარს. ეს ალბათ მან უკეთ იცოდა, ამ ორ, სრულიად განსხვავებულ პოლიტიკურ გზას როგორ შეათანხმებდა. ჟორდანიას პროგნოზები საქართველოსადმი რუსეთის დათმობაზე წასვლის შესახებ და მტკიცება, რომ საბჭოთა კავშირი სულ მალე კრიზისში ჩავარდებოდა, არ დადასტურებულა. მოსკოვი რომ „მოტეხილი" არ იყო და არც რაიმე დათმობაზე წამომსვლელი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა მიმართ, ერთხელ კიდევ კარგად გამოჩნდა 1924 წლის აგვისტოს მოვლენების დროს. მათ სრული დაუნდობლობითა და სისასტიკით დასაჯეს აჯანყების მონაწილენი და თავიანთი მოწინააღმდეგენი. იმდენი ადამიანი გახდა რეპრესიის მსხვერპლი, რომ ამ გადაჭარბებულ სტატისტიკას თავად რეპრესიის ხელმძღვანელები ვეღარ მალავდნენ.

სვანეთისა და მომდევნო გამოსვლებმა კარგად აჩვენეს, რომ ევროპა ამ რთულ ვითარებაში ქართველი ხალხის ინტერესებს დეკლარაციულად თუ დაიცავდა, თორემ რეალურად, პრაქტიკული დახმარების გაწევას არ აპირებდა. ეს აფიქრებინებდა ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილს, რომ სასურველ შედეგს ეს გამოსვლა ვერ მოიტანდა: საკუთარი ძალით ქართველი ხალხი ვერ დაამარცხებდა რუსულ საოკუპაციო ჯარს, ქართული ძალების გაერთიანებაც არ იყო ამ ვითარებაში ადვილად შესაძლებელი.

რატომ არ იყო ეს ადვილი საქმე, კარგად იცოდნენ იმ ქართველმა დიპლომატებმა, რომლებიც მსგავს თემაზე ელაპარაკებოდნენ ევროპელ პოლიტიკოსებს. აკაკი ჩხენკელი ყველაზე კარგად იყო ინფორმირებული ევროპელ პოლიტიკოსთა დამოკიდებულების შესახებ საქართველოს დამოუკიდებლობის მიმართ, ამიტომ ის ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდა მოვლენების რადიკალურად განვითარებას ჩვენს ქვეყანაში, მის იმ ფორმით ინფორმირებას მსოფლიოში, როგორც ეს საქართველოდან ხდებოდა: მოვლენები გადაჭარ-

ბებულად ფასდებოდა, რაშიც წვლილი ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილს მიუძღოდა. ერთ-ერთი იყო კონსტანტინე გვარჯალაძე, დიპლომატი, რომელიც 1921 წლიდან მუშაობდა ოსმალეთში, საქართველოს წარმომადგენლობაში.

1922 წლის დასაწყისში, საქართველოში (სვანეთში) დაწყებული ანტირუსული გამოსვლების გამო, მინათმოქმედების ყოფილი მინისტრი ნოე ხომერიკიც წამოვიდა პარიზიდან, რათა ეხელმძღვანელა ამ პროცესებისათვის. თავდაპირველად ის კონსტანტინოპოლში დარჩა და იქ მოღვაწეობდა იქაურ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციასთან ერთად საქართველოში მიმდინარე მოვლენების მხარდასაჭერად და გასაღრმავებლად, დასავლეთის ყურადღების მისაქცევად. აქ მისი სტატუსი იყო – კონსტანტინეპოლის ქართული წარმომადგენლობის პოლიტიკური კომისიის თავმჯდომარეობა. 1922 წლის 29 აპრილს ის პარიზში გაგზავნილი წერილით აკაკი ჩხენკელსა და ევგენი გეგეჭკორს ატყობინებდა საქართველოში მიმდინარე პროცესების ქრონოლოგიასა და ხასიათს.

ჩხენკელი ამ დროს იტალიაში, კერძოდ, გენუაში იმყოფებოდა და დელეგაციამ მას დეპეშა (ფრანგულ ენაზე) და ქვემოთ მოტანილი წერილი იქ გადაუგზავნა. წერილი მოკლე და ნახევრად დაშიფრული იყო. მასში ჩანს, რომ ჩხენკელი და გეგეჭკორი ამ აჯანყებისათვის ევროპიდან ვინმეს მხარდაჭერას არ ვარაუდობდნენ და ამას ატყობინებდნენ კონსტანტინოპოლის პოლიტიკურ კომისიას, რათა მათ ამის შესახებ რაიმე ილუზიები არ მიეცათ აჯანყებულებისა და საქართველოს პოლიტიკური პარტიებისათვის. „ძმაო აკაკი და ევგენი! დღეს თქვენი დეპეშა მივიღეთ. ცნობების შესახებ დროზე რომ შეგეტყობინებიათ, რასაკვირველია, უკეთესი იყო. თავის დროზე თადარიგს დავიჭერდით. საერთო ინფორმაცია რომ ეგზავნება, ძველი მას მოსთხოვეთ, ხოლო ახალი, რაც მექნება, ამიერიდან თქვენც გადმოგიგზავნით. საერთო ინფორმაციის გარდა, ჩვენ გვაქვს სამხედრო. გვგონია მაგასაც გამოიყენებთ. დღეს გიგზავნით ერთ წყაროს. რაც შეეხება დეპეშებს, თუ დარჩა ასეთი რამ, ამიერიდან არც ამას მოგაკლებთ. ***საქართველოში ხალხი ძალიან მაგრათ არის.*** თქვენი დეპეშის ერთი ადგილი ვერ გავშიფრეთ. იქ ნათქვამია, მტრები ცდილობენ დაუშვან – და ამას მოსდევს სიტყვა „მიაღწევენ“. ნუთუ ჩვენი საქმე აქამდი მივიდა? გისურვებთ კარგად ყოფნას“

ნოე ხომერიკი [4, 2].

კონსტანტინეპოლის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი კონსტანტინე გვარჯალაძე ცდილობდა, ყველა ძალა მოესინჯა და ჩაერთო თავის მუშაობაში, ხვდებოდა თურქეთის მაშინდელ მონინავე

სამხედრო და პოლიტიკურ პირებს. ამას მოწმობს მისი 1922 წლის ჩანაწერები [5, 1-2]

კონსტანტინე გვარჯალაძე (1884-1969) იყო ყველაზე პროევროპული სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. განათლება მიიღო შვეიცარიაში, იდეურად ახლოს იდგა და მეგობრობდა სოციალისტ-ფედერალისტებთან. 1917 წლის ნოემბერში გვარჯალაძე ეროვნული საბჭოს წევრად აირჩიეს. ნოე ჟორდანიას ხელით შედგენილ ეროვნული საბჭოს სიაში ის მე-10 ადგილს იკავებდა [6, 1-4].

1919-1921 წლებში ის იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი. 1921 წლიდამ ემიგრაციაში წავიდა, ჯერ ლონდონში ცხოვრობდა, იმავე წლის ბოლოდან კი – პარიზში. 1935-1940 წლებში კონსტანტინე გვარჯალაძე რედაქტორობდა სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს – „ბრძოლის ხმა". მან მოგვიანებით გამოცემულ წიგნში კარგად ასახა 20-იანი წლების ანტირუსული გამოსვლები საქართველოში, ემიგრაციული ხელისუფლების წევრთა დამოკიდებულება ამ მოვლენებისადმი. ქვემოთ მოტანილ დოკუმენტში კარგად ჩანს ის შეუთანხმებლობა, რაც არა მარტო საქართველოში იყო პროცესში მონაწილე პოლიტიკოსთა და მეომართა შორის, არამედ ემიგრანტ პოლიტიკოსთა შორის არსებული დაპირისპირება, პირადი უთანხმოებანი და ამბიციები.

„21.12.1924 წელი. საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლის – კონსტანტინე გვარჯალაძის წერილი სტამბოლიდან პარიზში აკაკი ჩხენკელისადმი, აგვისტოს შეიარაღებული აჯანყების შესახებ.

საქართველოს წარმომადგენელს პარიზში.

დიდი ხანია მივიღე თქვენი წერილი (15.XI.24). დღემდე ვერ გიპასუხეთ: არ მქონდა მოცალება. ისედაც თქვენი წერილი საქმეს არ შეეხებოდა, ის უფრო პირადული ხასიათისა იყო და ამიტომ მასზე პასუხის გაცემა არც ისე საშური იყო. თან ვერ გავიგე კარგათ, რათ დაგჭირდათ თქვენ ჩვენი კერძო მიწერ-მოწერის გადმოტანა ოფიციალური წერილების ფურცლებზე. არ მგონია, რომ ეს მიზანშეწონილი იყოს. მაგრამ რომ მართლაც ბოლო მოეღოს ასეთი წერილების წერას, საჭიროთ მიმაჩნია მოგცეთ ზოგიერთი კონტრგანმარტებანი..." საკმაოდ ვრცელი და პოლემიკური წერილია. გვარჯალაძე ამართლებს ევროპაში აჯანყების შესახებ გაგზავნილი ინფორმაციების შინაარსს, ამბობს, რომ ომის ვითარებაში ზუსტი ინფორმაციების მოპოვება შეუძლებელია, მითუმეტეს მაშინ, როდესაც ის ამას საქართველოს გარეთ ახერხებდა. ამ ცნობების გადამოწმებას ის ვერ ახერხებდა, მათ ასე უგზავნიდა როგორც მას (ჩხენკელს) ასევე

საქართველოსა და მის პირად ევროპელ მეგობრებს, მაგალითად ჟენევის 1924 წლის 2 სექტემბრის კრებას ასახელებს, „2 სექტემბრის დეპეშა გამოგეგზავნათ თქვენ ჟენევაში. ჟენევაში ამ დროს იყო ნაციათა ლიგის სხდომა. იქ იყვნენ ზოგი ჩემი კარგი პირადი ნაცნობები, როგორც მაკდონალდი, დებრუკერი და ბრანტინგი. აქ გამოითქვა აზრი, რომ კარგი იქნებოდა, თუ ეს პირებიც მიიღებდნენ ჩვენში მომხდარ ამბებზე ცნობას პირდაპირ კონსტანტინოპოლიდან. ამის შემდეგ მე მათაც გავუგზავნე იგივე დეპეშა. როგორ შეხვდით თქვენ ჩვენ დეპეშას? 5 სექტემბრის თქვენ წერილში მწერდით: „თქვენ დეპეშაში მოყვანილი ცნობები ერთობ გაბედულათ მოგვეჩვენა: ნახევარი საქართველო თავისუფალია და სხვ. მე არ ვიცი, რა წყაროს ემყარებოდი შენ. დიდი შეცდომა იყო დებრიუკერისათვის დეპეშის გამოგზავნა, ჯერ ჩვენთვისაც არ უნდა გამოგეგზავნა მსგავსი, თუ წყარო სრულათ სანდო არ იყო. დებრიუკერმა პირდაპირ განაცხადა, არ მჯერაო, ვისაც ვაჩვენე, იმათაც არ დაიჯერესო, ქართველებმა ასე იციანო". თქვენც არ გჯერათ თქვენი ხალხის და სხვები როგორ დაიჯერებენო. ***საქართველოში მიდიოდა მხოლოდ მთავრობის აზრი. ხოლო მთავრობის აზრათ არასოდეს არ ყოფილა ჩვენი ხალხის ილუზიებით კვება და უთანასწორო ბრძოლაში მისი მარტოთ ჩაბმა***. ყველაფერი, რაც აქედან თუ პარიზიდან ინერებოდა სქართველოში, ჩვენ აქ გვენახება. მთელი არქივი აქ არის. ყველა წერილები, საქართველოდან მოსული და საქართველოში გაგზავნილი, გაიშიფრებოდა, თუ დაიშიფრებოდა, ყოველთვის ხოლმე დამფუძნებელი კრების წევრის – ვასო წულაძის მიერ, რომელსაც ეხმარებოდა დ. შარაშიძე. ყველა ჩვენს საქმეში ახლოს არის ჩახედული ასევე დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი – სიმონ მდივანი. ჩვენ აქ სრულიად კოლეგიალურათ ვმუშაობდით და „ზურგს უკან სამოქმედო" არაფერი გვქონდა. თქვენი 15 ნოემბრის წერილი ახდენს შემდეგ შთაბეჭდილებას: თქვენ ცდილობთ ოფიციალურ წერილში ფიქსაცია უყოთ იმ შეხედულებას, რომ თქვენ ვითომ ყველას ყველაფერში აფრთხილებდით, ილუზიების წინააღმდეგი იყავით, ჩვენ ხალხს ამაზე სწერდით, მაგრამ ვერ მიაწვდინეთ თქვენი ხმა, რადგან ამაში ხელს გიშლიდნენ [7, 1-7].

მიუხედავად ამ წერილის მკაცრი ტონისა, ურთიერთობა ორ პოლიტიკოსს შორის შემდეგში გამოსწორდა. ამას კარგად აჩვენებს აკაკი ჩხენკელისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო ფონდებში დაცული მათი მიმოწერა. რაც შეეხება ევროპელ სოციალისტთა თვალსაზრისს, მიუხედავად აჯანყების შესახებ მიღებული ინფორმაციებისადმი უნ-

დობლობისა, რაც ჩხენკელის გვარჯალაძისადმი წერილიდან ჩანს, ისინი ყველა საერთაშორისო შეკრებაზე საქართველოს მხარეს იჭერდნენ და რუსეთის ბოლშევიკურ ხელისუფლებას უპირისპირდებოდნენ. ეს ჯერ კიდევ სვანეთის აჯანყების დროს გამოჩნდა, კერძოდ, 1922 წლის აპრილში ბერლინში გამართულ სამი სოციალისტური ორგანიზაციის შეკრებაზე, სადაც ლიდერობდა ე. წ. ვენის ინტერნაციონალი (ოფიციალურად: „სოციალისტური პარტიების საერთაშორისო მუშათა კავშირი"), რომლის თავმჯდომარე იყო 42 წლის ფრიდრიხ ადლერი ავსტრიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან [1, 11-113].

შეკრებაში მონაწილეობდნენ მეორე და მესამე ინტერნაციონალის ლიდერები. მესამე ინტერნაციონალის სახელით გამოვიდა კლარა ცეტკინი, სხვა ქვეყნების წარმომადგენლები, რუსეთიდან ნიკოლაი ბუხარინი, კარლ რადეკი და სხვ. მეორე ინტერნაციონალის 10 დელეგატს შორის 4 საქართველოში იყო ნამყოფი: ემილ ვანდერველდე, კარლ ჰიუსმანსი – ბელგიიდან; ტომ შოუ და რემსი მაკდონალდი ბრიტანეთიდან. მეორე ინტერნაციონალის დელეგატებს შორის იყო ირაკლი წერეთელიც. სწორედ მისი ინიციატივით, 1924 წლის აჯანყების სასტიკად ჩახშობის შემდეგ, მეორე ინტერნაციონალმა საბოლოოდ უარი თქვა კომუნისტებთან თანამშრომლობაზე. თავად ამ შეკრებაზე საქართველოს საკითხმა გამოიწვია კამათი, დაპირისპირება და „ბოლშევიკური იმპერიალიზმის" მხილება მემარჯვენე სოციალისტთა მხრიდან. საქართველო დაიცვეს ვანდერველდემ და საქართველოს მეგობარმა სხვა სოციალისტებმა. „მე უკრაინისა და სომხეთისგან განსაკუთრებით გამოვყოფ საქართველოს შემთხვევას, – თქვა ვანდერველდემ, – ძირითადად მასზე იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ის ჩემი თვალით მაქვს ნანახი. მე მოწმე ვარ, ჩვენ მოწმეები ვართ, თავად ვნახეთ იმ კვირების განმავლობაში, რაც არასოდეს დაგვავიწყდება. როგორ ერთსულოვნად, ან თითქმის ერთსულოვნად იკრიბებოდა ხალხი წითელი დროშის ქვეშ, თავისუფალი საარჩევნო უფლების პირობებში და უდიდესი უმრავლესობით ირჩევდა სოციალისტებს. ხალხი, რომელსაც უნდა იცხოვროს, და რომელსაც, მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი, რომ დავეხმაროთ და იცხოვროს"... [8, 115].

მან კომისიის შექმნა მოითხოვა საქართველოს საკითხის გამოსაძიებლად. ვანდერველდეს კრიტიკით უპასუხა რუსეთის წარმომადგენელმა რადეკმა და თქვა, რომ ძნელი ასახსნელი იყო, რისთვის წუხდა ვანდერველდე, მისთვის, რომ თბილისში სოციალ-დემოკრატ ჟორდანიას ნაცვლად ბოლშევიკი ბუდუ მდივანი მართავდა,

თუ კავკასიის კარიბჭე – ბაქო ინგლისელთა ხელში რომ აღარ იყო. შემდეგ მან პირდაპირ მიმართა ინგლისელ დელეგატებს: „ხელები შორს საქართველოდან. თქვენ არ გაგიპროტესტებიათ, როდესაც ინგლისის ზარბაზნებს ამოფარებული საქართველოს მთავრობა საქართველოს მუშებსა და გლეხებს ულეტდა“-ო. საქართველოს სახელმწიფო სისხლითა და მახვილით იყო ნაშენები და ეს კარგად გამოაჩინეს თავადო. მაგალითად მოიტანა ვალიკო ჯუღელის „დღიურები“, რომელიც 1922 წელს პარიზში გამოვიდა. ამ ვრცელ სიტყვაში რადეკი გამოტყდა იმაში, რასაც ლენინის ხელისუფლება მალავდა: რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა რუსმა ბოლშევიკებმა ძალით დაამხეს.

სიტყვაში გამოსულმა მაკდონალდმა ილაპარაკა საქართველოზე და რადეკს მიმართა ბიბლიის ციტატით, რომ რაც არ აუნდა ცოდვა ჰქონოდა საქართველოს ხელისუფლებას, ეს ბოლშევიკთა „მეწამულ ცოდვებს ვერ გადაფარავდა“. სხვა დელეგატებიც შეეხნენ საქართველოს თემას, კომისიის შექმნის საკითხი კი არ გაიზიარეს.

რუსეთის წარმომადგენელი რადეკი კვლავაც გამოვიდა სიტყვით და ქართველი ე. წ. „მენშევიკები“ გააკრიტიკა. იქვე მყოფი წერეთლის ბიოგრაფია გაახსენა ხალხს და თქვა, რომ ეს ადამიანი ბოლომდე რუსეთის პატრიოტი იყო, გერმანელების წინააღმდეგ ომსაც ამართლებდა და რუსი დეზერტირების დასჯასაც ითხოვდა. ამიტომ, მას არ ჰქონდა უფლება მშვიდობიან დროს საბჭოთა რუსეთის მიერ უიარაღო მოქალაქეების დახოცვაზე. ქართველები დამოუკიდებლობას იყენებდნენ რუსი ბოლშევიკების დასასჯელად და თეთრგვარდიელებს ეხმარებოდნენო. ევროპელ პოლიტიკოსთა ნაწილი საქართველოს საკითხს იგნორირებას უკეთებდა. ასეთი ვითარება იყო 1924 წლის მოვლენებამდე.

დაპირისპირება და აზრთა სრული შეუთანხმებლობა იყო ქართველ პოლიტიკოსთა შორის როგორც მანამდე, ასევე, 1924 წლის აჯანყების შემდეგაც. ნოე ჟორდანია აკრიტიკებდა 1924 წლის აჯანყების დამარცხებით გამოწვეულ ნიჰილიზმს და წერდა: „საქართველოს აჯანყება, გამოწვეული მოსკოვის მტარვალობით, უდიდესი მოვლენაა ერის განმათავისუფლებელი მოძრაობისა. ჩვენს ახალ ისტორიაში ის იჭერს ცენტრალურ ადგილს და მის ირგვლივ იკრიბება სასიცოცხლო ძალები“. ამ აჯანყებას ის ევროპის დამარცხებულ, მაგრამ დიდი მიზნების მქონე აჯანყებებს ადარებდა და მიიჩნევდა, რომ ზოგჯერ დამარცხებული ბრძოლა გამარჯვებაზე არანაკლები მნიშვნელობისაა. ამის მაგალითად ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება მოჰქონდა [9, 9-10].

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში არსებული უთანხმოება აჯანყების საკითხში კარგად ჩანს ვალიკო ჯუღელის ჩანაწერებში – „მძიმე ჯვარი". ჯუღელი აღწერს საქართველოში წამოსასვლელად მზადების პერიოდს, აღნიშნავს, როგორ მალავდნენ ამ ამბავს ის და მისი თანამოაზრენი იმ მთავრობის წევრებთან, რომლებიც არ ეთანხმებოდნენ აჯანყების მოწყობას ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ჯუღელი ჯერ გურიაში იმყოფებოდა, შემდეგ გადმოვიდა თბილისში, გახდა დამკომის სამხედრო კომისიის წევრი, სათავეში ჩაუდგა აჯანყების მომზადებას. 6 აგვისტოს ის ჩეკამ დააპატიმრა, საპატიმროში უჩვენეს აჯანყების გეგმა და აუხსნეს, რომ ხელისუფლებამ ყველაფერი იცოდა. სასოწარკვეთილმა ჯუღელმა თვითმკვლელობაც სცადა, მაგრამ უშედეგოდ. 28 აგვისტოს მან თანამებრძოლებს გაზეთ „კომუნისტის" მეშვეობით დანებება ურჩია. თანამოაზრეებისადმი მის მიმართვას მოვლენებზე გავლენის მოხდენა უკვე აღარ შეეძლო. 30 აგვისტოს ჯუღელი დახვრიტეს, იგივე ბედი ეწიათ ბენია ჩხიკვიშვილს, ნოე ხომერიკს, ყოფილი დემოკრატიული მთავრობის სხვა წევრებს [10, 339-340].

აჯანყების დამარცხება განსაკუთრებული ბიძგის მიმცემი აღმოჩნდა ქართველ პოლიტიკოსთა პოლარიზაციის საქმეში. 1924 წლის აჯანყების დამარცხების შემდეგ ქართულ ლეგაციასა და ემიგრანტულ წრეებში ვითარება დაიძაბა. განხეთქილების საგნად იქცა აჯანყებისადმი პოლიტიკურ წრეებში გამოხატული ლოიალობა, რაც ბევრს ქართველი ხალხის ღალატად მიაჩნდა. ემიგრანტულმა მთავრობამ, კონკრეტულად მისმა თავმჯდომარემ, გაამკაცრა სხვა პარტიელებისა და ემიგრაციაში მოღვაწე ქართველებისადმი დამოკიდებულება, მათდამი ნდობის დეფიციტის გამო უკმაყოფილება სულ უფრო მეტად ღვივდებოდა, რაც კარგად გამოჩნდა ნოე ჟორდანიასა და გერმანიაში არსებულ ქართული წარმომადგენლობის წევრთა ურთიერთობაში. ამის შედეგი იყო ვლადიმერ ახმეტელაშვილისა და ნოე ჟორდანიას შორის წარმოქმნილი უთანხმოება. მომხდარმა კარგად გვაჩვენა რა მასშტაბური იყო პოლიტიკურ წრეებში დაპირისპირება, როგორ ვერ შეელია ნოე ჟორდანია სხვა პარტიელებისა და განსხვავებული სოციალური წარმოშობისა თუ იდეოლოგიური მიმართულების ადამიანებისადმი უნდობლობას, როგორ დასაჯა გერმანიის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი ვლადიმერ ახმეტელაშვილი იმის გამო, რომ მას საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ყოფილ წევრებთან – ლეო და გიორგი კერესელიძეებთან. ახმეტელაშვილს საქართველოს ლეგაციამ ხელფასი შეუწყვიტა და დიპლომატიური საქმიანობა აუკრძა-

ლა. ეს მოხდა ლეგაციის გაუქმებამდე ცოტა ხნით ადრე. ახმეტელმა ვერ მოახერხა ჟორდანიას აზრის შეცვალა მისთვის „ფაშისტებად" მონათლული კერესელიძეების მიმართ [11, 82-109].

დასანანი იყო, რომ კერესელიძეებს, რომელთა უმცროსი ძმა სწორედ საქართველოში 1923 წლის მაისში დახვრეტილი სამხედროების ჯგუფში იყო, ჟორდანია სანდო ადამიანებად არ მიიჩნევდა. კიტა ჩხენკელის წერილები ძმის – აკაკი ჩხენკელისადმი გვაძლევს ინფორმაციას, თუ რა დაძაბული ურთიერთობები იყო ემიგრაციაში, როგორ ემზადებოდნენ გარკვეული წრეები ნოე ჟორდანიას მთავრობის თავმჯდომარის პოსტიდან გადაყენებისათვის და რომ მის ადგილზე, ვფიქრობ, იმ დროს მოიაზრებდნენ აკაკი ჩხენკელს, რომელსაც ნორმალური დამოკიდებულება ჰქონდა ემიგრაციის ყველა ფრთასთან [12, 131-224].

ამრიგად, 1924 წლის აჯანყების მიმართ ქართველ და უცხოელ პოლიტიკოსთა თუ თეორეტიკოსთა შორის იყო და ზოგჯერ დრემდე გრძელდება აზრთა სხვადასხვაობა. ეს არ ნიშნავს, იმას, რომ რომელიმე მხარე იყოს მართალი ან მტყუანი, ეჭვს ვერ შევიტანთ იმ ადამიანების გულწრფელობასა და პატრიოტიზმში, რომლებიც აჯანყებას თანაუგრძნობდნენ, ან, პირიქით. ჩვენი აზრით კი, ამგვარი თავგანწირული ქმედებები საქართველოს ისტორიის თავისებური დრამატიზმით გამართლებულია და ის ყოველთვის იყო ცალკეულ გმირთა თუ თავად სახელმწიფოს ღირსების საქმე. ამასთანავე, ამგვარი თავგანწირვა იქცეოდა იმ მასტიმულირებელ მაგალითად, რაც მუდმივად უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული ქართველი ხალხის წიაღიდან სახელოვანი გმირების ახალ თაობებს წარმოშობდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ერიკ ლი, 1924 წლის აჯანყება, საქართველო და დემოკრატიული სოციალიზმის დაბადება, თბილისი, 2024.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 609.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწ. 2, საქმე 422.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 111,
5. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 110.

6. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 1, საქმე 72.
7. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1831, აღწერა 2, საქმე 125.
8. გაზეთი „კომუნისტი", 1924 წელი, №198 (1053).
9. ნოე ჟორდანია, რა მოხდა, პარიზი, 1925.
10. ვალიკო ჯუღელი, მძიმე ჯვარი (სახალხო გვარდიელის ჩანაწერები), საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია, გამომცემლობა „ზიარი", 2022.
11. დოდო ჭუმბურიძე, პარტიულ და სახელ;მწიფოებრივ ინტერესთა კონფლიქტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ემიგრაციაში (კიტა ჩხენკელის წერილების მიხედვით), ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები", 2021, №1 (25).
12. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, აღწერა 2, საქმე 180.

Dodo Chumburidze
Senior Researcher and Professor at Tamaz Beradze Institute of Georgian Studies (Kartvelology), the University of Georgia

The 1924 Uprising: Assessments by Georgian Politicians in exile and Some European Politicians

Summary

After Soviet Russia occupied the Democratic Republic of Georgia and the Government of Georgia was forced into exile, Georgian politicians utilized every diplomatic means to sway Europe in favor of Georgia. The plan of the former Government, before the Soviet armed forces having occupied Georgia began retaliatory operations and the Bolshevik government started implementing anti-Georgian measures, was to lead a peaceful nonviolent resistance movement through elections with the purpose of changing the government. Though, they failed to realize the

plan, as the violent regime pushed the people to the brink. The uprising began in Svaneti and spread across Georgia.

On February 23, 1922, the meeting of the Government of Georgia in exile, held in Paris, discussed the issue of anti-Bolshevik uprisings in Georgia and the Caucasus. From the speeches delivered by the participants of the meeting, it becomes clear that everyone agreed on the need for an uprising, but the forms and methods, and differing opinions on how the results should be achieved became the subject of debate. Information about the events unfolding in Georgia was continuously sent to Europe. These reports were frequently discussed by European politicians at international conferences and gatherings held throughout Europe. The issue of the Georgian people's anti-Russian struggle was discussed at a meeting of three socialist organizations held in Berlin in April 1922, led by the so-called Vienna International (officially: International Working Union of Socialist Parties (IWUSP)), chaired by Friedrich Adler of the Social Democratic Party of Austria. The leaders of the Second and Third Internationals participated in the meeting; Clara Zetkin represented the Third International, while the representatives from Russia included Nikolai Bukharin, Karl Radek, and others.

Among the ten delegates of the Second International, four had been to Georgia: Emil Vandervelde and Karl Huysmans from Belgium, and Tom Shaw and Ramsay MacDonald from Britain. Irakli Tsereteli was among the delegates of the Second International. It was under his initiative, that the Second International finally rejected cooperation with the Communists, after the 1924 uprising was brutally suppressed. The discussion on the issue of Georgia at the meeting sparked debate, confrontation, and the condemnation of „Bolshevik imperialism" by right-wing socialists. The 1924 uprising caused a certain polarization among politicians. This article reflects the process, presenting sources and information that confirm the tense relations within the members of the Georgian community

ირმა გოგოლიძე
ისტორიის დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

1924 წლის აჯანყება: შედეგები და შეფასება

XX საუკუნის 20-იანი წლები ურთულესია საქართველოს ისტორიაში: ქვეყანა კვლავ მოექცა მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური დაპირისპირებების არეალში, ერთმანეთს ენაცვლებოდა რუსეთის, თურქეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის ინტერესები. სწორედ ამ რაკურსით, მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში, რეგიონით დაინტერესებული დიდი სახელმწიფოების კავკასიური პოლიტიკის ფონზე გავაანალიზეთ ისტორიის ეს მონაკვეთი და ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

რუსეთის საგარეო პოლიტიკაში საქართველოსადმი დამოკიდებულებას განსაზღვრავდა იმპერიული გაფართოების ფაქტორი: ქვეყნის დაპყრობამ XIX საუკუნეში საეტაპო როლი შეასრულა იმპერიის ისტორიაში, იგი იქცა ერთგვარ პლაცდარმად სამხრეთ კავკასიასა და შემდგომ შუა აზიაში ექსპანსიისათვის [1, 6]. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების (რომანოვების იმპერიის დაშლა, ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულება და მისი თანმდევი დიპლომატიური კამპანია, პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი ბლოკი სახელმწიფოების კაპიტულაცია) შედეგად ჩვენი ქვეყნის ტერიტორია დიდ სახელმწიფოთა (რუსეთი, თურქეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი) პოლიტიკური და სამხედრო დაპირისპირების ობიექტი გახდა. 1917 წლამდე საქართველო რომანოვების იმპერიის ნაწილი იყო და დამოუკიდებელ საგარეო-პოლიტიკურ ფუნქციას არ ასრულებდა. დამოუკიდებლობის ხანმოკლე (1918-1921 წწ.) პერიოდი ურთულესი იყო გეოპოლიტიკური გამოწვევების წინაშე მდგარი ქართველი ხალხისათვის: საბჭოთა რუსეთისა და გერმანიის, ხოლო, შემდგომში, საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის საზავო და სახელშეკრულებო მოლაპარაკებების შედეგად ქვეყანამ ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკარგა. რუსეთის საგარეო პოლიტიკისათვის XX საუკუნის 20-იან წლებში საქართველოს კვლავ დაპყრობა და შენარჩუნება ისევ პრიორიტეტუ-

ლი აღმოჩნდა. წარმოდგენილ ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია რუსეთის ოკუპაციის პირველი წლები, ქართველი ხალხის 1924 წლის აჯანყება, შედეგები და შეფასება ქართულ ისტორიოგრაფიაში. საკითხის აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ დღესაც ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრეს გამოწვევას რუსეთი წარმოადგენს, რომელსაც, როგორც მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელ ერთ-ერთ სახელმწიფოს, გააჩნდა და დღემდე გააჩნია ტრადიციული ინტერესები.

1924 წლის აჯანყების განხილვამდე უნდა გავაანალიზოთ მსოფლიო პოლიტიკაში შექმნილი რეალობა: საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა საგარეო და საშინაო პოლიტიკაში მისთვის სასარგებლოდ შეიცვალა, 1920 წლიდან დაიწყო დასავლეთთან ტრადიციული საგარეო პოლიტიკის გატარება. მართებულად შენიშნავს ჰენრი კისინჯერი: „გადარჩენა ამ ეტაპის უპირველესი ამოცანა იყო, ხოლო თანაარსებობა – ტაქტიკა“ [2, 338]. საბჭოთა რუსეთი ომებისა და რევოლუციებისაგან თავისუფალი აღმოჩნდა, მაგრამ ამისათვის გადაიხადა რუსი მეფეების მიერ დაპყრობილი ბალტიის, ფინეთის, პოლონეთის, ბესარაბიის და თურქეთის მიმდებარე ტერიტორიებით. დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა გერმანიასთან, იტალიასთან, პოლონეთთან, ბალტიის ქვეყნებთან, თურქეთთან, სპარსეთთან. 1924 წელს დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმაც აღიარეს რუსეთის საბჭოთა ხელისუფლება. პარალელურად, 1920 წელს ბოლშევიკებმა დაასრულეს სამოქალაქო ომი. ჯერ კიდევ 1918 წლის 6 ივლისიდან რუსეთში, კომუნისტური პარტიის გარდა აიკრძალა ყველა პარტია და 5 სექტემბერს გამოიცა დადგენილება „წითელი ტერორის“ შესახებ, დაუნდობელი ბრძოლა გამოცხადდა კლასობრივი მტრის – არისტოკრატიის, სამღვდელოების, ინტელიგენციის, მშრომელი გლეხობის წინააღმდეგ. 1920 წლისათვის რუსეთი ერთპარტიული ქვეყანა გახდა. ახლად შექმნილი ტოტალიტარული სახელმწიფოს უმთავრესი საყრდენი, კომუნისტური პარტია, აკონტროლებდა ხელისუფლების სამივე შტოს: საკანონმდებლოს, აღმასრულებელს და სასამართლოს. კომუნისტური პარტია, როგორც პოლიტიკური ავტორიტეტის წყარო კომუნისტურ სახელმწიფოში, მთავრობასა და ყველა სხვა ინსტიტუტში წამყვანი და ხელმძღვანელი ძალა გახდა.

გასაბჭოების შემდეგ იგივე საქართველოშიც განხორციელდა: აიკრძალა ყველა პოლიტიკური პარტია კომუნისტურის გარდა, სხვა

პარტიების წარმომადგენლებს „მავნე ელემენტების“ ბრალდებით აპატიმრებდნენ. 1921-1922 წლებში სამი ათასამდე ადამიანი დააპატიმრეს [3, 178]. თუკი 1918-1920 წლებში საქართველოს სახელმწიფოებრივმა დამოუკიდებლობამ იხსნა ქართველი ხალხი „წითელი ტერორისაგან“, 1921 წელს ქვეყნის ანექსიითა და დამოუკიდებლობის დაკარგვით ეს საფრთხე რეალური გახდა. მსოფლიო ისტორია სავსეა მაგალითებით, როცა ყოფილი „ჩაგრული არარაობები“ ძალაუფლების დაუფლებისთანავე თავად ქმნიან ახალ, მჩაგვრელ ელიტას. ბოლშევიკური ელიტა ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენდა [3, 203]. თავისუფლების დაპირებით ხელისუფლების სათავეში მოსულმა კომუნისტებმა თავად გაანადგურეს პოლიტიკური თავისუფლებაც და სიტყვის თავისუფლებაც. საბჭოთა რუსეთის სამხედრო-საუკუპაციო რეჟიმმა შელახა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსება, დაარბია საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ყველა სოციალური ფენა. შესაბამისად, ქართველი ხალხის უკმაყოფილება დღითიდღე იზრდებოდა. ამგვარი საგარეო და საშინაო პოლიტიკური ვითარების ფონზე აჯანყების მოწყობა რისკებთან იყო დაკავშირებული: მსოფლიო პოლიტიკაში საქართველოს საკითხი, 1918-1921 წლების მსგავსად, კვლავ რუსეთის ფაქტორიდან გამომდინარე განიხილებოდა და ევროპული სახელმწიფოების მხრიდან დახმარება კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. დახმარების გარეშე, მხოლოდ საკუთარი ძალებით საბჭოთა რუსეთის დამარცხება სათუო იყო.

საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლის მიუხედავად ქვეყანაში ანტისაბჭოთა განწყობა არ შენელებულა. საბჭოთა ხელისუფლების ძალდატანებით დამყარებისთანავე დაიწყო ბრძოლა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ, რაც საპროტესტო აქციებსა და მანიფესტაციებში გამოიხატებოდა. ლოკალური ხასიათის შეიარაღებული გამოსვლები სვანეთში, ხევსურეთსა და გურიაში დამარცხდა; ემიგრაციაში მყოფი მთავრობა მემორანდუმებით მიმართავდა ერთა ლიგას, თუმცა ერთა ლიგის რეზოლუციები მხოლოდ მორალურ თანადგომას გამოხატავდა; წარუმატებელი აღმოჩნდა მცდელობაც საერთაშორისო კონფერენციებზე მიეღოთ ქვეყნისათვის სასარგებლო შედეგი: გენუის საერთაშორისო კონფერენციაზე არც დაუშვეს საქართველოს ყოფილი მთავრობის წარმომადგენლები. ქართულმა პოლიტიკურმა ემიგრაციამ საფრანგეთში ჩასვლისთანავე წამოჭრა აჯანყების მოწყობის იდეა. 1922 წელს შეიარაღებული გამოსვლის მომზადების მიზ-

ნით შეიქმნა ანტისაბჭოთა პარტიების – სოციალ-დემოკრატების, ეროვნულ-დემოკრატების, სოციალისტ-ფედერალისტების, სოციალისტ-რევოლუციონერების და დამოუკიდებელ სოციალ-დემოკრატების ბლოკი – „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი". აჯანყება იგეგმებოდა 1923 წლის 26 მაისს, მაგრამ ჩაიშალა, რადგანაც დააპატიმრეს „სამხედრო ცენტრის" შემადგენლობა და დახვრიტეს ქართული მხედრობის თვალსაჩინო წარმომადგენლები: კოტე აფხაზი, ალ. ანდრონიკაშვილი და სხვები. ასევე გადაიდო 1924 წლის თებერვლისათვის დაგეგმილი გამოსვლაც, მიზეზი სახსრების უქონლობა და აქტიური მონაწილეების დაპატიმრება იყო. შემდეგ აჯანყების დაწყება 17 აგვისტოსათვის გადაწყდა, თუმცა ესეც ჩაიშალა, რადგან საგანგებო კომისიისათვის ცნობილი გახდა მისი თარიღი. საბჭოთა ხელისუფლებამ მიიღო ზომები თბილისის გასამაგრებლად: აკრძალა გასვლა და შემოსვლა, შემოიღო ქუჩებში საღამოს პატრულირება, დაიწყო საეჭვო სამხედრო პირების დაპატიმრება. დამკომის ხელმძღვანელებს შორისაც აზრთა სხვადასხვაობა გაჩნდა, მთავარსარდალი ს. ჭავჭავაძე თვლიდა, რომ გამოსვლა შეუძლებელი ხდებოდა, მაგრამ ი. ჯავახიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე) გადაჭრით მოითხოვდა აჯანყებას და მთავარსარდლის გადაყენებაც მოითხოვა. გადაწყდა აჯანყება დაეწყოთ 29 აგვისტოს. საყურადღებოა, რომ საქართველოს ყოფილი მთავრობის წევრები სიფრთხილეს იჩენდნენ შეიარაღებული გამოსვლის მოწყობის საკითხში, ნოე ჟორდანია წერდა: „თუ საქართველოში ხალხი, ორგანიზაციები დაადგენენ ავჯანყდეთ, ჩვენ იძულებული ვიქნებით დავეხმაროთ, რაც შეგვეძლება. უნდა ვემზადოთ, მაგრამ საერთო გამოსვლა საერთაშორისო მდგომარეობას უნდა დავუკავშოროთ" [4, 287]. ილუზიად მიაჩნდა შეიარაღებული აჯანყების გზით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა ა. ჩხენკელს [5, 12-18]. სიტუაციას რეალურად აფასებდა ექვთიმე თაყაიშვილი: „აქ სულ სულისკვეთებაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ამით რომ ვერ მოერევიან მტერს? ჩვენში საერთაშორისო მდგომარეობა არ იციან, ჭურში არიან. არც იარაღი აქვთ, არც სურსათი, არც წამალი და მაინც უნდა ავჯანყდეთ! შეიძლება ხალხი ჩავარდეს სასოწარკვეთილებაში. მაგრამ ჩვენ მაინც არ უნდა ვურჩიოთ აჯანყება ახლანდელ პირობებში" [4, 287].

საგანგებო კომისია წინასწარ იყო ინფორმირებული აჯანყების სამზადისის შესახებ, შესაბამისად, ყველა ზომა მიიღო ძირშივე ჩასახ-

შობად. სამხედრო თვალსაზრისით მარცხისათვის განწირული აჯანყება, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მაინც დაიწყო, რასაც შედეგად მასშტაბური მსხვერპლი მოჰყვა. აჯანყების ხელმძღვანელებს პარიზიდან ატყობინებდნენ ევროპაში შექმნილ ხელსაყრელ საგარეო პოლიტიკურ სიტუაციაზე და ჰპირდებოდნენ საერთაშორისო მხარდაჭერას. ვერც აზერბაიჯანსა და ჩრდილო კავკასიაში მოხერხდა აჯანყების გავრცელება. მხოლოდ ერთი პოლიტიკური მიზანი იქნა მიღწეული: საქართველოს საკითხი კვლავ აღმოჩნდა საერთაშორისო პოლიტიკის ყურადღების ცენტრში [6, 418], თუმცა, მხოლოდ ცოტა ხნით: 1924 წელს საბჭოთა კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შედეგად ლონდონში გაუქმდა საქართველოს ლეგაცია; 1932 წლის საფრანგეთისა და საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების მეხუთე მუხლი უშუალოდ ეხებოდა საქართველოს დელეგაციის მოღვაწეობას პარიზში: „ხელშეკრულების დამდებ მხარეთაგან თითოეული მოვალეობას იღებს, არ შექმნას, მფარველობა არ გაუწიოს, არ შეაიარაღოს, ფულით არ დაეხმაროს და ბინადრობის ნება არ მისცეს თავის ტერიტორიაზე არც სამხედრო ორგანიზაციებს, რომელთაც საგნად ექნებათ მეორე მხარის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლა, არც ისეთ ორგანიზაციებს, რომელნიც მთლად მის ტერიტორიების ან მათი ნაწილების მთავრობის სახელს ან წარმომადგენლობას იჩემებენ“ [7, 639]. 1933 წელს, ხელშეკრულების რატიფიცირებით, პარიზშიც გაუქმდა საქართველოს ლეგაცია.

აჯანყების დამარცხება განაპირობა მიზეზთა ერთობლიობამ:

1. საბჭოთა მხარე წინასწარ იყო ინფორმირებული აჯანყების გეგმების, მონაწილეების, შეიარაღების ხარისხის შესახებ. დაგეგმილი დროის რამდენჯერმე გადადება ამის დამადასტურებელია;

2. გადაჭარბებული მოლოდინი ჰქონდათ ევროპის მხრიდან; რეალურად არ იყო აღქმული საერთაშორისო ვითარება, ევროპული სახელმწიფოების დამოკიდებულება რუსეთისადმი და საქართველოსადმი. ირაკლი წერეთელი აღნიშნავდა: „რუსეთთან შეიარაღებულ კონფლიქტში ევროპის დახმარების იმედი უნიადაგო იყო“ [4, 293].

3. აჯანყების ბედი გადაწყვიტა თბილისზე წარუმატებელმა შეტევამ, უფრო სწორად, შეტევის შეუძლებლობამ ხელისუფლების მიერ მისი გამაგრება-დაცვის გამო;

4. არ იყო სათანადოდ ორგანიზებული, ერთი დღით ადრე ჭიათურაში შეარაღებულმა გამოსვლამ ზეგავლენა მოახდინა აჯანყება-

ზე; მონაწილეთაგან უმრავლესობა გამოუცდელი იყო, არ ჰქონდათ საკმარისი იარაღი; რაოდენობრივადაც მცირერიცხოვანი იყვნენ.

საბჭოთა ხელისუფლებამ საკუთარი მიზნებისათვის გამოიყენა არასათანადოდ ორგანიზებული აჯანყება. გმირული, მაგრამ არაკოორდინირებული ბრძოლების შემდეგ იგი ადვილად ჩაახშეს. საქართველოში გაგრძელდა „წითელი ტერორი". 1924 წლის აჯანყება ჩვენი ქვეყნის ისტორიის საბედისწერო მოვლენად შეიძლება მივიჩნიოთ. მისი დამარცხებით, ერთი მხრივ, შეწყდა ხანგრძლივი ვადით საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა, ხოლო, მეორე მხრივ, გაგრძელდა სასტიკი რეპრესიები. აჯანყების პირველსავე დღეს დახვრიტეს ადრე დაპატიმრებული 24 პოლიტიკური პატიმარი, თბილისში დახვრიტეს 36, სიღნაღის მაზრაში – 21, თელავის მაზრაში – 16, შორაპნის მაზრაში – 31, სამეგრელოში – 451, ჭიათურაში ვაგონებში ჩაყარეს ამბოხის მონაწილე და არამონაწილე მოქალაქეები და სადგურ ყვირილასთან ჩაცხრილეს ვაგონებში გამომწყვდეული 95 ადამიანი [4, 292]. რეპრესიების შედეგად განადგურდა ქართველი ერის ელიტარული ნაწილი: თავადაზნაურობა, სამღვდელოება, პროგრესული ინტელიგენცია, შეძლებული გლეხობა – მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც უნდა უზრუნველეყო ქვეყნის შემდგომი პროგრესული განვითარება. დამარცხების გამო ქართული პოლიტიკური ემიგრაცია პასუხისმგებლობას არ გაურბოდა, თვლიდა რომ უნდა სცოდნოდა: „კავკასიის მასშტაბით არ მოხდებოდა გამოსვლა, არც უცხოეთიდან იქნებოდა დახმარება, ამიტომ ემიგრაციას უნდა ეთხოვა დამკომისათვის შეჩერებულიყო" [4, 291]. არაერთგვაროვანი იყო ემიგრაციის დამოკიდებულება: ნაწილი მხარს უჭერდა, აქეზებდა საქართველოში არსებულ ძალებს ებრძოლათ საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ, თუმცა, ემიგრანტთა მხარდაჭერა მორალურ და პროპაგანდისტულ ჩარჩოებს ვერ სცილდებოდა [4, 292].

არაერთგვაროვანი იყო აჯანყების შეფასებაც: საქართველოს ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ შეიარაღებული გამოსვლა მცირერიცხოვანი ბანდის მიერ მოწყობილ შეთქმულებად, ავანტიურად გამოაცხადა; ხოლო, ემიგრანტულმა ისტორიოგრაფიამ 20-იანი წლების ქართული ეროვნული მოძრაობის აპოგეად შეაფასა. XX საუკუნის 90-იან წლებში ცენზურის მოხსნამ და არქივების გახსნამ ბევრი, მანამდე უცნობი, დეტალი წარმოაჩინა, გამოქვეყნდა შრომები, რომ-

ლებშიც აჯანყება საერთო-სახალხო მოვლენად არის მიჩნეული, მონაწილეები – ეროვნულ გმირებად და სამშობლოსათვის თავდადებულ მამულიშვილებად. მოგვიანებით, კვლავ დაიწყო ბოლშევიკურ-კომუნისტური შეფასების რეანიმაცია [8, 4].

ქართველ მეცნიერთა შორის არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, როგორც აჯანყებასთან დაკავშირებულ ცალკეულ კონკრეტულ საკითხებზე, ასევე, ზოგადად შეფასებაზე. მ. ბახტაძე თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებს სამ ჯგუფად ყოფს: პირველ ჯგუფში იმ მეცნიერთა მოსაზრებებია, რომელთა აზრით, მარცხის მიუხედავად აჯანყება იყო გმირული მოვლენა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში; მეორე ჯგუფში იმ მეცნიერთა მოსაზრებებია, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ აჯანყების უარყოფით შედეგებსა და ვითარების გაუარესებაზე; მესამე ჯგუფში მეცნიერთა მოსაზრებებია, რომლებიც აჯანყებას საბჭოთა ხელისუფლების მიერ ინსპირირებულად თვლიან [9, 5]. რადგანაც საკვლევი თემის ძირითადი არსი აჯანყების შედეგების გაანაალიზებაა, ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია გავიზიარო ბოლო პერიოდში გავრცელებული შეფასება: „1924 წლის აჯანყება პროვოცირებული იყო კომუნისტური ხელისუფლების მიერ, რათა ერთხელ და სამუდამოდ გასწორებოდნენ არაკომუნისტურ ოპოზიციას, დაენერგათ ქვეყანაში „შიშის სინდრომი“, დაეშინებინათ ინტელიგენცია და მოსახლეობის პატრიოტულად განწყობილი ნაწილი, უზრუნველეყოთ პირობები კომუნისტურ მიზანდასახულობათა განსახორციელებლად“ [4, 293]. შეაიარაღებული გამოსვლის ჩახშობის შემდეგ ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენები ამის ცალსახა დადასტურებას წარმოადგენს. აჯანყებით დასრულდა საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთი ეტაპი. საქართველოს ბედი კვლავ დიდმა პოლიტიკამ განსაზღვრა.

1924 წლის აჯანყება, რომლის მიზანიც საბჭოთა ოკუპაციისაგან ქვეყნის გათავისუფლება და დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა იყო, წარმოადგენდა მასშტაბურ შეიარაღებულ გამოსვლას საქართველოში. მონაწილეებს სწამდათ, რომ მართალი საქმისათვის, სამშობლოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. აჯანყების გზით მიზნის მიღწევა ყოველთვის დიდ რისკებთან არის დაკავშირებული. აჯანყების ხელმძღვანელები ორი უკიდურესობის

წინაშე აღმოჩნდნენ: ან საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა უნდა შეეწყვიტათ, ან ბოლომდე ებრძოლათ და თუ ვერ გაიმარჯვებდნენ, პირნათლად მოეხადათ ვალი ერისა და ქვეყნის წინაშე. მათ მეორე გზა აირჩიეს [8, 225]. თუმცა, ეს მეორე გზა მარცხისათვის იყო განწირული და შესაბამისად, მისი შედეგებიც დამანგრეველი იყო ქართველი ხალხისათვის. აჯანყების მონაწილე, შემდგომ ემიგრაციაში მყოფი, სიმონ გოგიბერიძე წერდა: „განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის საჭიროა წარსულის გაშუქება. საჭიროა ვიცოდეთ. შეგვეძლო თუ არა დამოუკიდებლობის შენარჩუნება, ან მივიღეთ თუ არა ყოველივე ზომები იმისათვის, რომ ის ენერგია, რომლის გამოცემა მაშინ საქართველოს შეეძლო, დროზედ და ხეირიანად გამოგვეყენებინა? სამწუხაროდ ამ კითხვებზე პასუხის გაცემა მეტისმეტად ძნელია იმ თაობისათვის, რომელიც წარსული მოვლენების მონაწილე იყო; დღეს კი, განსაკუთრებით უცხოეთში, ყველა თავისი საკუთარი საზომით უდგება ჩვენს წარსულს. ყველა ცდილობს თავისი პირადი წარსული სინათლის შუქით მოჰფინოს და ყოველივე ნაკლი მოწინააღმდეგე პარტიას ან პიროვნებას დააბრალოს. საკითხის ასეთი მიდგომა იწვევს ფაქტების დამახინჯებას, მოვლენების გაუგებრობას, პიროვნებათა და პარტიათა შორის, ერთობის მაგივრად, შუღლსა და შეხლა-შემოხლას. ყოველივე ეს მავნებელია არა მარტო წარსულის სინამდვილის აღდგენისათვის, არამედ, და რაც უმთავრესია, მომავალი ბრძოლისათვის“ [10, 5-6].

მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში, მსოფლიო პოლიტიკის განმსაზღვრელი სახელმწიფოების კავკასიური პოლიტიკის ფონზე, XX საუკუნის 20-იან წლებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესების გაანალიზება აუცილებელია, განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენი ქვეყანა უამრავი გამოწვევების წინაშე დგას [11, 119]. პოლიტიკური მოვლენების, მისი შედეგების შეფასება, ისტორიული წარსულის ობიექტური ანალიზი დაგვეხმარება პოლიტიკური გარემოს რეალურ აღქმასა და მართებული პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. თორნიკე შარაშენიძე, საქართველოს ადგილი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2016.
2. ჰენრი კისინჯერი, დიპლომატია, თბილისი, 2021.
3. რევაზ გაჩეჩილაძე, საქართველო მსოფლიო კონტექსტში, თბილისი, 2017.
4. საქართველოს ისტორია, ოთხ ტომად (უძველესი დროიდან XX საუკუნის ბოლომდე), ტ. IV, თბილისი, 2012.
5. Georgian Archive. Harvard University, Reel 99, box 24.
6. ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები, II ნაკვეთი, თბილისი, 1998.
7. Документы внешней политики СССР, т. XV, Москва, 1969.
8. ლევან ჯიქია, 1924 წლის აჯანყება დასავლეთ საქართველოში, სადოქტორო ნაშრომი, თბილისი, 2012.
9. მიხეილ ბახტაძე, 1924 წლის აჯანყების შეფასება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში, https://www.tsu.ge/data/image_db_innova/1924ajankeba.pdf
10. სიმონ გოგიბერიძე, ბრძოლა სამშობლოსათვის, თბილისი, 1991
11. ირმა გოგოლიძე, საქართველო მსოფლიო პოლიტიკის კონტექსტში (ბათუმის ოლქის მაგალითზე), VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ენა და კულტურა“ შრომები, ქუთაისი, 2022. https://doi.org/10.52340/lac.2022.781

Irma Gogolidze
Doctor of History, Technical University of Georgia, assistant professor of the faculty of Law and International Relations

The Revolt of 1924: Results and Assessment

Summary

The presented paper analyzes the most difficult part of Georgian history and the struggle of the Georgian people for independence in the context of world politics, against the background of the Caucasian policy of the great powers interested in the region. The paper discusses the first years of Russian occupation, the 1924 revolt, its results and assessment in Georgian historiography. In world politics, the issue of Georgia, like the years 1918-1921, was still considered based on the Russian factor, and help from European states was under question. The Soviet government used the poorly organized uprising for its own purposes. The 1924 uprising, the goal of which was to liberate the country from soviet occupation and restore the democratic republic, was a large-scale armed uprising in Georgia. The participants of the uprising believed that they were fighting for the right cause, for the independence and freedom of the motherland. With the defeat of the rebellion, the struggle for the restoration of Georgia's independence was stopped for a long time, and brutal repressions continued.

ოთარ გოგოლიშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის პროფესორი

ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1922 წლებში

1921 წლის 20 მარტს ქართულმა ჯარმა გენერალ მაზნიაშვილის მეთაურობით ბათუმი გაწმინდა თურქი ოკუპანტებისაგან, ამან გაუადვილა ბოლშევიკებს ბათუმის ოლქის დაუფლება. 1921 წლის 24 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი პეტრე მაისურაძე ეუბნებოდა წითელი არმიის წარმომადგენელს: „ბათუმი გავწმინდეთ აგრესორებისაგან მანამ, სანამ თქვენ აქ დაამყარებდით თქვენს (იგულისხმება ბოლშევიკები – ო. გ.) ხელისუფლებას. ფაქტიურად თქვენ მოგართვით ხელისუფლება... ახლა თქვენზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეძლებთ ამ ღვთისაგან ბოძებულის მოვლა–პატრონობასო... მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა ეროვნულმა არმიამ თურქები სასტიკად დაამარცხა და განდევნა ბათუმის ოლქიდან, ნაწილმა ამ დამარცხებული ჯარისა შეძლო მიმალვა. ამასთან დაკავშირებით ბათუმის რევკომის (შეიქმნა 1921 წლის 20 მარტს) თავმჯდომარეს ს. ქავთარაძეს აცნობებდნენ 1921 წლის 29 მარტს: „თურქები, რომლებიც იმალებიან გონიოს უბნის ტყეებში და სხვაგან, ცდილობენ კვლავ ბრძოლის გაგრძელებას. ამასთან ისინი ეწევიან სასტიკ ანტიქართულ პროპაგანდას. მოსახლეობას მოუწოდებენ ბრძოლისაკენ. თანაც ავრცელებენ ხმებს, რომ მალე თურქეთი დიდძალ ჯარს გამოგზავნის ჩვენს დასახმარებლადო“ [1, 16-18].

მიუხედავად ამ გაფრთხილებისა, ბათუმის რევკომმა ვერ შეძლო მდგომარეობის რეგულირება. მას ამისათვის ძალებიც არ გააჩნდა. 1921 წლის 1 აპრილს შედგა ბათუმის რევკომის ბიუროს სხდომა, სადაც იმსჯელეს სწორედ 29 მარტის შეტყობინების თაობაზე. სხდომაზე აღინიშნა, რომ ქართული ჯარის გასვლასთან დაკავშირებით, არ არის სახეზე არც ერთი სამხედრო ნაწილი, რომელიც შეძლებდა მტრების საბოლოოდ ალაგმვას, ახლის შექმნა ვერ მოხერხდა. რაც შეეხება წითელ არმიელებს, ისინი ისეთი არაორგანიზებულნი არიან, რომ საბრძოლველად მათი გამოყენება ვერ მოხერხდებაო... ამიტომ

გადაწყვიტეს, მოეხდინათ მუშების მობილიზაცია და მათი დახმარებით შებრძოლებოდნენ მტერს.

1921 წლის 4 აპრილს ბათუმის მუშებისაგან დაიწყეს მოხალისეების ჩამოყალიბება. ეს პროცესი სწრაფად მიმდინარეობდა. 8 აპრილისათვის შეძლეს რამდენიმე ასეულის ჩამოყალიბება. მათ დაევალათ თურქებისაგან გაეწმინდათ გონიოსა და მისი მიმდებარე რაიონების ტერიტორია, 12 აპრილს მოხდა შეტაკება თურქების დარჩენილ ჯარსა და რევკომის ჯარებს შორის, შეტაკება დიდხანს არ გაგრძელებულა, თურქებმა სწრაფად მიატოვეს ბრძოლის ველი და მიიმალნენ, მთავრობის ძალებმა შეძლეს თურქების ტყვედ აყვანა, ასევე მცირე შეტაკება მოხდა სოფელ მარადიდში 16 აპრილს, ამ სოფელში შექმნილი იყო ჯგუფი, რომელიც ეწეოდა ძირგამომთხრელ საქმიანობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. აგიტაცია იმართებოდა ერთ-ერთი მოსახლის ოჯახში, 16 აპრილს ამ ოჯახს ალყა შემოარტყეს, მაგრამ სახლიდან ცეცხლი გახსნეს, ცოტა ხნის შემდეგ შეძლეს ოჯახში მყოფთა დატყვევება.

1921 წლის 19 აპრილს ჩატარდა ბათუმის რევკომის სხდომა, სხდომას თავმჯდომარეობდა სერგო გუბელი. სხდომაზე სიტყვით გამოვიდა ლიაკი, რომელმაც ისაუბრა ამ ცოტა ხნის წინათ თურქებთან მომხდარი შეტაკებების შესახებ. მან აღნიშნა, რომ სახელდახელოდ შექმნილი ჩვენი ჯარის დამსახურება არ არის ის გამარჯვება, რომელიც მოვიპოვეთ, აქ გადამწყვეტი როლი შეასრულა თვით თურქების არაორგანიზებულობამ და სისუსტემ. ჩვენი ხელისუფლება ჯერ კიდევ სუსტია, ხალხი მას უნდობლად უყურებს, ამიტომაც არის, რომ ჯერ საერთოდ არ არის შექმნილი ჩვენი ორგანოები სოფლებში, ხოლო, რაც შექმნილია, მისი მუშაობა უსუსური და არაფრისმთქმელია, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს სოფლებს. სიტყვით გამოვიდა აგრეთვე დონენკო, მან ისაუბრა მეჯლისის შესახებ. დონენკომ აღნიშნა, რომ ეს მეჯლისი შედგება ბეგებისაგან, სწორედ ისინი არიან დაინტერესებულნი საბჭოთა ხელისუფლების სისუსტით, მიუხედავად იმისა, რომ მეჯლისის ზოგიერთი წარმომადგენელი რევკომის წევრადაც კი შევიყვანეთ, აუცილებელია მეჯლისის, როგორც ძველი ხელისუფლების გადმონაშთის დაშლა და მის ნაცვლად ახლის არჩევა, მაგრამ ისეთის, რომელიც შედგება ჩვენი წარმომადგენლებისაგან. დონენკოს ამ თვალსაზრისს არ დაეთანხმა გუბელი, რომელმაც აღნიშნა, რომ მეჯლისის უდიდესი დამსახურებაა აჭარის დედა–საქართველოსთან დაბ-

რუნება, დღესაც კი, როდესაც ჯერ კიდევ ძლიერია ოსმალოფილური ელემენტები, მეჯლისს, რომელსაც ხალხში დიდი ავტორიტეტი გააჩნია, შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას, ხოლო, რაც შეეხება მოსაზრებას, რომ საჭიროა ახალი მეჯლისის არჩევა, ან სულაც მისი გაუქმება, ეს გაკეთდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ჩვენი ხელისუფლება ძლიერი და მტკიცე იქნება.

ამავე აზრზე იყო გოჩალეიშვილი. ხოლო ჩუპრინმა აღნიშნა, რომ თავს ნუ გამოვიდებთ აჭარის სოფლებზე ზრუნვით. ეს შემდეგ თავისთავად მოხდებაო, ჯერ აუცილებელია ბათუმში განვამტკიცოთ ჩვენი ხელისუფლება და შემდეგ სხვებსაც მივხედავთო.

თვით მეჯლისის წევრებიც ატყობდნენ იმ საშიშროებას, რომელიც ნელ-ნელა იქმნებოდა. 1921 წლის 13 აპრილს მეჯლისის სხდომაზე აღინიშნა, რომ აჭარა დაუბრუნდა დედა-საქართველოს, მართალია ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ საშიშროება ჯერ კიდევ არსებობს. იქვე აღინიშნა, რომ ამ ბოლო დროს ახალი ხელისუფლება ცდილობს მეჯლისის ავტორიტეტის შელახვას ხალხის თვალში და ამ მიმართულებით დგამს არასწორ ნაბიჯებს. ამიტომ ასეთმა მოქმედებებმა შეიძლება საწინააღმდეგო მოძრაობა გამოიწვიოსო... მეჯლისის დადგენილება გაუგზავნეს რევკომს.

თვით მეჯლისის წევრები გადავიდნენ ფართო სააგიტაციო საქმიანობაზე, რომელზეც მეტყველებს 1921 წლის 16 აპრილს ბათუმის სოფლებში ჩატარებული მიტინგები. ამ მიტინგებზე ღებულობდნენ მიმართვებს. სოფელ კახაბერში გამართულ მიტინგზე ხალხმა მოითხოვა, აჭარაში ხელისუფლების უმთავრეს ორგანოდ მეჯლისის ცნობა. უმთავრესი საკითხი, რომელზედაც იყო საუბარი, ეს გახლავთ აჭარის ავტონომია. საინტერესო იყო მეჯლისის ერთ-ერთი წევრის ხ. ბერიძის გამოსვლა, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო კლასებად დაყოფის. ისედაც პატარა ხალხის დაყოფა და მისი დაპირისპირება არასწორია, აგრეთვე არასწორია ისეთი ავტონომია, რომელიც მხოლოდ ერთ ნაწილს მიეცემა, მეორეს კი არა. აქვე სიტყვით გამოვიდა ხასან გოგიტიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტონომია, ეს აუცილებელია, მაგრამ ამ ავტონომიაში ხელისუფლების ორგანო უნდა იყოს მეჯლისი, რომელმაც მისცა ჩვენს ხალხს საშუალება, კვლავ დედასამშობლოსთან დაბრუნებისა [2, 111-118].

მეჯლისის გააქტიურებამ მეტად შეაშინა და დააფრთხო საბჭოთა ორგანოები. ამ მიზნით თბილისიდან 1921 წლის აპრილის ბოლოს

მოვიდა სპეციალური ინსტრუქცია, სადაც ეწერა: გააქტიურეთ ხალხში მუშაობა, ჩაატარეთ საწინააღმდეგო მიტინგები, დაუპირისპირეთ მათ (ე. ი. მეჯლისს) სოფლის ღარიბობა. მართლაც, 1921 წლის მაისში ქედაში ჩატარდა მიტინგი. ამ მიტინგზე სიტყვებით გამოსულებმა „ერთსულოვანი მხარი დაუჭირეს საბჭოთა ხელისუფლებას“ და სასტიკად დაგმეს „მავნე გადმონაშთები“, რომლებიც ძირს უთხრიან „ხალხთა მეგობრობას“. აქვე გაკრიტიკებული იყო მეჯლისი. ხალხმა მოითხოვა ახალი საბჭოური მეჯლისის არჩევა, სადაც უმრავლესობა მშრომელი ხალხის წარმომადგენლები იქმნებოდნენ. ამ მიტინგთან დაკავშირებით დონენკო აცნობებდა გუბელს, რომ აჭარის სოფლები იღვიძებს, ხალხმა ბრძოლა გამოუცხადა „ბნელეთის მოციქულებსო“. საჭიროა ხელში ავიღოთ ინიციატივა და, რაც შეიძლება მეტი ხალხი შევგზავნოთ ახალ არჩეულ ორგანოებშიო.

1921 წლის აპრილში მოქმედებდა ანტისაბჭოური ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციაში, ძირითადად, გაერთიანებულნი იყვნენ სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, აგრეთვე ზოგიერთი მუშა, რომელიც „ვერ შეეგუა საბჭოთა ხელისუფლებას“. 1921 წლის 22 აპრილს ბათუმში შედგა მათი შეკრება, სადაც იმსჯელეს ბათუმის ოლქში მიმდინარე პროცესებზე. ამ ორგანიზაციამ გადაწყვიტა, კავშირი დაემყარებინა მეჯლისის წევრებთან და ამ მიზნით 1921 წლის 26 აპრილს მათთან სასაუბროდ მიაგზავნეს ორგანიზაციის წევრები დავით ამაღლობელი და ნიკოლოზ სეხნიაშვილი. საუბრისას აღინიშნა, რომ „საბჭოთა ხელისუფლება წარმოადგენს ანტიქართულ მოვლენას და საჭიროა მის წინააღმდეგ ძლიერი მოქმედება. თბილისიდან მიღებულია ინსტრუქციები. კავშირი გაბმულია თურქეთთან და საჭიროების შემთხვევაში თურქები იარაღითაც დაგვეხმარებიანო“ [2, 118].

მეჯლისის წევრებმა აღნიშნეს, რომ ამჟამად შეუძლებელია რაიმე გამოსვლებზე იყოს საუბარი. ჯერ ამისათვის პირობები არ მომწიფებულაო. ორგანიზაციის წევრებმა დაიწყეს აგრეთვე მომხრეების ძებნა თვით საბჭოთა ორგანოებში. ამ მიზნით მათ გადაწყვიტეს „გადმოებირებინათ“ ე. წ. პარტიული მუშაკები. კერძოდ, რამიშვილი, მახარაძე და თუმანოვი. მაგ. თუმანოვი ატყობინებდა საიდუმლოდ სეხნიაშვილს, რომ პარტიული კომიტეტის სხდომამ მიიღო გადაწყვეტილება „გადმონაშთებთან ბრძოლის გაძლიერების“ შესახებ და საჭიროა სიფრთხილით მოქმედებაო.

ორგანიზაციის წევრები ცდილობდნენ გამოეწვიათ მუშათა უკ-

მაყოფილება და პირველ ხანებში შექმნილი სირთულეები გამოეყენებინათ ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ, მართლაც, 1921 წლის 10 მაისს, ბათუმში გაიმართა მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოსულებმა დაგმეს ის ხელოვნური დაბრკოლებები, რომლებსაც ხელისუფლება უქმნიდა საზოგადოებას. ამ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა კირილე ლაბაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება დროებითია და სულ მალე აღსდგება დემოკრატიული საქართველოს ხელისუფლებაო. ამ მიტინგთან დაკავშირებით აჭარისტანის ჩეკას ანგარიშში საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატისადმი ვკითხულობთ: „ბათუმში გააქტიურდა ანტისაბჭოთა ელემენტები. ძირითადად ესენი არიან ყოფილი მენშევიკური მთავრობის დარჩენილი აგენტები. ისინი მართავენ ანტისაბჭოთა მიტინგებს, ხალხს მოუწოდებენ დაუმორჩილებლობისაკენ. ეს ნაძირალები კავშირს აბამენ მოლებთან, ხოჯებთან, ბეგებთან და სურთ მათი მიმხრობა. ამაზე მეტყველებს ამა წლის 10 მაისს ბათუმში გამართული მიტინგი, სადაც გაისმოდა ანტისაბჭოური მოწოდებები. საჭიროა აილაგმოს მათი თავხედობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი იქნება საბჭოთა ორგანოების გამართულად მუშაობა [3, 45-49]

ბათუმის ჩეკას ამ ანგარიშს შემდეგი რეზოლუცია ადევს: „დააპატიმრეთ ყველა ისინი, ვინც ანტისაბჭოურ საქმიანობას ეწევა. აიყვანეთ მხედველობის ქვეშ ყველა ბეგი, მოლა და ხოჯა... მალე თქვენთან ჩვენი რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკი ჩამოვა". მართლაც 1921 წლის 29 მაისს ბათუმში ჩამოვიდა საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატის რამდენიმე პასუხისმგებელი მუშაკი. 2 ივნისს გაიმართა საიდუმლო თათბირი, სადაც გადაწყდა, რომ დაეპატიმრებინათ რამდენიმე პიროვნება, 5 ივნისს დააპატიმრეს დავით ამაღლობელი და კირილე ლაბაძე. მათი დაკითხვიდან ჩანდა, რომ ისინი ეკუთვნოდნენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. აჭარისტანის ჩეკას უფროსის მოადგილე სერგეი ვალეკი ცდილობდა, დაპატიმრებულები ეიძულებინა ეთქვათ, სად მდებარეობდა მათი ორგანიზაცია, რამდენი წევრი იყო გაწევრიანებული და ჰყავდათ თუ არა მათ თანამზრახველები მთელ აჭარაში. ისინი ამბობდნენ, რომ მოქმედებდნენ დამოუკიდებლად, საზღვარგარეთთან არ ჰქონდათ კავშირი. ვალეკის ზეწოლით (ზეწოლა გამოიხატებოდა მათ არაადამიანურ წამებაში) ამაღლობელმა აღიარა, რომ კავშირი დაამყარეს მეჯლისთან, მაგრამ მეჯლისის წევრებმა ჯერ საჭიროდ არ ჩათვალეს ანტისაბჭოურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება. ვალეკის

კითხვაზე, ჰყავდა თუ არა მათ თანამზრახველები ბოლშევიკურ პარტიაში, ამაღლობელმა უარყოფითი პასუხი გასცა.

ვალეკის ბრძანებით შეუდგნენ ამაღლობელის წამებას. წამებას აწარმოებდნენ გოცმანი, ჟუკი და ჯატიევი. ჯატიევმა ვალიკს უთხრა, ამაღლობელი გამოტყდა, რომ პარტიის ზოგიერთი წევრი მათ მხარს უჭერდა. ამაღლობელი (ნაწამები) დაკითხვაზე კვლავ ვალეკთან მიიყვანეს. ამაღლობელმა აღნიშნა, რომ მათ სცადეს გადმოებირებინათ პარტიის რამდენიმე წევრი, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, ბოლოს მათ შეძლეს რამდენიმესთან კავშირის დამყარება. კითხვაზე თუ ვის გულისხმობდა ის ამ რამდენიმეში, ამაღლობელმა არ უპასუხა. წამება ისევ გაგრძელდა. ამჟამად დაკითხვას ესწრებოდა თბილისის ჩეკას წარმომადგენელი ვიქტორ დობორჯგინიძე, ამაღლობელი გატყდა და თქვა, რომ ვანო მახარაძე და ალექსანდრე თუმანოვი ზოგიერთ საკითხში ეთანხმებოდნენ მათ, აქვე ისიც აღნიშნა, რომ ამ ანტისაბჭოურ ჯგუფში დიდ როლს ასრულებდა ნიკოლოზ სეხნიაშვილანოი. ნიკოლოზ სეხნიაშვილი იმ მომენტში თბილისში იმყოფებოდა. დობორჯგინიძემ აცნობა თბილისის ჩეკას, რომ თბილისში იმყოფება მენშევიკი სეხნიაშვილი, საჭიროა უთვალთვალოთ მის ყოველ ნაბიჯს, გაიგოთ თუ ვის ხვდება ის და რისთვის იმყოფება თბილისში.

1921 წლის 21 ივნისს სეხნიაშვილი ბათუმში, რკინიგზის სადგურში დააპატიმრეს და იქიდან პირდაპირ ჩეკაში მიიყვანეს. სეხნიაშვილის არაადამიანური წამების შემდეგ გაირკვა, რომ ვანო მახარაძე და ეგნატე რამიშვილი მათ აცნობებდნენ პარტიაში მიმდინარე მოვლენებს, კითხვაზე იცნობდა თუ არა ის პეტრე ჟღენტსა და ანტონ სიხარულიძეს, სეხნიაშვილმა უპასუხა, რომ ის მათ იცნობდა, მაგრამ მათთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა დამყარებული. 1921 წლის 10 ივლისს ვიქტორ დობორჯგინიძე აცნობებდა საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარიატს იმის თაობაზე, რომ აჭარაში გააქტიურდნენ ქემალისტები. ისინი დასაყრდენს ეძებდნენ მოსახლეობაში. ამ მიზნით ცდილობდნენ, კავშირი დაემყარებინათ ბეგებთან, მოლებთან და ხოჯებთან.

განსაკუთრებით სახიფათოა ჩვენტონ თვის მეჯლისი, რომლის წევრთა ურავლესობა ბეგებია. მართალია, ჩვენ შევძელით მეჯლისის ზოგიერთი წევრის გადმობირება და ჩვენს (იგულისხმება საბჭოთა ხელისუფლება – ო. გ.) სამსახურში ჩაყენება, მაგრამ ბოლომდე მათი ნდობა არ შეიძლება.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა მეჯლისის შესაცვლელად და ამ საქმეში ჩართულია ბათუმის მთელი საზოგადოება, განსაკუთრებით

კი გლეხობა. ეს გადმონაშთი (ანუ მეჯლისი – ო. გ.) აუცილებლად უნდა შეიცვალოს. მეჯლისი ოცნებობდა აჭარის ავტონომიაზე, მაგრამ ეს ავტონომია მათ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა და არა მენშევიკურმა მეჯლისმა. თუ რამდენად იქნება ეს გამართლებული ამას მომავალი გვიჩვენებს. „ძნელია დავაპატიმროთ მეჯლისის წევრები, რადგან ისინი ჯერჯერობით ავტირიტეტით სარგებლობდნენ ხალხში და შესაძლებელია, ამან მოსახლეობა ააღელვოს" [3, 67-68].

ჩეკისტი დობორჯგინიძე მწარედ ცდება, ის როგოც ჩანს, ვერ ერკვევა იმ დამსახურებაში, რომელიც მეჯლისს მიუძღვის აჭარის განთავისუფლებაში. ჩეკისტი ასევე სასტიკ უცოდინარობას ამჟღავნებს, როდესაც ამბობს ეს „მენშევიკური მეჯლისიო". კარგად არის ცნობილი, რომ მეჯლისი შეიქმნა არა მანშევიკების დროს, არამედ უფრო ადრე, როდესაც ბათუმის ოლქი ინგლისელების ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა (1919 წლის 31 აგვისტო).

1921 წლის სექტემბერში დააკავეს ბოლშევიკური პარტიის წევრები თუმანოვი და რამიშვილი. დაკითხვებისას ხშირად ფიგურირებდა ჟღენტისა და სიხარულიძის გვარები. როგორც ჩანს, ეს ორი გვარი ჩეკამ თავიდანვე აითვალწუნა და ეძებდა კომპრომატს მათ დასაპატიმრებლად. წამებისას თუმანოვი გამოტყდა, რომ ის ხშირად ხვდებოდა მენშევიკ სეხნიაშვილს და მას რამდენიმე მნიშვნელოვანი ცნობა მიაწოდა. თუმანოვი და მახარაძე თბილისში გადააგზავნეს. ასევე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 1921 წლის შემოდგომაზე. ოქტომბერში, ქვემო აჭარიდან ბათუმში გამოცხადდა დელეგაცია თხოვნით, გამოეცვალათ ძველი მილიციის უფროსი. გაირკვა, რომ ის მენშევიკების აგენტი ყოფილა და ისე მიჰყავდა საქმეები, ხალხის უკმაყოფილება რომ გამოეწვია.

ამასთან დაკავშირებით 1921 წლის 18 ოქტომბერს აჭარისტანის შინაგან საქმეთა კომისარიატმა სასწრაფო სხდომა მოიწვია. სიტყვით გამოვიდა შინაგან საქმეთა სამმართველოს გამგე, რევკომის წევრი კონსტანტინე საჯაია. მან დასვა კითხვა, რატომ მოხვდნენ სამუშაოდ ჩვენს ორგანოებში ყოფილი მენშევიკების მომხრეები? და მანვე განმარტა: „საქმე ის არის, ჯერ ჩვენ არ გვყავს ამ დარგში გამოცდილი მუშაკები, ამიტომ ის ხალხი გამოვიყენეთ, რომელიც ჩვენს ხელთ არის იმის გამო, რომ ქემალისტური ტენდენცია უკვე შესამჩნევი ხდებოდა ქვემო აჭარის რაიონში, რევკომის მიერ ადმინისტრატორებად გაგზავნილი იქნა მენშევიკური მთავრობის ყოფილი კომისრები (მი-

ლიციის უფროსები), რომლებიც ქართული ორიენტაციის პირები იყვნენ. ისინი უნდა დაპირისპირებოდნენ ქემალისტურ ორიენტაციას. ეს კი კავშირს დაიცავდა აჭარასა და საბჭოთა საქართველოს შორის. მაგალითად ქედაში, რომელიც ქვემო აჭარის ცენტრია, ადგილობრივი რევკომი ისეა მოწყობილი, ძლიერია ქემალისტური ტენდენცია. ასეთივე ამბავი დატრიალდა აგრეთვე ქობულეთში 11 სექტემბერს. აქ საქმე სისხლის ღვრით კინაღამ დამთავრდა". საჯაიამ თავისი გამოსვლა დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: აუცილებლად მიმაჩნია, დაპატიმრებულ იქნან ხოჯები, სულ 5 კაცი, რომლებიც ხალხს აბუნტებენ. ისინი იძახიან „ჩვენ, ავირჩევთ ბათუმის რევკომსო".

შემდეგ სიტყვით გამოვიდა ადმინისტრაციული განყოფილების გამგე ნიკოლოზ გიორგაძე. მან ისაუბრა იმის შესახებ, რომ ქემალისტები ცდილობენ ხალხს შეაძულონ ყოველივე ქართული. ისინი აგიტაციით მოსახლეობას მოუწოდებენ, შეცვალონ მილიციის უფროსები და დააყენონ მათი მომხრეები. ჩვენ ვცდილობთ ხალხი დავარწმუნოთ ასეთი მოთხოვნის უსაფუძვლობაში. თუ ჩვენ ავყვებით ქემალისტების მოთხოვნებს, აჭარაში შესუსტდება ქართული ორიენტაცია. აქვე სიტყვით გამოვიდა ბორის ნიკოლაევი. მან სასტიკად გააკრიტა გიორგაძის გამოსვლა და მას არაბოლშევიკური უწოდა. მან აღნიშნა, რომ კატეგორიულად არ ეთანხმება მოსაზრებას, თითქოს ქართული ორიენტაციის შესანარჩუნებლად აუცილებელია ყოფილი მენშევიკების მილიციის უფროსებად დანიშვნა. მან მოითხოვა, ასეთების დაუყონებლივ დათხოვნა სამსახურიდან და მათ ნაცვლად საბჭოთა ხელისუფლების ერთგულთა დანიშვნა. აქვე ნიკოლაევმა გამოთქვა ერთი მოსაზრება: „თქვენ კარგად იცით, თუ როგორ ილტვიან ადგილობრივი მაჰმადიანები მილიციაში. ამიტომ მილიციონერებად უნდა დავაყენოთ ყველგან ისინი, ხოლო ხელმძღვანელ მუშაკებად კი უნდა იქნას დაყენებული ისეთი ხალხი, რომლებსაც ჩვენ შევარჩევთ და რეკომენდაციას მივცემთო" [4, 104-106].

ხალხის მოთხოვნა, შეეცვალათ მილიციის უფროსი დაკმაყოფილებულ იქნა, თუმცა ამით მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. 1921 წლის ნოემბერში ქედაში მოეწყო ანტისაბჭოური მიტინგი, სადაც სიტყვებით გამოსულებმა დაგმეს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი. ქედაში ამ პერიოდში მოქმედებდა ანტისაბჭოური ორგანიზაცია. ეს ორგანიზაცია მჭიდრო კავშირში იმყოფებოდა ქემალისტურ თურქეთთან. 1921 წლის 29 ნოემბერს რამდენიმე

თურქი იმყოფებოდა საიდუმლოდ ქედაში. ისინი შეხვდნენ ადგილობრივ მოლებს, ზოგიერთ ბეგს, მაგ. ხიმშიაშვილს და შეეცადნენ ხალხის აყოლებას. ამ აგიტაციამ გასჭრა. 1921 წლის 5 დეკემბერს ქედაში ჩატარდა კიდევ ერთი მიტინგი. ამ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა მოლა ახმედ ბერიძე, რომელმაც დაგმო ხელისუფლების განზრახვა. მან ასევე გაილაშქრა მთავრობის იმ გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც კრძალავდა რელიგიის სწავლებას სკოლებში. ასეთივე აზრი გამოთქვა ახმედ ვერძაძემ. ახმედ ვერძაძე არ ეთანხმებოდა საბჭოთა ხელისუფლებას ისეთ საკითხებში, როგორიც იყო კადრების საკითხი. ის მოითხოვდა, რომ ბეგებსა და მოლებს აერჩიათ ხელმძღვანელები, მანვე ხალხს მოუწოდა, არ შემოეშვათ ადგილებზე სამუშაოდ ისეთი ხალხი, რომელიც ბათუმიდან იქნებოდა გამოგზავნილი. მიტინგზე სიტყვით გამოსულმა ოსმან მიქელაძემ დაგმო ღარიბკომების საქმიანობა. მან კატეგორიულად უარყო ღარიბკომების მიერ გაკეთებული ზოგიერთი საქმე. ხალხს მოუწოდა, გამიჯნოდნენ ღარიბკომებს. ღარიბკომები უპირისპირდებიან ჭეშმარიტ მამულიშვილებს და უნდა დავგმოთ ასეთი მოქმედებაო. მიტინგზე იყო მოწოდება შეიარაღებული გამოსვლებისაკენ. ამ მიტინგზე ხალხს დაურიგეს პროკლამაციები, სადაც ეწერა, რომ საბჭოთა ხელისუფლება სუსტდება, მალე ქემალისტური თურქეთი შეძლებს ჩვენს ხსნას. ამ მიმართებით უკვე გადაიდგა ნაბიჯებიო. ქედაში, ხულოში მეჩეთების კედლებზე და ხალხის თავშეყრის სხვა ადგილებში გააკრეს პროკლამაციები, სადაც მოსახლეობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ [4, 104-107].

1921 წლის ბოლო პერიოდი დაძაბულობით გამოირჩეოდა. ამ დროს გააქტიურდა საფრანგეთი. მან წააქეზა ქემალისტური თურქეთი, რომელმაც გარკვეული რაოდენობით შემოგზავნა აგენტები ძირგამომთხრელი საქმიანობის საწარმოებლად. ბეგები, ხოჯები განსაკუთრებით გააქტიურდნენ მას შემდეგ, რაც ანგორის დელეგაცია ესტუმრა ბათუმს. ასევე უნდა ითქვას, რომ ღარიბთა კომიტეტებში გაჩნდნენ მათი მხარდამჭერები. 1921 წლის ბოლოსათვის მომწიფდა მდგომარეობა ხალხის მასების აბუნტებისათვის, ამაზე არაერთი განცხადება იქნა გაკეთებული. ემისრები დარბოდნენ მთელ აჭარაში და ცდილობდნენ ხალხის გამოსვლების ორგანიზებას. და აი, 1921 წლის 20 დეკემბერს ხულოში რამდენიმე ათეული შეიარაღებული პირი გამოცხადდა ხულოს რევკომის შენობის წინ და რევკომს წაუყენა ულტიმატუმი. ასევე ალყაში მოაქციეს ღარიბთა კომიტეტის ხულოს რაი-

ონული შენობა. შეიარაღებულები ხალხს მოუწოდებდნენ აჯანყების დაწყებისაკენ. სიტყვით გამოსულებმა შეკრებილებს აუწყეს, რომ მთელი აჭარა აჯანყდა და, რომ დროა, ბათუმისაკენ გაემართონ, რათა დააპატიმრონ ისინი, ვინც ქვეყანას დაღუპვისაკენ მიაქანებენ. მდგომარეობა დაიძაბა. ხალხის გარკვეული ნაწილი მართლაც დაიძრა ბათუმის მიმართულებით, მაგრამ დიდი მანძილის გავლა ვერ შეძლო. გზაზე მათ გადაეღობა ჩეკისტებისა და მილიციის გაძლიერებული რაზმები. დასაწყისში მოლაპარაკება უშედეგო აღმოჩნდა, რადგან ამბოხებულები არ თმობდნენ პოზიციებს. მაშინ მილიციის უფროსი ამბოხებულებს დაემუქრა, თუ არ დაიშლებოდნენ, მათ დააპატიმრებდნენ. ამან კიდევ უფრო დაძაბა მდგომარეობა. მოხდა შეხლა-შემოხლა, რასაც მოჰყვა იარაღის გამოყენება. ამბოხებულებმა შესაშინებლად გაისროლეს, რასაც ჩეკისტების მხრიდან საპასუხო გასროლა მოჰყვა, თუმცა ამაზე შორს საქმე არ წასულა. ბოლოს ამბოხებულები იძულებული გახდნენ, დაეთმოთ და უკან დაბრუნებულიყვნენ.

ამ ინციდენტს მოჰყვა 1922 წლის 25 იანვრის გამოძახილი ქობულეთში. აქაც გააქტიურდნენ ანტისაბჭოური ელემენტები. 25 იანვარს ხალხის ჯგუფი გამოცხადდა ქობულეთის რაიკომის შენობასთან და მოაწყო მიტინგი. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ახმედ მოწყობილი, ენვერ გოგიტიძე, სულეიმან კომახიძე, დიმიტრი მენაბდე. მათ დაგმეს ხელისუფლების განზრახვა მინის რეფორმასთან დაკავშირებით. გამოსულებმა მოუწოდეს მოსახლეობას, რომ არ მიეცათ საშუალება მინის რეფორმის ჩატარებაზე და თუ მთავრობა ამას მაინც მოახერხებდა, მაშინ ამას მოჰყვებოდა სისხლისღვრა.

ხალხთან სალაპარაკოდ გამოცხადდა კომუნისტი გიორგი სვანიძე, მაგრამ მას არ მოუსმინეს, არ მისცეს საშუალება ლაპარაკისა. ბოლოს შეკრებილებს ალყა შემოარტყა მილიციის გაძლიერებულმა რაზმებმა და ძალის გამოყენებით მოახდინა ხალხის დაშლა. დააპატიმრეს ამხმედ მოწყობილი და დიმიტრი მენაბდე. ისინი მოათავსეს მილიციის განყოფილებაში. ხალხი დაიძრა მილიციისაკენ და მოითხოვა დაპატიმრებულების განთავისუფლება. მაგრამ დაპატიმრებულები დაუყონებლივ გადაიყვანეს ბათუმის ციხეში და შეუდგნენ სხვების დაპატიმრებასაც. დააკავეს სულეიმან კომახიძე, ენვერ გოგიტიძე, კირილე ლომთათიძე, სიმონ კობიძე, ხასან კაკალაძე და სხვები [5, 39-44].

ამ დროს ბათუმში მოქმედებდა ანტისაბჭოური ორგანიზაცია „განთავისუფლების კავშირი". კავშირის წევრები აწყობდნენ საიდუმლო შეკრებებს, ხალხს მოუწოდებდნენ დაუმორჩილებლობისაკენ.

სწორედ ამ ორგანიზაციის წევრები იყვნენ დიმიტრი მენაბდე და კირილე ლომთათიძე. მათ ევალებოდათ ქობულეთში ანტისაბჭოური მუშაობის ორგანიზაცია. მათ შექმნეს კავშირის ქობულეთის ფილიალი, სადაც აქტიურ როლს თამაშობდნენ ახმედ მოწყობილი, ენვერ გოგიტიძე და სხვები. ქობულეთის მიტინგი მათგან იყო ორგანიზებული. როდესაც ზემოაღნიშნული პირები დააპატიმრეს, ორგანიზაციამ კონსპირაციის მიზნით შეიცვალა ადგილმდებარეობა. ის ქობულეთიდან გადავიდა სოფელ ხუცუბანში და ერთ-ერთი მოსახლის, კერძოდ, იუსუფ ცივაძის ოჯახში დაიდო ბინა.

განთავისუფლების კავშირს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ქემალისტებთან და 1922 წლის 2 თებერვალს ცივაძის ბინაში თურქი ემისარი, თურქეთიდან საიდუმლოდ გადმოსული, ყოფილი მუჰაჯირი შაშიკ ოღლი შეხვდა ორგანიზაციის წევრებს. სხდომაზე დასასწრებლად ბათუმიდან სპეციალურად ჩამოვიდნენ კავშირის წევრები გიორგი ვაშაყმაძე, არჩილ კირთაძე, ლეო გოგოლაძე და სიმონ ჯანელიძე. დაიწყო თუ არა შეკრება, გაისმა შეძახილი, ყველანი დაგვნებდით, სახლი ალყაშემორტყმულია, როგორც ჩანს ვიღაცას გაეცა მათი შეხვედრის ადგილი, მაგრამ ოჯახში მყოფნი არ დაბნეულან და გადაწყვიტეს წინააღმდეგობის გაწევა. პირველად გაისროლეს ჩეკისტებმა, რასაც მოჰყვა საპასუხო გასროლა, ბოლოს რამდენიმე მათგანმა მოინდომა სახლიდან გასვლა და სიბნელეში გაუჩინარება. ასე მოიქცნენ თურქი შაშიკ ოღლი და არჩილ კირთაძე, მაგრამ გამოსვლისთანავე გარედან გასროლით ისინი ადგილზევე მოკლეს. ასევე ორმხრივი სროლების დროს დაილუპა კავშირის კიდევ ორი წევრი: გიორგი ვაშაყმაძე და სიმონ ჯანელიძე, ბოლოს სახლიდან გარეთ ყუმბარა გაისროლეს, აფეთქების შედეგად ორი ჩეკისტი დაილუპა. სროლა თითქმის გათენებამდე გაგრძელდა და გათენებისას ჩეკისტებს მიუვიდათ ახალი დამხმარე ძალა. ბოლოს გაისმა ბრძანება, იერიშით აეღოთ სახლი. რამდენიმე ათეული ჩეკისტი შევარდა სახლში და შიგ მყოფნი დააპატიმრეს. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ სახლის პატრონი იუსუფ ცივაძე, ლეო გოგოლაძე, მემედ მახარაძე, მუხამედ წულუკიძე. დაიწყო მათი დაკითხვა. დაკითხვებიდან (არაადამიანური წამებით) ცნობილი გახდა ორგანიზაციის არსებობის შესახებ. ამას მოჰყვა მთელი ამ კავშირის სრული დაპატიმრება. ბევრი მათგანი დახვრიტეს, კერძოდ, გამომძიებელთან დაკითხვების დროს მოკლულ იქნა მემედ მახარაძე. დახვრიტეს ლეო გოგოლაძე, მუხამედ წულუკიძე, ვარლამ კილაძე, ნიკოლოზ ჯაფარიძე.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს შინაგან საქმეთა კომისა-

რიატს აცნობებდნენ: „ბათუმში ლიკვიდირებულ იქნა ყოფილი მენშევიკებისაგან შემდგარი ანტისაბჭოთა საიდუმლო ორგანიზაცია ე. წ. „განთავისუფლების კავშირი". კავშირის წევრები აქტიურ საქმიანობას ეწეოდნენ და ხალხს მოუწოდებდნენ დაუმორჩილებისაკენ. ისინი აწყობდნენ მიტინგებს, სადაც ილაშქრებდნენ მთავრობის ღონისძიებების წინააღმდეგ. ასე მოხდა 26 იანვარს ქობულეთში, სადაც გაისმა მოწოდება პარტიულ მუშაკების ანგარიშსწორებისაკენ, ხოლო 2 თებერვალს ხუცუბანში, იუსუფ ცივაძის ოჯახში გამართეს საიდუმლო თათბირი. ამ თათბირს ატარებდა ქემალისტი ვინმე შაშიკ ოღლი. ჩვენ სახლს ალყა შემოვარტყით და მოვუწოდეთ დაგვნებებოდნენ, მაგრამ მათ ცეცხლი გაგვიხსნეს. სროლების დროს ლიკვიდირებულ იქნა რამდენიმე ბანდიტი, ბოლოს სახლი შტურმით ავიღეთ და შიგ მყოფნი დავაკავეთ. ამ ანტისაბჭოური ჯგუფის ლიკვიდაციით მძლავრი დარტყმა მივაყენეთ გარეშე იმპერიალისტებს, კერძოდ ქემალისტებს, რომლებიც ძირგამომთხრელი საქმიანობის გაჩაღებით ცდილობენ, მოსპონ ხალხის მონაპოვარი, მაგრამ მათ ეს არ გამოუვათ. გავაძლიერეთ საზღვრების დაცვა. ვერც ერთმა მტერმა ვერ უნდა შეძლოს ხალხის სიმყუდროვის დარღვევა... [6, 28-31].

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნული არის ერთი ფურცელი იმ დიდი ანტისაბჭოური მოძრაობიდან, რომელსაც ადგილი ჰქონდა აჭარაში 1921–1922 წლებში.

დამოწმებული წყაროები:

1. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 50.
2. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 52.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 60,
4. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 64.
5. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფ. 14, აღწ. 1, საქმე 95.
6. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფ. რ-1, აღწ. 1, საქმე 18.

Otar Gogolishvili
Doctor of Historical sciences, Professor, Department of History, Archaeology and Ethnology, Batumi Shota Rustaveli State University, Professor

Anti-Soviet movement in Adjara region 1921-1922 years

Summary

March 20, 1921, the Georgian army under the command of General Mazniashvili Batumi cleared the Turkish occupation, that made it easier for the Bolsheviks to easily take control of the Batumi district. March 24, 1921, a representative of the Democratic Republic of Peter Maisuradze told the Red Army representative: „"We cleaned the Batumi aggressors until you (You mean the Bolsheviks-O.B.) Establish your authority here. In fact, you are the government proposals to settle ... Now depends on you, how can you care for this God-given present. Although the Georgian Army Turks were defeated and expelled from Batumi District, part of the defeated army was able to escape. In this regard Batumi Revcom (established on March 20, 1921) notify the chairman Kavtaradze on March 29, 1921: „The Turks, who are hiding in the forests of Gonio district and elsewhere, trying to still keep fighting. At the same time they are engaged in a relentless anti-Georgian propaganda. Call upon people to struggle over. They spread rumors that Turkey will soon send troops to assist the multitude. Despite these warnings, the Batumi RevCom failed to state regulation. To do this, he did not have forces too. April 1, 1921, the Revolutionary Committee of the Bureau session of Batumi, where it was discussed on 29 March notification. Committee members noted that the Georgian army out of the face is not part of any military, which could eventually curb enemies, new ones cannot be created. As for the Red Army, they are so disorganized that you cannot use them in combat. So they decided to arrange for the workers and mobilize them to fight against the enemy. April 4, 1921 in Batumi laborers volunteers began forming. This process has proceeded quickly. April 8 were able to establish a few hundred. They were ordered clear

Gonio and its surrounding regions to Turks , on April 12 clashes with the Turks in the rest of the army and the Revolutionary Committee between the two armies, the clash did not last long, the Turks quickly abandoned the battle and fled, Government forces were able to be captured by the Turks, as well as a small clash Maradidi village on April 16, this village was created by the group, which was engaged in subversive activities against the Soviet authorities.

ლელა მიქიაშვილი
ისტორიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი

ერეკლე II-ის დესპანი მირზა გურგინ ენაკოლოფაშვილი და მისი საგვარეულო

ენაკოლოფაშვილები გეორგიევსკის ტრაქტატში სახასო აზნაურებად იხსენიებიან; იოანე ბაგრატიონი მათ შესახებ წერს: „ამათი წინაპარნი იყო ენუქარქუნ, რომელიცა პირველ მოსახლეობდა ყარაბაღსა შინა ადგილსა და იყო პირველი მოქალაქე მუნებური სომეხთა სჯულისა. ხოლო ამათნი შთამომავლობათაგანი მოვიდნენ საქართველოსა შინა და დაესახლნენ და ესენი მიღებულ იყვნენ აზნაურის პატივით მეფეთაგან, გარნა უკანასკნელ დროსა მეფისა ირაკლისასა უმეტეს წარჩინებულ იქმნენ მირზა გურგინა და ძმა მისი მირზა მიხეილა, ვინაიდგან სპარსისა და არაბულისა ენისა და წიგნისა და წერისა მეცნიერნი იყვნენ და საკუთარნი მწერალნი მეფისა“ [1, 50-51].

ამ გვარის წარმომავლობაზე საინტერესო სტატია გამოაქვეყნა პროფ. ალ. გვახარიამ [2, 198-202], რომელიც ნ. მარის ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კრებულის რედაქტირებისას დაინტერესდა ქართულ-სპარსული ურთიერთობების სპეციალისტის და ნ. მარის ვაჟის – იური მარის მეგობრის კ. ჩაიკინის 1936 წლით დათარიღებული წერილით ი. მეგრელიძისადმი (ქართულ-სპარსული ურთიერთობების მკვლევარი კ. ჩაიკინი იური მარის რჩევით დაინტერესდა ძველი ქართული მწერლობით, შეისწავლა ქართული ენა და არაერთი საინტერესო წერილი მიუძღვნა ქართულ-სპარსული ურთიერთობების საკითხებს) [2, 201]; წერილის ავტორი ითხოვდა ფათჰალი ხან ყაჯარის კარის დიდებულის, წარმოშობით ქართველი მანუჩარ ხანის (მოთამედ ოდ-დოვლეს) არაბული ასოებით გადმოცემული ქართული მეტსახელის განმარტებას («Это прозвище было дано, будто-бы за красноречие

и великолепное владение несколькими языками, и по-персидски будто бы значит т.н. ящик (сундук, вернее вместилище) слов и речи... по-грузински «сокровищница речи и слов... я был почти уверен, что здесь какое-то вранье) [2, 199]. იმხანად ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა, მოგვიანებით კი ალ. გვახარიამ დაადგინა, რომ არაბული ასოებით წარმოდგენილ ამ ქართულ გამოთქმაში „საოცარი სიზუსტითაა დაცული ცნობილი ქართული ზედწოდება „ენაკოლოფა"! ასე იწოდებოდა ერეკლე II-ის ელჩი და სამეფო კარის მუნში (მდივან-მწიგნობარი) მირზა გურგენი/გურგინი, რომელსაც ეს ზედწოდება შემდგომში გვარად (ენაკოლოფაშვილი) გადაუკეთდა. გურგინმა კარგად იცოდა რამდენიმე აღმოსავლური ენა, იყო შესანიშნავი ბიბლიოფილი (ცნობილია „ვეფხისტყაოსნის" მისეული ხელნაწერი, რაც, ალბათ, საფუძვლად დაედო ამ ზედწოდებას). აი, რას წერს ამ გვარის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი, მეცნიერი, მწერალი, სამუზეუმო და საარქივო საქმის სპეციალისტი ივანე ენიკოლოფოვი/ენაკოლოფაშვილი: «Мунши Гургин, получивший прозвище Энаколопи (что соответствует русскому «златоуст») **скончался в 1786 году**» [2, 200].

„ამრიგად, კ. ჩაიკინის მიერ სპარსულ წყაროში მოძიებული გამოთქმა წარმოადგენს ქართული „ენაკოლოფას" ტრანსკრიფციას. როგორც ჩანს, ის იმდენად იყო გავრცელებული, რომ ასევე უწოდეს ირანში მოღვაწე წარმოშობით ქართველ მანუჩარ ხანს, რომელიც იმავე წყაროს ცნობით, განთქმული იყო სწორედ მჭერმეტყველებითა და რამდენიმე ენის ცოდნით. სპარსული წყაროს ავტორს კარგად ესმოდა ამ ზედწოდების მნიშვნელობა და შინაარსი. ამას მოწმობს მისი ზუსტი სპარსული თარგმანი: „სანდუყე ლოღათ ო ლესან" („სიტყვისა და ენის ზანდუკი"). მანუჩარ ხანის სრული სახელია მანუჩარ ხან გურჯი თიფლისი. **ირანში იგი მოხვდა აღა მაჰმად ხანის მიერ თბილისის** აოხრების შემდეგ წაგვრილ ტყვეთა შორის, მაგრამ მალე დანინაურდა და საკმაოდ მაღალ თანამდებობებს მიაღწია: ფათალი შაჰის კარზე ჯერ სამეფო ჰარამხანას განაგებდა (იჩაღასი, იგივე ხოჯაბასი), შემდეგ იყო ეშიკაღასიბაში (ობერცერემონმაისტერი), იოსებ ხან გურჯის გარდაცვალების შემდეგ – ისფაჰანის მმართველი (ჰაქემი), ბოლოს კი – ლურისტანისა და ხუზისტანის გამგებელი (ვალი). წყაროებში იხსენიება მისი ქრისტიანი ძმა იბრაჰიმი (აბრაჰამი), რომელიც გარკვეულ როლს ასრულებდა კავკასიისა და თეირანის დიპლომატიურ ურთიერ-

თობებში. მანუჩარ ხანი ურჩთა მიმართ სისასტიკითაც იყო ცნობილი: მისი ბრძანებით შირაზის მახლობლად სამასი კაცი ცოცხლად დამარხეს. შემთხვევით არ მიიღო მან მეორე საპატიო წოდება (ლაყაბი) – მოთამედ ოდ დოვლე („იმედი სახელმწიფოსი"). მანუჩარ ხანი გარდაიცვალა 1846 წ. დაკრძალულია ყუმში. მანუჩარ ხან გურჯის მოღვაწეობა ღირსია მონოგრაფიული შესწავლისა. ალბათ, მაშინ მოიძებნება ის სპარსული წყარო, სადაც მისი ქართული ზედწოდებაა მოტანილი (სამწუხაროდ, კ. ჩაიკინი მას არ ასახელებს). იქნებ გაირკვეს, ხომ არ არის რაიმე უფრო მჭიდრო კავშირი გურგინ ენაკოლოფაშვილსა და მანუჩარ ხანს შორის" [2, 200-201].

სამწუხაროდ, ალ. გვახარიას აღარ გაუგრძელებია კვლევა ამ მიმართულებით, თუმცა მის წერილში გამოთქმული მოსაზრება გურგინ ენაკოლოფაშვილსა და მანუჩარ ხანს შორის სავარაუდო ნათესაური კავშირის შესახებ, რაც დამატებით კვლევას მოითხოვდა, უპირობოდ გაიზიარა მკვლევარმა ლ. ბერაიამ [3], რასაც ვერ დავეთანხმებით, რადგან ალ. გვახარია გარკვევით მიუთითებს: „აღნიშნული ტერმინი (ენაკოლოფა) იმდენად გავრცელებული იყო, რომ ასევე უწოდეს ირანში მოღვაწე წარმოშობით ქართველ მანუჩარ ხანს, რომელიც... განთქმული იყო სწორედ მჭერმეტყველებითა და რამდენიმე ენის ცოდნით" [2, 200]. ამრიგად, აღნიშნული ტერმინის მთავარი კრიტერიუმი იყო არა წარმომავლობა ან სისხლით ნათესაობა, არამედ განათლება, მჭერმეტყველება და ენების ცოდნა. ნათესაური კავშირის დასადგენად კი გაცილებით სარწმუნო ფაქტებია საჭირო, ამიტომ ჩვენ შევეცადეთ მოგვეძიებინა დამატებითი დოკუმენტური წყაროები.

თუკი გავიზიარებთ ი. ენიკოლოფოვის ზემოთ მოყვანილ ცნობას 1786 წ. მირზა გურგინის გარდაიცვალების შესახებ (სხვა წყაროებითაც ასევე დასტურდება, რომ მირზა გურგინა 1792 წლისთვის უკვე ცოცხალი აღარ არის: 1792 წლის 26 მაისის ოქმით ერეკლე ავალებს ეშიკაღასბაშს გურგინას ქონება მის ქვრივსა და შვილებს შორის სამართლიანად გაიყოს, 1797 წ. ოქმი კი ვინმე თომა მელვინეთხუციშვილისაგან ქვრივისათვის წართმეული სახლის უკან დაბრუნებას ეხება) [4, №900, №1100], შესაბამისად, მირზა გურგინასთან 1846 წ. გარდაცვლილი მანუჩარ ხანის ნათესაურ კავშირზე (კერძოდ – მამა-შვილობაზე) ჩვენს მიერ მოძიებული რამდენიმე დოკუმენტის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ: აქტებში გამოქვეყნებულია ერმოლოვის წერი-

ლი გრ. ნესელროდესადმი (1822 წ. 12 მარტი), სადაც რუსი გენერალი აღმოსავლური ენების თარჯიმანთა ნაკლებობას უჩივის და აღნიშნავს, რომ მთავარმართებლის კანცელარიაში საუკეთესოა ერთადერთი უფროსი თარჯიმანი ენიკოლოფოვი, რომელიც სალაპარაკო ენების გარდა წერა-კითხვის მცოდნეც არის; მისი ერთი ძმა შაჰის ჰარამხანის უფროსია, მეორე კი ირანშია გაქცეული და აბას-მირზასთან დაახლოებული პირია [5, 51, №78]. მეორე დოკუმენტის მიხედვით, აქ საუბარია მირზა გურგინის ვაჟზე – აბრაამ/აპრიამ ენიკოლოფოვზე და მის ძმებზე – მანუჩარ და როსტომ ენიკოლოფოვებზე [6, 413]. ასევე ცნობილია, რომ აბრაამ/აპრიამ ენიკოლოფოვი რუსულ ხელისუფლებასთან თავიდანვე თანამშრომლობდა, რასაც ადასტურებს პ. ციციანოვის 1805 წლის 22 მაისით დათარიღებული პატაკი: გენერალ-მაიორი აბრაამ ენიკოლოფოვს უაღრესად ერთგულ და საიმედო თანამშრომლად ახასიათებს, კერძოდ კი აღნიშნავს მის დამსახურებას შუშის ციხის ჩაბარებისა და იბრაჰიმ ხანთან რუსეთის ქვეშევრდომობის ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე [7, 704]. აბრაამ/აპრიამ ენიკოლოფოვზე ქვემოთ კიდევ ვისაუბრებთ, მანამდე კი ბოლომდე დავაზუსტებთ მირზა გურგინის შვილების ბიოგრაფიას; მანუჩარ-ხანის შესახებ საინტერესო ცნობას ვხვდებით ტიტულარული მრჩევლის – მალცოვის მოხსენებაში გრაფი პასკევიჩისადმი, სადაც აღნიშნულია: «Манучер-хан из Тифлисских армян, из фамилии Ениколоповых, впоследствии правитель Испагана; он был взят в плен персиянами при Эриване во время командования Закавказьем кн. Цицианова, привезен в Персию и оскоплен в Тавризе) [8, 688-689]. ე.ი. მანუჩარი ქართველ ცხენოსანთა ჯართან ერთად 1804 წელს მონაწილეობდა ციციანოვის ლაშქრობაში, ერევანთან ბრძოლაში იგი ტყვედ ჩავარდნილა. მტერმა დაასაჭურისა და შაჰის ჰარამხანაში გაგზავნა) [9, 91-92]. უფრო ვრცელი და დეტალური ინფორმაცია აღმოჩნდა კაპიტან ვოლხოვსკის 1827 წ. 19 დეკემბრის პატაკში ერმოლოვისადმი (ხაზგასმა ჩვენია): «Манучар-хан, брат подполковника Ениколопова, главный шахский евнух, казначей и управляющий Гиляном, – одной из немногих областей, с которых шах сам получает доходы. Он много лет неотлучно служит при шахе, весьма ему предан и более других имеет случай видеть его; от того его влияние весьма значительно. Он по всем отношениям должен быть расположен к миру, война не представляет

ему никаких выгод; личным противником русских он не имеет никакой причины быть. При начале войны его даже подозревали в приверженности к нам, но чистота его поведения возстановила к нему совершенную доверенность. **Имея родственников в нашей службе,** он не может быть равнодушным к благосклонности в. высочества. **В денежном отношении он считается честнейшим из персиян**, и это весьма благоприятное обстоятельство для удостоверения в исправности отправляемых к нам сумм, ибо по распоряжению его одного считаются, принимаются, укладываются деньги и за печатью его отправляются. На слово его довольно можно полагаться. Он отличается деятельностью и точностью в делаемых ему поручениях. Благосклонный отзыв в-го выс-**тва брату его – Агало-беку,** сюда им сообщенный, может быть был бы не безполезен для ускорения отправления последующих сумм» [7, 578]. გადასახდელ თანხებში აქ იგულისხმება შემდეგი: რუსეთ-ირანის 1826-1828 წწ. ომის დროს, ერევნის აღების შემდეგ (1827 წ. 1 ოქტომბერს) რუსეთის ჯარი ქართველი გენერლის გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით შევიდა თავრიზში და ამით რუსეთს გზა გაუხსნა თეირანისკენ. შაჰი იძულებული გახდა მიეღო ზავის პირობები, მათ შორის 20 მლნ. კონტრიბუციის გადახდა, რაც ოდნავ მოგვიანებით 1828 წ. 10 თებერვალს აისახა თურქმენჩაის საზავო ხელშეკრულებაში; შესაბამისად, რუსებს 1827 წ. დეკემბერში ამის თაობაზე ინფორმაცია უკვე უნდა ჰქონოდათ. საგულისხმოა, რომ თურქმენჩაის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს გრიბოედოვმა (რუსეთის დელეგაციის მეთაური) და მანუჩარ ხანმა (ირანის დელეგაციის სახელით); ეს უკანასკნელი, როგორც "სახელმწიფო უმაღლესი ნდობით" აღჭურვილი პირი, უკვე დიდი ნდობით სარგებლობდა შაჰის კარზე. აღსანიშნავია, რომ მოგვიანებით სწორედ მანუჩარმა გაუგზავნა თავისი დისწული სოლომონ მელიქოვი გრიბოედოვს და აცნობა მოსალოდნელი საფრთხის შესახებ; სამწუხაროდ, სოლომონიც გრიბოედოვთან ერთად დაღუპულა [9, 93].

აღალო ბეგის შესახებ პირველ ცნობას ვხვდებით თ. ვოლკონსკის პატაკში (1804 წ. 17 ოქტომბერი) პ. ციციანოვისადმი: 1804 წ. მთიულეთის ამბოხების პერიოდში შიომღვიმის მონასტრის არქიმანდრიტთან მიგზავნილმა პ. ციციანოვის აგენტმა, მოგვიანებით კი ბაგრატ ბაგრატიონმაც დაასმინეს კონსტანტინე ბაგრატიონი, რომელ-

საც ფარული კავშირი ჰქონდა ამბოხებულებთან და ქართველ უფლისწულებთან ირანშიც აპირებდა წასვლას თავისი ამალით; მათ შორის იყო აღალო ენიკოლოფაშვილიც, რომელმაც დაკითხვისას განაცხადა, თითქოს არ სურდა ირანში გაქცევა, მაგრამ დანარჩენები აგულიანებდნენ. ვოლკონსკის მოწმობით, «Агало Ениколопов пойманный с прочими хотевшими бежать отсюда к царевичам, за что и отосланы в здешний уездный суд, в допросе показал, что бежать не собирался, но будто бы многие осуждали его за это, и он не решался, но когда сам Мухранский кн. Константин Багратион начал ему выговаривать... что через неделю все кахетинские и карталинские князья и все мы убежим к царевичу, тогда и Агало согласился» [7, 332].

კიდევ ერთი წყაროს თანახმად, დაპატიმრებისა და დაკითხვის შემდეგ აღალო ენიკოლოფოვი რუსების მიერ იქნა გადაბირებული და მათ სამსახურში ჩადგა [6, 577]: დოკუმენტის თანახმად, 1806 წ. იგი გენ.-მაიორ ნესვეტაევის მიერ აგენტად გაგზავნეს ახალციხეში, სადაც სელიმ ფაშას მხრიდან მკაცრი კონტროლის მიუხედავად, მაინც მოახერხა საფაშოში არსებული ვითარების შესახებ ინფორმაციის მოპოვება [6, 577]. როგორც ჩანს, რუსეთის ხელისუფლება კმაყოფილი დარჩა მისი მუშაობით და ხანგრძლივი დროის შემდეგაც არ შეუწყვეტია თანამშრომლობა, თუკი გავითვალისწინებთ ვოლხოვსკის 1827 წლით დათარიღებულ პატაკს (იხ. ზემოთ), ამჯერად ის თეირანში ასრულებდა მისიას.

რაც შეეხება მირზა გურგინის კიდევ ერთ ვაჟს – აბრაამს (Ениколопов Авраам Мирза Гургенович), იგი მთელი ცხოვრება რუსეთის ხელისუფლების სამსახურში იყო და საკმაოდ წარმატებული კარიერაც შეიქმნა: პოლკოვნიკის ჩინი უბოძეს (1829 წ.), ადგილობრივ თავადაზნაურთა დაწინაურება-დაჯილდოების შესახებ დოკუმენტის მიხედვით ანაზღაურება გაუზარდეს [7, 38], 1813 წ. ენიკოლოფოვების გვარი რუსეთის თავადაზნაურთა სიაში შეიტანეს, 1818 წ. ვიურტემბერგელი კოლონისტების ჩამოსახლებისას ავლაბრის კარანტინიდან მის კუთვნილ სოფ. მირზაბადამდე ტერიტორიაზე 80 ოჯახი დააბინავეს [5, 323], აქტიურად ჩართეს ოსეთში თავშეფარებული ლევან იულონის ძის შესაპყრობად დაგეგმილ ოპერაციაში [10, 121, 123-124] და ა.შ.

აბრაამი გარდაიცვალა 1832 წლის შემდგომ პერიოდში. მისი მოღვაწეობა ასე გამოიყურება: 1800 წ. გიორგი XII-ს კარზე საგარეო

საქმეებს განაგებდა, 1801-1802 წწ. იყო ნაცვალი (პოლიცმეისტერი), ამავე წელს მიენიჭა კოლეგიის ასესორის (მსაჯულის) წოდება, იყო სამხედრო-სამეურნეო დარგის მოხელე (ლაშქარნივისი), 1804 წლიდან – ციციანოვის კანცელარიაშია უფროს თარჯიმნად, 1805-1808 წწ. – ერევნის მელიქი (ქალაქის თავი) [6, 236-237], 1808-1818 წწ. პოდპოლკოვნიკის წოდებით კავკასიის მთავარსარდლის თარჯიმანი იყო [10, 931], 1826 წ. კი – ერმოლოვის პირადი თარჯიმანი, 1826-1828 წწ. რუსეთ-ირანის ომის დროდ კვლავ ერევნის მელიქია, 1829 წ. პოლკოვნიკის წოდება მიენიჭა, 1832 წ. საქართველოს მმართველის დიპლომატიურ კანცელარიაში მთავარი თარჯიმანია [11, ტ. 1, 318].

აბრაამ ენიკოლოფოვს და მის ვაჟს – მიხეილს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ გრიბოედოვთან, რომელიც კავკასიაში საქმიანობისას მჭიდროდ თანამშრომლობდა მთავარმართებლის კანცელარიასთან. გარდა ამისა, იგი მეგობრობდა ენიკოლოფოვების ნათესავის – ახვერდოვის ოჯახთან, რაც ათწლიანი ერთგული მეგობრობის საწინდარი გახდა [12, 26].

მიხეილ/მიხაილო აბრაამის ძე ენიკოლოფოვი სამხედრო ოფიცერი იყო 1828 წლიდან, 1839 წ. იხსენიება პოდპოლკოვნიკის წოდებით კავკასიის კორპუსის თარჯიმნის თანამდებობაზე [11, 457-458; 13, 220]; მიღებული ჰქონდა ჯილდოები: წმ. ვლადიმირის IV ხარისხის ორდენი (1828 წ.), წმ. სტანისლავის II ხარისხის ორდენი (1835 წ.), ამავე ორდენზე თანდართული, საიმპერატორო გვირგვინით შემკული ჯვარი (1839 წ.), წმ. ანას II ხარისხის ორდენი (1844 წ.), სპარსული მზისა და ლომის II ხარისხის ორდენი (1828 წ.).

მიხეილის ვაჟი აბრამ ენიკოლოფოვი სამხედრო ოფიცერი იყო (1858 წლიდან), კაზაკთა ჯარის ესაულის წოდებით იგი მონაწილეობდა 1874-1876 წწ. საომარ კამპანიაში, 1876 წლიდან უკვე მაიორია, ტერსკის კაზაკთა რაზმის საგანგებო დავალებათა სამხედრო-სამეურნეო მმართველობის უფროსი მოხელე. მონაწილეობდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წწ. ომში, 1878 წლიდან პოდპოლკოვნიკის წოდება აქვს, 1879 წ. დააჯილდოვეს ოქროს ხმლით „სიმამაცისათვის". მიღებული აქვს ორდენები: წმ. ანას IV ხარისხის ორდენი „სიმამაცისათვის" (1859 წ.), წმ. სტანისლავის III ხარისხის ორდენი ბაფთით (1865 წ.), წმ. ანას III ხარისხის ორდენი (1868 წ.), წმ. სტანისლავის II ხარის-

ხის ორდენი (1872 წ.), სპარსული მზისა და ლომის IV ხარისხის ორდენი (1874 წ.) [11, 457].

მირზა გურგინის შთამომავალთაგან ახლო წარსულში იძებნება ივანე კონსტანტინეს ძე ენიკოლოფოვი (ენაკოლოფაშვილი 1893-1994), ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, სამუზეუმო საქმის სპეციალისტი და თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი, მისივე თაოსნობით დაარსდა ა.ს. გრიბოედოვის მუზეუმი. 30 წლის მანძილზე ი. ენიკოლოფოვი თბილისში დიდუბისა და მთაწმინდის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონების დირექტორი იყო და დიდი ღვაწლი მიუძღვის მათ რეკონსტრუქციასა და კეთილმოწყობაში. ი. ენიკოლოფოვი ასევე სამეცნიერო მუშაობასაც ეწეოდა, გამოქვეყნებული აქვს მონოგრაფიები ლიტერატურის დარგში (А. С. Грибоедов в Грузии и Персии: Историко-биограф. очерк, Тифлис, 1929; „Грибоедов в Грузии», 1954; Пушкин в Грузии Тбилиси, 1950 და სხვ.).

ამავე საგვარეულოს კიდევ ერთი წარმომადგენელია ნიკოლოზ სერგის ძე ენიკოლოფოვი (1924-1993) – მირზა აპრიამის შთამომავალი, ცნობილი ქიმიკოსი. დაიბადა 1924 წ. მთიან ყარაბაღში (სტეფანაკერტში), ერევნის უნივერსიტეტის ასპირანტურის დასრულების (1946-1949) შემდეგ მოღვაწეობდა მოსკოვში, სადაც 1985 წ. დააარსა სინთეტიკური პოლიმერული ნივთიერებების ინსტიტუტი (Институт синтетических полимерных материалов АН СССР), რომელიც დღემდე მის სახელს ატარებს და რომლის უცვლელი დირექტორიც იყო გარდაცვალებამდე (1993 წ. ჰაიდელბერგი, გერმანია).

ამ საკითხთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ენაკოლოფაშვილთა გვარის წარმომავლობაზე ინტერნეტსივრცეში, კერძოდ, მეცნიერული პრეტენზიის მქონე რუსულენოვან საიტებზე გამოქვეყნებული სრულიად არაადეკვატური (ხშირ შემთხვევაში კურიოზულიც კი) ვერსიები; მრავალთაგან სანიმუშოდ მოვიყვანთ მცირე ამონარიდებს (ხაზგასმა ჩვენია):

1) Фамилия Ениколопов имеет древние корни и несет в себе некоторую загадку, вызывая интерес у тех, кто стремится раскрывать тайны прошлого. Происхождение фамилии Ениколопов **связывается с русскими историческими традициями, отражая национальность и культурное наследие.** Название Ениколопов имеет необычное звучание, что делает его особенным среди других фамилий. Значение

фамилии Ениколопов до сих пор остается загадкой для многих. **Некоторые ученые считают, что это имя имеет славянское происхождение и связано с древними обрядами и верованиями. Другие исследователи утверждают, что фамилия Ениколопов имеет тюркское или даже греческое происхождение.** История фамилии Ениколопов уходит корнями в глубокое прошлое, окутанное тайной и загадками. Этот родовой клан прослеживается через века, соединяя поколения и узы родства. Носители фамилии Ениколопов вносили свой вклад в историю и культуру своего народа, оставаясь верными своим традициям и ценностям. Что означает фамилия Ениколопов сегодня? Это не просто набор звуков или букв, это символ семейного единства и наследия. **Носитель этой фамилии чувствует себя частью древней истории своего рода, бережно храня традиции и обычаи предков.**(https://woords.su Фамилии) ამას მოსდევს სრულიად პრიმიტიული ახსნა ნუმეროლოგიის, ზოდიაქოს ნიშნებისა და ეზოთერიკული მსჯელობის სახით. 2) **Фамилия Ениколопова не имеет конкретных временных рамок возникновения. Даже фамилии, которые произошли от одного источника, а их носители стали однофамильцами, могли возникнуть в совершенно разные исторические эпохи. Но совершенно точно можно сказать, что фамилия Ениколопова возникла не позже середины 18 века.** Ведь именно тогда, в летописях духовенства были обнаружены первые упоминания о фамилии Ениколопова. В большинстве случаев, это означает, что предок был **священнослужителем.** После окончания семинарии, всем выпускникам, которые не имели фамилии, давались новые. Таким образом, их крепко связывали с церковью. Зачастую, потом сан и приход уже передавались от отца к сыну (Znachenie-familii.com https://znachenie-familii.com › enik).

საბედნიეროდ, ქართულ საისტორიო წყაროებში მნიშვნელოვანი ცნობებია შემორჩენილი როგორც აღნიშნული გვარის წარმომავლობის, ისე კონკრეტულად მირზა გურგინის შესახებ. ამ მხრივ ყველაზე დეტალური მონაცემებით გამოირჩევა თეიმურაზ ბატონიშვილის მინაწერი ომან ხერხეულიძის თხზულების მისეულ ნუსხაში: „მირზა გურგინას პაპა, ტფილისელი მოქალაქე ენაკოლოფაშვილი, ყოფილა

მკვიდრი ტფილისისა. ოსმალობას აყრილა ტფილისიდამ და ყარაბაღში გარდასახლებულა და იქიდამ სპარსეთში თურმე დავიდოდა, მრავალს იქაურს სახელოვან ხანებს იცნობდა. ამ მირზა გურგინას ბებიას **თამარ-ხანუმ** რქმევია. ასეთი დედაკაცი ყოფილა, რომ იქაურის ყიზილბაშის ცოლებთან მიჩნეული. თითონ ყეენის ნადირშას არამშიაც ცნობილი დედაკაცი ყოფილა და პატივით მიღებული. როდისაც ჩვენი ბატონები და დედოფალი თამარ ნადირშას დაუბარებია და ხლებია, ნადირშასთან და იმის სახლეულებასთან დილმანჯათ – ესე იგი ლაპარაკის მთარგმნელათ ეს თამარ-ხანუმ ჰყოლია თამარ დედოფალს; დიახ კარგათ უმსახურნია და დედოფალი თამარ დიახ თურმე სწყალობდა, ყეენის ცოლებიც თურმე სწყალობდნენ იმ დედაკაცსა. პირველად ის დედაკაცი თამარ-ხანუმ მეფის ერეკლეს დას – ქეთავან ბატონისშვილს, რომელიც ნადირშას ძმისწულს ადილშას ჰყოლია ცოლად, იმას გაუცნობებია ყეენის ცოლებისათვის; ქვრივი ყოფილა, ნადირშას ჯამაგირი გაუჩენია და თავის არამში ჰყოლია. ის დედაკაცი ქრისტიანე სომხის სარწმუნოებისა ყოფილა. ამას რძალი, შვილი და შვილიშვილები ყარაბაღში დარჩომია, შვილი და რძალი დახოცია; მირზა გურგინა და იმის ძმები ობლად დარჩომილან, წასულან სპარსეთის ქვეყანაში, მრავალი უვლიათ, მრავალს ადგილს ენები კარგად უსწავლიათ და სპარსული საკრავები და სიმღერა; მირზა გურგინა დიახ უცხო სეთარისა – ჩვენში რომ დამბურას ეძახიან, იმისი დამკვრელი ყოფილა.

მოსულან ჩვენს ქვეყანაში, მეფის ირაკლის ძეს, მემკვიდრე გიორგის ხლებია, კარგად მიუღია და თავისი მირზობა უბოძებია. გაუშინჯავსთ, რომ მართლა გონიერი და და ჭკვიანი კაცი არის და პატივი მიუციათ. საკრავებითაც თურმე შეაქცევდა ბატონებს; მერე მეფეს ერეკლეს თავისი მირზობაც უბოძებია და ბოლო ჟამს ვეზირობის ხარისხშიაც აუყვანია. ორი ძმა ჰყოლია, ერთი – **მირზა მისეილა,** ისიც მეფე ერეკლეს ხლებია, და ერთი – **აზარია,** ის ისე მსახური კაცი ყოფილა“ [14, 90-91] .

ტერმინი „ენაკოლოფაშვილი“ გვარის ფორმით გვხვდება ერეკლე I (ნაზარალი ხანის) დროინდელ საბუთებშიც, სადაც მდივან -მწიგნობრად და დამწერად არის მოხსენიებული ორი პიროვნება – ენაკოლოფაშვილი ბეჟან (1688-1693 წწ. დათარიღებულ საბუთებში) და ფარემუზ (1696-1699 წწ. დათარიღებულ საბუთებში) [15, 133-134]; შესაბამისად, ეს ფაქტიც ადასტურებს ალ. გვახარიას ზემოთაღნიშნულ მოსაზრებას განსწავლულ (მჭერმეტყველ და ენების მცოდნე) პირ-

თათვის ამ ზედწოდების მინიჭების ტრადიციაზე, მით უფრო, რომ ორივე მათგანი – ბეჟან და ფარემუზ – სამეფო კარის მდივან-მწიგნობრები იყვნენ. სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება ცნობა მათი ნათესაური კავშირის შესახებ, თუმცა სავსებით შესაძლებელია ეს ყოფილიყო მამა-შვილი ან ორი ძმა.

მირზა გურგინი სწორედ იმ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებმაც მეფისა და სამშობლოს ერთგულ სამსახურში უხმაუროდ განვლეს მთელი ცხოვრება; სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია, რომ იგი იმ დროისათვის მეტად განათლებული და, ამასთანავე, დიპლომატიის ნიჭითაც დაჯილდოებული ყოფილა, ენების ცოდნა კი მას ამ სფეროში ფართო ასპარეზს უხსნიდა. თუმცა, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა მთელი სისრულით არ არის გაშუქებული, რადგან არა მარტო ქართული, არამედ სხვა ქვეყნების საისტორიო მწერლობისთვისაც დამახასიათებელი ტენდენცია – ისტორიულ თხზულებებში უმთავრესად მეფის როლის წარმოჩენა წარსულის სრული სურათის აღსადგენად არასაკმარისია. მირზა გურგინისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სტატიაში მკვლევარ ქ. ნადირაძის მართებული შენიშვნით, მხოლოდ XX საუკუნის 70-იანი წლებიდან გაჩნდა ევროპულ ისტორიოგრაფიაში ახალი მიმართულება მიკროისტორიული ანალიზი, რომელიც თავის კვლევებში გულისხმობს კონკრეტული ადგილით, სოციალური ჯგუფით, თუ ცალკეული ინდივიდით დაინტერესებასა და მისი ცხოვრების დეტალურად შესწავლას. ამ მეთოდის გამოყენებით ისტორიული მეცნიერება გაცილებით უფრო მრავალფეროვანი, ღრმა და საინტერესო გახდა [16, 307].

ჩვენამდე მოღწეულ დოკუმენტურ წყაროებში მეტნაკლებად წარმოდგენილია მირზა გურგინას დიდი დამსახურება ქართული სამეფო კარის წინაშე (აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს მასალა გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა იმ ეპოქის დამახასიათებელი ძნელბედობა, რაც სხვა მრავალთა შორის წერილობითი დოკუმენტების განადგურების მიზეზიც გახდა); ერთგული სამსახურისათვის პირადად ერეკლე რომ დიდად ემადლიერებოდა და უპირობოდ ენდობოდა, თვალნათლივ ჩანს მეფის მიერ მირზა გურგინასადმი გაცემულ საბუთში, სადაც ეს უკანასკნელი ერეკლეს „მესაიდუმლედ“ იხსენიება [4, 141, №649]. სხვა წყაროებში დაცული ცნობები კი მოწმობენ, რომ ეს პატივი მან ნამდვილად დაიმსახურა:

ომან ხერხეულიძე თხზულებაში „მეფობა ირაკლი მეორისა“ 1776

ნ. ოსმალეთში ერეკლეს მიერ სულთანთან ელჩად წარგზავნილი მირზა გურგინის შესახებ გვამცნობს: „შემდგომად ამისა განიზრახა (მეფემ) ხვანთქართან გაგზავნა ელჩისა და წარავლინა კარისა თვისისა მირზა გურგინა, სომეხი ვინმე ყარაბაღით მოსრული, გარნა მრავალთა ენათა მეცნიერი და ცნობით გონიერი, რომელიცა მოვიდა კოსტანტინუპოლის და ყოველივე დაბარებული მეფისა ირაკლის მიერ განუცხადა ვეზირსა ხვანთქრისასა, რომელმანცა მიიღო იგი და დიდად პატივ-ჰსცა... ესევითარითა პატივითა შეინწყნარეს, რომელ უმეტესისა წადილი არღარა აქვნდა ელჩსა მეფის ირაკლისასა; აჩუქეს მრავალი, წარმოუვლინეს დესპანი, მოუძღვნეს ცხენი შვენიერად აღკაზმული და ძვირფასი ქურქი...“ [14, 68].

ამ შეთანხმების თანახმად ახალციხიდან დააბრუნეს მოტაცებული ქართველი ტყვეები, (მათ შორის ცხინვალიდან და სხვა სოფლებიდან გატაცებული თავადები ცოლ-შვილითურთ და „მდაბალნი გლეხნი“) და ახალციხის ფაშის მიერ ქართლ-კახეთის დასარბევად შეკრებილი ლეკთა ჯარიც დაითხოვეს.

იგივე თხზულების თეიმურაზ ბატონიშვილისეულ ნუსხაში ეს ფაქტი შემდეგნაირად არის გადმოცემული: „წარავლინა მირზა გურგინა, საკუთარი მდივანი. თვისი ენისა სპარსულისა და თათრულისა და არაბულისა მთარგმნელი და მწერალი იყო ესე მრავალსა ენასა ზედა განსწავლული და ფრიად ჭკვიანი კაცი სწავლული და ერთგული მეფისა, რიტორი და სიტყვიერი კაცი. ბატონებიც თურმე სწყალობდნენ... მიიღეს დიდის პატივით ხონთქრის კარზედა, როგორც იმათი **წესია... ვეზირმა მირზა გურგინა შეიყვარა, მოიწონა ამის სიტყვიერება და ლაპარაკი და დიდი პატივი სცა... თვით ხონთქარსაც დიდად მოეწონა, მრავალი იმედი და წყალობა უბრძანა** და დააბარა მეფეს ერეკლესთან“ [14, 91-92].

ომან ხერხეულიძისაგან განსხვავებით, „ახალ ისტორიაში“ ნახსენებია, რომ მირზა გურგინი ერეკლემ სულთანთან ორჯერ გააგზავნა („წარგზავნა ორგზის“) და ორჯერვე ქართველი ელჩი უხვად დასაჩუქრებული დაბრუნდა [17, 55]. თუმცა ამ მოგზაურობის თარიღი თხზულებაში არ არის მითითებული. აქვე უნდა ითქვას, რომ ზემოთ დასახელებულ თხზულებებში თითქოს თანმიმდევრობით არის გადმოცემული მართლაც მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტები, თუმცა ძალზე იშვიათია მათი დათარიღება; მათგან განსხვავებით, დათარიღების წესი სკრუპულოზურად არის დაცული (წლების, თვეებისა და დღეების მი-

თითებით) იესე ბარათაშვილის თხზულებაში, რომელიც, მართალია, ისტორიული ღირებულებით ბევრად ჩამოჩება აღნიშნულ წყაროებს, მაგრამ ზოგ შემთხვევაში მნიშვნელოვან დახმარებას გვიწევს ამა თუ იმ ფაქტის ზუსტად დასათარიღებლად. იესე ბარათაშვილის ცნობით, მირზა გურგინი ოსმალეთში ორჯერ იმყოფებოდა 1676-1677 და 1677-1678 წლებში („მარტს 23 ხუთშაბათს 1777 წ. ხონთქრის ქურქი და ცხენი მოიყვანა გურგინამ"; „გურგინა მოვიდა და ხონთქრის კაცი... მაისს 23, 1778 წ. მოართვეს ცხენი მძიმედ შეკაზმილი...") [18, 78, 86].

ეს მოგზაურობები უკავშირდება 1776 წ. ერეკლეს მიერ ოსმალეთთან წამოწყებულ საიდუმლო მოლაპარაკებას, რომელმაც 1777-1778 წლებისთვის უკვე ოფიციალურად დაკანონებული სახე მიიღო მკვლევართათვის დღემდე უცნობია ამ ხელშეკრულების ტექსტი, ირიბი (მეორადი წყაროების) მონაცემებით კი დასტურდება, რომ ფორმალურად ერეკლე ხონთქრის უზენაესობას აღიარებდა. წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის თაობაზე, თუ რის სანაცვლოდ გადადგა მეფემ ასეთი სარისკო ნაბიჯი: ცხადია, რომ ამით მან მოიმდურა როგორც ჯერ კიდევ ოფიციალური სიუზერენი – ირანი, ისე მომავალი პოტენციური „მფარველი" – რუსეთი. მკვლევართა აზრი ამ ფაქტის შეფასებისას ორად იყოფა: ნაწილი მიიჩნევს, რომ აღნიშნული გარიგებით თურქეთი ერეკლეს ახალციხის საფაშოს (სამცხე-საათაბაგოს) უთმობდა და არგუმენტად მოჰყავთ ის, რომ ახალციხის ფაშა აღნიშნულ საიდუმლო მოლაპარაკებაში შუამავლის როლს ასრულებდა და სტამბულში მირზა გურგინას თავისი წარმომადგენელი გააყოლა [19, 679; 20, 155]. ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია მკვლევართა მეორე ნაწილის მოსაზრება, რომ ქართლ-კახეთის პოლიტიკოსთა მხრიდან დათმობების სამაგიეროდ სულთნის კარი ერეკლეს დასავლეთ საქართველოზე გაბატონების სანქციას აძლევდა; პორტა იოლად წავიდოდა ამ დათმობაზე, რადგან ლიხთ-იმერეთი მისი გავლენიდან უკვე ფაქტიურად გამოსული იყო და ამის აღდგენის პერსპექტივა თითქმის არ ჩანდა. ამასთანავე, იმჟამად ახალციხის ფაშა თავად იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის, რაც თავისთავად საეჭვო ელფერს სძენს მის შუამავლობას ამ მოლაპარაკებაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ სტამბულში მირზა გურგინას ხელმეორედ ჩასვლისას მას **უკვე აღარ ახლავს ფაშის წარმომადგენელი** და შესაძლოა, სწორედ ამ შეხვედრისას მოხდა მოლაპარაკება დასავლეთ საქართველოს საკითხზე.

საგულისხმოა, რომ ომან ხერხეულიძის ვერსიით ეს ელჩობა ირანთან შეთანხმებული იყო, რაზეც მიანიშნებს ორი გარემოება: 1. ირან-ოსმალეთის საომარი ოპერაციების დროს (1775-1776 წწ.ქარიმ ხანისა და აბდულ-ჰამიდ I-ს კონფლიქტი) ერეკლემ ანატოლიის ლაშქარს არ მისცა უფლება, საქართველოსა და მისი მორჩილი სახანოების ტერიტორიებზე გაევლო და ქარიმ-ხანის სამფლობელოში ზურგიდან შეჭრილიყო. 2. ომან ხერხეულიძის ცნობით, სულთანმა ქარიმ ხანს შესჩივლა „შენი ვასალი ერეკლე ჩემს სამფლობელოებს აოხრებს და ... გთხოვ დააყენო იგი ესევითარისა მძლავრებისაგანო". ნასიამოვნებ ქარიმ ხანს განუცხადებია, ერეკლემ ხონთქარი დააჩოქა და ჩემთან აჩივლებს, ამისთანა კაცი ერანის ხელმწიფისაგან დიდად პატივსაცემელი არისო და მეფისთვის ძვირფასი საჩუქრებიც უბოძებია. ამ ფაქტის უშუალო გაგრძელებაა ერეკლეს მიერ ოსმალეთში მირზა გურგინას გაგზავნის შესახებ ცნობა [14, 67-68]. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლოა, თავდაპირველი ვერსიით (სამცხე-საათაბაგოს დათმობაზე) ირანის შაჰის „განაწყენება" მოჩვენებითიც ყოფილიყო [19, 680], მაგრამ თუკი დავუშვებთ, რომ სულთანთან საიდუმლო მოლაპარაკების მიზანი სწორედ დასავლეთ საქართველოს საკითხი იყო (რაც ერეკლეს ქარიმ ხანისთვის არ გაუმჟღავნებია), მაშინ გასაგები გახდება ზედიზედ „ორგზისი" ელჩობის აუცილებლობა. შემდგომში განვითარებული მოვლენების ანალიზი ადასტურებს ამ ვარაუდს, კერძოდ: მიუხედავად გასაიდუმლოებისა, ამ შეთანხმების შესახებ ცნობილი გახდა რუსეთისთვის, ირანისთვის და სოლომონ იმერთა მეფისთვის და, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენეს, არც ერთმა მათგანმა (მათ შორის – სოლომონ I-მაც) არ დააყოვნა სამაგიეროს გადახდა [21, 727-728; 22, 165-186]; ნიშანდობლივია, რომ ერეკლეს მიერ ოსმალეთის სულთანთან ასეთი მნიშვნელოვანი და უაღრესად გასაიდუმლოებული დავალების შესასრულებლად მირზა გურგინას შერჩევა სწორედ ამ უკანასკნელის უმაღლეს პროფესიონალიზმზე და იმ უდიდეს ნდობაზე მიანიშნებს, რისთვისაც მას მეფის „მესაიდუმლე"ეწოდა.ზემოთ მოყვანილ ამონარიდებში მირზა გურგინის პიროვნული თვისებების უშურველი ქებაც თავისთავად მეტყველებს, რომ იგი თავისი საქმის პროფესიონალია და თვით სულთნისა და დიდი ვეზირის მხრიდანაც დიდ პატივისცემას იმსახურებს; კიდევ ერთი ნიმუში მეფის მხრიდან მირზა გურგინის უპირობო ნდობისა ისეთ დელიკატურ საქმეში, როგორიც იყო ერევნის სახანოში შექმნილი პრობლემის

მოგვარება, შემდეგნაირად არის აღწერილი „ახალ ისტორიაში“: 1784 წ. – და მოკვდა ხანი ერევნისა უსეინ-ყული და ჰყვეს ხანად ძეი მისი ყულამალი. ვინადგან ესე იყო გონება-მსუბუქ, მოკლეს ესე ერევნელთა, სადაცა იძულებულმან მეფემან წარგზავნა მირზა გურგინა ენაკოლოფაშვილი და ჰყვეს უმრწემესი ძეი უსეინ ალი ხანისა მაჰმად ხან ხანად, და განამტკიცეს ესე ბრძანებითა მეფისათა ხანად ერევანს“ [17, 58].

ერეკლე მეფემ გურგინა ენაკოლოფაშვილს ერთგული სამსახური დაუფასა, რასაც მოწმობენ მის მიერ გაცემული საბუთები: 1) 1778 წ. მარტი, ერეკლეს ბრძანება 20 კომლი სომხების აყრისა და მირზა გურგინასთვის გადაცემის შესახებ [4, 115, №517]; 2) 1782 წ. აპრილი, ერეკლეს ოქმი ტყვეობიდან ორჯერ გამოხსნილი ნიკოლოზ ასატურაშვილის თხოვნაზე მირზა გურგინასათვის სამუდამო ყმად დატოვების შესახებ (ამ ნიკოლოზასათან მირზა გურგინას მეტს სხვას კაცს საბატონყმოთ ხელი არავისრა აქვს და ვერცავინ მიედავება“ [4, 133 №607]; 3) 1783 წლის ივნისი, „განჯის ბაღის“ წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე II-ის მიერ მესაიდუმლე მირზა გურგინასადმი [4, 141, №649]; 4) 1782 წლის 14 ივლისი, სახასო აზნაურიშვილობისა და შალიკაშვილების ნაქონი ნასოფლარების წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე II-ის მიერ მირზა გურგინასადმი, მეფის ერთგული სამსახურის გამო [4, 136, №621]. მადლიერი მეფე მირზა გურგინას გარდაცვალების შემდეგაც ძველებურად ზრუნავდა მის ოჯახზე, რასაც ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებიც ადასტურებენ (იხ. გვ. 176 [4, №900, №1100]).

ზემოთ განხილული დოკუმენტური მასალების თანახმად, მირზა გურგინას ექვსი ვაჟი ჰყოლია: აბრაამი/აპრიამი, მისეილ/მიხეილი, მანუჩარი, როსტომი, აზარია და აღალო. თავისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, მირზა გურგინს ჰქონია მდიდარი ბიბლიოთეკა, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ მირზა აფრიამს დარჩენია. აღა მოჰამედ ხანის შემოსევისას და თბილისის დარბევისას ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი განადგურდა, გადარჩენილი წიგნები კი თეირანში, შაჰის სასახლეში წაიღეს. ცნობილია, რომ აფრიამი დაატყვევეს, თუმცა მანამდე მან მოასწრო მე-17 საუკუნის 60-იანი წლებით დათარიღებული

„ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერის გადამალვა; ერთი წლის შემდეგ ტყვეობიდან გამოქცევა შეძლო და სამალავიდან უვნებლად დაიბრუნა თავისი საკუთრება. დიდი ხნის შემდეგ, 1946 წელს, ეს ხელნაწერი

სომხეთის რესპუბლიკისაგან საჩუქრად გადმოეცა საქართველოს და იგი „გურგენასეული ნუსხის“ სახელით არის ცნობილი. 1832 წელს მირზა აფრიამი ბარონმა გ. როზენმა ირანში ელჩად გაგზავნა. აუდიენციაზე შაჰმა მას უკან დაუბრუნა 1795 წ. ენაკოლოფაშვილისეული ბიბლიოთეკიდან გატაცებული ორი წიგნი – „ანთოლოგია არაბულენოვანი“ და "ნადირშაჰის ლაშქრობა". ამჟამად ეს წიგნები დაცულია საქართველოს არქივის იშვიათ წიგნთა ფონდში [9, 91, 93; 23].

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი იოანე, „შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, თბილისი, 1997
2. ალ. გვახარია, ერთი ფურცელი ქართულ-სპარსული ურთიერთობიდან, „ახლოაღმოსავლური კრებული“, თბილისი, 1983.
3. ლ. ბერაია, ენაკოლოფაშვილი – გვარის ისტორია (https://nobility.pro/ge/statia/778-enikolopashvili.html
4. იხ. ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, თბილისი, 2008, №900, №1100.
5. АКАК, т. VI, ч. 1, 1866.
6. АКАК, т. III, 1869.
7. АКАК, т. II, 1868.
8. АКАК, VII, 1878.
9. ლ. ტატიშვილი, ვეფხისტყაოსნის გადამწერნი, თბილისი, 2000.
10. АКАК, т. IV, 1870.
11. Юрий Асадов. 3000 армянских офицеров царской России. Историко-биографическая книга памяти (1701-1921). В 2-х томах. Москва, 2018.
12. И. Ениколопов, Грибоедов в Грузии, Тбилиси, 1954.
13. «Кавказский календарь на 1847 год».
14. ომან ხერხეულიძე. მეფობა ირაკლი მეორისა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბილისი, 1989.
15. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. 2, თბილისი, 1993.
16. ქ. ნადირაძე, მეფე ერეკლეს მესაიდუმლე – მირზა გურგინა, ივა-

ნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, II თბილისი, 2011.
17. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ლელა მიქიაშვილმა, თბილისი, 1983.
18. იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი, ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ავთანდილ იოსელიანმა, თბილისი, 1950.
19. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბილისი, 1973.
20. О. П. Маркова. Россия, Закавказье международные отношения в XVIII веке. Москва, 1966.
21. ლ. მიქიაშვილი, კავკასია XVIII საუკუნეში, იხ. კავკასიის ისტორია (2 ტომად), თბილისი, 2023, ტ. 1.
22. ლ. მიქიაშვილი, ბესიკის ირანული მისიის საკითხისათვის, „ანალები", №4, თბილისი, 2018.
23. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის არაბულ ხელნაწერთა კატალოგი. „მეცნიერება", 1978.

Lela Mikiashvili
Doctor of History, Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology, Senior-research associate of the Department Modern and Contemporary History

Mirza Gurgin Enakolopashvili: Erekle II's Envoy and His Surname

Summary

Based on documentary evidence, this article examines and evaluates the origins of the surname of Mirza Gurgin Enakolopashvili, the steadfast envoy of Erekle II and one of the most trusted officials at the royal court. It provides an account of his life and work, uncovering previously unknown details about his family members and their descendants.

არჩილ ჩაჩხიანი
ისტორიის დოქტორი, თადარიგის პოლკოვნიკი, დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის მიმართულების პროფესორი

იდეოლოგია, პოლიტიკა, ბატალია – სომხეთ-საქართველოს ომის ვორონცოვკის ბრძოლა

ბორჩალოს მაზრის ვორონცოვკის რაიონში გამართული საბრძოლო მოქმედებები ერთ-ერთი დრამატული ფურცელია სომხეთ-საქართველოს ომის ისტორიიდან. ვორონცოვკა ქვემო ქართლის განაპირა ოლქში, ტაშირში მდებარე დასახლებული პუნქტი იყო, რომელიც რუსი სექტანტებით იყო დასახლებული. დღეისათვის იგი სომხეთის შემადგენლობაშია ჩართული. მიუხედავად იმისა, რომ ვორონცოვკის ბრძოლა საომარ მოქმედებათა მეორეხარისხოვან უბანზე მიმდინარეობდა და სტრატეგიული თვალსაზრისით მის შედეგებს ომის საერთო მსვლელობაზე დიდი ზეგავლენა არ მოუხდენია, იგი მაინც იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას. საუბარი არა მხოლოდ ამ ბრძოლის სამხედრო-ოპერატიულ და ტაქტიკურ მახასიათებლებს, არამედ, პირველ რიგში, ამ ბრძოლასთან დაკავშირებულ ქართველ სოციალ-დემოკრატთა იდეოლოგიურ შტრიხებს და მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ეხება – იმ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა ამ ბრძოლის ხასიათი, მიმდინარეობა და შედეგები.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტთა კრებულში – „Изъ исторіи Армяно-Грузинскихъ отношеній“-ში საკმაოდ სრულადაა გადმოცემული სომხეთ-საქართველოს ომის ვორონცოვკის ბრძოლის პერიპეტიები, ზოგიერთ პუბლიკაციაში აქ დატრიალებული მოვლენების აღწერისას მაინც უხეშ შეცდომებს ვაწყდებით. კერძოდ: „სომხები ***ბორჩალოს რაიონის*** სოფელ ვორონცოვკაში დისლოცირებულ ***ასკაციან რაზმს*** დაესხნენ თავს, რომელსაც გენერალი ივანე ციციშვილი მეთა-

ურობდა. ***ექვსი დღის განმავლობაში*** მამაცურად იბრძოდნენ მცირერიცხოვანი ქართველები და თავიანთი ერთადერთი ზარბაზნით უწევდნენ მედგარ წინააღმდეგობას მოწინააღმდეგის ძლიერი არტილერიით აღჭურვილ ***ექვს ასეულს.*** ციციშვილმა ***მთავარ ამოცანად სოფელ ეკატერინფელდისაკენ ბრძოლით უკან დახევა დაისახა მიზნად"*** [1] (ხაზგასმები ჩემია – ა. ჩ.). ამ ამონარიდში მოყვანილი თვითოეული ხაზგასმული სიტყვა თუ ფრაზა შეცდომაა და რეალობას არ შეესაბამება. ჩვენთვის უცნობი და გაუგებარია პუბლიკაციაში წარმოდგენილი ცნობების წარმომავლობა. კიდევ ერთხელ დასტურდება ის ფაქტი, რომ ზოგიერთი ქართველი ავტორისა და ქართული საზოგადოებისათვის ამ ომის რეალური სურათი ნაკლებადაა ცნობილი. ჩვენ არ მოვყვებით თვითოეული ხაზგასმული ფრაზის განხილვასა და შეცდომების შესწორებას, რადგან დაშვებულ შეცდომებს თავისთავად გავასწორებთ თხრობის პროცესში.

რეალურად, 1918 წლის დეკემბრისათვის ვორონცოვკის საბრძოლო მოქმედებათა რაიონში მოვლენები შემდეგნაირად წარიმართა. დავიწყოთ იქიდან, რომ ვორონცოვკის რაიონში ქართული საჯარისო ფორმირებები 1918 წლის ოქტომბრის თვიდან განლაგდნენ, როდესაც გერმანელებთან ალიანსში წარმატებით იქნა აღკვეთილი სომეხთა პირველი შეიარაღებული აგრესია. 1918 წლის დეკემბრისათვის ვორონცოვკაში დისლოცირებული ქართული ქვედანაყოფები, გენერალ ივანე ციციშვილის მეთაურობით, ერთობ მცირერიცხოვანი იყო და იგი საგუბერნიო ბატალიონის მე-4 ასეულის, სახალხო გვარდიის საარტილერიო დივიზიონის ქვედანაყოფისა და მესაზღვრეებისაგან შედგებოდა – სულ 300 კაცამდე. ამ მცირერიცხოვან საბრძოლო რაზმს მდინარე კამენკას გასწვრივ ეკავა სასაზღვრო საგუშაგოები, ხოლო შტაბი სოფელ ვორონცოვკაში იყო მოწყობილი, საგუშაგოებიდან მთელი 15-20 კილომეტრის მოშორებით. ცხადია, რომ ასეთი მცირერიცხოვანი ძალებით პრაქტიკულად შეუძლებელი იყო დასმული საბრძოლო ამოცანის წარმატებით შესრულება და სომხეთ-საქართველოს დე ფაქტო სასაზღვრო პერიმეტრის სრული გაკონტროლება. ამ ამოცანის შესრულებას ყველაფერთან ერთად ისიც ართულებდა, რომ სომეხთა დივერსიული მოქმედებების შედეგად სატელეგრაფო კავშირი პერიოდულად წყდებოდა და სანაინის რეგიონალურ შტაბთან, რო-

მელიც მთელი 30 კილომეტრით იყო დაშორებული ვორონცოვკიდან, მხოლოდ საფელდეგერო კავშირის[1] დამყარება იყო შესაძლებელი.

საარქივო მასალებში დაცული პირველი ოპერატიული შეტყობინება ვორონცოვკიდან, სომეხთა აშკარა საომარი სამზადისის შესახებ, 1918 წლის 4 დეკემბრითაა დათარიღებული. გენერალ ციციშვილის მიერ სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილ №219 ტელეგრამას შემდეგი შინაარსი ჰქონდა: „ჯალალ-ოღლიდან ჩრდილოეთით, ჩვენს ტერიტორიაზე, 4771 სიმაღლესთან სომხებმა სანგრები გათხარეს. სომხური რაზმის უფროსს ამ სანგრების სასწრაფო განადგურების წინადადება მივეცი. თუ ჩემი მოთხოვნა არ შესრულდება, მაშინ მე თვითონ გავანადგურებ მათ“ [2, 87] გენერალ ივანე ციციშვილისათვის, როგორც ნამდვილი სამხედროსა და პროფესიონალისათვის, მალევე გაცხადდა, რომ ვორონცოვკის უბანზე დაშნაკთა მიერ სერიოზული სამხედრო ოპერაცია მზადდებოდა, რის გამოც იგი შესაბამისი საჯარისო ქვედანაყოფების გაგზავნას ითხოვდა. ამ დასკვნის მართებულობაზე ნათლად მეტყველებს ქართულ არქივში დაცული, ვორონცოვკის რაზმის რიგითის, ა. ადუაშვილის მოხსენებითი ბარათის შინაარსი:

„7 დეკემბერს ხმებით გაიგო გენერალმა, რომ სანაინში ჩვენს ჯარს შეტაკება მოსვლია სომხის ხალხთან და ამასთანავე რაღაც გული უგრძნობდა გენერალს, რომ აქ რაღაც დაიწყებოდა. ამიტომ ის არაერთხელ დაელაპარაკა მინისტრს, ჯარი მომაშველეო. მინისტრს უპასუხია, არაფერია საშიში, ეს სანაინის ამბები მხოლოდ კონტრრევოლუციონური ყაჩაღების ბრბოებია და მალე გავფანტავთო. 8-ში გენერალს ამბავი მოუვიდა, რომ ვორონცოვკიდან ოცი ვერსის მოშორებით თავს დასხმიან ჩვენს პოსტებს და ჯარისკაცები მოუკლავთ. მაშინ კიდევ შეეკითხა გენერალი მინისტრს, უსათუოდ შეტაკება მოხდება და გვაჯობებენო. მინისტრს შემოუთვლია – არ გაბედო და წინააღ-

---

[1] ფელდეგერი (გერმ. Feldjäger. Feld – ველი, Jäger – მონადირე) – უნტერ ოფიცრის წოდების მქონე სამხედრო ან სამთავრობო კურიერი, რომლის დანიშნულებასაც მნიშვნელოვანი საიდუმლო დოკუმენტების ადრესატამდე მიტანა წარმოადგენდა. პირველად ეს სამსახური 1742 წელს გაჩნდა პრუსიის არმიაში, ფრიდრიხ II დიდის მეფობის დროს, რომელსაც მალე რუსეთმა და სხვა ევროპულმა ქვეყნებმაც მიბაძეს. დღევანდელ გერმანიაში ფელდეგერებად სამხედრო პოლიციის ქვედანაყოფები იწოდება, თუმცა, ზოგიერთი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში და მათ შორის, საქართველოს თავდაცვის ძალებში ეს სამსახური დღესაც მოქმედებაშია.

მდეგობა არ გაუწიოო, მდგომარეობა არ გამწვავდეს, ესენი მხოლოდ ყაჩაღური ბანდებია, რომლის წინააღმდეგ თვითონ სომხების წარმომადგენლის სიტყვით თვითონ ისინი მიიღებენ ზომებსო...

მანამდის ეს ამბები მოხდებოდა, ორ თუ სამ დეკემბერს სომხის ხალხს თურმე რაზვედკა გაეკეთებიათ ჩვენს საზღვარზე და როცა ყარაულებს შეუნიშნავთ და დაეძახათ ვინ ხართო, ისინი გაქცეულან, მაშინ ჩვენებს ესროლათ და რვა თუ ათი დაეპატიმრებიათ. გენერალი მთავრობას შეკითხოდა, სომხის ხალხი ომისათვის ემზადება და მათ დაზორები[1] გამოაგზავნეს, რაზვედკას აკეთებენო. ჯარი გამოგვიგზავნეთ, ჩვენ პატარა ძალები გვყავსო. მინისტრ გიორგაძეს ასე შემოუთვლია – ეგ დაჭერილები სასწრაფოდ გაანთავისუფლე და გენერალს გაენთავისუფლებია, თავისი თოფებიც კი გაეტნია. ამ ხალხმა, რომლებმაც გაიგეს ჩვენი მცირე ძალა, გაიგეს რომ ჩვენი ხალხი სრულებით არ მოელის მათ ღალატს, დარწმუნდნენ რა, რომ ადვილი იყო ჩვენი საზღვრების გადმოლახვა, კიდეც მიაღწიეს თავის მიზანს და ამ უსინდისო ხალხმა მუხანათურის ღალატით მახვილი ჩაგვცეს კიდეც ზურგში“ [3, 17].

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველი პარტიისა და მთავრობის არაადეკვატური ქმედებები, უფრო ზუსტად კი, დანაშაულებრივი პასიურობა და უმოქმედობა ზოგადად ქართული შეიარაღებული ძალების აღმშენებლობის საკითხებთან დაკავშირებით, ცნობილია, მაგრამ ის, რაც მოხდა გენერალ ციციშვილის ვორონცოვკის რაზმთან მიმართებაში, 1918 წლის დეკემბრის თვეში, ადამიანური წარმოდგენისა და საღი ლოგიკის ყოველგვარ ფარგლებს ცილდება.

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის, ამხანაგ ნოე ჟორდანიას (სხვანაირად ეს ვერც იქნებოდა) განკარგულებით, 12 დეკემბრისათვის ვორონცოვკის რაზმიდან თბილისში სასწრაფოდ იქნა გამოწვეული გვარდიის საარტილერიო ქვედანაყოფები სახალხო გვარდიის ერთ წლისთავთან დაკავშირებულ სადღესასწაულო აღლუმში მონაწილეობის მისაღებად. და ეს მაშინ, როცა უზუნლარი-სანაინის მიმართულებაზე უკვე დაწყებული

---

[1] დაზორი (რუს. Дозор) – ქართულ ენაში რუსულიდან შემოსული ბარბარიზმი. რუსულ სამხედრო-საველე სამსახურში არსებული ცხენოსანი ან ქვეითი რაზმი 12-15 კაცის შემადგენლობით, რომელიც აწარმოებდა დაცვის, კავშირგაბმულობის და დაზვერვის უზრუნველყოფის ფუნქციას. იგივეა, რაც პატრული ან ავანპოსტი.

იყო სომეხთა რეგულარული ჯარისა და დაშნაკური საბრძოლო რაზმების სრულმასშტაბიანი საომარი მოქმედებები. თავისთავად ცხადია, რომ ოპერატიული თვალსაზრისით, სულ მალე ვორონცოვკის მიმართულებაც უნდა ქცეულიყო სომხეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ერთ-ერთ აქტიურ უბნად. გენერალ კვინიტაძის მოგონებიდან: „უკვე მარჯვენა ფრთაზე, კამენკა-ვორონცოვკა-პრივოლნოედან, გენერალ ციციშვილის მცირე რაზმიდან სასწრაფოდ გამოიწვიეს ტფილისში გვარდიის დივიზიონის 150 გვარდიელი სახალხო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად" (?!) [4, 119].

გასაოცარი იყო საქართველოს მთავრობის ის არაადეკვატური ნაბიჯები და გადაწყვეტილებები, რასაც იგი სამხედრო უწყებაში აწარმოებდა. გამაოგნებელია, რა ედღესასწაულებოდათ და ეაღლუმებოდათ ქართველ მარქსისტებს მაშინ, როცა საქართველოს სამხრეთის საზღვრებზე უკვე დაწყებული იყო სრულმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები. ძნელია სხვა შეფასება მოეძებნოს საქართველოს მთავრობისა და პირადად მისი თავმჯდომარის მსგავს გადაწყვეტილებებს, თუ არა – დანაშაულებრივი, ყოვლად უპატიებელი უნიათობა და გაუგონარი პოლიტიკური სიბეცე. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ქართველი ავტორი ნინო ვაშაყმაძე წერს: „12 დეკემბერს ვორონცოვკიდან თბილისში გამოიწვიეს ***საჯარისო შენაერთები*** (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) სახალხო დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად" [5, 59] და იქვე ჩვენთვის აბსოლუტურად გაუგებარ დასკვნას აკეთებს: „როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა გრძნობდა მისთვის არახელსაყრელი პოლიტიკური კლიმატის არსებობას სამხრეთ კავკასიაში. ამით უნდა აიხსნას მისი უმოქმედობა და კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოწესრიგების მცდელობა სომხეთის მხრიდან სამხედრო ოპერაციების დაწყების პირველ დღეებში".

ვერაფრით ვერ დავეთანხმებით ავტორის ამ დასკვნას. საქართველოს მთავრობის დანაშაულებრივი უმოქმედობის ახსნა 1918 წლის დეკემბრისათვის მხოლოდ ამიერკავკასიაში ქართველთათვის არახელსაყრელი მდგომარეობის არსებობით, ნამდვილად არ იქნება მართებული. საქართველოს მთავრობის უმოქმედობა და უნიათობა არა მხოლოდ ამიერკავკასიაში შექმნილი არახელსაყრელი პოლიტიკური სიტუაციის, არამედ, პირველ რიგში, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ეროვნული ინფანტილიზმისა და ზღვარგადასული „დემოკრატობის" შედეგი იყო, რასაც უცვლელად ამჟღავნებდა იგი თავისი მმართვე-

ლობის მთელი პერიოდის განმავლობაში. რაც შეეხება მოყვანილ ციტატაში ხაზგასმულ ადგილს, აღვნიშნავთ, რომ ვორონცოვკა-პრივოლნოეს საბრძოლო მოქმედებათა რაიონში არავითარი საჯარისო შენაერთები, ხაზს ვუსვამთ – შენაერთები, არ იდგნენ. ომის საწყის ეტაპზე აქ გენერალ ციციშვილის მეთაურობით რეგულარული ჯარისა და სახალხო გვარდიის მცირე ქვედანაყოფები იყო მხოლოდ გაშლილი.

ახლა კი, დეტალებში განვიხილოთ ვორონცოვკა-პრივოლნოეს ქართულ გარნიზონთან დაკავშირებული ალბათ ყველაზე გამაოგნებელი და ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბავი, რაც საღი აზრისა და წარმოსახვის ყოველგვარ ზღვარს სცილდება. რეალობა ის იყო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფალი მმართველი პარტიისა და მთავრობის წევრების, ისევე როგორც ამ პარტიის პირმშოს – სახალხო გვარდიის ხელმძღვანელების მთავარ მამოძრავებელ ძალას, მათ იდეოლოგიურ აპოთეოზსა და იდეალს „რევოლუცია“ და მისი „მონაპოვრების დაცვა“ წარმოადგენდა. შესაბამისად – საქართველოს მთავრობას და მის წევრებს სახალხო გვარდია რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარ ნაწილად და ბურჯად ჰყავდათ წარმოდგენილი, ხოლო სახალხო გვარდიის შექმნის დღე – 12 დეკემბერი, რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო დღესასწაულად.

დიახ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთელი სახელისუფლებო და სამთავრობო ისტებლიშმენტისათვის სწორედ 1918 წლის 12 დეკემბერი – სახლხო გვარდიის შექმნის ერთი წლისთავი იყო ის უმნიშვნელოვანესი თარიღი, რომლის აღსანიშნავადაც ძალიან გულდასმით ემზადებოდა სახალხო გვარდიის მთავარი შტაბი და მთლიანად რესპუბლიკის მთავრობა. უსვამდა რა ხაზს, 12 დეკემბრის განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ამ ამბებიდან ორი წლის შემდეგ, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო, ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“ აღნიშნავდა: „[1917 წლის] 12 დეკემბერს დაეცა რეაქციის ციხე-სიმაგრე და თფილისის მუშათა კლასმა ეს რევოლუციონური გმირული ვალი ღირსეულად შეასრულა და მით თავისი სისხლით დასწერა ისტორიის ბრწყინვალე ფურცელი... ეს იყო ისტორიაში იშვიათი აქტი, დიდებული მაგალითი... ჩვენ არც გვეშინია და არც დავმარცხდებით“... [6, 2]. ჩვენს მიერ დაწვრილებით იქნა შესწავლილი საქართველოს ეროვნული არქივის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის ფონდი №1970 – სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სხდომის ოქმები, და გასაოცარ სურათს წავაწყდით. პრაქტიკულად

1918 წლის მთელი ნოემბრისა და დეკემბრის პირველი დეკადის სხდომის ოქმები ძირითადში გვარდიის პირველი წლისთავისადმი მიძღვნილი აღლუმის მოწყობის საორგანიზაციო საკითხების დეტალურ განხილვა-გადაჭრას ეთმობა. ეს საკითხები იყო – სტუმრების მოწვევის საკითხი, აღლუმის ჩატარების ადგილი, დრო და ხანგრძლივობა, სააღლუმე კოლოფების შემადგენლობა და მათი განლაგება, ცერემონიალის მიმდინარეობის თანმიმდევრობა, გამომსვლელთა ვინაობა და რეგლამენტი – ვინ სად დადგება, როგორი იქნება სამარშო კოლონებისა და სააღლუმე კოლოფების სვლის თანმიმდევრობა და ა.შ. და ა.შ. და ა.შ. მოკლედ რომ ვთქვათ, 1918 წლის 12 დეკემბრის აღლუმის ორგანიზებისათვის მთელი პროტოკოლი იქნა დაწვრილებით გაწერილი. გვარდიის მთავარი შტაბის მიერ „ამხანაგებისა და მოქალაქეების" მიმართ შემუშავებულ იქნა საზეიმო მიმართვა, რომელიც უხვად იყო გაჟღენთილი რევოლუციური ტერმინებითა და ფრაზეოლგიით. ამ მიმართვას სრულად მოვიყვანთ:

„ამხანაგებო და მოქალაქენო

12 დეკემბერი (29 ნოემბერი ძველი სტილით) ჩვენი მშრომელი ხალხის დღესასწაულია. ამ დღეს პირველად შემოვიდა რევოლუციონურ ასპარეზზე შეიარაღებული თფილისის პროლეტარიატი და ხელთ იგდო თბილისის სამხედრო არსენალი. ეს იყო რევოლუციონური დემოკრატიის დიდი გამარჯვება და ამ გამარჯვების წლისთავს დღესასწაულობს განთავისუფლებული ხალხი.

12 დეკემბრის გამარჯვებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ქონდა ჩვენს ცხოვრებაში: იქ ჩაეყარა მტკიცე საფუძველი ჩვენს თავისუფლებას და იქვე სავსებით დამარცხდა ის ანარქია, რომელმაც გააცამტვერა და მოსპო რუსეთის დემოკრატია. 12 დეკემბერსვე ჩაეყარა მტკიცე საფუძველი სახალხო გვარდიას და აქედგან იწყება გვარდიის თავდადებული ბრძოლა და მუშაობა რევოლუციის დასაცავად და რეაქციის შესამუსრავათ.

ეხლა, როდესაც თითქმის ყველგან მშვიდობიანობა დამყარდა და საკმაო წესრიგი შეიქმნა – ბევრს აღარც ახსოვს ამ მშვიდობიანობის და რევოლუციონური წესრიგის მთავარი მუშაკი. სწორედ დღეს თამამათ და ამაყად უნდა ვთქვათ, რომ ეს მუშაკი იყო შეიარაღებული დემოკრატია, ჩვენი მონინავე მუშები და შეგნებული გლეხები...

გახსოვდეთ ამხანაგებო:

თუმცა გამარჯვება ძლიერ მოახლოვდა, მაგრამ სრული გამარჯვება ჯერ კიდევ არ არის. საჭიროა გაორკეცებული შრომა და ბრძოლა.

გაუმარჯოს რევოლუციას!

გაუმარჯოს სახალხო გვარდიას!

გაუმარჯოს მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს ინტერნაციონალს!" [7]

სადღესასწაულო აღლუმის ორგანიზებულად ჩატარებისთვის სპეციალური ბიუროც კი შეიქმნა და მასში მმართველი პარტიისა და სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის სამი ხელმძღვანელი პირი – ნიკოლოზ ქარცივაძე, ალექსანდრე დგებუაძე და ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე შეიყვანეს. ამ პროტოკოლითვე გადაწყდა, რომ აღლუმის მიმდინარეობის დროს, გვარდიის ნაწილების სამწყობრო დათვალიერებას მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის მთელი პირადი შემადგენლობა მოახდენდა, რომელიც მთავრობის თავმჯდომარის „ამალაში" იქნებოდა ჩართული. ამ საზეიმო სამხედრო აღლუმის ერთი საინტერესო მომენტი ისიც იყო, რომ ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, აღლუმს გრანდიოზული და გამორჩეულად დემონსტრაციული ხასიათი უნდა ჰქონოდა. ამ თვალსაზრისით, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ფანტაზიები იქამდეც კი მივიდა, რომ აღლუმში თვით ქართული ავიაციაც მონაწილეობდა. მაგრამ თვითმფრინავებმა ფრენით კი არ გადაუარეს გოლოვინის პროსპექტზე კოლოფებად დაწყობილ გვარდიულ ქვედანაყოფებს და სააღლუმე სვლით მიმავალ კოლონებს, არამედ ნახევრად დაშლილ მდგომარეობაში სატვირთო ავტომობილებზე დალაგებულები ჩამოატარეს (Sic!). დიახ, ცოტა არ იყოს გროტესკული სურათია, მაგრამ სწორედ ამ გროტესკში და პომპეზურობაში იმალებოდა კიდევ ერთი დიდი „გაუგებრობა", რითაც გამოირჩეოდა ეს აღლუმი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახალხო გვარდიისა და ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მიერ ამ აღლუმის ორგანიზებისათვის მეტად დაუფიქრებელი და სავალალო გადაწყვეტილება იქნა მიღებული. კერძოდ, აღლუმში მონაწილეობისთვის გენერალ ციციშვილის ვორონცოვკის რაზმიდან თბილისში გვარდიის საარტილერიო დივიზიონი და მთელი მისი პირადი შემადგენლობა იქნა გამოწვეული.

ძნელია აღნიშნულ ფაქტზე კომენტარის გაკეთება. და კიდევ უფრო ძნელია ამ გაუგებარი და ყოვლად გაუმართლებელი მოქმედე-

ბის ასახსნელად რაიმე წონადი არგუმენტის მოყვანა. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვაგვარი შეკრებების, მოლაპარაკებების, მიტინგების, კონფერენციების, სხდომების, აღლუმების, ათასგვარი საზეიმო თავყრილობებისა და თეატრალიზებული წარმოდგენების გამართვა იყო ქართველ მენშევიკთა საქმიანობაში ყველაზე მთავარი მომენტი და ის სუსტი წერტილი, რომელსაც ისინი არასოდეს არ და ვერ ღალატობდნენ. მისი ორგანიზებისათვის ისინი ყოველთვის მზად იყვნენ. მსგავსი თავყრილობების მიმართ რაღაც განსაკუთრებულ სიყვარულსა და ლტოლვას განიცდიდნენ ქართველ მარქსისტთა იდეოლოგიური მამები. იმის მაგივრად, რომ საქართველოს მთავრობას და სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს ომსა და უკვე დაწყებული საბრძოლო მოქმედებების მართვაზე ეფიქრათ, ისინი მსგავსი ხასიათის თეატრალიზებული წარმოდგენების ორგანიზებით იყვნენ დაკავებულები. სხვათა შორის, ისტორიამ და ქართულმა კინოქრონიკამ ამ აღლუმის დოკუმენტური კინოფირი შემოგვინახა, სადაც კარგად ჩანს თუ რამდენად გრანდიოზული მასშტაბებისა იყო აღნიშნული ღონისძიება.

სახალხო გვარდიის ერთი წლისთავისადმი მიძღვნილი აღლუმისაგან გამოწვეულ აღმაფრენას მისთვის ჩვეული პათოსით აღწერდა ვალიკო ჯუღელი: „სახალხო გვარდიის დღე საზეიმო ბრწყინვალებით ჩატარდა. სული ზეიმობდა, აღმაფრენა იყო დიდი და საყოველთაო სიყვარული სუფევდა!... ეს განთავისუფლებული დემოკრატიის ნათელი დღესასწაული იყო... არ ველოდი ასეთ დიდ წარმატებას... დიდებული დღე იყო, თბილისის პროლეტარიატი თავისი წითელი დროშებით გამოვიდა ქუჩაში, რევოლუციური სიმღერებით შეეგება ***თავის პირმშოს*** და ხმამაღლა მიესალმა მას...“ [8, 93] (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.). „პროლეტარიატის პირმშოში“ ამ სტრიქონების აღტაცებული ავტორი სახალხო გვარდიას გულისხმობდა.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 12 დეკემბერს, თბილისში გამართული სახალხო გვარდიისადმი მიძღვნილი გრანდიოზული აღლუმის პარალელურად, ქუთაისშიც გაიმართა „გვარდიის, ახალგაზრდა ჯარის ნაწილის და მფრინავი რაზმის[1] [12, 42] პარადი, რომელიც მიიღო

---

[1] აღნიშნულ ტექსტში მოხსენიებული „მფრინავი რაზმი“ არც რეგულარული ჯარის რომელიმე ნაწილს წარმოადგენდა და არც სახალხო გვარდიის განსაკუთრებულ რაზმს. იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარისო შენაერთი იყო, რომლის სრული დასახელებაც იყო „საგანგებო მფრინავი რაზმი“. მისი საშტატო სტრუქტურა საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918

ღენერალმა დ. ართმელაძემ. მან დროის შესაფერი სიტყვით მიმართა პარადის მონაწილეთ. სიტყვები წარმოთქვეს აგრეთე ბ. ჩხიკვიშვილმა და გრ. ურატაძემ. ჯარმა და გვარდიამ მუსიკით ჩაუარეს ბაღს და გაემართნენ ქალაქის გამგეობისკენ, სადაც დანიშნული იყო საგანგებო, საზეიმო სხდომა ხმოსნებისა“ [9, 3-4].

ისტორიული რეალობა კი სხვა იყო, სულ სხვა... მძიმე და პირქუში. და იგი კარდინალურად ეწინააღმდეგებოდა ქართველ სოციალ-დემოკრატთა საზეიმო განწყობებს...

ზუსტად ამ დღეს, 1918 წლის 12 დეკემბერს, ვორონცოვკის რაიონში მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა – გენერალ ციციშვილის საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი სამხედრო მინისტრის მოადგილესთან, გენერალ-მაიორ ზაქარია მდივანთან.

ციციშვილი:

– „გუშინ კოღოსთან მოკლული იქნა ჩემი ორი ჯარისკაცი, გადაუმოწმებელი ინფორმაციით სოფელ უზუნლარში მიმდინარეობს სროლები. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა მომახსენა, რომ ისინი სომეხთა მიერ არიან მოკლულები. მინდა შემოვლა გავაკეთო საზღვრის გასწვრივ, რადგანაც სომეხმა მზვერავებმა არაერთხელ მოითარეშეს ჩვენი ტერიტორიები. სომხური მოსახლეობა მათდამი თანაგრძნობითაა განწყობილი და იფარავენ მათ. ვფიქრობ გავიდე სოფელ კოღოსამდე და თუ საჭირო შეიქმნა, უზუნლარამდეც“ [2, 95].

გენერალ ივანე ციციშვილისა და სამხედრო სამინისტროს გენერალური შტაბის განყოფილების ოპერატიული სექციის უფროსის, პოლკოვნიკ ალექსანდრე ზაქარიაძის პირდაპირი საუბრის სტენოგრაფიული ჩანაწერი – 1918 წლის 13 დეკემბერი:

ციციშვილი:

– „გადმოგცემთ სამხედრო მინისტრისადმი მოსახსენებლად ფრონტზე შექმნილ მდგომარეობას. სამი დღის წინ, სოფელ აგარაკსა და აღდანს შორის მოკლულ იქნა ჩემს განკარგულებაში მყოფი საგუ-

---

წლის 2 აგვისტოს დამტკიცდა. ეს იყო დღევანდელი სწრაფი რეაგირების ძალების მსგავსი ბრიგადის სიდიდის საკავალერიო შენაერთი, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და ოპერატიული ამოცანების გადასაწყვეტად იყო შექმნილი. ამ შენაერთის პირადი შემადგენლობა შტატით 2409 კაცს შეადგენდა და იგი რესპუბლიკის სამ ადმინისტრაციულ ერთეულში იყო გაშლილი. აქედან, 1003-1003 მებრძოლი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში იყო გაშლილი, ხოლო 403 – სოხუმის ოლქში [12, 42].

ბერნიო ბატალიონის მე-4 ასეულის 2 ჯარისკაცი. დამნაშავეთა აღმოსაჩენად სოფელ აგარაკში გაგზავნილ იქნა პორუჩიკი შავდია და პრაპორშიკი თეთრუაშვილი 15 ჯარისკაცის თანხლებით. ამ დროისათვის ჩემამდე მოაღწია ხმებმა, რომ სადგურ სანაინთან ბრძოლები მიმდინარეობს. ჯგუფის უსაფრთხოებისათვის ჩემს მიერ გაგზავნილ იქნა საგუბერნიო ასეულის ქვედანაყოფი 2 ოფიცრით, 27 ჯარისკაცითა და 2 ტყვიამფრქვევით. აგარაკის რაზმის მეთაურმა დაადგინა, რომ სომხები თავის საბრძოლო მოქმედებებს უზუნლარიდან დასავლეთისაკენ ავრცელებენ. მათ მიერ ჩვენი საგუშაგოები მოხსნილია. პორუჩიკ შავდიას რაზმის ბედი უცნობია. ისინი ტყვედ არიან აყვანილნი. აგარაკში ყოფნის დროს, ღამის 2 საათზე, სოფლის მოსახლეობის მიერ სომხურ სამხედრო ნაწილებს ინფორმაცია მიეცათ ქართველთა სოფელში ყოფნის შესახებ. ამის შემდგომ სომეხთა დიდი ძალებით მოხდა რაზმზე თავდასხმა. ჩვენი დანაკარგებია – 14 ჯარისკაცი, ერთი ოფიცერი, 2 ტყვიამფრქვევი.

სომხური სოფლები ლეჯანი, აიდარბეგი და განსაკუთრებით ოვანდარი მტრულად არიან განწყობილნი ქართველების მიმართ. აგარაკში სომხების ჯართან ერთად ქართველთა წინააღმდეგ გამოსვლებში ადგილობრივი მოსახლეობაც იღებდა მონაწილეობას. გუშინ მე მოვახსენე სამხედრო მინისტრის მოადგილეს, რომ ვაპირებ მთელ რაზმთან ერთად წინ წავიწიო, მაგრამ ჩემს ხელთ არსებული ძალები, განსაკუთრებით კი ქვეითები, იმდენად მცირეა, რომ საჭიროა მისი გაძლიერება თუნდაც ორი ასეულით. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირდაპირ გასვლა ალექსანდროვკაზე, ლეჯანსა და აგარაკზე, სარისკოა.

ვიმეორებ, რაზმის გაძლიერება ორი ასეულით აუცილებელია, რადგან სომხები დიდი ძალებით თავად გადმოდიან შეტევაზე ჩვენს ტერიტორიებზე. აგარაკში მოსახლეობის გარდა სომხეთის ჯარის 100 კაცი იყო.

ზაქარიაძე:

– მე ისე გავიგე, რომ პირველი რაზმის ბედი თქვენთვის ცნობილი არ არის, ხოლო ნაჩვენები 27 კაცის დანაკარგები მეორე რაზმმა განიცადა.

ციციშვილი:

– პირველი რაზმი, სოფელ აგარაკის კომისრის ჩვენებით, ტყვედ არის აყვანილი სოფელ ოვანდარში. მათ შორის არიან დაჭრილები. ჩემის აზრით, პორუჩიკი პაპუაშვილი მოკლულია.

ზაქარიაძე:

– შეგიძლიათ სრული დაჯერებით თქვათ, რომ ასეთ მოქმედებებში სომეხთა რეგულარული ჯარის ნაწილები იღებენ მონაწილეობას?

ციციშვილი:

– ყოველგვარ ეჭვს გარაშეა, რომ ამ ამბებში მონაწილეობას ღებულობენ სომეხთა რეგულარული ჯარები. ისინი ჯალალ-ოღლის მხრიდან გამოჩნდნენ. მათთან ერთად საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას იღებენ სოფელ აგარაკის მცხოვრებლებიც.

ზაქარიაძე:

– მეორე ჯგუფიდან 1 ოფიცერი და 14 ჯარისკაცია მოკლული თუ ისინი ტყვედ არიან აყვანილნი?

ციციშვილი:

– ახლახანს მეტყვიამფრქვევეთა რაზმის უფროსმა მომახსენა, რომ მის მიერ ერთი ტყვიამფრქვევი მწყობრიდანაა გამოყვანილი, მეორე კი, სოფელ აგარაკში დარჩა. იქვე დარჩა 11 კაცი, რომელთა ბედიც ჩემთვის უცნობია“ [2, 95-96].

გენერალ ციციშვილს მიეცა ნათელი და მკაცრი მითითება: „გამოიძიეთ კოლოსის ინცინდენტი და დამნაშავეები დასაჯეთ მთელი სიმკაცრით. მტკიცედ დაიცავით საზღვარი და აღკვეთეთ სომეხ მზვერავთა მოქმედებები. ახლა ჩვენს დროებით პირობით საზღვარს წარმოადგენს – მდინარე კამენკას მარცხენა ნაპირი, ხოლო ამოცანას – დავიცვათ სწორედ ეს საზღვარი და მასთან მიმდებარე ჩვენი ტერიტორიები“.

ციციშვილი – ზაქარიაძეს:

– აუცილებელია კარაკლისიდან ბერიოზოვი ბალკაზე, კატურბულახზე, კამენკაზე მანევრების განხორციელება ჩვენი ზურგის უშიშროების უზრუნველსაყოფად. ჩვენი მთავრობის მხრიდან მივიღე კატეგორიული გაფრთხილება, არ გადავიდე კამენკაზე. როგორც შესაძლებელია ჩემი ძალებით დაზვერვას ვატარებ, მაგრამ შტაბიდან რამდენჯერმე მიღებული კატეგორიული გაფრთხილების გამო, არაკეთილმოსურნე ტერიტორიებზე დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება შეუძლებელი ხდება“ [2, 97].

გენერალ ციციშვილისა და პოლკოვნიკ ზაქარიაძის პირდაპირი საუბრის ეს სტენოგრაფიული ჩანაწერი სრულ წარმოდგენას გვიქმნის იმ ოპერატიულ მდგომარეობაზე, რაც 1918 წლის 13 დეკემბრამდე არ-

სებობდა ვორონცოვკის მიმართულებაზე. აქაც, ახალქალაქის საბრძოლო მოქმედებათა რაიონის მსგავსად, გენერალ ციციშვილს მკაცრი მითითება მიეცა, რომ არ გადასულიყო მდინარე კამენკაზე და მხოლოდ ამ ხაზის დაცვით შემოფარგლულიყო. ხოლო ის ფაქტი, რომ გენერალი ციციშვილი მხოლოდ ორი ასეულის მხარდაჭერას ითხოვდა, მიუხედავად იმისა, რომ იგი დარწმუნებული იყო საქართველოს წინააღმდეგ სომხეთის შეიარაღებული ძალების რეგულარული ჯარების მონაწილეობაში, კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ მას (ისევე, როგორც გენერალ წულუკიძეს) ბოლომდე არ ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა მასშტაბის მოვლენებთან ჰქონდა საქმე.

გენერალ ციციშვილის ტელეგრამა სამხედრო მინისტრს – 1918 წლის 13 დეკემბერი: „ვორონცოვკის მე-2 სასაზღვრო უბნის უფროსმა სოფელ ალექსანდროვკიდან მომახსენა: „მოგახსენებთ, რომ ალექსანდროვკის გარშემო სიმაღლეებზე განლაგებულია მტრის სამეთვალყურეო საგუშაგოები. ამ სიმაღლეებიდან ჩანს მთელი გარემო 10 ვერსის მანძილზე, მათ შორის ვორონცოვკა. სოფელ ლეჯანთან მიმდინარეობს ძლიერი სროლები. ვითხოვ შესაბამის მითითებებს. შტაბის კაპიტანი კონსტანტინოვი“. ამასთან ერთად მოგახსენებთ, რომ მოწინააღმდეგე სანაინიდან თანდათან დასავლეთით მოიწევს, ვორონცოვკის მხარეს. ჩემს მიერ გაგზავნილნი არიან მზვერავები. ვემზადები მოწინააღმდეგის შესახვედრად. მხარდაჭერისათვის სულ მცირე 400 კაცია საჭირო, რომელიც ავტომობილებით უნდა გამოაგზავნოთ.

გენერალი ციციანოვი“ [2, 122-123].

იმავე დღეს, 1918 წლის 13 დეკემბერს, სომხური ძალების ავანგარდმა იერიში მიიტანა სოფელ ალექსანდროვკასა და იქ განლაგებულ მცირერიცხოვან ქართულ საგუშაგოზე. გენერალ ციციშვილის ტელეგრამა სამხედრო მინისტრისადმი: „ალექსანდროვკიდან გამოქცეულმა ერთ-ერთმა ჯარისკაცმა შემატყობინა, რომ მზის ჩასვლისას ალექსანდროვკაში შემოიჭრა სომეხთა 100 კაციანი რაზმი და დაიკავა იგი. ტყვედ აიყვანეს სასაზღვრო საგუშაგოს ორი ჯარისკაცი და შტაბის კაპიტანი კონსტანტინოვი. სამი გაქცეული ჯარისკაცის ბედი უცნობია.

გენერალი ციციანოვი“ [2, 122-123].

სომეხთა მთავარ დამრტყმელ ძალას ვორონცოვკა-პრივოლნოეს მიმართულებაზე სომხეთის რეგულარული ჯარის მე-2 მსროლელი

დივიზიის მე-5 მსროლელი პოლკი წარმოადგენდა, პოლკოვნიკ არტემი ტერ-ნიკოგოსოვის მეთაურობით. ამ პოლკთან ერთად, ქართველების წინააღმდეგ განხორციელებულ შეიარაღებულ აგრესიაში აქტიურად მონაწილეობდნენ აგრეთვე ადგილობრივ სომეხ მოხალისეთა საბრძოლო რაზმები. თუ რას წარმოადგენდა საბრძოლო მომზადების დონითა და შეიარაღებით სომეხთა მე-5 მსროლელი პოლკი, კარგად ჩანს ქვემოთ მოყვანილი საბრძოლო ბრძანებიდან.

„ბრძანება №603.

13 დეკემბერი. 1918 წელი.

დ. ჯალალ-ოღლი.

საოპერაციო. რუკა 5 ვერსით დუიმში.

1. ქართულ ჯარებს უჭირავთ სოფლები ვორონცოვკა და პრივოლნოე.

2. თანახმად მთავრობის დადგენილებისა, სამხედრო მინისტრის ბრძანებით დაჭერილ უნდა იქნეს ლორი და ბორჩალოს მაზრა მდინარე ხრამამდე. ჩემდამი რწმუნებულ რაზმს ნაბრძანები აქვს დაუყოვნებლივ დაიწყოს შეტევა, დაიჭიროს სოფლები ვორონცოვკა და პრივოლნოე.

დასმული ამოცანის შესრულების მიზნით,

ვბრძანებ:

ბრძოლის ხაზი, კაპიტანი სტეპანიანცი (6 როტა ქვეითი ჯარის მე-5 პოლკისა, სახელდობრ: მე-4, მე-5, მე-9, მე-10, მე-11 და მე-12), არტილერიის მწყობრი – 2 ზარბაზანი მე-4 სამთო ბატარეიდან. ტყვიამფრქვეველების მცირე გუნდი, „მაქსიმისა“ 8 ტყვიამფრქვევი და 6 „კოლტისა“, მე-5 ქვეითი პოლკის მზვერავი ცხენოსანი რაზმი 20 ცხენოსანის შემადგენლობით, სულ – 6 როტა, 2 ზარბაზანი, 14 ტყვიამფრქვეველი და 20 ცხენოსანი, შეტევით წავიდეს არა უგვიანეს 22 საათისა, სოფლების, ვორონცოვკისა და პრივოლნოეს მიმართულებით, იმ ანგარიშით, რომ გათენებამდის ეს სოფლები იერიშით უნდა აიღონ.

მე-4 როტა ტყვიამფრქვეველების რაზმით წავიდეს წინმავლად, ხოლო მე-9 და მე-10 როტები 40 ნაბიჯის დაშორებით შახმატის წესით მიჰყვეს მე-4 როტას და ბრძოლისათვის გაშლის დროს დაეწყოს მწყობრის ჯგუფებად. მე-11 როტა ხეობიდან გასვლისთანავე მხარს აუხვევს ალექსანდროვკას ურუთისა და აიდარბეგის მხრით და წავა სოფელ პრივოლნოეზე იმ ანგარიშით, რომ იერიშით აიღებენ განთიადამდის.

მე-12 როტა მებრძოლ ჯგუფებს უკან 300 ნაბიჯზე უნდა იდგეს მარქაფად. არტილერია მიდის ჯალალ-ოღლი – ვორონცოვკის გზატკეცილით, მარქაფად მე-12 როტის ნახევარროტებს შუა. ცხენოსანი მზვერავები წავლენ სამ წყებად ფრთებზე და წინ. მე-5 როტა 22 საათზე კატირ-ბულახიდან წავა ვორონცოვკაზე, დამოკიდებულება ექნება კაპიტან სტეპანიანცთან, რომელიც შეტევით მიდის გზატკეცილით და იმასთან ერთად ერთდროულად მიიტანს იერიშს ვორონცოვკაზე დასავლეთით. ვორონცოვკისა და პრივოლნოეს დაჭერის შემდეგ სოფლები გაიწმინდოს და ფეხდაფეხ მიჰყვეთ ჯარს, ვიდრე ყველა არ დაგნებდებათ.

საერთო მარქაფი (პორუჩიკი ზურაბიანცი) მე-5 პოლკის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-7 და მე-8 როტები, რაზმი ოთხი „კოლტის“ ტყვიამფრქვევლით, ჯალალ-ოღლიში მისვლისთანავე გზატკეცილით უნდა გაემართოს სოფელ ვორონცოვკისკენ თავდაცვის ზომების მიღებით, ვიდრე ჩემს განკარგულებას მიიღებდეთ.

3. მოეწყოს ტელეფონით დამოკიდებულება ჩემს შტაბს, ბრძოლის ასპარეზის უფროსსა და საერთო მარქაფა ჯარის უფროსთან.

4. მიეცეს თითო ჯარისკაცს 200 პატრონა.

5. საბრძოლო მასალები შეივსეთ ჯალალ-ოღლიდან.

6. დაჭრილთა შემხვევი პუნქტი პოღოსიანცმა გახსნას ვორონცოვკასთან ახლოს, ხოლო იმ შემთხვევაში თუ ამ სოფელს დავიჭერთ, დაამზადოს იქ საკმარისი მედიკამენტები და შესახვევი მასალა.

7. საბარგო ურმები განსაკუთრებულ განკარგულებამდის ჯალალ-ოღლიში დარჩნენ, საბარგულის უფროსად ვნიშნავ პრაპორშიკ მნაცაკანიანს. საბარგულის დასაცავად ვნიშნავ მე-5 პოლკის მე-7 როტას.

8. შტაბი პირველად მე-12 როტასთან იქნება მოწყობილი და იქ უნდა იგზავნებოდეს ყველა ცნობები, ხოლო თუ შტაბის მდებარეობა შეიცვალა, დაუყოვნებლივ გაცნობებთ.

9. ჩემი მოადგილეები: კაპიტანი სტეპანიანცი, ზურაბიანცი.

ნამდვილი ხელმოწერა: რაზმის უფროსი, პოლკოვნიკი ტერ-ნიკოგოსოვი.

დედანთან სწორია: შტაბის უფროსი, პოდპოლკოვნიკი დაროელიანცი“ [10].

მოტანილი ცხრაპუნქტიანი საბრძოლო ბრძანება სრულ წარმოდგენას გვიქმნის არა მარტო სომხეთის შეიარაღებული ძალების მე-5 მსროლელი პოლკის ქვედანაყოფების პირადი შემადგენლობის რაო-

დენობასა და შეიარაღებაზე, არამედ იმაზეც, თუ რაოდენ პროფესიონალურ დონეზეა შედგენილი იგი. აქ აშკარად იგრძნობა საერთო საშტაბო კულტურა და მეთაურის მომზადების მაღალი დონე. პოლკის მეთაური, პოლკოვნიკი არტემი ტერ-ნიკოგოსოვი რუსეთის საიმპერატორო არმიისა და სომხეთის შეიარაღებული ძალების პოლკოვნიკი იყო და პირველი მსოფლიო ომის პერიოდში იგი ჯერ მსროლელ ბატალიონს, ხოლო შემდეგ ქვეით პოლკს მეთაურობდა. ასე, რომ საბრძოლო გამოცდილება მას ნამდვილად არ აკლდა.

ბრძანებაში სრულადაა წარმოდგენილი ოპერაციის დაგეგმვის, მართვა-კონტროლისა და აღსრულების ელემენტები – არსებული ოპერატიული ვითარება, ამოცანის დასმა, დამრტყმელი, დამხმარე და სარეზერვო ქვედანაყოფები, განსაზღვრულია საბრძოლო მარშის ფორმა და ოპერაციის ხაზები, სამანევრო და ზურგის ქვედანაყოფების განლაგებები და მათი გადაადგილების ტემპი, შეტევისა და იერიშის ზღუდეები და მათზე გასვლის დროები, ნაჩვენებია მართვა-კონტროლის ფორმები და ელემენტები, აგრეთვე ლოჯისტიკური უზრუნველყოფის საკითხები. წარმოდგენილი საბრძოლო ბრძანება იმდროინდელი ჯარების საშტაბო დოკუმენტაციის შედგენის ქრესტომათიულ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო ჩამოთვლილი ქვედანაყოფებისა და ბრძანების შინაარსიდან გამომდინარე, კარგად ჩანს, რომ აღნიშნული სამხედრო ნაწილი ბრიგადის სიდიდის გაშლილ მსროლელ პოლკს წარმოადგენდა.

ბოლოსდაბოლოს, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. 1918 წლის 14 დეკემბრის გამთენიისას, ვორონცოვკა-პრივოლნოეს ხაზზე სომხეთის შეიარაღებული ძალების მე-5 მსროლელი პოლკის ავანგარდმა იერიში მიიტანა ქართულ საჯარისო ქვედანაყოფზე. გენერალ ციციშვილის 1918 წლის 15 დეკემბრის შეტყობინება:

„13-ში გამთენიისას (ხაზგასმა ჩემია – ა. ჩ.) სომხეთის რეგულარული ჯარის ნაწილი, რიცხვით 500-600 კაცი შეიჭრა ვორონცოვკაში. ბატარეა ოთხნახევარი საათის განმავლობაში მუშაობდა კარტეჩზე.[1] 9

---

[1] კარტეჩი (იტალ. Cartoccio) – საბრძოლო მოქმედებებში ახლო მანძილებზე (300 მეტრამდე) და ღია ადგილზე მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალის გასანადგურებლად გამოყენებული საარტილერიო ჭურვის ტიპი. თავდაპირველად კარტეჩის ჭურვი წარმოადგენდა წვრილი ქვებისა და რკინის ნატეხების გროვას, რომელიც იყრებოდა ზარბაზნის ლულაში და მაგრდებოდა ხუ-

საათისათვის მცირერიცხოვან დამცველთა წინააღმდეგობა გატეხილ იქნა. ჩვენ დავიწყეთ ნოვო-მიხაილოვკისაკენ უკანდახევა, იქიდან კი, ნოვრუზ-ხარაბას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სიმაღლისაკენ. სომეხთა ახალი რაზმებისა და კავალერიის გამოჩენის გამო, ჩემი რაზმის ნარჩენებმა შუშის ქარხნისაკენ დაიხიეს. ჩვენი დანაკარგები უზარმაზარია. დამრჩა 40 ქვეითი და დაახლოებით ამდენივე კაცი არტილერიაში. ჩვენს მიერ მწყობრიდანაა გამოყვანილი 3 ქვემეხი. დადგენილია, რომ შეტევას ხელმძღვანელობდნენ ის ოფიცრები და ჯარისკაცები, რომლებიც ადრე ჩვენს მიერ ტყვედ იყვნენ აყვანილნი და განთავისუფლებულნი. (გავიხსენოთ რიგითი ადუაშვილის ზემოთ მოყვანილი პატაკი – ა. ჩ.).

ჩვენი დანაკარგებია: 3 ოფიცერი, დაახლოებით 100 ჯარისკაცი. დაღუპულები და დაჭრილები მტრის ხელში დარჩნენ. საბრძოლო მასალები ჩვენს მიერ გადამალულია. ველოდები დამხმარე ძალებს.

ციციანოვი“ [2, 123].

ასეთი სავალალო შედეგებით დასრულდა ქართული მხარისათვის სომხური ქვედანაყოფების მიერ განხორციელებული შეტევა ვორონცოვკაზე. ის ფაქტი, რომ მთელი ოთხნახევარი საათის განმავლობაში ქართული არტილერია კარტეჩის სროლით იგერიებდა მტრის აღმატებულ ძალებს, კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ბრძოლის მთელ სიმძიმესა და სომეხთა დიდ უპირატესობაზე ცოცხალ ძალაში. უკანასკნელი თავდაცვითი ბრძოლა კი, გენერალ ციციშვილის რაზმის გადარჩენილმა ნაწილმა სასწაულებრივად გამოტანილი ერთადერთი ქვემეხით აწარმოა სოფელ ქვეშთან [6, 4].

სომხური წყაროები ვორონცოვკის ბრძოლისა და მისი შედეგების შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდიან: „1918 წლის 13 დეკემბერს სომხეთის მთავრობამ ბრძანება გასცა გენერალ დროს[1], გაეწმინდა ქარ-

---

ფით. მაგრამ შემდეგ, ლულის შიდა არხის დაზიანების თავიდან ასაცილებლად, კარტეჩს ჯერ პატარა ტომარაში ყრიდნენ და შემდეგ ათავსებდნენ ლულაში. თანამედროვე კარტეჩის ჭურვი წარმოადგენს სფეროს ფორმის თუჯის ან ტყვიის ბურთულებს, რომელიც ლითონის ან მუყაოს შეფუთვაშია მოთავსებული.

[1] დრასთამატ კანაინი (მეტსახელად „დრო”) – სომეხი გენერალი, სომხეთ-საქართველოს ომის მსვლელობისას ლორე-დილიჟანის მიმართულების საჯარისო უფროსი და სომხეთის შეიარაღებული ძალების ფაქტიური მთავარსარდალი.

თული ჯარებისაგან ლორი. პირველსავე ღამეს პოლკოვნიკმა ტერ-ნიკოგოსიანმა თავისი ***ქვედანაყოფით*** (ასეა ტექსტში – ***Подразделение*** – ა. ჩ.) დაიკავა ვორონცოვკა და პრივოლნოე. ტყვედ იქნა აყვანილი 5 ქართველი ოფიცერი და 45 ჯარისკაცი, ალაფად კი, მოიპოვეს 3 ქვემეხი, 1 ტყვიამფრქვევი და მრავალი ცხენი. სომხების მხრიდან მოკლეს ***სარდლის მოადგილე*** (ასე წერია ტექსტში – ***Заместитель командующего*** – ა. ჩ.) ზარაფიანი და დაჭრეს რვა ჯარისკაცი" [11] (ხაზგასმები ჩემია – ა. ჩ.), – მიუნხენის სომხურ პრობლემათა კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, პარტია „დაშნაკცუტიუნის" ისტორიის ცნობილი მკვლევარი, ედუარდ ოგანესიანი.

განსახილველი საკითხიდან მცირედ გადავუხვევთ და გარკვეულ კომენტარს გავაკეთებთ ხაზგასმულ ფრაზებთან და ტერმინებთან მიმართებაში, რომელსაც ავტორი არასწორად ხმარობს. პოლკოვნიკი ტერ-ნიკოგოსოვი სამხედრო ნაწილს, კერძოდ, პოლკს მეთაურობდა და არა ქვედანაყოფს. ამიტომ პირველ ხაზგასმაში ქვედანაყოფის ხმარება შეცდომაა. სამხედრო ქვედანაყოფს განეკუთვნება პოლკთან შედარებით უფრო მცირე ტაქტიკური ერთეულები, კერძოდ – გუნდი, ათეული, ოცეული და ასეული ქვეით ჯარში, გათვლა და ბატარეა არტილერიაში, ხოლო ცხენოსანი ოცეული და ესკადრონი კავალერიაში. სამხედრო ნაწილს კი, მიეკუთვნება ცალკეული ასეული, ბატალიონი, პოლკი, ბრიგადა და დივიზია ქვეით ჯარში, ცხენოსანი დივიზიონი, ცხენოსანი ბრიგადა და დივიზია კავალერიაში, და საარტილერიო დივიზიონი, საარტილერიო ბრიგადა და დივიზია არტილერიაში. ასევე არასწორია პოლკის მეთაურის მოადგილის აღსანიშნავად ტერმინ „სარდლის მოადგილის" ხმარება. სამხედრო ქვედანაყოფს და ნაწილს (ქვეითი ჯარის შემთხვევაში – გუნდი, ათეული, ოცეული ასეული, ცალკეული ასეული, ბატალიონი, პოლკი, ბრიგადა, დივიზია) ხელმძღვანელობს პირი, რომლის სამწყობრო პოზიცია და სტატუსი აღინიშნება ტერმინით – „მეთაური", სამხედრო შენაერთებსა და გაერთიანებებს კი, ხელმძღვანელობს პირი, რომლის პოზიციაც აღინიშნება ტერმინით – „სარდალი" (კორპუსი, არმია და არმიათა ჯგუფი ან ფრონტი). ამავე გრადაციის მიხედვით განისაზღვრება სამეთაურო შემადგენლობის წოდებრივი რანგიც.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ თემას. საჯარისო ტაქტიკის თვალსაზრისით ვორონცოვკის ბრძოლა ქართული ქვედანაყოფების განწირულ თავდაცვით ბრძოლას წარმოადგენდა მტრის ათჯერ აღმატებულ ძა-

ლებთან, რომელიც ფაქტიურად ვორონცოვკის ქართული რაზმის განადგურებით დასრულდა, ხოლო თავად გენერალმა ციციშვილმა მცირე ჯგუფთან ერთად შეძლო მტრისაგან თავის დაღწევა და ჩრდილოეთით, ლოქის ქედისკენ უკანდახევა. შენიშვნის სახით დავამატებთ, რომ წარმოდგენილ ტელეგრამაში აშკარად შეცდომითაა დასახელებული სომხური ავანგარდის სოფელ ვორონცოვკაზე იერიშის მიტანისა და გენერალ ციციშვილის რაზმის განადგურების თარიღი – 13 დეკემბერი. უდავოა, რომ ტელეგრამაში შეტევის დაწყების თარიღად აღნიშნული უნდა იყოს 14 დეკემბერი, რადგან გენერალ დრასთამატ კანაიან-დროს მიერ სომხური ნაწილებისადმი გენერალური შეტევის ბრანება 13 დეკემბრით თარიღდება. გარდა ამისა, სომეხთა მე-5 მსროლელი პოლკისადმი გაცემული შეტევის საბრძოლო ბრძანებაც 13 დეკემბრითაა დათარიღებული, სომხური ძალების თავმოყრის საწყის პუნქტში, დაბა ჯალალ-ოღლიში, რომელიც ვორონცოვკიდან 8 კილომეტრითაა დაშორებული. ამ მანძილის გავლას საბრძოლო მარშით კი ორი საათი მაინც დაჭირდებოდა. ბრძანებაში დაფიქსირებულია შეტევის დაწყების ზუსტი დროც – 1918 წლის 13 დეკემბრის 22 საათი. აქედან გამომდინარე, სომეხთა იერიში და საბრძოლო მოქმედებების წარმოება ვორონცოვკა-პრივოლნოეზე და ქართული რაზმის განადგურება მხოლოდ და მხოლოდ 14 დეკემბრის დილისათვის იყო შესაძლებელი. ხოლო ის ფაქტი, რომ ქართული მხარე თითქმის ათი საათის განმავლობაში უწევდა წინააღმდეგობას მტრის მრავალჯერ აღმატებულ ძალებს, ცალსახად მიუთითებს ამ ბრძოლის მთელ დრამატულობაზე.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

1. გაზეთი „კვირის პალიტრა“, „გამარჯვებით გასრულებული სიკვდილისა და სისხლის ნადიმი (სომხეთ-საქართველოს ომი)“, 31 ოქტომბერი – 6 ნოემბერი. 2005.
2. Изъ исторіи Армяно-Грузинскихъ отношеній. 1918 годъ (пограничные конфликты; переговоры; война; соглашеніе), Государственная Типографія, Тифлисъ, 1919.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1878, ანაწერი 1, საქმე 3.
4. გიორგი კვინიტაძე, მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის წლები 1917-1921, ტომი I, „ლომისი“, თბილისი, 1998.
5. ნინო ვაშაყმაძე, სახელმწიფოებრივი საზღვრების საკითხი საქართველო-სომხეთის ურთიერთობაში 1917-1921 წლებში“, გამომცემლობა „საქართველო“, ქუთაისის ფილიალი, 2002.
6. ჟურნალი „სახალხო გვარდიელი“, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ორგანო, 12 დეკემბერი, 1920 წ., №1.
7. საქართველოს ეროვნული არქივი, ლევილისა და ჰარვარდის ფონდები, ფონდი 1970, ანაწერი 1, საქმე 45.
8. Валико Джугели, Тяжёлый крестъ (Записки народногвардейца), Съ предисловіемъ Е. П. Гегечкори, Тифлисъ, Тіпографія Правительства, 1920.
9. გვარდიის დღე ქუთაისში, გაზეთი „საქართველო“, ოთხშაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 18, №242.
10. გაზეთი „საქართველო“. 26. 12. 1918.
11. Эдуард Оганесян, Век Борьбы. Очерк 100-летней истории дашнакской партии и национально-освободительной борьбы армянского народа, Редактор канд. философских наук М. Арзуманов, Том первый, Издательство „Феникс“, Институт армянских проблем, Мюнхен-Москва, 1991. https://vtoraya-literatura.com/pdf/oganesyan_vek_borby_tom1_1991__ocr.pdf
12. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 85.

Archil Chachkhiani
Doctor of History, Colonel, (Rtd.), Professor
David Agmashenebeli Georgian National Defense Academy

Ideology, Politics, Struggle – The Vorontsovka Battle of Armenia-Georgia War

Summary

The combat operations in the Vorontsovka district of Borchalo region of Georgia are one of the most dramatic pages of the history of the Armeno-Georgian war. Although Vorontsovka battle took place in a secondary area of hostilities, and from a strategic point of view its consequences did not have a major impact on the overall course of the war, it still deserves special attention. We are talking not only about the military-operational and tactical characteristics of this struggle, but first of all, about the ideological traits of the Georgian Social Democrats and the decisions made by them – the decisions that significantly determined the nature and course of this struggle. The wrong ideological and political decisions made by the Georgian Marxists finally determined the results of this battle.

These are the issues discussed in this article.

Natia Latsabidze
Doctor of Social Sciences, assosieit professor Technical University of Georgia, assistant professor of the faculty of Law and International Relations

CRASH OF THE SOVIET UNION'S PLANNED ECONOMY AND „NOSTALGIA" OF THE PAST

Let's start with the definition of the Soviet Union, what was it? – officially the Union of Soviet Socialist Republics – was a transcontinental country that spanned most of Eurasia from 1922 to 1991. It was a federal union of fifteen national republics. The largest and the most populous republic was Russia, where the government and economy were highly centralized until its final years. The country's roots lay in the October Revolution of 1917 when Bolsheviks took over Russia. The Soviet Union became one of the world's superpowers. But at the beginning of the history of the USSR, there were no signs of this. Moreover, During the 1920s and 30s, the USSR was ignored abroad, for example: While At war with Poland, 1919 to 1921, it lost a big part of its territory (The Soviets were defeated and conceded Western Ukraine and Western Belarus to Poland, while retaining Eastern Ukraine and Eastern Belarus), lost part of its Asian empire, plus valuable territory in Eastern Europe (Finland, Baltic states), ignored by Britain and France, not recognized by the USA until Franklin Roosevelt was elected president in 1933, Distrusted by countries of Central Europe (Poland, Czechoslovakia, Romania, etc), The only option was to work with Germany

Then just 20 years later the world sow a famous photo of the first Red Army soldier entering Berlin in 1945 hanging the Soviet flag above the streets of Berlin.

How did this happen? How were they able to do it in just 20 years? They moved from one of the most destroyed powers after World War I, from a country that was in the midst of a revolution, from a country that had

lost many of its territories – to a country which was able to defeat Germany, Europe's most industrialized country at the time.

Many experts and researchers are thinking about these questions. They have some theories to explain its fast development that include:

7. Traditional Russian power projection capabilities.
8. Soviet Marxist-Leninist ideology.
9. Communist party organizational talent

The main reason is the economy – the Soviet Union`s planned economy. A bad model of economics that made the Soviet Union a superpower, because the Soviet economy worked rather well during the 1930s and 1940s from the perspective of accumulating Soviet power.

First, we have to explain what kind of economy is a planned economy?

- Command economy, which is also known as the planned economy, is a type of economy in which prices, income, production, investment, etc. everything is determined centrally by the government [1, 23-24].
- In a command economy, the government only decides the solution of three fundamental economic problems: What to produce? How to produce? And for whom to produce?
- The central planning department in the Soviet Union was the Gosplan (State Planning Commission). The Gosplan was in charge of creating the production plans. These plans were imperative. As Stalin put it: „plans are not forecasts but instructions". In 1928 Stalin introduced an economic policy based on a cycle of Five-Year Plans [2].

Let's start from the beginning. How was Lenin and his successor Stalin able to accumulate resources for the Soviet Union`s success in world war II? – They used a couple of different methods: Collectivization, Rapid industrialization, Huge military investments, Willingness to sacrifice the population for the goal of state power.

The first method was collectivization, In Soviet terminology the transformation of agriculture from private-capitalist to collective-socialist production, so abolishing all private farming and moving all workers to state owned farms forcing them to farm for the state. The collective farms were divided in two major categories: the kolkhozes and the sovkhozes. The

kolkhozes were cooperatives, collective farms and the sovkhozes were state farms. collectivization was to proceed in tandem with „dekulakization".

kulaks – was a member of the class of peasants who became owners of their own farms. After the October Revolution the kulaks opposed collectivization of land, but in 1929 Stalin initiated their liquidation. Party agitators sent to the villages to convince workers of the benefits of collectivization were often met with skepticism and mockery. Workers who resisted the pressure of regional party officials to enroll in collective farms were labeled as kulaks; Those who feared confiscation sold off their property as quickly as they could, in effect „self-dekulakization" (becoming a Kulak). By June 1929 one million – out of some 25 million – households had been enrolled in 57,000 collectives. Still, the majority held back [3].

On January 5th, 1930, the Central Committee issued its decree calling for collectivizing not merely the 20 percent of arable land envisioned in the First Five-Year Plan, but „the huge majority of peasant farms" in the most important grain-growing regions by the autumn of 1930. Workers enrolled in brigades to assist in collectivization were dispatched to the villages with great fanfare, as if they were going off to war. Much was made in propagandistic newsreels of „kulak resistance" and successful searches and confiscations carried out by the police and party officials. Those identified as kulaks were subjected to confiscation and either local resettlement, deportation, incarceration in labor camps and in case of the most dangerous „elements", execution.

The most intense period of collectivization was during the winter of 1929 to 1930 following the publication in Pravda on the twelfth anniversary of the October Revolution of Stalin's article announcing a „great breakthrough" on the road to „winning the vast masses of the peasantry to the side of the working class" [4].

When people in the West think about collectivization and industrialization, they don't usually think of them together as successes and there's a good reason for that because they often led to mass famine. Many people died of hunger during this time. For example, there was indeed a genocide in Ukraine that resulted in the deaths of millions of people largely due to starvation. This is totally unsuccessful, but from the perspective of

accumulating power in the hands of the kremlin, collectivization actually had rather different effects – after you collectivize and abolish private property in agriculture, then you had control of the food system. For the Soviet Union, like imperial Russia, the biggest export up until the 1960s was food. Once they had control over the food system they controlled all the export. By consolidating control over the agricultural sector Stalin was able to control the resources he needed to then import the machinery that provided for industrialization. Thus, he exported food obtained by collectivization and imported equipment for rapid industrialization. In 1932 there was a terrible famine, but Stalin kept exporting grain even as his own people were starving which is crucial for buying the machinery you need to industrialize. There was a direct trade in the Kremlin and they realized what was going on in Ukraine and in southern Russia but they had to keep selling grain abroad in order to get the machinery they needed for fast industrialization and they believed they had to industrialize because they faced geopolitical threats on their East (Japan) and on their West (Germany). He had to save the system and the ideology that he created [5].

•**The Second was rapid industrialization** and a program of shock industrialization which poured immense funds into building factories and power stations and railroads – the kind of materials of industrialization that every country needs to get wealthier.

The official task of industrialization was the transformation of the Soviet Union from a predominantly agrarian country into a leading industrial one. The beginning of socialist industrialization was laid down by the first five-year plan for the development of the national economy lasting from 1928 until 1932.

In Soviet times, industrialization was considered a great feat. The rapid growth of production capacity and the volume of production of heavy industry (4 times) was of great importance for ensuring economic independence from capitalist countries and strengthening the country's defense capability. During the Second World War, this Soviet industry proved its superiority over the industry of Nazi Germany. Since the late 1980s, discussions on the price of industrialization have been held in the Soviet Union and Russia, which also questioned its results and long-term consequences for the Soviet economy and society.

Researchers highlight the following features of industrialization:

1. The main investment sectors: metallurgy, engineering, industrial construction;
2. Pumping funds from agriculture to industry using price scissors;
3. The special role of the state in the centralization of funds for industrialization;
4. The creation of a single form of ownership – socialist – in two forms: state and cooperative-collective farms;
5. Industrialization planning;
6. Lack of private capital (competitive entrepreneurship in that period was illegal);
7. Relying on own resources, (it was impossible to attract private capital);
8. Over-centralized resources.

The main task of the introduced command economy was to build up the economic and military power of the state at the highest possible rates, accompanied) with the near complete elimination of private industry. The country had to expand the construction of new industries, increase the production of all types of products and start producing new equipment. Millions of people selflessly, almost by hand, built hundreds of factories, power stations, laid railways, subways. They often had to work in three shifts. In 1930, around 1,500 facilities were launched, of which 50 absorbed almost half of all investments.

What's interesting about Soviet industrialization compared to Western industrialization, is once the state started industrializing in the West average incomes started rising quickly. If we talk about the Soviet Union the situation was rather different – the state industrialized very rapidly but incomes rose far more slowly because every year Stalin took the new surplus that growth created and put it not into consumption, like buying new housing or clothes or food, but putting it back into the industrial investment process. If you were trying to build an industrial base that could defeat the Germans or the Japanese in a war you needed more factories, you needed more output of cars, tanks and planes, but if you were a Soviet citizen this was not a good deal because when you looked across the border at your neighbors in Western Europe they were able to get personal benefit (for

example high salaries) out of industrialization and not only watching the state get stronger.

•**The third – huge military** investments as a share of GDP far larger than any Western country was willing to sustain or indeed able to sustain given Western countries democracies.

Here we have to mention: **Tank Production** and **Nuclear Delivery Vehicles.**

In 1944 the USSR was producing far more tanks than Germany, and more than the United States and the United Kingdom combined. Average incomes in the UK at this time were five times higher than in the Soviet Union, but the UK still did not produce more tanks than the Soviet Union. On August 29, 1948, the Soviet Union secretly conducted its first successful weapon test. In total, the Soviet Union conducted 715 nuclear weapon tests throughout the course of the Cold War. The planned economy was able to produce the types of military output that they were looking for. This was possible because a) The USSR had a planned economy and b) a non-democratic political system. If we look at the USA, high military spending causes discontent within the population. For example, during the Vietnam War there were worries about too much spending on the military and today we see similar complaints. In the Soviet Union those complaints never existed.

What we saw: the USA economy was much larger than the Soviet Union's, but the Soviet Union throughout the Cold War spent almost the same as the United States in dollars, I think it is an incredible accomplishment for a country that has an economy maybe a third of the size of the United States to produce such high military output. So, again from the perspective of Soviet leaders the economy looked rather successful.

The Soviet economy was heavily militarized because the country was constantly confronted with hostility from other foreign powers, especially the United States (and also China after 1960). This militarization of the economy had strong structural implications. The entire production of key sectors was controlled by the VPK, the Soviet military-industrial commission. Thus, most technological innovations and scientific breakthroughs were generally first allocated to military use.

Similarly, many products such as transportation equipment (aircraft, trucks) had to be of dual use (both military and civilian). The geographic dispersion of industrial complexes was decided for strategic not economic reasons. The existence of large stocks of inventories was also necessary in this context of a „permanent war economy".

•**The fourth method was** Willingness to sacrifice the population for the purposes of state power.

Stalin was able to use ideology and propaganda to convince workers to work harder. One example of a poster from the 1930s telling the oil workers „more NEFT for the motherland". Fulfilling the 5-year plan in just four years was a result of this kind of classic example of propaganda trying to convince workers to work harder for the security or for the motherland. There were thousands of these posters made and there were awards given for workers who were able to fulfil their quotas in a shorter period of time. Thanks to his political and ideological control Stalin was able to create a system in which workers were forced to work extraordinarily hard at very low wages for the sake of industrialization.

Soviet propaganda depicted the development of a „positive hero" as requiring intellectualism and hard discipline who was not driven by crude impulses of nature but by conscious self-mastery. The selfless new man was willing to sacrifice not only his life but his self-respect and his sensitivity for the good of others. Equality and sacrifice were touted as the ideal values for the „socialist way of life". Work required exertion and austerity, to show the new man triumphing over his base instincts. In 1935, the „Stakhanovist movement" appeared, in honor of a mine worker Alexey Stakhanov, who, according to official information of that time, performed 14 norms for a shift on the night of August 30th, 1935. Alexey Stakhanov's record-breaking day in mining coal caused him to be set forth as the exemplar of the „new man". The movement inspired a lot of pressure to increase production, on both workers and managers, with critics labeled as „wreckers".

This reflected a change from early days, with emphasis on the „little man" among the anonymous labors, to favoring the „hero of labor" in the end of the First Five-Year Plan, with writers and artist told directly to produce an idea of heroization. While these heroes had to stem from the people, they

were set apart by their heroic deeds. Stakhanov himself was well suited for this role. (not only as a worker, but also for his good looks and being a well-known family man?) The hardships of the First Five-Year Plan were put forth in romanticized accounts. In 1937 to 38, young heroes who accomplished great feats appeared on the front page of „Pravda" more often than Stalin himself. This could also be a new woman; Pravda described the Soviet woman as someone who had and could never have existed before. Female Stakhanovites, however, were less common than male [6].

The Soviet posters are works of art and reflect elements of the Soviet cultural heritage. Such posters were often displayed at special stands.

As we see, the economy that Stalin put together through collectivization, through industrialization, through his massive military push, and through the sacrifices of the population before and during World War II was not only able to beat the Germans as you saw in the famous photo of the hammer and the sickle flag flying above Berlin, but it was also able to create the world's second nuclear weapon and to create the world's first intercontinental ballistic missile, which the Soviets tested before the Americans did in 1957. Then it was able to create the first rocket in space. By 1965 many people in the United States were afraid that the Soviet Union was going to out-innovate and outgrow them. Indeed, every metric we had in the 1960s suggested that Soviet Union was growing far faster than the United States and most metrics we had suggested that centrally planned economies were just as innovative as non-centrally planned ones. Today that sounds like an absurd claim to us but if you think back to the scientific achievements the Soviets had in the space race and the rocket technologies they had decided to invest in, they were able to achieve really surprising and tremendous things. Now the problem that they faced.

What changed? how was it that the Soviet Union went from one of the world's two superpowers in 1950, 1960, and even in 1970, to a country that collapsed into 15 different parts by 1991. How did this happen?

The period of economic stagnation (1974-1984)

From 1975 to 1984, Soviet economic growth slowed down markedly, leading to a period of relative economic stagnation in the USSR. The average per Capita GDP growth was less than 1% during this period.

High economic growth (1950-1973) 3,6

Stagnation (1974-1984) 0,93

Perestroika (1985-1991) -1,3

Economic stagnation had its reasons:

- Part of this is understandable because every country that has industrialized rapidly in history whether, it's Japan after World War II or Taiwan or South Korea, probably even China today has been able to grow faster when it's poorer, and its growth gets harder when you get richer. One explanation for this is that it's just part of the normal growth process as you get closer and closer to the leading countries, it's harder and harder to grow at a rapid rate.

- A second explanation is that the Soviet Union faced problems in its investment mechanism. They knew where to invest in the 1930s and 1940s- they needed to build power plants, they need to build railroads, but they lost that capability by the 1960s and 70s. They didn't know where to invest into the future and their political process didn't let them invest in the right industries, therefore they faced declining growth rates.

- An economy that is not for the people and does not grow according to the needs of the people is doomed. This bold experiment enabled rapid industrialization and urbanization, helped to defeat Nazi Germany, and defined the Soviet Union as one of only two military superpowers. These developments came at a substantial human cost, from the millions who died during the collectivization of farms to the victims of the Chernobyl meltdown. The discovery of oil in Siberia masked systemic problems in a stagnant infrastructure and rendered the socialist experiment dependent on the vagaries of Western markets. In the case of the Soviet Union, we see a classic example of the relationship between politics and economics, and that undemocratic political steps in the early years strengthened the economy. But in the end, the wrong economic model led to political collapse.

- The early strength of the Soviet command economy was its ability to rapidly mobilize resources and direct them in productive activities that emulated those of advanced economies. Yet by adopting existing technologies rather than developing their own, the Soviet Union failed to foster the type of environment that leads to further technological innovation.

In such a case, there are only two ways: either keep it by force or carry out reforms.

Gorbachev tried to carry out reforms. While attempting to maintain socialist ideals and central control over primary societal goals, Gorbachev aimed to decentralize economic activity and open the economy up to foreign trade. This restructuring, referred to as perestroika, encouraged individual private incentives, creating greater openness. Perestroika was in direct opposition to the previously hierarchical nature of the command economy. But having greater access to information helped foster critiques of Soviet control, not just of the economy, but also of its social life. When the Soviet leadership relaxed control in order to save the faltering economic system, they helped create conditions that would lead to the country's dissolution.

While perestroika initially appeared to be a success, as Soviet firms took advantage of new freedoms and new investment opportunities, optimism soon faded. A severe economic contraction characterized the late 1980s and early 1990s, which would become the last years of the Soviet Union. The challenge that Gorbachev faced when he took power in 1985 is that he was too weak to get his way, he was simply not powerful enough to push through the reforms that he wanted to push through, and the types of changes that he sought to make to reinvigorate Soviet policymaking were ineffective. Indeed, they led to the collapse of his country [7].

Soviet leaders no longer had the power to intervene amidst the growing economic chaos. Newly-empowered local leaders demanded greater autonomy from central authority, shaking the foundations of the command economy, while more localized cultural identities and priorities took precedence over national concerns. With its economy and political unity in tatters, the Soviet Union collapsed in late 1991, fragmenting into fifteen separate states.

After experiencing a catch-up period with attendant high growth rates, the planned economy began to stagnate in the 1970s. At this point, the flaws and inefficiencies of the Soviet system had become apparent. Rather than saving the economy, various piecemeal reforms instead only undermined the economy's core institutions. Gorbachev's radical economic liberalization

was the final nail in the coffin, with localized interests soon unraveling the fabric of a system founded on centralized control.

Mikheil Gorbachev and Deng Xiaoping

This is a famous photo of two communist leaders. On the left Mikheil Gorbachev,Who in 1990, was awarded the Nobel Peace Prize and on the right Chinese leader Deng Xiaoping. Later, the Chinese leader would say that Gorbachev was an idiot. Deng believed Gorbachev failed by putting political reform ahead of economic change. He put the „cart before the horse". There were two roads: the Gorbachev road of political reform and the Deng road of political force. Gorbachev rejected the China road [8, 169-192; 9, 168].

History tells us who won. In November 1989 the Berlin Wall came down. By 1991, the Soviet flag was lowered in Red Square for the last time.

Conclusion

Across the world, the future of many countries' political systems depends on what type of politics seem to support stable economic development. The notion that politics under Gorbachev were too liberal and too disorganized for effective governance is a central plank in the ideology that undergirds authoritarian rule in Russia today. Understanding why the Soviet Union collapsed – and whether under different conditions it might have survived – requires a deep dive into the history of a country that no longer exists. We must reckon with the details of how collective farms were funded, assess how central planners allocated investments, and make sense of

the Soviet government budget. Was the USSR's economic collapse in the late 1980s caused by liberalizing political reforms? Could military dictatorship have made the Soviet economy work better? Was there an authoritarian path that Gorbachev could have followed, but chose not to? New findings from Soviet archives suggest that the answer, put simply, is no.

„We are 50–100 years behind the advanced countries. We must make good this distance in ten years. Either we do it, or they crush us" – Joseph Stalin [10].

Was it paranoia of the USSR leader or the true geopolitical situation of that time? The history will judge.

Russian President Vladimir Putin has called the breakup of the Soviet Union „the greatest geopolitical catastrophe" of the 20th century. „Tens of millions of our fellow citizens and countrymen found themselves beyond the fringes of Russian territory", Putin said in a 2005 speech. The number of Russians who regret the break – up of the Soviet Union has risen to its highest since 2005, amid rising economic concerns and nostalgia for the Soviet welfare system. This trend has been observed since Putin returned to the presidency in 2012. For instance, annual polling by the Levada Center shows that over 50% of Russians bemoan the collapse of the Soviet Union (USSR), this reaching a historic high of 66% in 2018. Given that the totalitarian Soviet regime had constantly violated individuals' fundamental rights and freedoms, one wonders how so many remain nostalgic about this bygone era [11].

According to sociological surveys in the past such feelings were often triggered by loss of international prestige and questions of national identity. Now the nostalgia is more driven by economic factors and regret that there used to be more social justice, that the government worked for the people, and that it was better in terms of caring for citizens and paternalistic expectations.

Ordinary Russians have faced stagnating incomes, a weaker rouble and inflation since 2014, when the Russian economy entered recession amid falling oil prices and Western sanctions.

- Identification with the Soviet past can derive from many sources. These tend to include nostalgia for Soviet era economic and welfare policies as well as a cultural nostalgia for a particular Soviet „way of life" and traditional values.

- It can also manifest as a desire for direct worker participation in politics, and a rejection of „elitist" forms of representative liberal democracy.
- That people are always inclined to retrospectively idealize what happened to them in their youth, and that everything that happened when they were young was better, more stable, and greater.
- Finally – identifying with the Soviet Union may stem from hostility towards perceived western interference and a desire to expand Russia's borders to include parts of the former Soviet Union – the so-called „near abroad".

In that 2018 survey that found that 66% of Russian respondents expressed nostalgia for the Soviet Union, one of the top reasons was the loss of „a sense of belonging to a great power".

Russia's invasion of Ukraine two years ago and of Georgia in 2008 shows that Putin is still nostalgic for the Soviet Union and will pursue an expansionist foreign policy regardless of the West's stance. Russia has shown its willingness to commit war crimes and, more generally, to use violence to maintain and expand its sphere of influence. Hope the Russian economy cannot withstand the Russian plans.

Bibliography:

1. Gregory, Paul R.; Stuart, Robert C., 2003. Comparing Economic Systems in the Twenty-First Century. Boston: Houghton Mifflin.
2. Rosser, Mariana V.; Rosser, J. Barkley, 2003. Comparative Economics in a Transforming World Economy. MIT Press.
3. Robert Conquest, 1986, The Harvest of Sorrow: Soviet Collectivization and the Terror-Famine. Oxford University Press, ISBN 0-19-505180-7.
4. „Collectivization" Lewis Siegelbaum. https://soviethistory.msu.edu/19292/collectivization/№:~:text=The%20most%20intense%20period%20of,side%20of%20the%20working%20class.%E2%80%9D

5. Chris Miller, 2016, The Struggle to Save the Soviet Economy: Mikhail Gorbachev and the Collapse of the USSR, University of North Carolina Press.
6. „The Stakhanov Movement, 1938, Seventeen Moments in Soviet History, 2015 Retrieved 2018.
7. „Mikhail Gorbachev visited China in 1989 and found a revolution looming. What he saw changed history" – Stan Grant, 2022. https://www.abc.net.au/news/2022-08-31/mikhail-gorbachev-met-deng-xiaoping-1989-changed-history/101390172
8. Joachim Zweynert, „Economic Ideas and Institutional Change: Evidence from Soviet Economic Debates, 1987-1991", Europe Asia Studies 58, no. 2, 2006.
9. Hanson, Rise and Fall of the Soviet Economy, Levin, The Gorbachev Phenomenon.
10. Joseph Stalin, On the Tasks of Business Executives. Speech at the First All-Union Conference of Socialist Industry, 1931.
11. Tom Balmforth, Russian nostalgia for Soviet Union reaches 13-year high, 2018, https://www.reuters.com/article/world/russian-nostalgia-for-soviet-union-reaches-13-year-high-idUSKBN1OI1ZF/

ნათია ლაცაბიძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის კრახი და წარსულის „ნოსტალგია“

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საბჭოთა გეგმიური ეკონომიკის ფენომენი, მთავარი მამოძრავებელი კომპონენტები და კრახის მიზეზები. მოვლენები ქრონოლოგიურადაა წარმოდგენილი 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ და საბჭოთა კავშირის გაძლიერების, მსოფლიოს ერთ-ერთ სუპერძალად ჩამოყალიბების სრულ სურათს გვთავაზობს. შედარებითი ანალიზი კეთდება კაპიტალისტურ სამყაროსა და საბჭოთა სოციალისტური ქვეყნებს შორის. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისთვის ბუნებრივი იყო, როდესაც მიზნებს, ღირებულებებსა და ცხოვრების წესს სისტემა განსაზღვრავდა ხოლო, მაშინ როდესაც ქვეყანას იმპორტზე გაჰქონდა ხორბალი, თავად მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შიმშილის ზღვარზე იყო.

სსრკ-ში გეგმიურ ეკონომიკასთან მიმართებაში განხორციელებული ექსპერიმენტი წარუმატებული აღმოჩნდა და სულ 70 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

მიუხედავად საბჭოთა მმართველობის კრახისა, რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება და მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ნოსტალგიურადაა განწყობილი „ძველი დიდების“ მიმართ და ქვეყნის იმპერიალისტურ, აგრესიულ ნაბიჯებს ხშირად საბჭოთა კავშირის აღდგენის სურვილით ნიღბავს.

მადლენა კონწაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

კულტურული ომები თანამედროვე სოციუმში და დემოკრატიის კრიზისი

კულტურული ომი, როგორც ანალიტიკური კატეგორია, წარმოადგენს დაპირისპირებულ პოზიციებს შორის კულტურული ბრძოლის გამოხატულებას, რომელიც ცდილობს დომინირებას საკუთარი იდენტობისა და ღირებულებების ლეგიტიმურად ჩამოყალიბებით. ის ქმნის კულტურულად სადავო შეხედულებას ისეთ თემებზე, როგორიცაა ცხოვრების წესი, რელიგია, ერი, სტატუსი ან რასა, რომლებიც ღრმად არის ფესვგადგმული საზოგადოებაში. ცვალებადი და განსხვავებული შეხედულებები ფუნდამენტური ღირებულებებისა და მათი მნიშვნელობის შესახებ საჯარო სივრცეს ბრძოლის ველად აქცევს. კულტურული ომი უფრო მეტია, ვიდრე იდეოლოგიური ინტერპრეტაციების კონფლიქტი.

დღევანდელ გლობალიზებულ სამყაროში კულტურული ომი გლობალურად მიმდინარეობს და, რაც მთავარია, ეს ომი მიმდინარეობს ლიბერალური დემოკრატიის სახელით. საზოგადოების პოლარიზებისა და დაპირისპირების გარდა ეს ანტაგონიზმი მმართველი პოლიტიკური ელიტის დისკრედიტაციასა და მის მიმართ ნდობის დაკარგვას განაპირობებს, ყოფს საზოგადოებას და ანადგურებს დემოკრატიას. დემოკრატიის თანამედროვე კრიზისი არის ღირებულებითი კრიზისი და კულტურული ომის გამოვლინება, რომელიც თანდათან ღრმავდება და საზოგადოებაში გონივრულ შიშებს ბადებს, რადგან კულტურული კონფლიქტი ხშირად სცილდება ეგზისტენციალურ და მსოფლმხედველობრივ დაპირისპირებას და გადადის რეალურ ხელჩართულ ბრძოლაში.

ამ ნაშრომის მიზანია გავიგოთ, რა წინააღმდეგობები წარმოიქმნება თანამედროვე სოციუმში, რა შედეგებს მოუტანს ეს დემოკრატიას და საზოგადოებას უახლოეს ათწლეულებში? არსებობს თუ არა გზა ამ კულტურული ჩიხების დასაძლევად და, ამ ყველაფრის ფონზე, არის თუ არა დემოკრატიის მომავლისთვის ოპტიმიზმის საფუძველი?

ეს ის კითხვებია, რომელთა პასუხებიც რთულია ლიბერალური დემოკრატიის მომავლის განსაზღვრისთვის.

შესავალი

ახალი 21-ე საუკუნის დასაწყისი საკმაოდ რთული და გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა. საზოგადოება გლობალურად ცხოვრობს გაურკვევლობისა და შიშის შუაგულში. ბოლო ათწლეულების განმავლობაში განცდილი კრიზისების ერთობლიობა (11 სექტემბრის კრიზისი, დიდი რეცესია, COVID-19, მიმდინარე გეოპოლიტიკური კრიზისი ახლო აღმოსავლეთში, ომი უკრაინაში) ხაზს უსვამს ჩვენი საზოგადოებების დაუცველობას, დაკარგვის ეგზისტენციალურ შიშს. მზარდი სოციალური უკმაყოფილება, პოლიტიკური ლიდერებისა და ინსტიტუტებისადმი ნდობის დაკარგვა, უსაფრთხოების გამოწვევები, ყოფითი კულტურისა და იდენტობის საკითხები, საბოლოო ჯამში ქმნის დემოკრატიის კრიზისის განცდას.

ეს ატმოსფერო ხელს უწყობს ნაციონალიზმის აღორძინებას მის სხვადასხვა გამოვლინებაში, მათ შორის უფრო ავტორიტარულ ფორმებში, რომლებსაც დასავლურ საზოგადოებებში ნაციონალ-პოპულიზმს ან კონსერვატიზმს უწოდებდნენ.

ყოველი კრიზისი, განსაკუთრებით თუ ის გახანგრძლივებულია, ხელს უშლის კულტურის, როგორც არსებითი ფაქტორის ოპტიმისტურ გაგებას. გლობალიზაციისთვის დამახასიათებელ ტექნოლოგიურ პროგრესს თან ახლავს საზოგადოების პროგრესი. დღეს წინა პლანზე დგას მორალური იდენტობის საკითხი. თუმცა, გლობალიზაციის ამჟამინდელმა დინამიკამ გარკვეულწილად წაახალისა დებატები იმ ღირებულებებზე, რომლებზეც უნდა იყოს დამყარებული კაცობრიობის პროგრესი.

დასავლური ცივილიზაციის თანამედროვე იმიჯმა, რომელიც საკუთარ თავს ღირებულებებისა და ცხოვრების წესის კომპრომისულ ვერსიად თვლის, არსებულ ტრადიციულ საზოგადოებებში შექმნა მორალური შიშები, რომლებსაც პოპულისტები წარმატებით იყენებენ. ფასეულობები, როგორიცაა ტრადიციული ცხოვრების წესი, რასა, ერი, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ან გენდერული იდენტობა სადავო გახდა.

დასავლური პოლიტიკის ცხელი თემები, გენდერული თანასწორობა, სექსუალური უმცირესობები, პორნოგრაფია, მულტიკულტუ-

რალიზმი და სხვა კულტურული კონფლიქტები, რომლებიც დაფუძნებულია ღირებულებებზე, მორალზე და ცხოვრების წესზე, ძირითადი პოლიტიკური რღვევის ელემენტებია. კულტურამ დაიკავა ცენტრალური ადგილი პოლიტიკურ და საჯარო დებატებში და საჯარო სივრცე იქცა აკადემიურ და სოციალურ ბრძოლის ველად. ეს საფრთხეს უქმნის ეროვნული საზოგადოების არსებობას გლობალიზაციის ახალ კონტექსტში. დაძაბულობაა დემოკრატიულ ქვეყნებში, სადაც სხვადასხვა ნარატივი ერთმანეთს ეჯახება რეალობის ლეგიტიმური წარმოდგენის მონოპოლიისთვის გაუთავებელ ბრძოლაში [1].

დემოკრატიის კრიზისი იწვევს დიდი სოციალური ტრანსფორმაციის საჭიროებას, რაც გულისხმობს საზოგადოებებში პოლიტიკური და ეროვნული რეკონსტრუქციის პროექტს, რომელსაც შეუძლია გადაარჩინოს როგორც ეროვნული ღირებულებები, ასევე საერთო სიკეთე [2]. სოციალური ტრანსფორმაცია შეძლებს უკიდურესი პოლარიზაციისა და რადიკალური პოპულიზმის გადამისამართებას საერთო ძალისხმევისკენ იმ გამოწვევების გასანეიტრალებლად, რომლებიც დღეს საფრთხეს უქმნის პლურალიზმსა და დემოკრატიულ თანაცხოვრებას. ამ თვალსაზრისით, ლიბერალურ დემოკრატიებში მიმდინარე კულტურული ომები და მათი გავლენა დემოკრატიასა და სოციალურ სტაბილურობაზე განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

კულტურულმა ომებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო კონსერვატიული იდეების, ულტრამემარჯვენე ძალებისა და ნაციონალიზმის აღორძინებას მის სხვადასხვა გამოვლინებაში. დასავლურ საზოგადოებებში ეს სოციალურ-პოლიტიკური მეინსტრიმი ნაციონალ-პოპულიზმად შერაცხეს. ეს პროცესი უფრო მტკივნეულად აღიქმება დასავლეთის სტრუქტურებში ინტეგრაციის მსურველ ქვეყნებში, რომლებსაც საბჭოთა წარსული აქვთ, კერძოდ, უკრაინაში, რომელიც ჩართულია რუსეთთან ომში და საქართველოში, რომელიც ნაწილობრივ ოკუპირებულია რუსეთის მიერ. ეს ქვეყნები დიდ ნაბიჯებს დგამენ, რათა გადალახონ ყველა დაბრკოლება, რომელიც ხელს უშლის მათ ვესტერნიზაციას. თუმცა უსაფრთხოების უპრეცედენტო გამოწვევების გარდა მათ უნდა მოამზადონ საზოგადოება და მოერგონ დასავლური დემოკრატიის მშენებლობასთან დაკავშირებულ ღირებულებებს.

წარმოდგენილი ნაშრომი მიზნად ისახავს გამოავლინოს კავშირი, რომელიც არსებობს დემოკრატიის რეცესიასა და კულტურულ ომებს შორის და საზოგადოების უკიდურესი პოლარიზაციის ფონზე საფ-

რთხეს უქმნის დემოკრატიას, სტაბილურობას. ემპირიული და ანალიტიკური კვლევის მეთოდების გამოყენებით განვიხილავთ კულტურული ომის კონცეფციას, როგორც დემოკრატიული ეროზიისა და სამოქალაქო დესტაბილიზაციის მნიშვნელოვან იარაღს, დასავლური დემოკრატიისა და საქართველოს მაგალითზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ამერიკელმა სოციოლოგმა და მკვლევარმა ჯეიმს დევისონ ჰანტერმა, რომელმაც კულტურული ომის ფენომენი წინა პლანზე წამოწია, 1991 წელს თავის პუბლიკაციაში „კულტურის ომები „ბრძოლა ამერიკის განსაზღვრისთვის", აღწერა კულტურული ომების თანამედროვე ბუნება. მან ეს პროცესი განსაზღვრა როგორც დრამატული გადაჯგუფება და პოლარიზაცია, რომელმაც გარდაქმნა ამერიკული პოლიტიკა და კულტურა. მოგვიანებით, 2021 წელს, მან ამ თემაზე ვრცელი ინტერვიუ მისცა ჟურნალ Politico-ს სათაურით – როგორ შეიძლება „კულტურულმა ომმა" ძირი გამოუთხაროს დემოკრატიას – სადაც გამოთქვა შიში, რომ კულტურული ომები კიდევ უფრო გააღრმავებს დემოკრატიის არსებულ კრიზისს.

ფრენსის ფუკუიამა, დიდი თანამედროვე მეცნიერი და პოლიტოლოგი თავის ნაშრომებში „ლიბერალიზმი და მისი უკმაყოფილება" (2022) და „იდენტობის პოლიტიკის წინააღმდეგ – ახალი ტრაიბალიზმი და დემოკრატიის კრიზისი" (2018), მიიჩნევს, რომ კულტურული ომები თანამედროვეობის ყველაზე დიდი გამოწვევაა ლიბერალური დემოკრატიისთვის.

ასევე მნიშვნელოვანი ყურადღება უნდა დაეთმოს 2020 წელს გამოცემულ ე. ჯ. დიონის წიგნს „რატომ არის კულტურის ომი არასწორი ომი", სადაც ავტორი გვთავაზობს კულტურული ომების დესტრუქციული ბუნებისა და მათი შედეგების სიღრმისეულ ანალიზს. ჩვენ ასევე განვიხილავთ ამ თემაზე მრავალი მეცნიერის ღირებულ კვლევას, რომელიც დაგვეხმარება გავიგოთ თანამედროვე საზოგადოებისა და დემოკრატიის გამოწვევების არსი.

კულტურული ომის კონცეფციის თანამედროვე ინტერპრეტაცია

ტერმინი „კულტურული ომი" არის თარგმანი გერმანული kulturkampf-დან, რომელიც ეხება კულტურულ და რელიგიურ ჯგუფებს შორის დაპირისპირების კამპანიას, რომელიც წარმოიშვა 1871

წლიდან 1878 წლამდე გერმანიის იმპერიაში კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის დროს, როდესაც გერმანიის იმპერიის ინტერესები დაუპირისპირდა რომის კათოლიკური ეკლესიის გავლენას [3].

როდესაც ჯეიმს დევისონ ჰანტერმა პირველად გააჟღერა კულტურული ომის კონცეფცია ამერიკის სინამდვილეში, თითქმის 150 წელი იყო გასული გერმანიის კულტურული ომის (kulturkampf) დაწყებიდან. ჰანტერი მაშინვე მოექცა ცეცხლის ქვეშ. ბევრი ეძებდა პასუხს კითხვაზე: არის თუ არა „კულტურული ომები" რეალური სოციალური ფენომენი, თუ მხოლოდ გარკვეული ჯგუფების ინტერესების გამოვლენის შედეგია. მათ შორის იყვნენ პოლიტიკური პარტიები და რელიგიური მიმდინარეობები. კულტურული ომის თემა უფრო ხშირად ხდება კრიტიკის ობიექტი, როგორც ხელოვნური ან ასიმეტრიული კონფლიქტების პროცესი, ვიდრე სხვადასხვა კულტურებს შორის ფუნდამენტური განსხვავებების შედეგად გაჩენილი წინააღმდეგობა.

სამეცნიერო ლიტერატურის ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ კულტურული ომი მხოლოდ მცირე პოლიტიკური ელიტის ქცევის გამოხატულებაა. ზოგი მას რეალურ და ფართოდ გავრცელებულ კონფლიქტად თვლის, როგორც ხალხის პოლიტიკური ქცევისა და რწმენის ფუნდამენტურ მახასიათებელს. ასევე იყო მოსაზრებები, რომ კულტურული ომები იქმნება პოლიტიკური პარტიების, ინტერესთა ჯგუფების, რეაქციული სოციალური მოძრაობების წინასაარჩევნო დინამიკის ან საარჩევნო პოლიტიკის, როგორც სტრატეგიის იარაღების სახით. რომელიც გამოიყენება შიდა და გარე პროაქტიური პოლიტიკური ჯგუფების შესაქმნელად [4].

ჯ. ჰანტერს, ვირჯინიის უნივერსიტეტის ახალგაზრდა სოციოლოგს, არ გამოუგონია ეს ტერმინი, მაგრამ მისმა წიგნმა ის საჯარო დისკურსში შემოიტანა და რამდენიმე წელიწადში იგი ფართოდ გამოიყენებოდა, როგორც კულტურული დაყოფისა და პოლარიზაციის მარკერი, რომელსაც აქვს პოლიტიკური მნიშვნელობა. ჰანტერი იმედოვნებდა, რომ კულტურული ომის საკითხზე ყურადღების მიქცევით დაეხმარებოდა ამერიკას „შეგუებოდა წარმოშობილ კონფლიქტს" და შეემსუბუქებინა გარკვეული დაძაბულობა, რომელიც მან კვლევაში აღწერა [5].

30 წლის შემდეგ, ჩვენ ვხედავთ, რომ კულტურული ომები დემოკრატიულ ქვეყნებში კვლავ წინა პლანზეა. მათი ფარგლები გაფართოვდა და მოიცავდა ყველა პოლიტიკას რელიგიისა და ოჯახის კულ-

ტურის მიღმა. საზოგადოებებში იზრდება კონფლიქტი ქვეყნების მომავალთან დაკავშირებით.

„კულტურული ომები ყოველთვის წინ უსწრებს შეიარაღებულ ომებს. კულტურის თემები თითქოს არ იწვევს ომს, მაგრამ თითქმის არ არსებობს ომი კულტურული ომის გარეშე, რადგან კულტურა ამართლებს ძალადობას" [6].

„ადრეული კულტურული ომები ნამდვილად ეხებოდა სეკულარიზაციას და პოზიციები თეოლოგიურად გამართლებული იყო" – ამბობს ჰანტერი. „ეს ასე აღარ არის. იშვიათად ნახავთ ადამიანებს, რომლებიც თავიანთ პოზიციებს ბიბლიურ თეოლოგიას ან საეკლესიო ტრადიციას აფუძნებენ. დღეს ეს პოზიცია ძირითადად გადაშენების შიშზეა დაფუძნებული [6].

ახლა, როცა პოლიტიკა სულ უფრო მეტად იყოფა ამ საკითხებზე, ლიდერები ძალაუფლებას და პოპულარობას იძენენ უკმაყოფილების გამოწვევით. რეალობა, რომ კულტურულმა ომმა პოლიტიკის კოლონიზაცია მოახდინა, შემაშფოთებელია. პოპულიზმი ძირს უთხრის დემოკრატიას. ასევე ცხადია, რომ „პოლიტიკურ საკითხებზე შეგიძლიათ კომპრომისზე წასვლა; მაგრამ ეს არ შეიძლება მორალური ჭეშმარიტების საკითხებზე". ჰანტერმა კულტურული ომი განსაზღვრა, როგორც „პოლიტიკური და სოციალური მტრობა" მორალური გაგების სხვადასხვა სისტემაში, რომლის მიზანია „სოციალური კულტურის" ჩამოყალიბება „სიმბოლოებისა და მნიშვნელობების მეშვეობით, რომლებიც მართავენ თემის, რეგიონის ან ერის ცხოვრებას". არსებული ხედვები და ურთიერთობები ორ პოლუსს შორის გაიყო. ერთ მხარეს არის „ქრისტიანული მართლმადიდებლური პოზიციები, სადაც უპირატესობა ენიჭება ტრადიციულ მორალურ – ხშირად რელიგიურ – ღირებულებებს, ეროვნული ისტორია დადებითად აღიქმება და კოლექტიური ნორმებისა და წესრიგის შეცვლას უფრთხილდებიან.

ე.წ. „პროგრესულ" ოპოზიციაში გამოწვევაა მართლმადიდებლური ღირებულებები. ისინი ხაზს უსვამენ ინდივიდუალურ სოციალურ თავისუფლებას და სამართლიანობას, თანასწორობას სოციალურ ჯგუფებს შორის. თუმცა, ჰანტერის პუბლიკაციის შემდეგ კულტურული ომის პოტენციურად მნიშვნელოვანი საკითხები სხვა განზომილებაში გამოკვეთა. მაგალითად, ევროპულ პოლიტიკაში კულტურულ თემებზე წინააღმდეგობები ეხებოდა იმიგრაციას, კრიმინალს და ევროინტეგრაციას. საზოგადოებრივი კულტურის სხვადასხვა მორალური სისტემა გვიჩვენებს ურთიერთობისა და გავლენის პოლუსებს შორის დაყოფას.

სტანდარტული განმარტების გარეშე რთულია კულტურის ომის საკითხების იდენტიფიცირება. „კულტურული ომი“ ფართოდ გავრცელებული ტერმინია, მაგრამ რას გულისხმობს ხალხი მასში, ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება განსხვავებული იყოს.

ბევრი მკვლევარი კულტურული ომის პრობლემას უკავშირებს ყველაფერს, რასაც კულტურა ჰქვია. ეს ტერმინი ასევე ხშირად გამოიყენება პოლარიზაციის აღსანიშნავად [7], მაგრამ პოლარიზაციის პრობლემები სულაც არ არის კულტურული ომის პრობლემა.

ასევე არის ტერმინის ახლებურად განსაზღვრის მცდელობები. მაგალითად, ტერმინი „კულტურული ომი“ შეიძლება გამოვიყენოთ ისეთ საკითხზე, რომელიც ჯეიმს ბრეკვოლდტის თანახმად, აკმაყოფილებს ყველა შემდეგ კრიტერიუმს:

1. არაეკონომიკური საკითხი, რომელიც ცდილობს მორალური მსოფლმხედველობის დამკვიდრებას საზოგადოების ერთ ნაწილში იმ იმედით, რომ ეს ხელს შეუწყობს ფართო საზოგადოების დომინანტური ღირებულების სისტემის შეცვლას.

2. არსებული ტერიტორიის წესების, სოციალური ნორმებისა თუ სიმბოლოების შეცვლის მცდელობა, რასაც დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკოსები ტრადიციულად პირდაპირ არ აკონტროლებენ.

3. კონკრეტული საკითხი, რომელიც განიხილება ე. წ. „პროგრესული“ და „მართლმადიდებლური“ დამოკიდებულებების ჭრილში.

4. დებატები მოიცავს ორმხრივ მტრობას სამოქალაქო აქტივისტებს შორის [8].

ავტორის მიერ მოცემული ახალი განმარტება საინტერესო და მრავალმხრივია და ეფუძნება ვრცელ კვლევას. თუმცა, ასევე ცხადია, რომ კულტურული ომის მრავალი ინტერპრეტაცია იქნება, რადგან ახალი საკითხები მუდმივად ჩნდება კულტურული ბრძოლების მუდმივად განვითარებად ლანდშაფტში [9].

თანამედროვე სამყაროში, სადაც პოპულიზმი წინა პლანზეა, მემარჯვენე და მემარცხენე პოზიციები გაერთიანებულია ელიტური კულტურისა და ღირებულებებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით. მიუხედავად მათი მცდელობისა, წარმოაჩინონ სხვადასხვა პოპულისტური მოძრაობა ცალკე პოლიტიკურ ფორმად, როგორც ჩანს, მათ საერთო არაფერი აქვთ, გარდა ტექნოკრატიული მმართველობის იდეალებისა და პოლიტიკისადმი მტრობისა. თუმცა, ბოლო დროს იყო მცდელობები ღრმა ანალიზისა იმის აღიარებით, რომ ეს მოძრაობები

არ არის უბრალოდ მტრული რეაქცია პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ. არამედ ეს არის რეაქცია ისეთ კულტურულ ფასეულობებზე, რომლებიც ელიტებთან შეხებაში არ არის. საარჩევნო პოლიტიკის მიღმა, საზოგადოებაში უფრო ღრმა ბზარები გაჩნდა, რაც ადასტურებს, რომ არსებობს კონფლიქტი ღირებულებებსა და იდენტობასთან დაკავშირებით, რაც საბოლოოდ გამოიწვევს ეკონომიკური გადანაწილების ტრადიციულ დაყოფას მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის.

როგორ ანგრევს კულტურული ომი დემოკრატიას

აღარავინ დაობს იმაზე, რომ ლიბერალური დემოკრატია კრიზისშია. როგორც ჩანს, დაბრუნდა ის დრო, როცა ევროპა რელიგიისა და ნაციონალიზმის გამო ომებში იყო ჩაფლული. ე. წ. „მოწინავე" (ულტრა) ლიბერალიზმი არის სისტემა სხვადასხვა საზოგადოებების მართვისთვის, რომელიც დაფუძნებულია თანასწორობისა და კანონის უზენაესობის ფუნდამენტურ პრინციპებზე. იგი ხაზს უსვამს ინდივიდების უფლებებს, განახორციელონ ბედნიერების საკუთარი ფორმები [10].

ლიბერალიზმი ყოველთვის არ ამართლებდა მოლოდინებს და არ იცავდა იდეალებს. ბევრ ღირსეულ ადამიანს უარი ეთქვა კანონის წინაშე თანასწორობაზე. ადამიანის საყოველთაო უფლებების დაცვაზე მსჯელობდნენ საუკუნეების განმავლობაში და ახლა ეს წრე კიდევ უფრო გაფართოვდა. მასში შედიოდნენ ქალები, აფროამერიკელები, LGBTQ+ ადამიანები და სხვები. ბევრ ქვეყანაში კონსერვატორები ჩივიან, რომ ლიბერალიზმი აზრს უკარგავს ცხოვრებას და მის შინაარსს ასუფთავებს. ლიბერალიზმის პრინციპები ბოლო ათწლეულებში ახალ უკიდურესობამდე მიიყვანეს, როგორც მემარჯვენეებმა, ასევე მემარცხენეებმა: ნეოლიბერალებმა შექმნეს ეკონომიკური თავისუფლების კულტი, ხოლო პროგრესულებმა ყურადღება გაამახვილეს ადამიანის იდენტობის უნივერსალურობაზე, როგორც მათი პოლიტიკური ხედვის ცენტრალურ ელემენტზე. ეს იწვევს სამოქალაქო საზოგადოების დაშლას და დემოკრატიის მზარდ საფრთხეს [10].

ეჭვგარეშეა, რომ ლიბერალური დემოკრატია ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში რთული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. მეცნიერები ასევე საუბრობენ დასავლურ სამყაროში ფესვგადგმული დემოკრატიული წესრიგის „დე კონსოლიდაციაზე" [11]. იზრდება ავტოკრატიების, ოლიგარქიების და სხვა არადემოკრატიული რეჟიმების რიცხვი. ასეთი რეჟიმები მოიცავენ დემოკრატიულ ელემენტებს და, ფაქტობრი-

ვად, ჰიბრიდულ პოლიტიკურ სისტემებს წარმოადგენენ. მათ აკლიათ თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები, საყოველთაო ხმის უფლება, სასამართლო დამოუკიდებლობა, თავისუფალი პრესა და ადამიანის სხვა უფლებების დაცვა. მაგრამ ისინი თავს ლეგიტიმურად თვლიან და ამტკიცებენ, რომ ეს არის ხალხის „ჭეშმარიტი" ნება. ამის მიზეზი, პირველ რიგში, პოპულიზმის ზრდაა [12]. ლევიცკი და ზიბლატი წიგნში – „როგორ იღუპებიან დემოკრატიები" – ამტკიცებენ, რომ „ავტორიტარიზმისკენ მიმავალი საარჩევნო გზის ტრაგიკული პარადოქსი არის ის, რომ დემოკრატიის მკვლელები იყენებენ დემოკრატიის ინსტიტუტებს – თანდათანობით, დახვეწილად და ლეგალურად" [13] .

ყველაზე დიდი რისკი თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიისთვის ისაა, რომ ჩვენ ვაგრძელებთ ნდობას დემოკრატიისა და მისი სხვადასხვა მოდელების მიმართ მაშინაც კი, როდესაც ისინი სათანადოდ არ ფუნქციონირებენ [14]. დემოკრატიული სახელმწიფოს მახასიათებლები მსოფლიო მასშტაბით ძალიან სწრაფად დაეცა ბოლო წლებში, რაც ნაწილობრივ ციფრული მედიის მზარდი გავლენის შედეგია. ამ ფონზე აუცილებელია, შეფასდეს რას წარმოადგენს დღეს ლიბერალური დემოკრატია და რეალურად როგორი გვინდა იყოს. პრობლემებზე საუბარი საკმარისი არ არის, მთავარია ღირებულების გაგება და გადაფასება.

თუ საჯარო სივრცე და ძირითადი სტანდარტები არ იქნება შინაარსზე და ღირებულებებზე ორიენტირებული, საჯარო სფერო თავისი ძლიერი ინსტიტუტებითა და საზოგადოება სხვადასხვა გზით დაზარალდება. „ადამიანები, რომლებსაც აღარ სჯერათ დემოკრატიისა და სჯერათ დაკარგული ღირებულებების, ვერაფერს გადაწყვეტენ. მათ არ გააჩნიათ არა მხოლოდ მოქმედების უნარი, არამედ აზროვნების და განსჯის უნარი და ასეთ ადამიანებთან შეგიძლიათ გააკეთოთ ის, რაც გინდათ" [15].

დიალოგი და დისკუსია აუცილებელია ძლიერი დემოკრატიისთვის. დღეს, როდესაც საზოგადოებრივი სფეროს დიდი ნაწილი ონლაინ, სოციალური მედიის პლატფორმებზეა, ამ პლატფორმების უმეტესობის მფლობელები სიძულვილითა და განხეთქილებით ძლიერდებიან. რაც უფრო საშინელია ტყუილი, მით უფრო აღმაშფოთებელია ცილისწამება და მით უფრო დამაჯერებელი.

ვაღიაროთ, რომ ანალიტიკური ცენტრების და სხვა სამოქალაქო ორგანიზაციების როლი რეფლექსიასა და პოლიტიკურ დებატებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მედიის გაძლიერება და სამოქალაქო აქ-

ტივიზმი მიმდინარეობს მწვავე დებატებისა და კულტურული ომების ფონზე, რაც იწვევს ღრმა პოლარიზაციას და რადიკალიზაციას.

ფრენსის ფუკუიამა მე-20 საუკუნის ბოლოს წერდა, რომ მომავალში დემოკრატიას უდავოდ ეყოლება მემკვიდრე და მისი მთავარი იდეოლოგიური და პოლიტიკური მეტოქე აზიაში გაჩნდებოდა. მას სჯეროდა, რომ იდეოლოგიურ დონეზე მოვლენები დამოკიდებული იქნებოდა სამოქალაქო საზოგადოებისა და კულტურის დონეზე განვითარებულ მოვლენებზე. ეს პროგნოზი დღეს რეალობად იქცა. დემოკრატიის კონსოლიდაცია ოთხ დონეზე ვითარდება. ეს არის იდეოლოგია, ინსტიტუტები, სამოქალაქო საზოგადოება და კულტურა. დემოკრატიული ინსტიტუტების საყრდენი არის ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოება, ხოლო თავად სამოქალაქო საზოგადოების წარმმართველი არის კულტურა, როგორც ტრადიციით მიღებული ირაციონალური ეთიკური ჩვევა. ის განიცდის უახლეს ცვლილებებს. სამოქალაქო საზოგადოებაში ცვლილებები ნელი ტემპით მიმდინარეობს. ვირტუალურ სივრცეში კი ცვლილებების ტემპი დიდია, ეს დამოკიდებულია კულტურის დონის მახასიათებლებზე.

ფუკუიამა ვარაუდობს, რომ დემოკრატიის სერიოზული კონკურენტი იქნება პატერნალისტური აზიური ავტორიტარიზმი, რადგან ტრადიციულ აზიურ კულტურებში პოლიტიკური ძალაუფლების საყრდენი არის მასების მორალური განათლება და არა ინსტიტუტები. მაგალითად, კონფუციანიზმი ახდენს ინდივიდის სოციალიზებას, რომ ინდივიდუალიზმი ოჯახს დაუქვემდებაროს. ოჯახი არის ფუნდამენტური სამშენებლო მასალა ჩინეთის საზოგადოებისთვის. აზიური ალტერნატივის არსი ასეთია: ეს საზოგადოება დაფუძნებულია არა ინდივიდის უფლებებზე, არამედ ღრმა ფესვგადგმულ მორალურ კოდექსზე, რომელიც მყარ საფუძველს იძლევა ძლიერი სოციალური სტრუქტურებისა და საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის. სამომავლოდ აზიაში დემოკრატიის მომავალს არ განსაზღვრავს დასავლური ინსტიტუტების ეფექტურობა, არამედ ის, თუ როგორ იღებენ აზიელები დასავლური საზოგადოებისა და კულტურის პრობლემებს. უფლებებზე დაფუძნებული ლიბერალიზმი სავსებით თავსებადია ძლიერ საზოგადოებრივ სოციალურ სტრუქტურებთან და დისციპლინირებულ კულტურულ ჩვევებთან. ამრიგად, ლიბერალური დემოკრატიის ბედის დასადგენად არ იქნება წინაალმდეგობა ინსტიტუტების დონეზე, აქ არის გარკვეული კონსენსუსი მსოფლიოს თვალსაზრისით [16].

მიმდინარე „კულტურული ომები“ აჩვენებს, რომ ჯანსაღი და დი-

ნამიური სამოქალაქო საზოგადოების შენარჩუნება პრობლემად რჩება უძველესი და ერთი შეხედვით სტაბილური დემოკრატიული ქვეყნებისთვისაც კი.

გაყოფილი საზოგადოება – პოლარიზაციის მძევალი

პოლიტიკური პოლარიზაცია საზოგადოებაში მაშინ ღრმავდება, როდესაც არსებული პოლიტიკური თუ იდეოლოგიური განსხვავებები ყალიბდება ერთგანზომილებიან პოლიტიკურ სივრცეში, სადაც საპირისპირო მხარეები პოლიტიკას და საზოგადოებას აღიქვამენ მხოლოდ „ჩვენ" და „სხვა" ჯგუფებად. ასეთ რეალობაში დაპირისპირებული ბანაკის წევრებს შორის მიღების, კომპრომისის, თანამშრომლობისა და მოლაპარაკების ზღვარი მინიმუმამდეა დაყვანილი. მწვავე პოლარიზაციის დროს „მეორე" მხარე აღიქმება არა პოლიტიკურ ოპონენტად, არამედ როგორც ეგზისტენციალურ მტრად და მიზანი ხდება არა უბრალოდ მისი დამარცხება, არამედ მისი განადგურება [17].

ბოლო ათწლეულის განმავლობაში პოლარიზაცია გლობალურ გამოწვევად იქცა, რომელიც თანაბრად პრობლემურია დემოკრატიის ხარისხის, პოლიტიკური ტრადიციების, პარტიული სისტემების ან სხვა სტრუქტურული მახასიათებლებით რადიკალურად განსხვავებული სახელმწიფოებისთვის, როგორიცაა, მაგალითად, აშშ, დიდი ბრიტანეთი, უნგრეთი, პოლონეთი, ბრაზილია და ა. შ. კვლევები აჩვენებს, რომ პოლიტიკური პოლარიზაცია გლობალურად იზრდება 1960-იანი წლებიდან და მისი ხარისხი 2010 წლიდან ხუთი ერთეულით გაიზარდა [18]. მიუხედავად სხვადასხვა ადგილობრივი კონტექსტისა, პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი ხარისხი აძლიერებს უნდობლობას დემოკრატიული ინსტიტუტების მიმართ, ხელს უშლის საზოგადოებრივ ინტერესებზე ორიენტირებულ პოლიტიკას და ბადებს ძალადობასა და დისკრიმინაციას სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფის მიმართ [19].

პოლიტიკური პოლარიზაცია მწვავეა ისეთ საზოგადოებებში, სადაც არის უსამართლობისა და უკმაყოფილების მაღალი განცდა, ერთი ჯგუფის მიერ წარმოდგენილი მომავლის ხედვა რადიკალურად განსხვავდება მეორისგან და გამორიცხავს ერთმანეთის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას [17]. ამ ანტაგონიზმს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა საფუძველი, როგორიცაა კონფლიქტი დომინანტურ რელიგიურ ჯგუფებს შორის, კონფლიქტური დამოკიდებულება ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის მიმართ, ეთნიკური დაყოფა,

იდეოლოგიური კონფლიქტი, რომელიც გამოიხატება სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ღირებულებების ბრძოლაში და ა. შ.

პოლიტიკური პოლარიზაცია ასევე გარკვეულ პოზიტიურ როლს თამაშობს ჯანსაღი დემოკრატიის ჩამოყალიბებაში და შეიძლება სასარგებლოც კი იყოს, რადგან ის გვეხმარება პოლიტიკურ პარტიებს შორის განსხვავებების მკვეთრად გამიჯვნაში, ააქტიურებს ამომრჩეველს და ცხადყოფს პარტიების რეალურ პოზიციებსა და შეხედულებებს სხვადასხვა საკითხებზე. თუმცა, პოლიტიკური პოლარიზაციის მაღალი ხარისხი ითვლება საფრთხედ დემოკრატიული მმართველობისთვის და თანამედროვე დემოკრატიების დაცემის გლობალური ტენდენციის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად.

პოლიტიკური პოლარიზაცია შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ დემოკრატიულ რეჟიმებში მიმდინარე პროცესების აღსაწერად და აკადემიური ლიტერატურაც ძირითადად კონცენტრირებულია ასეთ ქვეყნებზე [20], თუმცა პოლარიზაცია ასევე დაგვეხმარება ასეთი პოლიტიკური რეჟიმების პოლიტიკური რეალობის ახსნაში, რომლებიც საქართველოს მსგავსად არა სრულყოფილი დემოკრატია, არამედ პოლიტიკური სისტემაა. ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები მეტ-ნაკლებად დემოკრატიულია და პოლიტიკურ პარტიებს აქვთ შესაძლებლობა შეცვალონ ხელისუფლება არჩევნების გზით (ჰიბრიდული რეჟიმები).

როგორიც უნდა იყოს პოლარიზაციის ბუნება, მისი შედეგები შეიძლება იყოს თანაბრად დამღუპველი დემოკრატიისთვის: დემოკრატიული სისტემა უნდა იყოს ორიენტირებული სიმართლის პოვნაზე დებატების გზით და არა მოწინააღმდეგის განადგურებაზე.

სოციალური მედიის ალგორითმები კვებავს პოლარიზაციას. ის იქცევა მძლავრ პოლიტიკურ ინსტრუმენტად, რომლის მეშვეობითაც პოპულისტი ლიდერები მიზანმიმართულად ხლეჩენ საზოგადოებას საკუთარი მხარდაჭერის გაზრდის მიზნით.

ერთი შეხედვით, პოლარიზაცია საქართველოში დასავლური ტენდენციების ანარეკლია. ევროპისა და ამერიკის მსგავსად დღეს საქართველოშიც ცხარე კონფლიქტია ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის. თუმცა, ექსპერტებს თუ დავუჯერებთ, ქართულ პოლიტიკაში იდეოლოგიური საფარველის მიღმა დაპირისპირების ფესვები უფრო ლიდერებისა და მათ მიერ დაფუძნებული პარტიების ინტერესებზე გადის – თუნდაც დაპირისპირებული მხარეები ღირებულებებითაც კი არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან.

ზოგიერთი ავტორი საუბრობს ქართულ საზოგადოებაში კულტურულ კონსერვატიზმსა და პროგრესიზმს შორის კონფლიქტზე და სოციალურ პოლარიზაციაზე, რომელიც პოლიტიკურ ელიტამდეც აღწევს [21, 10]. აღნიშნული წინააღმდეგობები ნამდვილად არსებობს, მაგრამ მათი გავლენა ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე უფრო მეტად ვლინდება არა პოლარიზაციის, არამედ სხვა ფორმებით (მაგ., პოპულიზმი).

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოში მასობრივი პოლარიზაცია არ არის. უფრო მეტიც, თვალსაჩინოა პოლარიზებული პოლიტიკური ელიტისა და არაპოლარიზებული საზოგადოების გაუცხოება.

მზარდი პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოში 2016 წლიდან შეინიშნება [22]. პოლიტიკური სივრცე ორ დიდ პარტიას „ქართულ ოცნებასა" და „ნაციონალურ მოძრაობას" შორის დაპირისპირების პლატფორმად იქცა. განსაკუთრებით მაღალი დონის პოლარიზაცია გამოვლინდა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.

ღირებულებითი განცხადებები ძირითადად განთავსებულია ლიბერალ-კონსერვატიული განხეთქილების ღერძის გასწვრივ. შეიძლება ითქვას, რომ „ქართული ოცნება" იხრება ტრადიციულ-კონსერვატიული ღირებულებებისკენ, ხოლო „ნაციონალური მოძრაობა" ლიბერალურისკენ. მათ შორის, ღირებულებითი სხვაობის ერთ-ერთ წყაროდ შეიძლება დავასახელოთ საქართველოს უახლესი ისტორიის განსხვავებული შეფასება, განსაკუთრებით „ვარდების რევოლუციისა" და 2008 წლის აგვისტოს ომის მემკვიდრეობა. მიუხედავად ამ განსხვავებებისა, კვლევები აჩვენებს, რომ იდეოლოგიურად მკვეთრი განსხვავებები მხარეებს შორის არ არსებობს. ორივე მხარე მიმართავს დასავლურ ღირებულებებს და აცხადებს პროდასავლური კურსის ერთგულებას. ორივე მხარე ისწრაფვის ევროპული ინტეგრაციისა და ჩრდილოატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებისკენ. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური ელიტის პოლარიზაცია საქართველოში უფრო უარყოფითი და მტრული რიტორიკის სტრატეგიის შედეგია, ვიდრე იდეოლოგიური განსხვავებისა. ორივე პარტია ეფექტურად იყენებს პოპულისტურ ლექსიკას, რომელიც დაფუძნებულია კოლექტიური შიშებითა და ტრავმებით მანიპულირებით (მაგ. ომის საფრთხე), რათა გააღრმავოს პოლარიზაცია და ამით გაზარდოს მხარდამჭერთა რაოდენობა 2024 წლის არჩევნებზე.

ქართული პოლარიზაცია ასახავს დასავლურ ტენდენციებს და ევროპისა და ამერიკის მსგავსად საქართველოში მიმდინარე კულტურული კონფლიქტი ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორისაა. თუმცა, ანალიტიკოსები აქ ხაზს უსვამენ პოლიტიკური ლიდერების და მათი პარტიების წინააღმდეგობას იდეოლოგიური ფონის მიღმა – მაშინაც კი, თუ ოპონენტებს შორის ღირებულებითი განსხვავება არ არის.

პოლიტიკური კონფრონტაცია წააგავს ბრძოლას, რომლის ყველაზე სავარაუდო შედეგი დემოკრატიული სისტემის ნგრევაა.

პოლარიზაციის ბუნება საქართველოში ეფუძნება რადიკალიზაციას, ნულოვანი ჯამის თამაშის პრინციპებს და ინდივიდუალურ პიროვნებებზე დაფუძნებულ სტრატეგიებს. ეს გავლენას ახდენს მთელ საზოგადოებაზე და უკვე გადადის ღია ძალადობრივ კონფლიქტში. პოლარიზაცია განსაკუთრებით უარყოფით გავლენას ახდენს დემოკრატიულ და კონსენსუსზე ორიენტირებულ პოლიტიკურ კულტურაზე.

ღიად თუ ფარულად მიმდინარე კულტურული ომისა და პოლარიზაციის გავლენის შესამცირებლად სასურველია შიდა დონეზე დაბალანსებული პოლიტიკის წარმოება და პოლარიზაციის შემსუბუქების ინტენსიური პროცესის ხელშეწყობა საერთაშორისო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, რათა ეს არ იქცეს ქვეყანაში დესტაბილიზაციის მძლავრ ბერკეტად.

დასკვნა

გლობალიზაციის თანამედროვე დინამიკამ გააძლიერა დებატები იდენტობის შესახებ. ეს კონფლიქტი, რომელიც აერთიანებს ბევრ მიმდებარე თემას, აღიქმება, როგორც „კულტურული ომი“, რომელიც არღვევს საზოგადოების სტაბილურობასა და დემოკრატიას. „კულტურული ომი“, როგორც ტერმინი, ამ შემთხვევაში ხაზს უსვამს საზოგადოებაში დეკულტურაციის იდეას. დემოკრატიული მმართველი უმრავლესობა არ არის მზად ასეთი ტრანსფორმაციისთვის. სწორედ „კულტურული ომი“ იწვევს პოლარიზაციის მაღალ დონეს და პოპულიზმის გამოვლინებას, რომელიც ანგრევს დემოკრატიას.

„კულტურული ომის“ მორალური ელფერი ცვლის დამოკიდებულებას დემოკრატიის ძირითადი ღირებულებების მიმართ. ასეთი ომების ნეო-პოპულისტურმა ტალღამ ნათლად გამოავლინა მორალური იმედგაცრუება და რღვევა, რომელიც ხალხს პოლიტიკური ელიტის-

გან ჰყოფს. პოლიტიკურ აქტორებს უნდა შეეძლოთ დემოკრატიული პროცესების მთლიანობაში აღქმა [23].

კონსერვატორები და ნაციონალ-პოპულისტები დღეს ცდილობენ მორალური იდენტობის პრობლემის გადაჭრას ცენტრალურ კითხვაზე „ვინ ვარ მე" პასუხების შეთავაზებით, რომელიც მოითხოვს იმის გარკვევას, თუ რა მნიშვნელობას და ღირებულებას ვანიჭებთ საგნებს, რათა დავძლიოთ თანამედროვე იდენტობის კრიზისი [24]. იდენტობა შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც თანაარსებობის ინტეგრირებული პროექტი, რომელიც უდავოდ მოითხოვს ერის, თემების, საზოგადოების ყოვლისმომცველ ხედვას.

პატრიოტიზმის გაგებაში ჩანს „კულტურული ომების" მორალური დიალოგებით ჩანაცვლების სურვილი [2]. ეს დიალოგები საშუალებას გვაძლევს გავიგოთ მორალური კულტურის მრავალფეროვნება და არსებული სირთულეები იმ ღირებულებების განსაზღვრისას, რომლებიც უნდა იყოს გაზიარებული საზოგადოებაში ერთიანობის შესანარჩუნებლად. ადამიანის უფლებების, როგორც კოლექტიური მორალის მართებულობა და მისი საბოლოო ტრანსფორმაცია ასევე ჩანს კულტურულ დებატებში. ამგვარად, საზოგადოებამ უნდა იმსჯელოს, გაიგოს და გამოიტანოს დასკვნები. მხოლოდ ამ დიალოგის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს კონკრეტული ქმედებები „კულტურული ომის" შედეგად გამოწვეული შედეგების შესაფასებლად და საზოგადოებაში ახალი კონსენსუსების მისაღწევად.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. Zerubavel, Eviatar. 2018. Taken for Granted. The Remarkable Power of the Unremarkable. Princeton: Princeton University Press.
2. Etzioni, A. 2019. Reclaiming Patriotism. Charlottesville: University of Virginia Press. https://open.upress.virginia.edu/system/actioncallout/654dbd16-e69f-4312-8373-75966e55cb01/attachment/original-d28be8834f40d60b73-b31f103e88285f.pdf
3. Tomson, Irene. 2010. Culture wars and enduring American dilemmas. https://library.oapen.org/viewer/web/viewer.html?file=/bitstream/handle/20.500.12657/30571/645338.pdf?sequence=1&isAllowed=y

4. Dionne, EJ, Jr. 2020. „Why the Culture War Is the Wrong War." 2020, The Atlantic.
5. Hunter, JD. 1991. Culture Wars. The Struggle to Define America. New York: Basic Books.
6. Hanter, JD. 2021. How the „culture war" can undermine democracy, https://www.politico.com/news/magazine/2021/05/20/culture-war-politics-2021-democracy-analysis-48990005/20/2021 05:30 PM EDT
7. Campbell.J.E. 2016. Polarized: Making Sense of a Divided America. Princeton University Press
8. Breckwoldt, J. 2023. Who Cares About the Culture War? Evidence from a Vote Choice Conjoint Experiment. University of Manchester. file:///C:/Users/user/Downloads/SSRN-id4598123.pdf
9. Prothero, S. 2016. Why Liberals Win (Even When They Lose Elections): How America's Raucous, Nasty, and Mean Culture Wars Make for a More Inclusive Nation. Harper Collins.
10. Fukuyama, F. 2022. Liberalism and Its Discontents. https://profilebooks.com/wp-content/uploads/wpallimport/files/PDFs/9781800810082_preview.pdf
11. Foa, R.; Mounk, Y. 2017. The Signs of Deconsolidation. https://www.researchgate.net/publication/312382790_The_Signs_of_Deconsolidation
12. Mudde, C; Kaltwasser, C. R. 2017. Populism: A Very Short Introduction, Very Short Introductions. https://kellogg.nd.edu/sites/default/files/old–files/documents/378_0.pdf
13. Levitski, S; Ziblatt, D. 2018. How Democracy Die. Retrived from https://www.eui.eu/Documents/DepartmentsCentres/SPS/ResearchAndTeaching/How-Democracies-Die.pdf
14. Runciman, D. 2018. How Democracy Ends. Retriwed from, https://www.researchgate.net/publication/338322261_How_Democracy_Ends_By_David_Runciman_Pp_250_London_Profile_Books_2018_1499
15. Arendt, H. 1974. Crises of the Republic, published Florida, USA https://monoskop.org/images/7/70/Arendt_Hannah_Crises_of_the_Republic.pdf

16. Fukuyama, F. 2018. Against Identity Politics The New Tribalism and the Crisis of Democracy foreign affairs
17. Mccoy J., Rahman T., Somer. „Polarization and the Global Crisis of Democracy: Common Patterns, Dynamics, and Pernicious Consequences for Democratic Polities." American Behavioral Scientist, 62 (1), 2018.
18. Casal BF., Rama J. 2021. Polarization: „What Do We Know and What Can We Do about It?"; Frontiers in Political Science.
19. Carothers T., O' Donohue J. 2019. „Democracies Divided: The Global Challenge of Political Polarization". The Brookings Institute. Washington D.C.
20. Veen Olaf van der. „Political Polarisation Compared: Creating a Comprehensive Index of Political Polarisation". Submitted to Central European University.
21. Gegeshidze A, Waal T. 2021. „Divided Georgia: A Hostage to Polarization." Carnegie Europe. www. eu/2021/12/08/divided-georgia-hostage-to-polarization-pub-85937.
22. Casal BF; Enyedi, Z. 2022. Elite and mass dynamics: The east central european example. https://whogoverns.eu/wp-content/uploads/2014/10/Enyedi-Casal-B%C3%A9rtoa.pdf
23. Sánchez-Prieto, JM. 2023. „Culture Wars and Nationalism" *Religions* 14, no. 7: 898. https://doi.org/10.3390/rel14070898
24. Taylor, C. 1989. Sources of the Self: The Making of the Modern Identity. Cambridge, MA: Harvard University Press.

Madlena Kotsotsashvili
Doctor of Social Sciences Technical University of Georgia, Associate Professor of the Faculty of Law and International Relations

Culture wars in modern societies and the crisis of democracy

Summary

Culture war, as an analytical category, is an expression of the cultural struggle between opposing positions, which tries to dominate by legitimately establishing its own identity and values. It creates a culturally contested view of topics such as lifestyle, religion, nation, status or race that are deeply rooted in society. Changing and divergent views on fundamental values and their meaning make the public space a battleground. A culture war is more than a conflict of ideological interpretations.

In today's globalized world, the culture war is going global. And most importantly, this war is being waged in the name of liberal democracy. In addition to polarizing and confronting society, this antagonism leads to discredit and loss of trust in the ruling political elite, divides society and destroys democracy. The modern crisis of democracy is a crisis of values and a manifestation of cultural war, which gradually deepens and raises reasonable fears in society, because the cultural conflict often goes beyond existential and worldview confrontation and turns into a real hand-to-hand struggle.

The purpose of this paper is to understand where these contradictions leave us, what consequences will this bring to democracy and society in the coming decades? Is there a way to overcome these cultural impasses, and in the face of it all, is there reason for optimism for the future of democracy? These are difficult questions to answer in determining the future of liberal democracy.

Keywords: democracy, polarization, culture war, crisis of democracy, civil society, globalization, populism

ირმა გიკაშვილი
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, სსიპ ქ. ჩოლოყაშვილის სახელობის თბილისის 178-ე საჯარო სკოლის ისტორიის მენტორი მასწავლებელი

პრომეთეისტური მოძრაობა და ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის იდეა

საქართველოში 1924 წლის ეროვნული აჯანყების ჩახშობის შემდეგ პოლონეთი გახდა დამოუკიდებლობის აღდგენისთვის მებრძოლი კავკასიელი ემიგრანტების ძირითადი საგარეო პარტნიორი.

ემიგრაციაში მყოფ ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ, რომ საჭირო იყო ახალი სამოქმედო გეგმა და ისეთი საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა, რაც საინტერესოსა და მომგებიანს გახდიდა ქართულ საკითხს წამყვანი ევროპული ქვეყნებისათვის.

პოლონელებიც ეთანხმებოდნენ აზრს, რომ წითელი იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლა ეფექტური შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ კავკასიაში დამონებული ერების კოორდინირებული ბრძოლის შედეგად. პოლონელებმა მიზნად დაისახეს ახალი სიცოცხლე შთაებერათ კავკასიის კონფედერაციის კონცეფციისთვის, როგორც კავკასიურ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ერთადერთი შესაძლო ფორმისთვის. ეს იქნებოდა ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის იდეა, ერთი ხელისუფლებით, საერთო თავდაცვითი ორგანიზაციით, საერთო საგარეო პოლიტიკით და ერთა კულტურული თავისებურებების შენარჩუნებით. ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს იდეამ ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა კავკასიელ ემიგრანტთა წრეებში [1, 581].

ემიგრაციამ კიდევ ერთხელ მოიკრიბა დასუსტებული ძალები და შეუდგა მუშაობას ამ მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ 1925 წლის მეორე ნახევრიდან ქართველ მემარჯვენეთა და მემარცხენეთა ერთიანი ფრონტის შექმნის ინიციატივა გადავიდა ეროვნულ-დემოკრატების ხელში, რომლებიც ვარშავის

მფარველობით სარგებლობდნენ, სადაც ამ დროს იმავე სახელწოდების პოლონური პარტია იყო ხელისუფლებაში. 14 აგვისტოს სტამბულში ეროვნულ-დემოკრატების, სოციალ-დემოკრატების და სოციალ-ფედერალისტების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას პარიტეტულ საწყისებზე ქართული პოლიტიკური პარტიების ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას [2, 68}. ამ დოკუმენტს ხელი მოაწერეს დავით ვაჩნაძემ (ეროვნულ-დემოკრატი, კავკასიის კონფედერატთა გაერთიანებული კომიტეტის წევრი), ვასილ წულაძემ (სოციალ-დემოკრატი) და სიმონ მდივანმა (სოციალ-ფედერალისტი, საქართველოს ყოფილი ელჩი ანკარაში).

ამის პარალელურად იყო მცდელობები სამხედრო კავშირში გაეერთიანებინათ პოლონეთში მყოფი ქართველი ოფიცრები და იუნკერები, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე სადაზვერვო და პარტიზანული ოპერაციების მწარმოებელი ორგანიზაციები. პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფი ქართველი ოფიცრების დიდი უმრავლესობა მემარჯვენე შეხედულებებს იზიარებდა. „მათი დიდი ნაწილი ოპოზიციაში იყო ვარშავაში ჟორდანიას მთავრობის სამხედრო წარმომადგენელ, გენერალ ალექსანდრე ზაქარიაძესთან მიმართებაში. ერთიანობის აღდგენის მიზნით გადაწყდა ვარშავაში გაგზავნილიყვნენ 1924 წლის აჯანყების ხელმძღვანელები: პოლკოვნიკი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი და გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე“ [3, 150].

1925 წლის გაზაფხულზე ვარშავაში დემოკრატიული საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა პავლე თუმანოვმა (თუმანიშვილი) თხოვნით მიმართა პოლონეთის ხელისუფლებას, რომ პოლონეთის არმიაში ჩაერიცხათ ჩოლოყაშვილი, ჭავჭავაძე და 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე სხვა ქართველი ოფიცრები. ჩოლოყაშვილი და ჭავჭავაძე ვარშავაში ჩავიდნენ, როგორც იმ ქართული სამხედრო ორგანიზაციის არაოფიციალური ხელმძღვანელები, რომელშიც იგეგმებოდა ქართველი ოფიცრების და იუნკერების გაერთიანება.

პოლონელები თავდაპირველად ინტერესს გამოხატავდნენ საქართველოში პარტიზანული მოქმედებების განახლების მიმართ, თუმცა 1925 წლის ბოლოს პოლონეთში შიგა სიტუაციის არევის გამო მოლაპარაკებები შეწყდა. ამ დროისთვის პოლონეთის საზოგადოება, ისევე როგორც პოლიტიკოსები დაყოფილი იყვნენ ხელისუფლებაში

მყოფი ეროვნულ-დემოკრატებისა და სოციალისტების (რომლებსაც პილსუცკი ხელმძღვანელობდა) მომხრეებად. ისტორიკოს გ. მამულიას აზრით, „მიუხედავად იმისა, რომ გენერალი სიკორსკი თანახმა იყო 1924 წლის აჯანყების მონაწილე ქართველი ოფიცრების ქართულ არმიაში ჩარიცხვის, ამის წინააღმდეგ წავიდა პოლონეთის გენერალური შტაბის უფროსი, რადგან პოლონეთში ვარაუდობდნენ, რომ ეს ფაქტი საბჭოთა კავშირის გაღიზიანებას გამოიწვევდა. ამ საკითხში უარყოფითი როლი შეასრულა გენერალმა ზაქარიაძემაც, რომელსაც თავისი გავლენის დაკარგვის ეშინოდა. ზაქარიაძემ ამ მიზნით მოიშველია პოლონეთის კანონმდებლობა, რომლის მიხედვითაც ოფიცრებს ეკრძალებოდათ პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანება და ჩოლოყაშვილსა და ჭავჭავაძეს ბრალად დასდო, რომ ისინი აპირებდნენ ქართველ ოფიცერთა შორის შეექმნათ ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფები, რომლებიც მტრულად იქნებოდნენ განწყობილი სოციალ-დემოკრატების მიმართ“ [3, 153].

ამის პარალელურად გრძელდებოდა სტამბულში კავკასიის კონფედერატთა კომიტეტის რეორგანიზაციის საკითხზე განხეთქილება. 1926 წლის მეორე ნახევარში პოლონეთში, ქვეყნის შიგნით მომხდარი ცვლილებების შედეგად, სასწორი საბოლოოდ გადაიხარა სოციალ-დემოკრატების და მუსავატელების მხარეს.

1926 წლის 15 ივლისს დასრულდა სტამბულში გაერთიანებული ცენტრალური კავკასიური ორგანიზაციის – კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის (კდკ) შექმნა, რომელსაც უნდა მოეხდინა მთელი კავკასიელების საქმიანობის კოორდინაცია [4, 66]. საქართველოს ამ სტრუქტურაში წარმოადგენდნენ ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი ნოე რამიშვილი და პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიაში და თურქეთში მოქმედი საქართველოს გათავისუფლების კომიტეტის ყოფილი წევრი ნესტორ მაღალაშვილი.

ჩრდილოკავკასიელები კდკ-ში ძირითადად წარმოდგენილი იყვნენ კავკასიის მთიელთა პარტიის სახით, რომელსაც ხელმძღვანელობდა საიდ-ბეკ შამილი. სომხების კდკ-ის საქმიანობაში ჩართვა ვერ მოხერხდა. კდკ-ის შექმნაში განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის პოლონეთის სამხედრო ატაშეს სტამბულში, პოლკოვნიკ შტეცელს [3, 156].

წესდების მიხედვით კდკ უნდა ყოფილიყო საიდუმლო ორგანიზაცია, რომელიც თავისი საქმიანობის ფოკუსირებას მოახდენდა კავკა-

სიასთან კავშირის შენარჩუნებაზე და იქ სადაზვერვო და პროპაგანდისტული საქმიანობის წარმოებაზე. ამ საქმიანობისთვის მას სჭირდებოდა ბეჭდვითი ორგანო, რომელიც ასევე საიდუმლოდ უნდა გავრცელებულიყო ოკუპირებული საქართველოს, აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე. ამ მიზნით, იგეგმებოდა თურქეთში დაწყებულიყო რუსულენოვანი ჟურნალის „დამოუკიდებელი კავკასია" (Независимый Кавказ) გამოცემა (რადგან იმ დროისთვის რუსული ენა კავკასიის ყველა ქვეყანაში იცოდნენ). კომიტეტის ანგარიშზე ყოველთვიურად უნდა ჩარიცხულიყო იმ დროისთვის ძალიან მნიშვნელოვანი თანხა – 1000 აშშ დოლარი, რომლიდანაც 250 აშშ დოლარი უნდა მოხმარებოდა კდკ-ის ჟურნალის გამოცემას.

მალე გაირკვა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ასეთი ფართო ანტიბოლშევიკური საქმიანობის გაშლა ვერ მოხერხდებოდა. „ამას ხელს შეუშლიდა ბოლშევიკური სპეცსამსახურების საქმიანობა, ასევე თურქეთ-საბჭოეთის 1925 წლის მეგობრობის და კეთილმეზობლობის შესახებ შეთანხმება" [5, 45]. ამიტომ გადაწყდა, რომ გაზეთი გამოსულიყო პარიზში. ამჯერად უკვე არა რუსულ, არამედ ფრანგულენოვან გამოცემას უნდა მოეხდინა დამოუკიდებელი კავკასიის იდეების პოპულარიზაცია დასავლეთის ქვეყნების დიპლომატიურ და სამთავრობო წრეებში. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად იყო განპიროებებული იმით, რომ კავკასიური რესპუბლიკებიდან ერთს, საქართველოს, საფრანგეთში გააჩნდა იურიდიულად აღიარებული სახელმწიფოს სტატუსი, 1933 წლამდე პარიზში ოფიციალურად ფუნქციონირებდა ქართული დიპლომატიური წარმომადგენლობა (ლეგაცია), ამასთან საქართველოს განსაკუთრებული და სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში, აკაკი ჩხენკელი შეყვანილი იყო საფრანგეთში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსის სიაში.

ამ ყოველთვიური ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა პარიზში, 1926 წლის ნოემბერში, ოფიციალური სახელწოდებით „პრომეთე, კავკასიის და უკრაინის ხალხების ეროვნული დაცვის ორგანო". უკრაინა ამ შემთხვევაში ჩასმული იყო სახელწოდებაში ვარშავის ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც წითელი იმპერიის გარშემო საიმედო სანიტარული ზონის შექმნისთვის აუცილებლად მიიჩნევდა უკრაინის დამოუკიდებლობას.

ჟურნალ „პრომეთე"-ს დაარსებით ასევე საფუძველი ჩაეყარა თვით პრომეთეისტურ მოძრაობასაც. ორგანიზაციის ერთ-ერთ დოკუ-

მენტში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „პრომეთეიზმი წარმოადგენს რუსეთის მიერ ჩაგრულ უკლებლივ ყველა ხალხის მოძრაობას“ [6, 99] .

ჟურნალის ტირაჟი იყო 1000 ეგზემპლარი, რომლის დიდი ნაწილი უფასოდ ურიგდებოდა პოლიტიკურ მოღვაწეებს საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებში.

ჟურნალის პოლიტიკური პროგრამა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები დაფიქსირებული იყო მის რეგლამენტში, რომელიც 1927 წლის დასაწყისში იქნა მიღებული. რადგან ეს ჟურნალი კდკ-ის ოფიციალური ორგანო იყო, მისი რედკოლეგია შედგებოდა სამი კავკასიელი რედაქტორისგან (ქართველი, აზერბაიჯანელი და ჩრდილოკავკასიელი).

საფრანგეთში დიპლომატიური ლეგაციის ქონა ქართველებს საშუალებას აძლევდა ჟურნალი გაევრცელებინათ როგორც პარიზში აკრედიტირებულ დიპლომატებს შორის, ისე ფრანგულ სამთავრობო წრეებში. სწორედ ამიტომ, ჟურნალის მთავარი რედაქტორი და მისი შეუცვლელი ხელმძღვანელი 1926 წლიდან იყო გიორგი გვაზავა – პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, მწერალი, მთარგმნელი, პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ლიდერი, საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი.

გიორგი გვაზავა უდავოდ ითვლებოდა კავკასიელ ემიგრანტთა ერთ-ერთ გამორჩეულად განათლებულ წარმომადგენლად. მას ჰქონდა ქართულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობის დიდი სტაჟი. სხვა ყველაფერთან ერთად გიორგი გვაზავამ თარგმნა ფრანგულად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“.

ჟურნალის საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ევროპის საზოგადოებრივი წრეების იმ წარმომადგენელთა თანამშრომლობისთვის მიზიდვის საკითხს, რომლებიც კრემლისგან დამონებული არარუსი ხალხების განთავისუფლებას უჭერდნენ მხარს. „პრომეთეს“ მათ შორის კითხულობდნენ კავკასიის საკითხებით პროფესიონალურად დაკავებული ფრანგი და არა მარტო ფრანგი დიპლომატები.

ОГПУ (გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველო) შეშფოთებული იყო სტამბულში კდკ-ის, როგორც „პრომეთეს“ მოძრაობაში შემავალ კავკასიელთა ცენტრალური ორგანიზაციის შექმნით და გადაწყვიტა მიემართა ტერორისათვის.

1926 წელს საქართველოს ОГПУ-ს თავმჯდომარის, ლავრენტი

ბერიას ბრძანებით სტამბულში, სიმონ მდივანის (საქართველოს დევნილი მთავრობის წარმომადგენელი თურქეთში და პრომეთეისტური მოძრაობის აქტიური ხელმძღვანელი) ფაქტიური ლიკვიდაციის მიზნით გაგზავნილ იქნა ჩეკისტი და პროფესიონალი მკვლელი – შალვა წერეთელი, რომელიც შემდგომ საქართველოს სსრ-ს შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. წერეთელმა ყველა მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა, თუმცა ოპერაცია გაუქმებულ იქნა მოსკოვის ბრძანებით. „სავარაუდოდ ბოლშევიკები მოერიდნენ დასავლეთის ქვეყნებთან და თურქეთთან ურთიერთობის გართულებას" [3, 162]. მცირე ხნის შემდეგ, 1926 წლის მაისში პარიზში ОГПУ-ს აგენტის მიერ მოკლული იქნა უკრაინის სახალხო რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელი სიმონ პეტლიურა, რომელიც იმავდროულად „პრომეთეს" მოძრაობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ხელმძღვანელიც იყო.

1927 წლიდან საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება ქართველი ემიგრანტების სასარგებლოდ შეიცვალა, რამაც მათი მხრიდან საქართველოში ბოლშევიკების წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების მოწყობის მცდელობა რეალური გახადა. კერძოდ:

1927 წელს, ანკარის მიერ დასავლეთის ქვეყნებთან რიგი შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ, თურქეთსა და სსრკ-ს შორის ურთიერთობა ნელ-ნელა გაუარესდა. ამავე წელს ყველასათვის თვალშისაცემი გახდა თურქეთის და ინგლისის დაახლოება, ასევე გარკვეული ინგლისური წრეებისა და პოლონელების მხრიდან კავკასიელ ემიგრანტთა გაერთიანების მცდელობები, რის გამოც კრემლი ძალიან შეშფოთებული იყო და სასწრაფოდ ცდილობდა კონტრზომების მიღებას.

ინგლისის დაახლოება კავკასიელ ემიგრანტებთან გამოიწვია შემდეგმა მოვლენებმა: ინგლისელები ძალიან გააღიზიანა 1927 წლის შემოდგომაზე ცენტრალურ აზიაში რკინიგზის მშენებლობამ, რომელიც საბჭოეთის და ავღანეთის საზღვართან გადიოდა. ლონდონი შიშობდა, რომ კომუნისტები გეგმავდნენ ეს რკინიგზა გამოეყენებინათ ავღანეთში და ირანში შეჭრისთვის. იმავე წლის მაისში, ლონდონსა და მოსკოვს შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა ინგლისურ-საბჭოთა სავაჭრო საზოგადოების „არკოსის" საქმის გამო.

ბოლშევიკების მხრიდან მათი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევის (1926 წელს შახტიორთა გაფიცვის დაფინანსება) და ბრიტანეთის კოლონიებში ძირგამომთხრელი საქმიანობის წარმოების (1927 წლის თებერვალში კომინტერნმა ბრიუსელში ორგანიზება გაუკეთა აღმოსავ-

ლეთის ჩაგრული ხალხების კონგრესს, რომელსაც ნერუც ესწრებოდა) საპასუხოდ ლონდონმა გადაწყვიტა, წაექეზებინა ანტიბოლშევიკური ემიგრანტული ორგანიზაციების საქმიანობა, მათ შორის დაგეგმილი ჰქონდათ, ეს გავრცელებულიყო არა მარტო არარუს ეროვნებებზე, არამედ რუს მონარქისტებზეც. ძირითადი აქცენტი ინგლისელების მხრიდან პირველ კავკასიურ ორგანიზაციებზე კეთდებოდა, რადგან 1924 წლის აჯანყების მარცხის შემდეგ სკეპტიკურად იყვნენ განწყობილი სოციალ-დემოკრატების შესაძლებლობების მიმართ (თუმცა პრომეთეისტული ფრონტის მემარცხენე ძალებთან თანამშრომლობაზეც არ ამბობდნენ უარს). ლონდონი და ვარშავა ყველა ანტიბოლშევიკური კავკასიური ორგანიზაციისგან მოითხოვდნენ გაერთიანებას.

ფრანგები ასევე გარკვეულწილად შეუერთდნენ ლონდონის ამ წამოწყებას. 1925 წელს პარიზში კრემლთან დაწყებული მოლაპარაკებები მეფის ვალების შესახებ წარუმატებლად დასრულდა. ამის შემდეგ, 1926 წელს საფრანგეთის მთავრობამ რუმინეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას მოაწერა ხელი, რომელიც იგნორირებას უკეთებდა რუსების პრეტენზიებს ბესარაბიაზე. 1927 წელს, დიპლომატიური ურთერთობების დარღვევის გარეშე, ფრანგებმა მოითხოვეს მოსკოვისგან პარიზიდან ელჩის გაწვევა. სსრკ ეჭვობდა, რომ ამ გადაწყვეტილების უკან იდგა ჰენრი დეტერინგი, რომელიც პარიზში პარალელურად აწარმოებდა მოლაპარაკებებს კავკასიელ ემიგრანტებთან.

გერმანიამ 1922 წელს რაპალოს ხელშეკრულებით ცნო სსრკ. ვაიმარის რესპუბლიკის შიგნით მმართველი წრეები ძალიან დანაწევრებული იყვნენ. ზოგიერთი მაღალჩინოსანი სამხედრო და დიპლომატი (მაგალითად რეიხსვერის გენერალური შტაბის უფროსი, გენერალი ფონ სეექტი) მხარს უჭერდა სსრკ-თან კავშირს; ზოგი (მაგალითად, გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი მაქს ჰოფმანი) პირიქით, ანტიბოლშევიკურ პოლიტიკას ემხრობოდა, რადგან იმედოვნებდა, რომ ინგლისურ-ფრანგულ ანტისაბჭოურ ბლოკთან მათი დაახლოება საერთაშორისო არენაზე გერმანიის პოზიციებს გაამყარებდა.

საინტერესო იქნება იმის აღნიშვნაც, რომ იმავე წლის 17 სექტემბერს ქ. ტურში შეხვედრისას საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბრიანმა გერმანიის კანცლერ გუსტავ შტრეზემანს განუცხადა, რომ მისი აზრით ბოლშევიზმი დიდი ხნით ვერ შეინარჩუნებდა ხელისუფლებას. ამ მოსაზრების დასასაბუთებლად ის სწორედ საქართველოს და უკრაინის დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას უსვამდა ხაზს.

იტალიისა და ინგლისის პოლიტიკურად დაახლოება დამატებით იმედებს აძლევდა ემიგრანტთა წრეებს ერთიანი ანტიბოლშევიკური ბლოკის შექმნის თვალსაზრისით.

მალე ფრანგი პრემიერის მსგავსად, მუსოლინიც ხელს აწერს რუმინეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულებას, მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში იტალიას და სსრკ-ს შორის ჯერ კიდევ კარგი ურთიერთობები იყო.

ქართველი მემარჯვენეები შეეცადნენ გამოეყენებინათ ასეთი ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება. ამ პერიოდში განსაკუთრებით იკვეთება სპირიდონ კედიას როლი. იგი იყო ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, პოლიტიკური ემიგრანტი 1921 წლიდან. კედიამ მემორანდუმი გაუგზავნა გერმანელ მემარჯვენე წრეებს, ამავე პარტიის კიდევ ერთი ხელმძღვანელის შალვა ქარუმიძის შუამავლობით, რომელიც პირველი მსოფლიო ომის პერიოდში თანამშრომლობდა გერმანულ დაზვერვასთან. კედია გერმანელებს ქართულ-გერმანული თანამშრომლობის განახლებას სთავაზობდა.

იმავე წლის ბოლოს პარიზში შედგა შეხვედრა ერთი მხრივ, გენერალ ჰოფმანს, კედიას, ქარუმიძეს და მეორე მხრივ, ალფრედ ნობელს შორის, რომელიც ბოლშევიკების მხრიდან კონფისკაციას დაქვემდებარებული კავკასიის ნავთობის საბადოების იურიდიული მესაკუთრე იყო.

შეხვედრაზე გადაწყდა შექმნილიყო კავკასიის განთავისუფლების კომიტეტი.

ნობელს ზურგს უმაგრებდა ნავთობის კონცერნ „როიალ დატჩ შელის" მფლობელი ჰენრი დეტერინგი, რომელიც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ბოლშევიკები არ დათანხმდებოდნენ კავკასიის ნავთობის გაყიდვის მისეულ პირობებს. იმის გათვალისწინებით, რომ პირველ მსოფლიო ომამდე, გროზნოს და ბაქოს ნავთობის ნახევარი მისი კომპანიის საკუთრება იყო, ის ძალიან იყო დაინტერესებული ბოლშევიკებისგან კავკასიის განთავისუფლებით. შესაბამისად მან მზადყოფნა განაცხადა დაეფინანსებინა ეს წამოწყება.

პარალელურად იგეგმებოდა სამხედრო ოპერაციის დეტალებიც. თურქეთის ტერიტორიიდან იგეგმებოდა გერმანელი მოხალისეების შეჭრა საქართველოში, ქართველი პარტიზანების მხარდაჭერით. ოპერაციისთვის უნდა ეხელმძღვანელა გენერალ კრესს ფონ კრესსენშტე-

ინს, რომელიც 1918 წელს ხელმძღვანელობდა გერმანულ სამხედრო მისიას კავკასიაში და კარგად იცნობდა ადგილობრივ პირობებს. იმავდროულად, სხვა ქართული რაზმები ქართველი ოფიცრების ხელმძღვანელობით ინგლისური გემების მეშვეობით დესანტირებული უნდა ყოფილიყვნენ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე. ჩრდილოეთით, ყუბანის კაზაკები, გენერალ ანდრეი შკუროს მეთაურობით უნდა გადამსხდარიყვნენ ტუაფსეში. ყირიმი უნდა აეღოთ რუს მოხალისეებს, გენერალ პეტრე ვრანგელის მეთაურობით.

ინგლისელები გეგმავდნენ ბოლშევიკებისთვის შეეტიათ არა მარტო შავი ზღვის აუზში, არამედ კასპიის რეგიონშიც. 1927 წლის აპრილში, მოსკოვთან დიპლომატიური ურთიერთობების ფორმალურ დარღვევამდე, ინგლისელმა სამხედროებმა ბოლშევიკების მიერ ცენტრალურ აზიაში რკინიგზის მშენებლობის საპასუხოდ შეიმუშავეს აზერბაიჯანში, ჩეჩნეთსა და კასპიის ზღვაში სტრატეგიული სამიზნეების დაბომბვის გეგმა. იგეგმებოდა, რომ ბოლშევიკების მხრიდან ირანსა და ავღანეთში შეჭრის შემთხვევაში ბრიტანული სამხედრო თვითმფრინავების სამ ესკადრილიას დაებომბა ნავთობის საბადოებისა და იარაღის საწყობები ბაქოსა და გროზნოში, ასევე საზღვაო კომუნიკაციები კასპიის ზღვაში (ირანში შუალედური დაშვებებით). ასევე ამ ოპერაციებით მოხდებოდა კონტრშეტევის მხარდაჭერა, რომელსაც ინგლისელები გეგმავდნენ ავღანეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონიდან, სადაც ადგილობრივი პარტიზანებიც უნდა გააქტიურებულიყვნენ.

ამ სამხედრო ოპერაციის წინ კედიამ მიიღო დავალება, შეექმნათ ქართული მემარჯვენე პარტიებისა და ორგანიზაციების კოალიცია, რომელშიც უნდა გაერთიანებულიყო ორგანიზაცია „თეთრი გიორგი“, გენერალ კვინიტაძის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი „ქართველ ოფიცერთა კავშირი“ და პოლკოვნიკ ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ყოფილ პარტიზანთა კავშირი.

1927 წლის მაისში კედია ლონდონში იმყოფებოდა, სადაც მონაწილეობდა კავკასიის პრობლემის განხილვაში დეტერინგთან და ჰოფმანთან ერთად.

საბოლოოდ, 1928 წლის დასაწყისისთვის დეტერინგმა გადაწყვიტა, უარი ეთქვა პროექტის შემდგომ დაფინანსებაზე და თამაშიდან გასულიყო. როგორც ჩანს ჩათვალა, რომ ბოლშევიზმის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომის დაფინანსება მის შესაძლებლობებს აღემატებოდა.

ОГПУ კარგად იცნობდა ემიგრანტთა სუსტ მხარეებს და ანტიბოლშევიკური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა მათ შორის დაპირისპირების ინსპირირების გზით წარმართა. მან შეძლო განხეთქილების შეტანა სოციალ-დემოკრატებსა და მემარჯვენეებს შორის, მათ შორის არსებული უნდობლობის გამოყენებით.

ამ პერიოდიდან ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის დაპირისპირება მკვეთრად თვალშისაცემია, რაც კარგად არის ასახული სპირიდონ კედიას წერილებში, რომელიც დაცულია მის პირად არქივში. არქივი 2005 წელს პარიზიდან ჩამოიტანეს ისტორიკოსებმა ოთარ ჯანელიძემ და ალექსანდრე ნონეშვილმა.

სპირიდონ კედიასა და გრიგოლ ვეშაპელს შორის მიმოწერაში ჯერ კიდევ 1923 წლიდან იკვეთება, რომ ეროვნულ-დემოკრატები ურთიერთობების გადასინჯვას სოციალ-დემოკრატებთან 1924 წლის აჯანყებამდეც აპირებდნენ. „მართალია სოც. დემოკრატები ისე დასუსტდნენ საქართველოში და ყველგან (განსაკუთრებით ევროპაში), რომ უჩვენოდ მუშაობა არ შეუძლიათ, მაგრამ ჩვენ ისე არ გავძლიერებულვართ ორგანიზაციულად, რომ ცალკე მათ წინააღმდეგ მუშაობა და ერის გაძღოლა შევძლოთ"– წერდა 1932 წლის 20 აპრილით დათარიღებულ წერილში გრ. ვეშაპელი სპ. კედიას [19, 22]. იმავე წერილში ვეშაპელი პარტიის გაძლიერების თავისებურ გზასა და მეთოდს სთავაზობს კედიას: „მე, პირადად, თუ მჯერა ჩვენი მიმართულების – იმავე პარტიულ, სექტანტურ-დისციპლინარულ-ორგანიზაციული მეთოდით, რა მეთოდითაც თავის დროზე მესამე დასელები გაბატონდნენ საქართველოში და რა მეთოდიც იხმარა ფაშიზმმა იტალიის ჭკუაზე მოსაყვანად" [19, 23]. აქ ახსნას აღარ დავიწყებთ, თუ რა მეთოდით მოვიდნენ ფაშისტები იტალიაში და მესამე დასელები კი საქართველოში. ეს ყველასათვის დღესავით ნათელია.

შიშობდნენ რა, რომ დასავლეთის მხარდაჭერა მემარჯვენე ძალების გავლენას გაზრდიდა საქართველოში, სოციალ-დემოკრატებმა დაიწყეს ისეთი ქმედებების განხორციელება, რომლებიც შემდგომ გამოიყენა ОГПУ-მ „პრომეთეს" მოძრაობის წინააღმდეგ და განხეთქილება შეიტანა მათ რიგებში. ასე მაგალითად, ОГПУ-მ შეძლო, ხელში ჩაეგდო ნ. ჟორდანიასა და ნ. რამიშვილის მიერ საქართველოში მოქმედი იატაკქვეშა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისთვის გაგზავნილი მითითებები, რომლებიც მიმართული იყო მემარჯვენე პარ-

ტიების გავლენის შესუსტებისკენ. შედეგად, ასათიანის ეროვნულ-დემოკრატიული ჯგუფი გავიდა პრომეთეისტული მოძრაობიდან.

1927 წლის დასაწყისში ОГПУ-ს პროვოკაციების მსხვერპლი გახდნენ ასევე კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტის ჩრდილოკავკასიური და აზერბაიჯანული სექციები, რის შედეგადაც განხეთქილება მათ რიგებშიც მოხდა.

აღსანიშნავია, რომ კავკასიელ ემიგრანტთა შედარებით შორსმჭვრეტელი ხელმძღვანელები კარგად ხვდებოდნენ ОГПУ-ს ხელშეწყობით გაღვივებული შიგა დაპირისპირების საშიშროებას. ასე მაგალითად, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენელი აშშ-ში, ვასილ დუმბაძე, რომელიც იმედოვნებდა მიეღწია ვაშინგტონის მიერ მისი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებისთვის და აშშ-ში საქართველოს ლეგაციის გახსნისთვის, შესანიშნავად აცნობიერებდა საქართველოს ემიგრაციის პრესტიჟისთვის შიგა დაპირისპირების უარყოფით გავლენას

როგორც ამიერკავკასიის ОГПУ-ს ანგარიშიდან ირკვევა [7], 1927 წლის 13 ივლისს დუმბაძე პარიზში ჩავიდა და შეესწრო მენშევიკთა დევნილი მთავრობისა და კედია-ასათიანის დაპირისპირების ყველაზე აქტიურ მომენტს. დუმბაძე თვითონ უპარტიო იყო, თუმცა უფრო ეროვნულ-დემოკრატებისკენ იხრებოდა თავისი შეხედულებებით. მიუხედავად თავისი სიმპათიებისა, ამ კონკრეტულ დაპირისპირებაში ის არ შეუერთდა კედიას ჯგუფს. ამის ნაცვლად, დუმბაძემ მათ დაუმტკიცა, რომ ასეთ ვითარებაში მენშევიკების წინააღმდეგ ნებისმიერი ბრძოლა იმავდროულად ნიშნავს ბრძოლას მთავრობისა და ლეგაციის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის არსებობა კი უმნიშვნელოვანესია საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, რადგან ევროპული მთავრობები ლაპარაკობენ და ილაპარაკებენ მხოლოდ ყოფილ მთავრობასა და მის წარმომადგენლებთან და არა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან. დუმბაძემ მიუთითა, რომ აშშ-ს მთავრობა მხოლოდ საქართველოს ყოფილ მთავრობასთან მოლაპარაკებებს მიიჩნევს მისაღებად და, რომ დუმბაძე იქ ყოველთვის მთავრობის სახელით მოქმედებდა და საკითხის სხვანაირად დაყენება ჩაშლის ამერიკაში წამოწყებულ საქმეს. იმ მომენტში დუმბაძის მსჯელობამ მნიშვნელოვნად განმუხტა სიტუაცია და კედიას მოთხოვნები რამიშვილის მთავრობის შემადგენლობიდან მოხსნის (გაყვანის) შესახებ უშედეგოდ დასრულდა.

სამწუხაროდ, ემიგრანტული ცხოვრების სპეციფიკა ყოველთვის

არ იძლეოდა ასეთი გონივრული კომპრომისების მიღწევის საშუალებას.

ამრიგად, საერთაშორისო თანამეგობრობის გარდა 1924 წლის აჯანყების სისხლში ჩახშობამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ ემიგრაციაში, განსაკუთრებით კავკასიელებში.

1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ ემიგრაციაში გაერთიანების თემა კიდევ უფრო აქტუალური გახდა, თუმცა მარცხის გამო ურთიერთბრალდებები კარგა ხანს გაგრძელდა.

დასკვნა

1924 წლის აჯანყების სასტიკად ჩახშობის შემდეგ ემიგრაციაში ბრძოლის გასაგრძელებლად შეიქმნა ახალი ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები, წამყვანი პოლიტიკური პარტიების საზღვარგარეთული ბიუროები და მათი ადგილობრივი წარმომადგენლობები. მოხერხდა ყველა ქართული პოლიტიკური ძალის გაერთიანება, რომლის ინიციატორი გახდა პოლონეთი. დაარსდა „ინტერპარტიული საზღვარგარეთის ბიურო", საერთო ქართული პოლიტიკური ორგანიზაციები: საიდუმლო „სტამბოლის პოლიტიკური კომისია" და მასთან არსებული „სამხედრო კომისია", „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი".

1926 წლის ნოემბერში პარიზში გამოსვლა დაიწყო ჟურნალმა, ოფიციალური სახელწოდებით „პრომეთე, კავკასიის და უკრაინის ხალხების ეროვნული დაცვის ორგანო". ასევე საფუძველი ჩაეყარა ამავე სახელწოდების მოძრაობას – პრომეთეიზმი. ამ ორგანიზაციის საქმინობის ძირითადი მიზანი იყო ერთიანი კავკასიური სახელმწიფოს შექმნა, ამ იდეის სულისჩამდგმელი კი – პოლონეთი. ორგანიზაციის ერთ-ერთ დოკუმენტში პირდაპირ იყო მითითებული, რომ „პრომეთეიზმი წარმოადგენდა რუსეთის მიერ ჩაგრულ უკლებლივ ყველა ხალხის მოძრაობას". ამ ორგანიზაციამ წმინდა პოლიტიკურის გარდა სამხედრო, ეკონომიკური და დიდი კულტუროლოგიური მისიაც შეასრულა კავკასიელების, საბჭოთა კავშირის მიერ დამონებული ხალხების პრობლემებისა და სხვა საჭირბოროტო საკითხების გასახმაურებლად.

მიუხედავად ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებისა და ევროპის წამყვანი ქვეყნების დამოკიდებულებისა ამ საკითხის მიმართ, ახალი ანტიბოლშევიკური აჯანყება კავკასიაში ვერ განხორციელდა. ОГПУ კარგად იცნობდა ემიგრანტთა სუსტ მხარეებს და ანტიბოლშევიკური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა მათ შორის დაპირისპირების

ინსპირირების გზით წარმართა. მან შეძლო განხეთქილების შეტანა სოციალ-დემოკრატებსა და მემარჯვენეებს შორის, მათ შორის არსებული უნდობლობის გამოყენებით. უმთავრესი მიზეზი კი მაინც ის იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტია ვერ გამოვიდა ვიწრო პარტიული ინტერესებიდან და ქვეყნის მომავალი საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრს გადააყოლა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Джамиль Гасанлы, „История дипломатии Азербайджанской Республики, Т. II, Внешняя политика Азербайджана в годы советской власти (1920-1939), Москва, 2013.
2. Jean-Baptiste *Duroselle*, „Histoire diplomatique de 1919 à nos jours".
3. Георгий Мамулиа, Борьба за Свободу и независимость Каваказа (1921-1945) , Тбилиси-Париж, 2012.
4. Ное Рамишвили, Тадеуш Голувко, Константинополь, 11.8.1926 //Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей".
5. Шалва Беришвили, „Отчет о моем пребывании в Турции", Париж, 1.1.1931.
6. Мамед Эмин Расулзаде, Магомет-Гирей Сунш, Симон Мдивани, „Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной перепискеи секретных документах движения «Прометей». Варшава, 14.7.1934
7. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფონდი 13, აღწ. 3, საქმე 82, ქართული ემიგრაცია.
8. ოთარ ჯანელიძე, „სპირიდონ კედიას წერილები", თბილისი, 2007.
9. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%9C_%E1%83%99%E1%83%94%E1%83%93%E1%83%98%E1%83%90, ნანახია 2024 წლის 30 აპრილს.

Irma Gikasvili
Doctor of Social Sciences, Technical University of Georgia, Law and International Relations assistant professor of the faculty, SSIP st. Cholokashvili St. of the 178th public school of Tbilisi History mentor teacher

Promethean movement and the idea of creating a unified Caucasian state

Summary

After the brutal suppression of the 1924 rebellion, new Georgian political organizations, foreign bureaus of leading political parties and their local representatives were created to continue the battle in emigration. It became possible to unite all Georgian political forces, which was initiated by Poland. There was established The „Inter-Party Foreign Bureau" and common Georgian political organizations such as: the secret „Istanbul Political Commission" and the related „Military Commission", „Georgian Independence Committee".

In November 1926, a newspaper began to be published in Paris, with the official name „Prometheus, the national defense organization of the peoples of the Caucasus and Ukraine". The foundation was also laid for the organization of the same name – Prometheus. The main goal of the activity of this organization was to create a unified Caucasian state, and the author of this idea was Poland. In one of the organization's documents, it was explicitly stated that „Prometheus was a movement of almost all peoples oppressed by Russia." In addition, except the purely political missions, this organization also performed a military, economic and great cultural mission to publicize the problems of the Caucasians, the peoples enslaved by the Soviet Union, and other pressing issues.

Despite the favorable international situation and the attitude of the leading European countries towards this issue, the new anti-Bolshevik rebellion in the Caucasus could not take place. The OGPU was well aware of the weaknesses of the emigrants and led the fight against the anti-Bolshevik movement by inspiring confrontation among them. They were able to drive a wedge between the social democrats and the right by exploiting the distrust between them. Still The main reason was that the Social-Democratic Party could not get out of the narrow party interests and valued it's own well-being more than the country's future.

უჩა ბლუაშვილი
ისტორიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

პატარა ქვეყანა საერთაშორისო ურთიერთობებში და ნეიტრალიტეტის პრობლემა

ცნება – „პატარა“ შეფარდებითია. ეს აძნელებს პატარა ქვეყნის ყველასთვის მისაღები განმარტების შემუშავებას. ქვეყნების კლასიფიკაცია შეიძლება ტერიტორიის სიდიდის, მოსახლეობის რიცხოვნების, ერთობლივი ეროვნული პროდუქტის, ზოგიერთი სხვა მახასისთებლის მიხედვით. მეცნიერები მას განიხილავენ, როგორც კომპლექსურ კატეგორიას. ამიტომ საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში პატარა ქვეყნის დეფინიციისთვის ცალკე აღებული რომელიმე ამ მახასიათებლის გამოყენება მართებული არ იქნება.

სპეციალურ ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად **პატარა ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი პოლიტიკური ერთეულია, ხოლო მის რაოდენობრივ მახასიათებელთა შორის უმნიშვნელოვანესი მაინც მოსახლეობის რიცხოვნობაა.** ნორვეგიელი მეცნიერის, კნუტსენის აზრით, **„პატარად მივიჩნევთ ისეთ სახელმწიფოს, რომლის საგარეო ძლიერება თუნდაც ერთ-ერთი მისი მეზობლის ძლიერებას მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება“** [3, 27]. ჰოლანდიელი ჟაკე თვლის, რომ **„პატარა სახელმწიფო არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არც მსოფლიო და არც რეგიონის მასშტაბით არ ძალუძს საკუთარი პოლიტიკური ნების ცხოვრებაში გატარება, ანუ საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა ძალის პოლიტიკის მეშვეობით“** [5, 25] ამერიკელი გოლდჰამერის აზრით, **„ტერმინი პატარა ქვეყანა, როგორც სჩანს, წაადგება დიდ ქვეყნებს მცირე მოსახლეობით, პატარა ქვეყნებს დიდი მოსახლეობით, და ზოგჯერ, ნებისმიერი სიდიდის ქვეყანას, რომელიც არ ერევა მსოფლიო საქმეებში“** [5, 25]. ამერიკელი სპაიკმანი მიიჩნევს, რომ **„პატარა ქვეყანა მაღალი წნევის არეში წარმოქმნილი ვაკუუმია. ის არსებობს არა იმიტომ, რომ სიცოცხლისუნარიანია, არამედ იმიტომ, რომ მისი არსებობა ძალთა წო-**

ნასწორობის სისტემაში ბუფერული სახელმწიფოს ან გარკვეული ელემენტის სახით, ხელს აძლევს ძლიერ ქვეყანას. როცა წონასწორობა ქრება, პატარა სახელმწიფო, ჩვეულებრივ, მასთან ერთად ქრება“ [4, 173]. ამერიკელ როთსტაინს მიაჩნია, რომ **„პატარა ქვეყანა არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ მას არ ძალუძს საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა მის ხელთ არსებული შესაძლებლობების გამოყენებით და, მაშასადამე, იგი ძირითადად უნდა დაეყრდნოს სხვადასხვა ინსტიტუტებს, პროცესებს და მოვლენებს და ა. შ. პატარა ქვეყნის მიერ საკუთარი უძლურების შეგრძნება, აგრეთვე, გაზიარებული უნდა იყოს საერთაშორისო პოლიტიკაში ჩართული სხვა სახელმწიფოების მიერ“** [4, 173].

ჩვენ მიერ მოხმობილი განმარტებების ავტორები ერთსულოვანნი არიან მთავარში – პატარა ქვეყანა სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყანაა, რომელსაც დამოუკიდებლად არ ძალუძს საკუთარი ეროვნული ინტერესების დაცვა. მაგრამ, ასეთი ქვეყნების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ისეთი დიდი ტერიტორიის მქონე ქვეყნებიც, როგორიცაა მონღოლეთი, ლიბია, საუდის არაბეთი და სხვ. ამიტომ მიზანშეწონილია ტერმინი „პატარა ქვეყანა“ გამოვიყენოთ ტერიტორიით პატარა და სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისითაც სუსტი ქვეყნების მიმართ, ტერიტორიით დიდი, მაგრამ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი ქვეყნების მიმართ კი ვიხმაროთ ტერმინი „სუსტი ქვეყანა“.

ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ძლიერი და სუსტი ქვეყნები და ძლიერი და სუსტი სახელმწიფოები. შეიძლება სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით ძლიერი ქვეყანა იყოს სუსტი, როგორც სახელმწიფო (ნიგერია, ყოფილი სსრკ, ბრაზილია). ასევე, სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით სუსტი და პატარა ქვეყანა ძლიერი იყოს, როგორც სახელმწიფო (ნიდერლანდები, ნორვეგია, ავსტრია, ფინეთი, სინგაპური). სუსტი სახელმწიფოებრიობის მქონე თუნდაც გიგანტ ქვეყანას შიდა სისუსტე, სოციალური და ეთნიკური გათიშულობა, ძლიერი და მდგრადი სახელმწიფო ინსტიტუტების უქონლობა, სოციალური დაძაბულობა და ა. შ. არანაკლებ პრობლემებს უქმნის, ვიდრე პატარა და სუსტ ქვეყანას თავისი სიმცირე.

გაეროსა და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების ძალისა და გავლენის ზრდის შედეგად შესაძლებელი გახდა ისეთი სახელმწიფოების არსებობის უზრუნველყოფაც, რომლებიც ვერ შედგნენ, როგორც სა-

ხელმწიფოები. მათ არც სამოქალაქო საზოგადოება გააჩნიათ და არც თავიანთი მოქალაქეების ფუნდამენტური უფლებების დაცვა ძალუძთ. ადრე ასეთი ქვეყნები ძლიერი მეზობლების ნადავლად იქცეოდნენ ხოლმე, დღეს კი მათ სუვერენულ უფლებებს საერთაშორისო თანამეგობრობა და გაერო უზრუნველყოფენ (ავღანეთი, სირია და სხვ.).

საერთაშორისო სისტემაში კარის მეზობლებს შორის არსებული ძალთა დიდი სხვაობა ძლიერს სუსტი მეზობლის მიმართ საკუთარი ნების თავს მოხვევის ცდუნებას აღუძრავს და, განსხვავებული შეხედულებების შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად ძალის გამოყენებისკენ უბიძგებს. ასეთი ქვეყანა უგულებელყოფს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და მეზობელი სუსტი სახელმწიფოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევის გზით ცდილობს, დაარღვიოს მისი ტერიტორიული მთლიანობა, ხელოვნურად აღვივებს ეთნიკურ კონფლიქტებს ამ ქვეყანაში, შემდეგ კი აღიარებს მის მიერ ოკუპირებული მეზობელი ქვეყნის ტერიტორიაზე წარმოქმნილ თვითმარქვია „სახელმწიფოებს“.

სწორედ ასე მოიქცა რუსეთი საქართველოს მიმართ, როდესაც ჯერ მოახდინა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების ოკუპაცია, შემდეგ კი ეს ოკუპირებული რეგიონები „დამოუკიდებელ“ სახელმწიფოებად გამოაცხადა. სეპარატისტული ანკლავი შექმნა რუსეთმა მოლდოვაშიც დნესტრიპირეთის სახით. საერთაშორისო სამართალი გმობს ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის ტერიტორიის ძალის გამოყენებით წართმევის მსგავს ფაქტებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ აგრესორი ქვეყნის მიმართ დაუყოვნებლივ დაწესდება მკაცრი სანქციები ან მის მიმართ სამხედრო ზეწოლა განხორციელდება. არსებობს სხვა, უფრო ცივილიზებული, თუმც კი უფრო ხანგრძლივი, დროში გაწელილი მეთოდები: საჭიროა, ყოველმხრივ დაჩქარდეს აგრესორი ქვეყნის წინსვლა დემოკრატიზაციის მიმართულებით, ხელი შეეწყოს ამ ქვეყნის აქტიურ ჩართვას საერთაშორისო თანამეგობრობის შიგნით მიმდინარე პროცესებში. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ამ ქვეყანაში, რაც, საბოლოო ჯამში, მის მიერ განხორციელებული აგრესიული საგარეო-პოლიტიკური კურსის გადახედვასაც გამოიწვევს.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტამდე რუსეთის მიმართ საერთაშორისო თანამეგობრობის მიდგომა სწორედ ამ კონცეფციას ეფუძნებოდა. რუსეთის მიერ შუაგულ ევროპაში ფართომასშტაბიანი კონფლიქტის გაღვივების შემდეგ ეს მიდგომა რადიკალურად შეიცვალა და ამ

ქვეყანას უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესდა, უკრაინას კი ყოველმხრივი სამხედრო და ფინანსური დახმარება გაეწია.

პატარა ქვეყნისთვის საგარეო-პოლიტიკურ სტრატეგიაში სერიოზული შეცდომის დაშვება მიუტევებელია. თუ ძლიერ და დიდ ქვეყანას საშუალება აქვს გამოასწოროს საკუთარი სტრატეგიული შეცდომა, პატარა ქვეყანა ამ შესაძლებლობას მოკლებულია. ამგვარი შეცდომა მისთვის შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს.

პასუხისმგებლობის უნარის მქონე პოლიტიკური ელიტის არსებობა პატარა ქვეყნისთვის სახელმწიფოებრიობის შექმნისა და პოლიტიკური უსაფრთხოების აუცილებელი პირობაა. სსრკ-ს დაშლის მომენტში ბალტიის ქვეყნები ამ თვალსაზრისით გაცილებით მომზადებულნი აღმოჩნდნენ. 1917-1939 წლების დამოუკიდებლობამ, დასავლეთ ევროპასთან გეოგრაფიულმა მეზობლობამ ამ ქვეყნებს თავიანთი პოლიტიკური კლასის და პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბების შესაძლებლობა მისცა. სულ სხვა გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფი საქართველოს მიერ ბალტიის ქვეყნების მიბაძვა და მათი მსგავსი პოლიტიკური კურსის გატარება საბედისწერო შეცდომას წარმოადგენდა. ამისთვის მას არც საშინაო-პოლიტიკური და არც ინტელექტუალური პოტენციალი არ გააჩნდა. ბალტიის რესპუბლიკებში ეროვნული მოძრაობა არათუ თვითონ იყო ერთიანი, არამედ ეროვნული ინტერესებისთვის ბრძოლაში მან პოსტსაბჭოთა ინტელიგენციის და თვით კომუნისტების ჩართვაც კი შეძლო. საკმარისია ითქვას, რომ დამოუკიდებელი ლიტვის პირველი პრეზიდენტი ყოფილი ცეკას პირველი მდივანი გახდა.

როგორი ვითარება იყო ამ დროს საქართველოში?

ორ რადიკალურად დაპირისპირებულ ბანაკად გაყოფილი ეროვნული მოძრაობა, „წითელ ინტელიგენციად" გამოცხადებული საკუთარი ინტელიგენცია, „ახალ კომსომოლებად" მონათლული და ასევე სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული ახალგაზრდობა, მტრად მოკიდებული სამღვდელოება... ქვეყნის შიგნით არ დარჩა პოლიტიკურად მეტნაკლებად აქტიური სოციალური ჯგუფი, ეროვნულ ხელისუფლებას ანტიეროვნულ ძალად რომ არ გამოეცხადებინა... ეს მაშინ, როცა პატარა ქვეყანისთვის შიდა ერთიანობას სასიცოცხლო მნიშვნელობა გააჩნია. შიდა არასტაბილურობა და, როგორც მისი შედეგი – სახელმწიფოებრიობის შესუსტება – საფრთხეს უქმნის ამ ქვეყნის სუვერენულ არსებობას.... პოლიტიკაში რომანტიზმი დამღუპველია ასე-

თი ქვეყნისთვის. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ პატარა ქვეყნის ეკონომიკა არ იყოს ორიენტირებული რომელიმე ერთი დიდი, განსაკუთრებით კი ისეთი ქვეყნის ეკონომიკაზე, რომლიდანაც მოსალოდნელია აგრესია. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ახლადწარმოქმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოებში თავჩენილი ეკონომიკური სიძნელეები მნიშვნელოვანწილად იმით იყო განპირობებული, რომ ეს ქვეყნები თითქმის მთლიანად ორიენტირებული იყვნენ რუსეთის ეკონომიკაზე. საბჭოთა იმპერიის დაშლით გაღიზიანებული რუსეთი დიდხანს იყენებდა ამ კოზირს ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ, ვიდრე პოსტსაბჭოთა სივრცეში მყოფმა სახელმწიფოებმა არ მოახერხეს თავიანთი ეკონომიკების ისე გადაწყობა, რომ რუსეთზე მათი ეკონომიკური დამოკიდებულება მკვეთრად შემცირებულიყო.

რაც შეეხება ქვეყნის საგარეოპოლიტიკურ კურსს: თითქოს უზარმაზარი რუსეთის მტრობა ეცოტავებოდა, ჩვენმა ეროვნულმა მოძრაობამ (პირველ რიგში კი ხელისუფლებაში მოსულმა მისმა ნაწილმა) მტრად მოიკიდა მთელი დასავლეთ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატებიც... მოკავშირეთა და მფარველთა ნაცვლად ჩვენი ქვეყნის ეროვნული ხელისუფლება მტრებს ეძებდა და „პოულობდა" კიდეც...

შეუძლებელია ამაზე უფრო უგუნური პოლიტიკის მოფიქრება...

სწორედ პატარა ქვეყნების ეს გამოუცდელობა ჰქონდა მხედველობაში ამერიკელ პოლიტოლოგ ჯონ ქენანს, როცა მიიჩნევდა, რომ საერთაშორისო პოლიტიკა იერარქიული უნდა იყოს და მასში წესრიგს დიდი სახელმწიფოები უნდა ამყარებდნენ. მცდარია წარმოდგენა (ბავშვური სიზმარია), რომ დიდი სახელმწიფოები ბუნებით არიან ცუდნი, პატარები კი უმანკონი და კეთილნი..., წერდა ის. ვიეტნამში დაწყებული ომის გამო აშშ-ს კონგრესის ერთ-ერთი კომიტეტის სხდომაზე ქენანი აღნიშნავდა, რომ არსებობს ძალიან ბევრი ახალი პატარა სახელმწიფო გამოუცდელი მთავრობებით, ქვეყნები ეროვნული სახელმწიფოებრიობის სუსტი ტრადიციებით, რომლებიც ერთმანეთთან კინკლაობას დაიწყებენ და ჩვენი, როგორც ძლიერი ქვეყნის ვალია, მოვახდინოთ ამ კონფლიქტების იზოლირება-შერბილება, რადგან ისინი დიდ ზიანს მიაყენებენ მსოფლიო მშვიდობასო [5, 46].

პატარა ქვეყანამ, რომელიც ფლობს სტრატეგიულ რესურსებს, ან უაღრესად მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული მდებარეობა უკავია, შესაძლოა, თავისი ზომის არაპროპორციული მნიშვნელობა შეიძინოს. ასეთ ქვეყნებს ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ დიდ და ძლიერ სა-

ხელმწიფოებს. ამის თვალსაჩინო მაგალითებია კუბა, ფინეთი, ვიეტნამი და სხვ.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ მსოფლიოში განვითარებულმა პროცესებმა ცხადყო, თუ რაოდენ სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ პატარა ქვეყნები. 40-იანი წლების მიწურულიდან დღემდე ათობით ახალი სახელმწიფო წარმოიშვა ან აღიდგინა დამოუკიდებლობა (მათ შორის – საქართველო). ბევრი მათგანი იმდენად სუსტი იყო, რომ ძლიერი სახელმწიფოების მხრივ პირველივე ზეწოლას უნდა შეწირვოდნენ, მაგრამ მათ გაუძლეს.

რას უნდა უმადლოდნენ პატარა და სუსტი ქვეყნები თავიანთ გადარჩენას? მხოლოდ თავიანთ მონდომებას და სიცოცხლისუნარიანობას?

გამოცდილება ცხადყოფს, რომ ამის მიზეზი უფრო ობიექტური ფაქტორებია. პატარა ქვეყნების არსებობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი დიდი ქვეყნების დაინტერესებაა. საქმე ის არის, რომ საერთაშორისო სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაში ძალთა წონასწორობის მექანიზმიც მონაწილეობს. რეალიზმის კონცეფციის მიხედვით სწორედ მისი წყალობით პატარა ქვეყნები ინარჩუნებენ დამოუკიდებლობას იმ მომენტამდე, ვიდრე ეს ძლიერ ქვეყნებს აძლევთ ხელს. ზოგჯერ ძლიერი ქვეყნები პატარა ქვეყნების ბუფერულ როლს თანხმდებიან, ზოგჯერ კი მათ ნეიტრალური სტატუსით „ასაჩუქრებენ". ძალთა წონასწორობის მექანიზმის ნებისმიერი ცვლილება მომენტალურად აისახება პატარა ქვეყნებზე, დიდი ცვლილებები კი დრამატულ გავლენას, პირველ რიგში, სწორედ მათ ბედზე ახდენს.

XIX საუკუნიდან მოყოლებული საერთაშორისო ურთიერთობებში სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ქცევის ნორმები და წესები. ძლიერმა ქვეყნებმა აღიარეს სუსტი ქვეყნების კანონიერი უფლებები ჰააგის პირველ (1889 წ.) და მეორე (1907 წ.) კონფერენციებზე. ერთა და სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა ერთა ლიგის შექმნა (1919). ერთა ლიგაშიც და შემდეგში გაეროშიც, ძლიერი და სუსტი ქვეყნები ერთნაირი უფლებებით სარგებლობდნენ (გაეროში გამონაკლისი დაშვებულია 5 დიდი ქვეყნისთვის, რომლებსაც ვეტოს უფლება გააჩნიათ).

საერთაშორისო სამართალმა აღიარა ერთა თვითგამორკვევის უფლება, ძალის გამოყენების გზით სახელმწიფოთა საზღვრების შეც-

ვლის დაუშვებლობა და სხვ. ამასთან, გარკვეული გაუგებრობა შექმნა ორი ურთიერთგამომრიცხავი პრინციპის – ერთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერის პრინციპების აღიარებამ. მართლაცდა, თუ რომელიმე სახელმწიფოში შემავალი პატარა ერი, თვითგამორკვევის შესაბამისად, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოყოფას მოინდომებს, როგორ უნდა მოიქცეს საერთაშორისო თანამეგობრობა? თუ ის მხარს დაუჭერს თვითგამორკვევის უფლებას, ეს დაარღვევს დიდი სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, თუ მხარს დაუჭერს ტერიტორიულ მთლიანობას, ეს დაარღვევს პატარა ერის თვითგამორკვევის უფლებას.

საერთაშორისო სამართალი ამ დილემიდან გამოსავალს შემდეგში ხედავს: თუ დიდ და მრავალეროვან სახელმწიფოში დომინირებადი ერი არღვევს პატარა ერების უფლებებს, მაშინ საერთაშორისო თანამეგობრობამ მხარი უნდა დაუჭიროს თვითგამორკვევის პრინციპს. იმ შემთხვევაში კი, თუ მცირე ერების უფლებების დარღვევას ადგილი არა აქვს, საერთაშორისო თანამეგობრობამ უპირატესობა უნდა მიანიჭოს სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას.

ცხადია, ასეთი დავების დროს გასათვალისწინებელია უამრავი სხვა – ისტორიული, დემოგრაფიული, ეთნიკური და ა. შ. ფაქტორიც, მაგრამ მთავარი აქ ადამიანისა და ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვის სფეროში არსებული ვითარებაა. სწორედ აქედან გამოდის საერთაშორისო თანამეგობრობა, როდესაც უპირობოდ და ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. სერბების მხრივ ადამიანისა და ეროვნული უმცირესობის უხეშმა დარღვევებმა განაპირობეს ევროპის სახელმწიფოთა დიდი ნაწილისა და აშშ-ს მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება. საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში უცხო ქვეყნის ფარული თუ აშკარა დახმარების მეშვეობით აფხაზმა და ოსმა სეპარატისტებმა განახორციელეს ქართველების ეთნიკური წმენდა, მაშინ როდესაც სერბეთში ადგილი ჰქონდა ეროვნული უმცირესობის – კოსოვოელი ალბანელების – გენოციდს სერბების მხრიდან.

ეს პრინციპული განსხვავებაა, რომლის დანახვა ჯიუტად არ სურს რუსეთს. და მაინც, დასავლეთის მიერ კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებისას გათვალისწინებული არ იყო ამ უაღრესად რთული და მრავალპლანიანი პრობლემის ყველა ასპექტი, რამაც 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის ღია აგრესია განაპირობა.

გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან მოყოლებული, პატარა სა-

ხელმწიფოთა მიმართ აგრესია დიდი სახელმწიფოებისთვის საჩოთირო საქმე ხდება. საერთაშორისო სამართალი სასტკად გმობს ასეთ ქმედებას. თუმცა, დიდმა სახელმწიფოებმა ამ კაზუსის დაძლევის საკმაოდ იოლი, მაგრამ უტყუარი ხერხი გამოძებნეს: ისინი აგრესორად პატარა ქვეყანას აცხადებენ და მისი „აგრესიის" შეჩერების საბაბით იჭრებიან ამ ქვეყანაში. ასე მოხდა 1931 წელს, როდესაც იაპონიამ მუკდენის ინციდენტი მანჯურიაში შეჭრის საბაბად გამოიყენა, 1934 წელს, როდესაც ასეთივე ყურით მოთრეული საბაბით იტალია შეიჭრა აბისინიაში (ახლანდელი ეთიოპია), 1939 წელს, როდესაც ჰიტლერმა პოლონურ ფორმაში გამოწყობილ გერმანელებს თავისიანები დაახოცინა, იმავე 1939 წელს, როდესაც საბჭოთა კავშირმა ფინეთს ცეცხლის გახსნა დააბრალა, 2008 წელს, როდესაც რუსეთმა საქართველოს „მძინარე ცხინვალზე" თავდასხმა საქართველოში შეჭრის საბაბად გამოიყენა და ა. შ.

იმის მიუხედავად, რომ წლების განმავლობაში დიდი და აგრესორი ქვეყნები წარმატებით იყენებენ ზემოხსენებულ მეთოდს სუსტი ქვეყნების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელთა დაჩაგვრა საერთაშორისო საზოგადოებრიობის თვალში სულ უფრო და უფრო მეტ უზნეობად გამოიყურება, სუსტი ქვეყნების საერთაშორისო სტატუსი და მათ მიმართ სოლიდარობა კი განუხრელად ძლიერდება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაციონალ-სოციალიზმისგან გათავისუფლებული ევროპა ახალი ჰეგემონიური ძალის გავლენის ქვეშ მოქცევის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამ ისტორიულ გზასაყარზე აშშ-ს პრეზიდენტმა ტრუმენმა სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. მან ამერიკული „სოლო მოქმედების" ცდუნებას წერტილი დაუსვა და შეერთებულ შტატებს ხანგრძლივი საერთაშორისო წესრიგის ჩამოყალიბებაში თანამშრომლობა დააკისრა. 1949 წელს ნატო გახდა ამ ახალი წესრიგის მნიშვნელოვანი ელემენტი. ძალთა წონასწორობის ბირთვი ამიერიდან ორ ატომურ სუპერსახელმწიფოს შორის წონასწორობამ ჩაანაცვლა. 1990 წელს სსრკ-ს და სოციალისტური სისტემის დაშლამ ეს წონასწორობა დაარღვია. წარმოიქმნა ძალთა დისბალანსი, რომლის შედეგებსაც რუსეთის შიგნით გაჩაღებული ჩეჩნეთის ორი ომის, რუსეთ-საქართველოს და რუსეთ-უკრაინის ომების, ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ომის ხანძრების, დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობის უკიდერუსად გამწვავების სახით, დღემდე ვიმკით [2, 398-399].

ისტორიული კატაკლიზმების დროს პატარა ქვეყნისთვის ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ძალთა წონასწორობის დარღვეულ სისტემაში შექმნილი ახალი ვითარების რეალისტურ ანალიზს. გიორგი მეხუთეს დროს (1314-1346) ჩვენი ქვეყანა მონღოლთა ვრცელი იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი კი შინაგანი წინააღმდეგობების შედეგად დაშლის პირას იყო მისული. საქართველოს მეფემ კარგად აუღო ალღო შექმნილ ვითარებას, მოქნილი დიპლომატიით ბოლომდე შეინარჩუნა მონღოლთა კეთილგანწყობა და დამპყრობთა უღელი უბრძოლველად, მინიმალური დანაკარგებით მოიშორა. სწორედ ამიტომ გიორგი მეხუთე ისტორიაში „ბრწყინვალეს“ სახელით შევიდა.

ანალოგიურ ვითარებაში ჩვენი ქვეყანა გასული საუკუნის 80-90-იან წლებში აღმოჩნდა, რასაც ქართული პოლიტიკური აზრი სრულიად მოუმზადებელი შეხვდა. საბჭოთა იმპერიის რღვევის პროცესს ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ვითარების რეალისტური ანალიზისა და მოქნილი დიპლომატიის ნაცვლად შიშველ ემოციებზე დაფუძნებული სრულიად არარელისტური პოლიტიკა დაუპირისპირა. ყოვლად გაუმართლებელი აგრესიული რიტორიკითა და ქმედებებით იმპერიის მთელი რისხვა ჩვენ ჩვენივე ქვეყნისკენ მოვმართეთ. შედეგი სახეზეა: სამოქალაქო ომი და ეკონომიკური გაჩანაგება, ომი რუსეთთან და საქართველოს ორი ძირძველი რეგიონის – აფხაზეთისა და შიდა ქართლის დროებით დაკარგული ტერიტორიები.

ტრადიციულად, პატარა ქვეყნები უმწეონი იყვნენ საერთაშორისო ასპარეზზე. დიდ სახელმწიფოებს მსოფლიო გავლენის სფეროებად ჰქონდათ დაყოფილი, პატარა ქვეყნებს კი მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდათ მიკუთვნებული. ასეთ ვითარებაში პატარა ქვეყნისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გაცნობიერებას, რომ არ არსებობს აბსოლუტური პოლიტიკური სუვერენიტეტი, რომ პატარა ქვეყნებმა თავიანთ საგარეო პოლიტიკაში უნდა იხელმძღვანელონ ძალთა ბალანსირების პოლიტიკით, რომ თავიანთი პრაგმატული ინტერესებიდან გამომდინარე, მათ საკუთარი სუვერენიტეტის რაღაც ნაწილი უნდა დათმონ რეგიონში გეოპოლიტიკური ინტეტესების მქონე დიდი ქვეყნების სასარგებლოდ და ა. შ.

ზოგიერთი პატარა სახელმწიფო საერთაშორისო სისტემაში წარმოქმნილი საფრთხეებისგან თავის დაღწევას ნეიტრალიტეტის, ან მიუმხრობლობის პოლიტიკის გატარებით ცდილობს. ეს ორი ტერმინი მსგავსი შინაარსის მატარებელია, თუმცა ბოლომდე იდენტური მაინც არ არის. „ნეიტრალობა“ ნებისმიერ სიტუაციაში განზე ყოფნას გუ-

ლისხმობს, მაშინ, როდესაც „მიუმხრობლობა“ ზოგადად არავის მხარეზე ყოფნაა, თუმცა არა ყველა შემთხვევაში.

ნეიტრალიტეტის, მიუმხმრობლობის, განზე დგომის სურვილი პატარა ქვეყნის სისუსტითა და თავის გადარჩენის ინსტიქტით არის განპირობებული. ასეთი განწყობა უპირატესად პატარა ქვეყნების პოლიტიკური ელიტის იმ ნაწილისთვისაა დამახასიათებელი, რომელიც იდეალიზმისა და უტოპიზმის ძლიერ გავლენას განიცდის. როგორც წესი, ეს პოლიტიკაში ახლად ჩართული, თეორიულად მოუმზადებელი ნაწილია.

არცთუ იშვიათად ეს ელიტა „სირაქლემას პოლიტიკას“ მიმართავს და საფრთხეთა თავიდან აცილებას მათი არშემჩნევის, უგულებელყოფის გზით ცდილობს. პატარა ქვეყანა დღენიადაგ მოკავშირეს უნდა ეძებდეს. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენ შევეცადეთ მოკავშირედ ის ძლიერი ქვეყანა (ქვეყნების ჯგუფი) გაგვეხადა, რომელიც მეტოქეობას უწევდა ჩვენთვის საფრთხედ ქცეულ ძლიერ ქვეყანას. და, სწორედ ეს იყო ჩვენი საბედისწერო შეცდომა. დსთ-ში შესვლაზე კატეგორიული უარით ჩვენ რუსეთისა და ჩვენი აფხაზი და ოსი სეპარატისტების ალიანსი გარდაუვალი გავხადეთ. სსრკ-ით დაშინებულებს დსთ-ც მომაკვდინებლად საშიში გვეგონა. კომუნისტური პარტიის ჰეგემონობის პირობებში სსრკ-დან გამოსვლა, ფაქტიურად, შეუძლებელი იყო, მაშინ, როდესაც დსთ-ს არქიტექტონიკა ასეთ შესაძლებლობას სულაც არ გამორიცხავდა. მოგვიანებით ჩვენ მაინც მოგვიწია დსთ-ში შესვლა, შემდეგ დაუბრკოლებლად დავტოვეთ იგი. მასში თავიდანვე შესვლით კი ჩვენ რუსეთისა და ჩვენი სეპარატისტების ალიანსს ჩავშლიდით. დსთ ასევე უპრობლემოდ დატოვა უკრაინამ. ეს პროცესი დასრულების ფაზაში აქვს მოლდოვას.

ნეიტრალური ქვეყნის სტატუსი საკმაოდ ძნელი მოსაპოვებელია. ამიტომ ბევრი პატარა ქვეყანა მიუმხრობლობის პოლიტიკას მიმართავს. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამ მოძრაობამ საკმაო პოპულარობა მოიპოვა და მასში დიდი ქვეყნებიც (მაგ. ინდოეთი, ბირმა) კი აღმოჩნდნენ ჩართულნი. 1954 წელს მიუმხრობლობის მოძრაობას შეუერთდა იუგოსლავიაც, რომლის ლიდერი ბროზ ტიტო, აცხადებდა, რომ ნეიტრალიზმის ნაცვლად „აქტიურ და კონსტრუქციულ საგარეოპოლიტიკურ კურსს“ განახორციელებდა. მცირე ხანში მიუმხრობლობის მოძრაობის აღიარებული ლიდერები ინდოეთი და იუგოსლავია გახდნენ. 1964 წელს კაიროს მიუმხრობელი სახელმწიფოების კონფე-

რენციაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა მიუმხრობლობის მოძრაობის იდეოლოგია, რომლის უმთავრესი დებულება იყო აქტიური მშვიდობიანი თანაარსებობა.

ფორმალურად ეს მოძრაობა დღემდე არსებობს. 1998 წელს სამხრეთ აფრიკაში შემდგარ ამ მოძრაობის წევრ სახელმწიფო მეთაურთა შეხვედრაში 102 სახელმწიფოს წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას. თუმცა, ის (მოძრაობა) არასდროს ყოფილა ერთიანი და მტკიცე. ზოგიერთი მიუმხრობელი ქვეყანა საშინაო თუ საგარეო-პოლიტიკური სიძნელეების გამო იძულებული გახდა რომელიმე ბლოკს მიერთებოდა.

ნეიტრალიტეტის ცნება და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა დროთა განმავლობაში ცვლილებებს განიცდიდა და ახალ-ახალ თავისებურებებს იძენდა. ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ლეგალური (მუდმივი) და ფაქტობრივი ნეიტრალიტეტი. ამჟამად ლეგალური ნეიტრალიტეტის სტატუსი მხოლოდ სამ ქვეყანას: შვეიცარიას, ავსტრიას და თურქმენეთს აქვს. თურქმენეთს ეს სტატუსი 1995 წელს გაეროს საიუბილეო 50-ე სესიაზე მიენიჭა. თუმცა, ბევრი სპეციალისტის აზრით, თურქმენეთი თავისი ნავთობით იმდენადაა რუსეთზე მიბმული, რომ მის ნეიტრალიტეტს ფორამალური ხასიათი აქვს.

არის თუ არა ნეიტრალიტეტის გამოცხადება უცხო ქვეყნის მხრიდან სამხედრო აგრესიის თავიდან აცილების საშუალება?

ავსტრიის თვითგამოცხადებულ ნეიტრალიტეტს ხელი არ შეუშლია ჰიტლერისთვის 1938 წელს მოეხდინა ამ ქვეყნის ანშლუსი; საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ შექმნისთანავე გამოაცხადა „საერთაშორისო ომიანობაში მუდმივი ნეიტრალიტეტი", მაგრამ საბჭოთა რუსეთმა დაუბრკოლებლად მოახდინა მისი ანექსია. ნეიტრალიტეტი გამოაცხადა მოლდოვამაც, თუმცა ამ ქვეყანაში რუსული ჯარის ყოფნის პირობებში რეალურ ნეიტრალიტეტზე ლაპარაკი მხოლოდ თავის მოტყუებაა. ზემონათქვამი მთლიანად ეხება საქართველოსაც. ვიდრე აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში რუსეთის სამხედრო ბაზები გვაქვს, ვიდრე ჩვენი ქვეყნის მთავარი მაგისტრალიდან სულ რაღაც რამდენიმე ასეულ მეტრში და ქვეყნის დედაქალაქიდან 40 კილომეტრში მტრის ტანკები დგანან, მანამდე ჩვენი ქვეყნის სრულყოფილ სუვერენიტეტზე საუბარიც კი ზედმეტია!

მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსის მქონე ქვეყანა შემდეგ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს:

1. არ უნდა წარმოადგენდეს სხვა სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესის მნიშვნელოვან ობიექტს და გეოგრაფიულად „მარგინალურ ზონაში“ უნდა მდებარეობდეს;

2. უნდა შეეძლოს საკუთარი თავის დაცვა;

3. უარი უნდა თქვას ყოველგვარ ექსპანსიონიზმზე;

4. უნდა ახასიათებდეს შიდა შეკავშირებულობის მაღალი დონე;

5. უარი უნდა თქვას ყოველგვარ იდეოლოგიურ საგარეო პოლიტიკაზე [5, 173-174]:

ნეიტრალიტეტი მშვიდობიან პერიოდში საომარ ბლოკებში მონაწილეობაზე უარის თქმასაც ნიშნავს. საერთაშორისო სამართალი შეიცავს სამ შეზღუდვას ომის დროს ნეიტრალური ქვეყნის მოქმედებაზე სხვა სახელმწიფოებთან მიმართებაში:

1. **არ მიაწოდოს შეიარაღება მეომარ მხარეებს;**

2. არ დაუთმოს ტერიტორია მეომარ მხარეებს (ბაზირება, ტრანზიტი და ა. შ.);

3. არ გაუწიოს დისკრიმინაცია რომელიმე მხარეს სამხედრო დანიშნულების იარაღისა და საქონლის მიწოდებისას.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის სტატუსი საქართველოსთვის საუკეთესო გარანტია იქნებოდა, თუმცა ამისთვის ჩვენი სურვილი საკმარისი არ არის. საჭიროა, აგრეთვე, ზემოჩამოთვლილი მოთხოვნების დაკმაყოფილება. საქართველო კი ამ მოთხოვნებიდან ვერცერთს ვერ აკმაყოფილებს.

XXI საუკუნეში ნეიტრალიტეტმა დაკარგა ისტორიული ხიბლი, რომელიც მას თავის დროზე შვეიცარიამ შეუქმნა. ამის მიუხედავად ნეიტრალიტეტის თემა დროდადრო მაინც აქტუალური ხდება ხოლმე ქართულ პოლიტიკურ სინამდვილეში, რისი მიზეზიც, ერთი მხრივ, ქართული პოლიტიკური სპექტრის ერთი ნაწილის პოლიტიკური უმწიფრობა, მეორე მხრივ კი რუსეთის პოლიტიკური ისთებლიშმენტის მცდელობებია – შეცდომაში შეიყვანოს ქართული მხარე.

1955 წელს დიდი სახელმწიფოების მიერ ავსტრიის ნეიტრალური სტატუსის აღიარებისას, აშშ სერიოზულად შიშობდა, რომ ავსტრიის ასეთი სტატუსი გერმანიასაც გაუხსნიდა მადას. საქმე ის იყო, რომ სტალინი გერმანიის გაერთიანების წინაპირობად მის ნეიტრალურ სტატუსს ასახელებდა, რაც აშშ-თვის კატეგორიულად მიუღებელი იყო.

არაერთი ქვეყანა წლების განმავლობაში იცავდა ნეიტრალიტეტის კურსს, თუმცა მათი ეს კურსი არ იყო აღიარებული წამყვანი სა-

ხელმწიფოების მიერ. სხვადასხვა ფორმით ნეიტრალიტეტის პოლიტიკას ახორციელებდნენ ნიდერლანდები, ბელგია, კოსტა-რიკა, ლაოსი, კამბოჯა, ნორვეგია, შვეცია, დანია, ფინეთი, ირლანდია და თურქმენეთი. შვეციისა და ფინეთის ნეიტრალიტეტი სამართლებრივად არ იყო აღიარებული, მაგრამ ისინი ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახორციელებდნენ „მიუმხრობლობის" პოლიტიკას. მათი ნეიტრალიტეტი სინამდვილეში მიუმხრობლობა იყო. შვეცია ამ კურსს საუკუნენახევრის განმავლობაში ატარებდა. არც ფინეთის ნეიტრალიტეტი იყო აღიარებული საერთაშორისო სამართლით, თუმცა, საბჭოთა კავშირთან დადებული 1948 წლის ხელშეკრულების მეოთხე პუნქტში ნათქვამი იყო, რომ **„ფინეთი იღებს ვალდებულებას არ მიიღოს მონაწილეობა ძლიერ სახელმწიფოებს შორის კონფლიქტებში"** [5, 176]. ამ გარემოებას ხელი არ შეუშლია ფინეთისთვის 2023 წელს შესულიყო ნატოში. ხანგრძლივი ნეიტრალიტეტის (მიუმხრობლობის) შემდეგ შვეციამაც ჩათვალა, რომ მისი უსაფრთხოებისთვის ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში შესვლა აჯობებს. 2024 წლის თებერვალში შვეციაც ნატოს წევრი ქვეყანა გახდა.

პატარა ქვეყნების კიდევ ერთი „მოხერხებული" პოლიტიკური მდგომარეობა ბუფერის როლის მორგებაა. ბუფერულ ქვეყანას ორ ან მეტ ძლიერ ქვეყანას შორის მოქცეულ სუსტ ქვეყანას უწოდებენ. პირველად ეს ტერმინი პოლიტიკური ერთეულის მიმართ 1876 წელს გამოიყენეს. მეოცე საუკუნეში საკმაოდ ბევრი ბუფერული სახელმწიფო არსებობდა. ისინი ამჟამადაც არსებობენ. ისტორია მოწმობს, რომ ძლიერების ზენიტში მყოფი დიდი სახელმწიფოები ბუფერებს ყლაპავენ, მაგრამ დასუსტების შემდეგ ისევ კარგავენ. ბალტიის ქვეყნებში 1918-1939 წლების ბუფერული გამოცდილება უაღრესად მძიმე მოგონებებს აღძრავდა. ამიტომ სსრკ-ს დაშლის შემდეგ მათ ბუფერული სახელმწიფოს როლზე უარი თქვეს და პირველი შესაძლებლობისთანავე ნატოს ბლოკში გაწევრიანდნენ.

კვლავ ბუფერულ სახელმწიფოებად რჩებიან ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი. ასევეა აზერბაიჯანი. სომხეთზე ეს ნაკლებად ითქმის, რადგან ამ ქვეყანაში რუსეთის სამხედრო ბაზაა განლაგებული. საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობის პირობებში საქართველოს რეალურ სუვერენიტეტზე საუბარიც კი არარელევანტურია.

ვიდრე სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური დაპირისპირებები

არსებობს, ვიდრე არსებობს ომების საფრთხე და ომები, მანამდე იარსებებს ბუფერული სახელმწოფოებისა და ზონების საჭიროებაც.

ზოგჯერ პატარა ბუფერული სახელმწიფო თავისი თავგანწირვით დიდი სახელმწიფოების მხრივ პატივისცემას და ბუფერის როლს იმსახურებს. მეორე მსოფლიო ომის დროს ფინეთი გერმანიის მხარეს იბრძოდა, მაგრამ თეირანის კონფერენციაზე ფინეთის საკითხის განხილვისას სტალინმა რუზველტსა და ჩერჩილს უთხრა: **„ქვეყანა, რომელიც ასეთი სიმამაცით იბრძოდა საკუთარი დამოუკიდებლობისთვის, ყურადღების ღირსია“** [5, 169].

სსრკ-ს ჩრდილოეთ პერიფერიაზე მდებარეობისა და მასზე სრული კონტროლის დაწესების პრაქტიკულ შეუძლებლობასთან ერთად, ამ ფაქტორმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ცივი ომის მთელ პერიოდში ფინეთის ბუფერულ სახელმწიფოდ დარჩენა.

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტს დღეს ბევრი სადავო ტერიტორიებისთვის გაჩაღებულ კონფლიქტად აღიქვამს. არსებითად კი საქმე უკრაინის სტატუსს, მის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას ეხება. რუსეთი გადაჭრით ილაშქრებს უკრაინის (და საქართველოს) ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც უკრაინა (და მის უკან მდგომი დასავლეთი) აცხადებს, რომ ის სუვერენული სახელმწიფოა და უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საგარეო-პოლტიკური კურსი. თავის მხრივ, რუსეთი იშველიებს საერთაშორისო სამართლის მეორე ნორმას, რომლის მიხედვითაც არცერთ სახელმწიფოს არა აქვს უფლება გაიუმჯობესოს თავისი უსაფრთხოება სხვა ქვეყნის უსაფრთხოების შემცირების ხარჯზე და მოითხოვს, რომ უკრაინამ პატივი სცეს საერთაშორისო სამართლის ამ ნორმასაც.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უკრაინის ტერიტორიაზე ნატოს ბირთვული ქობინების განლაგება ობიექტურად დაარღვევს მსოფლიოში დღეს არსებულ ბირთვულ ბალანსს – უკრაინის ტერიტორიიდან ეს ქობინები რუსეთის დედაქალაქამდე 7-8 წუთში ჩააღწევენ, მაშინ როდესაც რუსულ რაკეტებს აშშ-ს ტერიტორიამდე 30-40 წუთი სჭირდებათ, რუსეთის ამ პრეტენზიას გარკვეული საფუძველი მართლაც გააჩნია. რუსეთი დღეს საკითხს ასე აყენებს: ან დაშლილ-დაქუცმაცებული, ან ნეიტრალური, ბუფერული უკრაინა!

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის გადაწყვეტის გზები სწორედ ამ მიმართულებით კომპრომისული გადაწყვეტილების მონახვაშია!

თანამედროვე მსოფლიოში ნეიტრალიტეტის იდეას სამეურნეო

ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების განუხრელი გაღრმავებაც აცლის ნიადაგს. პოლიტიკური პროცესები ისე ვითარდება, რომ პატარა ქვეყნის უსაფრთხოებისთვის ნეიტრალიტეტის სტატუსი სულ უფრო და უფრო კარგავს მომხიბვლელობას. სწორედ ამიტომ ნეიტრალურ ქვეყნებში ფეხს იკიდებს განწყობა, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის ნაცვლად მათთვის უკეთესი იქნებოდა ძლიერ სამხედრო ბლოკში გაწევრიანება.

რუსეთის ვერც ერთი მეზობელი სახელმწიფო ვერ განახორციელებს ნამდვილ ნეიტრალიტეტს. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა არ გვაძლევს ნეიტრალობის საშუალებას. საქართველოსთვის ნეიტრალიტეტი, არსებითად, ევროპისგან მოწყვეტას და რუსეთის პირისპირ დარჩენას ნიშნავს. ამიტომაც ის დღეს მხოლოდ მიმზიდველ ზღაპრად შეიძლება ჩაითვალოს.

დამოწმებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ლევან, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი“, თბილისი, 1998.
2. კისინჯერი ჰენრი, „მსოფლიო წესრიგი“, თბილისი, 2020.
3. კნუტსენი ოლივ, „პატარა სახელმწიფო: უსაფრთხოების პრობლემა“, ჟურნ. „პოლიტიკა“, თბილისი, 1991, N 7.
4. რონდელი ალექსანდრე, „საერთაშორისო ურთიერთობები“, მესამე განახლებული გამოცემა, თბილისი, 2006.
5. რონდელი ალექსანდრე, პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში“, თბილისი, 2009.

Ucha Bluashvili
Doctor of History, Professor of Samtskhe-Javakheti State University

A small country in international relationships and the problem of neutrality

Summary

According to the view established in the special literature, a small country is a weak political entity from a military-political point of view, and the most important among its quantitative characteristics is the population size.

The great power difference between the neighboring states in the international system tempts the strong one to bend his will to the weak neighbor and pushes him to use force. Such a country tries to violate the territorial integrity of a weak neighboring state through gross interference in its domestic affairs, artificially stirs up ethnic conflicts in that country, and then recognizes the self-styled „states" formed on the territory of the neighboring country it occupies. This is exactly what Russia did to Georgia when it first occupied Abkhazia and Tskhinvali regions, and then declared these occupied regions as „independent" states. International law condemns such acts of taking the territory of another country by force. However, this does not mean that immediate military pressure will be applied to the aggressor country. There are other, more civilized methods: it is necessary to speed up the progress of the aggressor country in the direction of democratization, this will ensure the formation of a legal state in this country, which, ultimately, will lead to a revision of the aggressive foreign policy course implemented by it.

Before the Russia-Ukraine conflict, the approach of the international community towards Russia was based on this concept. After Russia incited a large-scale conflict in Central Europe, this approach changed radically, and the strictest economic sanctions were imposed on this country, and Ukraine was provided with all kinds of military and financial assistance.

At the time of the collapse of the USSR, the Baltic countries were much more prepared for this event. The independence of 1917-1939, the geographical neighborhood with Western Europe gave these countries the opportunity to form their political class and political culture. Georgia, which is in a completely different geopolitical situation, imitating the Baltic countries and following their similar political course would be a fatal

mistake. He had neither the domestic-political nor the intellectual potential for this.

In 1990, the collapse of the USSR and the socialist system upset the balance of power in the world. An imbalance of power was created, the results of which are still being reaped in the form of the two wars in Chechnya, the Russia-Georgia and Russia-Ukraine wars, the fires of war in the territory of the former Yugoslavia, and the extreme aggravation of the relationship between the West and Russia.

Some small states try to get rid of threats in the international system by pursuing a policy of neutrality or non-alignment. These two terms carry a similar content, although they are not completely identical.

Another „convenient" political situation of small countries is adjusting to the buffer role. A buffer country is a weak country between two or more strong countries.

None of Russia's neighboring states can implement true neutrality. Our geographical location does not allow us to be neutral. For Georgia, neutrality essentially means disconnection from Europe and remaining face to face with Russia. That's why today it can only be considered as an attractive fairy tale.

ქეთევან ჯოჯიშვილი
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

რუსეთის ბრძოლა ცივილიზებული დასავლეთის წინააღმდეგ რუსეთ-უკრაინის ომის მაგალითზე

გასული საუკუნის კარიბის კრიზისის შემდეგ მსოფლიოში არ ყოფილა ისეთი მასშტაბის დაძაბულობა, როგორსაც წარმოადგენს რუსეთ-უკრაინის ომი. რეალურად ეს არის დაპირისპირება რუსეთსა და ცივილიზირებულ დასავლეთს შორის.

ომში ჩაერთო არაერთი ქვეყანა – პრაქტიკულად, მთელი დასავლეთი. თუ ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როცა რუსეთი მთლიანს თუ არა, ნახევარ ევროპას ებრძვის. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში, ყირიმის ომის დროს, 1855 წელს რუსეთი ნახევარ ევროპას მარტო ებრძოდა. ნიკოლოზ I-ს ის ქვეყნებიც არ დაეხმარნენ, რომლებიც მან გადაარჩინა უნგრეთის აჯანყების ჩაქრობით.

ამჯერად, ვითარებას დრამატულს დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები ხდის. რა თქმა უნდა, უკრაინელი ხალხის თავდადება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ გადამწყვეტ როლს მაინც დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები ასრულებენ. ფაქტია, რომ უკრაინელები თავგანწირვით იბრძვიან რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისტორიაში ასეთი შემთხვევები ბევრია [1, 36-43].

რუსეთ-უკრაინის ომი საერთაშორისო საზოგადოებამ შეაფასა, არა როგორც მხოლოდ ორ სუბიექტს შორის მიმდინარე ომი, არამედ როგორც მოვლენა, რომელიც ეხება არა მხოლოდ ვიწრო გეოპოლიტიკურ არეალს, არამედ ის ემუქრება ევროპის უსაფრთხოებას და განსაზღვრავს არა მხოლოდ უკრაინის, არამედ, ზოგადად, დასავლური საერთაშორისო წესრიგის მომავალს.

კვლავინდებურად გაისმის აშშ-ის და ევროპის უმაღლესი პირებისგან მოწოდება, რომ ჯერ კიდევ არის შანსი კრიზისი განიმუხტოს დიპლომატიის მეშვეობით. თუმცა, ასევე არანაკლებ საინტერესოა, წარმოვიდგინოთ ის სცენარი, სადაც რუსეთი ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის შემდგომ შესძლებს უკრაინის დამარცხებას და მისთვის სასურველ მარიონეტულ რეჟიმს დაამყარებს. თუ რუსეთი შეძლებს უკრაინაში წარმატების მიღწევას, ეს მთელი ევროატლანტი-

კური სივრცისთვის ახალი რეალობის დასაწყისი გახდება. აღნიშნული მოვლენა აიძულებს ევროპას და ნატო-ს კონცენტრირდეს არსებული წევრებისა და ევროპის სახელმწიფოების დაცვაზე. ყველა ვინც არ არის დღეს აღნიშნული „კლუბის წევრი" მარტო მოუწევს დგომა უსაფრთხოების გამოწვევების წინააღმდეგ, მათ შორის საქართველოს და მოლდოვას [2, 45].

რუსეთის მიერ წარმოებული ცინიკური და აგრესიული პოლიტიკა უნდა გახდეს ახალი ევროატლანტიკური გამოღვიძების მიზეზი, რომლის შედეგადაც ეს სივრცე კვლავინდებურად დაიბრუნებს ერთობისა და სოლიდარობის ძველებურ სიმტკიცეს. დღეს დადგა დრო, რომ ზემოაღნიშნული დასავლეთის მხრიდან რეალური ნაბიჯებით დამტკიცდეს, რისი პრაქტიკული გამოვლინებაც უკრაინისა და საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭება შეიძლება გახდეს.

რუსეთი უკრაინაში 2022 წლის 24 თებერვალს გამთენიისას შეიჭრა და სრულმასშტაბიანი ომი დაიწყო. კრემლმა უკრაინაში შეჭრის მიზეზად მისი დენაციფიკაცია და დემილიტარიზაცია დაასახელა და 1 კვირაში უკრაინის აღებაც დააანონსა. რუსეთის პატრიარქი და გენერლები პუტინს არწმუნებდნენ, რომ თითქოს მთელი უკრაინა დროშებით დახვდებოდა.

უკრაინელ ოლიგარქსა და უმაღლესი რადას წევრ ვიქტორ მედვედჩუკს, რომელიც პუტინს „პირად მეგობარს" უწოდებდა, პუტინმა 10 მილიარდი გადასცა უკრაინაში რუსების შესვლის სიტუაციის მოსამზადებლად, მაგრამ მედვედჩუკმა ამ ფულით პარტია „სიცოცხლისათვის" დააარსა. თუ ისტორიულ პარალელს გავავლებთ, ასე მოხდა ნიკოლოზ I-ის დროსაც ყირიმის ომში. როდესაც იგი დამარცხდა, ამის დაჯერება არ უნდოდა და ანგარიში მოითხოვა. როდესაც მოუტანეს და წაიკითხა, ის გაცოფდა არსებული კორუფციით – პეტერბურგიდან რაც ყირიმში იგზავნებოდა, ყველაფერი გზაში იჭმებოდა. ახლაც ასე მოხდა – პუტინმა უკრაინაში სიტუაციის მოსამზადებლად მილიარდები დახარჯა ყველაფერი ერთ კვირაში რომ დამთავრებულიყო, მაგრამ თანამედროვე კონკრეტულ მოცემულობაში რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის გვერდით წინა გამოცდილებისაგან განსხვავებით დადგა მთელი ცივილიზებული დასავლეთი. მათ ეს კონფლიქტი საკუთარ გამოწვევად ჩათვალეს [3, 58].

დღეს დასავლელი ანალიტიკოსები ერთხმად საუბრობენ, რომ შეიძლებოდა ამ ომის თავიდან აცილება შესაბამისი ზომები რომ მიე-

ღოთ ჯერ კიდევ მაშინ, როცა რუსეთი საქართველოში შეიჭრა, ან მაშინ, როცა რუსეთმა ყირიმი წაართვა უკრაინელებს.

ბრძოლის ველზე ცოცხალი ძალა არათანაბარია. რუსეთში ომის დასაწყისში 130 მილიონი მოსახლე იყო, უკრაინაში – 44. ამასთანავე გასათვალისწინებელია: მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს 2 მილიონი უმუშევარი ჰყავს და ეკონომიკა 11%-ით შემცირდა, ომის დასაწყისში „ლევადა ცენტრის" მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის თანახმად, რუსეთში პუტინის რეიტინგია 83%. არადა, ომის დაწყებამდე იყო 73%. ჩვენი აზრით, არანაირი საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ ამ კვლევითი კომპანიის სამართლიანობაში ეჭვი შევიტანოთ. ვინაიდან „ლევადა ცენტრი", რომელსაც ლევ გუდკოვი ხელმძღვანელობს, უკვე უცხოეთის აგენტ-ორგანიზაციადაა გამოცხადებული რუსეთში, გუდკოვი კი იდევნება.

ეს ფაქტი შეიძლება ავხსნათ რუსული ნაციონალისტური აზროვნების იმპერიალისტური ბუნებიდან გამომდინარე. სოციალისტური სისტემის დანერგვის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ვერ ხერხდებოდა ახალ გეოგრაფიულ საზღვრებში, პოლიტიკურ რეალობასა და საერთაშორისო დღის წესრიგში ახალი ეროვნული იდენტობისა და ნაციონალური ნარატივის შექმნა, სანამ პუტინის მთავრობამ წინ არ წამოსწია პატრიოტული ნარატივების სერია. რომლებშიც „დერჟავა" რუსთა უმრავლესობისათვის „რუსეთთან" და „სამშობლოსთანაა" გაიგივებული, რომლის დიდებასაც შეალია ამ ხალხმა საკუთარი თავისუფლება და ეკონომიკური კეთილდღეობა.

ხელისუფლების ერთი პირის ხელში კონცენტრაციამ და პუტინის კულტის ჩამოყალიბებამ რუსეთის მოქალაქეების ნაწილს დაუბრუნა „სიამაყისა" და „ღირსების" განცდა, აგრძნობინა, რომ კრემლი ისევ ძლიერია და საბჭოთა კავშირის რაიმე სხვა ფორმით არსებობა – შესაძლებელი. სახელმწიფოს ბიუროკრატიულმა მანქანამ და კრემლის დაქვემდებარებაში მყოფმა მედია საშუალებებმა სცადეს პუტინი წარმოეჩინათ „ეროვნულ გმირად", რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი რუსეთის „ფეხზე დაყენება" და მისთვის „ღირსების დაბრუნება" შეძლო. პუტინის მითებსა და ნარატივებში განსაკუთრებული ადგილი უკავია უკრაინის თემას. რუსი ნაციონალისტები, ძირითადად, უკრაინას – დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, უკრაინელ ხალხს კი – ცალკე ერად არც განიხილავენ და უარყოფენ უკრაინის დამოუკიდებლობის იდეას.

პუტინის მაღალი რეიტინგის კვალდაკვალ გაიზარდა პრემიერ-მინისტრ მიხეილ მიშუსტინისა და სახელმწიფო დუმის რეიტინგიც. თუმცა ყველაზე დიდი პრობლემა რუსეთში ისაა, რომ პოლიტიკური ოპოზიციაც და ევროპულ წრეებში მიღებული რუსული ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობაც, საქმე საქმეზე რომ მიდგება, მხარს უჭერენ ხელისუფლების იმპერიალისტულ პოლიტიკას, დაპყრობით ომებს. მათ, მართალია, არ მოსწონთ „საშუალება", მაგრამ მხარს უჭერენ „მიზანს".

1994 წელს ჰ. კისინჯერი თავის შესანიშნავ ნაშრომში „დიპლომატია" წერდა: „რუსეთის წამყვანი ფიგურების აბსოლუტური უმრავლესობა, მიუხედავად პოლიტიკური შეხედულებებისა, უარს ამბობს აღიაროს საბჭოთა იმპერიის დაშლა, ან უფლებამონაცვლე სახელმწიფოების, განსაკუთრებით, უკრაინის ლეგიტიმურობა" [4, 21]. სამწუხაროდ, რუსი სტატისტიკური ადამიანის ცნობიერება 21-ე საუკუნეშიც არ შეცვლილა.

90-იან წლებში როცა საქართველოში რუსეთმა აფხაზეთის ოკუპაცია განახორციელა, არავინ გამოჩნდა რუსი პოლიტიკოსებიდან, რომელიც დაგმობდა ამ ფაქტს [5, 5]. კასპაროვი, ერთ-ერთი ყველაზე წესიერი ადამიანი – „ყირიმის რუსების დაცვას აპირებს უკრაინული არმიის ბოროტმოქმედებისაგან". ხოდორკოვსკი ციხიდან გამოსვლის შემდეგ ინტერვიუში ამბობს, რომ იბრძვის ჩეჩნეთის დამონებისთვის, ნოვგოროდცევი სამუშაოდ მიდის მედვედჩუკის არხზე, ლატინინა აპირებს ააშენოს რაღაც „ახალი რუსეთი" უკრაინაში. ჟურნალისტს ლუბა სობოლს მოაქვს ნავალნის ციტატა, „ყირიმი, ბუტერბროდი არ არის, რომ მისი დაბრუნება შეიძლებოდეს". რუსული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლი, რეჟისორი და ხელოვანი ნიკიტა მიხალკოვი, რომელიც მუდამ ცენზურისა და რეჟიმების იდეოტური აკრძალვების წინააღმდეგ იბრძოდა, დღეს ცალსახად მხარს უჭერს პუტინის ომს უკრაინაში და მას მიმართავს თხოვნით რუსეთში ცენზურის დაწესების შესახებ.

ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი, პროგრესულად მოაზროვნე და ამავე დროს ყოველგვარი იმპერიალისტური კლიშეებისაგან თავისუფალი რამოდენიმე ადამიანი ყოველთვის იყო რუსეთში და დღესაც არიან. ისინი აპროტესტებენ უკრაინაში ომს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერაფერს ცვლიან ქვეყანაში, რადგან უმცირესობაში არიან. მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს პუტინის

ომს უკრაინაში. როდესაც ხალხი მხარს უჭერს ისეთ ხელისუფლებას, როგორიც რუსეთს ჰყავს, ის ხალხის სახელით ყველაფერზე წავა. ამიტომაც ამ ომში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დასავლეთის კონსოლიდაციას უკრაინის ირგვლივ და მათ მიერ დაწესებულ სანქციებს.

რაც უფრო მეტად ბომბავს რუსეთი სხვადასხვა ქალაქს, მით მეტ იარაღს აწვდიან უკრაინას სხვადასხვა ქვეყნიდან. ევროკავშირმა უკრაინის წინააღმდეგ მოსკოვის აგრესიის საპასუხოდ სანქციების მრავალი პაკეტი დააწესა.

თავდაპირველად 2022 წლის მაისის დასაწყისში, დიდი ბრიტანეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა განაცხადა, რომ უკრაინას შეუძლია განახორციელოს დარტყმები ბრიტანული იარაღით რუსეთის ტერიტორიაზე. 2024 წლის 23 აპრილს ლონდონმა განაცხადა, რომ უკრაინისთვის გამოყო ქვეყნის ისტორიაში ყველაზე დიდი დახმარების პაკეტი 617 მილიონი დოლარის (500 მილიონი გირვანქის) ოდენობით. სამხედრო დახმარების პაკეტში, პრესისთვის მიცემული ინფორმაციის თანახმად, შევა 1600-ზე მეტი შეტევითი და საზენიტო რაკეტა, მათ შორის ახალი პარტია Storm Shadow-ს ტიპის ფრთოსანი რაკეტებისა, რომელთა მოქმედების მანძილი დაახლოებით 250 კილომეტრს შეადგენს.

შემდეგი იყო გერმანია, რომელიც ევროპაში პირველ ადგილზეა უკრაინისთვის გაწეული სამხედრო დახმარებით, მათ შორის საარტილერიო და სარაკეტო სისტემებით.

მთავარი ტრანზიტული სახელმწიფო იმ საერთაშორისო დახმარებისათვის, რომელიც უკრაინაში იგზავნება, არის პოლონეთი. ის იყო ერთ-ერთი პირველი ევროპული ქვეყანა, რომელმაც იგრძნო რუსეთიდან წამოსული საფრთხე და გამუდმებით აფრთხილებდა ნატოსა და ევროკავშირს ამ საფრთხეების შესახებ. პოლონეთის რადიკალიზმს რუსეთის ქმედებების მიმართ დასავლელი პარტნიორები მაშინ პოსტკომუნისტურ აშლილობად მოიხსენიებდნენ, მაგრამ დღეს რეალობა ფუნდამენტურად შეცვლილია და პოლონეთი წარმოადგენს მთავარ დასაყრდენს ნატოსთვის უკრაინაში ომის დროს, დასავლეთისთვის კი – მთავარ იარაღს უკრაინისა და ევროპის დასაცავად. მთავარი უპირატესობა პოლონეთისათვის არის საზღვარი დასავლეთ უკრაინასთან და აეროპორტი Jezovi (The airport at Rzeszow), რომელიც იქცა მთავარ გამტარად დასავლური იარაღისა, რომელიც უკრაინის ტერიტორიაზე შედიოდა. იქ არსებული სამგზავრო თვითმფრი-

ნავებით ხდებოდა ნატოს ქვეყნებიდან და უკრაინის სხვა მოკავშირეებიდან დახმარების შეუფერხებლად გადატანა, როგორც წვრილი საბრძოლო მასალის, ასევე მსხვილი ჯავშანტექნიკის მიწოდება. ამ მიზნით ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ნატოს სხვა წევრმა სახელმწიფოებმა სასაზღვრო რეგიონებში განათავსეს დამატებითი ჯარები, ჯავშანტექნიკა და საჰაერო თავდაცვის სისტემები. შესაბამისად, პოლონეთი აღმოჩნდა პირველ ხაზზე იმ სისტემური კონფლიქტისა, რომელიც დასავლეთსა და რუსეთს შორის წარმოიშვა და ისეთივე მნიშვნელოვანი ფუნქცია დაეკისრა, როგორსაც გერმანია ასრულებდა ცივი ომის დროს [6, 16].

ევროკავშირის საბჭომ რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის ტერიტორიების უკანონო ოკუპაციისა და ანექსიის გამო დაწესებული სანქციები ერთი წლით, 2025 წლის 24 თებერვლამდე გაახანგრძლივა, მაგრამ, ევროპის ასეთი უპრეცედენტო დახმარების მიუხედავად, კონფლიქტის ამ ეტაპზე ევროპულ სახელმწიფოთა რესურსები არასაკმარისი აღმოჩნდა, რის გამოც უკრაინელების პოზიცია ბრძოლის ველზე გაუარესდა. CIA-ის დირექტორ უილიამ ბერნსის თქმით, „რეალურია რისკი, რომ უკრაინელები შესაძლოა ბრძოლის ველზე 2024 წლის ბოლოსთვის დამარცხდნენ (დამატებითი დახმარების გარეშე)". ამ ფაქტმა კიდევ უფრო გამოავლინა ამერიკული დახმარების გადაუდებელი აუცილებლობა [7, 8].

ჯერ კიდევ 2008 წელს ედვარდ ლუკასმა თავის წიგნში „ახალი ცივი ომი" განაცხადა: „მსოფლიოს უმდიდრესმა და უძლიერესმა თავისუფალმა ქვეყნებმა იმ პატარა სახელმწიფოებს უნდა დაუჭირონ მხარი, რომლებიც რუსეთიდან მომავალი საფრთხეების წინაშე დგანან. ეს შეიძლება არაკომფორტული, ძვირი ან მტკივნეულიც კი იყოს, მაგრამ თუ ჩვენ არ მოვიგებთ ახალ ცივ ომს ჩვენივე პირობებით, მოგვიწევს ბრძოლა ჩვენი მოწინააღმდეგის მიერ არჩეულ დროს და ადგილას და უპირატესობა ჩვენს მოწინააღმდეგეს ექნება".

აშშ-ის კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ თითქმის ერთწლიანი დისკუსიისა და მცდელობების შემდეგ დაამტკიცა უკრაინის, ისრაელის და ტაივანის მხარდაჭერისთვის სპიკერ მაიკ ჯონსონის მიერ ინიცირებული ამერიკული დახმარების პაკეტი (ე. წ. „ჯონსონის პაკეტი"), რომელიც უსაფრთხოებისთვის 95,3 მილიარდი აშშ დოლარის გაღებას ითვალისწინებს. მათ შორის უკრაინის დასახმარებლად გამოიყო დაახლოებით 61 მილიარდი, თუმცა ამ თანხის მესამედზე მე-

ტი უნდა მოხმარდეს აშშ-ის არმიაში იარაღისა და საბრძოლო მასალის მარაგების შევსებას, 13,8 მილიარდი დოლარი კი გადაეცემა უკრაინას აშშ-გან იარაღის შესაძენად. ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვით სისტემებთან ერთად უკრაინა ATACMS-ის ტიპის შორ მანძილზე მოქმედ რაკეტებსაც მიიღებს [8, 18].

Washington Post-ის ცნობით, ჯონსონის წინააღმდეგობა უკრაინის დახმარებასთან დაკავშირებით შეიცვალა მას შემდეგ, რაც მან სპიკერის პოზიცია დაიკავა და გაეზარდა წვდომა სადაზვერვო ინფორმაციაზე. „ისტორია განგვსჯის იმის გამო, რასაც დღეს ვაკეთებთ. ეს არის კრიტიკული დრო ახლა... მე ვარ რეიგანის ეპოქის რესპუბლიკელი. მე მჯერა მშვიდობის ძალის მეშვეობით", – განაცხადა მან. როგორც CNN წერს, არსებობს პერსონალური ფაქტორიც, რამაც მაიკ ჯონსონს უბიძგა პოზიცია შეეცვალა: „ჩემი შვილი ამ შემოდგომაზე აპირებს საზღვაო აკადემიაში სწავლას. უბრალოდ რომ ვთქვა, უკრაინაში მირჩევნია ტყვიები გავგზავნო, ვიდრე ამერიკელი ბიჭები. ეს არ არის თამაში, ეს არ არის ხუმრობა".

განცხადების დროს ჯონსონმა ასევე ახსენა, რომ თუ რუსეთს არ შეაჩერებენ, იგი საფრთხეს შეუქმნის ნატოს სხვა სახელმწიფოებს და მსოფლიო წესრიგს. ამიტომაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინას ნება დართო, ამერიკისგან მიწოდებული იარაღი რუსეთზე თავდასხმისთვის გამოიყენოს, თუმცა მხოლოდ ხარკოვის სიახლოვეს. ეს გადაწყვეტილება პოლიტიკაში მნიშვნელოვან ცვლილებაზე მიუთითებს. ცნობილია, რომ ამ დრომდე პრეზიდენტი ბაიდენი უარს ამბობდა ამერიკული იარაღით რუსეთის ტერიტორიაზე თავდასასხმელად უკრაინისთვის ნების დართვაზე. აშშ-ს კვალდაკვალ უკრაინას გერმანიამაც მისცა ნებართვა, მისგან მიღებული იარაღი გამოიყენოს რუსეთის ტერიტორიაზე დარტყმებისთვის. „დოიჩე ველეს" ცნობით, ამის შესახებ გერმანიის მთავრობის ოფიციალურმა წარმომადგენელმა შტეფენ ჰებეშტრაიტმა განაცხადა და გადაწყვეტილება ბოლო დროს ხარკოვის ოლქზე რუსეთის საზღვრიდან განხორციელებული თავდასხმებით ახსნა [9, 34].

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საერთაშორისო სისტემაში რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი არის ლიბერალური საერთაშორისო წესრიგისა და მთელი ცივილიზებული დასავლეთის სერიოზული გამოწვევა, რადგან რუსეთის გამარჯვებას ამ კონფლიქტში შეიძლება

მოჰყვეს დასავლური წესრიგის შესუსტება და უსაფრთხოების გარემოს მნიშვნელოვანი ცვლილებები. რუსეთის სახელმწიფომ განაცხადი მოქმედი ლიბერალური წესრიგის გადასინჯვის შესახებ ჯერ კიდევ საქართველოში შეჭრით გააკეთა. რუსეთ-უკრაინის ომით კი მოახდინა ახალი საერთაშორისო ნორმების დამკვიდრების მისეული კონცეფტის მკაფიო ფორმულირება, რომელიც რუსულ ისტორიულ იმპერიულ ხედვასთან ასოცირდება.

დასავლეთმა რუსულ კონცეფტს უპასუხა ისეთი უპრეცედენტო კონსოლიდაციით უკრაინის გარშემო, რომლის მსგავსი რეიგანის შემდგომ არ განხორციელებულა. სწორედ დასავლეთის მიერ ერთიანობის შენარჩუნება და მის მიერ ამ მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკური ნაბიჯების შემდგომი დინამიკა იქნება იმის განმსაზღვრელი, თუ როგორი იქნება რუსეთ-უკრაინის ომის ფინალი, რა მიმართულებით და როგორი სცენარით გაგრძელდება საერთაშორისო ურთიერთობების ტრანსფორმაცია, რომელზეც მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ცივილიზებული დასავლეთის და აგრეთვე იმ ქვეყნების მომავალი, რომლებმაც ცივილიზებული მსოფლიოს განუყოფელ ნაწილად გახდომის სურვილი გამოთქვეს.

გლობალური თვალსაზრისით, რუსეთის წარმატება უკრაინაში ლიბერალურ-დემოკრატიულ საერთაშორისო წესრიგზე დამყარებული მსოფლიო წესრიგისათვის ყველაზე დიდი დარტყმა იქნება ცივი ომის დასრულების შემდგომ. ეს პლანეტარული მასშტაბით წაახალისებს ავტორიტარული რეჟიმების ამბიციებსა და ქმედებებს, პირველ რიგში კი პეკინს, რომელმაც მოსკოვთან ერთად გავრცელებულ განცხადებაში, ფაქტობრივად, ახლებური მსოფლიო წესრიგის დამყარების სურვილი გამოთქვა. ამის შემდგომ სამყარო განაგრძობს განვითარებას ორი პოლიტიკური, სამხედრო-ტექნოლოგიური და ეკონომიკური გრავიტაციული ცენტრის – პეკინისა და ვაშინგტონის ირგვლივ. მცირე სახელმწიფოებს, რომელიც აღნიშნულ სივრცეებთან შემხებ გეოპოლიტიკურ ლანდშაფტზე იქნებიან, მოუწევთ არჩევანის გაკეთება, ან ბალანსირება ახალ რეალობაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ლევან გოზალიშვილი, „რუსეთის ფედერაციის სტრატეგია და ამოცანები უკრაინის წინააღმდეგ წარმოებულ 2022 წლის ომში“, სსიპ-დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურა, სტუდენტურ-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული, გორი, 2022.
2. რობერტ არტი, რობერტ ჯერვისი, „საერთაშორისო პოლიტიკა“, თბილისი, 2011.
3. Hoffman, Frank G., 'Conflict in the 21st century: The rise of hybrid wars'. Paper, Potomac Institute for Policy Studies, Arlington, t. X, 2007.
4. Kissinger Henry, „Diplomacy“, Simon & Schuster, Reprint edition, 1994.
5. თამარ კიკნაძე, გიორგი ვოლსკი, ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები და მათი გადაჭრის პერსპექტივები, ჟურნალი პოლიტილოგოსი, ტომი 1, თბილისი, 2018.
6. Allison G., „Destined for war: Can America and China escape Thucydides's trap?“, Houghton Mifflin Harcourt, 2017.
7. ბრუს ჯენტლესონი, „ამერიკის საგარეო პოლიტიკა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2015.
8. Robert Kaplan, „Anarchy and Hegemony“. Global affairs with Robert D. Kaplan, Stratfor, 2013 იხ. https://worldview.stratfor.com/article/anarchy-and-hegemony უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 20.05.2023.
9. Robert Keohane, „After Hegemony: Cooperation and Discord in the World Political Economy“, Princeton University Press, United Kingdom, 1984.

Ketevan Jojishvili
Caucasus International University, Doctor of Political Science

Russia's struggle against the civilized West on the example of the Russia-Ukraine war

Summary

The occupation of the sovereign territories of Georgia by the Russian Federation, and later the annexation of the Crimean Peninsula and the Russia-Ukraine conflict have emphasized that the great powers are still demonstrating their power to satisfy their „imperialist" ambitions and to establish a „new world order".

The Russia-Ukraine war is a huge challenge for the civilized West, where its leadership and involvement are crucial in solving the problems. Against the background of the current events, the diplomatic efforts of the West are aimed at avoiding war. All of this made the world community think again about what the 21st century world order is like, which is now being formed and will take its full form after the Russia-Ukraine war.

ვალერი მოდებაძე
სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის პროფესორი.

ზესახელმწიფოებს შორის კონკურენცია ტრანსკონტინენტური სავაჭრო-ეკონომიკური გზების დაუფლებისათვის

შესავალი

წინამდებარე გამოკვლევაში აღწერილია დიდ სახელმწიფოებს შორის არსებული გეოპოლიტიკური მეტოქეობა სტრატეგიული სავაჭრო გზების დაუფლებისათვის. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ყოველთვის არსებობდა მძაფრი კონკურენცია ზესახელმწიფოებს შორის ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების დასაუფლებლად. სტრატეგიული სავაჭრო არტერიების კონტროლი ზესახელმწიფოს საშუალებას აძლევს მოახდინოს ძალის პროეცირება მთელ მსოფლიოში და ზეწოლა განახორციელოს სუვერენულ ქვეყნებზე. დიდ სახელმწიფოებს აქვთ ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და კულტურული მოტივაცია, რომ თავის კონტროლს დაუქვემდებარონ ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზები. სავაჭრო მარშრუტები რესურსებისა და სამხედრო პერსონალის სწრაფი გადაადგილების ყველაზე ეფექტური საშუალებაა. სავაჭრო გზების უსაფრთხოება დიდი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების სფეროში შედის და ამიტომაც ისინი ძალას არ იშურებენ მათ დასაცავად. სავაჭრო გზების კონტროლი საშუალებას აძლევს ზესახელმწიფოებს, რომ დაამყარონ მჭიდრო კომერციული და ეკონომიკური ურთიერთობები თავიანთ სტრატეგიულ პარტნიორებთან, ასევე სავაჭრო მარშრუტების მართვა მათ შესაძლებლობას უქმნის დასაჯონ გეოპოლიტიკური კონკურენტები და შეუზღუდონ მათი წვდომა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან რესურსებზე.

ანტიკურ ხანაში არსებული სავაჭრო გზებიდან აღსანიშნავია დიდი აბრეშუმის გზა, რომელიც იყო ევრაზიაში განფენილი სავაჭრო მარშრუტების ქსელი. აბრეშუმის გზის მეშვეობით ხდებოდა ევრაზიის სხვადასხვა ერების, ხალხების და ცივილიზაციების ერთმანეთთან დაკავშირება და ეგზოტიკური პროდუქტების ტრანსპორტირება აზიიდან ევროპაში. აბრეშუმის გზის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძ-

ღვის ჰანის დინასტიას. ჩვ. წ. აღ. 114 წელს ჰანის დინასტიის იმპერატორმა ვუმ გაგზავნა თავისი ემისარი ჯან ციანი ცენტრალურ აზიაში, რომ მჭიდრო კავშირები დაემყარებინა შუა აზიის ქვეყნებთან.

სახელწოდება „აბრეშუმის გზა" ანტიკურ ხანაში არსებულ სავაჭრო გზებს გერმანელმა მოგზაურმა ბარონ ფერდინანდ ფონ რიხტჰოფენმა 1877 წელს უწოდა [5]. ამ სავაჭრო გზებით ხდებოდა არა მხოლოდ საქონლის ტრანსპორტირება, არამედ მრავალი პროგრესული შეხედულებისა და ინოვაციური იდეების გაცვლა მსოფლიოს სხვადასხვა ერებს შორის.

პოლიტიკური არასტაბილურობა და კონფლიქტები ხშირად იწვევდა ტრანსკონტიტენტური სავაჭრო ეკონომიკური გზების გადანაცვლებას არასტაბილური რეგიონებიდან უფრო უსაფრთხო და საიმედო ადგილებში. ამრიგად, სავაჭრო ეკონომიკური მარშრუტები ხშირად იცვლებოდა დროთა განმავლობაში. მაგალითად, ასეთი ცვლილება მოხდა მეათე საუკუნეში, რომელიც გარკვეული მიზეზებით იყო განპირობებული: 1. ტანის დინასტიის დაცემა 2. საზღვაო-სამარშრუტო გზების განვითარება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მიმართულებით, რაც უზრუნველყოფდა ადამიანებისა და საქონლის უფრო სწრაფად გადაადგილებას დიდ დისტანციებზე. 3. რომის იმპერიის დაცემა და არაბების აღზევება ახლო აღმოსავლეთში.

როდესაც რომის იმპერიამ დაკარგა ტერიტორიები აზიაში და არაბეთის ძალაუფლება გაიზარდა ახლო აღმოსაავლეთის რეგიონში, ძველი აბრეშუმის გზის სავაჭრო ქსელი ძალიან სარისკო და სახიფათო გახდა, რის გამოც ნაკლებად ხდებოდა მისი გამოყენება მოგზაურების მიერ [2]. მას შემდეგ რაც რომმა დაკარგა კონტროლი აბრეშუმის გზის გასწვრივ არსებულ საკვანძო პუნქტებსა და დერეფნებზე ეს სასიცოცხლო ტრანსკონტინენტური სავაჭრო არტერია არაბების მძლავრი ზეგავლენის ქვეშ აღმოჩნდა. ძალთა ბალანსის ცვლილებამ ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, აბრეშუმის გზის სავაჭრო ქსელის სრული დესტაბილიზაცია გამოიწვია. თანდათანობით ის უფრო სახიფათო გახადა ვაჭრებისთვის, მომლოცველებისთვის და მოგზაურებისთვის და მათ აღარ შეეძლოთ ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების უსაფრთხოდ გადალახვა.

მზარდი არასტაბილურობის გამო შეწყდა სახმელეთო მიმოსვლა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის, რაც ადრე ხელს უწყობდა საქონლის, იდეებისა და კულტურული ნორმების გაცვლას აღმოსავლე-

თისა და დასავლეთის ცივილიზაციებს შორის. წარსულს ჩაბარდა საუკუნეების განმავლობაში არსებული გაცხოველებული და ინტენსიური ვაჭრობა ევროპისა და აზიის ქვეყნებს შორის.

პანაზიური ვაჭრობა კვლავ განახლდა მონღოლთა იმპერიის აღზევების დროს მე-13 და მე-14 საუკუნეებში, როდესაც მონღოლთა მმართველობა გავრცელდა ევრაზიის კონტინენტის უმეტეს ნაწილზე [2]. იმ პერიოდში სავაჭრო მარშრუტები მიუყვებოდა ძირითადად ძველი აბრეშუმის გზას, მაგრამ ამასთანავე ხდებოდა საზღვაო მარშრუტების გამოყენება სხვადასხვა ქვეყნებთან მჭიდრო ეკონომიკური და კომერციული ურთიერთობების დასამყარებლად. ამ საზღვაო მარშრუტების ფორმირება დაიწყო მას შემდეგ, რაც აბრეშუმის გზამ თავისი რელევანტურობა დაკარგა და საერთაშორისო ასპარეზზე მოხდა მონღოლთა იმპერიის აღზევება.

აბრეშუმის გზის მეშვეობით ინოვაციური იდეები და ახალი გამოგონებები ერთი კონტინენტიდან მეორეზე სწრაფად ვრცელდებოდა. სწორედ აბრეშუმის გზის მეშვეობით გავრცელდა ქაღალდის დამზადების ტექნოლოგია ჩინეთიდან ცენტრალურ აზიაში, შემდეგ კი ევროპაში. დროთა განმავლობაში აბრეშუმის გზა გაფართოვდა და გახდა მთავარი სავაჭრო არტერია, რომლის მეშვეობით ხორციელდებოდა კომერციული საქმიანობა მთელ მსოფლიოში. ის ჩინეთს აკავშირებდა ახლო აღმოსავლეთთან, ხმელთაშუა ზღვასთან და ევროპასთან. აბრეშუმის გზა არ იყო მხოლოდ სავაჭრო არტერია, ამ გზის მეშვეობით გაღრმავდა კულტურათაშორისი კავშირებიც და დამყარდა მჭიდრო ურთიერთობა სხვადასხვა ცივილიზაციას შორის. ვაჭრები ამ გზით მოგზაურობისას ავრცელებდნენ ახალ იდეებს, რელიგიურ და ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას, ასევე სხვადასხვა ტექნოლოგიებსა და გამოგონებებს. მაგალითად, დენთი სწორედ ამ სავაჭრო გზით გავრცელდა ევროპაში.

აბრეშუმის გზის გასწვრივ ჩამოყალიბდა მსხვილი სავაჭრო და კომერციული ჰაბები, როგორიცაა მაგალითად სამარყანდი, ბუხარა, სიანი, რომებიც თანდათანობით კულტურათა სადნობ ქვაბად გადაიქცნენ. აბრეშუმის გზა არ იყო ერთიანი მარშრუტი, არამედ სინამდვილეში წარმოადგენდა სახმელეთო და საზღვაო სავაჭრო გზების კომპლექსური ქსელს, რომელიც დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და უფრო სრულყოფილ სახეს იღებდა. გეოგრაფიული აღმოჩენები და ტექნოლოგიური პროგრესი ხშირად იწვევდა ცვლილებას აბრეშუმის გზის ტრაექტორიაში.

აბრეშუმის გზის გარდა არსებობდა ტრანსკონტინენტური საზღვაო-სავაჭრო მარშრუტები, რომლებიც აკავშირებდა ევროპას აზიასთან, განსაკუთრებით ინდოეთის ქვეკონტინენტთან და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან. გემთშენებლობისა და ნავიგაციის განვითარების შესაბამისად ხდებოდა სანელებლების სავაჭრო მარშრუტების ფორმირება, რომელთა მეშვეობითაც ხდებოდა ისეთი ღირებული საქონლის ტრასპორტირება ევროპაში, როგორიცაა სანელებლები, ქსოვილები და ძვირფასი ლითონები. ზემოთ ხსენებული ტნასკონტინენტური საზღვაო-სავაჭრო გზების ძირითადი ჰაბები მოიცავდა პორტებს ინდოეთში, ინდონეზიაში და ახლო აღმოსავლეთში, სადაც ვაჭრები ევროპიდან, აფრიკიდან და აზიიდან იკრიბებოდნენ საქონლის გაცვლისათვის. სანელებლების სავაჭრო მარშრუტებზე კონტროლის დამყარება იყო ევროპული კოლონიური ექსპანსიისა და ისეთი ტრანსნაციონალური სავაჭრო კომპანიების დაარსების მთავარი მამოძრავებელი ძალა, როგორიცაა ჰოლანდიური ოსტ-ინდოეთის კომპანია და ბრიტანეთის ოსტ-ინდოეთის კომპანია.

ჩრდილოეთ აფრიკაში არსებობდა სავაჭრო გზების ფართო ქსელი, რომელიც აკავშირებდა ხმელთაშუა ზღვის რეგიონს სუბსაჰარულ აფრიკასთან. ამ ტრანსსაჰარულმა სავაჭრო გზებმა ხელი შეუწყო ისეთი საქონლის გაცვლას ჩრდილოეთ აფრიკას, საჰელსა და დასავლეთ აფრიკის სანაპირო რეგიონებს შორის, როგორიცაა ოქრო, მარილი, ძვირფასი ლითონები და მონები. მსხვილი სავაჭრო ცენტრები, როგორიცაა ტიმბუქტუ დღევანდელ მალიში, განსაკუთრებით დაწინაურდნენ კომერციულ საქმიანობაში და ამ ტრანსსაჰარული სავაჭრო ქსელების გავლენიანი კომერციული ჰაბები გახდნენ. ქალაქი ტიმბუქტუ თანდათანობით გადაიქცა აფრიკის ერთ-ერთ უმიდიდრეს ქალაქად, ტრანსსაჰარული სავაჭრო გზის მთავარ ანკლავად და საქარავნო ვაჭრობის მთავარ ცენტრად [9]. ტრანსსაჰარულმა ვაჭრობამ შექმნა ხელსაყრელი პირობები ისლამის, არაბული კულტურისა და ბერბერული კულტურის გასავრცელებლად აფრიკის სხვადასხვა რეგიონებში.

ანტიკური ხანის ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების გამოყენება ხდებოდა არა მხოლოდ კომერციული საქმიანობისათვის, არამედ ასევე კულტურული მიზნებისათვის. ეს გზები ერთმანეთთან აკავშირებდა ევრაზიისა და აფრიკის სხვადასხვა ცივილიზაციებს. მათ თანამედროვე ეპოქის დადგომამდე დიდი ხნით ადრე ჩაუყარეს საფუძველი გლობალიზაციის პროცესს. სხვადასხვა კულტურას შორის ურთიერ-

თქმედებამ გამოიწვია კულტურული ელემენტების შერწყმა და ერთიანი, გლობალური კულტურის აღმოცენება. ამ პროცესმა შექმნა საფუძველი ძლიერი კოსმოპოლიტური ცენტრების ფორმირებისათვის. რელიგიები, როგორიცაა ბუდიზმი, ისლამი და ქრისტიანობა სავაჭრო ქსელების გასწვრივ მდებარე დასახლებულ პუნქტებში და ქალაქებში გავრცელდა და ადგილობრივი რწმენის სისტემებს საკუთარი დაღი დაასვა. ტრანსკონტინენტური სავაჭრო მარშრუტების მეშვეობით სხვადასხვა არქიტექტურული სტილი, მუსიკალური და კულინარიული ტრადიცია ევრაზიის სხვადასხვა რეგიონში გავრცელდა.

რა მოტივაცია გააჩნია ზესახელმწიფოს, რომ თავის კონტროლს დაუქვემდებაროს სტრატეგიული სავაჭრო ეკონომიკური გზები?

სტრატეგიული სავაჭრო გზების დაუფლებისათვის ბრძოლას დიდი ხნის ისტორია აქვს. უხსოვარი დროიდან მოყოლებული დიდი იმპერიები და ძლიერი სახელმწიფოები ცდილობენ კონტროლის დამყარებას სტრატეგიულ ტრანსკონტინენტურ სავაჭრო-ეკონომიკურ გზებზე. დიდ სახელმწიფოებს აქვთ ეკონომიკური, გეოპოლიტიკური და კულტურული მოტივები, რომ მსოფლიოს ძირითად სავაჭრო არტერიებს დაეუფლონ:

1. **ეკონომიკური მოტივაციები:** სავაჭრო მარშრუტების კონტროლი ზესახელმწიფოს ანიჭებს იმის უნარს, რომ მართოს საქონლის ნაკადი, დააწესოს ფასები და გავლენა მოახდინოს სუვერენული ქვეყნების ეკონომიკაზე. ტრანსკონტინენტური სავაჭრო მარშრუტების მართვა საშუალებას აძლევს მაკონტროლებელ ძალას დაარეგულიროს საქონლის, რესურსების და კაპიტალის მოძრაობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონს შორის. ზესახელმწიფოს ტრანსკონტინენტური სავაჭრო ეკონომიკური მარშრუტების გაკონტროლების შემთხვევაში შეუძლია მოიპოვოს დიდი ეკონომიკური სარგებელი, დააწესოს ტარიფები ან შეზღუდვები და ჩამოაყალიბოს გლობალური სავაჭრო სისტემა თავისი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე.

ტრანსკონტინენტური სავაჭრო ეკონომიკური დერეფნების მართვის შემთხვევაში ზესახელმწიფოს უჩნდება საქონლის, მომსახურებისა და რესურსების ნაკადის რეგულირებისა და დაბეგვრის შესაძლებლობა, რაც შეიძლება მისთვის იყოს სიმდიდრისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მთავარი წყარო. ამან, თავის მხრივ, შეიძლება ხელი შეუწყოს ზესახელმწიფოს სამხედრო პოტენციალის ამაღლებას და დაეხმაროს მას საერთაშორისო სისტემაში დომინანტური პოზიციის შენარჩუნებაში.

2. **გეოპოლიტიკური მოტივები:** სავაჭრო გზები არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი არტერია, რომლის მეშვეობით ხორციელდება რესურსების და სამხედრო პერსონალის გადაადგილება. მათი გაკონტროლების შემთხვევაში ზესახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონი მართოს საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე და მოახდინოს ძალის პროეცირება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სტრატეგიული სავაჭრო მარშრუტები ხშირად ემთხვევა ძირითად სამხედრო მარშრუტებს, რაც უზრუნველყოფს ზესახელმწიფოს ლოგისტიკურ მხარდაჭერას სამხედრო ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში და ძალაუფლების პროექციის შესაძლებლობას უჩენს მას მსოფლიოს საკვანძო რეგიონებში. ზესახელმწფიოს შეუძლია გამოიყენოს ტრანსკონტინენტური სავაჭრო ეკონომიკური დერეფნები მოკავშირეების დასაჯილდოებლად, გეოპოლიტიკური კონკურენტების დასასჯელად და სხვა ქვეყნებზე ზეწოლის განსახორციელებლად. ტრანსკონტინენტური სავაჭრო ეკონომიკური გზების კონტროლი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ზესახელმწიფოს გავლენის სფეროების გაფართოებისთვის და საშუალებას აძლევს მას მართოს რეგიონალური და გლობალური მოვლენები.

ზესახელმწიფოები ხშირად აარსებენ სამხედრო ბაზებს და აკონტროლებენ საკვანძო პუნქტებს ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების გასწვრივ. ეს კონტროლი შეიძლება განხორციელდეს ფლოტის მეშვეობით საზღვაო მაშრუტებზე ან საჰაერო ბაზების მეშვეობით სახმელეთო გზებზე. საკვანძო სავაჭრო პუნქტებზე დომინირებით (მაგალითად, სტრატეგიული სრუტეების კონტროლი), ზესახელმწიფოს უჩნდება მნიშვნელოვანი სამხედრო უპირატესობების მოპოვების შესაძლებლობა. ეს საშუალებას აძლევს ზესახელმწიფოს უფრო ეფექტურად განახორციელოს მონიტორინგი, პოტენციურად შეაფერხოს მეტოქე ძალების მოძრაობა და ხელი შეუშალოს მოწინააღმდეგე სახელმწიფოებისათვის კრიტიკული მარაგების მიწოდებას.

სტრატეგიული სავაჭრო მარშრუტების კონტროლი საშუალებას აძლევს ზესახელმწიფოს შეუზღუდოს გეოპოლიტიკურ კონკურენტებს კრიტიკულად მნიშვნელოვან ეკონომიკურ არტერიებზე წვდომა. ამით, გეოპოლიტიკურ მეტოქეს ერთმევა იმის შესაძლებლობა, რომ მოახდინოს საკუთარი ძალის პროეცირება და გააფართოვოს გავლენის სფეროები მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

3. **კულტურული მოტივები:** როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზები ისტორიულად გამოიყენებოდა არა

მხოლოდ კომერციული მიზნებისთვის, არამედ ემსახურებოდა კულტურულ მიზნებსაც: ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების კონტროლი დიდ იმპერიებს საშუალებას აძლევდა გაევრცელებინათ თავიანთი პოლიტიკური ღირებულებები, იდეები, რელიგიური მრწამსი და კულტურული ნორმები საზღვარგარეთ. თანამედროვე ეპოქაში ზესახელმწიფოებს შეუძლიათ სტრატეგიული სავაჭრო მარშრუტები კულტურული მიზნებისთვის გამოიყენონ რამდენიმე გზით:

1. *კულტურული დიფუზია და რბილი ძალის პროექცია:* სავაჭრო დერეფნების გასწვრივ საქონლის, ადამიანებისა და ინფორმაციის ნაკადის რეგულირებით ზესახელმწიფოებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ თავიანთი კულტურული პროდუქტების, იდეებისა და ღირებულებების გავრცელებას. ეს შეიძლება მოიცავდეს მათი ენის, მედიის, ხელოვნებისა და ცხოვრების სტილის პოპულარიზაციას, რომელიც შემდეგ შეიძლება გავრცელდეს სავაჭრო გზებით დაკავშირებულ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. ამ კულტურულ დიფუზიას შეუძლია გააძლიეროს ზესახელმწიფოს რბილი ძალა და გავლენა მსოფლიოში.

2. *კულტურული ჰაბების დაარსება:* ზესახელმწიფოებს ხელეწიფებათ განავითარონ სავაჭრო გზების გასწვრივ სტრატეგიული საკვანძო პუნქტები, როგორც კულტურული ჰაბები, სადაც მათ შეუძლიათ შექმნან საგანმანათლებლო დაწესებულებები, კვლევითი ცენტრები და სხვადასხვა ორგანიზაცია თავიანთი კულტურული ნარატივების პოპულარიზაციის მიზნით. ეს ჰაბები შეიძლება იყოს პლატფორმა ზესახელმწიფოს კულტურული პროდუქტების გავრცელებისათვის მთელ მსოფლიოში.

3. *კულტურული აქტივობების მფარველობა და სპონსორობა:* ზესახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი ეკონომიკური ბერკეტები და რესურსები სავაჭრო გზების გასწვრივ კულტურული ღონისძიებების დასაფინანსებლად. ეს შეიძლება მოიცავდეს ისტორიული ადგილების აღდგენის დაფინანსებას, ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების მხარდაჭერას და კულტურული გაცვლისა და თანამშრომლობის ხელშეწყობას. ასეთ ინიციატივებს შეუძლია გააძლიეროს ზესახელმწიფოს, როგორც კულტურის მფარველის იმიჯი და უფრო გაამყაროს კულტურული კავშირები ადგილობრივ მოსახლეობასთან.

4. *კულტურული დიპლომატია და გაცვლითი პროგრამების დაფინანსება:* ზესახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი დო-

მინანტური პოზიცია სავაჭრო მარშრუტებზე, რათა ხელი შეუწყონ სხვადასხვა ერებს შორის გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას, როგორიცაა მაგალითად სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლა. ამ გაცვლით პროგრამებს შეუძლია ხელი შეუწყოს კულტურული კავშირების გაღრმავებას ზესახელმწიფოსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, რაც კიდევ უფრო გაზრდის მის რბილ ძალასა და გავლენას მსოფლიოში.

5. *ნარატივების ფორმირება და ინფორმაციის ნაკადების კონტროლი:* სავაჭრო გზების კონტროლით ზესახელმწიფოებს შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ინფორმაციის, მედიისა და ნარატივების ნაკადზე. მათ შეუძლიათ გარკვეული კულტურული პროდუქტების, იდეებისა და ნარატივების პოპულარიზაცია. იმავდროულად მათ შეიძლება შეზღუდონ ან მარგინალიზაცია მოახდინონ ისეთი კულტურული ნარატივებისა და ინფორმაციის, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს მათ სტრატეგიულ ინტერესებზე. ამ პროცესმა შეიძლება ხელი შეუწყოს ისეთი კულტურული დისკურსისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, რომელიც მისაღები იქნება ზესახელმწიფოსათვის.

ზემოთ ხსენებული სხვადასხვა კულტურული ინიციატივისა და ინტერვენციების მეშვეობით ზესახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ თავიანთი დომინანტური პოზიცია სტრატეგიულ სავაჭრო მარშრუტებზე, რათა განავრცონ თავიანთი კულტურა მთელ მსოფლიოში, შექმნან კულტურული და პოლიტიკური მოკავშირეების ქსელი და საბოლოოდ გაზარდონ თავიანთი გავლენა სავაჭრო-ეკონომიკური დერეფნის გასწვრივ მდებარე რეგიონებში.

გეოპოლიტიკური კონკურენცია ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების დაუფლებისათვის არის ძალიან სარისკო და სახიფათი თამაში, რომელსაც გააჩნია პოტენციალი, რომ შეცვალოს ძალთა გლობალური ბალანსი და განსაზღვროს საერთაშორისო წესრიგის მომავალი ტრაექტორია.

კონკურენცია დიდ სახელმწიფოებს შორის ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების დაუფლებისათვის

უძველესი დროიდან არსებობდა მძაფრი კონკურენცია მსოფლიოს წამყვან ძალებს შორის მომგებიან სავაჭრო გზებზე გაბატონებისათვის. სარფიანი სავაჭრო გზების დაუფლებისათვის კონკურენცია იყო იმპერიული ექსპანსიის, სამხედრო დაპყრობებისა და მეტოქე ძალებს შორის გახანგრძლივებული კონფლიქტების მთავარი მამოძრავებელი ძალა. საზღვაო ან სახმელეთო სავაჭრო ქსელების კონტროლი

წარმოადგენდა სიმდიდრის ერთ-ერთ მთავარ წყაროს, რაც საშუალებას აძლევდა ზესახელმწიფოს ეწარმოებინა ექსპანსიონისტური პოლიტიკა და გაბატონებულიყო მსოფლიოს საკვანო რეგიონებში.

სავაჭრო გზების დაუფლება და გაკონტროლება ხშირად მსოფლიოს წამყვან ძალებს შორის ომის მთავარ მიზეზს წარმოადგენდა. ცივილიზაციების აღზევება და დაცემა ხშირად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მათ უნართან, თავიანთი კონტროლისთვის დაექვემდებარებინათ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ტრანსკონტინენტური სავაჭრო არტერიები. აზიაში დიდი იმპერიები ებრძოდნენ ერთმანეთს სახმელეთო სავაჭრო გზებზე გაბატონებისათვის. განსაკუთრებით მძაფრი იყო მათ შორის ბრძოლა აბრეშუმის გზის გამო. ევროპის წამყვანი ძალებიც – პორტუგალია, ესპანეთი, ნიდერლანდები, ბრიტანეთი და საფრანგეთი უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს სავაჭრო ფორპოსტების, კოლონიებისა და მონოპოლიების დასაარსებლად მთავარ საზღვაო-სავაჭრო გზებზე. მათ შორის იყო ხშირი ომები ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი სარფიანი სავაჭრო მარშრუტების დაუფლებისთვის. მათ მთავარ მიზანს წარმოადგენდა ასევე სტრატეგიული სრუტეების და ანკლავების კონტროლი, რაც დაბეგვრისა და კომერციული საქმიანობის დარეგულირების საშუალებას იძლეოდა.

ისტორიულად, მომგებიან აზიურ ბაზრებთან, განსაკუთრებით ინდოეთთან, ჩინეთთან და სანელებლების კუნძულებთან დაკავშირება შესაძლებელი იყო სახმელეთო გზებით, ძირითადად, აბრეშუმის გზით. ამ ტრანსკონტინენტურ სავაჭრო ქსელებს აკონტროლებდნენ ძლიერი შუამავლები, ისეთები როგორებიც იყვნენ მაგალითად ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნები და მონღოლური სახანოები, რომლებიც ევროპელ ვაჭრებს უწესებდნენ დიდ გადასახადებსა და ტარიფებს. როდესაც მე-15 საუკუნეში ოსმალებმა დაიპყრეს ბიზანტიის იმპერია, მათ გადაკეტეს უძველესი აბრეშუმის გზა და ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზები, ევროპელები იძულებული შეიქმნენ ეძიათ აზიასთან დამაკავშირებელი ახალი გზები.

ევროპის წამყვან ძალებს მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი პირდაპირი წვდომა ჰქონოდათ აზიის ბაზრებზე, რათა არ ყოფილიყვნენ შუამავლებზე და სახმელეთო სავაჭრო გზებზე დამოკიდებული აზიის ქვეყნებთან ვაჭრობის დროს. მათ დაიწყეს ექსპედიციის ექსპედიციაზე გაგზავნა, რომელთა მთავარ მიზანს ახალი ტრანსატლანტიკური სააჭრო გზების აღმოჩენა წარმოადგენდა. ევროპელი მეზღვაურები ძალას არ იშურებდნენ, რომ აღმოეჩინათ ზღაპრულად მდიდარი

ინდოეთისაკენ მიმავალი საზღვაო გზა. ინდოეთის ოქრო, მოლუკის კუნძულების პილპილი, ზირა და მიხაკი ბევრ ევროპელ მონარქს, მდიდარ ფეოდალს და ვაჭარს მოსვენებას უკარგავდა და ძილს უფრთხობდა. ევროპელი მონარქები სულმოუთქმელად ელოდნენ, რომ ინდოეთის სიმდიდრე მიეტაცებინათ, წამოეღოთ აზიიდან ნაირ-ნაირი სანელებლები, წამოესხათ აფრიკიდან ფედარკანიანი მონები და საკუთარი ხაზინა გაემდიდრებინათ [4].

კარტოგრაფიის განვითარებამ და ტექნოლოგიურმა პროგრესმა მე-15 და მე-16 საუკუნეებში შესაძლებელი გახადა შორეულ მანძილებზე მოგზაურობა და ამბიციური საზღვაო ექსპედიციების მოწყობა. საზღვო ექსპედიციები, რომლებსაც ხელმძღვანელოდნენ ისეთი ცნობილი მეზღვაურები როგორებიც იყვნენ ვასკო და გამა, ქრისტეფრე კოლუმბი და ფერდინანდ მაგელანი მიზნად ისახავდა ახალი საზღვაო მარშრუტების აღმოჩენას, რომელთა მეშვეობით მოხერხდებოდა პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობების დამყდარება ევროპასა და აზიას შორის [4].

ბრძოლამ ატლანტის ოკეანის დაუფლებისათვის და გეოპოლიტიკურმა კონკურენციამ ევროპის წამყვან ძალებს შორის კულმინაციას შუა საუკუნეებში მიაღწია. თავდაპირველად ესპანელები და პორტუგალიელები დაწინაურდნენ და ტრანსატლანტიკური სავაჭრო გზები თავიანთ მკაცრ კონსტროლს დაუქვემდებარეს, მაგრამ შემდეგ ჰოლანდიელებმა და ინგლისელებმა მოიპოვეს უპირატესობა გემთშენებლობის დარგში მიღწეული წარმატების შედეგად და გაბატონდნენ ატლანტის ოკეანეზე.

მას შემდეგ, რაც პატარა ჰოლანდია მე-16 საუკუნეში ესპანელ დამპყრობთა უღლისაგან განთავისუფლდა, აღორძინების გზას დაადგა, წარმატებით ეწეოდა ტრანსატლანტიკურ ვაჭრობას და ინგლისსაც სერიოზულ მეტოქეობას უწევდა. თავისუფალ და დამოუკიდებელ ჰოლანდიაში სწრაფად განვითარდა საფეიქრო მრეწველობა, რომელიც სულ უფრო მეტი გასაღების ბაზრის ათვისებას მოითხოვდა. ახალი ბაზრების ათვისების სურვილმა ჰოლანდიელებს აზიისკენ მიმავალი ახალი ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების ძებნისაკენ უბიძგა [4].

მე-16 საუკუნის დასასრულსა და მე-17 საუკუნის დასაწყისში პატარა ჰოლანდიამ აშკარად დაჯაბნა თავისი გეოპოლიტიკური კონკურენტები და ტრანსატლანტიკურ ვაჭრობაში დიდ წარმატებას მიაღწია [1]. დიდი ბრძოლის შედეგად ჰოლანდიელმა ვაჭრებმა თავიანთ საწადელს მიაღწიეს, ხელთ იგდეს აღმოსავლეთთან ვაჭრობის მონოპო-

ლია და მსოფლიო ბაზრიდან თანდათან ესპანელები, პორტუგალიელები, გენუელები და ვენეციელები განდევნეს. იმისათვის რომ კიდევ უფრო განემტკიცებინათ თავიანთი დომინანტური პოზიცია ინდოეთისა და აზიის ბაზრებზე, ჰოლანდიელებმა გადაწყვიტეს, ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია დაეარსებინათ [11]. ეს იყო პირველი ტრანსნაციონალური კომპანია კაცობრიობის ისტორიაში. მას გააჩნდა თავისი საკუთარი ჯარი და შეეძლო უზარმაზარი სივრცეების გაკონტროლება.

პატარა ჰოლანდია ზესახელმწიფოდ გადაიქცა და ოსტ-ინდოეთის სავაჭრო კომპანია იმ დონეზე გაძლიერდა, რომ მალე თავისი ჯარი დააყენა სანელებლებით მდიდარ მოლუკის კუნძულებზე. ოსტ-ინდოეთის კომპანიის ნებართვის გარეშე არავის შეეძლო ინდოეთიდან გაეზიდა მუშკამბარი და სხვადასხვა ძვირფასი სანელებელი. თუმცა მცირე მოსახლეობისა და შეზღუდული რესურსების გამო ჰოლანდიამ დიდხანს ვერ შეძლო ზესახელმწიფოს სტატუსის შენარჩუნება. მე-17 საუკუნის დასასრულს უპირატესობა აშკარად დიდი ბრიტანეთის მხარეს გადავიდა. ინგლის-ჰოლანდიის ომებმა, რომლებიც 1652-1674 წლებში მიმდინარეობდა, საბოლოოდ გამოფიტა ჰოლანდია და მას „ზღვებზე ბატონობა“ დააკარგვინა. ბრიტანეთი თანდათანობით ზღვებზე და ოკეანეებზე გაბატონდა და საზღვაო ცივილიზაციად ჩამოყალიბდა.

ახალი საზღვაო-სავაჭრო გზების შექმნას ნეგატიური შედეგი ჰქონდა როგორც ახლო აღმოსაავლეთის, ასევე აზიის წამყვანი იმპერიების განვითარებისათვის. ახალი ტრანსკონტინენტური საზღვაო მარშრუტები ევროპულ ძალებს საშუალებას აძლევდა, გვერდი აევლოთ ტრადიციული სახმელეთო სავაჭრო ქსელებისათვის, რაც საბოლოო ჯამში იწვევდა ევრაზიული იმპერიების პოლიტიკური და ეკონომიკურ გავლენის შესუსტებას მსოფლიოში. ეს იმპერიები თავდაპირველად დიდ მოგებას იღებდნენ აბრეშუმის სავაჭრო გზიდან შემოსული გადასახადებით, მაგრამ მას შემდეგ, რაც სახმელეთო სავაჭრო გზებმა რელევანტურობა დაკარგა და კომერციულმა საქმიანობამ ატლანტიკის ოკეანეზე და ზღვებზე გადაინაცვლა, მათი გავლენა გლობალურ ეკონომიკურ სისტემაში თანდათანობით შესუსტდა. ტრანსკონტინენტურ ვაჭრობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო საერთაშორისო არენაზე ევროპული სახელმწიფოების აღზევებას, რომლებიც თანდათანობით კოლონიურ იმპერიებად ჩამოყალიბდნენ და საგრძნობლად გაძლიერდნენ. ევროპის წამყვანი ძალები

ტრანსკონტინენტურ საზღვაო მარშრუტებს იყენებდნენ არა მხოლოდ კომერციული მიზნებისათვის, არამედ ასევე სამხედრო ძალის პროეცირებისათვის და ახალი მიწების ათვისებისათვის. მათ უამრავი მიწა დაიპყრეს და უზარმაზარი იმპერიები შექმნეს სწორედ ამ ტრანსკონტინენტური საზღვაო მარშრუტების წყალობით.

ახალმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა, თავის მხრივ, ხელი შეუწყო ევროპული ნორმებისა და ღირებულებების გლობალური მასშტაბით გავრცელებას. ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ძალაუფლების ბალანსი თანდათანობით დასავლეთისაკენ გადაიხარა. სარფიან სავაჭრო მარშრუტებზე კონტროლი ევროპის წამყვან ძალებს საშუალებას აძლევდა, დაეგროვებინათ მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სამხედრო რესურსი, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობდა მათ ტექნოლოგიურ წინსვლას, ინდუსტრიალიზაციას და ეკონომიკურ პროგრესს. ამ დინამიკამ საბოლოოდ შეცვალა გეოპოლიტიკური ლანდშაფტი, ხელი შეუწყო ტრადიციული ევრაზიული იმპერიების დაცემას და ევროპული კოლონიური იმპერიების აღზევებას, რომლებიც თანდათანობით გადაიქცნენ დომინანტურ ძალად საერთაშორისო პოლიტიკაში [8].

ბრძოლა თანამედროვე ეპოქაში დიდ სახელმწიფოებს შორის ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების დაუფლებისათვის

თანამედროვე ეპოქაში კვლავ გრძელდება სავაჭრო ომი ზესახელმწიფოებს შორის და მათ შორის არსებობს მძაფრი კონკურენცია ტრანსკონტინენტურ სავაჭრო მარშრუტებზე გაბატონებისათვის. მათ მთავარ გეოპოლიტიკურ პრიორიტეტს კვლავ ტრანსკონტინენტური ვაჭრობის გაკონტროლება წარმოადგენს. ჩინეთისა და რუსეთის აღზევებამ საერთაშორისო არენაზე კიდევ უფრო გაამძაფრა ეს მეტოქეობა, რადგან ისინი ცდილობენ დაასრულონ შეერთებული შტატებისა და მისი დასავლელი მოკავშირეების დომინირება მსოფლიოს მთავარ სავაჭრო არტერიებზე და თავად გააკონტროლონ გლობალური ვაჭრობა [6].

ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ შევესწარით ახალი ტრანსკონტინენტური დერეფნებისა და სავაჭრო გზების გაჩენას ევროპასა და აზიას შორის. ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა თანამედროვე ტრანსკონტინენტური ვაჭრობის განვითარებაში იყო ისეთი ამბიციური ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, როგორიცაა ჩინეთის „ერთი სარტყელი და ერთი გზის ინიციატივა“ (BRI). სახმელეთო-სატრანსპორტო დერეფნების, საზღვაო-სავაჭრო გზებისა და ენერგეტიკული მილსადენების ეს უზარმაზარი ქსელი მიზნად ისახავს დააკავშიროს ჩინეთი ევროპას, აფრიკასა და ახლო აღმოსავლეთს ისე,

რომ გვერდი აუაროს ტრადიციულ საზღვაო მარშრუტებს, სადაც დომინირებს აშშ-ს საზღვაო ძალები. „ერთი სარტყელი ერთი გზის" ინიციატივის მიზანია აბრეშუმის გზის აღორძინება. „ერთი სარტყელი, ერთი გზის ინიციატივა" წარმოადგენს ჩინეთის სტრატეგიულ ძალისხმევას მოახდინოს ძალის პროეცირება მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში და დიდი წვლილი შეიტანოს გლობალური ეკონომიკური ლანდშაფტის ფორმირებაში. გზების, რკინიგზის, პორტებისა და ენერგეტიკული მილსადენების ქსელის შექმნით ჩინეთი ცდილობს, შეამციროს თავისი დამოკიდებულება იმ საზღვაო-სავაჭრო მარშრუტებზე, სადაც დომინირებს ამერიკის შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები. ამ პროექტმა შესაძლოა, ჩინეთს საშუალება მისცეს, გვერდი აუაროს მალაკას სრუტეს და სხვა პრობლემატურ სრუტეებს, რომლებიც შეიძლება დაექვემდებარონ აშშ-ს საზღვაო ძალების კონტროლს ვაშინგტონსა და პეკინს შორის კონფლიქტის გაღვივების შემთხვევაში.

ჩინეთის მსგავსად, რუსეთიც ცდილობს შექმნას ტრანსკონტინენტური სავაჭრო-ეკონომიკური გზები. კრემლის ინიციატივით ხორციელდება ისეთი მსხვილმასშტაბიანი პროექტები, როგორიცაა ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრასპორტო დერეფანი და ჩრდილოეთის საზღვაო გზა. ჩრდილოეთ-სამხრეთის საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფნის მშენებლობით რუსეთი და ირანი ცდილობენ თავი დააღწიონ დასავლეთის სანქციებს და მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები დაამყარონ ევრაზიის ქვეყნებთან.

მოსკოვისა და თეირანის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციები ზღუდავს მათ გლობალურ ფინანსურ ბაზრებზე წვდომას და უკარგავს მათ უნარს რომ საერთაშორისო ვაჭრობაში ენერგიულად ჩაერთონ. შედეგად, ორივე ქვეყანა ცდილობს გააფართოოს ეკონომიკური კავშირები დასავლეთ და ცენტრალურ აზიის მეზობელ ქვეყნებთან, რომ თავიდან აიცილონ მწვავე ეკონომიკური კრიზისი [10].

ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრსპორტო დერეფანი ბალტიის ზღვას სპარსეთის ყურესთან დააკავშირებს, ხოლო ჩრდილოეთის საზღვაო გზა არის უმოკლესი მარშრუტი ევრაზიის დასავლეთ ნაწილსა და აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს შორის. კლიმატურმა ცვლილებებმა და გლობალურმა დათბობამ შესაძლებელი გახადა ჩრდილოეთ ყინულოვან ოკეანეში ახალი ტრანსკონტინენტური საზღვაო-სავაჭრო მარშრუტის შექმნა. ტემპერატურის მატებასთან ერთად ჩრდილოეთ

ყინულოვან ოკეანეში ყინული სწრაფად იწყებს დნობას და საზღვაო ხომალდები და გემები თანდათანობით იწყებენ ამ მარშრუტის უფრო აქტიურად გამოყენებას. მომავალში ეკონომიკური აქტივობა ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაიზრდება და ჩრდილოეთის საზღვაო გზა გახდება ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი მთავარი სავაჭრო-ეკონომიკური არტერია [3].

ზემოთ ხსენებული პროექტები (ჩრდილოეთ–სამხრეთის სატრსპორტო დერეფანი და ჩრდილოეთის საზღვაო გზა) მიზნად ისახავს რუსეთის შორეული აღმოსავლეთისა და ციმბირის დაკავშირებას სპარსეთის ყურესთან, კასპიის რეგიონთან და ევრაზიის ქვეყნებთან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს მოსკოვის დამოკიდებულებას დასავლეთის მიერ კონტროლირებად საზღვაო მარშრუტებზე.

რუსეთის სურს, რომ კვლავ ზესახელმწიფოს სტატუსი მოიპოვოს საერთაშორისო სისტემაში, ამიტომ ძალას არ იშურებს, შექმნას ახალი ეკონომიკური დერეფნები და ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზები, რაც სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეებისათვის. ზემოთ ხსენებულ ტრანსკონტინენტურ სავაჭრო-ეკონომიკურ დერეფნებზე კონტროლმა შეიძლება რუსეთს მიანიჭოს დამატებითი ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ბერკეტები, ასევე მისცეს ძალაუფლების პროექციის შესაძლებლობა მთელ მსოფლიოში.

ზემოთ ხსენებული ტრანსკონტინენტური სავაჭრო-ეკონმიკური მარშრუტების შექმნა იწვევს ახალი გეოპოლიტიკური რეალობის წარმოშობას, რომელიც სცილდება ზესახელმწიფოების კომერციულ ინტერესებს. მათი ამოქმედებით დიდ სახელმწიფოებს ეძლევათ შესაძლებლობა თავისი გავლენა განავრცონ მსოფლიოს სხვადასხვა კონტინენტზე და გვერდი აუარონ არსებულ გლობალურ წესრიგს, რომელიც ჩამოყალიბებულია დასავლური ინსტიტუტებისა და სამხედრო ძალების მიერ.

აშშ და მისი მოკავშირეები ეჭვის თვალით უყურებენ „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივას და მას აღიქვამენ, როგორც არსებული გლობალური წესრიგისთვის ყველაზე დიდ გამოწვევას. ამერიკელების აზრით ეს არის პეკინის გეოპოლიტიკური პროექტი, რომლის მიზანია, ჩინეთმა განავრცოს თავისი გავლენა მთელ მსოფლიოში. ისინი ადანაშაულებენ ჩინეთს მტაცებლური დაკრედიტების პრაქტიკის განხორციელებაში და „ვალის ხაფანგის დიპლომატიის“ გამოყენებაში, რომელიც ემსახურება პეკინის მიზანს, რომ „ერთი სარტყელი,

ერთი გზის“ ინიციატივაში მონაწილე ქვეყნები საკუთარ გავლენას დაუქვემდებაროს [7].

არსებობს სასტიკი კონკურენცია და მეტოქეობა ზესახელმწიფოებს შორის სტრატეგიული საკვანძო პუნქტების გასაკონტროლებლად: ამ გამოწვევების საპასუხოდ, შეერთებული შტატები და მისი მოკავშირეები ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი დომინანტური პოზიცია ისეთ საზღვაო-საკვანძო პუნქტებზე, როგორიცაა ჰორმუზის სრუტე, მალაკას სრუტე და სამხრეთ ჩინეთის ზღვა. ამ სტრატეგიულ-საკვანძო პუნქტებზე კონტროლი მათ საშუალებას აძლევს დაარეგულირონ გლობალური ვაჭრობა და გააკონტროლონ საქონლის, მომსახურებისა და ნედლეულის მოძრაობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში.

სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სრუტეების და საკვანძო პუნქტების გაკონტროლება საშუალებას აძლევს ზესახელმწიფოს, მოწინააღმდეგე ქვეყნებს შეუფერხოს საქონლის მიწოდება და ამით დიდი დარტყმა მიაყენოს მათ ეკონომიკას.

ეს არის მთავარი მიზეზი, რის გამოც ჩინეთმა და რუსეთმა დიდი ინვესტიცია განახორციელეს ალტერნატიული სახმელეთო-სავაჭრო დერეფნებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებაში. მათი მიზანია, განთავისუფლდნენ დასავლეთის ზეგავლენისაგან და სავაჭრო ოპერაციების განხორციელების შემთხვევაში დასავლეთის მიერ კონტროლირებულ სავაჭრო გზებზე არ იყვნენ დამოკიდებული. ზემოთ ხსენებული მიზეზების გამო, გამძაფრდა კონკურენცია ზესახლემწიფოებს შორის ამ ტრანსკონტინენტური დერეფნების გასწვრივ მდებარე სტრატეგიული და საკვანძო პუნქტების კონტროლისთვის.

ამ მეტოქეობასა და კონკურენციას ხშირად აქვს შორსმიმავალი გეოპოლიტიკური შედეგი მთელი სამყაროსთვის: კონკურენციამ ტრანსკონტინენტურ სავაჭრო მარშრუტებზე გაბატონებისათვის გაზარდა გეოპოლიტიკური დაძაბულობა და კონფლიქტის რისკი დიდ სახელმწიფოებს შორის. გახშირდა მათ შორის დავები ტერიტორიული პრეტენზიების გამო. კონფლიქტში მონაწილე თითოეული მხარე ცდილობს, თავისი გავლენა განამტკიცოს და სხვებს არ მისცეს ტრანსკონტინენტურ სავაჭრო არტერიებზე გაბატონების საშუალება.

ტრანსკონტინენტური სავაჭრო არტერიების კონტროლისთვის ბრძოლა ხშირად ხდება ასევე ზესახელმწიფოებს შორის სავაჭრო ომების მთავარი გამომწვევი მიზეზი. მოწინააღმდეგე ძალებს შორის კონკურენცია შეიძლება გადაიზარდოს რეგიონულ კონფლიქტებში,

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ სავაჭრო გზები ხშირად კონფლიქტურ ზონებსა და არასტაბილურ რეგიონებს გადაკვეთს.

დასკვნა

ანტიკური ხანიდან მოყოლებული დღემდე დიდი სახელმწიფოები ცდილობენ თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ სტრატეგიული სავაჭრო გზები. ეს მძაფრი კონკურენცია ტრანსკონტინენტურ სავაჭრო არტერიებზე გასაბატონებლად თანამედროვე ეპოქაშიც გრძელდება და გლობალური გეოპოლიტიკის მთავარ დამახასიათებელ შტრიხად რჩება. მსოფლიოს წამყვანი ძალები კვლავ უპირისპირდებიან ერთმანეთს, რომ თავიანთი გავლენა განავრცონ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ეკონომიკურ დერეფნებზე.

დიდი სახელმწიფოები დღემდე ავლენენ მძაფრ სურვილს დაარეგულირონ საქონლის, მომსახურებისა და ნედლეულის მოძრაობა მთელ მსოფლიოში. სტრატეგიული სავაჭრო მარშრუტების ფლობა ყოველთვის დიდ ეკონომიკურ და პოლიტიკურ უპირატესობას ანიჭებდა სახელმწიფოს და მას მსოფლიოს დომინანტურ ძალად გადააქცევდა.

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც გლობალიზაციის პროცესმა დააჩქარა მსოფლიო ეკონომიკების ინტეგრაცია, კიდევ უფრო გამძაფრდა კონკურენცია საკვანძო ტრანსკონტინენტური სავაჭრო გზების კონტროლისთვის. მსოფლიოს დიდი სახელმწიფოები, როგორიცაა შეერთებული შტატები, ჩინეთი, რუსეთი და ევროკავშირი, აშკარად ჩართულნი არიან სავაჭრო ომში და ცდილობენ სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სავაჭრო დერეფნებზე გაბატონებას. თითოეული მათგანი დიდ ყურადღებას უთმობს ახალი სავაჭრო-ეკონომიკური მარშრუტების შექმნას, რომ მოიპოვოს უპირატესობა კომერციულ საქმიანობაში და თავის გეოპოლიტიკურ კონტროლს დაუქვემდებაროს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონი.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. Dawid Assi, The Rise and Fall of the Dutch East India Company, Business Compedium, 2021, Available from World Wide Web: https://www.businesscompendium.co.uk/post/the-rise-and-fall-of-the-dutch-east-india-company
2. Britannica, Silk Road: Trade Route, 2024, available from World Wide Web: https://www.britannica.com/topic/Silk-Road-trade-route

3. Malte Humpert, The Future of the Northern Sea Route – A „Golden Waterway" or a Niche Trade Route. The Arctic Insitute, 2011, Available from World Wide Web: https://www.thearcticinstitute.org/future-northern-sea-route-golden-waterway-niche/
4. ეთერ კანდელაკი, გაუკვალავი გზებით, თბილისი, 1961.
5. Richard Kurin, The Silk Road: Connecting People and Cultures, 2002, available from World Wide Web: https://festival.si.edu/2002/the-silk-road/the-silk-road-connecting-peoples-and-cultures/smithsonian
6. J. Michael Mazarr, Understanding Competition: Great Power Rivalry in a Changing International Order – Concepts and Theories, 2022, available from World Wide Web: https://www.rand.org/pubs/perspectives/PEA1404-1.html
7. James McBride, Noah Berman & Andrew Chatzky, China's Massive Belt and Road Initiative, 2023, available from World Wide Web: https://www.cfr.org/backgrounder/chinas-massive-belt-and-road-initiative
8. Valeri Modebadze, Evolution and Formation of the Western Dominated International Order: History of the Evolution of the Contemporary International System Since the Treaty of Westphalia, LAP Lambert Academic Publishing: London, 2023.
9. მანანა სეხნიაშვილი, ტიმბუქტუ – მისტიკური ქალაქი, 2023 https://mastsavlebeli.ge/?p=36344
10. Umud Shokri„ North-South Transport Corridor: Iran-Russia New Railway to Circumvent Western Pressure. Gulf International Forum, available from World Wide Web: https://gulfif.org/north-south-transport-corridor-iran-russia-new-railway-to-circumvent-western-pressure/
11. Mani Writes, The Rise and Fall of the Dutch Superpower: Exploring the Factors Behind Netherlands' Decline Beyond the 17th Century, Insights from Colonial Rule to Geopolitical Realities, 2024, available from World Wide Web: https://medium.com/@imran.haidree/the-rise-and-fall-of-the-dutch-superpower-exploring-the-factors-behind-netherlands-decline-beyond-2e00740b9d89

Valeri Modebadze
Doctor of Social Sciences, Technical University of Georgia, assistant professor of the faculty of Law and International Relations

Competition between superpowers for mastering transcontinental trade and economic routes

Summary

This article describes the geopolitical rivalry between different superpowers to dominate and control transcontinental trade routes. From ancient times to the present day, great powers have tried to control strategic trade routes. This intense competition to dominate the transcontinental trade arteries continues in the modern era and remains the main characteristic feature of global geopolitics. The world's leading powers are still vying to extend their influence over vital economic corridors.

Great powers still show a strong desire to regulate the movement of goods, services and raw materials around the world. Possession of strategic trade routes has always given a state a great economic and political advantage and made it a dominant world power.

In the modern era, as the process of globalization has accelerated the integration of world economies, competition for control of key transcontinental trade routes has intensified. The world's major powers, such as the United States, China, Russia and the European Union, are clearly engaged in a trade war and are trying to dominate trade corridors of strategic importance. Each of them pays great attention to the creation of new trade and economic routes to gain an advantage in commercial activities and to subject different regions of the world to their geopolitical control.

დავით მერკვილაძე
ისტორიის დოქტორი

ერეკლე ხუციშვილი

პეტრე ბუტკოვი ერეკლე II-ისა და მისი ოჯახის, 1784 წელს ჭარისაკენ ლაშქრობისა და განჯის სახანოს ამბების შესახებ

პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ 1769 წელს 2 ტომად გამოსცა რუსეთის არმიის ოფიცრისა და კავკასიის ისტორიის მკვლევარის, იმ დროისათვის უკვე გარდაცვლილი პეტრე ბუტკოვის (1775-1857) ვრცელი ნაშრომი – „მასალები კავკასიის ახალი ისტორიისათვის 1722 წლიდან 1803 წლამდე". ნაშრომში თავმოყრილია მრავალი საყურადღებო მასალა (სამწუხაროდ, წყაროები მითითებული არაა.

ამჯერად წარმოვადგენთ ნაშრომის იმ მონაკვეთის ქართულ თარგმანს, სადაც მოცემულია საინტერესო დახასიათება ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ისა და მისი ოჯახის წევრებისა 1784 წლის მდგომარეობით (თავი 122). მომდევნო თავში ასევე მოთხრობილია 1784 წელს ქართული და რუსული ჯარის ჭარზე ერთობლივი ლაშქრობის, ამ ლაშქრობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ. აქვე მკითხველი გაეცნობა განჯის სახანოში შექმნილ ცვალებად ვითარებას 1784-1785 წლებში.

ტექსტის ქართული თარგმანი შესრულებულია დავით მერკვილაძისა და ერეკლე ხუციშვილის მიერ. ტექსტს დართული განმარტებების ნაწილი ეკუთვნის ნაშრომის პირველ გამომცემლებს, ნაწილი – მთარგმნელებს.

თავი 122
მეფე ერეკლე და მისი ოჯახი

ვრცელი მიზნების შესრულება, რაც რუსეთს ადერბიჯანის მხარის მიმართ ჰქონდა, დაეკისრა გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს, როგორც კავკასიის კორპუსის ჯარების მეთაურს. საამისოდ მას სჭირდებოდა პირადად და ახლოს გაცნობოდა მეფე ერეკლეს, როგორც ამ

საქმის საფუძველჩამყრელს, და უფრო ახლოდან შეეხედა იმ ქვეყნისათვის,[1] რომლის ხელში ჩაგდებაც გვსურდა.

ამ მიზეზთა გამო გენერალ-პორუჩიკი პოტიომკინი 1784 წლის სექტემბერში კავკასიის ხაზიდან გაემგზავრა საქართველოში და 22 დღის განმავლობაში [იქ] ყოფნის შემდეგ [უკან] დაბრუნდა.

ცნობისმოყვარეობის ღირსია ზოგიერთი შენიშვნა, რაც მან[2] მაშინ საქართველოს სამეფო სახლის თანამდებობის პირთა შესახებ გააკეთა.

ერეკლე მეფე საშუალო სიმაღლისაა, ფიცხი ხასიათისა, მახვილი მზერა აქვს. ყოველგვარი საუბრის დროს მზერას შუბლის ქვემოდან მიმართავს, შესაძლოა, იმისათვის, რომ შენიშნოს მისი სახის მოძრაობა, ვისაც ელაპარაკება. მოხუცებულობის გამო რამდენადმე მოხრილია მხრებში. 62 წლისაა, მაგრამ ისევ მხნედაა. ის ერთ-ერთი იმათაგანი იყო, რომელთაც ყველაზე მეტად შეუძლიათ ორმნიშვნელოვანი პასუხის გაცემა. გონიერი კაცია, იშვიათი მოთმინების, გასაოცრად მოღვაწე. ფხიზლობს მთელი ღამე და თავისი სახელმწიფოს საქმეებს თავად აღასრულებს. სძინავს ცოტა. ჩახედულია აზიური პოლიტიკის გამოცდილებაში. ისწრაფვის თავისი ხალხის ევროპულად გარდაქმნას. იმდენად ღვთისმოსავია, რომ ღვთისმსახურებას ყოველდღიურად და უცვლელად ესწრება და ორი საათის განმავლობაში თავის კაბინეტში განსაკუთრებულად ლოცულობს, რისგანაც მისი მოწყვეტა არავითარ შემთხვევას არ ძალუძს.

დედოფალ დარეჯან გიორგის ასულს (Дария Гиоргиевна)[3] თავისი მეუღლეობის პირველ წლებში სახელმწიფო საქმეებზე არავითარი გავლენა არ ჰქონდა. მაგრამ როდესაც ბატონიშვილებმა, მისმა შვილებმა იწყეს დაქორწინება, ხოლო ქალიშვილები წარჩინებულ დიდებულებზე გათხოვდნენ, მან სამი თუ ოთხი წლის წინათ დაიწყო ყველა საქმეში ჩართვა და სამეფო თათბირებში მონაწილეობა და იმდენად გაძლიერდა, რომ ახლა ყველაფერი მისი თანხმობით კეთდება. ერეკ-

---

[1] იგულისხმება ქართლ-კახეთის სამეფო, რომელთანაც რუსეთს შესაბამისი ტრაქტატი წინა წელს ჰქონდა გაფორმებული (მთარგმნ.).

[2] მინაწერი: „ადრე კი დოქტორმა რაინეგსმა და პოლკოვნიკმა ბურნაშოვმა" (გამომც.).

[3] ის მეფე ირაკლის უკვე მესამე მეუღლე იყო (გამომც.).

ლესაც მისადმი განუსაზღვრელი ნდობა აქვს[1]. შესახედაობა აქვს მკაცრი. მაშინ ის 45 წლისა იყო. დაბადებით თავადის ასული ტარეტ-ხანოვაა (დადიანი) (Таретханова (Дадиан).

ერეკლეს მემკვიდრე გიორგი, ძე მეორე ქორწინებიდან ანასთან, თავადის ქალ აბაშიძესთან,[2] ზორბა ტანისაა, მაგრამ მშობელს ჩამოუ-ვარდება გამჭრიახობაში. სანდომიანი სახე აქვს და წრფელი სულისაა. მეტად ჩახედულია წმიდა წერილში, უკიდურესად ღვთისმოსავია და ამიტომ გარემოცულია სასულიერო პირებით; თუმცა არავითარი სხვა განათლება არ აქვს. მძიმეა სამხედრო საქმეებში, მშვიდობისმოყვა-რეა და ფუფუნებისაკენ მიდრეკილი. იგი არ უყვარს თავის დედინაც-ვალს და ამიტომ სამეფოს საქმეებში მონაწილეობას თავს არიდებს. ის იყო 35 წლისა. მაშინ დაქორწინებული იყო ქეთევანზე, თავადის ასულ ანდრონიკაშვილზე (княжне Андрониковой), და ჰყავდა ოთხი ძე, რო-მელთაგან უფროსი, 17 წლის დავითი, საზრიანი ჩანდა და მგზნებარე ხასიათთან ერთად იჩენდა გონების სისხარტეს, განსაკუთრებულ სი-მამაცესა და ხალისს ომისადმი.

ერეკლეს მეორე ვაჟი, იულონი, პირველი [ძე] დარეჯან დედოფ-ლისგან, 22 წლისა გახლდათ, იყო შეფარული, არაგულრწფელი სახე ჰქონდა; კეთილშობილი გარეგნობის, კოხტად გამოწყობილი, მაგრამ გიორგიზე გამჭრიახი არ ყოფილა.

საერთოდ, გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინის სიტყვებით, საქარ-თველოს სამეფოს მოუწყობლობა უკვე მაშინ აჭარბებდა ყოველგვარ წარმოდგენას მასზე.

---

[1] ჩვეულებრივ, მთელ სპარსეთში, მფლობელთა სახლებში ცოლს რაც მეტი ზრდასრული შვილი ჰყავს, მით უფრო ძლიერი ხდება, რადგან ყოველ ვაჟსა და სიძეს თავიანთი მომხრეები ჰყავს და ადგენს დაჯგუფებას (გამომც.).

[2] ერეკლეს გიორგიზე უფროსი ძეები ჰყავდა ვახტანგი და ლეონი (Леон), რომლე-ბიც უკვე აღარ იყვნენ ამქვეყნად. მათ არც შთამომავლობა ჰყოლიათ და მხო-ლოდ დაქვრივებული ცოლები დარჩათ. ლეონი 1781 წლის 7 თებერვალს მოკლა რომელიღაც ქართველმა მისი სარეცლის შეურაცხყოფის გამო (გამომც.).

თავი 123
ლაშქრობა ჭარზე და განჯის სახანოს ამბები

როგორც კი ეგერთა ორი ბატალიონი საქართველოში შევიდა, მეფე ერეკლემ იმავე 1783 წლის შემოდგომით განიზრახა ალაზნისგაღმელი ჭარელების განადგურება, ძველთაგან ესოდენ ტვირთად რომ აწვნენ საქართველოს, იმ ნავსაყუდელის გამო, რასაც ყველა მძარცველი დაღესტნელი პოულობს მათთან და ვის მიმართაც მეფე ერეკლეს ჩივილის ყველაზე მეტი მიზეზი ჰქონდა. ის გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინს შეჰპირდა, რომ შეკრებდა თავის ძალებს: 11 ათას ქართველს, 4 ათას თათარს, დამხმარედ ერევნელთაგან მიიღებდა ათასს, სომეხთაგან – 400-ს და შუშის ხან იბრაჰიმისაგან – 2 ათასს, მთლიანობაში – 18 400[1] კაცს. მაგრამ მაშინ იმ ლეკებზე ლაშქრობა არ შედგა; ხოლო რადგან ისინი მძარცველობას არ ეშვებოდნენ, ამიტომ გენერალ-პორუჩიკი პოტიომკინი ტფილისიდან გეორგიევსკში რომ დაბრუნდა, საქართველოში მასთან ერთად მყოფ გენერალ-მაიორ სამოილოვს დაავალა ჭარელი ლეკების წინააღმდეგ ექსპედიციის მოწყობა თავხედობის გამო მათ დასასჯელად. სამოილოვი მხოლოდ ამისთვის იყო კიდეც აქ დატოვებული.

საამისოდ გამოყოფილი დეტაშამენტი შედგებოდა საქართველოში მყოფ ეგერთა 2 ბატალიონისგან 4 საარტილერიო იარაღითურთ, ასევე – დრაგუნთა ერთი ესკადრონისა და საგანგებოდ ამისთვის აქ დატოვებული 180 კაზაკისაგან, გენერალ-პორუჩიკ პოტიომკინის ბადრაგიდან, მას რომ საქართველოში აცილებდნენ.

1784 წლის 14 ოქტომბერს სამოილოვი შეერთებული ქართულ ჯართან, რომელსაც თავად მეფე წინამძღოლობდა, ლეკებს ბრძოლა გაუმართა ალაზანს გაღმა, რომელიც 5 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. [ბრძოლის შემდეგ] ადგილზე დაითვალეს 200-ზე მეტი მოკლული მტერი, 2 დაატყვევეს; ჩვენგან მოკლეს და დაჭრილი იყო 17, მათ შორის მძიმედ დაიჭრა და მალე გარდაიცვალა პოდპოლკოვნიკი პრინცი რეინსფელდსკი (Рейнсфельдский);[2] ქართველებს 20 კაცი მოუკ-

---

[1] ხელნაწერში: „19 400“ (გამომც.).

[2] მისი ცხედარი ტფილისის ერთ-ერთ ეკლესიაშია დაკრძალული (გამომც.). სრული სახელია – პრინცი ერნსტ ჰესენ-რეინსფელდსკი. რეინსფელდი კი წარმოადგენდა გერმანელთა დასახლებას ვოლგისპირეთში, სამარის ოლქში.

ლეს. ლეკების ბევრი დროშა, ანუ ალმები ჩაიგდეს ხელთ, მაგრამ ზიზღის გამო დაწვეს და დაამტვრიეს.[1]

ამ გმირობას საგრძნობი სარგებელი არ მოუტანია. თავადი პოტიომკინის შენიშვნით, ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა, ლეკებზე საწყისი დარტყმა უფრო ძლიერად რომ მომხდარიყო, [ეს განეხორციელებინათ] საქართველოში [რუსული] ჯარის რაოდენობის გაზრდის შემდეგ; და პირველივე შემთხვევაში მათ ჩვენგან დამარცხების მთელი სიმძიმე რომ განეცადათ, ამით ჩვენი [შემდგომი] ღონისძიებები სამუდამოდ შემსუბუქდებოდა; რუსული იარაღის შიში უფრო ძლიერად გავრცელდებოდა ყველგან და ეს ავაზაკები უკვე ველარასოდეს გაბედავდნენ ოდისმე ჩვენთან შებმას. ეს შენიშვნა სამართლიანი იყო, ვინაიდან ლეკები და, საერთოდ, დაღესტნელები, ამ მოქმედებით მხოლოდ გაღიზიანდნენ.

ამასობაში, იმპერატრიცა ეკატერინეს უმაღლესი ნებით, პორტასთან ჩვენმა მინისტრმა ბულგაკოვმა პორტას მოახსენა, რათა მას თავისი ფაშებისთვის ებრძანებინა, რომ შეშვებოდა საქართველოსა და იმერეთს.

აქამდე მეფე ერეკლე ერევანზე ინარჩუნებდა თავის უზენაეს ხელისუფლებას. როდესაც 1783 წლის 9 ნოემბერს ერევნის ხანი ჰუსეინ-ალი (Гуссеин-Али-Хан) გარდაიცვალა და ბაღდადში დაკრძალეს (სადაც, ჩვეულებრივ, ალის სექტის[2] საუკეთესო საგვარეულოების [წევრებს] მარხავდნენ), ერევნელებმა მეფე ერეკლესთან სათხოვრით გამოგზავნეს ერევნის უპირველესი სომეხი მღვდელმთავარი,[3] გარდაცვლილი ხანის ორი უმცროსი ძე და სხვა წარჩინებულები, რათა ჰუსეინ-ალის უფროს ძეს, გულამ-ალის (Гулам-Али) ეხელისუფლა. მეფემ ის [ხანად] დამტკიცა და ჩვეულებისამებრ, საჩუქრები გაუზავნა.

განჯა კვლავინდებურად ერეკლე მეფესა და შუშის ხან იბრაჰიმს

1941 წელს უკლებლივ ყველა გერმანელი გაასახლეს. 1952 წელს რეინსფელდს სახელი გადაერქვა და ეწოდა ზალესიე (მთარგმნ.).

[1] ეს დროშები კი არაა, რაც ამ ხალხებს არ აქვთ, არამედ პატარა ალმები, რომელთა ირგვლივაც ერთი გვარის წევრები იყრიან თავს და მხოლოდ იმისთვის გამოიყენება, რომ თითოეულმა თავის ადგილს უფრო იოლად მიაგნოს (გამომც.).

[2] იგულისხმებიან შიიტები (მთრგმნ.).

[3] ჩანს, იგულისხმება სომეხთა კათალიკოსი. იმ დროს სომეხთა კათალიკოსი იყო გუკას I (1780-1799) (მთარგმნ.).

შორის იყო გაყოფილი. მაგრამ შუშის ხან იბრაჰიმის საიდუმლო ჩაგონებით, რომელიც უკვე იწყებდა მეფე ერეკლესადმი მავნებლობას, განჯელ ხალხში დაიწყო მღელვარება მხოლოდ იბრაჰიმ-ხანის მორჩილებაში ყოფნის სურვილით. იბრაჰიმ-ხანთან კავშირში მყოფმა აჯიბეგმა, განჯის ხანის საგვარეულოდან, ააჯანყა განჯის მცხოვრებნი. ერეკლესა და იბრაჰიმის მმართველები ჯერ კიდევ 1783 წლის დასასრულს გააძევა და, ამგვარად, ამ ქვეყანას თვითონ მართავდა.

ერეკლეს არ სურდა განჯის მიმართ თავისი მოთხოვნების დათმობა. თავადი პოტიომკინი წერდა, რომ შეუძლებელია, ეს პრეტენზიები არ მიიჩნეოდეს სამართლიანად, ან ჩვენი სარგებლის საპირისპიროდ. შუშის ხანთან შედარებითაც, მეფემ, რა თქმა უნდა, უპირატესობა უნდა შეინარჩუნოს. ამიტომაც 1784 წლის შემოდგომაზე, ჭარელებთან ბრძოლის შემდეგ, ერეკლე მეფემ რუსეთისა და საქართველოს ჯარებით განჯაზე ლაშქრობა გადაწყვიტა მის დასამორჩილებლად.

განჯელებმა ეს წინასწარ გაითვალისწინეს. დაღესტანში ჯანღუთელი ყუმუხების (джангутавских Кумыков) მფლობელი ალი-სოლთანი (Али-Солтан) მეფე ერეკლეს მტერი იყო, რადგან მას იმ ჯამაგირზე უთხრა უარი, რასაც აძლევდა მის ნათესავ ავარიის ხან ომარს. იგი დათანხმდა განჯელების მოწოდებას და მათთან [დასახმარებლად] დაღესტნელებთან ერთად ჩავიდა.

ამგვარად, როცა მეფე ერეკლე და პოლკოვნიკი ბურნაშევი განჯისაკენ გაემართნენ დაღესტნელების დასამარცხებლად და განჯის დასამორჩილებლად, დაღესტნელებმა ეს რომ შეიტყვეს, ახალციხისკენ გაემართნენ. ბამბაკი (Памбак)[1] აოხრებისგან რომ დაეცვა და მათთვის ახალციხის გზა მოეჭრა, მეფე მათ დასაწევად სასწრაფოდ გაეშურა გოგჩის ტბის[2] გვერდის ავლით, მაგრამ ამაოდ: ვერც დაეწია და ახალციხის მხრიდან მათ[ი თავდასხმისა]გან დაცული რომ ყოფილიყო, საბოლოოდ იძულებული გახდა, ხელი აეღო განჯის ღონისძიებაზე და მისკენ მოძრაობაც ფუჭად წამოიწყო, – როგორც თავადი პოტიომკინი წერდა, დამქანცველად რუსული ჯარისათვის და შეუთავსებლად ამ ჯარის მიერ მოპოვებულ დიდებასთან.

---

[1] ისტორიულ-გეოგრაფიული მხარე ლორეს ოლქში, თანამედროვე სომხეთის ჩრდ. ნაწილში. იგი უმეტესად მოიცავდა მდ. ბამბაკის (ფამბაკი) აუზს (მთარგმნ.).

[2] იგივე სევანის ტბა (მთარგმნ.).

ამის კვალად განჯის საქმეებში ცვლილება მოხდა. შუშის ხანმა იბრაჰიმმა, თავი რომ დაეღწია ბევრი ადერბიჯანელი მფლობელის დაჟინებული მოთხოვნებისგან, რათა განჯაში კვლავ მის მიერ დაბრმავებული მაჰმედ-ხან ზიად-ოღლი[1] (Магмет-Хан Зиадогли) აღედგინა, და ასევე მეფე ერეკლეს მოთხოვნისგან, რომ იგი ქართველთა ხელში გადაეცა, 1785 წლის გაზაფხულზე მისი მოკვლა ბრძანა. მისი (მაჰმედ-ხანის – მთარგმნ.) ღვიძლი ძმა, რაჰიმ-ბეგი (Регем-Бег), შუშიდან შაქის ხან მეჰმედ-ჰასანის (Мегмет-Ассан-Хан)[2] შემწეობით გაქცეული, განჯის მფლობელი გახდა. მან ერეკლე მეფეს მორჩილება აღუთქვა და მეფემაც ის ხანად დაადგინა, მით უფრო, რომ მაშინ მას (მეფეს – მთარგმნ.) ლეკები ემუქრებოდნენ.

---

[1] იგივე მუჰამედ II, განჯის ხანი 1778-1780 წლებში. 1780 წლიდან იგი იბრაჰიმ ყარაბაღის ხანის ტყვეობაში იმყოფებოდა (მთარგმნ.).

[2] იგივე მუჰამედ-ჰასანი, შაქის ხანი 1783-1795 და 1797-1805 წლებში (მთარგმნ.).

Davit Merkviladze
Doctor of History
Erekle Khutsishvili

Peter Butkov about King Erekle II and his family, the march to Djari in 1784 and the situation in Ganja Khanate

Summary

In 1769, a special commission created at the St. Petersburg Academy of Sciences published in 2 volumes the extensive work of Peter Butkov (1775-1857), an officer of the Russian army and researcher of the history of the Caucasus: „Materials for the new history of the Caucasus from 1722 to 1803."

The article presents the Georgian translation of part of the work, which contains an interesting description of King Erekle (Heraclius) II of Kartli-Kakheti and his family members as of 1784 (Chapter 122). The next chapter also tells about the joint campaign of Georgian and Russian troops to Djari in 1784, the reasons and results of this campaign. The reader also briefly learns about the situation in the Ganja Khanate in 1784-1785.

The Georgian translation of the text was made by Davit Merkviladze and Erekle Khutsishvili.

მერაბ კალანდაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის შესწავლა საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში

(მეორე ნაწილი)[1]

სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო თემების გარშემო სპეციალური გამოკვლევა ან სამეცნიერო პოპულარული ნარკვევი საბჭოთა პერიოდის ქართულ ისტორიოგრაფიაში არ დაწერილა. ამის გაკეთება, ცხადია, სასურველი იყო, მაგრამ ამის დრამატიზირება, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ცხადია, არ ღირს. ამ საკითხის პოპულარიზაციას, უმთავრესად, ადგილი ჰქონდა სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებში. ამიტომ საუბარს, სწორედ, სასწავლო-საცნობარო ლიტერატურის განხილვით განვაგრძობთ. სწორედ, ეს მასალა წარმოადგენს ამ თემაზე ჩვენი მსჯელობის მთავარ წყაროს. სხვა უფრო ვრცელი ინფორმაცია, უბრალოდ არ მოგვეპოვება. ამან განაპირობა ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზის შეზღუდულობა. ამიტომ იმას უნდა დავყაბულდეთ, რაც გაგვაჩნია. ეს მცირე მასალა საინტერესოა. აქ კარგად იკითხება, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა, თუ როგორი იყო მათი დამოკიდებულება სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხისადმი. აქ სკეპტიკური განწყობილება სრულიად უადგილო იქნებოდა. ეს მასალა სავსებით აკმაყოფილებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს. ეს ძუნწი ინფორმაცია იმჟამინდელი ქართული ისტორიოგრაფიის ფონზე გარკვეულ წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა და შეძლებისდაგვარად ავსებდა იმ ინფორმაციულ ვაკუუმს, რომელიც ამ სფეროში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობდა. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა და კულტურტრეგე-

[1] პირველი ნაწილი დაბეჭდილია ამავე კრებულის 2023 წლის №27-ში.

რულ ხასიათს ატარებდა. ამ მასალის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს. სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის აქტუალური საკითხების პოპულარიზაცია ერთი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული.

შუა საუკუნეების ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორია ცალკე, საგანგებოდ განხილული არ ყოფილა. უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა ამ ეპოქის სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის საკვანძო საკითხებზე და შუქდებოდა დასავლეთ ევროპისა და რუსეთის ისტორიასთან მჭიდრო კონტექსტში. შუა საუკუნეებისა და რუსეთის ისტორიის სასკოლო სახელმძღვანელოებში თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს ნორმანების თავდასხმებს დასავლეთ ევროპაზე და მეზობელ რუსეთზე [1; 2; 3]. ეს სახელმძღვანელოები ძალიან კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის შეხედულებებს, სულაც არ წარმოადგენდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციას, როგორც ეს საბჭოთა წლებში ეგონათ და დღეს უკვე ყავლი გაუვიდა. რუსეთის წარმოშობის „ნორმანისტული თეორიის" უგულებელყოფა, ლაიტმოტივად გასდევს საბჭოთა სახელმძღვანელოს.

ახლა მოდით გადავიდეთ სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის გაშუქებაზე საქართველოს უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებში. თემა არის საინტერესო და აქტუალური. თუ საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებში აქცენტი კეთდებოდა სკანდინავიის სახელმწიფოების შუა საუკუნეების ისტორიის საკვანძო საკითხებზე, უმაღლესი სკოლი სახელმძღვანელოებში პირიქით საქმე გვაქვს აღნიშნულ პერიოდში ამ რეგიონის ისტორიის გაბმულ თხრობასთან. მთავარი განსხვავება სკოლის სახელმძღვანელოებს და უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოებს შორის სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. მათ შორის მჭიდრო გენეტიკური კავშირი არსებობს. უმაღლესი სასწავლებლის სახელმძღვანელოები წარმოადგენს საშუალო სკოლის სახელმძღვანელოებში დაწყებული საქმის ლოგიკური გაგრძელებას. ეს იყო სწორი მიდგომა, რომელიც ისტორიის თემატიკით დაინტერესებულ ქართველ ახალგაზრდობას ამ საკითხებზე სკოლაში მიღებული ინფორმაციის გაღრმავებაში დაეხმარებოდა.

უმაღლესი სკოლის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში აღნიშნული რეგიონის ამ ეპოქის ისტორიის შესახებ დაწერილი მონაკვეთი, ფაქტობრივად, წარმოადგენს მცირე მოცულობის სამეცნიერო-

პოპულარულ ნარკვევს ამ თემაზე. ის სკოლის სახელმძღვანელოში წამოჭრილი თემატიკის ლოგიკური გაგრძელებაა. რა თქმა უნდა, აქ არაფერი არაა შემთხვევითი და სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლებას შორის არსებული მჭიდრო კონტაქტის გამოძახილია, რომელიც, სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ დღეს დარღვეულია, რაც საქართველოში არსებული განათლების სისტემის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლს წარმოადგენს.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ამ დარგში სტალინური პერიოდის საბჭოთა მედიევისტიკის მიღწევების თავისებურ შეჯამებას წარმოადგენდა ცნობილი ისტორიკოსების ალექსანდრე უდალცოვის, ევგენი კოსმინსკის და ოსიპ ვაინშტაინის რედაქციით გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელო, რომელიც ორ წიგნად გამოვიდა და 1947 და 1949 წელს ითარგმნა ქართულ ენაზე, სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთში თავმოყრილი მეცნიერული ინფორმაცია, ფაქტობრივი მასალა, საინტერესოა და მას თავისი მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს. ეს ამ თემაზე მსჯელობის პლუსია. საკითხისადმი მარქსისტული მიდგომა დღეს, ცხადია, მოძველებულია, ყავლი გაუვიდა. ამის გამო მათი მკაცრად განსჯა, ცხადია, მიზანშეწონილი არ იქნება. მათ სხვა არჩევანი არ გააჩნდათ. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული". ვფიქრობთ, ეს უფრო ადეკვატური უნდა იყოს. კიდევ ერთხელ გავმეორდებით. ჩვენ ბრალს ვდებთ არა რომელიმე ცალკეულ ისტორიკოსს, არამედ სახელმწიფოს, რომელიც აქტიურად ერევა მეცნიერების საქმეში და ცდილობს ძალით, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით მოახვიოს მას თავს სახელმწიფოსთვის სასურველი იდეოლოგია, რაც დაუშვებლად მიგვაჩნია. საქმე გვაქვს სისტემური დანაშაულის ერთ-ერთ მნიშნელოვან სეგმენტთან. ასე გვესახება ეს საკითხი.

„ყმაწვილებო ის რასაც თქვენ ისმენთ ლექციებზე და კითხულობთ შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოებში (რა თქმა უნდა, იგულისხმება საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები – მ. კ.) რეალურად არ არის ის შუა საუკუნეები, რომელზეც საუბრობს თანამედროვე ისტორიული მეცნიერება. ეს არის გაღარიბებული, გაუფერულებული, ადამიანისაგან დაცლილი, კასტრირებული, უდიდესი ისტორიული ეპოქა, ათასი წლის მანძილზე" [4, 195] – გულისტკივილით აღნიშნავს ცნობილი რუსი მედიევისტი პროფ. არონ გურევიჩი. ვფიქრობთ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ „გაღარიბებული, გაუფე-

რულებული, ადამიანისაგან დაცლილი, კასტრირებული", შუა საუკუნეების მთავარი სულისჩამდგმელი და არქიტექტორი ბრძანდებოდა ი. სტალინი. ამ კუთხით საკითხის განხილვას, ჩვენი აზრით, გააჩნია ერთი პატარა, მაგრამ სერიოზული წახნაგი, რომელიც მჭიდრო გენეტიკურ კავშირშია დიდ და სერიოზულ მეცნიერულ პრობლემასთან – მეცნიერის ბედი ტოტალიტარულ სახელმწიფოში. ამ რაკურსისთვის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნება. წინამდებარე ნაშრომი ამ თემის გაშუქების პირველ მცდელობას წარმოადგენს. საბჭოთა ისტორიოგრაფიას, უმთავრესად, კონიუნქტურული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ეს საკითხი არც კი დაუსვამს. ასეთი იყო პოლიტიკური ნება. პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკაში კი პრიორიტეტული აღმოჩნდა იდილიურ ვითარებაზე აპელირება და ეს აქტუალური თემა კვლავ კადრს მიღმა აღმოჩნდა. ასეთია ისტორიგორაფიული ვითარება. ჩვენ გადავწყვიტეთ, გამოგვესწორებინა ეს შეუსაბამობა და საკითხი ჩრდილიდან წინა პლანზე გამოგვეტანა. ეს, ვფიქრობთ, ქართული მედიევისტიკის წარსულზე უფრო ადეკვატური წარმოდგენის შექმნაში დაგვეხმარება.

საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის ისტორიის შელამაზებულად, ვარდისფერებში წარმოჩენა, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. როგორც ჩვენ გვგონია, მთელი საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარება სწორედ ამ პრიზმაში უნდა განვიხილოთ. ეს საშუალებას მოგვცემს დავდოთ მისი განვითარების უფრო რეალისტური სურათი, ვიდრე ეს აქამდე იყო. ყველაფერი ეს, ვფიქრობთ, ნათელი ილუსტრაციაა იმის, თუ რაოდენ რთულ პირობებში უხდება მეცნიერს საქმიანობა ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როდესაც ის სახელმწიფოს მხრიდან განიცდის ძლიერ პოლიტიკურ ზეწოლას. სახელმწიფო ცდილობს, მეცნიერს ძალით მოახვიოს თავს თავისთვის სასურველი იდეოლოგია.

სტალინური ხანის ქართულ მედიევისტიკაზე საუბარი უნდა გავაგრძელოთ უდალცოვის, კოსმინსკისა და ვაინშტაინის რედაქციით გამოსული შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოთი. მისი პირველი ნაწილი შეეხება შუა საუკუნეების ისტორიას V-XV საუკუნეებში, ხოლო მეორე – XVI-XVIII საუკუნეებს. ეს იყო სტალინური პერიოდიზაცია. ასე აღმოჩნდა სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიის თემატიკა შუა საუკუნეების ისტორიაში. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ეს პერიოდიზაცია თავადვე საბჭოთა ისტორიოგრაფიამ გადასინჯა.

ყურადღებას მივაპყრობთ სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთის სტრუქტურას, გეგმას, რომლის შემდგომი სრულყოფა, დახვეწა, ჩვენი აზრით, გამორიცხული არ უნდა იქნას. მასში ჩადებული შინაარსი, ფორმაციული პრინციპი, მონისტური მიდგომა, ძალზე დამახასიათებელია საბჭოთა ისტორიოგრაფიისთვის და კარგად გამოხატავდა ერთი, საბჭოთა სკოლის მიღწევებს, მაგრამ როგორც უკვე ითქვა, ეს არ იყო ჭეშმარიტების უკანასკნელი ინსტანცია, როგორც ეს დიდხანს ეგონათ.

გავიხსენოთ ეს გეგმა. ის ასე გამოიყურება: სკანდინავიის ქვეყნების საერთო ვითარება ფეოდალიზაციის დაწყებამდე; დანიის სამეფოს წარმოშობა; ფეოდალიზაციის პროცესი ნორვეგიაში; ნორვეგიის სამეფოს ჩამოყალიბება და მისი შემდგომი განვითარება; შვეცია [5, 141-148]. შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ ეს გეგმა გადატვირთულია და საკითხები ძალიან დანაწევრებულია, რაც ურთულებს სტუდენტებს მის მთლიანობაში აღქმას. სასურველი იქნებოდა მისი უფრო სადა, მარტივი, სქემის მიხედვით დალაგება. სკანდინავიის ქვეყნების საშინაო და საგარეო პოლიტიკა ადრეულ შუა საუკუნეებში. შემდგომ ამავე გეგმით იქნებოდა განხილული ცალკეული ქვეყნების ისტორია. შეიძლება, ეს უფრო უმჯობესი ყოფილიყო.

ახლა მოდით გადავიდეთ სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის მეორე მონაკვეთზე. სკანდინავიის ქვეყნები XII-XV საუკუნეებში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მონაკვეთის ქრონოლოგიური ჩარჩოების დაზუსტება გამორიცხული არ უნდა იყოს. ის ხელოვნურადაა გაჭიმული და ამ ეპოქის ისტორიაზე ადეკვატურ წარმოდგენას როდი გვიყალიბებს. აქ გაერთიანებულია ორი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ეპოქა. კლასიკური შუა საუკუნეები და გვიანი შუა საუკუნეები. ამგვარი მიდგომა გვხვდება პროფ. გიორგი ტივაძის და პროფ. გრიგოლ ჩხარტიშვილის სახელმძღვანელოებში.

საუბარს გავაგრძელებთ გეგმის განხილვით. ის სამი ნაწილისაგან შედგება, რომელიც თავის მხრივ დაყოფილია კიდევ ნაწილებად, პატარა მონაკვეთებად. რომელსაც საფუძვლად ფორმაციული პრინციპი უძევს. პირველი მონაკვეთი შეეხება დანიის სამეფოს ისტორიას, მის ჩამოყალიბებას. ეს თემა სახელმძღვანელოში განხილულია შედარებით უფრო ვრცლად. საკითხების ჩამონათვალი ასეთია: ფეოდალიზმის განვითარება დანიაში; დანიის დაპყრობები XII-XIII საუკუნეებში; ფეოდალური შინააშლილობა; სამეფო ხელისუფლების შეზღუდ-

ვა; ვლადიმერ IV ატერდაგი; მარგარიტა დანიელი და ალკმარის უნია; ალკმარის უნიის დაშლა; გლეხთა მდგომარეობა დანიაში, მსხვილი ფეოდალების პოლიტიკური ძალაუფლება [5, 459-466]. ამ თემის გაშუქება სახელმძღვანელოს საუკეთესო ნაწილი შეიძლება იყოს, მაგრამ გვეჩვენება, რომ მისი განხილვა მეტად დანაწევრებულია და სასურველი იქნებოდა მისი უფრო კომპაქტურად დალაგება ტრივიალური სქემის მიხედვით – დანიის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, რაშიც აღნიშნული საკითხები შევიდოდა და განტვირთავდა სახელმძღვანელოს ამ მონაკვეთს. ეს გაუადვილებდა სტუდენტებს მთავარი სათქმელის აღქმას. იგივე შეიძლება ითქვას შვედეთის და ნორვეგიის ისტორიის გეგმაზე. მათი ისტორიის განხილვას სახელმძღვანელოში შედარებით ნაკლები ადგილი აქვს დათმობილი. ეს არცაა გასაკვირი. ამ პერიოდში რეგიონის ლიდერის როლში დანია გვევლინებოდა და ეს კარგად ჩანს სახელმძღვანელოში, ხოლო შვედეთი და ნორვეგია ჩამოუვარდებიან მას. აქ განხილული საკითხების ჩამონათვალი ასეთია: ფეოდალიზაციის შენელებული ტემპი, ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცება, შვეცია ალკმარის უნიის ხანაში, უნიის აღდგენა [5, 466-470]. ეს ამ მონაკვეთის მეორე ნაწილია. მესამე ნორვეგიას შეეხება. აქ განხილული საკითხებია: ნორვეგიის სოციალური წყობის თავისებურებანი, ფეოდალიზმის ჩასახვა, თავისუფალი გლეხობის ბრძოლა სამღვდელოებასთან და დიდკაცობასთან, ნორვეგია შვეციასთან და დანიასთან უნიაში [5, 470-474]. ასეთი იყო საბჭოთა მიდგომა. ფორმაციულ პრინციპთან ერთად აქ ძალუმად იგრძნობა კლასობრივი თვალსაზრისი და კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გადაჭარბება. გლეხთა გაჭირვებაზე აპელირება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და, ცხადია, არ ღირს, ამუქებს საქმის ვითარებას.

პოლიტიკური ისტორიისა და კულტურის საკითხებისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულება შემთხვევითი არ ყოფილა და საკითხისადმი ფორმაციული მიდგომის გაგრძელებას წარმოადგენს. ამ თემატიკაზე გაცილებით უფრო მეტი ყურადღება ექცევა სკანდინავიის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. ამგვარი ცალმხრივი მიდგომა სერიოზული კორექტივების შეტანას საჭიროებს, დახვეწას, შემდგომ სრულყოფას მოითხოვს. პოლიტიკურ ისტორიას გაცილებით მეტი ყურადღება უნდა დათმობოდა, რაც შინაარსობრივად გაამდიდრებდა ამ მონაკვეთს. ეს მას სტუდენტებისთვის კიდევ უფრო საინტერესოს გახდიდა. მთავარი ხომ ეს იყო.

მის კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს ისტორიაში პიროვნების როლისადმი, კონკრეტულად მეფეებისადმი, ხისტი დამოკიდებულება. ამგვარი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ იყო და, უპირატესად, ორ გარემოებასთან უნდა ასოცირდებოდეს. მეფეების მოღვაწეობას საბჭოთა ისტორიოგრაფია განიხილავდა როგორც კლასობრივი მტრის საქმიანობას და მას აშუქებდა ძალზე ძუნწად. მკითხველს მეტად მწირ ინფორმაციას აწვდიდა. ამგვარი დამოკიდებულების მეორე მიზეზი ისტორიაში პიროვნების როლის შეუფასებლობა გახლდათ. პიროვნების როლისადმი ამგვარი დამოკიდებულების გამოძახილი ძალუმად იგრძნობა პროფ. გიორგი ტივაძის შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოში. როგროც ხედავთ, ფინეთის ისტორია კადრში ვერ ხვდება, რაც ცხადია, შემთხვევითი არაა. ვინაიდან ფინეთი ამ დროს შვედეთის შემადგენლობაში შედიოდა.

ი. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ჯერ „დათბობის ხანა" დადგა, რომელიც „უძრაობის პერიოდმა" ჩაანაცვლა. ამ ეპოქის ქართული მედიევისტიკის ერთ-ერთ მთავარ წარმატებას ეროვნული სასწავლო-საცნობარო ლიტერატურა წარმოადგენს. ჯერ იყო და პროფ. გიორგი ტივაძემ დაწერა „შუა საუკუნეების ისტორიის" საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელზეც ის დიდი ხანი მუშაობდა, რაც ქართულ მედიევისტიკის წინაშე მის მთავარ დამსახურებად მიგვაჩნია, ხოლო 1963 წელს გამოვიდა პროფ. გრიგოლ ჩხარტიშვილის „შუა საუკუნეების ისტორიის" სახელმძღვანელო, რომელიც განკუთვნილი იყო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის. რა თქმა უნდა, ეს არ იყო შემთხვევითი და სტალინის გარდაცვალების შემდეგ პოლიტიკური კლიმატის შეცვლის გამოძახილი უნდა ყოფილიყო.

ახლა მოდით ვნახოთ როგორაა განხილული ამ ეპოქის სკანდინავიის ქვეყნების ისტორია პროფ. გიორგი ტივაძის „შუა საუკუნეების ისტორიის" საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოში, რომელიც იმ პერიოდის ქართული მედიევისტიკის შენაძენი იყო და ამ დარგში სახელმძღვანელოს შექმნის პირველ მცდელობას წარმოადგენს, რაც საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის წარმატება იყო [6, 198-199]. ეს სახელმძღვანელო სავსებით აკმაყოფილებდა საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს და კარგად თავსდება მის იდეურ-მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში. მან აირჩია სერიოზული მეცნიერული პრობლემა და მოგვცა მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია. ამ გზით მაშინ ძალიან ბევრი მიდიოდა. ამის გამო მისი მკაცრად განსჯა მართებული არ იქ-

ნებოდა. ეს იმ ექსტრემალური ვითარებიდან ერთ-ერთი რეალისტური გამოსავალი ჩანდა. არჩევანი იყო ცუდს და უარესს შორის, მან სწორი ნაბიჯი გადადგა და ფსონი ცუდზე დადო. სხვა არჩევანი არ არსებობდა. ამან გადაარჩინა დარგი განადგურებისაგან, რისი დიდი ალბათობაც არსებობდა. თუ არა ეს კომპრომისი მაშინ ის მწირი ლიტერატურაც არ გვექნებოდა, რომელიც გაგვაჩნია ქართულ ენაზე დასავლეთ ევროპის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიაზე. ასეთია რეალობა. პროფ. გიორგი ტივაძის ამ სახელმძღვანელოზე ქართველ ისტორიკოსთა არაერთი თაობა აღიზარდა, მაგრამ დღეს ეს სახელმძღვანელო უკვე მოძველებულია და უფრო უკეთესით უნდა ჩავანაცვლოთ. იყო ამის რამდენიმე მცდელობა, მაგრამ ის, ჩვენი აზრით, წარმატებულად ძნელია მივიჩნიოთ.

სახელმძღვანელოში, ბუნებრივია, მოცემულია შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და შიდა პერიოდიზაცია. სტალინური პერიოდიზაციისგან მცირე განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ამჯერად შუა საუკუნეების ისტორია არ მთავრდება XVIII საუკუნის მიწურულს, საფრანგეთის რევოლუციის დასაწყისით. ის სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიას ამთავრებს XVII საუკუნის შუა ხანების ინგლისის რევოლუციით, როგორც ეს მიღებული იყო პოსტსტალინური ეპოქის საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ეს მისი გამოძახილია. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს პერიოდიზაცია ძალიან კარგად გამოხატავდა ერთი ისტორიული სკოლის ინტერესებს, მაგრამ დღეს ის უკვე მოძველებულია. პერიოდიზაციის საკითხში ამგვარი პოზიცია, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ ყოფილა და პოლიტიკური ზეწოლის ექოდ გაისმა.

ემპირიის, ფაქტოგრაფიის, დონეზე წინსვლა აშკარაა და ამის უგულებელყოფა სწორი არ იქნება და ამ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. მისი მარქსისტული ინტერპრეტაცია, ცხადია, მიუღებელია. ფორმაციული შინაარსი ჩადებულია არა მარტო ტექსტში, არამედ სათაურში: არა ადრეული შუა საუკუნეები, არამედ „სკანდინავიის ქვეყნები ადრინდელ ფეოდალურ ეპოქაში“.

ახლა ვნახოთ როგორ იყო სახელმძღვანელოში განხილული სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის საკითხები. დავიწყოთ ადრეული შუა საუკუნეების ისტორიით.

სახელმძღვანელოში ნორმანებზე რამდენიმე ადგილას არის საუბარი. თავდაპირველად მათ შესახებ ინფორმაცია ბუნებრივია, საფრანგეთის ისტორიასთან კონტექსტში გაისმა. ისინი თავს ესხმიან

საფრანგეთის ტერიტორიას და საფრანგეთის მეფის შარლ „მიამიტის“ (898-923) დროს მიაღწიეს იმას, რომ ნორმანების ბელადმა როლონმა დაიკავა საფრანგეთის ტერიტორია სენის შესართავთან, სადაც 911 წელს მან დააარსა ნორმანდიის საჰერცოგო. ნორმანებმა ქრისტიანობა მიიღეს და ცნეს ვასალური დამოკიდებულება საფრანგეთის მეფისადმი [6, 178]. ეს ერთი საინტერესო სიუჟეტი იყო. მეორე საინტერესო ეპიზოდს, ბუნებრივია, წარმოადგენს ნორმანების შეჭრა ინგლისში. აქ განხილულია სამი თემა: ინგლისი ნორმანდიელთა თავდასხმამდე, ინგლისის დაპყრობა ნორმანდიელების მიერ და ნორმანდიელთა შეჭრის შედეგები [6, 239-255]. ამ გეგმაში მიუღებელი არაფერია. შეიძლება იყოს ერთი პატარა ნიუანსი, რომელიც უფრო გემოვნების საკითხია და პრინციპული მნიშვნელობა არ გააჩნია: საკითხის უფრო კომპაქტურად დალაგების მიზნით სასურველი ხომ არ იქნებოდა მეორე და მესამე საკითხის გაერთიანება?

აქ უნდა შევეხოთ ერთ საკითხს, რომელიც დაკავშირებულია ტერმინოლოგიასთან, მართლწერასთან. ტერმინმა „ნორმანდიელებმა“ ქართულ მედიევისტიკაში ფეხი ვერ მოიკიდა და დამკვიდრდა სახელწოდება ნორმანები. სხვათა შორის, სწორედ, ეს ტერმინია გამოყენებული ა. უდალცოვის, ე. კოსმინსკის და ო. ვაინშტაინის რედაქციით გამოსულ შუა საუკუნეების ისტორიის სახელმძღვანელოში. რატომ აირჩია ავტორმა სხვა გზა ძნელი სათქმელია, ეტყობა, ეს უფრო სწორედ ესახებოდა. მასში ნორმანდიის საჰერცოგოს გამოძახილი შეიძლება დავინახოთ. კატეგორიულად, ცხადია, არაფერს ვამტკიცებთ. გამოვთქვამთ მხოლოდ ჩვენს ფრთხილ ვარაუდს.

მესამეჯერ ის ჩვენთვის საინტერესო საკითხს შეეხება კონკრეტულად სკანდინავიის ისტორიის გაშუქების დროს. აქ წამოჭრილი საკითხების ჩამონათვალი ასეთია: სკანდინავიის ქვეყნების საერთო ვითარება ფეოდალიზაციის დაწყებამდე; დანიის სამეფოს წარმოშობა; ფეოდალიზაციის პროცესი ნორვეგიაში; ნორვეგიის სამეფოს ჩამოყალიბება და მისი შემდგომი ვითარება; შვეცია [6, 272-284]. არსებითად, ეს არის მარქსისტული გეგმა, რომელიც ფორმაციული მიდგომითაა გაჯერებული, რაც, სხვათა შორის, კარგად ჩანს სათაურებიდან: სკანდინავიის ქვეყნების საერთო ვითარება ფეოდალიზაციის დაწყებამდე. შეიძლებოდა ამის თავიდან აცილება, თუ ქრონოლოგიურ პრინციპს მოვიმარჯვებდით. ასე მაგალითად: სკანდინავიის ქვეყნების საერთო ვითარება V-IX საუკუნეებში, IX-XI საუკუნეებში და XII-XV საუკუნე-

ებში. რა თქმა უნდა, შემთხვევითი როდია, რომ სკანდინავიის ქვეყნების სოციალ-ეკონომიკური განვითარებას სახელმძღვანელოში საკმაოდ დიდი ყურადღება და ადგილი აქვს დათმობილი, რასაც ვერ ვიტყვით პოლიტიკურ ისტორიაზე და კულტურაზე. ის შედარებით სუსტად, მკრთალადაა, გაშუქებული. ეს ფორმაციული პრინციპის მომარჯვების და კლასობრივი მიდგომის გამოძახილია.

გ. ტივაძე ძალიან მოკლედ ჩერდება დანიის სამეფოს წარმოშობის ისტორიაზე. ფაქტობრივად ეს გახლავთ, დანიის ისტორია IX-XI საუკუნეებში, სულ ერთი გვერდი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა და საკმარისი არ უნდა იყოს. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს ფაქტის კონსტატაციასთან, რაც აღნიშნული საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია [6, 276-277]. ვფიქრობთ, იგივე შეიძლება ითქვას ამ ეპოქის შვედეთის ისტორიის გაშუქებაზე. სასურველი იქნებოდა შინაარსობრივად მისი გამდიდრება, უფრო მეტი ემპირული, ფაქტობრივი, მასალის მოხმობა. მას სულ რაღაც ორი გვერდი ეთმობა. ეს, რა თქმა უნდა, საკმარისი არ უნდა იყოს. ამ თემის განხილვამ სახელმძღვანელოში უკმარობის გრძნობა დაგვიტოვა და შესიტყვების სურვილი გაგვიჩინა.

შედარებით უფრო ვრცლად არის განხილული და დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამ ეპოქის ნორვეგიის ისტორიას. აქ საუბარია ორ თემაზე, ფეოდალიზაციის პროცესი ნორვეგიაში და ნორვეგიის სამეფოს ჩამოყალიბება და მისი შემდგომი ვითარება [6, 277-281]. ეს საკითხი, ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთის საუკეთესო ნაწილად შეიძლება მივიჩნიოთ. ის იზიარებდა სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ სკანდინავიის ქვეყნებში ფეოდალიზაციის პროცესის განვითარების ნელი ტემპი განპირობებული იყო იმით, რომ აქ გვიან რომაული ურთიერთობები სუსტად იყო განვითარებული [6, 272-276]. ცხადია, სახელმძღვანელოს ესაჭიროება სოციალ-ეკონომიკური პრობლემატიკისგან განტვირთვა, მაგრამ მაშინ ამის გაკეთება არ იქნებოდა ადვილი საქმე.

ახლა გადავიდეთ აღნიშნული საკითხის გაშუქებაზე XI-XV საუკუნეებში. დავიწყოთ პერიოდიზაციის საკითხით.

ეს არის მარქსისტული მიდგომა, რომელსაც საფუძვლად უძევს ფორმაციული პრინციპი და კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობაზე აქცენტირება. ფორმაციული შინაარსი ამ ეპოქის სახელწოდებაშია ჩადებული. არა კლასიკური შუა საუკუნეების ხანა, არამედ კლასიკური

ფეოდალიზმის ეპოქა. როგორც უკვე ითქვა, მისი ქრონოლოგიური ჩარჩოები ხელოვნურადაა გაჭიმული და დაზუსტებას მოითხოვს. ყველაფერი ეს სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს, მაგრამ დღეს უკვე მოძველებულია, არჩევანი არ არსებობდა. „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული".

სახელმძღვანელოში თავმოყრილი ფაქტობრივი მასალა საინტერესოა და ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარეს წარმოადგენს. ხოლო მისი ინტერპრეტაცია ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბშია მოქცეული. მნიშვნელოვანწილად, სწორედ, ამითაა განპირობებული, რომ ამ პერიოდის სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გაშუქების დროს აქცენტი კეთდება სოციალ-ეკონომიკურ ვითარებაზე, ხოლო პოლიტიკური ისტორია და კულტურა შედარებით სუსტად, მკრთალადაა, გაშუქებული.

ჩვენი აზრით, ამ მონაკვეთის გეგმა გაცილებით კომპაქტურ ხასიათს ატარებს, ვიდრე წინა მონაკვეთის, მაგრამ მასში ჩადებული მარქსისტული შინაარსი, ცხადია, უცვლელი რჩება. ის ოთხი ნაწილისაგან შედგება: ფეოდალიზმის ნელი განვითარება სკანდინავიის ქვეყნებში და ამის მიზეზები; დანიის სამეფო; შვეციის სამეფო. ჩვენი აზრით, ნაშრომის ამ მონაკვეთის საუკეთესო ნაწილად დანიის სამეფოს ისტორიის გადმოცემა შეიძლება მივიჩნიოთ. სახელმძღვანელოში ეს თემა განხილულია მოკლედ ლაკონურად, მაგრამ შინაარსიანად. მას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია და ქართულ საზოგადოებას, პირველ რიგში კი, რა თქმა უნდა, მოსწავლე ახალგაზრდობას, სტუდენტ ისტორიკოსებს, კარგად დააკვალიანებდა და დანიის ისტორიაზე XI-XV საუკუნეებში ზოგადი წარმოდგენის ჩამოყალიბებაში დაეხმარებოდა [7, 126-129]. ამ კულტურტრეგერულ მისიას მან შეიძლება ითქვას, რომ ურიგოდ როდი გაართვა თავი. ეს მისი წარმატება იყო. შემდეგი თემები ნორვეგიის სამეფოსა და შვეციის სამეფოს ისტორიაზე მოგვითხრობს [7, 129-132].

ძალიან კარგია, რომ ამ რეგიონის სამივე ქვეყნის ისტორიას თანაბარი ყურადღება აქვს დათმობილი. ეს ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. სასურველი იქნებოდა მას დართული ჰქონოდა გეგმა. ეს გაუადვილებდა სტუდენტებს მასალის აღქმას და სასწავლო-აღმზრდელობითი დატვირთვა ექნებოდა.

სახელმძღვანელოს მესამე მონაკვეთში საუბარია სკანდინავიის ქვეყნების ისტორიაზე გვიანი შუა საუკუნეებში, XVI საუკუნიდან

XVII საუკუნის შუა ხანებამდე – ინგლისის რევოლუციის დასაწყისი და 1648 წელს ოცდაათწლიანი ომის დასასრული. ფორმაციული პრინციპი ჩადებულია არა მხოლოდ შინაარსში, არამედ სათაურში. არა გვიანი შუა საუკუნეები, არამედ გვიანი ფეოდალიზმი [7, 431-443]. ეს არ იყო გვიანი შუა საუკუნეების ისტორია, როგორც ეს მიღებული იყო საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ეს ერთმნიშვნელოვნად არის ადრეული ახალი ისტორია, როგორც ამას აღიარებენ საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, კონგრესებზე, კონფერენციებზე, სასწავლო-საცნობარო ლიტერატურაში, სამეცნიერო გამოკვლევებში. ამ მონაკვეთს განვიხილავთ მაშინ, როდესაც შევეხებით სკანდინავიის ქვეყნების ახალი ისტორიის შესწავლას საქართველოში. ასე უფრო სწორი იქნება.(8)

სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიაზე, ბუნებრივია, ჩერდება პროფ. გრიგოლ ჩხარტიშვილი თავის სახელმძღვანელოში „შუა საუკუნეების ისტორია", რომელიც დაწერილია პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის. მან თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში ამ რეგიონის აღნიშნული ეპოქის ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ის შეეცადა, შეძლებისდაგვარად შეევსო ვაკუუმი, რომელიც ამ სფეროში ქართულ მედიევისტიკაში არსებობდა. ამის გაკეთების ნებისმიერი მცდელობა მისასალმებელი უნდა იყოს და, ცხადია, ძალიან კარგია. მოკლედ, ის შეეხო ჩვენთვის საინტერესო საკითხს და ამის გვერდის ავლა მიზანშეწონილი არ იქნებოდა და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას როდი ჩამოგვიყალიბებდა.

ჩვენი აზრით, ეს სახელმძღვანელო ძალიან სუსტ შთაბეჭდილებას ტოვებს და კონკრეტული საკითხების გაშუქება, ამ შემთხვევაში სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის საკვანძო საკითხებზეა საუბარი, ამის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. ის ორ ადგილზე ჩერდება ჩვენთვის საინტერესო თემაზე. პირველად ინგლისის ისტორიასთან კონტექსტში – ინგლისი და სკანდინავია XI საუკუნის შუა ხანებამდე. ფაქტობრივად ეს გახლავთ საკითხის პერიოდიზაცია – ინგლისი და სკანდინავიის ქვეყნები ადრეულ შუა საუკუნეებში. მეორედ კი ამ თემას უბრუნდება მონაკვეთში – სკანდინავიის ქვეყნები XI-XV საუკუნეებში. ეს არის ამ რეგიონის ისტორიის თხრობა კლასიკური შუა საუკუნეების ისტორიაში. ბუნებრივია, აქ მოცემულია სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის მარქსისტული პერიოდიზაცია და შიდა პერიოდიზაცია. ის სავსებით შეესატყვისებოდა იმ პერიოდის

საბჭოთა ისტორიოგრაფიის მოთხოვნებს, მაგრამ საკითხი დღეს ქართული ისტორიოგრაფიაში უკვე სხვაგვარად დგას [9, 33].

მესამე პერიოდი იქნებოდა გვიანი შუა საუკუნეები – XVI-XVII საუკუნის შუა ხანები.

დავიწყოთ პირველი მონაკვეთით – ინგლისი და სკანდინავიის ქვეყნები XI საუკუნის შუა ხანებამდე [9, 69-73]. მიუხედავად ამ ორი ქვეყნის ისტორიულ განვითარებას შორის არსებული მსგავსებისა, მათი ასე ერთად გაერთიანება, ალბათ, მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და დამაჯერებლად არ მიგვაჩნია. როგორც ერთი, ისე მეორე საკითხის გაშუქება გარკვეულ უკმარობის გრძნობას გვიტოვებს. ორივე თემის განხილვას ძალიან ცოტა ადგილი აქვს დათმობილი და აღნიშნულ საკითხზე ადეკვატურ წარმოდგენას ვერ გვიქმნის, ძალიან სუსტია. ამ ეპოქის სკანდინავიის ქვეყნების ისტორიის გაშუქებას სულ რაღაც ორი გვერდი აქვს დათმობილი. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით შემოიფარგლება, რაც ამ საკითხის იგნორირების ტოლფასად მიგვაჩნია [9, 71-73].

მეორე მონაკვეთში განიხილება სკანდინავიის ქვეყნების ისტორია XI-XV საუკუნეებში [9, 261-264]. ის რამდენიმე მონაკვეთისგან შედგება: შესავალი, რომელიც შეიძლება განვიხილოთ ისტორიულ ფონად. შემდეგ დანია, რომელიც, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო კარგად შეიძლება იყოს გაშუქებული. ის ეხება ორ საკითხს: საკუთრივ დანიის ისტორიას და ალკმარის უნიას [9, 261-262]. მაგრამ ეს, ცხადია, ძალიან ცოტაა. სახელმძღვანელოში კიდევ უფრო სუსტად, მკრთალადაა, გაშუქებული შვეციის და ნორვეგიის ისტორია. მას ძალიან ცოტა ყურადღება და ადგილი აქვს დათმობილი. თავად განსაჯეთ ნორვეგიის ისტორიის თხრობას, სულ რაღაც 15 სტრიქონი ეთმობა. ეს საკმარისი არ უნდა იყოს [9, 264].

დასასრულს უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მტკივნეულ საკითხს ტერმინოლოგიას, მართლწერას. სახელწოდებამ შვეცია ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხი ვერ მოიკიდა და დამკვიდრდა შვედეთი.

ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვათ, საქართველოში ფინეთის ისტორიის გაშუქებაზე, პოპულარიზაციაზე. ის ჩრდილში იმიტომ აღმოჩნდა, რომ მთელი შუა საუკუნეების და ახალი დროის მანძილზე ფინეთი დამოუკიდებლად არ ფუნქციონირებდა.

ფინეთის შუა საუკუნეების ისტორიაზე მცირე ინფორმაციას მოვიძიებთ პროფ. ილია ტაბაღუას წიგნში „ფინეთი". დამოუკიდებლობი-

სათვის ბრძოლა ლაიტმოტივად გაჰყვება ფინეთის მთელს შუა საუკუნეების ისტორიას. IX-XI საუკუნეებში ისინი წარმატებით იგერიებდნენ შვედების მოძალებას. XII საუკუნეში შვედებმა გააძლიერეს ზეწოლა. მას საფუძვლად ედო ტერიტორიების გაფართოების პრეტენზია. XIII საუკუნეში იკვეთება მომხვდურთა უპირატესობა. ბოლოს-დაბოლოს, სამი ლაშქრობის შედეგად (1154, 1249 და 1293 წწ.) შვედებმა მოახერხეს ფინეთის დაპყრობა. მათმა ბატონობამ ფინეთში ექვსი საუკუნე გასტანა და XIX საუკუნის დასაწყისში წერტილი დაესვა. ის რუსეთმა ჩაანაცვლა [10, 37].

და ბოლოს უნდა დაუბრუნდეთ ჩვენთვის საინტერესო პრობლემას-მეცნიერის ბედი ტოტალიტარული რეჟიმის დროს. ამჯერად ეს გავაკეთეთ საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკაში სკანდინავიის ქვეყნების შუა საუკუნეების ისტორიის გაშუქების მაგალითზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კუთხით საკითხის განხილვა საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ყველაფერი აქ თქმული, ვფიქრობთ, საუკეთესო ნიმუშია იმის თუ რა მძიმე პირობებში უხდება მუშაობა ისტორიკოსს ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, როდესაც სახელმწიფო უხეშად, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენებით ერევა მეცნიერებაში და ცდილობს ძალით მოახვიოს თავს სახელმწიფოსთვის სასურველი იდეოლოგია. არ უტოვებს არჩევანის უფლებას. თავისუფალი აზროვნება ითრგუნება ან ყველაზე უფრო კარგ შემთხვევაში, ძალზე იზღუდება. განსხვავებული აზრი მიუღებელია, იდევნება, უმალ ცრუმეცნიერულად ცხადდება. ისტორიკოსს მუშაობა უხდება სახელმწიფოს მხრიდან ძლიერი პოლიტიკური ზეწოლის პირობებში. მყარდება ერთი გაბატონებული იდეოლოგიის მონოპოლია, რომლისგანაც გადახვევის ნებისმიერი მცდელობა მკრეხელობად აღიქმება. როგორც უკვე ითქვა, ეს იყო სისტემური კრიზისის ერთ-ერთი სეგმენტი. ჩვენ ვაკრიტიკებთ საბჭოთა მიდგომას და არა რომელიმე ცალკეულ ისტორიკოსს. ეს სწორი არ იქნებოდა და ძალზე ხისტად მიგვაჩნია. კვლავ გავიმეორებთ: „ეს იყო ჩვენი უბედურება და არა დანაშაული". ვფიქრობთ, ეს ყველაზე უფრო სწორი უნდა იყოს. განსხვავებული მიდგომა საშუალებას გვაძლევს საინტერესო დასკვნა გავაკეთოთ და სულ სხვა სურათი დავდოთ, ვიდრე აქამდე იყო. როგორც ირკვევა, საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის განვითარება სულაც არ ატარებდა იდილიურ ხასიათს და

მას საკმაოდ რთული და ძნელი გზის გავლა მოუხდა, რომელიც სულაც არ აღმოჩნდა მხოლოდ ია-ვარდებით მოფენილი.

***

ამრიგად, აღნიშნული საკითხის გაშუქება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ მთელი რიგი საინტერესო დასკვნები, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა, ამ დარგით და, კონკრეტულად, ამ საკითხით დაინტერესების გაცილებით უფრო ადეკვატური სურათი დავდოთ, ვიდრე ეს აქამდე იყო. დავიწყოთ იმით, რომ ჩვენ ვცადეთ ამ თემატიკის გაშუქება პოლიტიკური განსჯის სფეროდან აკადემიური მსჯელობის საგნად გაგვეხადა. ამან საშუალება მოგვცა სულ სხვა და, ჩვენი აზრით, გაცილებით უფრო ადეკვატური სურათი დაგვედო, სულ სხვა და საინტერესო დასკვნები მიგვეღო. საბჭოთა პერიოდის ქართულ მედიევისტიკაში არსებულ იდილიურ ვითარებაზე უარი გვეთქვა.

მან საინტერესო მეტამორფოზი განიცადა. ის სულაც არ ატარებდა ისეთ სწორხაზოვან, ერთგვაროვან, ხასიათს, როგორც ეს საბჭოთა წლებში წარმოედგინათ. საბჭოთა პერიოდში ამ თემატიკით დაინტერესება მის პირველ პერიოდს კი არ წარმოადგენდა, არამედ მეორეს. საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა კვლავ ძალაში რჩება, მაგრამ მან მიიღო ცალმხრივი ხასიათი და ერთი, ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის ყალიბში აღმოჩნდა მოქცეული. ისტორიულ მეცნიერებას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ეს მისი სიკვდილის ტოლფასი იქნება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისის გასაღები სწორედ აქ ძევს. სავსებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ მან ბოლოსდაბოლოს ლეტალური ანუ სასიკვდილო ხასიათი შეიძინა. ამ თემატიკით დაინტერესებამ სულ სხვა მიმართულება მიიღო, რომელიც თავდაპირველი გზიდან გადახვევას წარმოადგენდა.

საბჭოთა ისტორიოგრაფიის შუქ-ჩრდილები ასე გვესახება: ემპირიის, ფაქტოლოგიის დონეზე პროგრესი აშკარაა და ამის თაობაზე ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს. ეს, ცხადია, ძალიან კარგია და საბჭოთა პერიოდის ქართული ისტორიოგრაფიის დადებით მხარეს წარმოადგენს. მეორე ასეთი პოზიტიური მომენტია საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა, რომელიც კვლავ ძალაში დარჩა, მაგრამ ძალზე პოლიტიზებული და იდეოლოგიზებული იყო. საკითხისადმი ვიწროდოგმატურად გაგებული მარქსისტულ-ლენინური მიდგომა გამოცხადდა ჭეშმარიტების უკანასკნელ ინსტანციად. განსხვავებული

აზრი მიუღებელი იყო. საბჭოთა პერიოდის ქართული მედიევისტიკის თეორიული, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, გაუფერულება ამის ლოგიკური გაგრძელება იყო. ჩრდილი დომინირებდა შუქზე. ამიტომ საბჭოთა ისტორიოგრაფიის აპოლოგეტური შეფასება დღეს, ცხადია, უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, ისტორიული მეცნიერების განვლილ ეტაპს წარმოადგენს. ერთი უკიდურესობიდან მეორეში არ უნდა აღმოვჩნდეთ. ეს მიუღებელია. აპოლოგეტური თვალსაზრისი, ხისტი მიდგომით არ უნდა ჩავანაცვლოთ. ეს ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას. „წყალს ბავშვი არ უნდა გადავაყოლოთ" – არც ეს იქნებოდა სწორი. ორივე უკიდურესობა მიუღებელია. ჭეშმარიტება, როგორც წესი, სადღაც შუაში ძევს, ჩვენ ვცადეთ გამოგვერკვია ეს საშუალედო ხაზი და გვეჩვენებინა საბჭოთა ისტორიოგრაფიის შუქ-ჩრდილები, ჩავწვდომოდით მის გამომწვევ მიზეზებს. ასე გვესახება საკითხისადმი მეცნიერული მიდგომა. „საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის უცხო იყო ჯანსაღი ძალების კავშირი, შემოქმედებითი ურთიერთობები. ეს შინაგანი გათიშულობა, უუნარობა გაერთიანდნენ წმინდა მეცნიერულ ნიადაგზე, როგორც მგონია, წარმოადგენს მთავარ დაბრკოლებას ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების საქმეში... მთავარია შემოქმედებითი შეჯიბრი, ჰუმანიტარებს შორის მჭიდრო კონტაქტები" [4, 172-173]. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული რთული ვითარებისგან თავის დაღწევის გასაღები, ვფიქრობთ, სწორედ, აქ ძევს. შევძლებთ ამას – ძალიან კარგი, ვერ შევძლებთ და – ძალიან ცუდი. სულ იქნება ასეთი მდგომარეობა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ევგენი კოსმინსკი, შუა საუკუნეების ისტორია, თბილისი, 1956.
2. ეკატერინე აგიბალოვა, გრიგოლ დონსკოი, შუა საუკუნეების ისტორია, VI კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1964.
3. მილიცა ნეჩკინა, ო. ლეიბენგრუბ, სსრ კავშირის ისტორია, VIII კლასის სახელმძღვანელო, თბილისი, 1967.
4. Арон Гуревич, История историка, Москва, 2004.
5. შუა საუკუნეების ისტორია, ალექსქნდრე უდალცოვის, ევგენი კოსმინსკის, ოსიპ ვაინშტაინის რედაქციით, ნაწილი პირველი, თბილისი, 1947.

6. გიორგი ტივაძე, შუა საუკუნეების ისტორია, ნაწილი პირველი, თბილისი, 1967.
7. გიორგი ტივაძე, შუა საუკნუეების ისტორია, ნანილი მეორე, თბილისი, 1970.
8. მერაბ კალანდაძე, მსოფლიო ისტორიის პერიოდიზაცია ქართულ ისტორიოგრაფიაში, თბილისი, 2007.
9. გრიგოლ ჩხარტიშვილი, შუა საუკუნეების ისტორია, ნაწილი პირველი, თბილისი, 1963.
10. ილია ტაბაღუა, ფინეთი, თბილისი, 1975.

Merab Kalandadze
Doctor of historical sciences, Ivane Javakishvili Tbilisi state university, associated professor

Study of the History of Medieval Scandinavian Countries' in Georgian Historiography

Summary

The ongoing research aims to explore and shed light on a specific issue related to the study of the medieval history of Scandinavian countries. This topic has not been sufficiently addressed in previous research, and the current work represents the initial stage of its investigation. This is a novelty within the Georgian context, and it is interesting and relevant for us.

The main goal is to achieve accurate, objective, and comprehensive assessment within the framework of the study of the Soviet Georgian historiography. This is not an easy task and requires a principled approach.

The apologetic assessment of the Soviet Georgian historiography, which dominated during previous years, is now outdated and has entered a stage of advanced historical research. This is a unique opportunity. We should not repeat the mistakes of the past. The objective evaluation of the Soviet Georgian historiography cannot be replaced by a biased view. This statement applies to the course of action for both uniqueness and continuity. The true path lies in the middle, not on either extreme. This approach does not involve any easy actions, but it is desirable to determine the truth differently. Let us investigate the path of truth, as it already exists. This

opportunity allows us to examine it as a means of clarification, both in the north and in the south, to attempt to uncover its hidden, objective motives.

Now let's briefly discuss the periodization of the question. The Georgian historiography of the Soviet period can be divided into three distinct periods. Factually, this implies an internal periodization of the question. From the years 1920 to 30s, during the interwar period, the struggle for independent thinking, which had been present within the framework of Soviet connections, resurfaced and has not yet been resolved. This issue could be approached optimally in the context of Georgian media studies during the Soviet period. From the years 1920-30s onwards, a new period called the „Stalinist Era" begins, characterized by the Stalinization of historical scholarship, unification. Independent thinking gradually fades away. The Georgian historiography of the Soviet period undergoes transformation. This period continues until the death of Stalin in 1953. After the de-escalation of Stalin's rule, a new third period begins, which encompasses the 1990s, when the Soviet Union disintegrated and the Soviet connections were severed. It includes two distinct phases, namely the „period of stagnation" and the „period of development." We will attempt to explore this periodization in connection with the study of the history of the Scandinavian countries within the framework of Georgian historiography of the Soviet period. In fact, this topic presents an interesting aspect of Georgian media history.

The contribution of renowned historian Prof. Grigol Natadze in the popularization of the history of the intermediate periods of the countries between Scandinavia can be considered as one of his notable services to Georgian medieval studies. In the 1920s and 1930s, he made an attempt to compile a comprehensive university textbook on the history of the medieval Scandinavia.

This issue is closely related to the interesting topic. The fate of the scholar under the totalitarian regime. It turns out that the assimilation of Marxist-Leninist ideology is not at as triumphant as was claimed in the Soviet years. The development of Georgian medieval studies in the Soviet period was not distinguished by its idyllic character. We tried to put a more adequate picture.

დამკაბადონებელი
ნანა დუმბაძე

დიზაინერი
ირაკლი უშვერიძე

გამომცემლობა „უნივერსალი"

თბილისი, 0186, ა. ჰოლიბაოვსაიას №4. ☎: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com